

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველოს ისტორიის კაბინეტი

უცხოელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ  
სერია II

## ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

ტომი მესამე

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო

სიმონ ყაუხჩიშვილმა

ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ტფილისი 1936

# GEORGICA

SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERPTA

AD GEORGIAM PERTINENTIA

Tomus III

Zachariam Rhetorem Agathiam Menandrum Theophanem Byz.  
Ioannem Mal. Stephanum Byz. Euagrium continens

Textum graecum cum versione georgica et commentariis instruxit

SIM. KAUCHTSCHISCHVILI

Sumptibus Universitatis Tphilisiensis

TPHILISIIS 1936

# გეორგიკა

ბიზანტიელი მწერლების ცნობები

საქართველოს შესახებ

ტომი მესამე

ზაქარია რეტორი აგათია მენანდრე თეოფანე ბიზ.  
იოანე მლალა სტეფანე ბიზ. ევაგრი

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო

სიმონ ყაუხჩიშვილმა

ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ტფილისი 1936

დაიბეჭდა ტფილისის უნივერსიტეტის რექტორის განკარგუ-  
ლებით.

რექტორი: პროფ. კ. ორაგველიძე.

## შინაარსი

<b>წინასიტყვაობა</b> . . . . .	VI
<b>ზაქარია რექტორი</b> . . . . .	1
პეტრე ქართველი 3. – [ფსევდო-ზაქარია:] ჰუნების გადმოსვლა და- რიალის კარით 12. – ფარსმან კოლხი 14. – ლაზიკე 15. – კავკასიის ქვეყნების (ქართლის, რანის, ბაზგუნის და სხვათა) აღწერა 17. – პეტრე ქართველი 22.	
<b>აგათია სქოლასტიკოსი</b> . . . . .	23
შესავალი 25. – ხუთწლიანი ზავის შედეგები ლაზიკისთვის 26. – ბრძოლა ტელეფისის წინააღმდეგ 30. – ბიზანტიელი სარდლების შეთქმულება გუბაზ მეფის წინააღმდეგ და მისი მოკვლა 42. – ლაზთა ტომის დახასიათება. ბრძოლა ონოგურისთან 50. – ლაზების თათბი- რი შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. აიეტისა და ფარტაზის სიტყვები 63. – ლაზთა ელჩები იუსტინიანესთან. წათეს დამტკიცება ლაზთა მეფედ 81. – მისიმიელთა აჯანყება ბიზანტიელე- ბის წინააღმდეგ 85. – ნახორაგანის ლაშქრობა ლაზეთში 555 წელს არქეოპოლისის მახლობლად. საბირები და დილიმნიტები 90. – ნახო- რაგანის ლაშქრობა ნესოსისაკენ 95. – ნახორაგანის ლაშქრობა ფოთის წინააღმდეგ 98. – გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება 125. – ბი- ზანტიელების ბრძოლა მისიმიელთა წინააღმდეგ 154. – ვარდციხის აღება ბიზანტიელების მიერ 158. – მისიმიელთა წინააღმდეგ ბრძო- ლის გაგრძელება 159. – მარტინეს გადაყენება და იუსტინეს დანიშვნა სტრატეგოსად 175. – იოანე ლიბიელის თარეში ლაზიკის სოფლებში 176. – დროებითი ზავი ბიზანტიასა და ირანს შორის 179. – ჭანთა ტომის დამორჩილება 181. – ბიზანტიის ჯარის რაოდენობა 187.	
<b>საზას ანდერძი</b> . . . . .	188
<b>პეტრე პატრიკიოსი</b> . . . . .	190
იბერთა მეფე მითრიდატე 190. – საზავო მოლაპარაკება რომაელებსა და ირანელებს შორის 298 წელს. იბერიის დამოკიდებულება რომისა- გან 192.	
<b>იოანე ეპიფანელი</b> . . . . .	159
ავტორის გეგმა და მიზნები 196. – ომის განახლება იუსტინეს დროს 198. – მარტინეს ლაშქრობა აღმოსავლეთში 200.	
<b>მენანდრე პროტიქტორი</b> . . . . .	202
დროებითი ზავი ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის 209. – ავა- რების შესახებ 209. – ორმოცდაათწლიანი ზავი 210. – დავა სვანეთის შესახებ 213. – სვანეთის საკითხზე დავის გაგრძელება იუსტინე მეორის მეფობაში 228. – ბიზანტიელთა და თურქთა ურთიერთობანი 234. – უკმაყოფილება ბიზანტიურ ჯარში 237. – ბრძოლა პერსარმე- ნიასა და ალბანიაში 238. – ბიზანტიის ელჩები თურქეთში 242. – სა-	

ზავო მოლაპარაკება ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის 576 – 577 წლებში 243. – საომარი ოპერაციების განახლება 580 წელს 250.	
<b>თეოფანე ბიზანტიელი</b> . . . . .	252
თეოფანეს თხზულების მინაარსი 252. – ურთიერთობა თურქებთან 253. – აზრემუმის ჭიის კულტურა ბიზანტიაში 253. – სომეხთა და ქართველთა აჯანყება ირანის წინააღმდეგ 256.	
<b>იოანე მალალა</b> . . . . .	260
პონტოს პროვინცია ჭანიკე 262. – ჭანები 262. – გასპიის კარები 263. – ლაზთა მეფე წათი 263. – იბერთა მეფე ძამანაძი 268. – ირინელთა ლაშქრობა ლაზიკესა და პერსარმენიაში 268. – ფარანტიონის ოქროს მადნები 269. – საბირების გადმოსვლა კასპიის კარებით 270. – 532 წლის „საუკუნო“ ზავი 271.	
<b>სტეფანე ბიზანტიელი</b> . . . . .	272
<b>ევაგრი სქოლასტიკოსი</b> . . . . .	290
პეტრე იბერიელი 290. – პონტო, კავკასიონი და კოლხეთი 294. – კონსტანტინეს გაქრისტიანება და იბერია-ალბანია-კოლხეთი 295. – კაპადოკიის (კასპიის) კარები 296. – ქრისტიანობის განმტკიცება აფხაზებში და გუთებში 297. – ავარების წასვლა კავკასიიდან 298. – სომეხთა [და ქართველთა] განდგომა ირანისაგან 298.	
<b>დამატება: ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში</b> . . . . .	301
<b>სამიებლები</b> . . . . .	321

## წინასიტყვაობა.

წინამდებარე მესამე ტომი ჩვენი სერიისა („ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“), რომელიც შეიცავს VI საუკუნის მწერალთა ცნობებს, აგებულია იმავე გეგმით, როგორითაც გამოცემულია მეორე ტომი, ე. ი. ცნობები მოცემულია ჯერ ორიგინალის ენაზე, ხოლო შემდეგ დართული აქვს ქართული თარგმანი. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ **ზ ა ქ ა რ ი ა რ ე ტ ო რ ი ს** ნაშრომი, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა ბერძნულ დედანში და რომელიც ჩვენ, მისი ასურული თარგმანის ჩვენთვის მიუწვდომლობის გამო, გერმანული და ინგლისური თარგმანების მიხედვით დავამზადეთ (იხ. ქვემოთ გვ. 2).

რაც შეეხება შენიშვნებს, რომლებიც დართული აქვს ჩვენს გამოცემას უმეტესწილ სქოლიოების სახით, ხოლო ზოგჯერ ჩართული („სვანეთის საკითხი“, გვ. 203 – 208) ან დამატებული („ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში“, გვ. 301 – 320) ნარკვევების სახით, მათი დანიშნულებაა ერთი მხრით რეალური კომენტარიები წარმოადგინონ, ხოლო მეორე მხრით გაარკვიონ ზოგიერთი ტექსტუალური ან ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები, რომლებსაც აღძრავენ ჩვენი ტექსტები.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლის გარკვევა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ჩვენი ტექსტების გასაგებად, არის საკითხი იმ პუნქტების და, საზოგადოდ, გეოგრაფიული ადგილების ლოკალიზაციისა, რომლებიც მრავლად გვხვდება ჩვენს ტექსტებში. მრავალ გეოგრაფიულ პუნქტს დაკარგული აქვს დღეს ის თავისი ძველი სახელწოდება, რომლითაც ბიზანტიელი მწერლები იხსენიებენ მას, ხოლო ზოგიერთი დღესაც ძველი სახელწოდებით არის წარმოდგენილი; არის შემთხვევები, როდესაც ძველი და რომელიმე ახალი პუნქტის სახელწოდებათა გარეგნულ მსგავსებას შეცდომაში შეჰყავს მკვლევარი. – ყველა ეს საკითხი მოითხოვს გარკვევას და, როდესაც ამ საკითხების აღმძვრელი გეოგრაფიული ადგილები ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ, დანაშაული იქნებოდა ჩვენი მხრით გვერდი აგვევლო ამ საკითხებისათვის. უნივერსიტეტის რექტორის ამხ. კ. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ი ს დახმარებით ჩვენ საშუალება მოგვეცა გავმგზავრებულიყავით ძველი ლაზეთის ზოგიერთ პუნქტში და ადგილობრივ ჩაგვეტარებინა კვლევა, რამაც შესაძლებელი გახადა,

როგორც ამაში მკითხველი დარწმუნდება ბოლოში დართული დამატების („ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში“) წაკითხვით, ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხის გარკვევა და ზოგიერთი ახალი საკითხის წამოყენება \*.

ჩვენი განმარტებები მხოლოდ ზოგიერთ საკითხებს არკვევენ, ზოგიერთების შესახებ კი მხოლოდ მიუთითებენ. მრავალი გეოგრაფიული ადგილია ჯერ კიდევ გასარკვევი: ასე, მაგალითად, თითქმის ხელუხლებელია აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე პუნქტები (ბუქლოოსი, ძახარი), მხოლოდ მითითებულია ონოგურისის საკითხის გადაწყვეტის ერთ ვარიანტზე (გვ. 59 – 62) და სხვა. ყველა ეს საკითხი სპეციალურ კვლევას საჭიროებს და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამეცნიერო ორგანიზაციების დახმარებით შევსძლებთ სათანადო სამუშაოების ჩატარებას.

### ს. ყაუხჩიშვილი.

ტფილისი  
1936 წ. 1 ივნისი.

---

\*) ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ ჩვენი წიგნი დაგვიანებით გამოდის. წიგნის ბეჭდვა დავიწყეთ 1935 წლის იანვარში და იმავე წლის გაზაფხულზე ძირითადი ნაწილი, ტექსტები, თარგმანი და შენიშვნები, დაბეჭდილი იყო, ხოლო ბოლო ნაწილის ბეჭდვა შევაჩერეთ, რათა 1935 წლის ზაფხულში ჩასატარებელი ექსპედიციების მასალებით შეგვევსო „დამატება“, დაგვეზადებინა გეგმები და სურათები და დაგვერთო წიგნისათვის. ამავე გარემოებით აიხსნება ის, რომ წიგნში (გარდა ბოლო ნაწილისა) ყველგან „ირანის“ ნაცვლად ნახმარია ძველი სახელწოდება „სპარსეთი“.



## ზაქარია რეტორი

ზაქარია დაიბადა მაიუმში. მისი მამის სახლი პეტრე იბერიელის მონასტრის მახლობლად იყო. 482 – 489 წ.წ. მახლობლად ის სწავლობდა ალექსანდრიაში. აქიდან, შესაძლებელია 489 წელს, ის გაემართა ბეირუთში სამართლის მეცნიერების შესასწავლად. ჯერ კიდევ ალექსანდრიაში ჩანდა ის, როგორც აქტიური ქრისტიანი: მან ცხოველი მონაწილეობა მიიღო ღმერთთა კერპების დამსხვრევაში მანუტინში. პეტრე იბერიელის წრემ მასზე დიდი გავლენა მოახდინა, ისე რომ ბერად აღკვეცასაც ფიქრობდა. ბეირუთში სწავლის დამთავრების შემდეგ ის სამშობლოში დაბრუნდა. ზენონის მეფობაში (741 – 491) იყო, რომ ის კონსტანტინეპოლში გადასახლდა და ვექილობა დაიწყო. 515 წელს დაწერილს „სევერეს ცხოვრებაში“ ჯერ კიდევ არ არის აღნიშნული მისი გაბერისკაცება. 527 წელსაც, როდესაც ის „მანიქველთა წინააღმდეგ“ სწერს, ზაქარია კიდევ ერისკაცია: ამ შრომის შესავალში ის მოხსენებელია როგორც *σχιλαστικός και συήγυρος τῆς ἀγορᾶς τῆς μεγίστης τῶν πᾶρχων* („უზენაესი სასამართლოს ვექილი“). მაგრამ 536 წელს ის, როგორც მიტილენის ეპისკოპოზი, მონაწილეობასღებულობს კონსტანტინეპოლის სინოდში. ამის შემდეგ ცნობები ზაქარიას შესახებ აღარ არის. 553 წლის სინოდში მიტილენის წარმომადგენლად უკვე მიტროპოლიტი პალადია.

ზაქარიას შრომებია:

1) *De mundi opificio contra philosophos disputatio: Migne PG 85,1011 – 1144.*

2) პეტრე იბერიელის ცხოვრება. დაკარგულია. ეს არ არის Raabe-ს მიერ გამოცემული „ცხოვრების“ იდენტური <sup>1</sup>.

3) მამა ესაია ასკეტის ცხოვრება.

4) სევერეს ცხოვრება (Spanuth-ის გამოცემა), შედგენილია 512 – 518 წლებში, კონსტანტინეპოლში.

5) მანიქველთა წინააღმდეგ (*Pitra, Analecta sacra* 5 [1888], 67 – 70).

6) საეკლესიო ისტორია.

<sup>1</sup>) შდ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია I<sup>3</sup>, 198 – 203.  
ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა III

ზაქარია რეტორის სახელით გამოცემული «საეკლესიო ისტორია» მთლიანად როდი ეკუთვნის მას. მისი გერმანული თარგმანის გამომცემელთა მთავარი ღირსება სწორედ ის არის, რომ მათ ზედმიწევნით გამოწვლილეს, თუ რა უნდა მიეწეროს მიტილენის ეპისკოპოსს. ზაქარიას «ისტორია» დაწერილი იყო ბერძნულად და მისი შრომა – ბერძნულ დედანში დაკარგული დაცულია ასურული თარგმანისა თუ განვრცობის სახით, რომელიც შემონახულია Historia miscella-ს სახელით ცნობილ კომპილაციაში. უსახელო კომპილატორი VI წიგნამდე ზაქარიათი სარგებლობს, ხოლო VI წიგნიდან ის განსაკუთრებით სხვა მასალებით სარგებლობს. მხოლოდ III – VI წიგნებში უნდა ვეძიოთ ზაქარიას შრომა (იხ. L. Petit-ის რეცენზია: *BZ* 9 |1900|, 527 შმდ.). ეს კომპილაცია: შედგენილია 554 – 555 წლებში. თვით კომპილატორი ერთ ადგილას ამბობს: «... დღემდე, იუსტინიანეს მეფობის მე-28 წლამდე»-ო (იხ. ქვემოთ გვ. 17); იუსტინიანე კი გამეფდა 527 წელს.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც ეხება ზაქარიას «ისტორიის» ქვემოთ მოყვანილი ადგილები, ეს – პეტრე ქართველის მოღვაწეობაა. ამ საკითხზე ჩვენამდე მოღწეულა ორი ძეგლი: პეტრეს ასურული (R. R a a b e, Petrus der Iberer, Lpz. 1895) და ქართული (ნ. მ ა რ რ ი, ცხოვრება პეტრე ივერისა, СІІВ 1896) «ცხოვრებანი». ქვემოთ მოყვანილი მასალები ზაქარიას «ისტორიისა» დაარწმუნებს მკითხველს, რომ ამ სამივე თხზულების წყარო ერთი და იგივე უნდა იყოს.

ზაქარიას «ისტორიით» ჩვენ შეგვიძლია ახლა ვისარგებლოთ გერმანული თარგმანის შემწეობით (Die sogenannte Kirchengeschichte des Zacharias Rhetor in deutscher Übersetzung, herausgegeben von K. A h r e n s u. G. K r ü g e r Lpz. 1899; XIV, 42 + 417) და ინგლისური თარგმანით (The syriac Chronicle known as that of Zachariah of Mitylene Translated into English by F.T. H a m i l t o n and E. W. B r o o k s. London, Menhuen.1899).

ქვემოთ მოყვანილია ადგილები Ahrens-Krüger-ის გამოცემის მიხედვით (თარგმანი შესრულებულია Land-ის ასურული გამოცემის მიხედვით: Anecdota Syriaca, collegt edidit explicuit I. P. N. Land. III, 166, sqq. Lugduni Batavorum 1870). გერმანულიდან გადმოთარგმნილი ქართული ტექსტი შედარებულია ინგლისურ თარგმნს <sup>1</sup>.

<sup>1</sup>) როგორც გერმანული ისე ინგლისური გამოცემები ზაქარია რეტორისა გამოყენებულია ქვემოთ შენიშვნებში მოცემული განმარტებებისათვის.

### პეტრე ქართველი.

დასაწყისი მესამე წიგნისა; მოთხრობილია მორწმუნე ადამიანის ზაქარიას თხზულების მიხედვით: ზაქარიამ სამეფო სამსახურში მყოფი ერთი ჯარისკაცის ევპრაქსის მიმართ გაგზავნილ მიმართვაში ბერძნულად აღწერა ის, რაც მოხდა 567 ეპისკოპოზისაგან <sup>1</sup> შემდგარ სინოდზე, რომელიც შეიკრიბა ქალკედონში თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ, მარკიანეს დროს, ბერძენთა წელთაღრიცხვით 764 წელს <sup>2</sup>, ლეონ რომაელის <sup>3</sup> მოთხოვნით და მის მიერ კეისრისა <sup>4</sup> და მის მეუღლე პულქერიასადმი მიმართული წერილის მიზეზით და რომელმაც დიოსკორე ალექსანდრიელი <sup>5</sup> თრაკიის განგრაში გააძევა, ხოლო მის ადგილას პროტერი დააყენა და დაამტკიცა ის წერილი, რომელსაც ლეონის ტომოსი ეწოდება (Land 116 – 117; Ahrens-kruger 1 – 14).

მეოთხე თავი (ამ მესამე წიგნისა) მოგვითხრობს იბერთა მეფის შვილის პეტრე მძევლის შესახებ, რომელიც ღაზას მცხოვრებლებმა დააკავეს და თეოდოსი იერუსალიმელს მიჰგვარეს; ამან ეს საკვირველი კაცი მათ ეპისკოპოზად დააყენა (A.-K. 2,6 – 12).

მეშვიდე თავი მოგვითხრობს, თუ როგორ გამოეცხადა ქრისტე ღაზელ ეპისკოპოზს პეტრე იბერიელს და მას უთხრა, რათა ისიც თავისი ნებით გაძევებულიყო და დევნა განეცადა (Land 117; A.-K. 2, 19 – 22).

მეოთხე თავი მოგვითხრობს პეტრე იბერიელის შესახებ, თუ როგორ შეიპყრეს ის ღაზას მცხოვრებლებმა და თეოდოსის <sup>6</sup>

<sup>1</sup>) ქალკედონის კრების მონაწილეთა რიცხვი სხვადასხვა საისტორიო წყაროებში სხვადასხვაა მოცემული (520, 557, 600, 630, 634, 636, 647, 654, 700), რიცხვი 567 მხოლოდ ზაქარიას აქვს.

<sup>2</sup>) ბერძნული წელთაღრიცხვა ანუ სელევკიდების ერა ითვლებოდა 312 – 311 წლიდან ქრ. წ. 312 წ. მოხდა ღაზას ბრძოლა, რომელშიც სელევკემ პტოლემეს დახმარებით დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგის ანტიგონეს შვილი, დემეტრე პოლიორკეტე, ხოლო 311 წ. კასანდრეს ბრძანებით მოკლულ იქმნა ალექსანდრე IV, ალექსანდრე დიდის შვილიშვილი (ამიტომ ამ ერას ალექსანდრეს ერასაც ეძახიან). ასე რომ 764 წელი ბერძნული წელთაღრიცხვით უდრის 452 – 453 წელს. ეს თარიღი კი ზუსტად არ განსაზღვრავს ქალკედონის კრების დროს: მეოთხე მსოფლიო კრება ქალკედონში შეიკრიბა 451 წელს (8 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე გაგრძელდა).

<sup>3</sup>) პაპი ლეონ I. 440 – 461 წ.წ.

<sup>4</sup>) ი. მარკიანე კეისრისა, რომელიც 450 – 457 წლებში მეფობდა.

<sup>5</sup>) დიოსკორე, ალექსანდრიელი პატრიარქი (444 – 551 წ.წ.), რომელიც გადაყენებულ იქმნა 13 ოქტომბერს 451 წელს და რომლის ადგილას იმავე წლის ნოემბრიდან დააყენეს პროტერი.

<sup>6</sup>) თეოდოსი – იერუსალიმელი ეპისკოპოზი.

მიჰგვარეს და როგორ შეიქმნა ის ეპისკოპოზად. – ამათ შორის იყო აგრეთვე პეტრე იბერიელი, მთელ მსოფლიოში საკვირველად განთქმული კაცი, მეფის შვილი, რომელიც მძევლად გადაეცა თეოდოსის<sup>1</sup>; ამას და მის მეუღლეს ევდოკიას ძალიან შეუყვარდათ პეტრე მისი საუცხოვო თვისებების გამო, აღზარდეს სასახლეში და დააყენეს სამეფო საჯინიბოს გამგედ<sup>2</sup>. მაგრამ ის გადადგა და მიეცა ქრისტეს სამსახურს, ისიც და მორწმუნე იოანეც, მისი ნათლია და მამა წყლითა და სულითა. და, აი, ისინი დაწინაურდნენ და ღმერთმა მათი საშუალებით მოიღო ნიშნები კონსტანტინეპოლში. იქიდან ისინი გაიქცენ და კვლავ შეიყარნენ პალესტინის უდაბნოში, შეიყვარეს მონაზონის ცხოვრება და მიეცნენ მას. და თუმცა მათ სურდათ შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ, მაგრამ ფრიად განთქმულნი შეიქმნენ და ახდენდნენ სასწაულებს, ვითარცა მოციქულნი. და ერთი ადგილიდან მეორეში რომ დადიოდნენ, მოვიდნენ ისინი ღაზასა და მაიუმს; და გამოვიდნენ კაცები და ქალები და ყოველი ჰასაკის ადამიანები. შეიპყრეს პეტრე, მიჰგვარეს იერუსალიმში თეოდოსის და სთხოვდნენ მას ეპისკოპოზად დაგვიყენეო. პეტრე კი მრავალნაირ ბრალდებებს უგონებდა თავის თავს და უარზე იდგა; მაგრამ თეოდოსიმ ხელნი დაასხნა მას მისი სურვილის წინააღმდეგ და აკურთხა იგი, ვინაიდან ის იცნობდა ამ კაცს; ძალიან რომ გაჯავრდა პეტრე, ჰერეტიკოსად გამოაცხადა თავი; ცოტა აცალა თეოდოსიმ და უთხრა: «ჩემსა და შენს შესახებ მსჯავრი დადებული იქნება ქრისტეს სამსჯავროს წინაშეო». მაშინ იმან უკან წაიღო თავისი სიტყვა და თქვა: «თუმცა ჰერეტიკოსი არა ვარ, მაგრამ ცოდვილი კი ვარო». და თეოდოსიმ, რომელიც ამ კაცს იცნობდა, აკურთხა იგი ღაზას მცხოვრებთა<sup>3</sup> მოძღვრად.

<sup>1</sup>) თეოდოსი II- ბიზანტიის კეისარი (408 – 450). მძევლადვე იხსენიებს პეტრეს ასურული ცხოვრებაც (რ ა ა ბ ე 23) და ქართულიც (ნ. მ ა რ რ ი, ცხ. პეტრე ივერისა 63 და 6).

<sup>2</sup>) კრიუგერის აზრით (Kirchengeschichte გვ. 307) არ არის მართალი რ ა ა ბ ე ( Petrus der Iberer, 5), როდესაც ის აქედან ასკვნის, რომ „პეტრე კონსტანტინეპოლის სამეფო კარზე დანიშნულ იქმნა ცხენოსანთა სამეფო რაზმის უფროსად“.

<sup>3</sup>) ანონიმური ბიოგრაფიის მიხედვით (რ ა ა ბ ე 54 შდდ.) პეტრე მაიუმის ეპისკოპოზი იყო. ე ვ ა გ რ ე ც (წ. 2,5) ასე სწერს: «პეტრე იბერიელი, რომელსაც მიენდო საეპისკოპოზო საჭე ეგრეთწოდებული მაიუმისა, ღაზელთა ქალაქის მახლობლად რომ არის». ჰ. გ ე ლ ც ე რ ი ამ ადგილას ხელნაწერის შეცდომას გულისხმობს და ფიქრობს, რომ ეს ადგილი უნდა იკითხებოდეს ასე: «აკურთხა იგი ღაზას [მახლობლად მდებარე მაიუმის] მცხოვრებთა მოძღვრად». მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზაქარიას სხვაგანაც (Vita Severi 20, 30 შდ.) პეტრეს უწოდებს ღაზას ეპისკოპოსს (K r ü g e r, Kirchengeschichte... 307 – 308).

სხვა საუცხოვო რამეც მოხდა ამ კაცის შესახებ, რაზედაც მე ახლა აღარ ვილაპარაკებ, რათა მოთხრობა არ გამიგრძელდეს <sup>1</sup>.

მეხუთე თავი მოგვითხრობს თეოდოსი იერუსალიმელის შესახებ, რომელიც გაიქცა კეისრის მუქარათა გამო, და იუბენალის შესახებ, რომელიც დაბრუნდა რომაელთა ჯარითურთ და რომლის შემოსვლის დროს მრავალი იქმნა მოკლული. – თეოდოსი რომ ასე წარმატებით აკეთებდა ამ საქმეებს, მარკიანე კეისრის ყურამდე ხმა მივიდა იმის შესახებ, რასაც ის აკეთებდა; და იუბენალი <sup>2</sup> უკან დაბრუნდა, მას მოჰყვებოდნენ კომისი დოროთე და ჯარი, რათა შეეპყრა და შეებორკა თეოდოსი და გადაეყენებინა ყველა ის ეპისკოპოზი, რომელნიც მან თავის სამწყსოში დააყენა, და რათა დაესაჯა მონაზონები და ხალხი და დევნა ეყო მათთვის იმ თავხედობისა და შეუპოვრობისათვის, რომ თეოდოსი იერუსალიმის ეპისკოპოზად დააყენეს. მხოლოდ ღაზელ ეპისკოპოზ პეტრე იბერიელისათვის, დედოფლის სურვილის თანახმად, არ უნდა ეხლოთ ხელი <sup>3</sup>, კიდევაც რომ არ ნდომოდა დანარჩენ ეპისკოპოზებთან რაიმე ერთობა ჰქონოდა (L a n d 126 – 127 A.-K. 12, 19 – 13, 31).

მეშვიდე თავი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ჩვენი უფალი გამოეცხადა ღაზელ ეპისკოპოსს პეტრე იბერიელს და უთხრა მას: დევნილებთან ერთად უნდა ილტვოდეო. – მაგრამ ამბობენ, რომ სახელგანთქმული პეტრე ხელუხლებელი დარჩა, კეისრის ბრძანებისა და დედოფლის მიერ გამოჩენილი მზრუნველობის წყალობით ის არავის გაუძევებია. მაგრამ მას ერთხელ უფალი გამოეცხადა რომელმაც გაჯავრებით უთხრა: «როგორ, პეტრე! მე ჩემი მორწმუნე მონების სახით მდევნიან და შენ მშვიდად ზიხარ?» პეტრეც, აღსავსე სინანულითა, დაემორჩილა, ადგა და დასტოვა ღაზა, შეუერთდა დევნილებს და გაიხიზნა <sup>4</sup> (L a n d 128; A.-K. 14,29 – 15,5).

მეათე თავი მოგვითხრობს იოანე რეტორის მწვალებლობის შესახებ ალექსანდრიაში, თუ რაში მდგომარეობდა ის და როგორ იქმნა დაწყევლილი. – იოანე იყო ალექსანდრიელი სოფისტის პალლა-

<sup>1</sup>) ეს სიტყვები ამტკიცებენ, რომ ჩვენ თხზულებაში მოთხრობილი ცნობები პეტრე ქართველის შესახებ წარმოადგენენ ექსცერპტებს იმავე ავტორის მიერ დაწერილ „პეტრეს ბიოგრაფიიდან“.

<sup>2</sup>) იუბენალი – იერუსალიმის ეპისკოპოზი.

<sup>3</sup>) ასეთი განკარგულების შესახებ არაფერია ნათქვამი ანონიმურ ბიოგრაფიაში (რ ა ა ბ ე ს მიერ გამოცემულში).

<sup>4</sup>) ამ თავში მოხსენებული „ამბავი არ არის ანონიმურ ბიოგრაფიაში. ის მოიპოვება მეორე წყაროში, ე. წ. „პლეროფორიებში“ (F. N a u, Les Plérophories de Jean, Evêque de Maiouma: *Revue de l’Orient Chrétien*, 1898, გვ. 367 შმს.)

დის მიმდევარი... (და სწერდა ბევრ წიგნებს). და რადგან ის შიშობდა, რომ ის, რასაც სწერდა, ლანძღვის საგანი გახდებოდა, ამიტომ ის სწერდა თავის წიგნებს არა თავისი საკუთარი სახელით, არამედ ხან იერუსალიმელი ეპისკოპოზის თეოდოსის სახელს აწერდა მათ, ხან პეტრე იბერიელისას, რათა მორწმუნენი შეცდომაში შეეყვანა და ეს წიგნები მიეღებინებინა. მაგრამ ამბობენ, რომ ერთხელ პეტრე იბერიელი ერთ მონასტერში წააწყდა ერთ ასეთ წიგნს, რომელიც მისი სახელით იყო დაწერილი, და, როდესაც მან ის აიღო და წაიკითხა, გაჯავრდა და დასწყევლა ის, ვისაც ეს წიგნი დაეწერა. და არა მხოლოდ იქ, არამედ ალექსანდრიაშიც, პალესტინაშიც და სირიაშიც სწყევლიდნენ ის (პეტრე იბერიელი) და თეოდოსი ამ კაცის წიგნებს<sup>1</sup> (L a n d 130 – 131; A.-K. 17.5 – 18,15).

**მეთხე წიგნის** პირველი თავი, რომელიც მოგვითხრობს ტიმოთე დიდის კურთხევის შესახებ, Αἰλισιος რომ ეწოდებოდა, და იმის შესახებ, რაც (ამ დროს) მოხდა. – (მარკიანეს გარდაცვალების მიმდევ ალექსანდრიის მცხოვრებლები, რომლებიც ეპისკოპოზ პროტერის წინააღმდეგნი იყვნენ, გადასწყვეტენ ტიმოთე დააყენონ იპისკოპოზად). ალექსანდრიის მცხოვრებლებმა და მონაზონებმა შეიპყრეს ტიმოთე და შეიყვანეს იგი დიდს ეკლესიაში, რომელსაც „კეისრისა“ (Καίσαριος) ეწოდება და ემბდენ სამს ეპისკოპოზს, თანახმად კანონთა დებულებისა (τάρξις), მისი კურთხევისათვის<sup>2</sup>; და ვინაიდან ორი ეგვიპტელი იქ იყო, ის-და დარჩენოდათ, რომ კიდევ ერთი უკანასკნელი ეპოვათ. როდესაც ამის ძიებაში იყვნენ, ზოგიერთებმა ხალხიდან (δῆμος) ცნობა მოიტანეს, რომ პეტრე იბერიელი, პალესტინიდან გამოქცეული, იმ დროს იქ, ალექსანდრიაში, იმყოფებოდა. მაშინ ისინი სასწრაფოდ გაექანენ მისკენ, მოიტაცეს ეს კაცი, მხრებზე შეისვეს და ისე მოიყვანეს, რომ ის მიწას არც კი მიჰკარებია. და როდესაც მათ იგი მოიყვანეს, მას მოესმა ხმა, მსგავსად იმ ხმისა, რომელიც მოესმა ფილიპეს დედოფალ კანდაკეს მსახურის (საჭურისის) შესახებ. და სამღვდელოების, მონაზონებისა და ქალაქის მორწმუნე მცხოვრებთა საერთო აზრის მიხედ-

<sup>1</sup>) აქ მოხსენებული იოანეს შესახებ სხვაგან არსად ცნობები არ მოიპოვება.

<sup>2</sup>) ანონიმური ბიოგრაფიის მიხედვით (რ ა ა ბ ე 64 შდდ.) ტიმოთე აკურთხა მხოლოდ ორმა ეპისკოპოზმა: ევსევი პელუზიელმა და პეტრე იბერიელმა. მაგრამ ამ ბიოგრაფიის ხელნაწერის ამიაზე ერთი შენიშვნა: «სხვა მოთხრობაში, რომელიც პეტრე იბერიელს ეხება, ჩვენ მოხსენებულად ვიპოვეთ, რომ ტიმოთე სამმა ეპისკოპოზმა აკურთხა» (რ ა ა ბ ე 66 შენ). ეს სხვა მოთხრობა უნდა იყოს ზ ა ქ ა რ ი ა ს მიერ დაწერილი ბიოგრაფია პეტრე იბერიელისა. ე ვ ა გ რ ე ც (2,8), რომელიც საერთოდ ზაქარიას თხრობას მისდევს, ამ შემთხვევაში ანონიმური ბიოგრაფიის ცნობას მისდევს (კ რ ი უ გ ე რ ი 311 – 312).

ვით აკურთხეს ის (ტიმოთე) ძალით, მისი სურვილის წინააღმდეგ, და დასვეს ის მარკოზის ტახტზე (L a n d 135; A.-K. 22,27 – 23,24).

**მეხუთე წიგნი.** ტიმოთე, რომელიც ექსორიობაში იყო განგრასა და ქერსონში, 475 წელს დაბრუნდა ალექსანდრიაში, სადაც ის მცხოვრებლებმა აღფრთოვანებით მიიღეს. მაგრამ ის პირები, რომელთაც ღვთიური სიყვარულის მნიშვნელობისა არაფერი გაეგებოდათ, გადაუდგენ მას მისი გულჩვილობისა და კაცთმოყვარეობის გამო იმათ მიმართ, რომელთაც მოინანიეს, (ვინაიდან) ის მათ სხვა არაფერს სთხოვდა გარდა იმისა, რომ სინოდი <sup>1</sup> და ტომოსი <sup>2</sup> დაეგმოთ და ჭემმარიტი სარწმუნოება აღეარებინათ... ამათი მოთავე იყო თეოდოტე, იოპპეს ეპისკოპოზი, რომელიც ამის წინ თეოდოსიმ აკურთხა და რომელიც დიდი ხანია შურით იყო აღვსილი, რადგან ისიც არ იქმნა დაბრუნებული თავის კათედრაზე და მიღებული, და თუმცა სახელოვანი პეტრე იბერიელიც არ <sup>3</sup> დაბრუნებულა ღაზაში, მაგრამ მას ასეთი აზრები კი არ ჰქონია, არამედ ის სიყვარულით მიეკედლა ამ ადამიანს და დარწმუნებული იყო, რომ მისი საქციელი და მისი საქმეები ღმრთის ნებას ეთანხმებოდენ (L a n d 172; A.-K. 66, 10 – 25).

მეხუთე წიგნის მეცხრე თავი, სქიზმატიკოსთა (ἀπιστοι) შესახებ. – საქმე რომ ასე მიდიოდა, ზოგიერთი დაუდგრომელი პირი აღშფოთებული იყო, რადგან ამ მიმართვაშიც, კეისრის ჰენოტიკონშიც, არ იყო გარკვეული შეჩვენება იმისა, რაც დამატებით იქმნა განხილული ქალკედონში. მიუხედავად ამისა იმათ კავშირი ჰქონდათ პეტრესთან, რადგან იმან დაიცვა თავი იმათ წინაშე და, განსაკუთრებით, რადგან მან უთხრა მათ: «კეისარი ჩვენ უარს არ გვიყოფს არაფერზე, რასაც ჩვენ ვთხოვთ»... ამრიგად, ყველას ერთობა ჰქონდათ პეტრესთან, აგრეთვე პეტრე იბერიელსაც, უაღრესად სახელოვან კაცს, ესაია მონაზონსაც, დაყუდებულ (πρακτικός) კაცს, და დანარჩენ პალესტინელებსაც... (L a n d 182 – 183; A.-K. 78,28 28 – 79,29).

**მეექვსე წიგნი.** მეექვსე წიგნი, ზაქარიას იმავე თხზულებიდან; იქ შვიდი თავის. პირველი თავი მოგვითხრობს იმათ შესახებ, ვინც გა-

<sup>1</sup>) იგულისხმება ქალკედონის კრება.

<sup>2</sup>) პაპი ლეონ I-ის ტომოსი, რომელიც გამოცემულ იქმნა 449 წ. (იხ. ქვევით გვ. 8)

<sup>3</sup>) ანონიმური ბიოგრაფია (რ ა ა ბ ე. 75 შდ.) სწორედ პირიქით მოგვითხრობს, სახელდობრ, რომ პეტრე ალექსანდრიაში დაყოვნების შემდეგ პალესტინის მხარეებში დაბრუნდა და, როდესაც ის ქალაქ ასკალონთან ცხოვრობდა, მოხდა ნეტარი ტიმოთეს დაბრუნება ექსორიობიდან. კრიუგერის აზრით აქ შეცდომით უნდა იყოს ტექსტში სიტყვა «არ» შეპარული (K r ü g e r, Kirchengeschichte... 325).

დაუდგა (ἀπιστοῦμαι) პეტრეს (ალექსანდრიის პატრიარქს), რომელმაც ჰენოტიკონი მიიღო... მესამეში მოთხრობილია პეტრე იბერიელისა და ესაია მონაზონის შესახებ.

პირველი თავი მეექვსე წიგნისა მოგვითხრობს იმათ შესახებ, რომელთაც ხელი აიღეს პეტრესთან (ალექსანდრიის პატრიარქთან) ურთიერთობაზე, ვინაიდან ჰენოტიკონში და პეტრესადმი მიმართულ წერილებში მღვდელმთავრებისა არ იყო გარკვეული დაგმობა ქალკედონის სინოდისა და ლეონის ტომოსისა<sup>1</sup>. – კეისრის ჰენოტიკონის<sup>2</sup> გარშემო რომ საქმეები ასე იყო და სამი თუ ოთხი მღვდელმთავარი, სახელდობრ ეფესოსი, იერუსალიმისა, ალექსანდრიისა და ანტიოქიისა, ისევე როგორც მათი ხელქვეითი ეპისკოპოსები, შეთანხმდნ და ერთმანეთს მხარი მისცეს, ზენონის ჰენოტიკონის აზრისდა მიხედვით მიიღეს იგი და ხელი მოაწერეს, – ალექსანდრიის მთავრები იულიანე და იოანე, დიაკვნები ჰელლადი (პალლადი?) და სერაფიონი, იქაური კრებულის მხცოვანი კაცები, შემდეგ ანტინოეს ეპისკოპოზი თეოდორე, და იოანე, და ერთი კიდევ სხვა პირი ეგვიპტიდან, და არქიმანდრიტი ანდრია უფროსი, სოფისტი პავლე და ზოგიერთი სხვა მონაზონებიც გამოეთიშნენ პეტრე ალექსანდრიელს, ვინაიდან პეტრესადმი მიმართულ წერილებში მღვდელმთავრებისა არ იყო ცხადი დაგმობა სინოდისა და ტომოსისა. და თანდათან მრავლდებოდნ სქიმატიკოსები (ἀπιστοῦμαι) და მეტად მრავალრიცხოვანნი ხდებოდნ.

<sup>1</sup>) ლეონის „ტომოსის“ სახელით ცნობილია ერთ-ერთი წერილი (ep. 28) ლეონ პაპისა, რომელიც მან ეფესოს ე. წ. «ყაჩაღური კრების» წინ 449 წლის 13 ივნისს გაუგზავნა კონსტანტინეპოლის პატრიარქს ფლაზიანეს და რომელშიაც ის გამოხატავს მონოფიზიტთა მეთაურის ევტიქის მომღვრებას. ამ წერილის შესახებ ჩვენი კომპილატორი ამბობს: «ის შეიცავს ბევრ დოგმატურ მუხლს, რომლებსაც მასწავლებლები გამოზენ და რომლებიც თავის დროზე განაქიქეს დიოსკორემ და მისმა მომხრეებმა, აგრეთვე ტიმოთე დიდმა, მისმა თანამოაზრეებმა და სხვებმა (A.-K. 25; RE XII [1925], Sp. 1966).

<sup>2</sup>) ჰენოტიკონი ეწოდება კეისარ ზენონის (474 – 491) მიერ კონსტანტინეპოლის პატრიარქ აკაკის წინადადებით 482 წელს გამოცემულს «ერთიანობის» აქტს (ἕνωτικόν), რომლითაც კეისარს სურდა ბოლო მოეღო ორთოდოქსალური და მონოფიზიტური პარტიების ურთიერთი ბრძოლისათვის, ამ აქტის მიზანი იყო რამენაირად გაეერთიანებინა მოწინააღმდეგეთა მომღვრებანი ქრისტეს ორი ბუნების შესახებ, ზოგიერთ მუხლში დაეთმო მონოფიზიტებისათვის და ამ გზით შეენარჩუნებინა იმპერიისათვის საუკეთესო პროვინციები (ეგვიპტე, სირია, პალესტინა, მცირე აზია), რომლებიც თითქმის მთლიანად მონოფიზიტურ მომღვრებას იზიარებდნ (ჰენოტიკონის ტექსტი დაცულია ბერძნულად ევაგრეს «ისტორიაში» 3,14, ხოლო სირიულად ზაქარიას «ისტორიაში» A. K. 75 – 78). ზენონის ამ კომპრომისულმა აქტმა ვერც ერთი მხარე ვერ დააკმაყოფილა.



ეს რომ გაიგო აკაკიმ სამეფო ქალაქში, წერილობით მოსთხოვა მათ მიჰკვდილებოდენ. მაგრამ პეტრემ, თავისი მხრით, იმ სიტყვაში (πρὸς Φάωησις), რომლითაც მან თავისმართლების მიზნით ხალხს მიმართა, შეურაცხყოფა მიაყენა სინოდს. დასასრულ, როდესაც აკაკიმ ეს გაიგო, გაგზავნა ერთი თავისი მთავართაგანი, რათა გაეგოთ პეტრეს გულწრფელობისა და რწმენის შესახებ და ქალაქის მსაჯულის (ἐκδικος) წინაშე მოხდა გამოძიება (πράξις) და გამოარკვეეს, რომ სინოდი აშკარად არ ყოფილა დაგმობილი პეტრეს მიერ. ეს რომ გამოქვეყნდა, ბევრმა საბაბი იპოვა და, რადგან სქიზმატიკოსმა არქიმანდრიტმა და ეპისკოპოზმა მისგან პასუხისგება მოითხოვეს, დანიშნულ იქნენ პეტრე იბერიელი, ღაზას ეპისკოპოზი, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა<sup>1</sup>, და ერთი მონაზონი, რომელსაც „მექოთნე“ ეწოდებოდა, რათა მათ გამოეკვლიათ მასალები და შეემოწმებინათ. და როდესაც ისინი მონაზონთა კრებულთან ერთად აწარმოებდენ შემოწმებას, გამოარჩიეს ოთხი (ადგილი) პეტრეს ნალაპარაკევიდან სარწმუნოების შესახებ და უთხრეს მას: «თუ შენ ამათ ეთანხმები, ხელი მოაწერეო». იმანაც მოაწერა ხელი (L a n d 188 –189; A. K. 85, 27 – 87, 18).

მეორე თავი მეექვსე წიგნის მოგვითხრობს ნეფალიოსის შესახებ, რომელიც კეისართან წავიდა და პეტრეს (ალექსანდრიელს) უჩიოდა, მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ კოზმა სპათარი გაგზავნილი იქმნა, და იმის შესახებ, რაც მისი ჩასვლისას მოხდა. – (კოზმამ მოუტანა პეტრე ალექსანდრიელს კეისრისაგან მუქარის წერილი, რამაც დიდი არევდარევა გამოიწვია მცხოვრებლებში, ისე რომ ძლივს იქმნა აცილიბული აჯანყება (στάσις).

მესამე თავი მოგვითხრობს, რომ, როდესაც კოზმა კეისართან უკან ბრუნდებოდა, ის პალესტინაზე წამოვიდა, რათა თან წაეყვანა, თანახმად კეისრის ბრძანებისა, პეტრე იბერიელი და ესაია მონაზონი. – როდესაც კოზმა უკან ბრუნდებოდა, ის პალესტინაზე წამოვიდა და ეძებდა სახელოვან პეტრეს და დაუცხრომელ (πρᾶκτικός) ესაია მონაზონს. მაგრამ პეტრე მან ვერ იპოვა: ის მის მოსვლამდე გამქრალიყო, რადგან წინასწარ გაეგო<sup>2</sup>. ხოლო ესაია ღმერთს ევედრებოდა, რომ რამე ავადმყოფობა შეეყოდა, რათა არ გამოსულიყო ისე თითქოს ის – თუ სამეფო ქალაქში მოხვდებოდა – მდიდარ ხალხს ელაქუცება (L a n d 190 – 192; A.-K. 87, 30 – 90, 11).

<sup>1</sup>) ანონიმურ ბიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თითქოს პეტრე ქართველი ხელახლა მოსულიყოს ეგვიპტეში.

<sup>2</sup>) ამ ეპიზოდის გადმოცემაში ზაქარია რეტორს (აქაც და «ესაია ასკეტის

ეს მეექვსე და წინა მეხუთე წიგნები მოკლედ მოჭრილი სიტყვით არის გადმოთარგმნილი სირიელი მკითხველისათვის ბერძნული თხზულებიდან სწავლული ზაქარიასი, რომელსაც აქამდე დაწერილი აქვს ვრცლად; ბერძნებს ხომ სჩვევიათ გაზვიადებულად (πλάτος) წერა; და ამ წიგნებში აღწერილია ჩვიდმეტი წლის შემცველი ხანა, ისიც მხოლოდ თვითმპყრობელ (αὐτοκράταρ) ზენონის ცხოვრებიდან (L a n d 200; A.-K. 99).

[ესაია ასკიტი]<sup>1</sup>. წინათ მოხსენებულ მოთხრობას მე დავუმატე ესაია, მეორე წინასწარმეტყველი, ჩვენი თანამედროვე, რომელიც რწმენაში და მართლმორწმუნეობაში და აგრეთვე თავის ქცევაში ყოველთვის იყო იმ სახელოვან მღვდელმთავართა, პეტრე (ი ბ ე რ ი ე-ლ ი ს ა) და თეოდორეს თანამოაზრე... ეს სამი ნეტარი ადამიანი ერთსა და იმავე დროს ცხოვრობდა: ნეტარი პეტრე, ის თეოდორე და მამა ესაია. ეს ისტორიაც ზაქარია სქოლასტიკოსმა დასწერა, რომელმაც საეკლესიო ისტორია (ἐκκλησιαστική) შეთხზა<sup>2</sup> (L a n d 346: A.-K. 263,19 – 264,2).

ღაზას სანაპიროს წმიდა ეკლესიის ჭირისუფალთაგან ზოგიერთები ჩვენ მოგვითხრობდნენ იმ დროის ამბავს, როდესაც ადგილი ჰქონდა ილლოსისა და პამპრეპიოსის აჯანყებას ზენონ კეისრის წი-

ცხორებაშიც, ქვემოთ გვ. 11) უთუოდ უახლოვდება პეტრეს ქართული «ცხორების» ავტორი. ამ «ცხორებაში» ვკითხულობთ: «ამას მეფესა ზენონსა ესმა წმიდათა ამათ მამათათვის ესაიასი და პეტრესი და დიდთა სასწაულთა მათთა, რომელსა ჰყოფდეს, და წარმოავლინა საკუთარი თვისი საჭურისი და მოუწოდა ორთავე. ხოლო ესმა რა წმიდასა და ნეტარსა პეტრეს, შეწუხნა ფრიად და შევიდა სადიაკონოდ და ტიროდა ფრიად და ევედრა ღმერთსა, რათა არა იქმნას წარსულა მისი მეფისად და ივლტოდა ღამით ნეტარი პეტრე და წარვიდა ქუწყანასა უცხოსა. ხოლო საჭურისმან მან წიგნი მეფისა მოართუა ნეტარსა ესაიას. და ვითარცა წარიკითხა ნეტარმან ესაია წიგნი იგი მეფისა, შეწუხნა იგიცა ფრიად და მეყმსეულად განსივნა ყოველი გჳამი მისი, ვიდრემდის ვერ ეძლო სენაკითაცა გამოსულა» (ნ. მ ა რ ი, ცხოვრება პეტრე ივერისა, გვ. 38 – 39; შდ. აგრეთვე გვ. XXXIV), ანონიმური ბიოგრაფია (რ ა ა ბ ე 98 – 99) იძლევა განსხვავებულ რედაქციას.

<sup>1</sup>) Land-მა გამოაქვეყნა Historia miscella-ს დამატების სახით აგრეთვე მეორე თხზულება ზ ა ქ ა რ ი ა ს ი „მამა ესაია ასკეტის ცხოვრება“. Ahrens-Krüger-ის გერმანულ თარგმანშიც ის დამატების სახით არის ბოლოში, გვ. გვ. 263 – 274, დართული („Erzählung von dem Wandel des zu den Heiligen gehörigen Vaters Isaias des Asketen“).

<sup>2</sup>) როგორც თავის დროზე ნ. მ ა რ მ ა (l. e. XXXIV) შენიშნა, საგულისხმოა, რომ პეტრეს ქართული «ცხორების» ავტორსაც ესაიას ცხოვრება ჰქონია ცალკე დაწერილი: «ამის ნეტარისა მამისა ესაიას ცხოვრება და მოქალაქობა და დიდნი მოღუაწებანი და სასწაულნი აღგვიწერიან სხუაგან მადლითა ღუთისათ» (ნ. მ ა რ ი, I, e. 39).

ნაადმდეგ, «ჩვენ მივედით მასთან (ესაიასთან) აღშფოთებულნი ილ-ლოსის საქციელით, რომელიც – გაგვეგონა – ჯადოქარ პამპრეპიოსს შეეცდინა და წარმართობისკენ იხრებოდა... დაგვხვდა მისი მოწაფე, რომელმაც... გვითხრა: „მამა ესაიამ... გიბრძანათ, არ აგაღელვოთ წარმართთა აჯანყებამ; ვინაიდან ეს არის ღრუბელი, რომელიც ეხ-ლავე გაიფანტებაო“. როდესაც ისინი შემდეგ იმავე საქმისთვის სახე-ლოვან პეტრე იბერიელთან მოვიდენ, მოისმინეს სწორედ ისე-თივე პასუხი. ასე, ორივეს მიცემული ჰქონდათ ერთნაირი ნიჭი, ვი-ნაიდან ისინი იყვნენ ჭეშმარიტი მონები და მსახურნი ერთად-ერთი ღმერთისა, რომელიც იდიდება წმინდა სწორარსი სამეხით; ამიტომ ისინი მუდამ ერთი-მეორეს იგონებდენ, სულით ერთმანეთთან იყვნენ და ღმერთიც უწყალობებდა მათ საქმეების შესახებ იმავე რწმენასავსეო-ბას (πληροφωρία), რომელსაც მას ჩვეულებრივ სთხოვდენ. როდესაც პალესტინაში ზოგიერთ მონაზონებს შორის დავა ატყდა იმის შესახებ, სწორია თუ არა ჩვენი უფლის ხორცი ჩვენ სწორარსად ვიცნათო, ყველაფერში სახელოვანმა პეტრემ შეაჩვენა ისინი, ვინც ამას არ აღიარებდა. ზოგიერთი მათგანი მაინც კიდევ დავობდა პეტრეს თანადასწრებით იმათთან, ვინც მისი (პეტრეს) აზრისა იყო, ამ სა-კითხის გამო. მაშინ ორივე მოდავე მხარემ გადაწყვიტა შეჰკითხებო-დენ დიდ ესაიას, თუ რა აზრისა იყო ის ამის შესახებ, და ისინი ერთმანეთში შეთანხმდენ, რომ იმას გაიზიარებდენ, რასაც ესაია იტყოდა. როდესაც ისინი მასთან მივიდენ, მისგანაც სწორედ ისეთივე მსჯავრი მოისმინეს... როდესაც ამათ ორივეს (ესაიას და პეტრეს) შეეკითხნენ ერთ სადავო საკითხზე კანონების შესახებ, რომე-ლიც ალექსანდრიაში წამოიჭრა იმათ შორის, ვინც ამის გამო ორ ბანაკად გაიყო, იმათ დადვეს მსჯავრი სრულიად ერთნაირად (L a n d 352 – 353; A.-K. 269,10 – 270,17).

როდესაც ზენონმა, „ღვთიური შიშის განსახიერებამ“, გაიგონა მათ (ესაიას, პეტრე იბერიელისა და თეოდორეს) შესახებ, და სურვილი დაებადა ეს კაცები ენახა, გაგზავნა კოზმა <sup>1</sup>, ერთი სამეფო საჭურის-თაგანი, რომელიც პირველ კაცებში ითვლებოდა, და გაატანა მათ-თან წერილები, სადაც სთხოვდა მათ, სხვა წმინდა კაცებთან ერთად მასთან მოსულიყვნენ, რათა მას თავისი საკუთარი თვალებით დაენახა მათი სათნოებანი, მიეღო მათი ლოცვანი და ენეტარა მათი ჭეშმა-რიტად მოძღვრული და სულიერი დარიგებებითა და წყალობით. მაგრამ, რადგან იმ დიდმა პეტრემ, ჯერ კიდევ სანამ მეფის წე-

<sup>1</sup>) დედანში სწერია კომსი (Komes)

რილს გადასცემდნენ, ამ წერილის შინაარსი გაიგო, დაიძალა, ვინაიდან ის გაურბოდა ყოველევარ ამაო პატივს, და არ ეჩვენა წერილის მომტანს; ამის შემდეგ დასტოვა პალესტინა და წავიდა ფინიკიის მიდამოებში, რომლებიც ზღვის გასწვრივ მდებარეობენ <sup>1</sup> (L a n d 355; A.-K. 272, 10 – 23).

## ფსევდო-ზაქარია

ამ სათაურით ჩვენ ვათავსებთ იმ კომპილატორიდან ამოღებულ ექსცერპტებს, რომელსაც ეკუთვნის მთელი კრებული, Historia Miscellanea ან (Miscella)-ს სახელით ცნობილი, სადაც III – VI წიგნებში ზ ა ქ ა რ ი ა რ ე ტ ო რ ი ს «საეკლესიო ისტორია» არის შემონახული და რომელიც ბრიტანიის მუზეუმის VI-ს. დასასრულის ან VII-ს დასაწყისის ხელნაწერშია დაცული. („This manuscript is written in a fine regular Estrangela of the end of the VI or the beginning of the VII century“. W r i g h t, Catalogue of Syriac Manuscripts in the British Museum 1046 a; A h r e n s - K r u g e r, XV). ჩვენი კომპილატორის პიროვნების შესახებ არავითარი ცნობები არა გვაქვს. მისი თხზულებიდან მხოლოდ შემდეგი დასკვნების გამოტანა შეიძლება: ის უნდა იყოს მონაზონი, ამიდიდან, შესაძლებელია იოანეს მონასტრიდან; კარგად იცოდა ბერძნული, ისე რომ ამიდის ბიბლიოთეკაში დაცული ბერძნული მასალებით უსარგებლია (რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ზაქარიას «ისტორია» თითქმის მთლიანად გადმოუთარგმნია სირიულად). მის მთარგმნელობით ხელოვნებას Nöldeke ძალიან მაღლა აყენებს (*Lit Centr.* – Bl. 1897, N 6, Sp. 3) რაც შეეხება მის წყაროებს, ასეთებს ის იღებდა ან წერილებიდან, ან ხელნაწერებიდან, ან სინამდვილესთან ახლო მდგომთა გადმონაცემ ამბებიდან.

### ჰუნენის გადმოსვლა დარიალის კართ.

**მეშვიდე წიგნი.** მეშვიდე წიგნი გვიკვლევს მის შემადგენელ თხუთმეტ თავში იმას, რაც ანასტასის შეფობაში მოხდა.

მეშვიდე წიგნის მე ს ა მ ე თ ა ვ ი მოგვითხრობს თეოდოსიუპოლის შესახებ არმენიაში, რომელიც დაპყრობილ იქმნა, და ქალაქ ამიდის შესახებ მესოპოტამიაში. – როდესაც პეროზი, სპარსეთის მეფე, თავის ქვეყანაში სამეფო ტახტზე ავიდა, ანასტასის მეფობის მეცამეტე წელს <sup>2</sup>, ჰუნებმა <sup>3</sup> გადმოლახეს «კ ა რ ე ბ ი» (რომელთაც სპარსელები იცავდნენ). ესე იგი იქაური მთების ადგილები, და შეიჭ-

<sup>1</sup>) შდ. ამ ეპიზოდის გადმოცემა ზემოთ გვ. 9 და იქვე შენიშვნა.

<sup>2</sup>) ანასტასი გამეფდა 491 წლის 11 აპრილს, ასე რომ 13 წელი მისი მეფობისა ხვდება 503 – 4 წელს.

<sup>3</sup>) კ რ ი უ გ ე რ ი ს აზრით (*Kirchengeschichte...* 338) ეს ჰუნები არიან ბაქტრიის მიდამოებში დაბინავებული ხალხი, რომელსაც არაბები ეძახიან Hajatila, სპარსელები Haital, ბერძნები Εφθαλιται (დამახინჯებულად Νεφθαλιται).

რენ სპარსეთში. მაშინ პეროზი შეშინდა, შეკრიბა ჯარი და გაემართა მათ წინააღმდეგ. როდესაც პეროზი შეეკითხა მათი გადაწყვეტილებისა და მათი შემოჭრის შესახებ მის ქვეყანაში, მათ უთხრეს: «ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, რასაც სპარსელების მთავრობა ხარკის სახით გვადლევს, ბარბაროს ხალხს, რომელიც ღმერთს ჩრდილო-დასავლეთ მხარეში მიუგდია, როგორც მავნე მხეცეები. ჩვენ გვაცხოვრებს იარაღი, მშვილდი და მახვილი, და ვიკვებებით სხვადასხვანაირი ხორცის საჭმლით. ეხლა რომაელთა კეისარი შეგვპირდა, თავისი მოციქულის პირით, ორმაგი ხარკის მოცემას თუ ჩვენ თქვენთან, სპარსელებთან, მეგობრობას შევწყვეტთ. ამიტომ შევიარაღდით და აქეთ გამოვემართეთ, რათა თქვენ (ან მოგვცეთ იმდენივე, რამდენსაც რომაელები გვპირდებიან, – და ჩვენ თქვენთან კავშირს განვამტკიცებთ, ან-და, თუ თქვენ ამას არ მოგვცემთ, მიიღოთ ომი!». როდესაც პეროზმა ჰუნების განზრახვები გაიგო, უნდოდა ისინი მოეტყუებინა და შეცდომაში შეეყვანა, თუმცა ისინი გაცილებით უფრო ნაკლებრიცხოვანნი იყვნენ, ვიდრე მისი ჯარი: ის შეჰპირდა, რომ მისცემდა მათ, რასაც მოითხოვდენ, მაშინ თავი მოიყარეს 400 კაცი, ჰუნების მეთაურთაგან, – მათთან ერთად იყო ერთი აპამეელი ვაჭარი, ევსტათი <sup>1</sup>, საკმაოდ ეშმაკი კაცი, რომელთანაც ჰუნებმა მოითათბირეს. შეიკრიბნენ აგრეთვე პეროზი და 400 კაცი და ავიდნენ მთებში; შემდეგ ჰუნებმა და სპარსელებმა შეკრეს კავშირი, ერთად ჭამეს და ცაზე ხელების აპყრობით შეფიცეს ერთმანეთს... (მაგრამ პეროზმა უმტყუნა მათ და ბრძოლა გაუმართა, რომლის დროსაც თვითონ დაიღუპა). კავადი, რომელიც პეროზის შემდეგ გამეფდა, და მისი დიდებულები აღშფოთებული იყვნენ რომაელების წინააღმდეგ: იმათ აბრალებდნენ ისინი ჰუნების შემოჭრას და მათი ქვეყნის (სპარსეთის) აწიოკებასა და განადგურებას <sup>2</sup>. ამიტომ კავადმა შეკრიბა ჯარი, გაემართა თეოდოსიუპოლში, რომაულ არმენიაში, და აიღო ქალაქი <sup>3</sup>; მის მცხოვრებთ რბილად მოეპყრა, რადგან ის მათ მიერ არ ყოფილა შეურაცხყოფილი, თუმცა მათი ქალაქის უფროსი კონსტანტინე დაატყვევა (L a n d 200 – 204; A.-K. 99,10 – 104,30).

<sup>1</sup>) ეს ევსტათი სხვა წყაროებში არ იხსენიება,

<sup>2</sup>) ეს ამბები აღწერილი აქვს პროკოპი კესარიელს «ომების» პირველ წიგნში პროკოპის გადმოცემითაც სპარსელთა და ბიზანტიელთა შორის მტრული ურთიერთობის განახლებას საბაზს აძლევს „კასპიის კარების“ დაცვის საკითხი, რომელიც მწვავედ წამოიჭრა სპარსეთისა და ბიზანტიის წინაშე ანასტასი კეისრის დროს

(იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა II, 29 შდ).

<sup>3</sup>) თეოდოსიუპოლი – არზრუმი.

### ფარსმან კოლხი.

მეშვიდე წიგნის მეხუთე თავი, რომელიც მოგვითხრობს სიმშილობის შესახებ, ამიდის აღებისას რომ მძვინვარებდა, და იმის შესახებ, თუ როგორ დასტოვეს ის სპარსელებმა და თავიანთ ქვეყანაში გაბრუნდენ. – როდესაც მეფე კავადი, როგორც ეს ზემოთ არის ნათქვამი, თავისი ჯარითურთ ამიდიდან თავის ქვეყანაში გაბრუნდა, დასტოვა იქ ქალაქის დასაცავად ვინმე გლონი, სარდალი, და ორი მარზპანი დაახლოვებით სამი ათასი კაციურთ, და აგრეთვე ორი თუ სამი მდიდარი კაცი და ზოგიერთი კერძო მცხოვრები. იმ რომაელ სარდლებს არ დაუძლევიათ, არ დაუპყრიათ და არ აუღიათ ქალაქი; მაგრამ, ბოლოს, პატრიკი დაეშვა სპარსელების არზანისაკენ, მოიდავლა და აიღო იქ სიმაგრეები; არეობინდე და ჰიპატი გაემართნენ ნისიბინისკენ, მაგრამ ის ვერ აიღეს; თუმცა ქალაქის მცხოვრებლები რომაელებისადმი მეგობრულად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ ბრძოლის დროს სიზანტეს იჩენდენ. ხოლო როდესაც სპარსელთა მეფემ ეს გაიგო, ჯარით მოვიდა რომაელების წინააღმდეგ; ესენი გაექცენ მას და დასტოვეს თავიანთი კარვები და განმეულობა, რომელიც თან ჰქონდათ: არეობინდე გაიქცა ჰარზამის ციხიდან; ჰიპატი, პატრიკი და სხვები ტელქასრადან. მათ ბევრი ცხენი და ცხენოსანი დაჰკარგეს, რომლებიც კლდეებიდან გადმოეშვნენ, დაიმსხვრენ, დაიხოცნენ ან დაიჭრენ. მხოლოდ ერთმა მამაცმა მეომარმა ფარეზმანმა რამდენჯერმე გაიმარჯვა ბრძოლაში, შეიქმნა სახელოვანი და სპარსელებს შიშის ზარი დასცა; მისი სახელი მათ აშინებდა, მისი საქმეები ანადგურებდა მათ და ასუსტებდა მათ რიცხვს, მის წინაშე ისინი მხდალებად მოსჩანდენ და მარცხდებოდენ. ბოლოს, ის ხუთასი ცხენოსნით მივიდა, დაუდარაჯდა სპარსელებს, რომლებიც გადიოდენ სოფლებში, ზოგიერთი მათგანი მოკლა და წაართვა მათ როგორც საქონელი, რომელიც თან მიჰყავდათ, ისე ცხენებიც. ვინმე გადდანას მოხერხებულობის წყალობით ფარეზმანმა გამოიტყუა ქალაქიდან სარდალი გლონი ლა მისი ჯარი და დახოცა ისინი. სარდლის მოკვლის გამო სპარსელებმა დაატყვევეს მცხოვრებლები. ქალაქში საშინელი სიმშილობა ჩამოვარდა). ბოლოს, ქალაქში მოვიდა ფარეზმანი და იქ დარჩენილ და ძალამიხდილ სპარსელებთან ხელშეკრულება დადვა; და იმ დროს, როდესაც რომაელთა და სპარსელთა მეთაურები ქალაქის ბჭესთან ისხდენ, სპარსელები გადიოდენ (ქალაქიდან); თუ მათ მოქალაქეებიც მიეკედლებოდენ, მათ ეუბნებოდენ დარჩენილიყვნენ, თუ სურდათ, – თუ არა და სპარსელებთან ერთად გასულიყვნენ; ასე დასტოვეს მათ ქალაქი... ფარეზმა-

ნ ი კი დარჩა ქალაქში და ზრუნავდა მცხოვრებლებზე და ქვეყანაზე. კეისრის ბრძანებით გადასახადისაგან განათავისუფლა შვიდი წლით, და ქალაქის მცხოვრებთა მიმართ გულკეთილობა გამოიჩინა <sup>1</sup> (L a n d 211 – 213. A.-K. 112,13 – 115,15).

**მერვე წიგნის** მეხუთე თავი მოგვითხრობს იმ მოლაპარაკების (πρακτάτα) შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საზღვარზე. ... – სპარსელთა მეფე კავადი ბრძანებდა მოეთხოვათ ხარკად ხუთ-ხუთი კენდინარი (κεντηάρια) ოქრო, რაც მას რომაელთა კეისრისაგან ეძლეოდა სპარსელთა ჯარის შესანახად (ἀνάλαιμα), რომელიც ჰუნნების წინააღმდეგ სდარაჯობდა კარებს; და ამიტომ ის დროგამოშვებით გზავნიდა რომაელთა ქვეყანაში თავის ტადიტებს <sup>2</sup>, რომლებიც რომაელებს ზიანს აყენებდენ; მეორე მხრით რომაელებსაც მისი ქვეყანა არზანი ეჭირათ და ნიზიბინის მცხოვრებთა მიწაწყალშიაც შეიჭრებოდენ ხოლმე და აზიანებდენ. ამიტომ გაიმართა მოლაპარაკება (πρακτάτον) და ორივე მეფემ გაგზავნა მოციქულები: იუსტინემ – ჰიპატი და მოხუცი ფარესმანი, კავადმა – ასტაბედი <sup>3</sup>. საზღვარზე ბევრი ილაპარაკეს (მაგრამ ზავს ვერ მიაღწიეს). (L a n d 246 – 247; A.-K. 157,18 – 37).

### ლაზიკე.

**მეათე წიგნიც** და მისი ქვემოთ ჩამოწერილი თექვსმეტი თავი შეიცავს იმას, რაც ერთი-მეორეზე მოხდა XV წლის (πεντεκαιδεκίτη) შემდეგ, ესე იგი ბერძნული წელთაღრიცხვით 848 წლიდან <sup>4</sup>, ვიდრე XIII (τρισκαίδεκάτη) წლამდე, ესე იგი 859 წლამდე <sup>5</sup>, სახელდობრ იმ ბრწყინვალე იუსტინიანე კეისრის დროს, რომელიც ამჟამად (მეფობს) – (შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ჩამოთვლილია რომელ თავში რაზეა ლაპარაკი)... მეათე თავი მოგვითხრობს მარტინეზე და იუსტეზე <sup>6</sup>, რომლებიც

<sup>1</sup>) ეს ის ფარესმანია, რომელსაც პროკოპი კესარიელი იხსენიებს BP I 8, BV II 19 (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია II, 16 – 18).

<sup>2</sup>) გერმ. Tajjiten, ინგლ. Saracens.

<sup>3</sup>) პროკოპი კესარიელის მიხედვით (BP I 1) ბიზანტიელების მხრით წარმომადგენლებად იყვნენ ჰიპატი, პატრიკი და რუფინე; ხოლო სპარსელების მხრით სეოსი და მევოდი.

<sup>4</sup>) 15. ინდიქტიონი უდრის 536/537 წელს, ბერძნული წელთაღრიცხვის 848 წელიც უდრის (848 – 311/312) 036/537 წელს.

<sup>5</sup>) 859 წლის მაგიერ უნდა იყოს 861, რადგან 13. ინდიქტიონი უდრის 049/550 წელს.

<sup>6</sup>) შდ. პროკოპი კესარიელი BP 24 შმდ. (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია II, 61 – 12).

შეიჭრენ სპარსულ არმენიაში და უკან გამობრუნდენ. – ... მ ე ც ა მ ე-  
ტ ე თ ა ვ ი მოგვითხრობს ლ ა ზ ი კ ა დ ე ს ქვიყანაზე <sup>1</sup>, რომელიც ქოსრომ  
დაიპყრა. – მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე მოგვითხრობს პურეულის და ბალახეულის  
უქონლობაზე 1X და X წლებში <sup>2</sup> (L a n d 314; A.-K. 236 – 237).

ეს მეათე წიგნი მოდწეულია ნაკლულად. მხოლოდ მისი ხუთი თავია შენა-  
ხული (გადმოთარგმნილი ა რ ე ნ ს-კ რ ი უ გ ე რ ი ს მიერ 237 – 247 გვერდებზე),  
ასე რომ ზემოთ მოყვანილ სარჩევში მოხსენებული მეათე თავი („სპარსული არმე-  
ნია“) და მეცამეტე თავი („ლაზიკადე“) არ არის მოდწეული. მაგრამ როგორც  
ინგლისელი გამომცემლები აღნიშნავენ (Hamilton-Brooks 311 შემდ.) 6 – 15 თავ-  
ების შინაარსის ნაწილის აღდგენა შეიძლება იაკობ ედესელის ფრაგმენტებით <sup>3</sup> და  
მიქელისა <sup>4</sup> და გრიგოლის <sup>5</sup> საშუალებით; ამათ ნაწარმოებებში კვითხულობთ  
(Hamilton Brooks 313 – 315):

«რომაელები შეიჭრენ არმენიის ქვეყანაში და საკმაოდ მოარბიეს».

«ხოხრო კვლავ გაემართა და იერიში მიიტანა ედესის წინააღმდეგ <sup>6</sup> და, მისი  
აღება რომ ვერ შესძლო, წამოასხა ტყვეები ბატნედან და გამობრუნდა».

«ხოხრო, სპარსელთა მეფე, კვლავ გაემართა და წაასხა რა ტყვეები, აიღო  
პ ე ტ რ ა, ლაზიკის ქალაქი, და ჩააყენა იქ ჯარი <sup>7</sup>. და ამ დროიდან რომაელები გა-  
ნაგრძობდენ იერიშებს მის (პეტრას) წინააღმდეგ შვიდი წლის განმავლობაში, და  
შემდეგ სპარსელები დამლეულ იქმნენ და რომაელებს წაართვეს მათ ის  
(ე. ი. პეტრა)»

«და ამ ხანებში ადგილი ჰქონდა სურსათის უქონლობას და ხის ნაყოფთა  
ნაკლებობას, მეცხრე (ενατον) წელს <sup>8</sup>, და ჩამოვარდა სიმშვილობა, რომელმაც გაანა-  
დგურა სული და ხორცი».

1) „das Land Lázikáje“ იგულისხმება ის ამბები, რომლებიც დატრიალდა  
ლაზეთში 541 და შემდეგ წლებში (იხ. პროკოპი კესარიელი BP II 17 შემდ.:  
გეორგიკა II 54 შემდ.)

2) 9. და 10. ინდიქტიონები უდრის 545 – 547 წლებს. აქ იგულისხმება ის  
სიმშვილობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 547 წელს (თანახმად იოანე ეპიფანიელის  
ცნობისა).

3) ი ა კ ო ბ ი, ედესელი ეპისკოპოზი (გარდაიცვალა 708 წელს), რომელ-  
მაც ბერძნულიდან სირიულად თარგმნა სევერეს ჰომილიები.

4) მიქელ ასური, ანტიოქიის პატრიარქი 1166 – 1199 წლებში. მას  
ეკუთვნის სირიულ ენაზე დაწერილი «ქრონიკა», რომლის ერთ-ერთ წყაროდ გამო-  
ყენებული აქვს ზაქარია რეტორის «ისტორია».

5) გ რ ი გ ო ლ მელიტენელი, „ბარჰებრეუსის სახელწოდებით ცნობილი  
ავტორი «მსოფლიო ისტორიის»; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII საუკუნე-  
ში. მის მთავარ წყაროს შეადგენდა მიქელ ასური.

6) ამ ორ ლაშქრობას შუა (სომხეთში და ედესაში) იაკობ ედესელს ჩარ-  
თული აქვს პ ე ტ რ ა ს აღება.

7) ასე აქვს იაკობ ედესელს, ხოლო მიქელ ასურის სიტყვებით «წაასხა  
ტყვეები პეტრადან, ლაზიკის ქალაქიდან, და ჩააყენა იქ ჯარი».

8) «მეცხრე წელი» უდრის 546 წელს. შდ. ზემოთ შენ. 2. რომ ამ სირიულ  
ქრონიკებში ერთი-მეორეს მიჰყვება თხრობა ლაზეთის შესახებ და სიმშვილობის  
შესახებ, და რომ თარიღიც, ბერძნული სიტყვით აღნიშნული, იგივეა, რაც ფსევ-



კავკასიის ქვეყნების (ქართლის, რანის, ბაზგუნის და სხვათა)  
აღწერა.

**მეთორმეტე წიგნი.** მეშვიდე თავი მოგვითხრობს მიმოხილვის (σκάριδος) შესახებ, რომელიც დამზადებულ იქმნა ეგვიპტის მეფის პტოლემეის ფილომეტორის მეცადინეობის წყალობით. (შემდეგ მოთხრობილია დედამიწის მცხოვრებლებზე პტოლემეს მეცადინეობით შედგინილი წიგნის შესახებ). ეს წიგნი დედამიწის ხალხთა შესახებ, როგორც ზემოთ ითქვა, შედგენილია პტოლემეის ფილომეტორის მეცადინეობით, მისი მეფობის მე-30 წელს, ჩვენი მაცხოვრის დაბადების 150 წლის წინ, ასე რომ დღემდე, უბრწყინვალესი კეისრის იუსტინიანეს მეფობის მე-28 წლამდე, ე. ი. ალექსანდრეს მე-866 წლამდე და მე-333 ოლიმპიადამდე <sup>1</sup>, გასული 711 წელი (ავტორს მოჰყავს ნაწყვეტები პტოლემეს წიგნიდან <sup>2</sup>)... მოხსენებულებთან ერთად ჩრდილო მხარეზე არის ხუთი ტომი, რომელთა ეპისკოპოზები ოცდაოთხია; მათი კათალიკოზი არის დიდ ქალაქ დვინში, სპარსულ არმენიაში; სახელი მათი [პირველი] <sup>3</sup> კათალიკოზისა, სჯულიერი და სახელოვანი კაცისა, იყო გრიგოლი. შემდეგ ქვეყანა გურზანი (Gurzân) არმენიაში ბერძნულის მსგავსი ენით; მათ ჰყავთ ქრისტიანი მთავარი, რომელიც სპარსეთის მეფის ქვეშევრდომია. – შემდეგ ქვეყანა არრანი (Arrân), აგრეთვე არმენიის ქვეყანაში, თავისი საკუთარი ენით; მორწმუნე და მონათლული ტომი, რომელსაც ჰყავს სპარსეთის მეფის ქვეშევრდომი მთავარი. – შემდეგ ქვეყანა სისაგანი (Sisagân) საკუთარი ენით; მორწმუნე ტომი; ამ ხალხში წარმართნიც მოიპოვებიან. – ქვეყანა ბაზგუნი (Bazgûn) <sup>4</sup>, საკუთარი ენით, რომელიც აღწევს კასპიის

დო-ზაქარიას აქვს, ამტკიცებს ამ ცნობების მომდინარეობას ჩვენი ავტორის კომპილაციიდან (H.-B. 315).

<sup>1</sup>) ყველა სამივე თარიღი უჩვენებს 554 – 555 წელს. ამ ადგილიდან ცხადი ხდება, რომ ჩვენი კომპილაცია შედგენილია იუსტინიანეს დროს, სახელდობრ ორმოცდაათიანი წლების ბოლოში.

<sup>2</sup>) ავტორს ნათქვამი აქვს, რომ პტოლემემ შიკრიკები დაუგზავნა პროვინციათა მმართველებს და მოსთხოვა მათ ცნობები იქ მოსახლე ტომების შესახებ. პტოლემემ მიიღო ცნობები ყველა მხარის შესახებ გარდა ჩრდილოეთის მხარისა, რომლის შესახებაც მკითხველს დამატებით აწვდის ცნობებს ჩვენი კომპილატორი.

<sup>3</sup>) «პირველი» ჩამატებულია ინგლ. გამომცემელთა მიერ (H.-B. 327).

<sup>4</sup>) გერმანულ თარგმანში: ???

ზღვის კარებამდე, რომლებიც ჰუნთა ქვეყანაში არის <sup>1</sup>. კარების იქით Burgârê საკუთარი ენით, წარმართი და ბარბაროსი ტომი, რომელსაც აქვს ქალაქები; ალანები, რომელთაც ხუთი ქალაქი აქვთ, და Dâdû-ს სამეფოს მცხოვრებნი, რომელნიც მთებში არიან დაბინავებულნი და ციხეები აქვთ; 'Ungur, კარავებში მცხოვრები ტომი; Ūgar, Saber, Burgar, Kurtagar, 'Abar, Khasar, Dijarmar, Sirurgur, Bagarsîk, Khulas, Abdal, Eitalîth. ეს ცამეტი ტომი კარავებში მცხოვრებია;

anschliesst und bis zu den Thoren von Kaspion und zum Meere reicht, ხოლო უკანასკნელ დამოკიდებულ წინადადებას (die im Hunnenlande sind) თვლის დამოუკიდებელ წინადადებად და მას შემდგომ მოთხრობას უკავშირებს (იხ. ჩვენი მომდევნო შენიშვნა).

<sup>1</sup>) აქ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან გურზანი არის ქართლი, არრანი – რანი, ალბანეთი, სისაგანი – სივნიეთი (შდ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია I<sup>3</sup> 296; I. H. Адоиц, Армения в эпоху Юстиниана 219; J. Marquart, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge 174, 355; H. Gelzer: ზაქარია რეტორის გერმანული გამოცემის შენიშვნებში გვ. 381). რაც შეეხება ბაზგუნს, გერმანელი და ინგლისელი (H.-B. 328) გამომცემლები აქ გულისხმობენ აბაზგიას, გერმანული გამოცემის კომენტარებში ჰ. გელცერი სწერს: „ბაზგუნი უდრის აბაზგიას... მაგრამ ცხადია, რომ აქ ის ფართო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ; ის უდრის ლაზურ სამეფოს (კოლხეთს, ლაზეთს, სომხ. ეგრს), რომლის ქვეშევრდომებს ძველიდანვე სვანები, აფსილები და აბაზგები წარმოადგენდენ. სახელწოდება ბაზგუნი მიგვითითებს შეძლებისდაგვარად (deutet möglicherweise an), რომ ეთნოგრაფიულად საკმაოდ აჭრელებულ სამეფოში ჰეგემონობა მოუპოვებიათ აფხაზებს, რომლებსაც შემდეგ ხანებში ჩვენ ამ ქვეყნის მფლობელებად ვხვდებით (A.-K. 382). ამ აზრს იზიარებს მარკვარტიც (I.O. 174), რომელიც ჩვენს ტექსტს კიდევაც ასწორებს («ბაზგუნი, რომელიც გადაჭიმულია კასპიის კარიდან ზღვამდე» – გულისხმობს დარიალის კარიდან შავ ზღვამდე). ივ. ჯავახიშვილი (I c. 296, 301) ბაზგუნზე არაფერს ამბობს; ხოლო ნ. ადონცს შეუძლებლად მიაჩნია ბაზგუნი აბაზგიას უდრიდეს, მით უმეტეს რომ VI საუკუნეში ასეთი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ლაზეთსო; მისი აზრით ბაზგუნი დამახინჯებული უნდა იყოს და მის ნაცვლად უნდა წერებულყო Barazgan, ე. ი. ბარასაკანი ანუ ბალასაკანიო (I. c. 219 220). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადონცი მართალია, როდესაც ბაზგუნის მიღება აბაზგადა შეუძლებლად მიაჩნია. ავტორს რომ ნდომოდა ქრისტიან ტომთა შორის აბაზგებიც მოეხსენებინა, ის უთუოდ დაასახელებდა აგრეთვე სხვა ტომებსაც, მათ შორის ლაზეთსაც, რომელთაც ამ დროს (554 – 555 წლებში, როდესაც ეს თხზულება დაწერილი) დიდი პოლიტიკური ძალა და მნიშვნელობა ჰქონდათ. აბაზგების ჰეგემონობა ამ დროისათვის არავითარ შემთხვევაში არ არის მოსალოდნელი: ყოვლად წარმოუდგენელია, რომ აბაზგებზე გადასულიყო ამ დროს ბატონობა ლაზეთის სამეფოში და ისტორიკოსები (პროკოპი, აგათია, მენანდრე), რომლებიც ამ ეპოქაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, თავიანთი ნაშრომების ასეულ გვერდებზე ლაზეთის სამეფოზე გველაპარაკებოდნენ და არა აბაზგებისაზე. გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოებაც. ჩვენი ავტორი მონოფიზიტია და ჩრდილო მხარეების დასა-

ისინი იკვებებიან საქონლის ხორციით და თევზით, გარეული ცხოველებით და იარაღის საშუალებით<sup>1</sup>. ამათ გადადმა ცხოვრობს Ammazarté-ს და ძაღლკაცების ტომი; ჩრდილო-დასავლეთით მათგან – ამაზონები (Ἀμαζωνίδες), ცალბუმუ ქალები, რომლებიც განმარტოებით ცხოვრობენ, ომს აწარმოებენ იარაღითა და ცხენ-და-ცხენ. მათ შორის მამრობითი სქესის კაცი არ მოიპოვება, მაგრამ, თუ მათ შეუძლებს სურთ, ისინი მშვიდობიანად უახლოვდებიან მათი ქვეყნის მეზობლად

ხელების დროს ხუთი ქვეყანა რომ გამოუყვია, ალბათ, თავისი მონოფიზიტური მოსაზრებები ჰქონდა და მონოფიზიტური წარმოშობის წყაროებს ემყარებოდა. მის მიერ დასახელებული ხუთი ქვეყნიდან, „ბაზგუნის“ გარდა, ყველა ისეთია, სადაც მონოფიზიტობას მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში დანარჩენ მიმართულებებზე უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტ. I<sup>3</sup>, 287 – 290 და სხვაგანაც). ასეთ კონტექსტში ავტორს არაფრად დასჭირდებოდა აბაზგების (ან ლაზების) დასახელება, რომელთა მონოფიზიტობის ისტორიამ სრულიად არაფერი იცის. – ამას ჩვენ დავუმატებდით იმასაც, რომ „ო ც დ ა ო თ ხ ი ეპისკოპოსის“ მოხსენიებაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ცნობილია, რომ სომეხ-ალბანელ-ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებას დვინში 506 წელს ქართველ ეპისკოპოსთაგან ოცდაოთხი დაესწრო (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, I. c. 349); სომეხ ეპისკოპოსთა რიცხვიც დვინის კრებაზე ოცდაოთხს უდრიდა (ნ. ა დ ო ნ ც ი, 329 – 331): ჩვენს მონოფიზიტ ავტორს არ შეიძლება არ სცოდნოდა დვინის კრების მასალები. და შესაძლებელია მხოლოდ ერთი ქალაქის, დ ვ ი ნ ი ს, როგორც ანტიქალკედონიტა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პუნქტის დასახელებაც იმავე მონოფიზიტური მიდგომით აიხსნებოდეს. – აქიდან ცხადია, რომ არ ე ნ ს-კ რ ი უ გ ე რ ი ს მიერ მოყვანილ ტექსტს არავითარი შესწორება არ ესაჭიროება. და თუ ჩვენ დავეყრდნობით ამ ტექსტს, მივიღებთ, რომ „ქვეყანა ბაზგუნი აღწევს კ ა ს პ ი ს ზ ღ ვ ი ს კ ა რ ე ბ ს, რომელიც ჰუნთა ქვეყანაში მდებარეობს“, ე. ი. დარუბანდის კარს, და არა დარიალის კარსა და შავ ზღვას. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ქვეყანაა ის, მაგრამ ის, ყოველ შემთხვევაში, „აბაზგია“ არ არის.

<sup>1</sup>) აქ ჩამოთვლილი ტომები უდრის, გ ე ლ ც ე რ ი ს ა და მ ა რ კ ვ ა რ ტ ი ს (I. c. 356) აზრით, სხვადასხვა ბიზანტიელ ავტორთა მიერ დასახელებულ შემდეგ ტომებს: Ungure – Ονογοιρ, Ουνογοιρი

Ugr – Ογαρ' Ουραγοι

Saber – Σαβιροι (საბირები)

Burgar – ბულგარელები (დუნაისა)

Kurtargar – Κουτουργουροι, Κοτριγουροι

Abar – Αβαρεις (ავარები)

Khasar – Ακατζιροι, ხაზარები (გ ე ლ ც ე რ ი)

Dijarmar, Dirmar (მ ა რ კ ვ.) – Ιτιμαροι

Sirurgur – Σαραουσι

Bagarsik, Barselq (მ ა რ კ ვ.) – Βαρσηλτ

Khulas – Χολιαται (მ ა რ კ ვ.)

Abdal Eftalith – Αβδιλαι (Εφθαλιται)

მცხოვრებ ხალხს, ერთი თვის განმავლობაში კავშირი აქვთ მათთან და შემდეგ უკან ბრუნდებიან თავის ქვეყანაში. შვილი რომ ეყოლება, თუ ვაჟია – ჰკლავენ; ხოლო, თუ ქალი ეყოლა, ცოცხალს სტოვებენ<sup>1</sup>. ის ხალხი, მათ მეზობლად რომ ცხოვრობს, არიან ჰროსები (Hrōs)<sup>2</sup>, მამაკაცები გრძელი ასოებით, რომელთაც არავითარი იარაღი არა აქვთ და რომელთა ტარება ცხენებს არ შეუძლიათ, ვინაიდან მათ დიდი ასოები აქვთ. – შემდეგ აღმოსავლეთით, ჩრდილოეთის ძირში, კიდევ სამი შავი ტომი ცხოვრობს.

ჰუნნებმა ოცი თუ მეტი წლის წინ გამოსცეს თავიანთ ენაზე წიგნები; საბაბა რომელიც უფალმა მისცა, მე მოგიტხოვრებ, როგორც მე ეს სანდო კაცებისაგან გავიგონე: იოანე რეშაინელისაგან, (Reš'ainâ), რომელიც Beth Ishâkûnê- ს მონასტერში იყო ამიდის მახლობლად, და თომა მეტყავისაგან (βασσευδ), რომლებიც 50 თუ მეტი წლის წინათ<sup>3</sup> დატყვევებულ იქმნენ კავადის მიერ. შემდეგ, როდესაც იმათ სპარსელთა სამეფოს მიაღწიეს, ისინი ჰუნნებს მიჰყიდეს, და მივიდნენ «კ ა რ ე ბ ი ს» იქით მდებარე ქვეყანაში; ამათ მიწაწყალზე დაჰყვეს მათ ოცდაათ წელზე მეტი, შეირთეს ცოლები და ეყოლათ იქ შვილები. ამჟამად ისინი უკვე უკან არიან დაბრუნებული და თავიანთი ცხოველი სიტყვით შემდეგი გვიამბეს. როდესაც რომაელთა სამეფოდან წამოყვანილი ტყვეები, რომლებიც ჰუნნებს მიჰყავდათ, ამათ (ჰუნნების) ქვეყანაში შევიდნენ და სამი თუ ოთხი წელი დაჰყვეს იქ, ანგელოზი გამოეცხადა ერთ კაცს, სახელად Qardûst ს, ეპისკოპოსს ა რ რ ა ნ ი ს (Arrân) ქვეყნისა, და, როგორც ეს თვით ეპისკოპოსმა თქვა, მიმართა მას: „გაემართე სამი სათნო მღვდლით დაბლობში და მიიღე ჩემგან დავალებები, რომელნიც შენ გამოგიგზავნა სულთა უფალმა; მე ვარ იმ ტყვეთა მფარველი ანგელოზი, რომლებიც რომაელთა სამეფოდან წარმართთა ქვეყანაში მივიდნენ. მე ღმერთს მო-

<sup>1</sup>) Ammartê ქართულად ნიშნავს «ცეროდენა» (ქონდრის კაცი); ცეროდენები, ძალკაცები და ამაზონები – ზღაპრული ხალხები (J. M a r q u a r t, Streitzüge 356).

<sup>2</sup>) გერმანელ გამომცემელთ ეს ხალხიც ზღაპრულად მიაჩნიათ და ფიქრობენ (თუმცა არა დაბეჯითებით), რომ აქ ბერძნული Ἡραεξ (.გმირები“ „ბუმბერაზები“) იგულისხმება. ი. მ ა რ კ ვ ა რ ტ ი სპეციალურად იკვლევს ამ ტომის სახელწოდებას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ «ჰროსები» ('Pαξ, Rô) ჰერულებს უდრის და რომ მათი ეს სახელწოდება შემდეგ, IX საუკ. დასაწყისში, გადატანილი იქმნა ჩრდილოეთიდან შავი ზღვისა და მეოტის ტბის სანაპიროებზე მოსულ შვედურ ტომზე (J. M a r q u a r t, Streifzüge 356 – 391).

<sup>3</sup>) იგულისხმება 504 წელი, როდესაც სპარსეთსა და ბიზანტიას შორის გაწაფდა მტრული ურთიერთობა (ანასტასი კეისრის დროს).

ვახსენე მათი ლოცვა და მან მითხრა, თუ რა უნდა გითხრა შენ“. და როდესაც ის Qardust-ი, – რაც ბერძნულად თეოკლეტოს გადმოითარგმნება, ხოლო არამეულად «ღმრთის მიერ ხმობილს» ნიშნავს, – აღტაცებით გავიდა დაბლობში და მასთან ერთად სამი მღვდელი იყო, ანგელოზმა მიმართა მათ: „წადით წარმართთა ქვეყანაში, მონათლეთ ისინი, რომლებიც მკვდრებს ემსგავსებიან, დაუყენეთ მღვდელი, აზიარეთ საიდუმლოს და ანუგეშეთ ისინი; აჰა, მე თქვენთან ვარ და მე თქვენ იქ სიყვარულს მოგიხვეჭთ; იქ წარმართთა შორის ნიშებს მოიღებთ და იპოვით იქ ყველაფერს, რაც თქვენი ღვაწლისათვის საჭიროა“. მათთან ერთად წავიდა ოთხი სხვაც და იმ ქვეყანაში, სადაც არავითარი სათნოიანობა არ მოიპოვება, ეს შვიდი სასულიერო პირი სადამოდან სადამოდმე ჰპოულობდა ღამის სათევს, შვიდ პურს და ერთ დოქ წყალს. მაგრამ ისინი «კარებით» კი არ შესულან, არამედ ისინი მთებზე გადაიყვანეს. როდესაც ისინი იქ მივიდნენ, ესაუბრენ ტყვეებს, ბევრი მონათლეს და ზოგიერთი ჰუნთაგანიც მოაქციეს. იმათ დაჰყვეს იქ ერთი კვირა-წელი და გამოუშვეს იქ წინები ჰუნურ ენაზე. იმ დროს იქ პრობე იმყოფებოდა, რომელიც კეისარს დესპანად (πρεσβεία) გაეგზავნა, რათა იქ მეომრები დაექირავებინა წარმართებთან ბრძოლისათვის<sup>1</sup>. როდესაც მან ჰუნებისაგან იმ წმინდა კაცების შესახებ შეიტყო და ტყვეების შესახებაც დაწვრილებით გაიგო, ძალიან უნდოდა ისინი ენახა. და მან ისინი კიდეც ენახა, მიიღო მათგან დალოცვა და ძალიანაც პატივი სცა იმ წარმართთა თვალზე წინ. როდესაც ჩვენმა კეისარმა გაიგო მათ შესახებ იმ ზემოთ მოხსენებული შემთხვევის შესახებ, რომელიც იმნაირად მოილო უფალმა, ბრძანა ახლომდებარე რომაული ქალაქების მიდამოებში ოცდაათი ჯორი დაეტვირთათ და გაუგზავნა ეს იმათ: აქ იყო ფქვილი, ღვინო, ზეთი, სელი და სხვა საგნები, აგრეთვე წმინდა ჭურჭელი; და პირუტყვებიც მისცა მათ საჩუქრად. პრობე ხომ მორწმუნე და მოსიყვარულე კაცი იყო და კარგ საქმეს, ამის მსგავსს, გულთბილად ეკიდებოდა. ორი კვირა-წლის შემდეგ ის (Qardust-ი) წავიდა და სხვა არმენიელი ეპოსკოპოზი, სახელად მაკი (Mark, Maku) კარგ დროს მოვიდა თავისით, თან ახლდა რამდენიმე მღვდელი, თავისიანი, მან ააშენა ერთი აგურის ეკლესია, დარგა ზოგიერთი მცენარე და

<sup>1</sup>) პრობეს გაგზავნის შესახებ ჰუნების ქვეყანაში მოგვითხრობს პროკოპი კესარიელი BP I 12: იუსტინემ «ბოსპორში გაგზავნა დიდძალი ფულით პრობე, გარდაცვალებული ანასტასის ძმისწული, პატრიკიოსი, რათა ჰუნების ჯარი ფულის საშუალებით დაეყოლიებინა და იბერთა დასახმარებლად გაეგზავნა» (იხ. გეორგიკა II 22).

დათესა სხვადასხვა თესლეული, მოიღო ნიშები და მონათლა მრავალი. წარმართთა მთავრებმა რაღაც ახალი რომ დაინახეს, გაუკვირდათ, გაიხარეს ამ კაცების ღვაწლით და პატივისცემით, მოეპყრენ მათ; ყველა ეძახდა მათ თავის ქვეყანაში და თავის ხალხში და სთხოვდა მოძღვრად დაგვიდევო. და, აჰა, ისინი დღემდისაც იქ არიან <sup>1</sup> (L a n d 337 – 339; A. – K. 251,20 – 255,37).

### პეტრე ქართველი.

როდესაც თეოდოსი (იერუსალიმელი ეპისკოპოზი) გარდაიცვალა, ის ნეტარი პეტრე (იბერიელი), ჩვენი მამა, ალექსანდრიაში იყო (L a n d 343; A.-K. 260, 1 – 3).

ჩვენი მამის, მთავრისა და არქიმანდრიტის, წმინდა რომანოზის ხსოვნა აღინიშნება ტემურინ II (ნოემბრის) 25-ს, ექვსი დღით ადრე ჩვენი მამის პეტრე ეპისკოპოზის ხსოვნის დღისა; ვინაიდან მათ ძმური და თანაბარი პატივის ღირსი სათნოებანი მოიპოვეს, მათ ეკადრებოდათ, რათა მათ მოსახსენებელი დღეები ჰქონოდათ და რათა ისინი ძმები და მეზობლები ყოფილიყვნენ (L a n d 346; A.-K. 262, 31 – 263,1).

---

<sup>1</sup>) ჰ. გ ე ლ ც ე რ ი ფიქრობს, რომ ეს ჰუნნები, რომლებიც, ალბანელების მიერ იქმნენ მოქცეული, საბირები არიან (A.-K. 383).

---

## აგათია სქოლასტიკოსი

აგათია (Ἀγαθία), მემნონის ძე, დაიბადა მცირეაზიის ეოლიის ქალაქ მირინაში 536 წელს; მიიღო იურიდიკული განათლება ალექსანდრიასა და კონსტანტინეპოლში და შეუდგა ვექილობას (აქიდან მისი სახელწოდება σχολαστικός) <sup>1</sup>. გარდაიცვალა 582 წელს.

ლიტერატურის ისტორიაში აგათია ცნობილია, როგორც პოეტი და ისტორიკოსი. მისი სალიტერატურო მოღვაწეობის პირველ ხანებს ეკუთვნის ჩვენამდე ნაწყვეტების სახით მოღწეული ეპიკური Δαφνιάκა და შვიდი წიგნისაგან შემდგარი კრებული ეპიგრამებისა (მათ შორის საკუთარისაც) <sup>2</sup>. ეს ეპიგრამები შინაარსის მხრივ მრავალფეროვანია (საფლავის ეპიგრამები, სიყვარულის ეპიგრამები, საოხუნჯო ეპიგრამები და სხვა) და ამჟღავნებენ ავტორის უეჭველ ტალანტს როგორც მეტრიკულ გამართვაში, ისე მხატვრულ გამოთქმათა მოძებნაში. მაგრამ, რამდენადაც VI საუკუნის მეორე ნახევარში ანტიკურ ყაიდაზე ეპიგრამების წერა ხელოვნურად მოთრეული ამბავი იყო, აგათიას ეს ეპიგრამებიც მოკლებულია ორიგინალობას და გადამეტებული სიზვიადით ხასიათდება.

<sup>1</sup>) ამ ბიოგრაფიულ ცნობებს იძლევა თვითონ აგათია თავის «ისტორიაში». ის სწერს შესავალში (Dindorfius 135): «ჩემი სახელია აგათია, სამშობლო მირინა (Μυρινά, Μυρρινά), მამის სახელი – მემნონიოსი; ჩემი ხელობაა რომის კანონები და სასამართლოს საქმეები. მირინას ვამბობ არა თრაკიის ქალაქს, არც რომელსამე სხვას, ევროპაში ან ლიბიაში (ე. ი. აფრიკაში) რომ არის ამ სახელწოდებით, არამედ აზიის ქალაქს ვგულისხმობ, ოდესდაც ეოლიელების მიერ დაარსებულს, მდინარე პითიკის შესართავთან, იმ მდინარის, რომელიც ლიდის ქვეყანაზე გადის და ელეატის ყურის განაპირა უბეს რომ ერთვის».

<sup>2</sup>) ამის შესახებ თვითონ აგათია სწერს (Dindorfius 133): «ბავშვობიდანვე მიზიდავდა საგმირო რითმი და მხიბლავდა პოეზიის ნაზ ხვეულთა სიტკბოება, და, აი, მეც შევთხზე ჰეგზამეტრებში მოკლე პოემები, – რომელთაც Δαφνιάკა ეწოდება, – შეფერადებული ეროტიკული მითებით და სავსე ანაირი მიმზიდველი ამბებით. გარდა ამისა იმთავითვე ქების ღირსად და არა უმადურ საქმედ მივიჩნიე, რომ, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შემეკრიბა ახალი ეპიგრამები, რომლებიც მრავლად იყო შეთხზული ცალკე მწერლების მიერ და გაფანტული იყო აქამდე, თითოეული მათგანი წესრიგში მომეყვანა და ისე გამომეცა. ბევრი სხვა თხზულებაც გამოვაქვეყნე....»

იუსტინიანე კეისრის გარდაცვალების (565 წ.) შემდეგ აგათია საისტორიო შრომის წერას შეუდგა, რომელშიაც განიზრახა იუსტინიანეს დროინდელი ამბების აღწერა იმ დროიდან, სადაც პროკოპი კესარიელი შეჩერდა. მან მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა თავისი გეგმა: პროფესიული საქმეებით დატვირთულობის (თუ სხვა მიზეზის) გამო მან ვეღარ დაამთავრა თავისი შრომა, რომლის მოტანა, ყოველ შემთხვევაში, 577 წლამდე, მას განზრახული ჰქონდა. ეს შრომა ჩვენამდე მოღწეულია: მას ეწოდება *Περὶ Ἰουστινιανῶν βασιλείας*, შედგება ხუთი წიგნისაგან და შეიცავს 552 – 558 წლების ამბებს. პირველი წიგნი და მეორე წიგნის ნახევარი ეხება სარდალ ნარსესის ლაშქრობებს დასავლეთის ფრონტზე; თხრობა მოტანილია ალამანების დამარცხებამდე იტალიაში. დანარჩენ წიგნებში აღწერილია აღმოსავლეთის ფრონტზე მომხდარი ამბები (558 წლამდე).

სპარსული ომების აღწერისას აგათიას სხვა წყაროთა შორის სპარსული ქრონიკები გამოუყენებია, რომელთაც მას აწვდიდა და უთარგმნიდა თარგმანი ს ე რ გ ი<sup>1</sup>. წერის მანერაშის პროკოპი კესარიელს ჰბაძავს, მაგრამ ერუდიციითა და სამწერლო ნიჭით მას ბევრად ჩამოუვარდება. 552 – 558 წლების პერიოდისათვის აგათია ჩვენთვის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

ჩვენს განკარგულებაში იყო შემდეგი გამოცემები:  
Niebuhrius, B. G. *Agathae Myrinaei Historiarum libri*

<sup>1</sup>) «სპარსეთის მეფეების მემკვიდრეობა და წელთა რიცხვი და, მოკლედ რომ მოვჭრა, ყველაფერი ის, რასაც შეგპირდით, აღწერე უკვე – ამბობს აგათია (IV, 30) – და ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს ძალიან სწორად არის მოთხრობილი და ზედმიწევნით დამუშავებული, ვინაიდან სპარსული წიგნებიდან არის ეს ცნობები გადმოღებული. როდესაც მთარგმნელი ს ე რ გ ი იქ იყო, სამეფო საბუთების მცველებსა და გამგეებს შეეხვეწა გაეცნოთ მისთვის ეს წიგნები (მე მისთვის არა ერთხელ მითხოვია ეს ექნა), თან მიზეზიც აუხსნა – სხვა რამისთვის კი არ მესაჭიროება, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენშიაც შემოვიღოთ ის თქვენი წესები, რომლებიც გონიერი და პატივსადებიანო. ისინიც სიამოვნებით დაეთანხმნ და მაშინვე შეუსრულეს თხოვნა; ისინი ფიქრობდენ, რომ მათი მეფეებისთვისაც სასახელო იქნებოდა, თუ რომაელები მათ გაიცნობდენ, – თუ ვინ იყვნენ და როგორნი იყვნენ, და რანაირად გადარჩა მათი მოდგმა, ს ე რ გ ი მ ა ც წამოიღო სახელები და წლები (ქრონიკები), და მათში მომხდარი მთავარი ამბები, და საუცხოოდ გადმთარგმნა ბერძნულ ენაზე (ის ხომ ყველაზე უკეთესი მთარგმნელი იყო და ხოსროც გაკვირვებული იყო: მას ორივე სახელმწიფოს მეცნიერთა შორის პირველი ადგილი ეჭირა); თარგმანი ზედმიწევნითი სისწორით იყო შესრულებული. და ყველაფერი გადმომცა და ამით დამიმტკიცა ნდობა და მეგობრობა (D i n d o r F i u s 344)



quinque cum versione Latina et annotationibus Bon. Vulcanii.  
Bonnae 1828.

D i n d o r f i u s Ludovicus, Historici Graeci Minores, vol. II,  
132 – 432. Lipsiae 1871.

C a r o l u s de B o o r, Excerpta de legationibus (iussu imp.  
Constantini Porphyrogeniti confecta), 438 – 441 (ნაწყვეტები).  
Berolini, 1903.

S t r i t t e r J. G. Memoriae Populorum... Tomus IV. Petro-  
poli 1779.

C o u s i n, Histoire de Constantinople, depuis la règne de l'  
Ancien Justin jusqu' à la fin de l' Empire. Tome II, 345 – 559.  
Paris, 1685.

D I e t e r i c h Karl, Byzantinische Quellen zur Länder – und  
Völkerkunde, I – II. Leipzig 1912.

ჩვენ მიერ დაბეჭდილ ბერძნულ ტექსტს საფუძვლად უდევს  
დ ი ნ დ ო რ ფ ის გამოცემა <sup>1</sup>.

### შესავალი.

Τὰ μὲν γὰρ πλεῖστα τῶν κατὰ  
τοὺς Ἰουστινιανῶν χρόνους γεγε-  
νημένων ἐπειδὴ Προκοπίῳ τῷ ῥήτο-  
ρι τῷ Καισαρείᾳθεν ἐς τὸ ἀκριβῆς  
ἀναγέγραπται, παρὶτέον ἐκείνα  
ἔμοιγε, ἅτε δι' ἀποχρώντως εἰρη-  
μένα· τὰ δὲ μετ' ἐκείνου ἄς ἴδῃ  
τε διεξίτεον. προσίμια μὲν γὰρ  
αὐτῷ τῆς ἱστορίας Ἀρχάδιος ἀπο-  
βίσις· ἐπιπέθη καὶ τῷ ἐκείνου  
παιδί Θεοδοσίῳ Ἰσχυέρου ἐ Περ-  
σῶν βασιλεὺς κηδεμῶν γεγεννημέ-

ვინაიდან რიტორ პროკოპი კე-  
სარიელს ზედმიწევნით აქვს აღწე-  
რილი უმეტესი წილი იუსტინიანეს  
დროს მომხდარი ამბებისა, აღარ  
არის საჭირო მეც შევუხო ამათ,  
რადგან მათზე საკმარისად არის  
ნათქვამი, ხოლო მე ამის შემდეგს  
ამბებს აღვწერ. პროკოპის ისტო-  
რიის შესავალს წარმოადგენს არ-  
კადის გარდაცვალება და ის, თუ რო-  
გორ გახდა მისი შვილის თეოდო-  
სის მზრუნველად სპარსელთა მეფე

<sup>1</sup>) აგათიას «ისტორიის» ტექსტის კრიტიკული გამოცემად, სამწუხაროდ,  
ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. მთავარ გამოცემელთა, ნ ი ბ უ რ ი ს ა და დ ი ნ -  
დ ო რ ფ ის, მიერ ხელნაწერთა სრული აღწერილობაც კი არ არის მოცემული:  
დინდორფს თავის გამოცემაში არც ტექსტუალური ვარიანტები აქვს აღნიშნული,

νος, τὰ τε Οὐαραράνη καὶ Περὸζη  
 ξυνενεχθέντα, καὶ ὅπως Καβάδης  
 βασιλεὺς καταστὰς ἀφίρηται τὴν  
 ἀρχὴν καὶ εἶτα θάπτον αὐτὴν  
 ἀνεκομίσαστο, ὅπως τε Ἄμιδα ἦλθ  
 πρὸς αὐτοῦ, Ἄναστασίου Ῥωμαίων  
 βασιλεύοντος, καὶ ὅσους ἀμύς μετ'  
 ἐκείνον Ἰουστίνος ὁ πρεσβύτερος  
 ἐν τῷδε τῷ ἔργῳ διεδέξατο πρό-  
 νους. ἐξῆς δὲ τοὺς Περσικοὺς  
 πολέμους ὁπόσοι δὴ πρὸς τε Κα-  
 βάδην καὶ Χοσρόην ἀμφὶ Συρίαν  
 καὶ Ἀρμενίαν, καὶ μὲν δὴ καὶ τὰ  
 Λαζῶν ἑρῖα Ἰουστινιανῷ τῷ Ῥω-  
 μαίων αὐτοκράτορι διαπεπολέμην-  
 ται, τούτους δὲ ἅπαντας ἐκ τῶν  
 Πρακοπίου λόγων ἄριστα ἂν  
 διαγνοιῆς. (Dindorfius HGM  
 II 137, 27—138, 14).

· ἀλλὰ γὰρ καὶ κρόσσα ὕσ. ερον  
 τῷ Ῥωμαίων στρατῷ ἀνὰ τὰ Λα-  
 ζῶν πολιόμενα καὶ Πέτρας τὸ  
 φρούριον, πρὸς τε Χοριάνην καὶ  
 Μερμερίην καὶ τὰ Περσικὰ ἐξείρ-  
 γασται πλήθη, καὶ ταῦτα ἐκείθεν  
 ἀναλεχτέον. (HGM II 139, 14-18).

ისდიგერდი; შემდეგ ის აღწერს, თუ  
 რა ამბებს ჰქონდა ადგილი ვარა-  
 რანისა და პეროზის დროს და რო-  
 გორ უმტყუნა ბედმა კავადს და  
 დაჰკარგა ძალაუფლება, ხოლო  
 ცოტა ხნის შემდეგ აღიდგინა ის  
 და აიღო ამიდა, როდესაც რომა-  
 ელთა მეფედ ანასტასი იყო; აღწერს  
 იმასაც, თუ მის შემდეგ რა ჯაფა  
 გადაიტანა ამავე საქმისათვის მო-  
 ხუცმა იუსტინემ. შემდეგ ის აღწერს  
 სპარსულ ომებს, რომლებიც აწარ-  
 მოვა რომაელთა თვითმპყრობელმა  
 იუსტინიანემ კავადისა და ხოსროს  
 წინააღმდეგ სირიისა და არმენიის  
 მიდამოებში და აგრეთვე ლაზთა  
 საზღვრებში; – ყველაფერ ამას საუ-  
 კეთესოდ გაიგებს ადამიანი პროკო-  
 პის წიგნებიდან...

შემდეგ იქ (პროკოპის თხზულებებ-  
 ში) იმასაც წაიკითხავს ადამიანი,  
 თუ რა მოიმოქმედა რომაელთა  
 ჯარმა ლაზთა ქალაქების მიდა-  
 მოებში და პეტრას ციხეში ხორია-  
 ნეს, მერმეროეს და სპარსელთა  
 ლაშქრის წინააღმდეგ.

### ხუთწლიანი ზავის შედეგები ლაზიკისთვის.

Πλήν ἄλλ' ἔμοιγε νῦν τὰ  
 ποιαῦτα παρέντι καὶ ἀμύς τοῦ

II 18. მაგრამ მე ამჟამად თავს და-  
 ვანებებ ამათ<sup>3</sup>, და ვუბრუნდები ჩემს

ჩვენც ქვემოთ მოყვანილ შენიშვნებში ვემყარებით, უმთავრესად, იმ ვარიანტებს,  
 რომლებიც ნიბურს აქვს თავის გამოცემაში მოყვანილი,

[R უდრის Codex Rehdigeranus, 1560 წლისას; L – Lugdunensis, XIV  
 საუკ; *vulg.* – Vulgata, ე. ი. ლუგდუნისა და იმ გამოცემათა, რომლებიც მისგან  
 მიმდინარეობენ; P – პარიზის გამოცემა 1660 წლისა, ე. წ. პარიზის კორპუსში].

1) Ουαραράνη R, Ουαρανη *vulg.* – 2) Ἀμιδον R.

3) წინა თავში ლაპარაკი იყო ბერძნების კუნძულებზე, იონიელებზე და სხვ.

προτέρου λόγου ἐχρήμενῃ ἐπὶ τὴν τῶν Λαζῶν χώραν καὶ τοὺς Περσικοὺς πολέμους ἰτέα, ἐπεὶ καὶ κατὰ τοὺς αὐτοὺς χρόνους ἐπράττετο ἕκαστα.

Ῥωμαίοις γὰρ καὶ Πέρσαις ἤδη μὲν ἐκ πλείστου μέγιστος πόλεμος ξυνειστήκει, καὶ θάμα τὴν ἀλλήλων ἐδῆσαν καὶ ἐλυμαίνοντο, νῦν μὲν ἐσβολὰς ἀκηρύκτους μηχανώμενοι καὶ ἐφόδους, νῦν δὲ πολλῶν στρατῶν ἐς ἐμφανεῖς παρατάξεις χωροῦντες. ὀλίγη δὲ ἔμπροσθεν ἐκεχειρίαν ἐπεπαήντο, ἐφ' ᾧ μὲντοι οὐ τελεωτάτην ἄγειν εἰρήνην, οὐδὲ ὥστε πάντοθεν τῶν κινδύων πεπαῦσθαι, ἀλλ' ἔσον μόνον ἀνὰ τὴν εἰρὴν καὶ τὴν τῆς Ἀρμενίας ἕρῃα ἕκατέρῃ γένει ἐσπεῖσθαι, ἀμφὶ δὲ τὴν Κολχίδα γῆν τὸν πῦλεμον διαφέρειν. ὅτι δὲ Λαζοὶ Κόλχοι τὸ πηλαιὸν ὠνομάζοντο καὶ οὗτοι ἐκαίνοι τυγχάνουσιν ὄντες, τοῦτό γε οὐκ ἂν τις ἀμφιγοήσειε τεχμαιρούμενος τῶν τε Φάσιδι καὶ Καυκάσῳ καὶ τῆ περὶ τούτα ἐκ πλείστου οἰκήσει. λέγεται δὲ τοὺς Κόλχους Λίγυπτίων εἶναι ἀποίκους. φασὶ γὰρ πολλῶν ἔμπροσθεν τοῦ ἐπί-

პირველ თხრობას და გადავალ ლაზთა ქვეყანაზე და სპარსულ ომებზე და აღვწერ თითოეულ ამბავს, ამ ხანებში რომ მოხდა.

რომაელებსა და სპარსელებს შორის უკვე დიდი ხანია სასტიკი ომი სწარმოებდა და ხშირად ერთმანეთის ქვეყანას აწიოკებდენ და ვნებას აყენებდენ: ხან მოულოდნელად შეეჭრებოდენ და თავს დაესხმოდენ, ხან კიდევ დიდი ჯარით აშკარა შებრძოლებას აწყობდენ. ცოტა ხნის წინათ დროებითი ზავი შეკრეს, იმიტომ კი არა, რომ საბოლოო ზავი ჩამოეგდოთ. არც იმიტომ, რომ ყველგან შეეწყვიტათ საომარი მოქმედება, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ერთმანეთს დროებით დაზავებოდენ აღმოსავლეთით და არმენიის საზღვრებზე; კოლხიდის ქვეყანაში კი ომს განაგრძობდენ <sup>1</sup>. ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუ კი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას. ამბობენ, რომ კოლხები ეგვიპტიდან გადმოსახლებულნი არი-

<sup>1</sup>) ეს დროებითი ხუთწლიანი ზავი, პროკოპი კესარიელის ცნობით, დაიდვა 552 წელს და მას ლაზეთში სპარსელების მტრული მოქმედების შეწყვეტა, მართლაც, არ მოჰყოლია შედეგად: «ეს დროებითი ზავი – სწერს პროკოპი BG VIII, 15 – დაიდვა რომაელებსა და სპარსელებს შორის ოცდამეხუთე წელს იუსტინიანე მეფის თვითმპყრობელური მმართველობისა... სპარსელებმა დადვეს ის იმ მიზნით, რომ ხუთი წლის განმავლობაში ისინი არავინ შეაწყუბოს და ამა-სობაში უშიშრად და იოლად ჩაიგდონ ხელში კოლხიდის საუკეთესო ადგილები» (იხ. გეორგიკა II, 166 – 167).

πλου τῶν ἀμφὶ τὸν Ἰάσονα ἡρώων καὶ πρὸ γε τῆς τῶν Ἀσσυρίων ἐπικρατείας καὶ τῶν Νίνου τε καὶ Σεμράμδος χρόνων Σέσωστριν τὴν βασιλέα Αἰγύπτου μεγίστην στρατιάν ἐκ τῶν ἐπιχωρίων ἀγείραντα καὶ ἄπασαν τὴν Ἀσίαν ἐπελθόντα καὶ καταστεινόμενον, ἀλλὰ καὶ ἐν τῇδε ἀφικέσθαι τῇ χώρῃ, ἀπόμοιράν τε ἐνταῦθα καταλιπεῖν τοῦ ὀμίλου, καὶ τοῖνον ἐνθῆνδε τὸ Κόλχον κατιγέσθαι γένος. τοῦτο δὲ Διόδωρος τέ φησιν ὁ Σικελιώτης καὶ ἄλλοι ὡς πλείστοι τῶν παλαιῶν ἱστοριογράφων. οἱ δὲ οὖν, εἴτε Λαῶνοι εἴτε Κόλχοι εἴτε Αἰγύπτιοι μετανάσται, περιμάχητοι ἐν τῷ καθ' ἡμᾶς γεγένηται χρόνῳ, καὶ πλείστοι ὄσοι ἀγῶνας τῆς τοῦτων γε ἕκατι καταβέβληνται χώρας. Χοσρῆς τε γὰρ ὁ Περσῶν βασιλεὺς ἦδη πλὴν καὶ ἐπικαιρότατα τῶν ἐκείνη χωρίων σφετερισάμενος καὶ κατέχων οὐκ ᾔφεται δεῖν μεθίνασι, ἀλλὰ καὶ τὰ λοιπὰ χειρώσασθαι διανοεῖτο, Ἰουστινιανῷ τε τῷ Ῥωμαίων αυτοκράτορι καταπροσθῆναι Γοβᾶζην τὸν Λαῶν ἐν τῇ τότε βασιλέα καὶ ἄπαν τὸ ἔθνος, κατηκόους ὄντας

ან. როგორც გადმოგვცემენ, დიდი ხნის წინ იაზონის გმირთა გადმოსვლისა და უწინარეს ასირიელთა ბატონობისა და ნინეს და სემირამიდის დროისა ერთმა ეგვიპტელმა მეფემ, სესოსტრიმ, დიდძალი ჯარი რომ შეკრიბა ადგილობრივ მცხოვრებთაგან და მთელს აზიას რომ შეესია და დაიპყრო, ამ ქვეყანაშიც მოვიდა და ერთი ნაწილი ჯარისა აქ დასტოვა; აი, აქიდან წარმოიშვა კოლხთა მოდგმა. ამას გადმოგვცემს დიოდორე სიკელიელი და სხვა მრავალი ძველი ისტორიათმწერალი<sup>1</sup>. და, აი, ესენი – ლაზები არიან ისინი, თუ კოლხები, თუ ეგვიპტიდან გადმოსახლებულები – დავის საგანი გახდენ ამ ჩვენს დროში და მეტი წილი ბრძოლებისაც სწორედ მათი ქვეყნის გამო მოხდა. ხოსრო, სპარსელთა მეფე, თუმცა მას მითვისებული და უკვე დამორჩილებული ჰქონდა იმ მიდამოების მრავალი და მეტად მნიშვნელოვანი ადგილები, მაგრამ იმით დაკმაყოფილებას კი არ ფიქრობდა, არამედ განზრახვა ჰქონდა დანარჩენი ადგილებიც ჩაეგდო ხელში; იუსტინიანეს კი, რომაელთა თვითმპყრობელს, სრულიადაც არ მიაჩნდა მისაღებად შელეოდა გუბაზს, რომელიც მაშინ ლაზთა მეფე

<sup>1</sup>) Diodorus I 28, I 55; Herodotus II 103 – 105. ჰეროდოტე (I, 104) კოლხების ეგვიპტური წარმოშობილობის დამამტკიცებელ საბუთად თვლის წინადაცვეთის წესის არსებობას მათ შორის. ამასვე იმეორებს ძვ. წ. I საუკ. ისტორიკოსი დიოდორე სიკელიელი, რომელიც ამბობს (I, 55): «რომ კოლხების ტომი ეგვიპტური წარმოშობისაა, ამაზე მიგვიითითებს ის გარემოება, რომ აქ კაცები, მსგავსად ეგვიპტის მცხოვრებლებისა, წინადაცვეთას მისდევენ, რადგან იცავენ სამშობლოდან (ე. ი. ეგვიპტიდან) გადმოსახლებულთა წესისევე როგორც ეს იუდეელებშია მიღებული».

καὶ εὖνοὺς καὶ τὰ ἐξ ἡθῶν ἰσογνώ-  
μονας, οὐκ ἀνεκτὰ εἰδῆσαι οὐδὲ  
ὄσιον. μᾶλλον μὲν οὖν καὶ ἐπει-  
ράτο παντὶ σφίνοι ἀπώσασθαι ὡς  
τάχιστα τοὺς πολεμίους. ἐλογιζέτο  
γὰρ καὶ ἐδεδῆει ὡς εἰ τῆς πολέμου  
κρατήσαιεν οἱ Πέρσαι, καὶ ἀπύ-  
σης ἐπιλάβοιεν τῆς χώρας, οὐ-  
δὲν ἔσται τὸ κωλύον αὐτοὺς ἀνά-  
τὸν Εὐξείνιον πόντον ἀδεῶς ναυτιλ-  
λομένους τὰ ἐνδότατα τῆς Ῥω-  
μαίων ἀρχῆς ἀνιχνεύειν. τοιγάρ-  
τοι στρατεύματά τε μέγιστον καὶ  
ἀλκιμώτατον ἐνταῦθα ἔταξεν καὶ  
στρατηγῶν ἐπέστησεν τοὺς ἀρίσ-  
τους. Βέσσης τε γὰρ καὶ Μιρτι-  
νος καὶ Βούζης ἦγεῖτ', ἄνδρες ἐν-  
ταῖς μάλιστα γεγενημένοι καὶ πο-  
λέμους συχνούς ἀγωνισάμενοι. ἔσ-  
ταλτο δὲ καὶ Ἰουστίνος ὁ Γερ-  
μανοῦ, γεάζων μὲν ἔτι κομιδῆ,  
τὰ δὲ πολέμια ἤδη πεπαιδευμένος  
(HGM II 209—211).

იყო, და მთელს ერს, რომელიც  
რომაელთა ქვეშევრდომი იყო, კე-  
თილმზრახველი და ერთმორწმუნე.  
მით უფრო სულით და გულით  
სცდილობდა, რაც შეიძლება მალე  
ყოფილიყო მტერი მოგერიებული.  
მას აფიქრებდა და აშინებდა ის,  
რომ, თუ სპარსელები ომში გა-  
იმარჯვებდნ და მთელ ქვეყანას  
აიღებდნ, აღარაფერი დააბრკო-  
ლებდა მათ უშიშრად შემოეცურათ  
ევქსინის პონტოთი და ძალიან  
ღრმად გაეკვალათ გზა რომაელთა  
სამეფოში <sup>1</sup>. ამიტომ მან ძლიერი  
და მამაცი ჯარი გაგზავნა იქ და სა-  
უკეთესო სტრატეგოსებიც დაუყენა  
სათავეში. წინამძღოლობდნ ზესსა,  
მარტინე და ბუზე <sup>2</sup>, მართლაც რომ  
ვაჟკაცნი და ხშირ ომებში გამო-  
ბრმმედილნი. გაგზავნილ იქმნა აგ-  
რეთვე იუსტინეც <sup>3</sup>, გერმანეს შვილი,  
მართალია სრულიად ახალგაზრდა,  
მაგრამ ომებში უკვე გამოწვრთნილი.

<sup>1</sup>) აგათია აქ პროკოპის მისდევს, როდესაც მიუთითებს მთავარ საშიშროე-  
ბაზე, რომელიც უნდა მოჰყოლოდა სპარსელების გამარჯვებას ლაზიკეში: ლაზი-  
კეში გამარჯვებით სპარსელებს გზა ეხსნებოდათ ბიზანტიის ტერიტორიისაკენ  
და თვით კონსტანტინეპოლისაკენ. რასაც აქ აგათია იუსტინიანეს სახელით გად-  
მოგვცემს, იმას პროკოპი საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებად გვისახავს:  
«მეტი წილი რომაელებისა – სწერს პროკოპი BG VIII 15 – ამ ზავით ძალიან  
უკმაყოფილო დარჩა... ა მ ბ ო ზ დ ე ნ... აქიდან მათ (ე. ი. ლაზიკიდან სპარსელების)  
გამევეებას ვერასდროს და ვერავითარი ხერხით ვეღარ შესძლებენ რომაელები და  
ბიზანტიონიც სპარსელებისათვის იქიდან ადვილი მისადგომი გახდება ამიერი-  
დანო» (იხ. გეორგიკა II, 167).

<sup>2</sup>) ბუზეს და ზესსას შესახებ იხ. გეორგიკა II 124 – 125, 149 – 150 შენი-  
შვნები; მ ა რ ტ ი ნ ე ს შესახებ იხ. ქვემოთ გვ. 45.

<sup>3</sup>) იუსტინე იყო გერმანეს (იუსტინიანეს ძმის შვილიშვილის) და პასსარას  
შვილი. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც მას – პროკოპის ცნობით – 540 წ. კონ-  
სულთა მისცეს (BG VII, 352) ამ წელს ის გერმანეს გაჰყვა სირიაში, სპარსეთის  
ფრონტზე. 550 წ. ის იტალიაში წავიდა გერმანესთან ერთად. ამავე წლის ბო-  
ლოს მან მონაწილეობა მიიღო ადრიანოპოლის ბრძოლაში სლავების წინააღმდეგ

### ბრძოლა ტელეფისის წინააღმდეგ 553 წელს.

Μερμερόης δὲ ὁ τῶν Περσῶν στρατηγὸς ἐπειδὴ πρότερον Ἀρχαιοπύλει τε δις προσβαλὼν ἀπέκρουστο καὶ ἄλλα ἄττα ἐπεπράχει ἃ δὴ ἐγώ γε παρήμι, ἀποχρώντως γάρ που Προκοπίῳ τῆ ῥήτορι τὰ μέχρι τῶνδε ἀναγέγραπται, τότε δὴ ἀνῆλθε, ἐνθὲν δὲ γάρ μοι ἀρχομένῃ τα ἐφεξῆς ἀρμοστέον, ἀφίκτο μὲν ἐς Μουχείρισιν τε καὶ Κοτάσιον τὸ φρούριον, ἐβούλετο δὲ τὴν ἐς Τήλεφιν δυσχωρίαν παραμειψάμενος εἶσω τοῦ Φάσιδος γενέσθαι ποταμῶν, καὶ τῆ ἀπροσδοκίῃ τοὺς Ῥωμαίους ἐκπλήξας διὰ πείρας ἐλπίσειν, εἴ πως ἂν ἐνια γούν τῶν τῆδε πολιισμάτων παραστήσασθαι δυναίμην.

II 19. მერმეროე, სპარსელთა სარდალი, მის შემდეგ რაც მან ორჯერ იერიში მიიტანა არქეოპოლისზე და უკუქცეულ იქმნა<sup>1</sup> და სხვა რამეც მოიმოქმედა, რასაც მე აღარ ვეხეზი, ვინაიდან პროკოპი რიტორის მიერ აქამდე საკმაოდ სრულად არის აღწერილი, კვლავ მოვიდა მაშინ (და აქიდან დავინახე მე მიზანშეწონილად ჩემი თხრობა დამეწყო მუხირისში და კოტაისის ციხეში, მონდომა გაველო ტელეფისის ძნელსავალი ადგილები და მდინარე ფაზისამდე მივღწია, მოულოდნელად დაეწიოკებინა რომაელები და ესინჯა, შესძლებდა თუ არა ზოგიერთი იქ მდებარე პატარა ქალაქების დამორჩილებას. ამის მიღწევა კი მის-

(BG VII, 39 – 40). 552 წ. ის სხვებთან ერთად ხელმძღვანელობს საომარ ოპერაციებს სლავების წინააღმდეგ ილირიაში. 552 – 503 წლიდან კი, როგორც აქ ა გ ა თ ი ა აღნიშნავს, ის უკვე ლაზიკის ფრონტზეა და ბესსას ხელმძღვანელობით მონაწილეობას იღებს საომარ ოპერაციებში. როგორც მკითხველი შემდეგ დაინახავს, იუსტინეს მონაწილეობა და როლი ლაზურ ომში ფართოა (Agath. II 19, 21; III 2, 4, 5 – 7, 20 – 28; IV 13, 15, 21, 22, 23, 30; V, 1). ტელეფისში დამარცხების შემდეგ ის იხვეს ნესოსისკენ (II 21). 554 წ. ბესსას გადაყენების შემდეგ მას უჭირავს მეორე სტრატეგოსის თანამდებობა – პირველი სტრატეგოსი მარტინეა (III 2) 555 წ. იუსტინეს წყალობით ბიზანტიელებმა ფაზისთან დაამარცხეს სპარსელები რომელთა მთავარსარდალი ნახორაგანი იყო (III 20 – 28). 556 წ. ის კვლავ ნესოსშია და აქიდან როდოპოლისის აღებას ხელმძღვანელობს (IV 13, 15). 557 წ. რომ მარტინე გადააყენეს, იუსტინემ მიიღო კოლხიდასა და არმენიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალობა (IV 21), ე. ი. ის გახდა Magister militum per Armeniam. 508 წლის შემდეგ იუსტინეს შესახებ ცნობებს იძლევიან მ ე ნ ა ნ დ რ ე და ე ვ ა გ რ ე. პირველის ცნობით იუსტინე ავარებთან აგვარებს ბიზანტიის საქმეებს. – როდესაც 565 წ. ტახტზე იუსტინე კუროპალატი ავიდა, მან იუსტინე, გერმანეს ძე, ალექსანდრიაში გააძევა და ის იქ მოკლულ იქმნა 566 წლის ოქტომბერში, დედოფალ სოფიოს მიერ მიგზავნილი კაცების ხელით (მდ. E. S t e i n REX, 1330 – 1332)

<sup>1</sup>) ამის შესახებ იხ. გიორგიკა II, 179.

ταῦτα δὲ αὐτῶν πράττειν ἐκ τῶν ἐμφανῶν πορευομένων καὶ ἐπιόντι ἀμήχανα ἴν. Μαρτίνος γὰρ ὁ στρατηγὸς ἄμα τῆ ἀμφ' αὐτὸν στρατιᾷ ἐς τὴν Τήλεφον ἰδρυμένην, φρουρίων δὲ τοῦτο καρτερόν τε καὶ ἐχρηάτων, διεφύλακτεν ἐπιμελέστατα τὰ ἐσόδους, ἔστι δὲ καὶ ἄλλως τὸ χωρίον δυσβατόν τε καὶ ἀπρόσοδον. φάραγγές τε γὰρ καὶ πέτραι ἀπερρωγῆται καὶ ἐς ἀλλήλας ἐπικλινόμεναι στενωπώτην ἀτεχνῶς τὴν ὑποκειμένην ἀτραπὸν ἐκτελοῦσιν. ἄλλοθεν δὲ οὐκ ἔστιν ὄψωσιν ἐσιτητέα. τὰ γὰρ ἐχόμενα πεδία (κυῶδη γέ εἰσι θεινῶς καὶ τελευτωδῆ, λόχμοι τε θαλασσοὶ καὶ ὄρυμοι ἀνέχουσιν ὡς καὶ ἐνὶ ἀνδρῶν, καὶ τοῖσιν εὐζῶντι, ἀπορον εἶναι τὸ χρήμα, μήτι γε πλήθεισιν ὀπλισμένοις, πληθὺν ἀλλὰ καὶ ὡς οἱ Ῥωμαῖοι οὐδὲν ἔπουν πόνου ἀνέντες, εἴ ποῦ τι εὖρον τῶν τόπων παραλερόν τε καὶ βᾶσιμον, ἀπὸ τῆς ἕως τε καὶ λίθους περιέφραττον, καὶ ἡμαρᾶ ἐν τοῖσδε ἐμάχθουν. διαπαρομένῳ δὲ οὖν ἐν τοῖς παραῦσι τῷ Μερμερόνι καὶ πλείστα διαλογιζομένῳ προσήλθεν διανοεῖσθαι ὡς εἴ γε ἔτω δὴ οὖν τρέπω διαλύσει τὴν φρουρᾶν τῶν Ῥωμαίων καὶ ἡρέμα ἀπώσοιτο, οὐ πάμπαν αὐτῶν τὰ ἐς τὴν διαβάσιν ἀνίγνυται ἔσται. πολλῶν μὲν γὰρ τῷ χώρῳ ἐνδελεχέστατα ἐφετρευσόντων οὐχ οἶόν τε τὴν ἄμα ἀμφοτέρων κρατήσαι·

თვის შეუძლებელი იქნებოდა, თუ ის აშკარა გზით წამოვიდოდა. სარდალი მარტინე მისი ხელქვეითი ჯარითურთ ტელეფონში დაბინავებულიყო – ეს ციხე მტკიცე და ძალიან მაგარია – და დიდის გულმოდგინეობით იცავდა შესავლებს. ეს ადგილი, სხვათა შორის, ძნელსავალია და მიუდგომელი. ერთი მხრით ნაპრალები, ხოლო მეორე მხრით ციცაბო და ერთი-მეორეზე მიწოლილი კლდეები ქმნიან ერთს მეტად ვიწრო, ბუნებრივად დაგებულ ბილიკს; არც ერთი სხვა მხრიდან არ არსებობს სხვა მისასვლელი გზა, ვინაიდან ირგვლივ მდებარე დაბლობები მეტის-მეტად ჭაობიანი და შლამიანია და მათ გარს აკრავს იმდენად ხშირი ბუჩქნარები და ტყეები, რომ არა თუ შეიარაღებულ რაზმებს, არამედ ერთ კაცსაც კი – ისიც მსუბუქად ჩაცმულს – გაუჭირდება იქ გავლა. გარდა ამისა რომაელებს არავითარი შრომა არ დაუზოგავთ და, თუ სადმე არასაიმედო და ადვილად მისასვლელი ადგილი უპოვიათ, მაშინვე ხეებითა და ქვებით მოუყორავთ, და დაულალავადაც უმუშავიათ ამ მხრით. ასეთს გამოუვალ მდგომარეობაში რომ იყო მერმეროე და ბევრს ფიქრობდა, აზრი დაეხდა, რომ, თუ რამენაირად რომაელების ყურადღებას შეასუსტებდა და ოდნავ შეანელებდა, არც მთლად უნიადაგო იქნებოდა იქ შესვლის იმედი. თუ მტერი ამ ადგილას განუწყვეტილ იჯდებოდა სადარაჯოზე, შეუძლებელი იქნებოდა ორივე დაბრკო-

ἐκείνων δὲ ἀνιέντων, ἀλλὰ μόνην γε τὴν δυσχωρίαν ἀκέσασθαι καὶ τὸ δυσέμβολον τῆς πορείας ἐξ τὸ εὐέφοδον ἀμωσγέπως μετασκευάσαι οὐ λίαν ἀδύνατα εἶναι ἴγχειτο. ἤλπιζε γὰρ τὴν ὑλὴν ἐκτέμνων τῇ πολυχειρίᾳ καὶ ἀνακαθαίρων καὶ τῶν πετρῶν ὅτι ἀντίξουν διακολάπτων καὶ παραιρούμενος οὐ χαλεπῶς διαβήσεσθαι. ὡς ἂν οὖν ταῦτα διαπράξοιτο, ἐπενοῖε τοιάδε· ἐσκήπτει· ἀθρόον νόσῳ τιγὶ δεινῇ τε καὶ ἀνηκέστῳ ἔαλωκέναι, καὶ οὖν ἀνεκίχλιτο δυσφορῶν δῆθεν καὶ ἀσχάλλων καὶ τὸ ξυμπεσὸν ὀλοφύμενος· ὁ τε λόγος οὕτως ἀνὰ πᾶν αὐτίκα ἐφοίτα τὸ στρατεύμα ὡς ὁ στρατηγὸς πονήρως τε ἔχει καὶ ἴσον οὐπω ἀπολείπει. ἔσους τε αὐτῶν ἤρεσκεν μισθαργεῖν τοῖς ἐναντίοις ἐπὶ τῇ τῶν οὐκείων προδοσίᾳ καὶ λάθρᾳ ἐξάγειν τὰ ἀπόρρητα, οὕτω δὲ τὸ μὲν ἀτρεκέως οὐκ ἐγγύσασκον ἀσφαλέστατα γὰρ τὸ βούλευμα ἐκρύπτει· καὶ οὐδὲ ἐξ ἀπανταῶν τοῦς φιλτάτους ἐξέπιπτε· μόνους δὲ τοῖς ἐν τῇ ἑμίλῳ περιεχόμενοις ἐξηπατημένοι τῆς Ῥωμαῖοις διήγγελλον. οἱ δὲ ῥαδίως ἐπέμνοντο, ὅς τοσούτων εἴμαι, τῇ ἀγγελίᾳ ἐπίσπον τῷ βουλομένῳ τῆς γνώμης.

ხალხში იყო გავრცელებული. ამათაც სწრაფად დაიჯერეს, მე ვფიქრობ, არა იმდენად ეს მოტანილი ამბავი, არამედ უფრო თავისი გულის ნადები.

ლების ერთად დაძლევა<sup>1</sup>. ხოლო თუ მტერი შეანელებდა თავის ყურმახვილობას, მერმეროეს აზრით შეუძლებელი არ იქნებოდა მარტო ადგილის სიძნელისათვის რამენაირად ეშველა და ძნელმისასვლელი გზა ადვილმისადგომად ექცია. მას იმედი ჰქონდა, რომ მუშების საშუალებით გაჭრიდა და გასწმენდა ტყეს და კლდეებსაც მოამტვრევდა და მოაცილებდა ხელისშემშლელ ნაწილებს და ამრიგად გავლა აღარ იქნებოდა ძნელი. იმ მიზნით, რომ ეს განეხორციელებინა, მან შემდეგი ხერხი იხმარა: მან მოიგონა, თითქოს რაღაც მძიმე და უკუზრუნებელი სენით ყოფილიყოს შეპყრობილი და კიდეცაც ჩაწვა ლოგინში, როგორც შეუძლოდ მყოფი, დასვედიანებული და თავისი ბედის მომჩივანი; მაშინვე მთელს ჯარში გავარდა ეს ხმა, სარდალი მძიმე ავად არის და სადაც არის მოკვდებო. სიმართლეს ვერ მიუხვდენ ისინიც კი, რომლებიც მოწინააღმდეგეს ფულით დაექირავებინ ხოლმე თავისიანების გასაცემად და საიდუმლოების გასამჟღავნებლად ჩუმად: გეგმას დიდის საილუმლოებით ინახავდენ და საუკეთესო მეგობრებსაც კი არ ანდობდენ. გამცემლები მოსტყუვდენ და რომაელებს მიუტანეს მხოლოდ ის ცნობები, რომლებიც

<sup>1</sup>) ერთ დაბრკოლებად იგულისხმება ტელეფისის ადგილმდებარეობით გამოწვეული სიძნელე, ხოლო მეორე დაბრკოლებად – ბიზანტიელების სამხედრო ძალა.



Εὐθύς δὴ ὄν τὸ ἐνεργόν τε καὶ  
 ἔντονον τῆς φροντίδος ὑποχαλῶν-  
 τες οὐκέτι λίαν ἀκριβῆ τὴν φυλακὴν  
 ἐπειθοῦντο, ὀλίγοι τε παρῶν κερσῶν  
 ἡμέραι καὶ ὁ Μερμερῆς ὥς δὴ  
 τεθνηχιῶς ἀπηγγέλλετο. ἐκρυπτε  
 γὰρ ἑαυτὸν ἐς τι βωμῶν, ὥς  
 καὶ παρὰ τοῖς οἰκαιοτάτοις τήν-  
 δε νικῆσαι τὴν θύραν. τότε δὴ  
 ὄν καὶ μάλλον τοῖς Ἰωμαίοις  
 περιττεῖν τι ἐδόκει ἀγρυπνεῖν τε  
 καὶ ἐπὶ πλὴν διαπεύσθαι. καὶ  
 τοῖσιν μεθίντες τὰς περιφράξεις  
 καὶ τὴν ἐν τοῖσι ἀπεργασίαν ἐς  
 τὸ ἀνειμένον μετέβαλλον, παννύ-  
 χιον τε καθεύδοντες καὶ ἐς τὰς  
 ἐπαύσεις τῶν ἀγρῶν διαιτώμενοι,  
 καὶ εὔτε κατασκόπους ἐστελλόν  
 εὔτε ἄλλο τι ἐπραττόν τῶν θεόν-  
 των. φόντι γὰρ ὥς οὐκ ἂν ποτε  
 οἱ Πέρσαι, ἀστρατήγητοι θύθεν  
 γεγονότες, ἐπ' αὐτοὺς ῥέουσι, μάλ-  
 λον μὲν ὄν καὶ ὥς πορρωτάτω  
 φευζοῦνται. ταῦτα δὲ γνοὺς ὁ  
 Μερμερῆς ἀνακαλυπτὴν ἐξαπι-  
 ναίως τὸν δόλον καὶ ἐπιφαίνεται  
 τοῖς Πέρσαις ὅποιος καὶ πρότε-  
 ρον, καὶ εὐθύς ὥς εἶχε πρὸ θυμίας  
 ἀπαντας κινήσας καὶ τὴν χαλε-  
 πότητα τῆς πορείας ἐν διαίσει, ἣ  
 πάλαι διενόητο, παροχέγων  
 ἀγχοῦ τοῦ φρουρίου, καὶ ἦδη  
 ἐπέλαξε τοῖς Ἰωμαίοις καταπη-  
 χάσι τῷ παραλόγῳ καὶ οἷσι οὐ-  
 κίτι ἀμυνεσθαι. τότε δὴ ὄν ὁ  
 Μαρτίνος ἔγνω καταλιπεῖν τὸ χω-  
 ρίον, πρὶν τελευτάτα παρελθεῖν  
 ἴσως τὸν Μερμερῆν καὶ μέγα τι

II 20. ამიტომ რომაელებმა მაშინ-  
 ვე შეანელეს თავისი მზრუნველო-  
 ბის ძალა და შეასუსტეს ყურადღე-  
 ბა და ძველებური სიმახვილით აღარ  
 სდარაჯობდენ. რამდენიმე დღეც  
 გავიდა და გავრცელდა ხმები მერ-  
 მეროე გარდაიცვალაო. მართლაც,  
 ის ისე მაგრად ჩაკეტილიყო ოთახ-  
 ში, რომ შინაურებშიაც კი გაბა-  
 ტონებული იყო ეს აზრი მისი გარ-  
 დაცვლების შესახებ. ეხლა კი უკვე  
 ზედმეტად მიაჩნდათ რომაელებს  
 ფხიზლად ყოფილიყვნენ და ხელი  
 გაენძრიათ. იმათ ზღუდეებიც კი  
 უზრუნველად დასტოვეს და იქ სა-  
 ჭირო სამუშაოების შესრულების  
 მაგიერ უდარდელ ცხოვრებას მიეც-  
 ნენ, მთელი ღამეები ეძინათ და  
 სოფლის კარმიდამოებში ატარებ-  
 დენ დროს; არც მზვერავეებს გზავ-  
 ნიდენ და არც სხვა საჭირო ზო-  
 მებს ღებულობდენ. ისინი ფიქრობ-  
 დენ, რომ უსარდლოდ დარჩენილი  
 სპარსელები ვეღარ წავიდოდენ იმათ  
 წინააღმდეგ და რასაკვირველია,  
 ეცდებოდენ რაც შეიძლებოდა უფ-  
 რო შორს გაქცეულიყვნინ. ეს რომ  
 გაიგო მერმეროემ, მოულოდნელად  
 ფარდა ახადა თავის ეშმაკობას და  
 გამოეცხადა სპარსელებს ისეთივე,  
 როგორც წინათ იყო; მან უმაღვე  
 დიდის სისწრაფით აამოძრავა ყვე-  
 ლანი, ადვილად გადალახა გზის  
 სიძნელე იმ გეგმით, რომელიც მას  
 წინათ ჰქონდა დაწყობილი, და  
 გაჩნდა ციხის მახლობლად; ამრი-  
 გად, ის ზედ წაადგა რომაელებს,  
 რომელნიც საშინლად შეაშფოთა

κακόν. τοὺς τῆδε Ῥωμαίους ἐργάσασθαι πὼς γὰρ ἐν τῷ αὐτοῦ, ὀλίγου γε ὄντα; ἐνεγκεῖν τὰ πλείη τῶν πολέμων καὶ μὴ εὐχὴ αὐτοῖσιν διαφθαρέναι; ὕτω δὲ τῶν καταστρατηγηθέντες ὑπὸ τῶν βαρβάρων, καὶ αἰσχιστῆν ποιούμενοι τὴν ἀναχώρησιν ἠπειγόντο τοῖς ἄλλοις ἀναμιχθῆναι στρατευμασιν. ἐτόνχανον γὰρ οἱ ἄμολι θέσαν τε καὶ Ἰουστίν γ ἐν πεδίῳ τινὶ στρατοπέδου μὲν, ἐν πύρρῳ Τηλέφειος κειμένῳ, ἀλλὰ μόνον σταδίοις ἑπτὰ διεστηκότι. ἔστι δὲ οὐδὲν οἷον ἄλλ. ἐνταῦθα ἢ μόνον χυτῶν πωλητήρια, ὡς καὶ τὴν πρὸ σιγγορίαν ἐντεθῆεν τῇ χώρῳ εἰληφθαι. Ὀλλάρια<sup>1</sup> γάρ, ὡς ἂν Λατίνῳ, τὶς φήσῃ, ἐπὶ νύκτωρ δόναται δὲ τ. ο. τ. τ. ἢ ἱλλήνων φωνῇ Χυτρωπῶλια. ἡ δὲ δὲ πολλῶν ἄμα τῇ Μαρτίνῳ προπερησάντων καὶ ἐν τῇ ἀσφαλεῖ γενομένων, ἐβόλευσαντο ἅπαντες οἱ στρατηγοὶ ἐνταῦθα τοῦ δυσμενέως ἐκδεχόμενοι στήσεσθαι τε ἐξ παρατάξιν καὶ διακλιθεῖν αὐτοῖς ἀνὰ τὰ πύρρῳ ἴοντα. ἦν δὲ τὶς τῶν ἐπιστημοτῶν ἐν τῷ ταξίάρχῳ, θεόδοτος ὄνομα, τὸ μὲν γένος ἑλλῶν ἐκ τοῦ ἔθνους τῶν Ἰωνῶν, παρὰ Ῥωμαίους δὲ τὸν ἀμμόνοσ, καὶ ἡδὲ τὸ βαρβαρικὸν τῷ τρόπῳ, εἰ καὶ πύρρῳ

ამ მოულოდნელმა ამბავმა და უკვე აღარ შეეძლოთ თავის დაცვა. მაშინ მარტინემ გადაწყვიტა დაეტოვებინა ეს სოფელი, სანამ მირმეროე საბოლოოდ შიგ ადმოჩნდებოდა და იქ მყოფ რომაელებს რაიმე დიდ უბედურებას შეამთხვევდა. ისინი ხომ მცირერიცხოვანნი იყვნენ და როგორ უნდა გამკლავებოდნენ მტრის დიდძალ რაზმებს, არა და პირველი შეტაკებისთანავე ხომ არ მოასრევინებდნენ თავს? ამგვარად, ბარბაროსების სამხედრო ოინით მოტყუებულებმა სამარცხვინოდ დაიხიეს და იძულებულნი იყვნენ დანარჩენ ჯარს შეერთებოდნენ. ბესსას და იუსტინეს რაზმები ერთ დაბლობში იყვნენ დაბანაკებულნი, ტელეფისის მახლობლად, სულ შვიდი სტადიონის მოშორებით. იქ სხვა არაფერი არ არის გარდა ქოთნების სავაჭროებისა; ამითვე აიხსნება ამ ადგილის სახელწოდება: მას ხომ ლათინურად ოლლარია ეწოდება, ელინთა ენაზე ეს „ქიტროპოლია“<sup>2</sup> იქნება. როდესაც მარტინესთან ერთად ბევრნი დაწინაურდნენ და სამშვიდობოს გამოვიდნენ, სტრატეგოსებმა გადაწყვიტეს იქ დაეცადათ მოწინააღმდეგეებისათვის, დარაზმულნი დამდგარიყვნენ და შეეფერხებინათ მათი წინსვლა. რაზმის უფროსთა შორის იყო ერთი წარჩინებულთაგანი, სახელად თეოდო-

<sup>1</sup>) Ὀλλარია P. პარიზელ გამომცემელს ომეგა დაუწერია, ალბათ, იმიტომ, რომ ლათინურში ამ სიტყვას გრძელი O აქვს.

<sup>2</sup>) ბერძნული χυτρος ან χυτρα – „ქოთანი“ – „ქილა“, ხოლო παλεω – „ვვაჭრობ“, „ვყიდი“. ასეთივე მნიშვნელობისაა ლათ. Ollaria (olla – „ქოთანი“, „ქილა“)

ἦν, ἀποσκευασάμενος καὶ ἐς τὸ  
ἁσπεϊότατον μετακινήσας. οὕτως  
δὴ οὖν ὁ Θεόδωρος ἅα τῇ οἰ-  
κείᾳ δυνάμει, εἶποντο γὰρ αὐτῶ  
ἐν μείους ἢ πενταχόσιοι ἄνδρες  
τῶν ὁμοφλων, ἀμφὶ Τήλεφιν τι  
ἐμμενῆσαι, εἰρμένον αὐτῶ ὑπὸ  
Μαρτίνου μὴ πρότερον ἐνθίνε  
χωρήσαι, πρὶν ἂν θεάσαστο ἅπαν-  
τας τοὺς πλεμύους ἐσβεβληκότας  
εἰκόσαι τε αὐτούς, ὡς ἔνεστιν, ὅσοι  
εἶεν καὶ γυνίη ὅπως ἔχουσιν ὀρ-  
μῆς τε καὶ γνώμης.

არ მიმოიხილავდა და არ დაზვერავდა იმათ, რამდენადაც შესა-  
ძლებელი იყო, თუ რამდენნი არიან, და არ გაიგებდა, თუ რა  
ძალა შესწევს მტერს და რა გუნებაზეა იგი.

Ὁ δὲ, ἦν γὰρ ἐς ἅπαντα  
δραστήριός τε καὶ θαρραλέος,  
καὶ δὴ κατὰ ταῦτα ἐποιοεῖ· καὶ  
εἶτα, ἐπειδὴ παρόντα εἶδε τὰ  
πλήθη τῶν Περσῶν ἐντὸς τοῦ  
φρουρίου, ἔγνω τε αὐτούς ἐν μέ-  
γρι τοῦδε στησομένους, ἀλλὰ καὶ  
σφόδρα πολεμησεύοντας, αὐτίκα  
ῥητο. εὐρών δὲ κατὰ τὴν πο-  
ρείαν πολλοὺς τῶν Ῥωμαίων οὐκ  
εὐνοδρομήσαντας ἐς τὰ Χυτρο-  
πῶλια, ἦπερ αὐτοῖς διητέτακτο,  
ἀλλ' ἐν οἰκήμασι Λαζικοῖς ἐσπη-  
δήσαντας καὶ ἀφαιρουμένους ἐλυ-  
μὸν τε καὶ ζειᾶς<sup>2</sup> καὶ ἄλλα ἄττα  
τῶν ἐδωδίωγ, ἀπελανεῖν τε αὐ-  
τοὺς ἐπειράτο καὶ κατεμέμπετο  
τῆς παρανοίᾶς, ὡς οὐκ εἰδότας  
οὐπερ τυγχάνουσιν ὄντες κακοῦ.

რე, წარმოშობით ჭანთა ტომიდან,  
ხოლო რომაელებში აღზრდილი,  
რომელსაც ბარბაროსული – თუმცა  
მისი მშობლიური – ჩვევები შეეც-  
ვალა და უფრო ქალაქურ წესებზე  
გადასულიყო<sup>1</sup>. აი, ეს თეოდორე  
ჩამდგარიყო უკვე ტელეფისის მახ-  
ლობლად თავისი რაზმით – მას თან  
ჰყავდა არა ნაკლებ ხუთასი კაცი-  
სა, თავისი ტომის ხალხი. მას და-  
ვალეზული ჰქონდა მარტინესაგან  
არ დაძრულიყო იქიდან მანამ, სა-  
ნამ შემოჭრილ მტერს მთლიანად

II 21. თეოდორე ყოველ საქმიანობაში გამჭირახი და მარჯვე იყო და ეს დავალებაც შეასრულა; შემდეგ, როდესაც დაინახა ციხის შიგნით მყოფი რაზმები სპარსელებისა, მიხვდა, რომ ისინი აქ არ შეჩერდებოდნ და, ცხადი იყო ბრძოლის გაგრძელებას მოისურვებდნ, და მაშინვე წამოვიდა იქიდან. გზაზე მას ბევრი რომაელი შეხვდა, რომლებიც ქიტროპოლიაში კი არ მიდიოდნ პირდაპირ, როგორც ეს მათ ნაზრძანები ჰქონდათ, არამედ ლაზთა სახლებში იჭრებოდნ და ართმევდნ ქვრიმას, ასლსა<sup>2</sup> და სხვა რაღაც საჭმელებს; მან სცადა ისინი დაებრუნებინა და მიუთითებდა მათ უგუნურებაზე: არ გესმით, როგორ

<sup>1</sup>) ამ თეოდორე ჭანს ხშირად იხსენიებს შემდეგაც აგათია (იხ. ქვემოთ Agath. II 21. III 20, IV 18, VI, V 2).-<sup>2</sup>) შდ. ივ. ჯავახიშვილი, ევ. ისტ. 1, 3, 8.

ἔσοι μὲν οὖν ἦσαν αὐτῶν ἐν λίαν  
 λίχνοι τε καὶ ἀκ λαστοι, οὗτοι δὲ  
 μεταμαθόντες τὸ λῆρον ξυναίπυντό  
 τε αὐτῶν καὶ βλάβην ἵπεκ μίζον-  
 το· πλὴν ἀλλ' οἱ γεγένηται χώρα  
 τῷ Θεοδώρῳ σχολαίτερον διαγ-  
 γείλαι τοῖς στρατηγοῖς τὴν ἐπιή-  
 λυσιν τοῦ Μερμερόσου. ἐνῶν γάρ  
 ἔτι ἐκ τοῦ στρατοῦ τῆ ἀρπαγῆ  
 ἐγχευμένων καὶ οὐκ ἀνιέντων,  
 ἐπιφοιτῶσιν ἀφ' ἑσῶν οἱ Πέρσαι,  
 καὶ ὀλίγους μὲν αὐτῶν, ἔκτεινον,  
 οἱ δὲ ἄλλοι θρυμαῖοι ἐφυγον, καὶ  
 δὴ ἐξαπίνα' αὖς ἐσπίπτουσιν ἀνά  
 τὸ στρατόπεδον ξὺν οἱ ἀγῆ καὶ  
 θορυβῶ ἕως ἀπαντας ξυνιαραχ-  
 θήναι· τῷ αἰφνιδίῳ καὶ πέρα τοῦ  
 μετρίου δειμαίνοντα· ἐς ὑπαγω-  
 γῆν μετανίστασθαι. οἱ δὲ στρα-  
 τηγοί, οὕτω γάρ αὐτοῖς ἐς φα-  
 λαγγα ὁ στρατὸς ἐτετάχαι, θε-  
 δι. τας καὶ οἱ μὲν σφίσι οὐκ πα-  
 ρεσκευασμένοις ἐπιστάειν οἱ βάρ-  
 βαροι, περιεφρονῶν μὲν τὸ πρό-  
 τερον δοκηθέντα, οὐκ εἶχον δὲ  
 ὅτι καὶ γένοιτο· οὔτε γὰρ βου-  
 λεύασσθαι αὐτοῖς περὶ τῶν πα-  
 ρόντων ὁ καιρὸς ἐνεδεδῆ καὶ τὸ  
 ἤδη καταπεπληγῆαι τὰ γνώμας.  
 ἐνθάδε οὖν ἄρσαντες ἐκ τοῦ πεδίου  
 καὶ ἀπαντα ἐπαγμένοι τὰ στρα-  
 τεύματα ἔχοντο ἀγεννῶς καὶ ἀκό-  
 σμως, καὶ οὐ πρότερον ἐπείσαντο  
 θέοντες πρὶν ἐς τὴν Νήσον ἰδέ-  
 σθαι. ἀπεσσι δὲ ἡ Νήσος ἦξε  
 Ἰηλέφειος πάντε μάλιστα παρα-  
 τάγγαις, τοσαύτην ἄρα οἱ γεν-  
 ναῖοι ἀνήμερον πορείαν διεγυ-

უბედურებაში აგდებთ თქვენს თავ-  
 სო. ვინც იყო მათ შორის არც  
 თუ ძალიან წუწკი და თავაშვებუ-  
 ლი, იმათ მალე დაუჯერეს, ნელ-  
 ნელა გამობრუნდენ და გაჰყვნენ  
 მას. სხვათა შორის, თეოდორემ  
 ვერ მოახერხა დროზე შეეტყობი-  
 ნებია სტრატეგოსებისათვის მერ-  
 მეროეს მოსვლა. ზოგიერთ ჯარის-  
 კაცს, რომლებსაც მარცვისათვის  
 თავი არ დაენებებინათ, ერთბაშად  
 ზედ წამოადგენ სპარსელები: ზო-  
 გიერთი მათგანი მოკლეს, ხოლო  
 სხვებმა გაქცევით უშველეს თავს  
 და მოულოდნელად შევარდენ ბა-  
 ნაკში ყვირილითა და ხმაურით,  
 ისე რომ ბანაკში უცხად ყველანი  
 დაფორიაქდენ და უზომოდ შეშინ-  
 ებულეებმა უკან დახევა დაიწყეს.  
 სტრატეგოსებიც, რომელთაც ჯარი  
 არ ჰყავდათ დარაზმული, შეშინდენ,  
 ვაი თუ მოუმზადებლებს ზედ წამო-  
 გვადგენ ბარბაროსებიო, და წინათ  
 შედგენილი გეგმაც გადავარდათ  
 ფიქრიდან და ვერც მოესაზრე-  
 ბინათ, თუ როგორ მოქცეული-  
 ყვნენ: არც დრო აძლევდა საშუა-  
 ლებას შექმნილი მდგომარეობის  
 შესახებ მოეთათბირებინათ, და აზ-  
 რებიც დაბნეული ჰქონდათ. ისინი  
 მაშინვე აიყარნენ დაბლობიდან,  
 თან წაასხეს მთელი ჯარი და ლაჩ-  
 რულად და უმწყობროდ გაემართ-  
 ნენ და მანამ არ შეუწყვეტიათ  
 სირბილი, სანამ ნესოსს არ მიაღ-  
 წიეს. ნესოსი სულ დიდი ხუთი  
 ფარსანგით არის დაშორებული  
 ტელეფისს. ისინი ძალიან მარდად

σαν, ἄκωτατα πεφευγότες, ἔστι γὰρ ὁ παρασάγγη, ὡς μὲν Ἡροδότῃ δοκεῖ καὶ Ξενόφωντι, τριάκοντα στάδια, ὡς δὲ γυν Ἴβηρες καὶ Πέρσαι φασίν, ἐν ἐνὶ μόνῃ τῶν εἴκοσι πλείονα. Λαζοὶ δὲ οὕτω μὲν καὶ αὐτὶ ὅμολογοῦσιν, οὐ μὴν δὲ τῷ ὄνοματι, χρωῖνται, ἀλλὰ ἀναπαύλας καλοῦσι, καί, οἶμαι, εἰκότως. οἱ γὰρ πρὸ αὐτοῖς ἀχαιοφόροι ἐκκιστον παρασάγγην περαισιθίντες τὰ εφορτία τιθενται καὶ σφᾶς αὐτοὺς ἐλάχιστον ἀναπαύσιν, ἐτέρων δὲ, πρὸ ἀμοιβᾶδὸν διαδεχομένων, καὶ καθ' ὅσον τοῦτο ὄρωσιν, ἐς τοσοῦτον τὰς ἐδούς διαμετροῦνται καὶ κατατέμνουσιν. εἴτε δὴ οὐν οὕτως εἴτε ἐκείνως τὸν παρασάγγην κλητέον, πεντήκοντά γε καὶ ἑκατὸν στάδιοις ἐκ τῶν φρυγίου ἢ Νησος διεργεται. ἔστι δὲ τὸ χωρίον ἐπιεικῶς ἐχρῶν καὶ οὐκ εὐέφοδον, ταῖς τῶν πελάμων περιβλαβόμενον διναίς. ὁ τε γὰρ Φασίς καὶ ὁ Δοκωνός, ἐκ τοῦ Κασκᾶσου διακριδὸν καταρρέοντε καὶ πολλὰ τὰ πρῶτα διεστηχότες, ἐνταῦθα τῆς τῶν τόπων φέσεως ἀναγκαστικῶς ἡρέμα πλησιάζετον

მირზოდენ და ეს გზა ლაღად გაიარეს იმავე დღეს. ფარსანგი, როგორც ჰეროდოტე<sup>1</sup> და ქსენოფონტი ფიქრობენ, ოცდაათ სტადიონს უდრის, ხოლო ამჟამად იბერები და სპარსელები მხოლოდ ოცდაერთ სტადიონად თვლიან. ასე ფიქრობენ თვითონ ლაზებიც, ხოლო ამ სახელს კი არ უწოდებენ, არამედ «ანაპავლას» (შესასვენებელს) ეძახიან, და ვფიქრობ, სრულიად სამართლიანადაც<sup>2</sup>. ვინაიდან მათში თითოეული ფარსანგის გავლისას ტვირთისმზიდავები ტვირთსაც ჩამოიღებენ ხოლმე და ცოტათი შეისვენებენ კიდევ, მათ სხვები შეენაცვლებიან, და რამდენჯერაც ასე მოიქცევიან, იმდენით ზომავენ და ანაწილებენ გზის მანძილს. ამას ვუწოდებთ ფარსანგს თუ იმას, ნესოსი ასორმოცდაათი სტადიონითაა დაშორებული ტელეფისის ციხეს. ეს სოფელი საკმაოდ მაგარია და არც ადვილი მისადგომი, გარშემორტყმულია მდინარეთა მორევებით. ფასისი და დოკონოსი<sup>3</sup> ცალცალკე ჩამომდინარეობენ კავკასიის მთიდან და თავში ძალიან არიან ერთმანეთს დაშორებული; აქ კი ადგილის მდებარეობით იძუ-

1) Herod. II 6, V 53 VI 42.

2) შდ. ს. კ ა კ ა ბ ა მ ე: საისტორიო მოამბე, 1925 წ. I, 57.

3) ეს უდრის მდ. ტეხურს. Δοκωνος უნდა წარმოადგენდეს ამ მდინარის მასშინდელ (VI საუკ.) ადგილობრივ სახელწოდებას. მართლაც, მეგრული ენის მასალები საშუალებას იძლევა გავიგოთ აქ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი დო – პრეფიქსის შემცველი სიტყვა, რომლის ფუძეს, იქნებ, კონ||კუნ წარმოადგენდეს. (ანალოგიურადაა ნაწარმოები „დომაცი“: იხ. ი. ყ ი ფ შ ი მ ე 228, 258 და 355 s. v. შაც რუ.) მაშინ ამ მდინარის ახლა გავრცელებული სახელწოდება („ტეხირი“) ქართულისაგან („ტეხური“ ზმნისაგან „ტეხა“) შეთვისებულად უნდა მივიჩნიოთ.

ἀλλήλῃ ἰν καὶ οὐκέτι ἄπωθεν φέ-  
ρεσθῆν, ὥστε ἀμέλει τῶν Ῥω-  
μαίων διώρυγὰ τινὰ μηχανησα-  
ένων, καὶ ἐκ τοῦ Φάσιδος ἐκροήν  
ἐς τὸν Δικωνὸν μεταχευευσάντων,  
τούτῳ δὲ τῇ τρόπῳ ἐς τὰ πρὸς  
τῆς εὐ τετραμμένῃ τῆς Νήσου  
ἠγῶσθαι ἄμφω τὸ ποταμὸν καὶ  
ξυνειλῆσθαι τὸν γῶρον. ἐντε-  
θεν δὲ ἀμφὶς καμπάς τε καὶ  
περιελίγμοις ποιημένῳ οὐκ  
ἐλάττωτον τι χρήμα τοῦ πεδ. ὁ  
εἶσω ἀπολαμβάνετον. προϊόντε δὲ  
ἀνὰ τὰ πρὸσω ἐς θυόμεν ἥλιον  
ξυ βάλλετον αὐτομάτως καὶ ἀνα-  
μίγνυσθῆν τελειώτατα, ὡς ταύτη  
γε ἅπαν τὸ μεταξὺ νήσον ἐς τὸ  
ἄκρ βέε ἐκτελειῖσθαι. ἐνταῦθα ἔν  
ὄν οἱ Ῥωμαῖοι ἐτίγχνον ξυνει-  
ελγμένοι.

Ὁ δὲ Μερμερόης ἐς τὰ Χυτ-  
ροπίλια παραγενόμενος, καὶ πολ-  
λὰ τῆς ἀναδρίας ἐπιτιμῶσας  
τούς οὐκ ἀλόντας καὶ λοιδορησά-  
μενος, ἔγνω μὴ περαιτέρω ἰέναι  
μυδὲ τῇ Νήσῳ προσβῆλθαι. οὔτε  
γὰρ τὰ ἐπιτήδεια ἐκπορίζεσθαι το-  
σοῦτῳ στρατῷ ἐν μέσῃ τῇ πολεμίᾳ  
οἷός τε ἦν οὔτε ἄλλως παρεσκευα-  
στο ἐς πολιορκίαν. τοιγάρ τι ἀπο-  
πορευτέα μὲν ἀμφὶς ἀντὶ ἐπὶ  
Τήλεφόν τε καὶ τὴν ἐκείνην δυσ-  
χωρίαν οὐ μάλα ἐδόκει<sup>1</sup>, ξηλίδ

ლებულნი ცოტცოტა უახლოვდე-  
ბიან ერთმანეთს და უკვე აღარ  
მოედინებიან დაშორებით; რომე-  
ლებსაც ერთი თხრილი გაუკეთე-  
ბიათ და ფასისის ნაკადი დოკო-  
ნოსში გადაუშვიათ, ასე რომ ეს  
ორივე მდინარე ერთდება ნესოსის  
იმ ნაწილში, რომელიც აღმოსავ-  
ლეთისაკენ არის მიქცეული, და  
ისინი გარს ერტყმიან ამ ადგილს,  
აქიდან ისინი კვლავ უხვევენ და  
დაბლობის მცირეოდენ ნაწილს იმ-  
წყვდევენ შუაში. შემდეგ, დასავ-  
ლეთისაკენ რომ მიდიან წინ თავის-  
თავად ერთვიან და, ბოლოს, ერთ-  
მანეთს შეერევიან, ასე რომ მათ  
შუა მართლაც რომ კუნძული იქმნე-  
ბა. აი, აქ მოიყარეს თავი რომაე-  
ლებმა.

II 22. ქიტროპოლიაში რომ მი-  
ვიდა მერმეროე, სასაცილოდ აიგლო  
იმათი სილაჩრე, ვინც ურჩობა გა-  
მოიჩინა, და ძალიანაც გაკიცხა ისი-  
ნი; მან გადასწყვიტა არ განეგრძო  
წინსვლა და არც ნესოსზე მიეტანა  
იერიში, ვინაიდან არც სურსათის  
შოვნა იყო შესაძლებელი მტრის  
შუაგულ ქვეყანაში ასეთი მრავალ-  
რიცხოვანი ჯარისათვის და არც  
სხვა მხრივ ალყის შემორტყმისათვის  
მომზადება. ამიტომ მან კვლავ ტე-  
ლეფისისა<sup>2</sup> და იქაური მნელსავალი

<sup>1</sup>) ს ვ ი დ ა ს მიერ (s. v. αποπορευτα) მოყვანილ ციტატში ეს ადგილი ასე  
იკითხება: τοιγαρουν αποπορευτα αυτωι εδοκει επι Φ α σ ι ν π ο τ α μ ο ν, και των  
εκεινηι δυσχωριων (Suidae Lexicon, ed. A. Adler, I, Lip. 1928, p. 314).

<sup>2</sup>) ტელეფისის ადგილმდებარეობის შესახებ ბ რ ო ს ე ს გამოთქმული აქვს  
შემდეგი მოსაზრება: «უეჭველია, ეს უნდა იყოს ქართველების ტელეფა, ჩხარულას

ἢ καὶ ἀνάτοις, ἢ δὴ ἐς τοῦτο  
 ἐπεπαίγντο, ζεῖξαι τὰς - τοὺς Φά-  
 σιδος ἑχθὰς καὶ οἷον γέφυραι τε-  
 κτηνάμεν ἢ διεπίβασεν ἀδελῶς ἅπαν  
 τὸ στρατεύμα, οὐδενὸς ἐν γλοῦν  
 τος καὶ δὴ τοὺς ἐς Ὀνόγουριν  
 Πέρσας ἰδρυμένους τὸ φρουρίον.  
 ἢ δὴ πρότερον αὐτὸς ἐν τῇ Ἄρ-

ადგილისაკენ გაბრუნება კი არ  
 მიიჩნია მიზანშეწონილად, არამედ  
 ფიცრებისა და საგანგებოდ ამისათ-  
 ვის დამზადებული ტივების საშუა-  
 ლებით შეაერთა ფასისის ნაპირები,  
 ასე ვთქვათ ხიდი გასდო, და თავი-  
 სუფლად გადაიყვანა მთელი ჯარი,  
 ისე რომ არავის აღმოუჩენია დაბრ-

მარცხენა ნაპირას, სკანდას ქვემოთ: ამაზე უკეთესად ძველი სახელწოდების დაცვა  
 წარმოუდგენელიცაა» (Add. 104). ამგვარად, ბროსეს აზრით, აგათიას მიერ ზე-  
 მოთ მოყვანილ თავებში მოხსენებული Τηλεφιδ უნდა უდრიდეს დღევანდელ ტ ე-  
 ლ ე ფ ა ს, ჩხარის რაიონში (პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ა ც 1923 წელს გამო-  
 ცემულ „საქართველოს საისტორიო რუკაზე“ ამ ადგილას აქვს შეტანილი ეს ციხე).  
 მაგრამ თუ ჩვენ დაუვკვირდებით აგათიას მიერ მოცამულ ცნობებს ამ ციხის შე-  
 სახებ (და სხვაგან ძველ წყაროებში „ტელეფისი“ არსად არ უნდა გვხვდებოდეს)  
 და გავითვალისწინებთ ჩხარის რაიონის სოფელ ტელეფას მდებარეობას, იძულე-  
 ბული ვიქნებით Τηλεφιδ სხვაგან ვეძებოთ. აგათა სწერს (ზემოთ გვ, 31): «ეს  
 ციხე მტკიცე და ძალიან მაგარია... ეს ადგილი, სხვათა შორის, ძნელსავალია და  
 მიუდგომელი. ერთი მხრით ნაპრალები, ხოლო მეორე მხრით ციცაბო და ერთი-  
 მეორეზე მიწოლილი კლდეები ქმნიან ერთს მეტად ვიწრო, ბუნებრივად დაგებულ  
 ბილიკს: არც ერთი სხვა მხრიდან არ არსებობს სხვა შესასვლელი გზა», ეხლანდე-  
 ლი ტელეფა კი, ჩხარის რაიონში, მდებარეობს დავაკებულ ადგილას: არც ნაპრა-  
 ლები და არც ციცაბო კლდეები იქ არ არის (ეს დასკვნა ემყარება ადგილობრივ  
 დაკვირვებას, რომელიც ჩავატარეთ ჩვენ 1932 წ. აგვისტოში ზემო-იმერეთში საქ.  
 საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების მიერ მოწყობილი სამეცნიერო  
 ექსპედიციის დროს; ექსპედიციაში მონაწილეობდნენ დოც. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი,  
 დოც. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა და ამ სტრიქონების ავტორი).

გარდა ამისა საომარი ოპერაციების მსვლელობა, რომელიც აღწერილია ამ  
 დროისათვის პროკოპისა და აგათიას მიერ, სრულიადაც არ მოითხოვს იმას, რომ  
 553 წლის Τηλεφიდ-ის ბრძოლა ეხლანდელ ჩხარის რაიონში ვიგულისხმოთ. 552  
 წლისათვის პროკოპის მოთხრობილი აქვს (BG VIII, 16 – 17; გეორგიკა II,  
 171 შმდდ.), რომ მოხირისისა და უქიმერიონის ალების შემდეგ სპარსელები «მტკი-  
 ცედ დაეპატრონენ ლაზიკეს... და, ამრიგად, მოხირისიდან ვიდრე იბე-  
 რიამდე მთელი მიწაწყალი გამოეცალათ ხელიდან რომაე-  
 ლებსა და ლაზთა მეფეს». ამის შემდეგ მერმერომ გაამაგრა ქუთაისი, აგ-  
 რეთვე შორაპნის ციხე «ა ენა», რომელიც სკანდის ციხესთან ერთად ლაზებმა  
 რამდენიმე წლის წინათ მიწასთან გაასწორეს (სკანდის ციხე შორაპნისაზე ადრე  
 აღადგინეს სპარსელებმა და იქ ჩადგენ: BG VIII, 13). მაშასადამე, 552. წ. ლაზე-  
 თის აღმოსავლეთ ნახევარში ქუთაისიდან შორაპნამდე, სპარსელები სხედან საკ-  
 მაოდ გამაგრებულნი, ხოლო დასავლეთ ნახევარში მერმერომ, მართალია, მიიტანა  
 იერიშები აბაზგის სიმაგრეებისა და არქეოპოლისის წინააღმდეგ, მაგრამ და-  
 მარცხდა და უკან გამობრუნდა ქუთაისისაკენ (მხოლოდ ერთი ნაწილი სპარსელე-  
 ბისა, როგორც აგათიას ცნობებიდან ჩანს, ონოგურისის ციხეში დარჩენილა; იხ. აქ-

χαιοπόλεως περιοιχίδι ἐπιτείχισμ  
κατὰ τῶν Ῥωμαίων κατεστήσατο,  
ἀλλὰ τούτους γε τοὺς Πέρσας  
ἐπιθάρρυνας καὶ ἑτέραν θυναμὴν  
ἐμβάλων καὶ ἅπαντα τὰ τῆδε,  
ὡς ἐνῆ, κρατυάμενος, πάλιν ἔς  
τε Κιλίκισιν καὶ Μουχερίσιν ἐπα-  
νήκεν. αὐτίκα δὲ νόσση τινὲ πε-  
παισμένῃ καὶ διατεθειτῆς χαλεπῶ-

კოლება. ონოგურისის ციხეში, რომელიც მას წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინაღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად, ჩაყენებული იყვნენ სპარსელები და, აი, ეს სპარსელები მან გაამხნევა, სხვა რაზმიც დაუტოვა, იქაურობა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაა-

ვე გვ. 40) სად არიან ამის შემდეგ ბიზანტიელები გამაგრებულნი? ისინი სდარაჯობენ არქეოპოლისს და ჩამსხდარნი არიან მდინარეთა შესართავებთან. ერთი ნაწილი ბიზანტიელებისა (და ლაზებისა) დაბანაკებულნი არიან ტეხურისა და რიონის შესართავთან, ნესოსში; ხოლო მეორე ნაწილი დგას ერთ ადგილას, მდინარე „ფაზისის“ შესართავთან. ამ უკანასკნელი ბანაკის შესახებ პროკოპი რამდენჯერმე მოგვითხრობს იმავე BG VIII, 16 ში. შორაპნის ციხე რომ გაამაგრა მერმეროემ და იქ დარჩა, შემდეგ გაიგო, «რომაელებსა და ლაზებს კვლავ თავი მოუყრიათ და მდინარე ფაზისის შესართავთან დაბანაკებულანო». მერმეროე გაემართა მათ წინააღმდეგ; ისინი შეშინდნენ და გაიფანტნენ (გეორგიკა II, 172). შემდეგ, როდესაც მერმეროეს ხოსროსაგან დამხმარე ძალები მოუვიდა, ის გაემართა ლაზთა სიმაგრეების წინააღმდეგ (იგულისხმება დასავლეთ ნაწილში); ბიზანტიელებს ამ დროს «მარტინეს მეთაურობით, მდინარე ფაზისის შესართავის მახლობლად რაც შეიძლებოდა მტკიცე პირობები შეექმნათ თავისთვის ადგილობრივი მდებარეობის წყალობით და იქ იდგნენ მშვიდად» (იქვე, 177 – 178) და «მერმეროემ ჯარი წაასხა ერთი ციხის წინააღმდეგ (დასახელებული არ არის, თუ რომლის წინააღმდეგ), მაგრამ, ვინაიდან იქაური დარაჯები ძალიან მტკიცედ იცავდნენ მას და ადგილის ბუნებრივი მდგომარეობაც შველოდა მათ ამაში, ბარბაროსებმა მიზანს ვერ მიაღწიეს» (იქვე, 178 – 179); შემდეგ აბაზგიის ციხეებისა და არქეოპოლისის წინააღმდეგაც გაემართნენ, მაგრამ იძულებული იყვნენ უშედეგოდ დაბრუნებულიყვნენ ქუთაისსა და მოხირისში. აი, აქ წყდება პროკოპის მოთხრობა. აგათიამ კარგად იცის, სად შეჩერდა პროკოპი, და თითქოს იგივე პროკოპი განაგრძობს მოთხრობასო, გვეუბნება: «მერმეროე კვლავ მოვიდა მუხირისში და კოტაისის ციხეში და მოინდომა გაეგლო ტელეფისის ძნელსავალი ადგილები და მდინარე ფაზისამდე მიეღწია... იმის მიღწევა კი მისთვის შეუძლებელი იქნებოდა, თუ ის აშკარა გზით წამოვიდოდა. სარდალი მარტინე მისი ხელქვეითი ჯარითურთ ტელეფისში დაბინავებულიყო» (იხ. ზემოთ გვ. 30 – 31). ცხადია, აქ მარტინე იმავე სიმაგრეშია დაბინავებული, რომელშიაც მას იხსენიებს პროკოპი, და ამრიგად, ტელეფისიც ეს ის ციხეა, რომელსაც პროკოპი იხსენიებს უსახელწოდებოდ.

სად უნდა ყოფილიყო დაბინავებული მარტინე? ცხადია, ქუთაის-მოხირისსა, და შორაპნს შუა ის ვერ დაბინავდებოდა, რადგან, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ლაზეთის ეს ნაწილი სპარსელების ხელში იყო (მაშასადამე, ეხლანდელ ჩხარის რაიონზე ლაპარაკიც კი ზედმეტია). ბიზანტიელები, უთუოდ, ეცდებოდნენ გამაგრე-



τατα, τὸ μὲν πλεῖστον τοῦ στρα-  
 τῆς καὶ ἀκραιμώτατον αὐτοῦ κα-  
 ταλέλοιπεν διαφυλάττοντας τὰ οὐ-  
 χεῖα, αὐτὸς δὲ ἐς Ἰβηρίαν τὴν  
 χῶραν μετέβηεν. καὶ τὸν ἐς  
 πόλιν Μεσχίθ<sup>1</sup> οὕτω καλουμένην  
 μολὲς ἦγγμένως, καὶ οὐκ ἐνεγκῶν  
 τὸ πάθος, τότε δὴ τέθηκεν ὡς  
 ἀληθῶς ὁ Μερμερόης, ἀνήρ ἐν

მაგრა და კვლავ კოტაისისა და მუ-  
 ხირისისაკენ გაბრუნდა. უცბად ის  
 რაღაც სენმა შეიპყრო და მაგრად  
 მოჰკიდა მას ხელი; ამიტომ მეტი  
 წილი თავისი ჯარისა, უმამაცესნი,  
 დასტოვა იქ ქონების დასაცავად,  
 თვითონ კი გადავიდა იბერიის ქვე-  
 ყანაში. და აი, აქ, ეგრეთწოდებულ  
 ქალაქ მესხითაში ის ძალიან ცუ-

ბულიყვნენ სპარსელებისა და თავიანთი სამფლობელოს მაშინდელ საზღვარზე. ეს საზღვარი კი უნდა ყოფილიყო ცხენისწყალთან, სადაც თავდებოდა სპარსელების მიერ დაკავებული მოხირისის რაიონი (იხ. ჩვენი შენიშვნა: გეორგიკა II, 177 – 178) მაშასადამე, როდესაც პროკოპი და აგათია ფაზისის შესართავზე ლაპარაკობენ სადაც ბიზანტიელების ჯარი იყო დაბინავებული, აქ უნდა ვიგულისხმოთ ცხენისწყლისა და რაიონის შესართავი, და ის ციხეც, რომლის გარშემო 553 წელს სწარმოებს ბრძოლა, აქ უნდა ვივარაუდოთ.

რომ ტილერი ცხენისწყლისა და რაიონის შესართავთან არის საგულისხმებელი შემდეგიდანაც ჩანს: როდესაც ბიზანტიელებმა ტელეფისი დასტოვეს და ლაჩრულად და უმწყობროდ გაიქცენ, იმათ მიაშურეს ნესოსს და «მანამ არ შეუწყვეტიათ სირბილი, სანამ ნესოსს არ მიაღწიეს, ნ ე ს ო ს ი ს უ ლ დ ი დ ი ხ უ თ ი ფ ა რ ს ა ნ გ ი თ ა რ ი ს დ ა შ ო რ ე ბ უ ლ ი ტ ე ლ ე ფ ი ს ს» (იხ. ზემოთ, გვ. 36). ფარსანგი, როგორც ცნობილია და როგორც აქვე განმარტავს თვითონ აგათიაც, 30 სტადიონს შეადგენს, ე. ი. უდრის დაახლოვებით 5,25 კილომეტრს. მაშასადამე, ტელეფისი დაშორებული ყოფილა ნესოსს 25 – 27 კილომეტრით. ასეთი მანძილია სწორედ ნესოსიდან (ეხლანდელი „ისულა“, ვახუშტის „ისულეთი“) ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც ჩვენ ვგულისხმობთ მოხირისის რაიონის საზღვარს, ცხენისწყლის და ფაზისის შესართავამდე (მანძილი ისულეთიდან ჩხარის ტელეფამდე კი ერთი სამად არის).

დასასრულ, საგულისხმოა ის ვარიანტი, რომელსაც იძლევა ლექსიკოგრაფი ს ვ ი და ამ ჩვენი ადგილისათვის (იხ. ზემოთ გვ. 38). იმ დროს, როდესაც ხელნაწერებში სწერია «ამიტომ მან (ე. ი. მერმერომ) კვლავ ტ ე ლ ე ფ ი ს ი ს ა და იქაური ძნელსავალი ადგილისაკენ გაბრუნება კი არ მიიჩნია მიზანშეწონილად», ს ვ ი და ს მიერ მოყვანილ ციტატში ვკითხულობთ: «ამიტომ მან მიზანშეწონილად მიიჩნია გაბრუნებულიყო მ დ ი ნ ა რ ე ფ ა ზ ი ს ზ ე, და იქაური ძნელსავალი ადგილებიდან». ასეთი შენაცვლება ტილერი-ისა ფაზისით, რასაკვირველია, ჰგულისხმობს იმას, რომ ძველი მკითხველი ტილერი-ს ფაზისის მიდამოებში ვარაუდობდა (იქნება, თვით აგათიასაც ასე ეწერა).

ამგვარად, აგათიას ტილერი-ი მდებარეობდა ცხენისწყლისა და რაიონის შესართავის მიდამოებში და არა ეხლანდელ ჩხარის რაიონში. სახელდობრ, თუ რომელი დღევანდელი ადგილი უდრის ტელეფისს, ამის გამორკვევა ჯერჯერობით არ ხერხდება.

<sup>1</sup>) Μεσχίθα R, vulg., Mischita *Persona* (აგათიას ძველი მთარგმნელი ლათინურად).

τοῖς μάλιστα παρὰ Πέρσαις γε-  
γεννημένος, καὶ δευτὸς μὲν ἐς εὐ-  
βουλίαν, ἀριστος δὲ τὰ πολέμια  
καὶ σφόδρα τὴν ψυχὴν ἀνδρείο-  
τατος (HGM II 211–215).

გამობრძმედილი და ვაჟკაცური სულის პატრონი <sup>2</sup>.

დად შეიქმნა, ვედარ გაუძლო სენს და, ნამდვილად <sup>1</sup>, გარდაიცვალა მერმეროე, კაცი სპარსელთა შორის სახელოვანი, მეტად გონიერი და ნიჭიერი. საომარ საქმეებში

### ბიზანტიელი სარდლების შეთქმულება გუბაზ მეფის წინააღმდეგ და მისი მოკვლა 554 წელს.

Τότε γὰρ ὁ Χριστόδωρος, ἡγγελλ-  
μένῳ αὐτῷ ὡς τεθνηκὼς εἶη ὁ  
Μερμερόης, περιήλγθησεν μὲν, ὡς-  
περ εἰκόσ, τῇ ξυμφορᾷ καὶ ἡνιά-  
σθη· ὡς ἂν δὲ τὰ ἐν Λαζικῇ στρα-  
τεύματα μὴ χηρείσιεν ἡγεμόνος,  
αὐτίκα ὄγε στρατηγὸν τὸν Ναχι-  
ραγᾶν ἀναδείκυσιν, ἄνδρα τῶν  
σφόδρα λυγίμων τε καὶ ὀνομαστο-  
τάτων. καὶ τῷ μὲν τὰ ἐς τὴν πο-  
ρείαν παρεσκεύαστο καὶ ἤδη ἐχώ-  
ρει. ἐν ᾧ δὲ ἦν ἐκεῖνος ἐν τού-  
της, παράλογα ἅπτα καὶ ἄθεσμα  
ἐν τῇ Κιλικίῃ χωρᾷ ξυνέβη. ἐπει-  
δὴ γὰρ αἱ Ῥωμαῖοι, ὡςπερ μὲν

III 2. როდესაც ხოსროს აცნობეს მერმეროე გარდაიცვალაო, ის როგორც, მოსალოდნელი იყო, ძალიან დაალონა ამ უბედურმა შემთხვევამ და დაამწყობრა; რათა ლაზიკეში მყოფი ჯარი მოკლებული არ ყოფილიყო წინამძღოლს, მან მაშინვე დანიშნა სარდლად ნახორაგანი, კაცი ფრიად წარჩინებული და სახელოვანი. ის უკვე მომზადებული იყო სამგზავროდ და მიდიოდა კიდეც. ნახორაგანი რომ ამ სამზადისში იყო, კოლხიდის ქვეყანაში რაღაც უცნაური და შეუფერებელი მოხდა. როდესა რომაელები, როგორც

<sup>1</sup>) აქ აგათია გულისხმობს, ალბათ, იმას, რომ წინათ მერმეროემ ტყუილი ცნობები გაავრცელებინა თავისი გარდაცვალების შესახებ. ეხლა ნამდვილად გარდაიცვალაო, ამბობს აგათია.

<sup>2</sup>) აგათია განაგრძობს მერმეროეს დახასიათებას. «თუმცა მოხუცებული იყო და კარგა ხანია ორივე ფეხი დასახიჩრებული ჰქონდა, ისე რომ ცხენზეც არ შეეძლო ჯდომა, მაგრამ საქმიანობას იტანდა, თითქოს ღონიერი ყმაწვილი ყოფილიყო, და არ ერიდებოდა არავითარ შრომას: საკაცით დაჰქონდათ და ისე ჩამოუვლიდა ხოლმე რაზმებს და ამ გზით შიშის ზარსა სცემდა მოწინააღმდეგეებს, თავისიანებს კი აქეზებდა და ამხნევებდა, და საქმის სწორად წყევანის მეოხებით მან ბევრი გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, წინამძღოლობის უნარი აიხსნება არა სხეულის ძალოვნებით, არამედ გონიერებით. მაშინ მერმეროეს გვამი მისიანებმა აიღეს და ქალაქ გარეთ გაიტანეს და, თანახმად მშობლიური წესისა, განმარტოებით და შიშვლად დაუგდეს ძაღლებსა და ფრინველებს საჯიჯგნელად» (HGM. II 217, 18 – 32).

πρότερον ἐρρήθη ἀκλεέστατα  
 ἐτλγχανον πεφευγότες καὶ τὰ  
 πράγματα τὸ μέρος καταπροέμε-  
 ναι τοῖς πολείοις, Γουβάζης ὁ  
 τῶν Λαζῶν βασιλεὺς, εὐχ' ἀνεκ-  
 τὸν ἡγούμενος τὸ αἶσχος, δεδιὼς  
 δὲ μᾶλλον μὴ τι καὶ πέρα τούτων  
 ἀμαρτηθεῖη, αὐτίκα Ἰουστινιανῷ  
 ἐξήγγειλεν ἕκαστα, καταπιπόμενος  
 τοὺς στρατηγοὺς καὶ ἄπιν τὸ ξυ-  
 νενεχθῆν ἐς τὴν ἐκείνων ἀνάγων  
 ἀβελτερίαν, καὶ πλέον ἐπεκλεί-  
 τῷ Ἡέσση καὶ μετ' ἐκεῖν ὃν Μα-  
 ρτίνῳ καὶ Ῥουσίκῳ. οὗτος δὲ  
 Ῥουσίκος ἦν μὲν Ἑλληνογαλάτης  
 τὸ γένος, παρῆν δὲ αὐτόσε οὐχ  
 ὥστε στρατηγὸς ἢ ταξίαρχος ἢ  
 ἄλλο τι εἶναι τῶν παρατάξεων  
 μέρος, ταμίᾳς δὲ μόνον τῶν βασι-  
 λέως χρημάτων, οὐ μὴν τῶν  
 ἐκ τῆς δασμοφορίας ἐραυξο-  
 μένων, ἅλλῃ γάρ τῳ ταῦτα  
 ἐπετέτραπτο. ἀλλὰ τῶν ὅσα ἐκ  
 τῶν βασιλείων θησαυρῶν ἐπε-  
 πόμευει, ἐφ' ᾧ τοὺς ἀριστεύοντας  
 ἐν ταῖς μάχαις τὰ προσήκοντα

უკვე ზემოთ ვთქვი, სამარცხივნოდ გაიქცენ და თავიანთი ბარგის ერთი ნაწილიც მტერს მიუტოვეს, ლაზთა მეფემ გუბაზმა, რომელსაც ასეთი სასირცხო საქმე შეუფერებლად მიაჩნდა და რომელსაც ეშინოდა ვაი თუ ამის მეტი კიდევ რამე შეუფერებელი მოხდესო, მაშინვე აცნობა იუსტინიანეს ყველაფერი. ბრალს სდებდა სტრატეგოსებს და ყველაფერს რაც მოხდა მათ უგუნურებას მიაწერდა, განსაკუთრებით ამტყუნებდა ბესსას, მის შემდეგ მარტინესა და რუსტიკეს. ეს რუსტიკე წარმოშობით იყო ელინოგალი და იქ მსახურებდა არასტრატეგოსის ან რაზმის უფროსის ან სხვა რამ თანამდებობაზე სამწყობრო ნაწილში, არამედ მხოლოდ მეფის თანხების საგანძურის მმართველად იყო<sup>1</sup>, იმ თანხების კი არა, რომლებიც გადასახადთა აკრეფით გროვდებოდა – ეს სხვა პირს ექვემდებარებოდა – არამედ იმ თანხების, რომლებიც სამეფო საგანძურებიდან იყო გაგზავნილი იმ

<sup>1</sup>) ეს თანამდებობა των βασιλεως (ან βασιλικων) χρηματων ταμιας უდრის ლათინურს comes sacrarum largitionum (იხ. RE IV, 671 – 675). მაგრამ ეს იგივე არ არის, რაც იყო სახელმწიფო ფინანსთა მინისტრის თანამდებობა სატახტო ქალაქში, როგორც აგათიას აქვს აღნიშნული, ის განაგებდა მეფის საგანძურის იმ თანხებს, რომლებიც ომის საგანგებო ხარჯებთან იყო დაკავშირებული, და ამიტომ გვხვდება მხოლოდ ომის დროს; ეს ταμιας-ი; რომელიც მთავარ შტაბში იმყოფება, არც ფინანსთა მინისტრს ემორჩილება, არც მთავარსარდალს; ის უშუალოდ კეისართან არის დაკავშირებული. ასეთივე თანამდებობა, როგორიც რუსტიკეს ჰქონია 554 წელს ლაზიკის ფრონტზე, ეჭირა ნარსეს 530 – 531 წლებში. სპარსეთის ფრონტზე (Proc. BP I, 15) და 538 წელს იტალიის ფრონტზე (BG VI 13. 18). საფიქრებელია, რომ ეს თანამდებობა იუსტინიანეს მიერ არის შექმნილი (იხ. E. Stein, Studien zur Geschichte des Byz. Reiches. Stuttgart 1919, 164 – 165).

κοιμίζεσθαι γέρα. ἐντεϋθέν τε οὐκ ἄσημος ἦν ὁ ἀνὴρ, ἀλλὰ καὶ λίαν τῶν δυνατωτάτων, ὡς καὶ κοινωνὸς εἶναι τῶν ἀπορρήτων, βέβαιά τε τότε δοκεῖν καὶ πιστότερα τὰ παρὰ τῶν ἀρχόντων ἀναγγελλόμενα, ἦνίκα ἂν ἐκεῖνον ἀρέσκη. Ἰουστινιανὸς δὲ ἦδη καὶ πρότερον χαλεπαίων τῷ Βέσσαι, ὅτι δὴ Πέτρας ἔλῳν τὸ φρούριον, πρὶν ἀφικέσθαι τὸν Μερμερόην. δεόν αὐτὸν τὰς ἐξ Ἰβηρίας ἐσόδους καρτερώτατα διαφράξαι, ξυλλαμβανούσης αὐτῷ τῆς φύσεως τῶν χωρίων, ταύτη τε ἄβαστα τοῖς βαρβάροις τὰ Λαζიკῆς ἄρια καταστήσαι, ὁ δὲ τοῦτο μεθῆκεν ὑπὸ ῥαστώνης, ἀργυρολογῶν δὲ περιεπόσει τὰς πύλεις τὰς ὑπ' αὐτῷ τεταγμένας. ἐκεῖνα δὴ οὖν ὁ βασιλεὺς μεμνημένος, ἐπειδὴ καὶ ταῦτα ἐπέπυστο, αὐτίκα ἐπέθετο καὶ τοῖνυν παραλύσας τὸν Βέσσαν τῆς ἀρχῆς, καὶ πρός γε ἀφελόμενος αὐτὸν τὰ οἰκεία ἐς Ἀβασγούς ἐξέπεμψεν, ἐκεῖσε μενούσῃ ἕως ἂν ἕτερόν τι ἐπ' αὐτῷ διανοηθεῖ. τῷ δὲ Μαρτίνῳ πολλὰ νεμεσήσας, ὁμῶς αὐτῷ τὰ πρωτεῖα τῆς ἡγεμονίας παρέσχετο, καὶ ἦν ἐν τοῖς στρατηγοῖς πρώτιστος μὲν αὐτός, Ἰουστίνος δὲ δεύτερος, καὶ Βουλζῆς αὖ μετ' ἐκεῖνον, καὶ ἕξῃς οἱ ἄλλοι ὡς ἕκαστοι. αἰεὶ μὲν ἔσθ' αὖ καὶ πρότερον Μαρτίνῳ τε καὶ

მიზნით, რომ მამაცად მეზრძოლებს ჯეროვანი საჩუქრები მიეღოთ. ამიტომ არც ისე უმნიშვნელო იყო ეს კაცი, პირიქით, ფრიად შემძლებელიც და საიდუმლო საქმეებშიც ჩახედული; მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა არქონტთა განკარგულებებს, როდესაც იგი ეთანხმებოდა. ბ ე ს ა ს მიმართ კი უკვე წინათაც წყრებოდა იუსტინიანე; ბესსამ პეტრას ციხე რომ აიღო, სანამ იქ მერმეროე ჩავიდოდა, საჭირო იყო, რომ იბერიიდან გადმოსავალი ადგილები მაგრად ჩაკეცა – მისთვის ხომ ნაცნობი იყო ამ ადგილების მდებარეობა – და ბარბაროსები-სათვის შეუძლებელი გაეხადა აქ ლაზიკის საზღვრებში გადმოსვლა, მაგრამ მან არ შეასრულა ეს თავისი უგუნურების წყალობით, და ამის ნაცვლად მოიარა თავისი ხელქვეითი ქალაქები და ხარკი მოკრიფა<sup>1</sup>. და, აი, მეფემ მოიგონა ყველაფერი ეს, როდესაც გუბაზის შემოთვლილი გაიგო, და მაშინვე ირწმუნა; ამიტომ მან ბესსა გადააყენა თანამდებობიდან, გარდა ამისა ჩამოართვა მას მთელი ქონება და აბაზგიაში გაგზავნა, რომ იქ დარჩენილიყო, სანამ მისთვის სხვა რამეს მოიფიქრებდა. რაც შეეხება მ ა რ ტ ი ნ ე ს, თუმცა იმაზეც ძალიან გაჯავრებული იყო, მაგრამ პირველი სარდლის თანამდებობა მაინც დაუტოვა; სტრატეგოსთა შორის ის

<sup>1</sup>) აქ აგათია იბეროებს პროკოპის სიტყვებს (BG VIII, 13; იხ. გეორგიკა II, 150, 153 – 154).

Ῥουστίκῳ οὐκ ὀρθῶς τὰ ἐς Γου-  
βάζην διέκειτο, ἀλλὰ δυσμένειά  
τις αὐτοῖς ὑπετυφετο, βαρειαῖ τε  
καὶ δεινотάτη ασιπ καὶ διελάν-  
θανε, λαβ ὅσα μὲν τὴν ἀρχὴν  
ὑπὸ φθίνου καὶ βαρκανίας, ἀρ-  
θρῆισα δὲ κατὰ τὸ μάλλον τῷ ξυ-  
νεχεῖ καὶ ἀλογίστη τη ὑποψίας.  
ἀπαν γὰρ οὐκ ἔστιν ὑπ' αὐτοῦ γιγ-  
νόμενον τῷ πεπ νῦθι τις ψυχῆς  
ἐξετελόντες, καὶ πάντως ἀχθῶ-  
μενοι, ὑπέτρεφον<sup>2</sup> τὸ χαλεπαίνον  
καὶ ἐπερῶννον<sup>3</sup>. ἐπεὶ δὲ ἐκείνος  
ὑποτοπήσας τὸ ἔχθρος, καὶ τὸ λοι-  
πὸν ἐς τὸ ἀντιλυπεῖν προηγ. ἔνος,  
ἐκακηγόρει: γὰρ αὐτοῦς πολλὰκις ὡς  
ἀνὰν ὄρους καὶ ἀλαζόνας, καὶ οὐ-  
δὲν ὅτιον μέλιν αὐτοῖς τῶν πρακ-  
τέων, ἔς τε τὰ ξυπόσια καὶ τοῦς  
ξυλλόγους νε εσῶν ἀεὶ διετέλει,  
καὶ οὐδὲ πρεσβείας τυχὸν ἀφιγ-  
μένης ἐκ τῶν προσοίκων ἐθῶν  
ἀνίει καὶ ὑπετέλλετ· οἱ δὲ ταυτὰ  
τε οὐκ ἐνεγκόντες καὶ πῶς γε  
τὰς ἐς βασιλέα διαβ λὰς ἐν ὄργῃ  
ποιησάμενοι, καὶ γιγνώσκοντες

იყო უპირველესი<sup>1</sup>, იუსტინე იყო მეორე, ხოლო ბუზე ამის მომდევნო და ასე შემდეგ დანარჩენებიც. მართალია, წინათაც მუდამ ისე იყო, რომ გუზაზს მარტინესთან და რუსტიკესთან კარგი ურთიერთობა კი არ ჰქონდა, არამედ მტრობა ღვივდებოდა მათ შორის, მძიმე და საშინელი, მაგრამ ის ჯერ დაფარული იყო. ეს მტრული ურთიერთობა ჯერ დაიწყო შურით და ცილისწამებით, ხოლო შემდეგ უფრო-და-უფრო გაიზარდა განუწყვეტელ და უგუნურ იჭვნიულობად. თითოეულ მის ჩადენილ საქმეს ისინი უყურებდენ დაჭრილი გულით და სრულიად მტრულად, აღვივებდენ ბოღმას და აძლიერებდენ. როდესაც მან (გუზაზმა) შენიშნა მისდამი მათი სიძულვილი, რასაკვირველია სამაგიეროს მიზღვევის საფუძველი მიეცა, და ის მათ ხშირად ამაგებდა როგორც ლაჩრებსა და გაიძვერებს, რომ მათ ხელიდან არაფერი საქმე არ გამოდის; ნადიმებზე და კრებებზე მუდამ ზიზლით ეპყრობოდა, და რო-

<sup>1</sup>) მარტინე გვხვდება 531 წლიდან. ამ წელს ის სიტტას და ჰერმოგენეს ჯარში მსახურებს სპარსეთის ფრონტზე: მარტიროპოლისიდან ის მძევლად გაუგზავნეს სპარსელებს. ამის შემდეგ ვიდრე 540 წლამდე ის დასავლეთის ფრონტზეა, 540 წელს კი ის კონსტანტინეპოლში იქმნა გამოძახებული და მალე გაიგზავნა სპარსეთის ფრონტზე: მონაწილეობა მიიღო დარას დაცვაში. 543 წელს ის დანიშნული იქმნა magister militum per Orientem; ანგლონთან ბრძოლაში დამარცხდა; 544 წელს ედესაში იბრძოდა ხოსროს წინააღმდეგ. ამ წელს ბესასთან ერთად ლაზეთში ხელმძღვანელობს საომარ ოპერაციებს. 554 წლიდან ის მთავარსარდალია (პირველი სარდალი) ლაზეთის ფრონტზე. გუზაზის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობისა და მისი ვერაგულად მოკვლის გამო ის იუსტინიანემ 556 წელს გადააყენა თანამდებობიდან (იხ. ქვემოთ Agath. IV, 21) და მის ადგილას იუსტინე გერმანეს-ძე, დანიშნა (იხ. RE XIV, 2019 – 2020).

ὡς οὐκ ἀνήσει διελέγχων εἰ που  
καὶ αὐτοὺς σφαιλεῖεν, ἐβουλεύοντο  
ἐκποδῶν τὸν Γουβάζην ποιήσα-  
σθαι, ὡς ἂν τίσαιντό τε αὐτὸν  
τοῦ φιτάσαντος πέρι καὶ τὸ λοι-  
πὸν εὐδὲν οὐ δειμνίζουεν.

რადგან იცოდენ, რომ ის კვლავაც გააგზავნიდა საჩივარს, თუ ისინი  
კიდევ რამეში შესცდებოდენ, ამიტომ განიზრახეს თავიდან მოეშო-  
რებინათ გუბაზი, რათა ერთი მხრით მისთვის სამაგიერო გადაეხადათ  
მიყენებული უსიამოვნებისათვის, ხოლო მეორე მხრით აღარ ჰქონო-  
დათ ამიერიდან შიში.

Πολλὰ δὲ οὖν κατὰ σφᾶς κοι-  
νολογησάμενοι καὶ πέρας ἐπὶ τῆδε  
στάντες τῆ γνώμῃ, ἐπειδὴ αὐτὸν  
οὐ πρότερον διειρησασθαι ψοντο  
χρηγαί πρὶν ἂν καὶ τοῦ βασιλέως  
ἀποπειραθῆεν, στέλλουσιν ἐς τὸ  
Βυζάντιον Ἰωάννην τὸν Ῥουσι-  
κὸν ἀδελφόν, ἀγγελοῦντα δὴ ἔθεν  
ὡς μηδὲν ὁ Γουβάζης περὶ  
ραται. καὶ οὖν ἐς λόγους ὁ Ἰωάν-  
νης τῷ βασιλεὶ λαυραϊότατα ἀφιγ-  
μένους διέβαλλε τὸν Γουβάζην ὡς  
ἀποστάντα ἤδη καὶ τοὺς Πέρσας  
ἐπαγόμενον καὶ οὐκ ἐς μακρὰν  
τὴν χώραν ἐπ' ἐκείνους<sup>1</sup> μετασῆ-  
σοντα, εἰ μὴ θάπτον οὐδὲ ὅν  
πρὸς διακωλυθεῖ. ὁ δὲ βασι-  
λεὺς καταπλαγεὶς μὲν τῷ παρα-  
λόγῳ οὐπω δὲ τελευταῖα πεπισ-  
τευκώς, ἀλλ' ἐπὶ μέσης τινὸς χω-  
ρήσας ἐννοίας,

« ἄγε, ἔφη, ὡς τὸν ἄνδρα πα-  
ρασκευάσοιτε ὡς ἡμᾶς ἐνθάδε γε-  
νέσθαι ».

Δείσας δὲ ὁ Ἰωάννης μήποτε,

დესაც შემთხვევით მეზობელი ტო-  
მების ელჩები მოვიდოდენ, მაშინაც  
კი არ ცხრებოდა და არ ეშვებოდა.  
ისინიც ამას ვერ ითმენდენ და გან-  
საკუთრებით აზრახებდა მათ მეფეს-  
თან დაბეზლება (გუბაზის მიერ) და,

III 3. ბევრი ითათბირეს იმათ  
ერთმანეთში და ბოლოს იმ აზრს  
დაადგენ, რომ სანამ არ ცდიდენ  
მეფესთან ამ საქმის მოგვარებას, ხე-  
ლი არ ეხლოთ მისთვის. ამიტომ  
ბიზანტიონში გაგზავნეს იოანე –  
რუსტიკეს ძმა, რათა მას მიეტანა  
ამბავი, თითქოს გუბაზი სპარსელე-  
ბის მომხრეობას იჩენდეს. და, აი  
როდესაც იოანე ფარულად მივიდა  
მეფესთან სალაპარაკოდ, დააბეზლა  
გუბაზი: გადაგვიდგა და სპარსე-  
ლებს მოუძღვება და საცაა მთელ  
ქვეყანას მათ გადასცემს, თუ სას-  
წრაფოდ რაიმე ზომას არ მივიღებთ  
მის შესაკავებლადო. მეფე გაშტე-  
რებული დარჩა ამ დაუჯერებელი  
ამბით, საბოლოოდ არც დაიჯერა,  
მაგრამ რაღაც საშუალო აზრს დაად-  
გა და უთხრა:

– მაშ, მიიღეთ ზომები, რომ ის  
აქ მოვიდეს.

იოანეს შეეშინდა, ვაი თუ, ის  
რომ აქ მოვიდეს, ჩვენი სივერაგე

<sup>1</sup>) ἐσεκείνους R.

εἰ γε ἐκεῖνος ἀφίκοιτο, τὰ τῆς ἐπι-  
 βουλῆς ἀνακαλυφθεῖη,  
 „εἶεν, ἔφη, ὦ δέσποτα, τί δὲ ἄρα  
 ποιητέ ν ἡμῖν, εἰ γε ἐκὼν εἶναι  
 παραγενέσθαι ἤκιστα ἐλ ἰτ “;  
 „ἀναγκαστέον αὐτόν, ἦ δὲ ὁ βα-  
 σιλεύς, κατήκον ὄντα καὶ πάση  
 μηχανῇ<sup>1</sup> ἔκπε πτέ ν“.  
 Ἐὐθὺς δὴ σὺν ὑπελαβὼν ὁ Ἰωάν-  
 νης ἀναγκασόμενος δὲ εἰ γε ἀντι-  
 σταίη, τί ἂν γένοιτο ἐπὶ τούτοις“;  
 „τ. δὲ ἄλλο γε, ἔφη ὁ βασιλεύς, ἦ  
 πείσεται τὰ τῶν τυράννων καὶ  
 κάκιστα ἀπολείται“;  
 „οὐδὲν οὖν ἔσται δέος, ἦ δὲ ὁ Ἰωάν-  
 νης, τῷ τούτου ἀποκτενοῦντι“;  
 „οὐ μὲν οὖν, ἔφη, εἴ γε ἀντιτατ-  
 τόμενος καὶ ἀνηκουστῶν ὡς πε-  
 λέμιος δικηθαρείη“.  
 Τοιαῦτα δὲ τοῦ βασιλέως ἀπο-  
 κριναμένου καὶ παραπλήσια τού-  
 των ἐν ἐπιστολῇ τοῖς στρατηγοῖς  
 σημῆναντος, οὐδὲν ἔτι ὁ Ἰωάννης  
 περαιτέρω ἀνεπυθάνετο, ἀλλ’  
 ἐπειλήφθαι ἤδη καὶ ἔχασθαι τοῦ  
 ζήτουμένου ἀποχρώντως ἡγούμε-  
 νος ἐπανήκειν αὐτῷ ἐς Κόλχους,  
 τὰ γὰρ μα τούτο ἐπιφερόμενος ὁ  
 δὴ Μαρτίνος τε καὶ Ῥούστικός  
 ἀναλεξάμενοι, καὶ μάλᾳ εὐπρεπῶς  
 ἐσκευαρήσθαι τὸ δράμα εὐρόντες,  
 εὐθὺς ἐπὶ τὴν πράξιν ἐχώρουν.  
 Ἐγκαλεσάμενοι δὴ σὺν Ἰουστίνον  
 τε καὶ Βολζην καὶ τὸ με-  
 λετηθὲν ἀποκρίπτοντες, χρήναι  
 ἔφασαν τὴν ταχίστην ὡς Ποιβά-

გამომჟღავნდესო და მოახსენა:  
 – როგორ მოვიქცეთ, ბატონო,  
 რომ თავისი ნებით არ ირჩიოს აქ  
 გამოცხადება?  
 – ძალა დაატანეთ, უპასუხა მეფემ.  
 ქვეშევრდომია, ყოველი ღონე იხმა-  
 რეთ და გამომიგზავნეთ.  
 იოანემ მაშინვე ჩამოართვა სი-  
 ტყვა:  
 – ძალას დავატანთ, მაგრამ წი-  
 ნალმდეგობა რომ გაგვიწიოს, რა  
 ვუყოთ?  
 – სხვა რა უნდა უყოთ, უთხრა  
 მეფემ; ტირანული საქციელი უნდა  
 დაისაჯოს, სასტიკად უნდა მოისრას.  
 – მაშ, თქვა იოანემ, არავითა-  
 რი შიში არ უნდა ჰქონდეს იმას,  
 ვინც მას მოკლავს?  
 – რასაკვირველია არა, უთხრა  
 მეფემ; თუ ის წინააღმდეგობას გას-  
 წევს და ურჩობას დაიწყებს, უნდა  
 მოისპოს, როგორც მტერი.  
 ასე რომ უპასუხა მეფემ და დაა-  
 ხლოვებით იგივე აღნიშნა სტრატე-  
 გოსებისადმი მიწერილ წერილში<sup>2</sup>,  
 იოანე მეტს აღარაფერს შეეკითხა.  
 მისი აზრით, მან დამაკმაყოფილე-  
 ბელი პასუხი მიიღო იმაზე, რასაც  
 ეძიებდა, და უკან გასწია კოლხე-  
 თისაკენ, თან ეს წერილიც წაიღო.  
 მარტინემ და რუსტიკემ რომ წაი-  
 კითხეს წერილი, დაასკვნეს, რომ  
 საქმე საუცხოვოდ იყო მოგვარებუ-  
 ლი და მაშინვე შეუდგენ საქმეს.  
 მათ მოიხმეს იუსტინე და ბუზზე,  
 განზრახული დაუმაღეს, ხოლო უთ-

1) παση φυλακῆ *uulg.*

2) ეს წერილი მოყვანილია ქვემოთ, Agath. IV, 2.

ζην ἰέναι, ζὺν αὐτῷ τε βιβλυεύεσθαι ὡς τῆς ἐς Ὀνόγουριν<sup>1</sup> Πέρσαις κοινῇ ἐπελευσόμεθα. οἱ δὲ τούτοις πεπεισμένοι ξυμπορεύοντο. εἶπετο δὲ αὐτοῖς βραχεῖά τις ἐκ τῶν ταγματῶν ἀπόμοιρα γνοῦς δὲ ὁ Γουβάζης ὡς αὐτίκα μάλα οἱ στρατηγοὶ ἐπ' αὐτὸν ἤζουσι καὶ οὐδὲν ἔτ. οὖν ἀντιξοῦν ὑπ. τιπησας, παραγίνεσθαι ἀμφὶ τὸν Χωβῶν ποταμόν. ἐνταῦθα τε αὐτοῖς ὁ δεῖλαιδς ὑπαντιάζει ἀφρακτῶς τε καὶ θαρραλέος καὶ λίαν ὀλίγους τῶν ὀπαδῶν ἐπαγόμενος, καὶ τοὺς ἀνόπλους καὶ οὐκ ἐς μάχην παρεσκευασμένους. πῶς δὲ οὐκ ἂν οὕτως ἔκετο παρὰ φίλους τε καὶ ξυνήθεις καὶ φυλακῶς τῆς χώρας καὶ ἥμισθα πολεμίου, μάλλον μὲν οὖν καὶ τῶν ὀθνεῖων ἐχθρῶν ἀλεξήτηρας;

Οὕτω δὲ ἐπὶ τῶν ἵππων ἡμενοὶ ἅπαντες διελέγοντο ἀλλήλοις ὡς τὰ παρόντα θετέον καὶ τοῖνυν ὁ Ῥούστικος „ἀγε“ ἔφη „ὦ Γουβάζης, ὡς ἡμῖν ξυνάροιο καὶ ξυνεπιλήψῃ τοῦ πόνου κατὰ Περσῶν ἰοῦσι τούτων δὴ τῶν ἐς Ὀνόγουριν ἰδρυμένων. αἰσχρὸν γὰρ εἰ καθέδουσθαι ἀδεῶς ἐπὶ πλείεσθιν ἐν μέσῃ τῇ ἡμετέρῃ γόρῃ, καὶ ταῦτα ὀλίγιστοι ὄντες καὶ οὐδαμῶς ἀξιμαχοί“. „ἀλλ' ἡμᾶς γε μόνους“ ἡ δὲ ὁ Γουβάζης „ἀνάγκη, ὦ γενναῖοι, ἐν τῇδε δια-

ხრეს: საჭიროა სასწრაფოდ გუბაზთან წასვლა და მასთან მოთათბირება იმის შესახებ ონოგურისში მყოფ სპარსელებს როგორ დავესხათ თავს ერთად. ამათაც დაუჯერეს და გაემართნენ; თან წაიყვანეს მცირეოდენი რაზმი. გუბაზმა რომ შეიტყო, რომ მასთან მალე მოვიდოდენ სტრატეგოსები, და სამტროს მათგან არაფერს ელოდა, წავიდა ხობის წყალთან. აქ შეეგება ის უბედური მათ, უმცველებოდ და გაბედულად, მხოლოდ მცირეოდენი ახლდენ მისი ამალიდან, ისიც უიარაღონი და საბრძოლველად მოუმზადებელნი. მაშ, სხვანაირად როგორ მიეგებებოდა ის მეგობრებს და მოკეთეებს, ამ ქვეყნის მცველებს, არა მტრებს, არამედ – პირიქით – უცხო ტომთა განმდევნელებს?

III 4. ასე ყველანი ცხენებზე ისხდენ და ისე ესაუბრებოდენ ერთმანეთს მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. მაშინ რუსტიკემ უთხრა: „აბა, გუბაზ, სპარსელების წინააღმდეგ მივდივართ, რომლებიც ონოგურისში ჩამჯდარან; გამოგყევი და ჩვენთან ერთად მიიღე მონაწილეობა ამ ლაშქრობაში. სირცხვილი იქნება, თუ ისინი კვლავ თავისუფლად ისხდებიან ჩვენი ქვეყნის შუა გულში, მით უმეტეს რომ ისინი მცირერიცხოვანი არიან და ბრძოლის უნარი

<sup>1</sup>) εν Ονογουρι R (სხვა ხელით), Ονογουριν *vulg.*

<sup>2</sup>) τον ποτομον *vulg.* – εχθρων R, εθνων *vulg.*



γωνίσασθαι ὡς καὶ μόνους τῶν  
 ξυνεχθέντων αἰτιωτάτους. εἰ  
 γὰρ μὴ ῥασιῶνῃ πολλῇ ἀμφὶ τὰ  
 πρακτέα εἴχεσθε καὶ ὀλιγωρία,  
 οὐτ' ἂν τὸ φροῦρῖον ἡμῖν τοῦτο  
 ἐπετειχίζετο οὔτε οὕτως ἀκλεᾶ  
 φυγῆν καὶ ἀσχήμονα ὑποστάγτες  
 ἐδραπετεύετε, οὔτε ἄλλο τι ἐγί-  
 νετο τῶν οὐ προσηκόντων. νῦν  
 δὲ ὄν, ὧ λῶστοι, εἴ γε δόξης  
 ἐρασταὶ εἶναι φατε καὶ στρατη-  
 γικῇ φρονήματι γάνυσθε, τὸ πα-  
 ρειμένον ἡμῖν ἀνακλητέον. ὡς  
 ἔγωγε οὐ ποτε ἐφομαι οὐδὲ ξυν-  
 διακινδυνεύσαιμι, πρὶν ἂν ἀπικντα  
 ἐκθεραπευθῆιη πρὸς ἡμῶν τὰ  
 ἡμαρτημένα''. τοῦτων δὲ εἰρημέ-  
 νων, ἀντίκα, ὥσπερ τῆς αντι-  
 λογίας ἀποχρώσης πρὸς ἔλεγχον  
 τοῦ μηδισμού καὶ τυραννίδος με-  
 μελετημένης, ὁ Ἰωάννης ἐκείνος,  
 ὁ τῶν θειῶν ἀγγελιαφόρος, σπα-  
 σάμενος ἡρέμα τὸ ἐγχειρίδιον  
 παῖει τὸν Γουβάζην ἀμφὶ τὸ στέρ-  
 νον, οὐπω καιρίαν. ὁ δὲ, ἐτύγ-  
 χανεν γὰρ ἐναλλάγῃ ἔχων τῷ  
 πόντῳ ὑπὲρ τὸν ἀχένκ τοῦ ἵππου,  
 ἀθρόον κατέπεσεν, οὐ τοσσῶτον,  
 οἶμαι, τῆς πληγῆς τῆς χειρὸς ὅσον  
 τῆς ἀπροσδοκῆτος καταβεβλημένου.  
 ἰλυσπόμενον δὲ αὐτὸν ἔτι καὶ  
 ἀναστῆσειόντα παραστάς ὁ τοῦ  
 Ῥουστίκου δορυφόρος, προστετα-  
 γμένον αὐτῷ, καὶ ξίφει πατάξας  
 τὴν κεφαλὴν τελεώτατα κατακτεί-  
 νει. αὐτῷ μὲν οὐκ τὸν Γουβάζην  
 καὶ ἐπὶ τοῖσδε ἀνηρηθῆναι φασιν  
 οἱ τὰ ἀκριβέστατα γιγνώσκειν

თაც ვერ შეგვედრებთან“. „ეს ლაშ-  
 ქრობა, შე კაი კაცო, ხომ მარტო  
 თქვენ გეხებათ – მიუგო გუბაზმა, –  
 რადგან მხოლოდ თქვენ მიგიძღვით  
 ბრალი იმაში, რაც მოხდა. რომ  
 თქვენ ასე უგუნურად და დაუდე-  
 ვრად არ მოჰყვობოდით საქმეს, არც  
 ეს ციხე იქნებოდა ჩვენ წინააღმ-  
 დეგ გამაგრებული, არც ასე უსირ-  
 ცხვილოდ და ქუდმოგლეჯილი გაი-  
 ქცევოდით და არც სხვა რამე მო-  
 ხდებოდა ამ შეუფერებელი ამბე-  
 ბიდან. ეხლა კი, ძვირფასნო, თუ  
 თქვენ ამბობთ, რომ დიდება გი-  
 ყვართ და სარდლის ღირსების სი-  
 მალეზე დგახართ, თქვენი შეცდომა  
 უნდა გამოასწოროთ. რაც შემე-  
 ხება მე, არ გამოგყვებით და არც  
 ომში ჩავებმები, სანამ თქვენ  
 მიერ ჩადენილ ყველა შეცდომას  
 არ უწამლებთ“. როგორც კი ეს  
 ითქვა, მაშინვე, თითქოს გუბაზის  
 პასუხი საკმაოდ ამტკიცებდა მის  
 მედიზმსა და ტირანობასო, იმ ოია-  
 ნემ, რომელიც იმ ვერაგთა შიკრი-  
 კი იყო, იშიშვლა ჩუმიად ხანჯალი  
 და მკერდში ჩასცა გუბაზს, მაგრამ  
 არა სასიკვდილოდ. გუბაზს თურმე  
 ცხენის კისერზე ჰქონდა ფეხები  
 შემოკეცილი და ის ერთბაშად დაე-  
 ცა ძირს, მე ვფიქრობ, არა იმდენად  
 ხელის დარტყმისაგან, რამდენადაც  
 იმის გამო, რომ ასე მოულო-  
 დნელად დაატყდა თავს ეს ამბავი.  
 გუბაზმა ფოფხვა დაიწყო და ცდი-  
 ლობდა ამდგარიყო, ამ დროს ზედ  
 წაადგა რუსტიკეს მემუზე, რომელ-  
 საც ეს დავალებული ჰქონდა, მა-

πεπιστευμένοι. Ἰουστῖνος δὲ καὶ Βούζη: ἡσχαλλον μὲν καὶ ἐδυσφόρουσιν, καὶ ξυμφράν τὸ πρὶχθὲν ἐπισκοῦντ, ἡσυχίαν δὲ οἴως ἦγον, οἰόμενοι βασιλέα Ἰουστινιανὸν ταῦτα σαφῶς ἐπιστεῖλαι. ὁ δὲ τῶν Λαζῶν ὁμιλῆς διαταράχθη τε ἅπας καὶ δασυμίαι κατεῖχοντο, ἄς μήτε ἀναμῖγνυσθαι τὸ λοιπὸν τοῖς Ῥωμαίοις μήτε ξυνεπιτρατεῦσθαι ἀρεῖσθαι, ἀλλὰ τὸν νεκρὸν ἢ νενομίσται καταχῶσαντες ἕμενον οὕτως ἀπόμαχοι, ἄς δὴ δεῖνὰ ὑβρισμένοι καὶ τὴν πᾶτριον δόξαν ἀποβεβληκότες (HGM II 237—242).

მაელებს და არც მათთან ერთად ელაშქრათ. როდესაც გუზაზის გვამი, თანახმად მათი წესისა, დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს, როგორც უაღრესად შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა.

### ლაზთა ტომის დახასიათება. – ბრძოლა ონოგურისთან 554 წელს

Μέγιστον γὰρ ἔθνος καὶ ἀγέρωχον οἱ Λαζοὶ καὶ μεγίστων ἄλλων κρατοῦσι, τῷ τε παλαιῷ τῶν Κέλχων ὀνόματι βρενθισόμενοι πέρα τοῦ μετ' αὐτοῦ μεγάλαυχοῦσι, καὶ τάχα οὐ λίαν ἀλόγως. ἐν γὰρ τοῖς ἔθνεσι τοῖς ἑσῶ ὑφ' ἑτέραν βασιλείαν τετάχεται, οὐκ εἶδα ἕγωγε ἄλλο οὕτω κλεινὸν που φύλον καὶ εὐδαιμον, πλοῦτον τε ὑπερβ. λη καὶ πλῆθει κατηκόων, τόπων τε εὐκαιρία καὶ ἀφθονία τῶν ἐπιτηδείων καὶ τῆ τῶν ἡθῶν εὐκοσμία τε καὶ δεξιότητι. καὶ τοῖσιν οἱ μὲν πάλαι οἰ-

ხვილით გაუჩხება თავი და ბოლო მოულო მის სიცოცხლეს. აი, ასეთ პირობებში მოკლეს გუზაზი, როგორც ამბობენ სარწმუნო კაცები, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ ეს ამბავი. იუსტინეს და ბუზეს ძალიან ეწყინათ ეს, უბედურებადაც ჩათვალეს ეს ამბავი, მაგრამ მაინც სდუმდნენ რადგან ეგონათ, ეს უთუოდ იუსტინიანე მეფის დავალებით მოხდაო. ლაზთა მთელი ლაშქარი აღელდა ამ ამბის გამო და ისეთმა უკმაყოფილებამ შეიპყრო ისინი, რომ გადაწყვიტეს ამიერიდან აღარ შერეოდნენ რო-

III 5. ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მზრძანებლობენ; ამაცობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჩმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით ისე ხასიათის სი-

κῆτορες τῶν ἐκ τῆς θαλάττης ἀγαθῶν ἀγνώτες παντάπασιν ἐτύγχανον ὄντες, οἷς γε οὐδὲ ὄνομα νεῶς ἤκαίετο, πρὶν γε δὴ αὐτοῖς τὴν Ἀργὴν ἐκείνην ἐπιφοιτῆσαι. οἱ δὲ νῦν καὶ ναυτίλλονται γε οὕτω παρασχὸν καὶ τὰ τῆς ἐμπορίας κινεῖσθαι κέρδη. εἰσὶ τε οὐ βάρβαροι τὸ λοιπὸν οὐδὲ οὕτω βιοτεύουσιν, ἀλλ' ἐς τὸ πολιτικὸν τε καὶ ἔνομον μεταβέβληται τῇ πρὸς Ῥωμαίους ἐπιμιξίᾳ· ὥστε εἴ τις τοὺς χαλκοποδὰς ταύρους περιέλοι καὶ τὰς τῶν γηγενῶν ἀναβλαστῆσεις καὶ ὁπόσα ἄλλα τερατῶδη καὶ ἄπιστα τῇ ποιήσει ἀμφὶ τῷ Αἰήτῃ κερκόμψεται, εὖροι γε ἂν τὰ παρόντα πολλῶ τῶν προτέρων ἀμείνονα. τοιοῦτοι δὲ εἰς ὄντες οἱ Λαῖοι εἰκότως οὐκ ἀνεκτὰ ἤγεοντο πεπονθέναι, ὡς δὴ τὸν βασιλέα σφῶν παρὰ λόγως ἀφηρημέναι. ἀντίκα δὲ οἱ Ῥωμαῖοι, Μαρτίου ἐξυτρύγοντος, ἠπειλούντο πανσθενεῖ ἐπιθέσθαι τοῖς ἐς Ὀνογούριον Πέρσαις. τῆνδε δὲ τὴν ἐπωνυμίαν ἐκ παλαιῶ ἔλαχεν τὸ χωρίον, Ὀνγγων ἰσως ἐν τῆς ἄνω χρόνους, τῶν δὲ Ὀνογούρων ἐπιλε-

ლამაზითა და სიცქვიტით. იმ დროს, როდესაც წინანდელ მცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიდგინეთ – არც კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამ მათთან არგოს ნავი მოვიდოდა, ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდევ, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას. ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ; ასე რომ, თუ ადამიანი აღარ მოიგონებს სპილენძლიქების ხარებს და მიწისაგან აღმოცენებულ ბუმბერაზებს<sup>1</sup> და ბევრ სხვა საკვირველსა და დაუჯერებელ ამბავს, რაც აიეტის გარშემო შეთხზულ თქმულებაშია – ის დარწმუნდება, რომ ეხლანდელი ვითარება წინანდელზე ბევრად უკეთესია. აი, ასეთი არიან ლაზები და ბუნებრივია, რომ მათ შეუწყნარებლად მიიჩნიეს მოეთმინათ ის, რომ მათ ასე ვერაგულად მოუკლეს მეფე. მარ-

<sup>1</sup>) იგულისხმება არგონავტების მითში მოთხრობილი შემდეგი ეპიზოდი. როდესაც იაზონმა უამბო კოლხიდის მეფეს აიეტს თავისი მოსვლის მიზანი და სთხოვა მას ოქროს ვერძი დაეთმო მისთვის, აიეტმა უპასუხა: ვიდრე ოქროს ვერძს მოგცემდე, უნდა დავრწმუნდე შენს ვაჟკაცობაშიო; გამოსაცდელად შემდეგ დავალებას მოგცემ: მე მყავს ორი ხარი, რომელთაც სპილენძის ჩლიქები აქვთ (ა კ ო ლ ო ნ ე ლ ი რ ო დ ო ს ე ლ ი III 410; ταυρα χαλκοποδε) და სპილენძის პირი, კვამლისა და ალის ამომხეთქავი; შეაბი ისინი გუთანში, მოხანი ყანა და დასთესე დრაკონის კბილები; საღამოთი ამ თესლისაგან გაჩნდებიან შეიარაღებული ბუმბერაზები (Apoll. Rhod. III, 401 – 421).

γομένων, αὐτοῦ που ξυμβιζόντων τοῖς Κολοαῖς, καὶ εἶτα νενικημένων, καὶ ὡσπερ μνημείου χάριν καὶ τροπαίου τὴν ἐπίκλησιν ταύτην τῶν ἐπιχωρίων ἐπενεγκόντων. νῦν δὲ οὐχ οὕτω παρὰ τοῖς πολλοῖς ὀνομάζεται, ἀλλ' ἐπειδὴ Στεφάνου τοῦ θεσπεσίου ἱερὸν ἐνταῦθα ἱδρύται, ἐν δὴ πρῶτον πάλαι φασὶν ὑπὲρ τῶν Χριστιανῶν ἀριστὰ δοκούντων ἐθέλοντὴν διακινδυνεύσαντα ὑπὸ τῶν ἐναντίων καταλευσθῆναι, τῷ ἐκείνου ὀνόματι καλεῖσθαι τὸν τόπον νερόμισται. ἡμᾶς δὲ οὐδὲν, οἶμαι, τὸ κωλύον ἐξ γνῶρισμα τῆ ἀρχαιοτάτῃ χρῆσθαι προσηγορίᾳ, ἐπεὶ καὶ ξυγγραφῇ μάλλον προσήκει. ὁ δὲ τῶν τῶν Ῥωμαίων στρατὸς ἐς Ὀνόγουριν ἰέναι πικρεσκευάζοντο. οἱ γὰρ τῶν μιάσματος βουληφόροι ἐς τοῦτο ἐνέκειντο, ἐλπίζοντες ῥαδίως τοῦτο δὴ τὸ φρούριον καταστρέψασθαι· ταύτην τε τὸν βασιλέα, εἰ καὶ τὰ τοῦ ἐόλου γνῶρη, μὴ λίαν αὐτοῖς χαλεπήναι, ἀλλὰ τῇ τελευταίᾳ πράξει ἐν καιρῷ γυγνεμένη τὸ ἐπίκλημα διαλυσαί. ἀπαντες τοιγαροῦν οἱ τε στρατηγὶ καὶ αἱ δυνάμεις ἐν τῷ Ἀρχαιοπόλει πεδίῳ στρατοπεδεύσασθαι τοὺς τε καλουμένους σπαλίους; ἐπεσκευάζον καὶ τὰ τῶν μεγάλων λίθων ἀκοντιστήρια καὶ ἄλλα ἄττα τοιαῦτα ὄργανα, ὡς, εἰ θεήσοι, τειχομαχῆσοντες. ἔστι δὲ ὁ σπαλίων πλέγμα ἐκ λύγων ἐξ ὀρυφῆς τύπον ἐξείργασμένον, στε-

ტინეს წაქეზებით რომაელებმა მთელი თავისი ჯარით მიიტანეს იერიში ონოგურისში ჩამჯდარი სპარსელების წინააღმდეგ. ეს სახელი ძველადვე შეერქვა ამ ადგილს შესაძლებელია იმის გამო რომ ჰუნნები, რომელთაც ონოგურები ეწოდებოდათ, ამ ადგილას შებმიან კოლხებს წარსულ წლებში და დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძეგლად ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის. ამჟამად ბევრი ასე კი აღარ უწოდებს, არამედ, რადგან აქ დაფუძნებულია იმ წმიდა სტეფანეს ტაძარი, რომელიც როგორც ამბობენ, საკუთარი ნებით შეება მტერს საუკეთესო ქრისტიანთა გულისთვის და ჩაქოლილ იქმნა მოწინააღმდეგეთა მიერ, მისი სახელი ეწოდა ამ ადგილს. ჩვენ კი, ვფიქრობ, არაფერი გვიშლის ხელს ძველი სახელწოდება ვიხმაროთ, მით უმეტეს რომ მწერლობა ამას მხარს უჭერს. ამრიგად, რომაელთა ჯარი ონოგურისის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებოდა. ამას მოითხოვდენ გუბაზის მკვლელიობის სულის ჩამდგმელნი, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ამ ციხეს მალე დაიპყრობდენ; ამის წყალობით – ფიქრობდენ ისინი – მეფეს რომ კიდევაც გაეგო მათი ვერაგობის ამბავი, ის მათ მაინც-დამაინც არ გაუწყობოდა და, რადგან უკანასკნელი ლაშქრობა წარმატებით დამთავრდებოდა, საყვე-

γαγόν τε τῆ πυκνώσει και ἀμφη-  
 ρεφές, τῶ ἐκχτέρωθεν τὰ πλευρά  
 ἐς τὰ κάτω παρατετάσθαι και  
 περιβᾶλλειν τὸ ὑπερχόμενον. δέρ-  
 ρεις δὲ ὑπερθεεν και διφθέρας  
 ἐπιβάλλοντες πάντοθεν περικαλύ-  
 πτουσι τὸ μηχάνημα, τοῦ μᾶλλον  
 ἔρυμα εἶναι και ἀποκρούειν τὰ  
 βέλη. ἄνδρες δὲ ἔνδον ἐν τῷ ἀσφα-  
 λει ὑποκρυπτόμενοι αἴρουσι γε  
 αὐτὸ ἀφανῶς και ἡ βούλονται  
 διακομίζουσιν. ἐπειδὴν δὲ προ-  
 σενεχθεῖη πύργῳ τυχόν ἢ περι-  
 βόλῳ, τότε δὴ νέρθεν ἐκείνοι τὴν  
 προσκειμένην γῆν ἀνορύττοντες  
 και τὸν χερσὶν ἀνιμώμενοι, ἀπο-  
 γυμνοῦσι τὰ θεμέλια, και εἶτα  
 μοχλοῖς τε και σφύραις ἐνδελ-  
 χέστατα πλήττοντες κατασειού-  
 σιν τὴν οἰκοδομίαν. οὕτω μὲν οὖν  
 οἱ Ῥωμαῖοι τὰ ἐς πολιορκίαν πα-  
 ρεσκευάζοντο.

დურსაც აიცდენდენ თავიდან. და, აი, სტრატეგოსებიც და მთელი ჯა-  
 რიც, რომელნიც არქეოპოლისის დაბლობში იყვნენ დაბანაკებულნი, ამზადებდენ ეგრეთწოდებულ სპა-  
 ლიონებს, დიდი ქვების სატყორც-  
 ნელებს და სხვა ამგვარ იარაღებს, რათა, თუ საჭირო იქნებოდა, ზღუ-  
 დისათვის დაეშინათ. სპალიონი წნელისაგან არის დაწნული სახუ-  
 რავის მსგავსად, ისე მკვრივად, რომ ვერაფერი გაატანს ვერც ერთი ადგილიდან; ორივე გვერდი ქვევით არის ჩაჭიმული და ირგვლივ ჰვა-  
 რავს თმას, ვინც მის ქვეშაა მოთავ-  
 სებული. ზემოდან ყველაგან ბეწვებ-  
 სა და ტყავებს აფარებენ და ისე მალავენ მანქანას რომ სიმაგრედ გამოდგეს და ისრების ამორება იქნეს შესაძლებელი; შიგ უშიშრად იმალებიან კაცები, უჩინრადაც ას-  
 წევენ ხოლმე მას და, სადაც სურთ,

იქ გადაიტანენ. თუ ის კომპთან ან ზღუდესთან იქნება რამენაირად მიტანილი, მაშინ ისინი, რომლებიც მის ქვეშ არიან მოთავსებუ-  
 ლი, ამოთხრიან ხოლმე მიწას და გასწმენდენ ამონათხარს, გააშიშვ-  
 ლებენ საძირკველს და, მის შემდეგ რაც მოქლონებითა და ურო-  
 ებით გამუდმებით სცემენ, ჩამოანგრევენ შენობას <sup>1</sup>. აი, ამნაირად ემ-  
 ზადებოდნენ რომაელები ალყის შემოსარტყმელად.

Ἐν τούτῳ δὲ ἀλίσκεται τις Πέρσης ἀνὴρ ὑπὸ τῶν Ἰουστίνου

III 6. ამ დროს იუსტინეს მე-  
 შუბეებმა დაიჭირეს ერთი სპარსე-

<sup>1</sup>) ასე უწოდებს აგათია იმ საომარ მოწყობილობას, რომელსაც რომაელები vinea-ს ეძახდნენ. ისტორიკოსი მენანდრე ცოტა სხვანაირად ახასიათებს სპა-  
 ლიონებს: «სპალიონები არის მანქანები, რაღაც საფარები, დაჭიმული ხარის ტყა-  
 ვებისაგან შედგენილი და ადამიანის სიმაღლის სარებზე დაკიდებული, რომელთა  
 ქვეშ შემალული ჰოპლიტები ზედ მიადგებიან ხოლმე კედელს და ქვის სატეხი და  
 კედლის მთხრელი იარაღების საშუალებით მიწის ქვეშ გასავლები გაჰყავთ, ზედ  
 აწვებიან და თხრიან, რომ სადმე კედელი ჩამოანგრიონ ან სხვა რაიმე საშუალე-  
 ბით ფულურო ადგილას შევიდნენ» (ფრაგმ. 75 HGM II, 130; S u i d a s s. v.  
 σπαλιων).

θορυφώρων ἀνά τὸ φρουρίον πο-  
 ρευόμενος. ἐπεὶ δὲ ἐς τὸ στρατό-  
 πεδον ἐκεκόμεστο, ἠγαγκάξτετο  
 μαστιγούμενος, ξὺν ἀληθείᾳ εἶρεῖν  
 τὰ τῶν οἰκείων βουλευμάτων. καὶ  
 ὄντα ἀπήγγελλεν ὡς ὁ μὲν Να-  
 χοραγὰν ἐς Ἰβηρίαν ἦδη ἀφίκ-  
 ται, αὐτὸν δὲ ἀπεσταλκῶς εἶη τὰ  
 ἐνταῦθα στατεύματα ἐπιθαρρυν-  
 ντα, ὡς αὐτίκα μάλα τοῦ στρατη-  
 γοῦ παρεσομένου, „οἱ δὲ ἐς Μου-  
 χείρισίν τε καὶ Κοτάσις τεταγ-  
 μένοι Πέρσαι οὐκ ἐς μακρὰν ἤξου-  
 σιν“ ἔφη „πρὸς βροχὴν ἴσονται, ἐς  
 Ὀνόγουριν ὁμοφύλοις, ἐγνωσμένον  
 αὐτοῖς, ὡς ἐπ’ ἐκείνους ἰέναι δια-  
 νοεῖσθε.“ τούτων δὲ εἰρηγμένων,  
 αὐτίκα οἱ τῶν Ῥωμαίων στρατη-  
 γοὶ ἐβουλεύοντο ἀμφὶ τῶν παρόν-  
 των. καὶ Βούζης μὲν ἔφασκεν  
 χρῆσαι πρότερον παντὶ τῇ στρα-  
 τῇ ὑπαντιάζειν τοῖς ἐπερχομένοις.  
 τούτων γάρ, ὡς τὸ εἶκός, διὰ τὴν  
 ὀλιγότητα νικωμένων, ἐπόμενον  
 εἶναι τοὺς ἐν τῇ φρουρίᾳ τάχιστα  
 προσχωρήσειν, ἐρήμους γεγε-  
 νημένους· εἰ δὲ γε καὶ ἀντιστάειν,  
 ἀλλ’ οὐδενὶ πόνῳ διαφθαρῆναι.  
 ἤρρεσκε δὲ ταῦτα καὶ Ὀσλίγαγγον  
 τὸν τοῦ Ἑρουλικοῦ στρατεύμα-  
 τος ἡγεμόνα. τοιγάρτοι ἐκεί-  
 νος θαμὰ ἐπεφθέγγετο παροιμιῶ-  
 δὲς τι, βαρβαρικὸν μὲν καὶ ἀφε-  
 λές, ἐνεργὸν δὲ ὅμως καὶ χρή-  
 σιμον· ὡς θεῖ πρότερον ἀποσοβεῖν  
 τὰς μελίττας, καὶ ἔπειτα τὸ μέλι  
 σχολαίτερον ἀναირεῖσθαι. ὁ δὲ

ლი, რომელიც ციხისაკენ მიდიოდა.  
 როდესაც ის ბანაკში მოიყვანეს,  
 მაგრად სცემეს და აიძულეს სი-  
 მართლე ეთქვა თავისიანების გან-  
 ზრახვათა შესახებ. და მან, მარ-  
 თლაც, უამბო, რომ ნახორაგანი  
 უკვე იბერიაში იყო მოსული და  
 რომ ის გამოაგზავნა აქაური ჯა-  
 რების გასამხნეველად, თვითონ  
 სარდალიც მალე აქ გაჩნდებოდა.  
 „მუხირისსა და კოტაისში დარაზ-  
 მული სპარსელებიც მოვლენ მოკლე  
 ხანში – თქვა მან, – რომ შეეშვე-  
 ლონ ონოგურისში მყოფ თვისტომთ;  
 მათ გაიგეს, რომ თქვენ იმათ წი-  
 ნალმდეგ გალაშქრება განგიზრა-  
 ხავთ“. ეს რომ თქვა, რომელთა  
 სარდლები მაშინ შეუდგენ თათ-  
 ბირს შექმნილი მდგომარეობის შე-  
 სახებ. ბუზემ თქვა, საჭიროა პირ-  
 ველ რიგში მთელი ჩვენი ჯარით  
 დავუხვდეთ მომავალ მტერსო. ამათ  
 ხომ, ცხადია, დავამარცხებთ, რა-  
 დგან მცირერიცხოვანნი არიან;  
 მაშასადამე, ციხეში მყოფნიც მა-  
 შინვე დაგვენებდებიან, რადგან გან-  
 მართლებულნი აღმოჩნდებიანო:  
 კიდევ რომ სცადონ წინააღმდე-  
 გობის გაწევა, ადვილად ვსძლევ-  
 თო. ეს აზრი ულიგანგემაც მოი-  
 წონა, ერულთა ჯარის წინამძღო-  
 ლმა<sup>1</sup>. ის ხშირად ამბობდა ხოლმე  
 იგავ-არაკით, მართალია ბარბარო-  
 სულად და მდაბიურად, მაგრამ  
 ამავე დროს საქმიანად და სასარ-  
 გებლოდ: ჯერ უნდა დააფრთხო  
 ფუტკარი და მერმე ნელნელა მოა-

<sup>1</sup>) ულიგანგეს შესახებ იხ. გეორგიკა II, 124 – 125, 153.

‘Ρεύστικος, θρασύτερος γὰρ ἦδη ἐγεγόνει καὶ τυραννικώτερος, ὡσπερ, εἶμαι, τῷ ἀδικήματι φρουατόμενος καὶ τῇ πρὸς Μαρτίνον ὀμοφροσύνη, ἔσχωπέ γε τὸν Βούζην ἀναφανδὸν καὶ ἐπεκερτόμει, ὡς οὐδέποτε τὰ θέοντα λογιζόμενον. κράτιστον δὲ ἔλεγεν εἶναι περιττῷ μὲν πρόνῳ τὸ στρατεύμα φημιστὰ ἐπιτρίβειν, ἀπαντας δὲ τῷ φρουρίῳ πελάσαντας ῥαδίως γε αὐτὸ καταστρέφασθαι καὶ προτερῆσαι τὴν ἕξωθεν ἐπικουρίαν ὀλίγους δὲ, εἴ γε ἄρα, στέλλειν ἐπ’ ἐκείνους, τὸ τάχος τῆς ἐφόδου διακωλύσιντας· καὶ ἦν μὲν πολλῶ ἀμείονα τὰ τῷ Βούζῃ βεβουλευμένα, καὶ τῆς φύσεως ἔχμενα τῶν πραγμάτων, στρατηγία τε ἀριστῆ πρόποντα καὶ τὸ δραστήριον ξὺν τῷ ἀσφαλεῖ παραχόμενα. ἐπεὶ δὲ, ὡς ἔοικεν, ἀπανα ἢ πληθὺς τοῦ ἀγούς μετελιγῆφει τῷ ξυνεῖναι τε καὶ ἐπεσθαι τῆς μακρόνους, ἢ κακίων τε καὶ ἀξύμφορος· νενίκηκεν γνῶμη ὡς ἂν παραχρήμα ὑπόσχοιεν δίκης. στέλλονται μὲν γὰρ ἐπ’ ἐκείνους τοὺς ἐκ Μουχειρίσιδος ἐρχομένους ἄνδρες ἰππῶται οὐ πλείους ἢ ἑξακόσιοι. ἦγοντο δὲ αὐτῶν Δαβραγέζας τε καὶ Οὐσίγαρδος, ἄμφω μὲν βαρβάρω τὸ γένος, Ἑωμαϊκῶν δὲ ταγμάτων προσητηκότε. οἱ δὲ ἄλλοι ἀπαντες ἅμα τῆς στρατηγίας τῷ φρουρίῳ προσ-

გროვო თავლიო. რუსტიკე კი – რომელიც უფრო თავხედი და ტირანული ხასიათისა გახდა და, ვფიქრობ, კიდევაც თავი მოჰქონდა თავისი უკანონო საქციელით და იმით, რომ მარტინეს თანამოაზრე იყო, ამკარად დასცინოდა ბუზეს და ლანძღავდა, არასდროს არ მსჯელობ ისე, როგორც საჭიროაო. ყველას აჯობებს მეტის-მეტე ჯაფით არ დავასუსტოთ ჯარიო – ამოხდა ის, – ყველანი მივადგეთ ციხეს, მალე ავილოთ ის და დავასწროთ გარედან მომავალ დამხმარე ჯარსო; თუ საჭიროა, ზოგიერთები გავაგზავნოთ ამათ წინააღმდეგ, რათა დავაგვიანებოთ იერიშის მოტანაო. ბუზეს გეგმა გაცილებით უკეთესი იყო; საქმის ვითარებასაც შეეფერებოდა, საუკეთესოდაც ეთანხმებოდა ლაშქრობის წესს და ნაკლები ხიფათით ავითარებდა მოქმედებას. მაგრამ, ვინაიდან, როგორც ჩანდა, მთელი ჯარი იყო მკვლელობის მონაწილე, რადგან ის იმ სისხლისმსმელებთან იყო და მათ ფეხის ხმას მიჰყვებოდა, გაიმარჯვა უფრო ცუდმა და მიზანშეუწონელმა აზრმა, რომელსაც მაშინვე უნდა მოჰყოლოდა სათანადო სასჯელი. მუხირისიდან მომავალთა წინააღმდეგ გაგზავნეს ცხენოსნები, არა უმეტეს ექვსასი კაცისა. მათ წინამძღოლობდენ დაზრაგეზა<sup>1</sup> და უსიგარდე, ორივე – წარმოშობით ბარბაროსები, ხოლო

<sup>1</sup>) დაზრაგეზას იხსენიებს აგათია ქვემოთაც III 21, სადაც მას უწოდებს Αντης ანერ, ე. ო. სლავს (Доброгость) [?]: ЖМНПр. 1890 июнь, гв. 368).

βαλόντες εὐθύς ἔργου εἶχοντο. τὰς τε γὰρ μηχανὰς ἐκίνουν καὶ τῶν πυλῶν ἀπεπειρώοντο καὶ ἀμφοικλώσαντες τῆρ πληθεὶ τὸν περίβολον πάντοθεν ἐσηκόντιζον. οἱ δὲ Πέρσαι, ἀλλὰ γὰρ καὶ οὗτοι ἀνὰ τὰς ἐπάλλξεις διαθέοντες ὡς οἶόν τε ἦν ἐκ τῶν παρόντων ἡμύοντο, βέλη τε ἀφιέντες συχνὰ τὰ ἔκτοσθεν φυλαττόμενοι. εἰθόνας γὰρ τινὰς καὶ ἀπλοῦδας ἐκ τοῦ μεταώρου κρεμάσαντες ταύτη τὰς βολὰς ἀσθενεστέρας ἀπετέλουν, ἐν τοῖσδε πρότερον περιειργόμενας, σπυρῶν τε πολλῇ καὶ προθυμίᾳ κατ' ἀλλήλων διεμάχοντο. καὶ εἵκασεν ἂν τις περατάξει μάλλον ἢ πολιούχῳ τὸ χρῆμα. τοσαύτη ἄρα ἦν ἑκατέρωθεν ἡ ταραχὴ καὶ ἡ τῶν ἔργων ἐπίδειξις, τῶν μὲν ὑπὲρ τῆς σφῶν σωτηρίας ἀγωνιζομένων, ὡς οὐ μετρίου περιστάτως κινδύνου, τοῖς δὲ καὶ μάλα αἰσχυρὸν εἶναι δοκοῦν ἅπαξ ἐπελθοῦσιν ἀπράκτοις ἐπανέναι καὶ μὴ οὐχὶ παραστήσασθαι τὸ ἐπιτείχισμα καὶ ἀπαλλάξαι τὴν Ἀρχαίοπολιν γειτονήματός πολεμίου.

Οἱ δὲ ἄλλοι Πέρσαι ἐς τρισχιλίους ἵπποτας μαχίμους ξυντεταγμένοι, ἄραντες ἐκ τε Κοταίου καὶ Μουχειρίσιδος, ἐχώρουν ἐπὶ τὴν Ὀνόγουρον. πορνευομένοις δὲ αὐτοῖς ἐχμελέστερον καὶ οὐδὲν ὅ τι πολέμιον διανοοῦμενοις, ἐσ-

რომაული რაზმების მეთაურები, დანარჩენები კი სტრატეგოსებთან ერთად ციხეს ეცნენ და მაშინვე შეუდგენ საქმეს. იმათ აამოძრავეს მანქანები და სცადეს ციხის კარების აღება, გარს შემოერთყენ ზღუდეს და ყოველი მხრიდან დაუშინეს. სპარსელებიც გაიფანტნენ ციხის კბილანებზე და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, იცავდენ თავს შექმნილ პირობებში; ხშირ-ხშირადაც უშენდენ მტერს ისრებს და გარედანაც იცავდენ ციხეს. ზევიდან რაღაც ტილოები და წამოსასხამები გადმოჰკიდეს და ამით ისრების ძალას ასუსტებდენ, რომლებიც მათ წინააღმდეგ მოდიოდა. ორივე მხრით მეტად გულმოდგინედ და მწვავედ იბრძოდენ. და ეს უფრო ბრძოლას ჰგავდა, ვიდრე ალყას. ასეთი იყო ორივე მხრით აღელვება და საქმიანობის დამტკიცება: ერთნი იბრძოდენ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად და არა მცირეოდენ ხიფათს მისცემოდენ, მეორენი კი – უფრო იმიტომ, რომ რცხვენოდათ – რახან მოვიდენ, უშედეგოდ როგორ გაბრუნებულებიყვნენ ისე, რომ არც ეს ციხე აელოთ და არც არქეოპოლისი განეთავისუფლებინათ მტრის მეზობლობისაგან.

III 7. დანარჩენი სპარსელები კი, – დაახლოვებით სამი ათასი კაცი, მამაცი ცხენოსანი, – დაირაზმნენ და კოტაისისა და მუხირისიდან გამოსწიეს ონოგურისისაკენ. ისინი საკმაოდ უდარდელად მოდიოდენ, სრულიადაც არ ეგო-



πίπτουσιν ἄθροον οἱ ἀμφὶ τὸν Δα-  
βραγέξαν καὶ Οὐσίγαρδον, καὶ τῆ  
ἀλφινδίῳ γε αὐτοὺς καταπλήξαντες  
εὐθὺς ἐς φυγὴν ἔτρεψαν. τούτου δὲ  
ἀπηγγελέμενου τοῖς πολιορκουσι  
Ῥωμαίοις, αὐτίκα οἷγε θαρραλεώ-  
τερον ἐπιφερόμενοι τὰ τε παρα-  
πετάσματα ἐκείνα καθείκλον καὶ  
ξὺν ἀκρομίᾳ πολλαχοῦ τοῦ τείχους  
διεσκηδάννυντο, ὥς ῥαδίως τὸ λοι-  
πὸν τὰ τῆδε ἅπαντα διαρπασόμε-  
νοι, ἅτε δὴ τῶν ἕξωθεν δυσμε-  
νῶν πεφευγῶτων καὶ οὐθενὸς ἐπι-  
ἐνοχλήσοντος. ἀλλ' ἐκείνοι τήχι-  
στα καταμαθόντες ὡς οὐχ ἅπας  
αὐτοῖς ἔ τῶν Ῥωμαίων ἐπήλθεν  
στρατός, ἧπερ τὴν ἀρχὴν φήθη-  
σαν, ὀλίγοι δὲ σφόδρα καὶ ἴσσοι  
κατάσκοποι μᾶλλον ἢ πολεμισταὶ  
ἀξιόχρεοι νομισθῆναι, ἐπιστρέ-  
φουσιν ἐξαπινάτως ἐπ' αὐτοὺς  
ἀλαλάζοντες. οἱ δὲ τὴν μεταβο-  
λὴν οὐκ ἐνεγκόντες ἐς παλίωξιν  
μετεχώρουσιν καὶ πολλῇ ἔφευγον  
ξὺν ταχυτήτι. εἶποντο δὲ αὐτοῖς  
ὡς πλησιαίτατα καὶ οἱ Πέρσαι  
διώκοντες, ὥστε ἀμέλει ξυνενη-  
θῆναι, τῶν μὲν εἶσιν, τῶν δὲ  
ἀποδιδράσκειν, ἐπειγομένων, ἀμ-  
φω τοὺς τε φεύγοντας ἅμα καὶ  
τιὸς ἐς τὴν δίοξιν ἐγκαιμένους παρὰ  
τὰ ἄλλα τῶν Ῥωμαίων στρατεύ-  
ματα μιγάδην ἰκέσθαι. φοβήθη  
δὲ πολλοῦ, ὥς τὸ εἰκός, ἀναστάν-  
τος, ἅπαν δὴ τὸ πλῆθος, περι-  
φρονήσαντες τὴν πολιορκίαν καὶ  
τὴν ἴσον οὐπω ἐλπισθεῖσαν ἐσε-  
σθαι. πόρθησιν τοῦ φρουρίου, καὶ

ნათ, თუ მტერი შეხვდებოდა, მა-  
გრამ უცბად დაბრაგეზას და უსი-  
გარდეს რაზმებს წააწყდენ, რო-  
მაელებმაც ისინი მოულოდნელად  
დააფორიაქეს და მაშინვე გააქ-  
ციეს. ეს რომ გაიგეს ონოგურისის  
აღყის შემომრტყემელმა რომაელებ-  
მა, მაშინვე ემგერნენ ციხეს უფრო  
გაბედულად, ჩამოგლიჯეს კედლებ-  
ზე საფარად გადმოკიდებული ტი-  
ლოები და არეულ-დარეულად გაი-  
ფანტნენ ზღუდის სხვადასხვა ად-  
გილას იმ ანგარიშით, რომ, რად-  
გან ციხის გარეთ მყოფი მტერი  
ოტებული იყო და, მამასადამე,  
ხელისშემშლელი აღარავინ ჩანდა,  
ისინი სულ მალე მოარბევდენ იქა-  
ურობას. მაგრამ ციხეში მყოფი  
სპარსელები მალე მიხვდენ რომ  
რომაელთა მთელი ჯარი კი არ  
წამოსულიყო მათ წინააღმდეგ,  
როგორც მათ თავში ეგონათ,  
არამედ მხოლოდ მცირე ნაწილი,  
ისინიც მზვერავები უფრო ეგო-  
ნებოდა ადამიანს, ვიდრე მეო-  
მრები. ამიტომ ისინი ერთბაშად  
მოტრიალდენ და ყვირილითა და  
აურზაურით შეუტიეს რომაელებს.  
ამათაც საქმის ასეთ შეტრიალებას  
ვერ გაუძლეს, ზურგი უჩვენეს და  
დიდის სისწრაფით გამოიქცენ.  
სპარსელები დაედევნენ მათ, მა-  
ლიან ახლოსაც მისდევდენ და თი-  
თქმის ისე მოხდა, რომ, ერთნი  
რომ ისწრაფოდენ დაჭერას, ხოლო  
მეორენი გაქცევას, – ორივენი, რო-  
გორც ოტებულნი ისე დამდევნე-  
ბელნი ერთმანეთში არეულნი, რო-

ἔθ' εὖν τοῖς στρατηγοῖς ἀπιόντες  
 ἦρχοντ', οὕτε διαγινῶναι ἀναμεί-  
 ναντες ὅ τι π.τέ ἐστὶ τὸ γεγενη-  
 μένον ἢ ὅπισσι ἄγτες αὐτοὶ εἶτα  
 ὑφ' ὧσων ἐλάσσονται, ἀλλ' ἤσαν  
 οὕτω θρομαῖσι καὶ διαταράττοντο,  
 καθάπερ πανικῶ δαίματός ἐμπε-  
 σόντος. οἱ δὲ Πέρσαι κατὰ τὸ  
 μᾶλλον θαρρήσαντες πλέον ἐδῶ-  
 κον, ἐπεὶ καὶ οἱ ἐν τῇ φρουρῇ,  
 ἐπιθεῶντο γὰρ τὰ ποιούμενα, ἐκ-  
 βάντες ἀθρόον ἀνεμύγνοντο τοῖς  
 ἄλλοις, ὁμοσε τε τὸ λοιπὸν ἐπι-  
 πτόμενοι λαμπροτέρην τῆν φυγῆν  
 τῶν ἐναντίων εἰργάσαντο. καὶ  
 ὅσον μὲν ἰππικῶν τῶν Ῥωμαίων,  
 ῥαδίως ἔκαίνοι ἐξῶ βελῶν ἐπεκο-  
 μίσθησαν, ἀκύντα διακίοντες,  
 τοῖς δὲ πεζοῦ ὁμίλου πολλοὶ ἀπε-  
 κτείνοντο πιεζόμενοι τῇ γεφυρᾷ  
 τοῦ Καθαροῦ λεγομένου ποταμοῦ,  
 ἧ ἡς εἶδει πάντως πορευέσθαι.  
 ἐνταῦθα γὰρ διὰ τὴν στενότητά  
 πολλοὶ ἄρα περαιοῦσθαι οὐχ οἶοί  
 τε ἄντες ὠθίζοντο ἀλλήλους καὶ  
 ἀνταΐθουιν. καὶ οἱ μὲν αὐτῶν  
 ἐς τὰ τοῦ ποταμοῦ ἐξέπιπτον βεί-  
 θηρα, οἱ δὲ ἀνεπιπτόμενοι ἐς τὰ  
 ὀπίσθη καὶ ὑπονοστοῦντες ὑπὸ τῶν  
 τῶν πολεμίων ἐγίγνοντο χεῖρας,  
 καὶ τὴν ἀπαγταχοῦ κἀκίστα κα-  
 κίστοις ἀνακεκραμένα. ἴσως δὲ  
 ἂν ἄπαντες ἐν τῇ τότε πανωλεθ-  
 ρίᾳ διεφθάρησαν, εἰ μὴ Βοῶνης  
 ὁ στρατηγός, βοώντων γε αὐτῶν  
 καὶ ὀσφυρομένων, ζυνοῖς τὸ μὲ-

მათა დანარჩენი ჯარების აღ-  
 გილას აღმოჩნდენ. ცხადია, ატყდა  
 საშინელი ხმაური: ჯარს ალყაც  
 გადავარდა ფიქრიდან და ისიც,  
 რომ იმედი ჰქონდა – საცაა ციხეს  
 ავიღებო, – და სტრატეგოსებთან  
 ერთად უკუიქცა; არც იმისთვის  
 შეჩერდა ის, რომ გაერკვია, თუ  
 რა მოხდა, ან რამდენნი არიან  
 თვითონ, რამდენი არის მოწინა-  
 აღმდეგე. ისეთი სირბილით გარ-  
 ბოდენ ისინი და ისე აფორიაქე-  
 ბულნი, როგორც საზარელი ში-  
 შით შეპყრობილნი. სპარსელებსაც  
 მეტი სითამამე მიეცათ და უფრო  
 მეტად დაედევნენ. როდესაც ცი-  
 ხეში დარჩენილი სპარსელები გამო-  
 ვიდენ (ესენიც ხომ ხედავდენ, რაც  
 ხდებოდა) და უცხად შეუერთდენ  
 დანარჩენებს, ისინიც დაედევნენ  
 რასაკვირველია რომაელებს და მა-  
 თი ოტება კიდევ უფრო გააც-  
 ხოველეს. რომათა ცხენოსნები  
 ყველანი უკუიქცეულ იქმნენ ისე,  
 რომ სპარსელებს ისრების გასრო-  
 ლაც არ დასჭირებიათ: იმათ მოჰ-  
 კურცხლეს რაც ძალა ჰქონდათ; რაც  
 შეეხება ქვეითა ჯარს, მრავალნი  
 მომწყვდეულ იქმნენ ეგრეთწოდე-  
 ბული კათარის წყლის<sup>1</sup> ხიდზე და  
 მოკლულ იქმნენ (ამ ხიდზე გავლა,  
 საერთოდ, აუცილებელი იყო). რად-  
 გან ეს ხიდი ვიწრო იყო, ერთ-  
 ბაშად ბევრს გადასვლა არ შეეძ-  
 ლო და ერთი მეორეს ეჯახებო-  
 დენ; ამის გამო ზოგიერთი მათგა-

<sup>1</sup>) მდინარე კათარის (Καθαρος ποταμος) შესახებ იხ. ქვევით, გვ. 60  
 შენიშვნა.

γείθος τοῦ κινδύνου, ἐπιστ. ἐλας  
 ἀμικτῆ εἰσείξ. θανάμει καὶ ἀντι-  
 ταξάμενος τοῖς βαρβάρους ἀνέ-  
 κωφεν ἡρέμα τὴν δῶξιν, οὕτως ἐπει-  
 νοὶ τὴν γέφυραν διαβάντες ἐν τῷ  
 ἀσφαλεῖ μόλις ἐγέν. ντο, ἦπερ καὶ  
 οἱ ἄλλοι ἄπαντες. ἐν μὲν γὰρ τῷ  
 προτέρῳ στρατοπέδῳ ὁ δὲ ἀγγὺς  
 Ἀρχαιοπόλεως ἐπεκρίθη, οὐδ-  
 εῖς ὅστις αὐτῶν ἐπῆνυχε. παραδρα-  
 μόντες δὲ τὸ τοῦτο ὑπὸ τοῦ θένους, καὶ  
 ἄπαντα ὀπίσσω ἐπήγοντο ἐδῶδ:μά-  
 τε καὶ ἄλλως ἀναγκαῖα καὶ τίμια  
 ἐνταῦθα καταλειπότες καὶ ἐν  
 τοῖς ἐνδ:τέρῳ χωρίοις ἀποσεσωσμέ-  
 νοι, οὐ μόνον εὐκλεῖα καὶ ἀγέρωχον,  
 μᾶλλον μὲν οὖν καὶ καρδαλέαν τὴν  
 νύκην τοῖς πολεμίοις παρέσχοντο.

ნი მდინარის ტალღებში ჩავარდა, ზოგი კიდევ ხიდიდან გამოდენეს და უკან რომ გაბრუნდენ, მტერს ჩაუვარდენ ხელში. ამრიგად, ყოველი მხრით უბედურება უბედურებას ემატებოდა და, იქნება, ყველანი დაღუპულიყვნენ ამ საერთო ორომტრიალში, რომ სტრატეგოს ბუზეს – მისიანები რომ ყვიროდენ და ვაგლახობდენ – არ გაეთვალისწინებინა ხიფათის მთელი სიმძიმე, არ გაბრუნებულიყო თავისი რაზმით და არ შეებმოდა ბარბაროსებს, რათა ცოტათი შეენელებინა დევნა, ვიდრე რომაელები ხიდზე არ გადავიდოდენ და ერთგვარ უშიშარ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდენ, როგორც ყველა

დანარჩენები. წინანდელს ბანაკში, რომელიც არქეოპოლისის მახლობლად იყო გაშლილი, მათგან აღარავინ დაბრუნებულა: შეშინებულებმა მას გვერდი აუარეს და, რაც კი თან წამოეღოთ საჭმელი და, საერთოდ, სურსათი და ძვირფასეულობა, ყველაფერი იქ დასტოვეს, თვითონ კი შიდა სოფლებში უშველეს თავს, და მტერს მოაპოვებინეს არა მარტო ბრწყინვალე და საამაყო არამედ, შემოსავლიანი გამარჯვებაც <sup>1</sup>.

<sup>1</sup>) **ონოგურისის** ადგილმდებარეობის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ის ქართულ „უნაგირას“ უდრის (B r o s s e t, Additions 90, 101 – 102), აგათიას მიერ მოცემული აღწერილობის შედარება ვახუშტის ცნობებთან და დღევანდელი მარტვილისა და ხონის რაიონთა საზღვარზე აღმართულ უნაგირას მთის გეოგრაფიულ მდებარეობასთან ადასტურებს ამ აზრს. – აგათიას მიხედვით, 553 წელს სპარსელებს უჭირავთ ლაზეთი ვიდრე ცხენისწყლამდე, და ბიზანტიელები ლაზეთთან ერთად გამაგრებულნი არიან ცხენისწყლის დასავლეთით (იხ. ზემოთ შენიშვნა გვ. 38 – 41). ცხენისწყლის მოსაზღვრე სასიმაგრო პუნქტების აღებისათვის იბრძვიან მოპირდაპირე მხარეები: ბიზანტიელები გამაგრებული არიან ცხენისწყლისა და რიონის ხერთვისთან (ტ ე ლ ე დ ი ს ი) ხოლო სპარსელებს მოუხერხებიათ უკვე წინათ (552 წელს) დასავლეთი ლაზეთის აღმოსავლეთი საზღვრის ჩრდილო ნაწილში სასიმაგრო პუნქტის, ო ნ ო გ უ რ ი ს ი ს, აგება და იქ რაზმის ჩაყენება; როდესაც მერმეორომ ტელეფისიდან ნესოსისკენ გააქცია ბიზანტიელ-ლაზთა ჯარი, ის არც დაედევნა მათ, არც «ტელეფისისა და იქაური ძნელსავალი ადგილისაკენ გაბრუნება... მიიჩნია მიზანშეწონილად. (ზე-

Ὅντοι γὰρ ἀνδρῶν ἔργμα τὰ  
 ἐκείνη περὶ ἐσθόντες διέλευσαν  
 τε τὸ χαράκωμα καὶ ἅπαντα τὰ  
 ἐντὸς ληψάμενοι οὕτω δὲ γεγι-  
 ῑότες ἐπανήλθον ἐς τὰ οἴκια  
 καὶ τῆς προτέρας ἀμύξας χάρας  
 ἐχράτουν. καίτοι πᾶς ἐν λίαν

III 8. სპარსელებმა, აქაური და-  
 ბლობები კაცთაგან დაცალიერე-  
 ბული რომ იპოვეს, მოშალეს აქ  
 სასიმაგრო ხანდაკი, დაიტაცეს  
 რაც კი იქ იყო, და ასე ნასიამო-  
 ვნები გაბრუნდენ შინისაკენ და  
 კვლავ წინანდელ მიწა-წყალს დაე-

მთ გვ. 39): მან შესძლო ჯარის გადაყვანა ფაზისზე და გაემართა ონოგურისის ციხისაკენ «რომელიც მას წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომელთა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად» (ზემოთ გვ. 40), კიდევ უფრო გაამაგრა ეს ციხე და კვლავ ქუთაისსა და მუხირისში გაბრუნდა. ეს ონოგურისის ციხე ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ იქ მოწინააღმდეგის გამაგრება საფრთხეში აგდებს არქეოპოლისს; აკი აგათია ამბობს 554 წლის ონოგურისის ბრძოლის აღწერაში: ბიზანტიელებს «რცხვენოდათ – რახან მოვიდენ, უშედეგოდ როგორ გაბრუნებულებიყვნენ ისე, რომ არც ეს ციხე (ონოგურისი) აედოთ და არც არქეოპოლისი განეთავისუფლებინათ მტრის მეზობლობისაგანო» (ზემოთ გვ. 56; შდ. აგრეთვე ქვემოთ Agath. IV, 9 ბიზანტიელი სარდლების, რუსტიკეს და იოანეს, სიტყვები:

„სპარსელებს ეჭირათ ონოგურისის ციხე, ჩამოგლეჯილი მათ მიერ არქეოპოლისის მიდამოებიდან»). როდესაც ონოგურისში მყოფ სპარსელთა დასახმარებლად დამხარე ძალები იგზავნება, ისინი ქუთაისიდან და მუხირისიდან მოდიან ონოგურისისაკენ (ზემოთ გვ. 5 ). აქედან ცხადია, რომ ონოგურისი მოთავსებულია არქეოპოლისსა და ქუთაისს შუა და მისი დაკარგვა ბიზანტიელებისათვის მოასწავებს მათ აწინდელ სამფლობელოში (ცხენისწყლის დასავლეთით) მტრის შემოშვებას, ხოლო სპარსელებისათვის მისი შენარჩუნება ნიშნავს მოწინააღმდეგის ზონაში ფეხის მოკიდებას, ე. ი. ის მდებარეობს ლაზეთის ამ ორი (ბიზანტიურისა და სპარსულის) ნაწილის საზღვარზე, ცხენისწყალთან (გავიხსენოთ ვ ა ხ უ შ ტ ი ს მიერ მოცემული დეფინიცია: «სიგრძე იმერეთის არს – ლ ი ხ ი ს მ თ ი ს თ ხ ე მ ი დ ა მ უ ნ ა გ ი რ ა მ დ ე მ ვ ე ლ ა დ და ა წ ქ ა რ თ ლ ი ს სა ზ ღ ვ რ ი დ ა მ ც ხ ე ნ ი ს წ ყ ლ ა მ დ ე ე: გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამ. 260). ამიტომაც არის, რომ 554 წელს ბიზანტიელების საომარი ოპერაციების გეგმაში პირველ რიგში დგას ონოგურისში ჩამჯდარ სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობა.

ბიზანტიელები დამარცხდენ ონოგურისის ბრძოლაში და სამრცხვინოდ გაიქცენ დასავლეთ ლაზეთის შიდა სოფლებში. ისინი თავქუდმოგლეჯილი გარბოდენ, ერთმანეთს აღარ აცლიდენ და ამ ორომტრიალში კიდევ უფრო მეტად ზარალდებოდენ. იმათ მოუხდათ ერთ მდინარეზე გადასვლა, რომელსაც აგათია **კათარის** წყალს (Καθαρός ποταμός) უწოდებს. ვინაიდან ბიზანტიელები ონოგურისიდან არქეოპოლისის მიმართულებით გაიქცენ (თუმცა არქეოპოლისის ბანაკში არ დაბრუნებულან, მას გვერდი აუარეს), და, როგორც ჩანს, ნესოსის ბანაკისაკენ მიემზებოდენ, ეს მდინარე შეიძლება იყოს მხოლოდ ა ბ ა შ ა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მდ. აბაშის ხეობაში, დღევანდელ აბაშის რაიონში, დღესაც არსებობს ერთი სოფელი, რომელსაც კ ა დ ა რ ი ეწოდება (ბ რ ო ს ე Add. 97 ფიქრობს, რომ ბერძნული Καθαρός-ის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს სოფ. კოდორის სახელწოდება; ეს სოფელი კი რიონის ნაპირას მდებარეობს, იმავე აბაშის რაიონში). გარდა ამისა

ἀρίστηλον ἢ πλείον τι μέγισμα τοῦ ἀν-  
οσίου αἵματος ἕκατι τὰ Ῥωμαίων ἐσ-  
φηλε πλήθη, οἱ ἔβ: ὑλεσαντό τε τὰ  
χείριστα καὶ ὄντες οὐ μείον ἢ  
πέντε μοχλίμων ἀνδρῶν μισράδες  
ὑπὸ τρισχιλίων Περσῶν ἀγεννώς  
οὕτω πεφεύγασι, πλείστους ὄσους

პატრონენ. განა ნათელზე ნათე-  
ლი არაა, რომ ღმერთის რისხვამ  
განადგურა, უსამართლოდ დაღ-  
ვრილი სისხლის გამო, ჯარი რომა-  
ელებისა, რომლებმაც გეგმებიდან  
უცუდესი ამოირჩიეს, და, იმ დროს  
როდესაც იმათ ჰყავდათ არა ნაკ-

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ვახუშტის სიტყვებს (გეოგრაფია, მ. ჯა-  
ნაშვილის გამ. 296): «დასავლეთით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სა-  
ხელით წოდებული; მასსადამე, მდ. აბაშის სახელწოდება წინათ სხვა ყო-  
ფილა და, იქნებ, ბერძნული Καθαρος მდ. აბაშის ამ ძველ სახელწოდებასთან იყოს  
დაკავშირებული.

ამრიგად, აგათიას Ονομασι-ის ციხე მდებარეობდა დასავლეთ და აღმოსავ-  
ლეთ ლაზეთის საზღვარზე, ამავე სახელწოდების (უნაგირას) მთაზე, რომლის ერთ-  
ერთ კალთაზე არქეოპოლისი-ნოქალაქევია მოთავსებული. ცხადია, ამ მიდამოებში  
საომარი ოპერაციები და თავდაცვა-შეტევითი მოქმედებანი პირველად 554 წელს  
არ დაწყებულა. ორმოციანი წლებიდან დაწყებული არქეოპოლისთან და არქეო-  
პოლისის გარშემო ბრძოლა იყო ბიზანტია – სპარსეთის ომის ერთ-ერთი ძირითა-  
დი მომენტთაგანი: როგორც პროკოპი კესარიელის თხზულებიდან ჩანს, როდე-  
საც სპარსელები არქეოპოლისთან და საზოგადოდ, ლაზეთის ამ დასავლეთ ნახე-  
ვარში მარცხდებიან, ისინი ცხენისწყლის აღმოსავლეთით აწყობენ სიმაგრეებს. და  
აქ ბუნებრივად ისმება კითხვა: ნუ თუ ამდროინდელ ბიზანტიურ ლაზეთში მი-  
სასვლელი პუნქტი Ονομασι-ი, ცხენისწყლის ნაპირას, პირველად 553 – 554 წელს  
აღმოაჩინეს სპარსელებმა და, როდესაც ისინი წინა წლებში მუხირისსა და ქუ-  
თაისში იყვნენ გამაგრებულნი და სკანდა-შორაპანი აღადგინეს, მათ წინაშე არ  
დასახულა გეგმა ლაზეთის ამ აღმოსავლეთ ნაწილიდან დასავლეთში გადასასვლე-  
ლი პუნქტი მოემარაგებინათ მუხირის-ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით, ე. ი. უნა-  
გირას მთით? რომ ეს პუნქტი, Ονομασι-ი პირველად 553 – 554 წლებში არაა  
შექმნილი სპარსელების მიერ, ამას მოწმობს თვით აგათიაც: როდესაც 553 წლის  
ტელეფისის ბრძოლის ამბავს გადმოგვცემს, ის ამბობს: «ონოგურისის ციხეში,  
რომელაც მას (მერმეროეს) წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელ-  
თა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად, ჩაყენებული იყვნენ სპარსელებიო»  
(იხ. ზემოთ გვ. 40). გარდა ამისა იმავე აგათიას სიტყვებიდან ჩანს რომ აქ ციხე  
ყოფილა წინათაც და იგი ლაზ ბიზანტიელებს ჰკუთვნებია, მაგრამ ბიზანტიელი  
სარდლების უგუნურებისა და დაუდევრობის წყალობით ის სპარსელებს ჩავარდნია  
ხელში (იხ. ზემოთ, გვ. 49). და თუ ონოგურისის ციხე 553 წლის წინათ იყო  
გამოყენებული სპარსელების მიერ, როგორც საიერიშო დასაყრდენი დასავლეთ ლა-  
ზეთის წინააღმდეგ, ამის შესახებ არ შეიძლება არ იცოდეს პროკოპი კესარიელმა,  
ე. ი. თუ ეს ამბავი აგათიამ იცის, ეს ამოღებული აქვს პროკოპის თხზულებიდან.

ეხლა, რომ დავუკვირდეთ პროკოპის მონათხრობს, იქ შემდეგს ამოვიკით-  
ხავთ. 551 წელს, არქეოპოლისთან დამარცხების შემდეგ, სპარსელები მუხირისსა და  
ქუთაისში გამაგრდენ, ქუთაისის ციხეში დაისადგურეს და აქედან შეუდგენ იმის  
ცდას, რომ ხელში ჩაეგდოთ ერთი ციხე, რომელიც, პროკოპის სიტყვით, ქუთა-

ἀποβεβληχότες; πλὴν ἀλλ' αὐτοί  
γε οἱ τῆς μαιφονίας ἐργάται. οὐκ  
ἐξ μακράν τὴν τελευτάειν ἀπέ-  
πλησαν δέχην, ὥς προϊόντες ἀφη-  
γησόμεθα (HGM II, 242—249,7).

ჩამდენთაც სულ მალე ეწიათ უმაღლესი სასჯელი, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ლებ ორმოცდაათი ათასი კარგი მებრძოლისა, აგრე ნაძრახად გაეცენ სამ ათას სპარსელს და ძალიან ბევრი მეომარიც დაჰკარგეს? მაგრამ თვით ბოროტმოქმედების

ისის „მახლობლად“ იყო. ამ ციხეს იცავდენ ლაზები და ბიზანტიელები. ერთი ადგილობრივი მცხოვრების გამცემლობის წყალობით სპარსელებმა ეს ციხე ხელთ იგდეს. მერმერომე ჩააყენა აქ ჯარი და გაბრუნდა მოხირისსა და ქუთაისში. ამ ციხის დაპყრობით სპარსელები არა თუ ლაზიკის ერთი ნაწილის (მოხირისიდან იბერიამდე) ბატონ-პატრონი შეიქმნენ, არამედ ლოჩხუმისა და სვანეთისაც, ვინაიდან ეს ციხე იცავდა გზას ამ ქვეყნებისკენ. ამ ციხეს პროკოპი უწოდებს უქიმერიონის (იხ. გეორგიკა II, 164 – 165, 169 – 173). თავის დროზე, უქიმერიონის ადგილმდებარეობის საკითხის რკვევისას, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ შემცდარია ის აზრი, თითქოს უქიმერიონი იყოს ქუთაისის ციხე, არქიელის გორა, რომ ქუთაისის და უქიმერიონი სხვადასხვა პუნქტებია და რომ უქიმერიონი ქუთაისის ჩრდილოეთით მდებარეობდა ლეჩხუმისა და სვანეთისაკენ მიმავალ გზაზე. ეხლა, ონოგურისის შესახებ მოცემული ცნობების შედარება უქიმერიონის შესახებ მოცემულ ცნობებთან აუცილებელს ხდის დაისვას საკითხი: პროკოპის „უქიმერიონი“ და აგათიას „ონოგურისი“ ხომ არ მდებარეობენ ერთსა და იმავე სექტორში? ამის დაშვებას მოითხოვს შემდეგი მოსაზრებები:

ა) როგორც პროკოპი, ისე აგათია ამ პუნქტს ჰგულისხმობენ ლაზეთის არა იმ ნაწილში, რომელიც მთლიანად სპარსელებს უჭირავთ (ე. ი. აღმოსავლეთ ლაზეთში), არამედ მის გარეთ;

ბ) პროკოპის „უქიმერიონი“ ლეჩხუმისა და სვანეთის მისასვლელ გზაზეა. რაც შეეხება ონოგურისს, საზღვარი სამეგრელოსა და ლეჩხუმს შორის ხომ სწორედ უნაგირას მიდამოებში გადიოდა. ვახუშტი ამბობს – «ხოლო ისულეთიდან ხაზი ცხენისწყლის კიდისა ვიდრე გორდამდე არს: დასავლის მხარე – ოდიშისა და აღმოსავლეთის კერძო – იმერეთისა, ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა» (გეორგ. 262); «საზღვარე ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე. მერმე თავკვერსა (ლეჩხუმსა) და ოდიშს შორის მთა (ე. ი. უნაგირა) კავკასიდან ჩამოსული სამხრით» (იქვე 294);

გ) პროკოპი მეტად მნიშვნელოვან პუნქტად თვლის უქიმერიონს; აგათია სრულიად არ იხსენიებს ამ სახელს, – ის კი წარმოუდგენელია, რომ აგათია ამ პუნქტს არ იცნობდეს, რადგან პროკოპის ის ძალიან კარგად იცნობს და უხვდაც იყენებს. ამავე დროს პროკოპისეული უქიმერიონის როლს აკუთვნებს „ონოგურისს“. მაშასადამე, აქ ჩვენ უნდა გვქონდეს საქმე ერთსა და იმავე სასიმაგრო პუნქტთან, რომელსაც ხან ციხის (უქიმერიონის) სახელწოდებით იხსენიებდენ, ხან კი იმ მთის (უნაგირას) სახელწოდებით, სადაც ეს ციხე იყო აგებული.

**ლაზების თათბირი შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. აიეტისა და ფარტაზის სიტყვები.**

Τότε δὲ χειμῶνος ἐπιλαβόμενου ἀνὰ τὰ πολισματοῦ τε καὶ φρουρία ἅπας ὁ στρατὸς ἐσκευάσθη, ἥπερ ἐκάστη διαχειμάζειν ἐτέτακτο, ἐν τούτῳ δὲ τὰ τῶν Κόλχων πράγματα ἀμφίβωλά γε ἦν τὰ μάλιστα καὶ τετραραγμένα. τοιγάρτοι καὶ ἅπαντες οἱ ἐν τέλει διηπόρουσιν, τίνες ἂν γένοντο καὶ ὅποι τραπείων, καὶ οὖν ὑπὸ τινα φάραγγα τοῦ Καυκάσου ἀγείραντες ἐν ἀπορρήτῳ τὸ πλείστον τοῦ ἔθνους, ὡς ἂν μὴ ἐκπυστα εἴη τοῖς Ῥωμαίοις τὰ μελετώμενα, βουλῆν προὔτιθεντο πότερον ἐπὶ Πέρσας μεταχωρήσειεν ἢ μενετέα ἐπὶ Ῥωμαίους. αὐτίκα δὲ πολλοὶ ἀπερρίπτον, λόγοι οἱ μὲν ἐπὶ τάδε, οἱ δὲ ἐπὶ ἰσχυρὰ πρὸς καλούμενοι. ἦν δὲ ἀκριτοῦς ἡ βοή καὶ παραχώδης, μήτε τοῦ λέγοντος ὅστις εἶη μήτε ὅ τι ποτὲ λόγοι διαγινωσκόμενου σαφῶς, τότε δὲ οὖν οἱ δυνατώτατοι σιγῆν μὲν τοῖς πλείωσιν εἶχον παρεκελεύοντο, παριέναι δὲ τὸν βουλόμενον ἐν κόλμῳ καὶ τὸ πρακτέον διεξίεναι ὅστις ἂν εἶδῃς τε ἢ ἀνήρ, δὲ τις τῶν λεγόμενῶν, Ἀι, τῆς ὄνομα, ἐδυσφόρει μάλλῃν τι ἁπάντων καὶ ἐχάλεπαιναν ἐπὶ τῇ ξυνεχθῆντι, ὦν μὲν καὶ ἄλλως μισορρώματος καὶ τὰ Περσῶν ἀεὶ προσέμενος, τότε δὲ καὶ πλέον τῇ εὐπροσώπῳ τῆς αἰτίας ἀποχρώμενος ἐξείρειν

ზამთარი რომ დადგა, მთელი ჯარი დანაწილებულ იქნა ქალაქებსა და ციხეებში და თითოეულ ნაწილს მიეჩინა მისი საზამთრო ადგილი. ამ დროს კოლხების მდგომარეობა მეტად უზუნველ იყო შერყეული. ქვეყნის მმართველები ყველანი დამაფიქრებელ მდგომარეობაში იყვნენ, არ იცოდენ რა ექნათ, რისთვის მიემართათ. და, აი, კავკასიის ერთ ხეობაში შეყარეს დიდძალი ხალხი ჩუმად, რომ რომაელებს არ შეეტყვოთ, რასაც აქ მოავგარებდენ, და დასვეს საკითხი – სპარსელების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთო. მაშინვე მრავალმა წარმოთქვა სიტყვა; ზოგი ერთ წინადადებას იძლეოდა, ზოგი კიდევ სხვას. იყო უთავბოლო და არეული ყვირილი; კაცი ნათლად ვერ გაარკვევდა ვერც იმას, თუ ვინ ლაპარაკობდა, ვერც იმას, თუ რას ამბობდა. მაშინ დიდებულებმა მოუწოდეს ხალხს სიწყნარე დაეცვათ. ყოველი მსურველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, წყნარად გამოსულიყო და ეთქვა თავისი წინადადება, როგორც შეეძლო. იყო წარჩინებულთა შორის ერთი, სახელად აიეტი; ის ყველაზე უფრო მძიმედ გრძნობდა მომხდარ ამბებს და სწუხდა, სხვათა შორის, რომაელთა მოძულე იყო და მუდამ სპარსელების მომხრე. მაშინ მან

ἐπειράτο πέρα τοῦ προσίκοντος τὸ γεγενημένον· καὶ οὐδὲ βουλήσ ἔφασκεν δεῖν ἐπὶ τοῖς παροῦσιν, ἀλλ' εὐθύς ἐς τελεώτατον μηδισμὸν καταστήναι. τῶν δὲ ἄλλων μὴ χρῆναι λεγόντων οὕτω δὴ τι ἐξαπίνης τὸν βίον ὄσον μετασκευάσασθαι, πρὶν δὴ σχολαιτερον σφίσι βουλευομένοις τὸ λῶον ἀναφανείη, ὁ δὲ ἀναστάς ξὺν ἄρχῃ καὶ προπηθήσας ἐς μέσους ἐδημηγόρει καθάπερ ἐν δημοκρατικῇ βουλευτηρίῳ. ἦν γὰρ καὶ λέγειν δεῖν πλεόν ἢ κατὰ βαρβάρους καὶ οἷος τοῖς νόημασι ῥητρεύειν φύσεως δεξιότητι. καὶ τοῖσιν ἔλεξε τοιαῦτα.

ისარგებლა ამ ხელსაყრელი მიზეზით, შეეცადა გამოეყენებინა მომხდარი ამბავი და გადააჭარბა კიდევ. აწინდელი მდგომარეობა საკმატო არ არისო – თქვა მან, – ეხლავე საბოლოოდ უნდა გადავიდეთ სპარსელების მხარეზეო. როდესაც სხვებმა უპასუხეს არ გვმართებს ეგრე უცხად ცხოვრების გეზი შევცვალოთ, სანამ ზედმიწევნით არ მოვითათბირობთ, თუ რა იქნება უფრო უმჯობესიო, აიეტი აღეღებულისი წამოდგა, შუაში გავიდა და ილაპარაკა ისე, როგორც სახალხო საბჭოში ლაპარაკობენ. ის მშვენივრად ლაპარაკობდა, უფრო უკეთ, ვიდრე ბარბაროსებს სჩვევიათ; მის აზრებს შველოდა მისი ბუნებრივი მოქნილობაც. მან შემდეგი თქვა.

### აიეტის სიტყვა

„Εἰ μὲν ἐν λόγοις ἡμᾶς καὶ βουλαῖς ἡδύκουν Ῥωμαῖοι, καλῶς ἂν καὶ ἡμεῖς τοῖς ὁμοίοις αὐτοῦς ἀμυνόμενοι διετελοῦμεν· νῦν δὲ πῶς ἀνεκτὸν τοὺς μὲν ἦδη τὰ πάντων δεινότατα δεδρακέναι, ἡμῖν δὲ τὸν τοῦ ἀντιδρᾶσαι καιρὸν ἐς τὸ μέλλειν καὶ βουλεύεσθαι διαρρηθῆναι; οὐ γὰρ δὴ πάρεστι λέγειν ὡς πολέμοι μὲν οὕτω τοῖς ἔργοις ὄντες πεφώρανται, εἰκασθεῖεν δὲ ἂν μόνον μελετῶσι τοῦτο καὶ βουλεμένοις, οὐδὲ τεκμηρίων τινῶν ἐπιμνησθῆναι δεῖσιν πρὸς ἔλεγχον δεῖσιν ἐπιβουλήσ λαθιανόσσης. ἀλλὰ Γουβᾶζης μὲν,

III 9. „რომაელები რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი; მაგრამ ეხლა ნუ თუ მისაღებია, რომ, იმ დროს როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევინან, სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატა-



ἔ τηλικουτος οὕτω πως ἀθλιῶς  
 ἠφάνισται ὡσπερ τις τῶν πολ-  
 λῶν καὶ ἠελημένων. οὐχεται  
 δὲ φρουρῶν τὸ παλαιὸν τῶν Κόλχων  
 ἀξίωμα καὶ τὸ λοιπὸν οὐ τοῦ  
 ἀρχεῖν ἐτέρων ἀνθεκτέον ἦμεν,  
 ἀλλ' ἀγαπητὸν εἴτερ ἐξ ἡ τῶν  
 πρῆγην ὑπεκόνων μὴ σφόδρα μειο-  
 νεκτεῖσθαι. πῶς οὖν οὐ λίαν πα-  
 ράλογον, εἰ περὶ τῶν οἷς ταῦτα  
 κατεῖργασται καθέδοιμεθα διασ-  
 κοποῦντες, πότερον αὐτοῖς ἐχθί-  
 οτους ἢ φίλους εἶναι κρίνομεν;  
 καίτοι γιγνώσκουσιν χρεῶν ὡς σὺνδὲ  
 μέχρι τούτων αὐτοῖς τὸ φράσας  
 ἐστῆξαι ἀλλὰ καὶ μεθιέντων ἡμῶν  
 τὸ ἐπὶ κλημα οἷδε οὐκ ἀφῆξονται  
 καὶ ἡρεμοῦνται, ἀδεδόστερον λυ-  
 μανοῦνται, εἰσὶ κἀρ ἀμέλει θαρ-  
 ραλεώτεροι πρὸς τοὺς ὑπεκόντας  
 καὶ ὑπερφροεῖν εἰθισμένοι τὸ  
 φεραπέπον, ἔχουσι δὲ καὶ βασι-  
 λέα πανουργότατον καὶ ταῖς με-  
 ταβολαῖς τῶν ἀεὶ παρόντων ἡδὲ  
 μινον· οὐκ ἐπὶ καὶ τὰ τῆς μαι-  
 φονίας ἀφρόντων διήγυσται, τοῦ μὲν  
 ἐμβριθῶς ἐγκλευσσάμενος, τῶν  
 δὲ προῖτμως ὑπερητησάντων, καὶ  
 πεπορθημέθα μονον. οὐκὶ πρὸς αὐ-  
 τῶν οὕτως ἀδικήματος ἀρξάντες  
 οὕτως τινὲς ἔχθους ξυμβάντες, ἀλλ'  
 ἐποίας πρότερον εἶχοντο ξυνη-  
 θείας, τῆς αὐτῆς ἔχεσθαι δοκοῦν-  
 τες, πεπορῆχασιν ἑμῶς τὰ πάντων  
 ἀνσιώτατα, ὡσπερ ἀσφάρδον ἀνα-  
 πληροθέντες ὁμότητος καὶ μανίας  
 καὶ μίσους καὶ πάντων ἑμοῦ τῶν  
 τοῖωνδε. ἀλλ' οὐ τὰ Περσῶν ἤθη

რებს; არც საბუთების მოგონებაა  
 საჭირო მისი, ვითომც დაფარული,  
 ვერაგობის დასამტკიცებლად; საკ-  
 მარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუ-  
 ბაზი, რომელიც ასე საცოდავად  
 იქნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეუ-  
 ლებრივი ადამიანი ყოფილიყოს.  
 გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და  
 ამიერიდან ვეღარ ველირსებით იმას,  
 რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ;  
 ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივალ-  
 წევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვ-  
 ჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი  
 ქვეშევრდომი იყო. ნუ თუ უკიდუ-  
 რეს უგუნურებას არ წარმოადგენს  
 ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს  
 ჩაიდინა, ჩვენ ვზივართ და ვმსჯე-  
 ლობთ, მტრებად ჩავთვალთ ისინი  
 თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ,  
 რომ მათი თავხედობა ამაზე არ შე-  
 ჩერდება: თუ ჩვენ ამ ბოროტმოქ-  
 მედებას უყურადღებოდ დავტო-  
 ვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და,  
 გულხელდაკრევილნი რომ ვისხდე-  
 ბით, უფრო შეუპოვრად აგვხდიან  
 ნამუსს. იმათ, ვინც ემორჩილება,  
 ისინი, რა თქმა უნდა, უფრო თავ-  
 ხედურად ეპყრობიან და, ჩვეულებ-  
 რივ, ქედმაღლურად უყურებენ მოსა-  
 მსახურეებს. მეფეც გაიძვერა ჰყავთ,  
 რომელსაც ყოველთვის უხარია  
 ცხოვრების პირობების არეულობა;  
 და ეს ბოროტმოქმედება რომ ასე  
 ერთბაშად იქმნა სისრულეში მოყვა-  
 ნილი, ცხადია, იმის წყალობით,  
 რომ მეფე მხურვალედ მოუწოდებ-  
 და ამას, ხოლო სხვებმა ეს გულმოდ-  
 გინედ შესარულეს. მარტო ის კი

τοιάδε, πολλοὶ γε καὶ δεῖ. φησὶς  
 τε γὰρ οὐκ ἂν ἐξ ἀρχῆς κτήσαιντο  
 βαβαιοτάτα στέργειν πειρωῶνται  
 καὶ τὴν ἐργίην πρὸς τὸ ἀντίπαλον  
 διατηροῦσιν ἕστ' ἂν ἀντίπαλον ἢ.  
 ἡβουλόμηγν μὲν εὖν τῇ Κολχικῇ  
 πολιτείᾳ τὴν παλαιὰν θόναμιν  
 προσγενέσθαι, ὡς μηδαμῶς ἀν-  
 τὴν ξένους τινὸς καὶ ἐπὶ κλυθὸς ἐπι-  
 κυρίας προσδεῖσθαι, ἀλλ' εἶναι  
 τοῖς πᾶσιν ἕς τε πόλεμον καὶ ἕς  
 εἰρήνην αὐταρκασιτάτην. εἶπει δὲ  
 εἴτε χρόνου διαφορά, εἴτε τύχης  
 ἐναντιώμασιν εἴτε καὶ ἀμφοτέροις  
 ἐκβιασθέντες ἕς τοῦτο ἴκωμεν ἀσ-  
 θενείας ὡς ὅφ' ἑτέροις τετάχθαι,  
 κράτιστον εἶναι παραχωρεῖν τ. ἰ. ἢ  
 ἐμφορνεστέροις καὶ τὴν εὐνοίαν  
 πρὸς τὸ οἰκτεῖον καὶ ἔνοπονδον ἐν  
 τῷ ἀτρέπτῳ παρεχομένους. οὕτω δὲ  
 καὶ περιεσόμεθα τῶν ἕς ἀληθινῶς  
 πολεμίων, τῷ μῆτε παντάπασι τὸ  
 φθάσαν ἀτιμώρητον καταλειφθῆ-  
 ναι καὶ τοῦ μέλλοντος πέρι, ὅπως  
 ἐν τῷ ἀσφαλεῖ κείσεται, τὰ θέον-  
 τα παρασκευασθαι. τὸ μὲν γὰρ  
 ὑποῦλον ἔχειν τοῦ τρόπου καὶ  
 βωμολόχον, ὃ προβαλλόμενοι μετὰ  
 πρῶτητος θελερᾶς καὶ ἐμιλίας  
 μεμηχανημένης τοῖς πιστεύοντες  
 ἀδικούσι, περιττὸν ἔσται καὶ ἀνό-  
 νητον, καὶ οὐχ ἕξουσιν ὅπως αὐτῶν  
 χρήσονται καὶ ἡμῶν διὰ τὸ ἀμι-  
 κτον τῆς δυσμενείας καὶ περιφρα-  
 νῶς ἀπ' κεκρυμένον. εἰ δὲ καὶ πολε-  
 μεῖν πειραθῆεν, ἀλλὰ πρὸς Λαζοῦς  
 ἄμικ καὶ Πέρσας παραταττόμενοι,  
 καὶ ταῦτα ἐν π. λεμῖα γῆ, τὸ γ. ὑν

არ არის, რომ მათ გაგვანადგურეს  
 თუმცა ჩვენ არც უსამართლობა  
 ჩავციდენია და არც რაიმე მტრობა  
 ყოფილა ჩვენ შორის, არამედ, რა  
 ჩვეულებაც წინათ ჰქონდათ, იმასვე  
 მისდევენ, თითქოს ერთბაშად შეე-  
 ჰყრას ისინი სიმხეცეს, სიგიჟეს,  
 სიძულვილს და ყველა სხვა ამგვარ  
 მოვლენას. სპარსელები კი ასეთი  
 ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს  
 არიან ამისგან. თუ ვინმე გაიხადეს  
 თავში მეგობრად, ისინი ცდილო-  
 ბენ უთუოდ დაიცვან სიყვარული;  
 ხოლო მტრის მიმართ რისხვას გა-  
 ნაგრძობენ მანამ, სანამ ის მტრად  
 რჩება. მე ვინატრიდი კოლხეთის  
 სახელმწიფოს ჰქონოდას მისი ძვე-  
 ლი ძლიერება, რომ მას არ დას-  
 ჰჭირებოდას უცხო და გარეშე დახ-  
 მარება და რომ ყოველგვარ საქმიან-  
 ნობაში, როგორც ომიანობის ისე  
 მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ  
 საკუთარ თავს ეყრდნობოდას, მაგ-  
 რამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრია-  
 ლის, ან ბედის უკუღმართობის, ან  
 ორივეს წყალობით ისეთს უძლუ-  
 რებაში ჩავვარდით, რომ სხვათა  
 ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ  
 უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ,  
 ვინც უფრო კეთილისმსურველია,  
 ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყო-  
 ბილებას თავისიანებისა და მოკავ-  
 შირეთა მიმართ. ამრიგად, ჩვენ გა-  
 ვიმარჯვებთ ჩვენს ნამდვილ მტერ-  
 ზე, თუ არავითარ შემთხვევაში არ  
 დავტოვებთ დაუსჯელად იმ ჩადე-  
 ნილ ბოროტმოქმედებას და მივი-  
 ლებთ საჭირო ზომებს, რომ უზრუნ-

έντεσθεν οὐκ ἂν εὐθέ τῆν ὀρμὴν ὑποστάνειν, οἱ γὰρ καὶ ἀπὸ τῶν παντὶ τῷ στρατῷ μοίρα τινὶ τῶν Μήδων ἐλαχίστη προσμίξαντες καὶ πρὸς φύγην εὐθὺς ἀίσχιστην τραπεύοντες μέχρι καὶ νῦν μονοουχί πνευστῶσιν ὑπὸ τῷ ὄρμῳ, ἀπασσι μὲν ὡς εἰπεῖν τοῖς ἄλλοις ἐλαττωθέντες, μόνῳ δὲ τῷ τάχει τοὺς δυνάκοντας νενικηκότας.

დეგ, თუ მტერთან საერთო აღარაფერი გვექნება და აშკარად გამოვეთიშებით მას. თუ ისინი სცდიან ჩვენთან შეომებას, მათ მოუხდებათ ბრძოლა ერთსა და იმავე დროს ლაზებთან და სპარსელებთან, ისიც მტრის მიწაწყალზე, ესე იგი აქ, და ცხადია მათ შემოტევას ვერ გაუძლებენ. აი, ეხლახან არ იყო, რომ მიდიელთა მცირეოდენ ჯარს შეეზნენ მთელი თავისი ჯარით და მაშინვე სასირცხოდ გაიქცენ ისე, რომ დღემდისაც კი არ მოუთქვამთ სული იმ რბენისაგან? ისინი, ასე ვთქვათ, ყველაფერში დამარცხდენ; მხოლოდ სისწრაფით აჯობეს დამდევენბლებს.

„Τούτου δὲ τὸ μὲν ἐμφανὲς καὶ προχειρότατον ἄτιον ἀναδრიαν εἶπεν ἰ τις ἂν καὶ τὸ μὴ τὰ προσήκοντα βεβήλειένσθαι. πρόσσεσι γὰρ αὐταῖς ὡς ἀληθῶς καθάπερ οἰκεία καὶ συγγενῆ καὶ τὰ τοιαῦτα ὀνειδῆ πλὴν ἀλλὰ τοῖς ἐκ φύσεως μοχθηροῖς τὸ ἀνθαίρετον ἀδίκημα προστεθὲν ἐδιπλασίωσεν αὐτοῖς τὸ ἀτύχημα, τῆς τοῦ κρείττονος προμηθείας διὰ τὸ ἄγος ἐκπεπτωκόσι τὸ γὰρ νικᾶν οὐχ οὐτω τοῖς ὀπλοῖς ὅσῃν τῷ εὐσέβει ββαιούται, καὶ οὐκ ἂν ποτε μετεῖναι φήσαιμι τῆς τῶν ἀγαθῶν ξυμμαχίας πονηροῖς ἀνδράσι καὶ μιαιωντάσι. τούτοις οὖν, εἴπερ ἐλ φρονούμεν, οὐ προσεχτέον, οἷς οὐτε τὰ τῆς γνῶμης

ველი გავხადოთ ჩვენი მომავალი ცხოვრება. ზედმეტი და უშედეგო იქნება ის გაიდვერობა და ფლიდობა, რომელთაც ისინი მზაკვრული პირფერობითა და ხელოვნური მოპყრობით იყენებენ იმათ მიმართ, ვინც მათ დაენდო, და რომელთა საშუალებით ისინი უსამართლო საქციელს სჩადიან, და ისინი ველარ გამოიყენებენ იმათ ჩვენ წინააღმდეგ,

III 10. „ამის ცხად და აშკარა მიზეზად შეგვეძლო ჩაგვეთვალა მათი სილაჩრე და ის, რომ შეუფერებელ გეგმებს ადგენენ. ეს ცუდი თვისებები ხომ ახასიათებს მათ, როგორც ჭეშმარიტად მათი კუთვნილი და თითქოს თანდაყოლილი. გარდა ამისა ამ, ბუნებით თანდაყოლილ, ცუდ თვისებებს ემატება თავისი ნებით ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსამართლოდ სისხლის დაღვრის გამო უზენაეს მფარველობას მოკლებულებს უორკეცდებათ უბედურება. გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა; მაგრამ არა მგონია ბოროტმოქმედი და სისხლში გასვრილი ადამიანები ოდესმე ეზიარონ ამ კეთილ საწყისს. ამრიგად, თუ

ἀριστα ἐργαίεται· καὶ τὸ σῶζειν  
 ἀπαντὰ πεφυκὸς νεμεσᾷ. ὡς μὲν  
 οὖν ἡ προσχώρησις ἡμῖν εὐκόλος  
 ἔσται καὶ προσφορωτάτη καὶ τῆ  
 κρείττεον κεχαρισμένη διὰ τῶν  
 πραγμάτων μάλλον ἢ τῶν λόγων  
 θεδῆλωται. ἐν μὲν οὐδὲ ἀδικεῖν  
 θεξοίμεν ἂν οὐδὲ ἀπιστοὶ καθισ-  
 τάναι. πολλάκις γὰρ ἦδη καὶ  
 πρότερον ὑπὸ Ῥωμαίων προπη-  
 λακιστοὶ ἐμμένειν καὶ ὡς τοῖς  
 καθεστηκόσιν ἡγοούμεθα χρῆται,  
 φαυλότατον εἶναι κρίνιντες τὸ  
 μεταβάλλεσθαι βεβίως ἐπὶ τισιν  
 αἰτίαις. εἰ καὶ θεινόταται εἶεν,  
 φορηταῖς δὲ ἡμῶς καὶ ἐν πικντά-  
 πασιν ἀνυποπίστοις. τὸ δὲ καὶ με-  
 γίστου βλάβας καὶ ἀνίκεστα πασ-  
 χοντας φέρειν διὰ παντός ἀτα-  
 λαιπώρως καὶ πρὸς μηδὲν ἑτισὺν  
 ἀχθεσθαι τῶν ἀνοσίων ἔργων καὶ  
 ἀτοπωτάτων οὐ σωφρονοῦντων  
 ἀνδρῶν εἶναι φημι, ἀλλὰ δει-  
 λῶν καὶ ἀθλίων καὶ τῆν περὶ  
 τὰ κοιὰ βραθυμίαν τῆ τῆς ἀπ-  
 ραγμοσ νῆς ἐνόματι σοφιστομέ-  
 νων. τούτου δὲ τοῦ τῆς μαιφω-  
 νίας πάθους οὐκ ἂν, οἶμαι, παρ'  
 ἑτέροις μείζον τι γένοιτο οὐτ' ἂν  
 γενόμενον περιοφείη. οὐκ οὖν  
 οὐδὲ ἡμῖν περιοπέον, αἰσχυνο-  
 μένοις εἰ γε φανείημεν τοῦ βα-  
 σιλέως ἐπιλελησμένοι καὶ τοὺς  
 ἀπεικονότας ὑποβηπέοντες. εἰ  
 γὰρ εἶδόν τε ἦν αὐτὸν ἐνθάδε πα-  
 ρεῖναι, πάντως ἂν ἐπεκάλει κα-  
 κατεμέμεφετο τῆς ἡμετέρας ἑλι-  
 γω ἰας, ἀνθ' ὧν εἰ ἀλιτήριαι οὐ-

ჩვენ გონიერად ვიმსჯელებთ, არ  
 უნდა მივემხროთ იმათ, რომელთაც  
 კარგად აზროვნების უნარი არ  
 გააჩნიათ და რომელთაც ურისხდე-  
 ბა ის, ვინც ყველაფრის განმგებე-  
 ლია. მაშასადამე, რომ სპარსელების  
 მხარეზე გადასვლა ჩვენთვის ადვი-  
 ლი და სასარგებლოა და რომ ეს  
 უზენაესსაც ესიამოვნება, ეს მტკიც-  
 დება საქმით და არა სიტყვით. ეს  
 არ იქნება ჩვენი მხრით არც უსა-  
 მართლო საქციელი, არც იმის მა-  
 ჩვენებელი, თითქოს ჩვენ ვერაგნი  
 გამოვდეგით. წინათაც ბევრჯერ  
 მოუყენებიათ შეურაცხყოფა რო-  
 მაელებს, მაგრამ ჩვენ საჭიროდ  
 ვთვლიდით ძველ მდგომარეობაში  
 დარჩენას; შეუფერებლად მიგვაჩ-  
 ნდა იოლი გადადგომა იმ სხვადა-  
 სხვა მიზეზთა გამო, რომელნიც,  
 თუმცა საშინელნი იყვნენ, მაგრამ  
 მაინც მოსათმენნი და არც თუ  
 ძალიან აუტანელნი. მაგრამ, ჩემის  
 აზრით არ შეეფერება გონიერ  
 ადამიანებს, რომ ჩვენ სრულის მო-  
 დრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნე-  
 ბანი და აუნაზღაურებელი ზარა-  
 ლი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ,  
 და არაფრით არ შევებრძოლოთ  
 ამ უწმინდურ და შეუფერებელ სა-  
 ქმეებს; ეს უფრო შეეფერება მხდალ  
 და ლაჩარ ადამიანებს, რომლებიც  
 თავისი უქნარობით სახელმწიფო  
 საქმეებისადმი დაუდევრობას ამ-  
 ტკიცებენ. რაც შეეხება ამ უკანას-  
 კნელ მკვლელობას, არა მგონია  
 სხვაგან სადმე მომხდარიყოს მაგა-  
 ზე უფრო დიდი უბედურება, ან

τοι κατὰ τὴν ἐκείνου γῆν ἐπι ἐν-  
 δαικῶνται καὶ οὐ πολλὰ πρότε-  
 ρον ἐξεληλύθησαν. ἐπεὶ δὲ οὔτε πα-  
 ρέσται τὸ ἄλοιπὸν οὔτε φθέγγεται,  
 ἡμεῖς ἀναλογίσασθε τὸν ἄνθρωπον,  
 καὶ ὡς ἐν μέσῳ τοῦ ξυλλόγου  
 παρεστῶς οὕτω ταῖς ἐνοσίχθων  
 ἀνατυπούσθω, ἐπιδεικνύς μὲν τὴν  
 σφαγὴν καὶ τὸ στήθος καὶ τὸν  
 ἀδύνατον, ἰκετεύων δὲ τὸ ἐμόφυλον  
 νῦν γοῦν τίσασθαι τοῦ πλεμύου.  
 εἶτα τίς ἂν ἡμῶν ἀποδέξοιτο δια-  
 ποροῦντων καὶ σκοπομένων<sup>1</sup> εἰ-  
 θνήκων πρὸς τῶν Κόλχων οἴκτου  
 τυχεῖν τὸν Ἰουβάξην; εὐλαχίτητον  
 γὰρ ἡμῖν ὅπως μὴ τὸ οὐκ εὐ-  
 πρεπὲς δεῖσθαι τῆς μεταστάσεως  
 δεδιότες μεθέξομεν τοῦ μιάσματος,  
 καταπρόσμενοι καὶ παρέντες τὸ  
 τιμωρεῖν τῷ τεθνηκότι, καὶ μάλ-  
 λον ἐντεθεῖεν ἄπιστοι θόξομεν, εἰ-  
 γε τῷ βίῳ μόνον ἐκείνου τὴν πρὸς  
 αὐτὸν οἰκείωσιν ἀναμετρήσαντες;  
 ξυναποβᾶλωμεν αὐτῷ καὶ τὴν  
 μνήμη. καλῶς μὲν γὰρ τῶν  
 πραγμάτων χωρόντων πολλή  
 ἀνοία τὰ προσγενησμένα μετα-  
 μανθάνειν ἐναγνίως δὲ που φε-  
 ρομένων ἀξίμωτον, οἶμαι, τὸ μὴ  
 οὐχὶ θύκτον ἀμύλασθαι τῷ πρῶ-  
 σπύπτῳ. τὸ γὰρ βέβαιον ἐν τῷ  
 ἐυλόγῳ κρίνεσθαι χρή, καὶ τὸ  
 ἐγκαρτερεῖν ταῖς παρῶσιν οὐκ  
 ἐπαυτεῖν ἀεὶ, ἀλλ' ὅτε φρονή-  
 σαι ξυμπαράγινεται, ἐνθα δὲ  
 ξυμβαίνει ὅν μὲν δεῖ μεμνήσθαι

რომ მომხდარიყო, ასე იოლად  
 ჩაველო. ამიტომ არც ჩვენ უნდა  
 დავტოვოთ უყურადღებოდ ეს სა-  
 ქმე; სასირცხო იქნება, თუ ჩვენ  
 მეფეს დავვიწყებთ და მის მკვლე-  
 ლებს პირფერობას დავუწყებთ. ის  
 რომ ეხლა აქ იყოს, საყვედურით აგ-  
 ვავსებდა და დაგვძრახავდა ჩვენი  
 დაუდევრობის გამო, რომ ეს ბო-  
 როტმოქმედნი, იმის მაგიერ რომ  
 დიდი ხნის წინათ ყოფილიყვნენ  
 გაძევებულნი, ჯერ კიდევ დაიარე-  
 ბიან ამ მიწაწყალზე. მაგრამ ვი-  
 ნაიდან ამიერიდან ის ველარ გამო-  
 ჩნდება ჩვენ შორის და ვერც სი-  
 ტყვიით მოგემართავს, თქვენ თვითონ  
 წარმოიდგინეთ ეს კაცი; დე ის  
 წარმოუდგეს თქვენს გონებას, თით-  
 ქოს ის ამ კრებაზე იყოს და მიგი-  
 თითებდეს თქვენ თავის ჭრილობა-  
 ზე, მკერდზე და კისერზე, და თვის-  
 ტომით თხოვდეს ეხლა მაინც გა-  
 დაუხადონ მტერს სამაგიერო. მერ-  
 მე, რომელი თქვენგანი დაუჭერს  
 მხარს იმათ, რომელნიც ყოყმანობენ  
 და კიდევ მსჯელობენ იმის შესახებ,  
 სამართლიანია თუ არა კოლხების  
 მხრით გუბაზის გლოვა? თუ ჩვენ  
 შეუფერებლად მივიჩნევთ რომაელე-  
 ბისაგან გადადგომას და შევშინდე-  
 ბით, სიფრთხილე გვმართებს, რომ  
 ამ ბოროტმოქმედების მონაწილე-  
 ებად არ ჩავვთვალონ, ვინაიდან  
 დაუდევრობას ვიჩენთ და მიცვალე-  
 ბულის სისხლის აღებას ვაყოვნებთ;  
 რომ მხოლოდ სიცოცხლეში ვეპყ-

<sup>1</sup>) σιωπούμενων R.

περιορῶν, ἔχεισθαι δὲ τῶν οὐ  
 περισχόντων, ἐνταῦθα τὸν μετα-  
 βάντος ἐφ' ἕτερον ὁ βεβηκώς ἐπὶ  
 τοῖς προτέροις μεμπτότερος. ταῦτα  
 δὴ οὖν οἱ Πέρσαι πυνθισμένοι πρὸς  
 ἡμῶν καὶ ξυιέντες στέρξουσιν  
 ἡμᾶς εἰκότως καὶ ὑπερμαχοῦνται,  
 χηροὶ τε ὄντες καὶ μεγαλόφρο-  
 νες καὶ θεινοὶ τεκμαίρεσθαι τὰς  
 γνώμας τῶν πέλας, καὶ πρὸς γε  
 χώραν οὕτως ἐπικαιροτάτην καὶ  
 δύναμιν ἀξιοχρεῶν, ἣν αὐτοὶ πρὸ  
 πολλῶν χρημάτων καὶ πόνων ἴ-  
 ἔχουν τιμῶνται, ἐς ἑμμάχιαν ἀν-  
 τεπάγγελλον προσλαμβάνοντες. μὴ  
 τοῖσιν ἕτερον τι παρὰ ταῦτα δια-  
 νοεῖσθε, ἀλλ' ἐμῶς ἐπιχειρεῖν  
 τοῖς πράγμασι καὶ τὸ μελετηθὲν  
 ἀνακλίνεσθαι οὕτω γὰρ ἂν ἐν-  
 κλειαν μεγίστην ἀροίμεθα, θισὰ τε  
 δρῶντες καὶ ἐνάτια καὶ πρὸς τὸ  
 ξανταῖσιν ἐξουρημένα“.

ახალს ემხრობა. და, აი, ამას რომ შეიტყობენ ჩვენგან სპარსელები და გაიგებენ, ჯეროვანი სიყვარულით მოგვეპყრობიან და ჩვენთვის იბრძო-  
 ლებენ, ვინაიდან ისინი კაცთმოყვარენი და გულკეთილნი არიან, და მეზობელთა ზრახვებსაც კარგად მიუხვდებიან ხოლმე; გარდა ამისა ჩვენი ნებაყოფლობითი მიმხრობით ისინი მოკავშირედ იძენენ უალრე-  
 სად გამოსადეგ ქვეყანას და მნიშვნელოვან ჯარს, რაც მათ ფულსა და ქონებას ურჩევნიათ. მაშ, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა, სასწრაფოდ შეუდევით საქმეს და გამოამყდავნეთ თქვენი გულის ნადები: რომ გავაკეთებთ იმას, რაც სწორი და სამართლიანია და რაც სარგებლო-  
 ბას მოგვიტანს, – მით ჩვენ უდიდეს სახელს მოვიხვეჭით“.

Τοιαῦτα τὸν Αἰήτου εἰπόντος ἀν-  
 τίκα ἅπας ὁ δμιλος ἐπήρτο καὶ ἀνε-  
 βόα, καὶ ἀνθιγμερῶν ἔεντο μετανίσ-  
 τασθαι, οὕτε τὰς; Πέρσαις πρὸς ἑγνώ-

რობოდით მას სიყვარულით და სიკვდილის შემდეგ აღარც კი გვახ-  
 სოვს, ამით უფრო მტკიცდება ჩვე-  
 ნი ორგულობა. თუ საქმეები კარგად მიდის, დიდი უგუნურება იქნება ძველ, ნაცად წესებს ვუღალატოთ; ხოლო როდესაც პირიქითაა, ვფიქ-  
 რობ, უაზრობა იქნება, თუ ჩვენ რაც შეიძლება მალე არ შევეგუ-  
 ებით ახლად შექმნილ მდგომარეო-  
 ბას. სიმტკიცე გონიერების თვალ-  
 საზრისით უნდა გავსინჯოთ; არსე-  
 ბული მდგომარეობის მოთმენა ყო-  
 ველთვის კი არ არის საქები, არა-  
 მედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზრებები ახლავს თან. მაგრამ როდესაც ისე ხდება, რომ უგულვებელყოფენ იმას, რაც უნდა ახსოვდეთ, ხოლო აკეთებენ იმას, რაც შეუფერებელია, მაშინ უფრო გასაკიცხავია ის, ვინც ძველ ვითა-  
 რებას მისდევს, ვიდრე ის, ვინც

II 11. ასე ილაპარაკა აიეტმა და მთელი ხალხი აღფრთოვანდა და მაშინვე სიხარულის ყვირილი მორ-  
 თო; იმ დღესვე აპირებდენ სპარსე-

σμένον οὕτω παρεσκευασμένοι  
 ὡς διαλαθεῖν τυχὸν ἢ καὶ ἀμύ-  
 νασθαι, τοὺς Ῥωμαίους διακω-  
 λύνοντας, ἀλλὰ μηδὲν ἔτι οὖν τῶν  
 ἔσομένων διανοοῦμενοι, μήτε ὅποι  
 αὐτοῖς ἐκβήσεται ἢ ἐπιχειρήσεις,  
 ἀτάκτως ἠπειγόντο. προσὺν μὲν  
 τοῦτο καὶ ἄλλως τοῖς πλήθεισιν,  
 ἤδυσθαι τῷ νεωτερισμῷ καὶ τῶν  
 μεταβολαῖς τῶν πραγμάτων, οὐ-  
 τὶ δὲ καὶ μάλλον ἠρεθισμένοι οὐ  
 μόνον οἷα δὴ βάρβαροι, ἀλλ' ὅτι τῆν  
 τε αἰτίαν εὐλογεῖν εἶναι ἠγοῦντο  
 καὶ τοὺς λόγους ἐν μεγίστῳ θαύ-  
 ματι ἐποιεῖντο, θ' ὅτι καὶ μάλ-  
 λ' ἂν αὐτοὺς ἀνεκίνοι καὶ διεσῶβει.  
 οὕτω δὲ αὐτῶν ταραττομένων,  
 ἀνήρ τις Φαρτάζης<sup>1</sup> ὄνομα, ὧν μὲν  
 ἐν τοῖς μάλιστα παρὰ Κόβλχοις, ἔμ-  
 φρων δὲ δημοτικῶς μάλα τοὺς τρό-  
 πους, ἐπέσχεν αὐτοὺς τῆς ὀρμῆς  
 καὶ ἀνέκοψεν, ἰκετεύσας μὴ πρό-  
 τερον ἐπὶ τῆν πράξιν χωρηῆσαι,  
 πρὶν τι καὶ αὐτοῦ λέγοντος δια-  
 κούσαιεν. μόλις δὲ αὐτῶν πεπεισ-  
 μένων τῇ πρὸς τὸν ἄνδρα αἰδοῖ  
 καὶ κατὰ χῶραν μεμενηκότων,  
 παρελθὼν καὶ αὐτὸς ἐς μέσον  
 ἔλεξεν τοιαῦτα:

ლების მხარეზე გადასვლას, თუმცა არც სპარსელები იყვნენ წინასწარ გაფრთხილებული და არც თვითონ იყვნენ იმდენად მომზადებული, რომ ან საიდუმლოს შენახვა შესძლებოდათ ან თავის დაცვა იმ შემთხვევაში, თუ რომაელები წინააღმდეგობას გაუწევდენ; სრულებით არ დაუფიქრდენ მომავალს, არც ის ივარაუდეს თუ რით გათავდებოდა მათი ეს ნაბიჯი, – ასე გზაკვალდაბნეულად აჩქარდენ. სხვათა შორის, ეს სჩვევია ბრბოს, რომ გაიტაცებს ხოლმე სიახლე და ძველი ვითარების შეცვლა! მაგრამ ესენი (ლაზები) ძალიან აღელდენ არა მარტო იმიტომ, რომ ბარბაროსები იყვნენ, არამედ იმის გამოც, რომ მიზეზს საპატიოდ თვლიდენ და აიეტის სიტყვებმაც დიდს განცვიფრებაში მოიყვანა ისინი: ამან ისინი ძალიან ააღელვა და შეაშფოთა. ისინი რომ ასე იყვნენ ახმაურებულნი, წამოდგა ერთი ვინმე, სახელად ფარტაზი, კაცი კოლხთა შორის გავლენიანი, გონიერი და თავისი ქცევით მეტად მდაბიური, სცადა შეეკავებინა ისინი და შეენელებინა მათი აღელვება და სთხოვა მათ არ შესდგომოდენ

განზრახვის შესრულებას, სანამ მას არ მოუსმენდენ. როდესაც ძლივს დაარწმუნა ისინი ამაში – გაუგონეს, რადგან ამ კაცის რიდი ჰქონდათ – და ისინი თავთავიანთ ადგილას გაჩერდენ, ფარტაზი წამოდგა შუაში და თქვა შემდეგი:

<sup>1</sup>) (აშიაზე), R (აშიაზე), Pharazes ინტერპრეტატორები (ასეთივე მდგომარეობაა III, 14; იხ. ქვემოთ გვ. 81).

### ფარტაზის სიტყვა

„Εἰκότα μὲν, ὦ ἄνδρες Κόλχοι, πειρόνθ' αὖτε, λόγων δεινότητι σφόδρα κεκομψευμένων τὰς γνῶμας ἔκταραχθέντες. δυσμαχάτατον γάρ τι τὸ χρεῖμα καὶ οἶον ἅπαντας ἀνθρώπους ἐκπλήττειν, οὐχ ἦμισυ δὲ τοὺς οὐπω πρότερον ἐς πείραν αὐτῶν καταστάντας, οὐ μὴν παντάπασιν ἀνανταγώνιστον σῶφρονι λογισμῷ καὶ τῆς ἐκ τῶν πραγμάτων κρίσεως ἔχομένῃ. μὴ τοίνυν ἀρεσκόντων ἡμᾶς τὰ εἰρημένα, λογιζομένους ὡς τῷ ἀθρόῳ μόνῳ καὶ ἀξυνήθει πεπίστευται, ἀλλ' οὐ τῷ πρότερον καὶ ὠφελίμῳ. γιγνώσχετε δὲ μάλλον ὡς εἰ καὶ λίαν ἡμῖν κεχαρισμένα δοκεῖ, ἀλλ' ἔνεστι κρείττονα τούτων ἐλέσθαι· καὶ τὸ βραδύως ἀναπεισθῆναι τεκμήριον ἡμῖν ἐναργῆς τῆς ἀπάτης γιγνέσθω, τῷ γὰρ τὰ ψευδῆ ξυμβουλεύοντι μελλόνος τε κόσμου καὶ ποικιλίας ῥημάτων προσδεῖ· κἀντιθέθεν πολλῶ τῷ θέλοντι χρώμενος θάπτον ἐφέλκεται τοὺς εὐθηθεστέρους. οὕτω δὲ καὶ ἡμεῖς τῷ Αἰήτῃ σοφίσματα προθέντος ἐπαγαγὰ καὶ παράλογα οὐκ ἴσθη ὅπως ἐφ' ἐναντίας καίτοι εἰ καὶ μηδὲν ἕτερον, ἀλλ' ἐκείνῳ γε καὶ λίαν ἐν προδήλῳ κείμενον εὖροι τις ἂν ὡς ἄλλης τινὸς ζήτησεως ἀρχὴν ἐμβάλλειν πρόχρηται τῶν ἐφ' ἃ πάρεσμεν ἀλλοτριωτάτην. καθάπερ γὰρ ἡμῶν ἁπάντων οὐ δεινὰ καθεσ-

„ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს. უძლეველი რაღაც არის მჭერმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დავუპირისპირებთ გონიერ მოსახრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება. ნათქვამი იმით კი არ უნდა მოიწონოთ თქვენ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და სასარგებლო. კარგად უნდა შეიგნოთ, რომ, რაგინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, უნდა ამოირჩიოთ იქიდან ის, რაც უმჯობესია; იმის აშკარა საბუთად, რომ თქვენ მოსტყუვდით, ის გამოდგება, რომ თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს, ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას ესაჭიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიჭრელე; რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იხმარს ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს. ასე დაგემართათ თქვენც; აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოსტყუვდით. სხვა თუ არაფერი, ის კი მაინც



τάναι τὰ ξυμβεβηκότα φασκόντων  
 και τῆς ἀτόπου μαιφονίας ἦμισ-  
 τα καταμεμφομένων και τοῦτο  
 μόνον διασκοπούντων εἴπερ ὡς  
 ἀληθῶς ἡμαρτήκασιν οἱ τὸν Γου-  
 βάζην ἀπεκτονότες, παρήλθεν κα-  
 τηγορῶν ἐκείνων και πλείστους  
 θσους προφερόμενος λόγους ἐπὶ  
 τοῖς ἡδῆ διεγνωσμένοις. ἐγὼ δὲ  
 καταράτους μὲν εἶναι φημι και  
 κακοδαίμονας και οἷους ἡδιστα  
 θεασαίμην ἂν ἐλέθην τῆ πάντων  
 χαλεπωτάτῃ διολλυμένους, οὐ μόν-  
 ον τοὺς πλήξαντας και τὴν σφαγῆν  
 ταῖς χερσὶν ἐπενεγκόντας, ἀλλὰ  
 και τοὺς θσοι παρὸν κωλύειν ἐφη-  
 καν, πρὸς δὲ γε και τοὺς ἡσθέν-  
 τας και τοὺς μὴ λίαν ὑπερκλή-  
 σαντας. πλὴν ἀλλ' οὐκ, ἐπειδὴ  
 ταῦτα γινώσκω, ἡδῆ που και  
 προσχωρεῖν τοῖς Πέρσαις ξυνοί-  
 σαι· οὐδὲ τοῦτο λάβοι τις ἂν ὡς-  
 περ ἐπόμενον τῆ λόγι και ξυ-  
 νημμένον, ὡς ἐκείνων παρανόμη-  
 σάντων δεήσει και ἡμᾶς τὰ οἰκεία  
 νόμιμα καταπροέσθαι, οὐδὲ ὡς  
 ἀπίστοις μὲν αὐτοῖς ἄλθεσθαι,  
 παραπλησίαν δὲ κτήσασθαι δόξαν.  
 νῦν γὰρ οὐ τὸ φθάσαν και διη-  
 γυσμένον και οὐκέτι τὴν τοῦ μὴ  
 γεγονέναι φασιν ἐπιδεχόμενον  
 ἀναλογίζεσθαι χρή, ὡς ἂν μὴ ξὺν  
 τῆ θυμουμένη τῆς ψυχῆς και  
 χαλεπαίνοντι βαυλευόμενοι λάθου-  
 μεν ἑαυτοὺς τὸ κρῖνον ἐπιθολόν-  
 τες και τὴν τοῦ ἀμείνονος εὑρε-  
 σιν προσφρημένοι, ἀλλὰ τοῦ μὲν  
 πάθους ὑφελεῖν, ἐς θσον μὴ δο-

ნათლად უნდა შეგემჩნიათ, რომ  
 მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა  
 საკითხი, სრულიად განსხვავებული  
 იმ საკითხთაგან, რომელთა გამო  
 ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვე-  
 ბით ისე გამოდის, თითქოს თქვენ  
 ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხ-  
 დარი ამბავი არ იყოს საშინელება,  
 რომ ამ საზოხლარ მკვლელობას არ  
 ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შე-  
 სახებ მსჯელობდეთ დამნაშავენი  
 არიან თუ არა გუბაზის მკვლელე-  
 ბი; თვითონ კი მკვლელების დანა-  
 შაულს არ ეხება და უამრავ სიტყ-  
 ვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია.  
 მე კი ვამბობ, რომ წყევული და შე-  
 ჩვენებული არიან ისინი და რომ მე  
 უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი  
 მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი  
 არა მარტო იმათ დაღუპვას, რო-  
 მელთაც განგმირეს გუბაზი და სა-  
 კუთარი ხელებით ჩაიდიხეს ეს  
 მკვლელობა, არამედ ყველა იმათ-  
 საც, რომელთაც შეემლოთ შეეფერ-  
 ხებინათ ეს მკვლელობა და არ შეა-  
 ფერხეს, და აგრეთვე იმათსაც, რო-  
 მელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ  
 და არც თუ ისე აღშფოთდენ. თუმ-  
 ცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარ-  
 სელების მხარეზე გადასვლა მაინც  
 არ იქნება სასარგებლო; არავინ  
 არ მიიჩნევს საჭიროდ მივილოთ და  
 გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს თუ  
 იმათ (რომაელებმა) ჩაიდიხეს უკა-  
 ნონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც  
 გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს  
 და იმ ვერაგებს კი არ გამოვუცხა-  
 დოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ

κείν ἡμεληθέναι, πρόνοιαν δὲ τῶν  
 γούν λοιπῶν θέσθαι πραγμάτων,  
 ὅπως ἄριστα καθέσθῃξει. ἀν-  
 τῶν μὲν γὰρ ἀνδρῶν ἐπὶ ταῖς  
 παρῳχημένοις κακοῖς ἀγανακτεῖν  
 μέχρι παντός καὶ ἀνίσθαι, σω-  
 φρόνων δὲ τὰς ἀτάκτους βροχὰς  
 γινώσκειν τῆς ταχῆς, καὶ ταῖς  
 μεταβολαῖς μὴ τράπτεσθαι, μηδὲ  
 τῶν προτέρων ἐστερημένους ξυν-  
 διαφθεῖραι καὶ τὰς τῶν μελλόν-  
 των ἐλπιδας.

რება, რამდენადაც ეს საჭიროა იმის დასამტკიცებლად, რომ დაუდევრობას არ ვიჩენთ, და მოვისაზროთ მომავლისათვის, თუ როგორ მოვაგვაროთ საქმეები უფრო უკეთ. უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებს ცვლილებები, და, როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს.

„Ἄλλ' ὁ μὲν ξύμβουλος πάσαι τὰ  
 Μήδων φρονῶν καὶ μεθίσταν ἡμᾶς  
 ἐπ' ἐκείνους γλιχόμενος μορμολύτ-  
 τειν καθάπερ τοὺς παιδας πειράται,  
 ὡς δὲ τοῖς Ῥωμαίοις ἐν τῶν τε-  
 τοληγμένων ἀποχρησόντων, ἀλλὰ  
 μειζόνων προσεσομένων· καὶ ὡς  
 ὁ βασιλεὺς αὐτοῖς πανουργότατος<sup>1</sup>  
 καὶ τὰ τῆς μαιφονίας αὐτὸς ἐγ-  
 κελευσάμενος εἶη, σπουδασθὲν ἐκ  
 πλείστου καὶ βεβύλευμένον· καὶ  
 ταῦτα φάσχω ἀγμνεῖ τοὺς Πέρ-  
 σας καὶ ὑπεράγαται, πείθειν ἡμᾶς  
 ἐντεῦθεν οἰόμενος ἰκέτας εὐθύς  
 καὶ αὐτομόλους γενέσθαι τῶν φύ-  
 σαι πολεμιατάτων. πρὸς τοῦτ,

თვითონ მოვიპოვოთ ამგვარივე სახელი. ეხლა აღარ არის საჭირო იმაზე ფიქრი, რაც მოხდა და დასრულდა და უკვე აღარ შეიძლება დაბრუნებულ იქნას (თითქოს არ მომხდარიყოს); ნუ აყვებით, მსჯელობის დროს, მოწოლილ ბოდმას და გულის-ტკივილს, რომ არ დავკარგოთ მოსაზრების უნარი და არ დავაბუნდოვანოთ ჩვენი მსჯავრი; შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა. გამოვიჩინოთ ჩვენი მწუხარება,

III 12. მაგრამ ეს მრჩეველი (აიეტი), რომელიც დიდი ხანია მიდიელების მომხრეობას იჩენს და მოწადინებულია ჩვენც გადაგვიყვანოს მათ მხარეზე, ცდილობს შეგვაშინოს – თითქოს ბავშვები ვიყუვეთ – და გვიმტკიცებს რომაელები არ იკმარებენ იმას, რაც გაბედეს, კიდევ მეტი უბედურება მოგველისო. ამბობს იმასაც, რომ მათ დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთ, რომელიც თვითონ არის ამ მკვლელობის სულის ჩამდგმელი; დიდი ხანია ეს მკვლელობა მომზადებული და მოფიქრებული იყო. ამას ამბობს ის და აქებს და ადიდებს სპარსელებს;

<sup>1</sup>) ხელნაწერები აქ კითხულობენ καιουργοτατος („აყალმაყალის ამტეხი“).  
 ნ ი ბ უ რ ი აგათიას სხვა ადგილის (III, 9; ზემოთ გვ. 65) მიხედვით ამჯობინებს πανουργοτατος („გაიძვერა“). დინდორფი მისდევს ნიბურს.

γὰρ ἀπασαν ἔχει τὴν ἀναφορὰν, ὧδίνων ἐξ ἀρχῆς καὶ μηχανώμενος ὡς ἂν αὐτῷ τὰ μελετημένα πρὸς ἔργον ἐκβαίη, καὶ ζῦν τῷ ἀνεξέ- τάστῳ προτρέπων τὴν τῆς βουλήs τᾶξιν συγχεῖ καὶ ταράττει καὶ πρὸς τὸ ἀνόνητον μεταβάλλει. ἢ μὲν γὰρ προτερεῦειν ἔλαχεν αἰεὶ καὶ ἴγεισ- θαι, βᾶσανον ἐμπροσθεσά τοῖς ἑσπῶ προδῆλεις· μόλις δὲ τ. ὁ πρακτέου διαγνωσθέντος, τότε δὴ παρῆναι χρεῶν τὸ ἐθέλειν τυχεῖν καὶ ἐφίε- σθαι τῶν αἰρεθέντων. ὁ δὲ τὸ πέ- ρας ἀρχὴν πεποιήτετι, ἐλόμενος ἦδη πρὶν τι σαφῶς διασχωπῆσαι. π. ἔν τῶν τῶν τὸ ἐκ τῆς βουλήs ὑφέλιμον, εἴπερ τῆς κρισεως ἐν ὑστέρω παρῆ; ἡμεῖς δὲ, ὦ ἄνδ- ρες Κόλχοι, μηδαμῶς τὰς γνώ- μα; ἐτέρω τῷ κατεληγμένοι καὶ πρὸς ἐν τι τέλος προδιωρισμένον ἑρῶντες οὕτως ἐπὶ τὰς ζήτησεις χωρεῖτε. πῶς γὰρ καὶ ἐνεσσι τὰς τῶν πραγμάτων μεταβάσεις βιά- ζεσθαι καὶ πρὸς τὸ ἀρέσκον με- τασκευάζειν; τ. ὑναντίον γὰρ τού- τοις ἐπεσθαι κοσμίως προσήκει καὶ τὸν λογισμὸν ἐπ' αὐτὰ με- θιέναι καθαρὸν καὶ αὐτόνομον, ὥστε κατὰ σχολὴν τὰ προστυ- χόντα διευκρινήσαντα τ. ὁ συνό- συντος ἐφικέσθαι. οὕτω γὰρ ἡμῖν βουλευμένοις αὐτίκα φανείται ὡς οὔτε ἐκ τῶν Ῥωμαϊκῶν ταγ- μάτων οὔτε μὴ τῶν στρατηγῶν ἀπάντων, πολλῶ δὲ γέ μάλλον οὐδὲ τ. ὁ σφῶν βασιλέως τὰ τῆς ἐπιβουλήs ἐπὶ Πουβάξῃ ξυνέστη.

ის ფიქრობს, რომ ამ გზით დაგვარ- წმუნებს ჩვენ და ჩვენც ეხლავე სა- კუთარი ფეხით ვეახლებით აშკარა მტრებს და ხვეწნას დავუწყებთ. ამ მიზნისათვის ხმარობს ის ყოველ- გვარ საშუალებას; იმთავითვე ილ- წვის და ცდილობს იმისათვის, რომ განახორციელოს ის, რაც მას გან- ზრახული აქვს; მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ, ჩვეულებრივ, წინასწარ იხილავს მუ- დამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათე- ლი; ხოლო, როგორც კი მიაგნებს იმას, რისი გაკეთებაც არის საჭი- რო, მაშინ გვმართებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგე- ნილება. ამან კი ბოლო თავში გა- დაიტანა და, ვიდრე ჩვენ საბო- ლოოდ რასმე გადავწყვეტდეთ, ის უკვე შეუდგა შესრულებას. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგე- ნილება იქნება და მერე კრება? თქვენ კი, კოლხებო, არასდროს არ უნდა დაუკავშიროთ თქვენი აზრე- ბი გარეშე მოსაზრებებს, უნდა უყუ- როთ ერთს რომელსამე წინდასა- ხულ მიზანს და ისე წარმართოთ თქვენი მსჯელობა. განა შესაძლე- ბელია ვითარების შეტრიალება ძა- ლით და მისი ისე მოქცევა, რო- გორც გესიამოვნება? თქვენ, პირო- ეით, სხვა წესს უხდა მისდიოთ; წმინდა და დამოუკიდებელი მსჯე- ლობა იხმაროთ ისე, რომ ზედმი- წვევით გაარჩიოთ საქმე და დაად-

διατεθρύληται γὰρ ἡδὴ παρ' αὐ-  
 τοῖς καὶ ἀνωμολόγηται ὡς Ῥούσ-  
 τικός καὶ Μαρτίνος, βασιχῆγαντες  
 αὐτῷ τῆς εὐτυχίας ἐς αὐτεπάγ-  
 γελτον ἤλασαν κακοδοξιομίαν,  
 τῶν ἄλλων ἡγεμόνων εὐχ ὅπως  
 ξυλλαβομένων, ἀλλὰ καὶ περιφ-  
 νῶς ἀνιαιθέντων. ἄδικον εὖν ὀ-  
 μαι καὶ πρός γε ἀξίωμα ἕνός ἐξ  
 ἀπάντων ἀνδρῶν ἢ καὶ δυοῖν τυ-  
 χὸν ἡμαρτηκότοις ἐξυβρίσαι μὲν  
 ἐς τοὺς κοινούς νόμους, εὖν στέρ-  
 γειν προσημέμεθα, πλιτεῖαν δὲ  
 ξυμπασαν καὶ δίκαιαν ξυνήθη καὶ  
 φίλην εὖτω πως ῥαδίως ἀποσ-  
 κευάσασθαι, τῶν δὲ τῆν χώραν  
 φρουρούτων καὶ πολλούς ὄσους  
 κινδύνων ἀναδεχομένων, ὡς ἂν  
 ἡμῖν ἐν εὐπαθείᾳ βιοτεύειν ἐξῆ,  
 πρὸ ὄτασ δειχθῆναι, καὶ τὸ δὴ  
 πάντων ἀνοσιώτερον, ὄξαι ὄρ-  
 θῆν πρὸς εὐσέβειαν καὶ τῆν τῶν  
 ἱερῶν ἀπορρήτων σεμνότητα πε-  
 ριφρονῆσαι. πῶς γὰρ εὖν τῶντο  
 φανόμεθα ὄρωντες, εἰ προσχω-  
 ρήσαιμεν τοῖς τοῦ κρείττονος ἐναν-  
 τιωτάτοις; εἰ μὲν γὰρ διακωλυ-  
 σαιεν ἡμᾶς ταῖς αὐταῖς ἀγιστείαις  
 ἐμμένειν καὶ μεταστήσαιεν πρὸς  
 τῆν σφετέραν, τί τοῦτου πεισόμε-  
 θα χαλεπώτερον περιόντες τε καὶ  
 τεθνηκότες; τί δὲ κερδανόμεν  
 ἀπασαν τῆν Περσίδα, θῶμεν γὰρ  
 οὖτω, προσλαμπάνοντες τὰς δὲ  
 ψυχὰς ἐξυμνωμέναι; εἰ δὲ γε καὶ  
 μεθεῖεν καὶ συγχωρήσαιεν, ἀλλ'  
 οὖν βεβαίαν ἡμῖν τῆν εὖνοιαν ἐξου-  
 σιν, ὄπουλον δὲ μάλλον καὶ σφα-

გეთ იმ გზას, რომელიც სასარგებ-  
 ლო იქნება. თუ ჩვენ ასე ვიმსჯე-  
 ლებთ, მაშინვე ცხადი გახდება, რომ  
 არც რომაულ რაზმებს, არც სტრა-  
 ტეგოსებს, საერთოდ აღებულს, მით  
 უმეტეს არც მათ მეფეს არ მოუწ-  
 ყვიათ შეთქმულება გუბაზის წი-  
 ნალმდეგ. ხომ თვით მათ შორისვეა  
 გავრცელებული ხმები და ერთხმად  
 აღიარებული, რომ რუსტიკე და  
 მარტინე, რომელთაც სურდათ მისი  
 წარმატება, აჰყვნენ თავიანთ ბო-  
 როტ ზრახვებს და დანარჩენი სარდ-  
 ლები არა თუ მათ არ ეხმარებო-  
 დენ, არამედ აშკარადაც სწუხდენ.  
 უმართებულო იქნებოდა, ჩემის აზ-  
 რით, და ამასთანავე ერთად მიზან-  
 შეუწონელიც ერთი ან ორი კაცის  
 დანაშაულის გამო შევსწყრომოდიო  
 საზოგადოებრივ კანონებს, რომელ-  
 თა დაცვა აგვილია ჩვენს თავზე, და  
 ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სა-  
 ხელმწიფო წყობილება და ცხოვრება  
 რომელსაც მშვენივრად შევეგუეთ,  
 იმათ მიმართ კი, რომლებიც ამ ქვე-  
 ყანას სდარაჯობენ და მრავალნი  
 ხიფათში ვარდებიან იმის გულის-  
 თვის, რომ ჩვენ უდარდელი ცხოვ-  
 რება მოგვანიჭონ, გამცემლები გა-  
 მოვსულიყავით; ყველაზე უფრო  
 უწმინდური საქმე ის იქნება, რომ  
 ასეთი საქციელით ჩვენ შევბღალავთ  
 მართლმორწმუნეობას და წმინდა  
 საიდუმლოთა უმწიკვლოობას. აბა,  
 სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქ-  
 ციელი, თუ მივემხრობით უზენაესი  
 არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი  
 აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წე-

λεράν, καὶ μόνη τῇ χρεΐξ ξυμμε-  
 τρουμένην. ἀμικτον γὰρ αἶε τοῖς  
 ἀνθρώποις τὸ ἐτερόγνωμον, καὶ  
 οὔτε θεούς προσπεσόντος οὔτε τι-  
 νός εὐεργεσίας ἡγηταιμένης, μό-  
 νις αὐτοῖς ἐγγίγνεται πίστις,  
 πλὴν εἰ μὴ καὶ ταῖς δόξαις ὁμο-  
 φρονοῖεν. τὸ τε ξυγγενές καὶ ἴδιον  
 καὶ ἐμόφυλον, εἰ τοῦδε λειπόμενα  
 τύχοιεν, ὀνοματι μόνη τὴν οἰ-  
 κείωσιν ὑποφάνει, τοῖς δὲ ἔργοις  
 ἀλλοτριούται. ἀντὶ πλείων τοίνυν  
 ἀγαθῶν, ὧ ἀνδρες Κόλχοι, πρὸς  
 Πέρσας μεταβησόμεθα, εἰ γε καὶ  
 ὧς ἔσονται δυσμενεῖς καὶ μηδὲν  
 ἡμῖν πλέον ἔσται τοῦ παρόντος  
 ἢ μόνον τὸ βῆθον βλάπτεσθαι  
 πρὸς αὐτῶν, ὅσῳ τοῦ ἐμφανοῦς  
 τὸ διαλανθάνον ἀρυσκατότερον;  
 ἀλλὰ γάρ, εἰ δοκεῖ, ξυγεχωρή-  
 σθω, μήτε ἀδικῶν εἶναι τοῦ γεί-  
 ρημα μήτε τοῦ πρέποντος ἔστε-  
 ριζμένον, καὶ ὁμολογέσθω τὰ  
 Περσῶν ἡθῆ βέβαια καὶ πιστὰ  
 καὶ οἷα διὰ παντὸς ἐμμένειν ταῖς  
 ἔσομέναις ξυνηθήκαις. εἰ γὰρ ταῦ-  
 τα δοθεῖεν, καὶ μηδὲν ἡμῖν τῶν  
 ἄλλων ἐμποδῶν ἔσται, ἀλλὰ τὰ  
 τῆς θανάσιως οὐκ ἀρκέσει. πῶς  
 γὰρ ἂν μεταχωρήσαιμεν ἐφ' ἐτέ-  
 ρους, ἐφεστηχότων ἡμῖν τῶν Ἰω-  
 μαίων, καὶ οὕτω πλείων καὶ ἀν-  
 δρειοτάτων καὶ ὑπὸ κρατίστους  
 στρατηγοῖς τεταγμένων; πῶς δὲ  
 καὶ οἷόν τε μὴ εὐχὴ πεινάς ὑπο-  
 σχεῖν ἀνηκέστους, τῶν μὲν οὖς  
 ἐπαμύνειν χρεῶν πόρρω που κατὰ  
 τὴν Ἰβηρίαν ἐτι μελλόντων καὶ

სების შესრულებას და თავიანთ წე-  
 სებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო  
 სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ,  
 რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და  
 ამავე დროს მკვდრებიც? რას მო-  
 ვიგებთ იმით, რომ, ვთქვათ, მთელი  
 სპარსეთი შევიერთოთ და სულები  
 კი წავიწყმიდოთ? რომ კიდევაც ნე-  
 ბა დაგვრთონ და ჩვენ ნებაზე მი-  
 გვიშვან, სულ ერთია – მანც არ  
 ექნებათ ჩვენ მიმართ კეთილი გან-  
 წყობილება და ნდობა; მათი მოპ-  
 ყრობა ჩვენდამი ვერაგული და არა-  
 საიმედო იქნება და მარტოოდენ  
 სარგებლიანობის თვალსაზრისით  
 გამონგარიშებული. ადამიანები ვერ  
 იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადა-  
 სხვაობას და მაშინაც კი, როდესაც  
 გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის  
 მიერ ჩადენილი, კეთილი საქმე აი-  
 ძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ  
 შორის ნდობა არასდროს არ არის  
 მტკიცე; ეს შეიძლება იყოს მხო-  
 ლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის  
 აზრთა ერთიანობაა. თუ ვინცილობაა  
 ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი  
 დაახლოვება და მეგობრობა ცარიე-  
 ლი სიტყვაა; საქმით ისინი ერთმანე-  
 თისათვის უცხონი რჩებიან. ჰო და,  
 აბა, რის გულისათვის უნდა გადა-  
 ვიდეთ, კოლხებო, სპარსელების მხა-  
 რეზე, თუ კი ისინი მანც ჩვენ  
 მტრებად დარჩებიან და ასეთ ვი-  
 თარებაში მხოლოდ ის-ღა გვექნება,  
 რომ ისინი უფრო ადვილად მოგ-  
 ვაყენებენ ვნებას, ვინაიდან ფა-  
 რული მტრისაგან უფრო ძნელია  
 თავის დაცვა, ვიდრე აშკარასაგან?

ἀνειμένους πορευομένους, τῶν δὲ  
τίμωρησομένων τὴν τε χάραν ἀπα-  
σιν κατεχόντων καὶ ταῖς ἡμετέραις  
πόλεσιν ἐνδοκονύτων;

ხასიათით მტკიცენი და სანდონი არიან და ჩვენთან დადებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ. ესეც რომ მივიღოთ და, მაშასადამე, აღარავითარი დაბრკოლება აღარ გვეღობებოდეს, მაინც ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შევძლებთ ჩვენ სხვის მხარეზე გადასვლას, როდესაც თავზე გვადგანან რომაელები, რომელთაც ამდენი ვაჟკაცი ჰყავთ დარაზმული საუკეთესო სტრატეგოსების ხელმძღვანელობით? როგორღა შევძლებთ საშინელი სასჯელის თავიდან აცდენას, როდესაც ისინი, რომლებმაც უნდა აღმოგვიჩინონ დახმარება, ჯერ კიდევ შორს, იბერიაში, აყოვნებენ და ზღაზნვით მოიწვევენ წინ, ხოლო ისინი კი, რომელთაგანაც სასჯელს უნდა ველოდეთ, მთელ ამ ქვეყანას ფლობენ და ჩვენს ქალაქებში ცხოვრობენ?

„Καίτοι φησὶν αὐτοὺς ὁ γενναῖος οὐτως ἢ μὴδὲ τὴν ἑρμῆν ὑποστῆσαι ἡμῶν, παραδείγματι χρώμενος τοῖς ἑναγχοῦς ἔμβροτοῖς. καὶ τίς ἀγνοήσειεν ἄν τις τὰς τῶν πολέμων τροπὰς οὐκ ἐπὶ βῆτοισι ἀνάγκη ἔμβροτοῖς, οὐδὲ τοῖς νῦν σφαλέντας τυχόντων ἑμῶν ἀεὶ μεταλαγχάνειν ἀποτευγμάτων; τοῦναντίον γὰρ ὡς τὰ πολλὰ πρὸς τοὺς ἡττηθέντας ἢ νίκη μέτεισι καὶ τὸ δυσφοροῦν ἐκθεραπεύει. οὐ γὰρ τῶν ἡμῶν, καθ' ἅπερ εἰσιστῆνον αὐτοῖς τὸ λοιπὸν ἐν ἀπάσῃς ταῖς ἔμπλοκαῖς ἐλαττοῦσθαι, πέρα τοῦ μετρίου φαρμακείν. εἰ μὲν γὰρ τοῦτο μόνον νενίκηγνται, τῷ μὴ τὰ δέοντα βεβαιεῖσθαι, προσεκτεῖον μὲν ἡμῖν τῷδε μάλλον τῷ παραδείγματι καὶ προφλακτέον τοὺς ἐκ τῆς ἀβουλείας κινδύνους.

მაგრამ ვთქვათ, თუ გნებავთ, რომ ეს საქციელი არც უსამართლო იქნება და არც არასაკადრისი, და დავუშვათ, რომ სპარსელები თავისი ხასიათით მტკიცენი და სანდონი არიან და ჩვენთან დადებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ. ესეც რომ მივიღოთ და, მაშასადამე, აღარავითარი დაბრკოლება აღარ გვეღობებოდეს, მაინც ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შევძლებთ ჩვენ სხვის მხარეზე გადასვლას, როდესაც თავზე გვადგანან რომაელები, რომელთაც ამდენი ვაჟკაცი ჰყავთ დარაზმული საუკეთესო სტრატეგოსების ხელმძღვანელობით? როგორღა შევძლებთ საშინელი სასჯელის თავიდან აცდენას, როდესაც ისინი, რომლებმაც უნდა აღმოგვიჩინონ დახმარება, ჯერ კიდევ შორს, იბერიაში, აყოვნებენ და ზღაზნვით მოიწვევენ წინ, ხოლო ისინი კი, რომელთაგანაც სასჯელს უნდა ველოდეთ, მთელ ამ ქვეყანას ფლობენ და ჩვენს ქალაქებში ცხოვრობენ?

III 13. „მართალია, ეს სახელოვანი კაცი გვიმტკიცებს, რომაელები ჩვენს იერიშს ვერ გაუძლებენო, და საბუთად მოჰყავს ამას წინათ მომხდარი შემთხვევა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ბრძოლის შედეგები უთუოდ განსაზღვრულ პირობებს არ ექვემდებარება და რომ, ვინც ეხლა შემთხვევით დამარცხება განიცადა, მუდამ იმნაირივე უბედურების ლუკმა არ იქნება? პირიქით, ხშირად გამარჯვება ბედის უკუღმართობას გამოასწორებს ხოლმე და დამარცხებულებს ხვდება წილად. ამიტომ ჩვენ იმ იმედით, რომ რომაელები ამიერიდანაც ყოველთვის დამარცხებულნი აღმოჩნდებიან ბრძოლებშიო, არ გვმართებს ზომაზე მეტად ვიყოთ დამშვიდებულნი. რომ ისინი დამარცხდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ კარგად არ მოიფიქრეს ის, რაც საჭირო იყო, ჩვენ ეს უნდა

οὐ μὴν πρόδηλον ἐντεῦθεν οἴεσθαι δεῖ τὸ ῥαδίως οὐτῶν περιέσεσθαι. εἰκόξ γὰρ τοῖς πρότερον ἁμαρτήσαντες, καὶ διὰ τῆς πείρας ἵποια φευκτέον πεπαιδευμένους, καὶ αὐτὸ δὴ τὸ παροφθὲν ἀνακαλέεσθαι τῇ περὶ τῶν ἐφεξῆς ἐσομένων ἐπιμελεῖ. εἰ δὲ τὸ πρῶτον αὐτοῖς χαλεπαίνει τῆς ἐπὶ τῷ κειμένῳ παρανομίας, καὶ ταύτη κεκάκωνται, τί δεῖ καὶ ἡμᾶς παρῆναι καὶ ξυνεπιλαμβάνειν, ὡσπερ οὐκ ἐπαρκοῦντες ἐκείνου τὰ δίκαια δρᾶσαι, ἀλλὰ τῆς ἐξ ἡμῶν ἐπικουρίας προσδεμένους; ποῖα δὲ τις ἂν ἀσεβείας ὑπερβολῆ ἐτέρως λελεῖψεται, εἰ γε τόδε τὸ ἀγαθὸν ἀτιμάσασιν τῇ μεταστάσει, ὅπερ καὶ ἡρεμούτων ἡμῶν ὑπερμαχεῖ προσηγόντως; μηδεὶς τίνυν ἡμῖν τὸν τεῖνεῶτα παραγέτω δῆθεν τῷ λόγῳ λίαν ἀγεννῶς ὀλφρομένον καὶ ἰκετεύοντα τοὺς ἔμοφύλους οἰκτεῖν τῷ τῆν σφαγῆν ἐπιδεικνύει. ταῦτα γὰρ μαχιθηραῖς μὲν ψυχαῖς, καὶ ἀνάνδρως ἴσως ἀρμόσει, οὐ μὴν προσαιτέον αὐτὰ βασιλεῖ καὶ Δαζῶν καὶ Γουβάζῃ. εἰ γὰρ ἐκεῖνος ἐνταῦθα παρῆν, πάντως ἂν, ἅτε δὴ θεοφιλῆς ἀνὴρ γεγονῶς καὶ φρενήρης, κατεμέμφοτο μὲν ἡμᾶς τοιαῦτα βουλευομένους. ἐκέλευεν δὲ μὴ οὕτω καταπεπτωκέναι καὶ μαλθακίζεσθαι καὶ δραπέτευσιν, καθάπερ οἰκτάς ἀφείσθαι, φρόνημα δὲ μαλλον Κολχικὸν καὶ ἐλευθερον ἀναλαβόντας ἀντέ-

გამოგვადგეს კარგ მაგალითად და წინასწარი ზომები მივიღოთ, რათა მოუფიქრებლობის გამო ხიფათი არ შეგვემთხვეს; და რასაკვირველია, აქედან ჩვენ ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ ადვილად ვაჯობებთ მათ. ხომ საფიქრებელია, რომ, რახან წინათ შეცდომები დაუშვეს, გამოცდილებით ისწავლიდნენ, თუ რას უნდა ერიდონ, და ამიერიდან იზრუნავენ, რომ შეცდომა გამოსაწორონ. ხოლო თუ მათ ღვთაება უწყრება ამ საზიზღარი მკვლევლობის ჩადენისათვის და ამით აიხსნება მათი უბედურება, რაღა საჭიროა ჩვენც არ მივეშველოთ ღვთაებას, თათქოს მსჯავრის დასადებად მას თავისი ძალა არ ჰყოფნიდეს და ჩვენს დახმარებას საჭიროებდეს? რა საქციელის ჩადენის შესაძლებლობა დარჩება სხვებს, თუ ჩვენ გადადგომით ვუპასუხებთ რომაელთა იმ წყალობას, რომელიც გვიცავს ჩვენ, როგორც საჭიროა, და რომლის მეოხებით ჩვენ მშვიდად ვცხოვრობთ? ამიტომ, ნურავინ ნუ ცდილობს წარმოგვიდგინოს აქ მიცვალეზული გუზაზი, სრულიად არა ვაქკაცურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ შეიზრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს. მით უმეტეს გუზაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია ის, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვიცხავდა ჩვენ

χεῖν τῆς ξυμφωρᾶς φαρραλέως· καὶ  
 πρὸς μὴδὲν μὲν αἰσχρὸν καὶ ἀνά-  
 ξιον τῶν πατρῶν ἐξάγεσθαι τρό-  
 πων, ἐμμένειν δὲ τοῖς παρῶσι  
 καὶ πεποιθέναι, ὡς τ. ὁ κρείττο-  
 νος ἦκιστα τὸ ξίθιος περιφομέ-  
 νου. εἶτα πῶς οὐ σφόδρα παρά-  
 λογον αὐτῶ μὲν τῷ βιαιῶς ἀνη-  
 ρημένῳ ταῦτα κατὰ τὸ εἶδος  
 ἔχειν δεδῶχθαι, ἡμᾶς δὲ τοὺς τῆν  
 πρὸς ἐκείνον εὐλοίαν ἀκρηστομέ-  
 νους ἀναντία διανοεῖσθαι; ἀλλὰ  
 δεδῶκα μὴ καὶ μόνου χάριν τοῦ  
 διαλογιζέσθαι ταῦτα καὶ διασκο-  
 πεῖν μεγίστας ὑφέξμεν δίκας. εἰ  
 μὲν γὰρ ἐπ' ἀδύλῳ ἐλπίζω καὶ  
 τῆν ἐφ' ἐκάτερα ῥ. πῆν ἐπιδεχο-  
 μένως τὰ τῆς ἀποστάσεως ἡμῖν  
 ἐμελεῖται, ἦν μὲν ἂν καὶ τὸδε  
 δεῖνόν, ἐπὶ τηλικούτων πραγμά-  
 των κινήσει μόνως ἡρτησθαι τῆς  
 τύχης, πλὴν ἀλλ' ἐξῆν ἴσως τοῖς  
 ταῦτα προσηρημένοις ἀδεέστερον  
 γοῦν ἀνίσχυνησαι εἰ δὲ πάντα χό-  
 θεν προῦπτον δείκνυται τὸ κακόν,  
 πῶς οὐ μισητέον αὐτούς τριαύτην  
 ἔννοιαν ἐμβάλοντα; ὡς μὲν οὖν  
 ἀφρετέον ἡμῖν ἐκείνων καὶ δὴ με-  
 τρώως ἐρρήθη. φημί δὲ δεῖν βασιλεῖ  
 τῷ Ῥωμαίων τὸ ξυμβάν ἀναγγεί-  
 λαι, ὡς ἂν ἐνδικώτατα μετέλιθη  
 τοὺς τοῦ μιάσματος αἰτιωτάτους,  
 καὶ εἰ μὲν ἐπιελήσει, πεπαῦσθαι τὸ  
 λοιπὸν τῆς πρὸς Ῥωμαίους δια-  
 φ. ρᾶς καὶ ξυνεργεῖν αὐτοῖς καὶ ξυ-  
 στρατεύεσθαι καὶ τῶν προτέ. ὡν  
 μετέχ. μεν ξυ. ὡν αἰ. τ. γ. μά. των εἰ δὲ  
 ἀπώσοιτο τῆν ἀξίωσιν, τότε δὴ

ამგვარი ზრახვებისათვის; მოგვიწო-  
 დებდა არ მივცემოდით სასოწარ-  
 კვეთილებასა და გულაჩუყებას, და  
 მონების მსგავსად კი არ გავქცეუ-  
 ლიყავით, არამედ აღვჭურვილიყა-  
 ვით კოლხის თავისუფალი შეგნე-  
 ბით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბე-  
 დურება და არაფერი სასირცხო  
 და მამა-პაპური წესების შემბილ-  
 წველი არ ჩაგვედინა, არსებულ  
 მდგომარეობაში დავრჩენილიყავით  
 და იმედი გვექონოდა, რომ უზენაე-  
 სის თვალი არ მოაკლდება ერს. ნუ  
 თუ რამენაირად დასაჯერებელია,  
 რომ გუბაზი, რომელსაც ძალადო-  
 ბამ მოუსპო სიცოცხლე, ყველაფერ  
 ამას შესაწყნარებლად თვლის, ხო-  
 ლო ჩვენ, რომლებიც მას სიყვარუ-  
 ლით ვეპყრობით, წინააღმდეგს  
 ვვიქრობთ? მაგრამ მე მეშინია,  
 ვაი თუ მხოლოდ იმის გამოც, რომ  
 ასეთი რამ გავიფიქრეთ და განვი-  
 ზრახეთ, უდიდესი სასჯელი მოგ-  
 ვეზლოს. თუ ჩვენ შევუდგებით გა-  
 დადგომას ისეთი იმედებით, რომ-  
 ლებიც ბუნდოვანია და ჰგულისხმო-  
 ბენ საქმის წარმართვისას სასწორის  
 ან აქეთ ან იქით გადახრას, მაშინ  
 ხომ საშინელება იქნებოდა ასეთ  
 გარდამწყვეტ წუთებში მხოლოდ  
 ბედზე ვყოფილიყავით დამოკიდე-  
 ბული; ან და, იქნებ, იმათ, ვინც ეს  
 გზა აირჩია უფრო გაბედულად  
 შესძლონ ამ სამარცხვინო საქმის  
 შესრულება. ხოლო, თუ ეს ბორო-  
 ტება წინასწარ უკვე ყოველმხრივ  
 ნათელია, ნუ თუ ზიზღის ღირსნი  
 არ არიან ისინი, ვინც ეს გაფიქ-



βουλευτέον ἡμῖν, εἴπερ ἑτέραν ἔδδον τραπήναι ξυνοίσει. οὕτω γάρ πρῖοντες οὔτε τοῦ πεθνήκτοτος ἐπιλελήσθαι δόξοιμεν ἂν οὔτε προπετεῖν μᾶλλον ἢ γνώμῃ τὰ ἡμέτερα θιασιθέναι.“ (HGM II, 249—261).

ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან; კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჭაპანს. თუ ვი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხოვრებული გუბაზი არ დგვივიწყნია, და იმასაც, რომ საქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად“.

**ლაზთა ელჩები იუსტინიანესთან. – წათეს დამტკიცება  
ლაზთა მეფედ.**

Εἰρη ἑνων δὲ καὶ τούτων, παλινθῆσαν τὸ λεγόμενον ἡδὲν οἱ Κόλχοι καὶ μετεπειθόντο. μάλιστα γὰρ αὐτοὺς εἰς τοῦτο ξυν, λησε τὸ δεδιέναι μήποτε ἄρα, εἰ μετασταίεν, καὶ τὴν ἐπὶ τῇ κρείττονι δόξαν ἀφαιρέσειεν. ἐπειδὴ οὖν ἢ τοῦ Φαρτάξου ἡ γνώμῃ ἐλέξα, αὐτίκα οἱ ἄριστοι καὶ εὐπατρίδαι τοῦ ἔθνους Ἰουστινιανῷ βασιλεῖ τὰ ἐπὶ Ρουβιάξῃ ξυγενεχθέντα διήγγειλαν, ἅπασάν τε οἱ ἀνεκάλυψαν τὴν ἀπάτην, ὡς ἐκεῖνος μὲν οὔτε μηδίσας πώποτε οὔτε ἄλλο τι ἄχαρι κατὰ Ῥωμαίων βουλεύσάμενος ἦλω, οἱ δὲ ἀμφὶ Μαρτίνον τε καὶ Ρούστικον, ἐπειδὴ αὐτοῖς ὑπὸ βραστώνης θάμα σφαλλομένοις ἐπαλάει τε τὰ εἰ-

რებინათ? თუ როგორ განვთავისუფლდეთ ამათგან, მე უკვე საკმაოდ ვილაპარაკე. მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ,

III 14. ეს რომ თქვა ფარტაზმა, კოლხებმა, როგორც იტყვიან, სხვანაირად დაიწყეს მღერა, და აზრი გამოიცვალეს. განსაკუთრებით იმიტომ იმოქმედა იმათზე, რომ შიში აღუძრა, ვაი თუ, რომ გადავდგეთ, უზენაესის წყალობას მოვწყდეთო. რადგან ფარტაზის აზრმა გაიმარჯვა, ერის წარჩინებულმა და კეთილშობილმა კაცებმა აცნობეს იუსტინიანე მეფეს ის, რაც გუბაზის გარშემო მოხდა, გაუმჟღავნეს მას მთელი იმ მოტყუების ამბავი, – სახელდობრ, რომ გუბაზი არასდროს არ ყოფილა სპარსელების მომხრე, არც სხვა რამ, რომაელების სამტრო, განუზრახავს, და რომ მარტინეს და რუსტიკეს მომხრეებმა, რადგან გუბაზი მათ

1) Φαρτάξου R. Pharazis (შდ. ზემოთ გვ. 71, შენიშვნა).

κότα καὶ ἐχαλέπαινεν, οἱ δὲ τανύτην τε τὴν συκοφαντίαν ἐμηχανήσαντο καὶ τὸν οὐδὲν ἡμαρτηκότα διέφθειραν. ἐδέοντο δὲ οὐκ ἐν τῇ τῆς κατοικομένου ψυχῇ τοῦτο δὴ παρασχεῖν τὸ χαριστήριον· ἔλεγον δὲ οὐκ ἄλλο τι ἄρα ἢ ὥστε μὴ ἀτιμώρητον καταλιπεῖν τὸ ἀδίκημα, βασιλέα δὲ σφίσι ἐπιστήσαι οὐκ ὀφνεῖόν τινα οὐδὲ ἐπιλύτην, ἀλλὰ Ἰζάθην τὸν Γουβάζου νεώτερον ἀδελφὸν<sup>1</sup> ἐν Βυζαντίῳ κατ' ἐκεῖνο τοῦ καιροῦ διατρέβοντα, ὡς ἂν αὐτοῖς πάλιν ὁ πάτριος διασώζοιτο νόμος καὶ ἡ ἀνέκαθεν τοῦ βασιλείου γένους ἀκραιφνῆς ἔμμελογία. ὁ δὲ, ὅσια γὰρ αὐτῷ ἐδόκει καὶ δίκαια, ὡς τάχιστα ἐπετέλει, καὶ οὐκ Ἀθηναῖσι, ἕνα τῶν πρῶτα λαχόντων ἐν τῇ ξυγκλήτῳ βουλή, ἔστειλε διασκοπήσεντά τε τὸ πραχθὲν ἐς τὸ ἀκριβές, καὶ κατὰ τοὺς Ῥωμαίων νόμους κρινούντα. καὶ δὴ παραγενόμενος Ῥούστικον μὲν εὐθύς ἐς Ἀψαρῦντα ἔστειλε τὴν πόλιν καὶ τῷ ἐκεῖνῳ δεσποτηρίῳ ἐγκαθηίρξας ἐφρούρει Ἰωάννη δὲ τῷ βασιλέα μὲν φενακίσαντι, αὐτουργῶ δὲ τοῦ μιάσματος γεγενημένῳ, ἀποδράντι πῶς ἐν τῷ τότε

ხშირად მიუთითებდა დაუდევრობით ჩადენილ შეცდომებზე და სრულიად სამართლიანად უჯავრდებოდა მათ, შეხანხლეს მის წინააღმდეგ ბრალდებები და დააბეზღეს ის და კიდევაც მოკლეს სრულიად უდანაშაულო კაცი. ლაზთა წარმომადგენლები სთხოვდნ იუსტინიანეს მიცვალებულის სულისათვის შემდეგი წყალობა ებოძებინა; სხვა არაფერი გვინდაო – უთხრეს მათ – მხოლოდ დაუსჯელს ნუ დასტოვებ ამ ბოროტმოქმედებას და მეფედ ვინმე უცხოელს, არათვისტომს, კი ნუ დაგვიყენებ, არამედ წათე გამოგვიგზავნე, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად ბიზანტიონში ცხოვრობს, რათა დაცულ იქნეს მამა-პაპური წესი და ძველი სამეფო გვარი შეურევნელი დარჩესო. იუსტინიანემაც სასწრაფოდ შეუსრულა ეს თხოვნა (ვინაიდან სრულიად სამართლიანად თვლიდა მას) და გააგზავნა ლაზეთში ათანასი<sup>2</sup>, ერთი პირველ კაცთაგანი დარბაზის შესაკრებელისა<sup>3</sup>, რომელსაც დაავალა ზედმიწევნით გამოეკვლია მომხდარი ამბავი და რომაული კანონების მიხედვით გაერჩია საქმე. ათანასიმაც, როგორც კი ჩავიდა ლაზეთში, მანვე ქალაქ აფსარუნტში გააგზავნა

<sup>1</sup>) ἀδελφοπαῖδα R აშიაზე. იმ აზრს, რომ წათე ძმისშვილი იყო გუბაზისა და არა ძმა, R იცავს ქვევითაც (გვ. 84, შენ. 1), სადაც ნაცვლად გამოთქმისა την πατρωῖαν αρχὴν იძლევა την πατρωοῦ ἀδελφοῦ αρχὴν.

<sup>2</sup>) შესაძლებელია ეს ის ათანასი იყოს, რომელიც 535 – 6 წელს, თანახმად პროკოპის მოთხრობისა (BG. V. 6,26) იუსტინიანემ ელჩად გაგზავნა იტალიის მეფესთან, გუთ თევდატესთან, და რომელიც 539 – 540 წ. იყო Praefectus praetorio Italiae (BG VI, 22,24; Hartmann: RE II, 1938). – <sup>3</sup>) ე. ი. სენატისა.

λαθραιότατα και φυγή την σω-  
τηρίαν καρπώσασθαι πειρωμένω,  
ἀλλ' ἐκείνω γε τῷ Ἰωάννῃ ἐπι-  
τοῖσδε παρεομένω ὑπαντιάζει  
οὕτω παρασχὸν ὁ Μετρίανός<sup>1</sup>, εἰς  
δὲ γε ἦν οὗτος τῶν ἀμφὶ τὰ βα-  
σιλεια δορυφόρων, οἷς δὲ σκρί-  
βωνας ὀνομάζουσιν· ἔσταλτο δὲ  
αὐτόσε τοῦτου δὲ ἔνεκα, ἐφ' ᾧ  
ἐξυπερετήσασθαι τε τῷ Ἀθανά-  
σιῳ και ἄττα ἂν ὑπ' ἐκείνου κρι-  
θείη, τόνδε ταῦτα ἐπιτελέσαι·  
ξυλλαβὼν δὲ οὖν ὁ Μετρίανός  
τόν Ἰωάννην παρὰ τὸν δικιτητὴν  
ἀπεκόμισεν. ὁ δὲ και τοῦτον ἐς  
Ἀφαροῦντα ἐξέπεμψεν, ἐν εἰρ-  
κτῇ τε και ποδοκάκῃ μενοῦν-  
τα, ἕως ὃ ἐν πρῶσιν ἀγῶν διανυσ-  
θείη.

დაემწყვდიათ სატუსალოში, ვიდრე დაწყებული გამოძიება დამთავრდე-  
ბოდა.

Ἄμα γὰρ τῷ ἡρι ἀρξασμένω  
παρῆν ὁ Ναχοραγᾶν ἐς Μου-  
χείρισιν, και αὐτίκα τὰ τε στρα-  
τεύματα ἡθροίζε και πλείστη ὄση  
χρώμενος προθύμιχ τὰ ἐς τὸν  
πόλεμον ἐξηρτύετο. τοιγάρτοι και  
οἱ Ῥωμαῖοι ἀμφὶ τὴν Νῆσον  
ἀχειρόμενοι παρεσκευάζοντο, και  
τὰ τῆς κρίσεως εἰκότως ἀνεκόπ-  
τετο. τί γὰρ ἂν αὐτοῖς ἐν τῷ

რუსტიკე და იქაურ სატუსალოში  
დაამწყვდევინა; იოანე კი, რომელ-  
მაც მეფე მოატყუა და რომელმაც  
საკუთარი ხელით ჩაიძინა ის მკვლე-  
ლობა, ჩუმად გაქცეულიყო მაშინ  
და ცდილობდა გაქცევით გადაერ-  
ჩინა თავი; და, აი, ამ იოანეს, რო-  
მელიც ამ მიზნით სადღაც მიდიოდა,  
მოხდა ისე რომ მეტრიანე წააწყდა  
გზაში (ეს მეტრიანე ერთი იმ სამე-  
ფო მეშუბეთაგანი იყო, რომელთაც  
სკრიბონებს<sup>2</sup> ეძახიან; ის იმ მიზნით  
იყო გაგზავნილი, რომ მომსახუ-  
რეობა გაეწია ათანასისთვის და  
შეესრულებინა ყველაფერი, რასაც  
ის უბრძანებდა). მეტრიანემ შეიპყ-  
რო იოანე და მსაჯულს მიჰგვარა.  
მსაჯულმა ისიც აფსარუნტში გააგ-  
ზავნა, რომ ბორკილებგაყრილი

III 15. გაზაფხული რომ დადგა, ნა-  
ხორაგანი მოვიდა მუხირისში, მაშინ-  
ვე შეკრიბა ჯარები და, რაც შეიძ-  
ლებოდა, მეტი გულმოდგინეობით  
შეუდგა მათ მომზადებას ომისათ-  
ვის. ამიტომ, რომაელებიც, რომ-  
ლებიც ნესოსის გარშემო იყვნენ  
მოგროვილნი, სამზადისს შეუდგენ  
და, ცხადია, სასამართლოს საქმე  
გადაიდო. განა ისეთ პირობებში

<sup>1</sup>) Μετρίανος R, Μεστριανος *vulg.*

<sup>2</sup>) Σκριβανες ეწოდებოდათ მეფის მცველებს ბიზანტიურ პერიოდში. რო-  
გორც აგათიას ტექსტში ათანასის გააყოლეს სკრიბონი მეტრიანე, ისე მავრიკი  
კეისრის დროს, 583 წელს, ავარებთან ელჩად გაგზავნილ ელპიდის გააყოლეს  
კომენტოლე, გამოჩენილი მეფის-მცველი, რომელსაც რომაელები (ე. ი. ბიზან-  
ტიელები) სკრიბონს ეძახიან ლათინური ენით» (αὐδρα τῶν σωματοφυλακῶν  
τοῦ βασιλεῶς ὑπερφερομενον, ἠὸν σκριβῶνα τῆι Λατινιδι φωνῆι Ῥωμαῖοι κατονο-  
μαζουσιν: Theoph. Sim. I, 4, 7)

τότε παρουργιαίτερον κατεφάνη τῆς  
περὶ τὸν πόλεμον εὐκοσμίαις;

Ἦδη δὲ καὶ ὁ Τζάμης ἅμα Σω-  
τηρὶς τῶν στρατηγῶν ἐκ Βυζαν-  
τίου ἀφίκετο, τὴν τε πατριᾶν<sup>1</sup> ἀρ-  
χήν καὶ τὰ ταύτης πράγματα πρὸς  
τοὺς βασιλέως Ῥωμαίων, ἡπερ ἐκ  
παλαιῶν νενόμισται, δεδευγμένως.  
εἰσὶ δὲ γε ταῦτα στέφανος χρυσοῦς  
λιθοκόλλιτος καὶ χιτῶνιον ποδήρες  
ὑπόχρυσον πέδιλά τε κικκοβαφῆ  
καὶ μίτρα ἰμοίως χρυσῶν τε καὶ  
λίθοις πεποικιλμένη, χλαμύδα δὲ  
ἀλευργῆ τοῖς βασιλεῦσι τῶν Δα-  
ξῶν οὐ θέμις ἀμπίσχεσθαι, λε-  
κὴν δὲ μόνον· οὐ μέντοι παντά-  
πασί γε κοινὴν εἶπω καὶ εἰθις-  
μένην; ἀμφὶ γὰρ τὸ μεσαιτάτον

მათ შეიძლება დაჰქონდათ იმაზე უფრო საშური საქმე, ვიდრე ომი-სათვის ზრუნვა?

წათეც დაბრუნდა ბიზანტიონი-დან სტრატეგოს სოტერიქესთან ერთად; რომელთა მეფისაგან მიეღო მას, როგორც ეს ძველითგანვე დაწესებული იყო, მამა-პაპის სახელო და საამისო (სამეფო) ნიშნები. ეს ნიშნებია: ოქროს გვირგვინი, თვალმარგალიტით შემკული; კოჭებამდე გრძელი ქიტონი, ოქრომკედით მოქარგული; მიტრა, აგრეთვე ოქროთი და თვლებით შემკული, და წითელი წაღები<sup>2</sup>. მოწეული ქლამიდის ტარების ნება კი არ ჰქონდათ ლაზთა მეფეებს, მხოლოდ თეთრისა შეეძლოთ; არც სრულიად საყოველთაოა ის და ჩვეულებრივი, შუა-

<sup>1</sup>) πατριου R და აშიაზე უმატებს ἀδελφου ე. ი. «მამის ძმისა»-ო. იხ. ზემოთ, გვ. 82, შენ. 1

<sup>2</sup>) ანალოგიურად აღწერს სამეფო ტანისამოსსა და სამკაულს იოანე მალალა თავის „ქრონოგრაფიაში“, როდესაც ის 522 წლის თარიღით გადმოგვცემს ლაზთა უფლისწულის წათეს ჩასვლას კონსტანტინეპოლში, იუსტინე მეფესთან, სამეფო გვირგვინის მისაღებად. წათე წავიდა თავის საკუთარ ქვეყანაში – სწერს მ ა ლ ა ლ ა – და გვირგვინებული რომაელთა მეფის იუსტინეს მიერ; მას ემოსა რომაული სამეფო გვირგვინი და თეთრი წმინდა აბრეშუმის ქლამიდი, რომელსაც მოწეული ზოლის ნაცვლად ჰქონდა ოქროს სამეფო ზოლი, სადაც შუაში სურათი იყო თვით იუსტინე მეფის გამოსახულებით; აგრეთვე თეთრი სტიქარი – პარაგავდი, ამასაც ჰქონდა სამეფო ოქრომკედები, იმნიარადვე თვით მეფის გამოხატულებით; წაღები (τα ζαγγυια), რომელთაც ატარებდა, თავისი საკუთარი ქვეყნიდან ჩამოეტანა და მარგალიტებით იყო შემკული სპარსულ ყაიდაზე. ამგვარადვე მისი სარტყელიც მარგალიტებით იყო შემკული» (Ioannis Malalae Chronographia ex rec. L. D i n d o r f i i, Bonnæ 1831, p.413. თვით ბერძნული ტექსტი იხ. ქვევით, იოანე მალალას ქრონოგრაფიდან ამოღებულ ნაწყვეტთა შემცველ ნაწილში). ეს აღწერილობა თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებული აქვს Chronicon Paschale-ს ავტორს (rec. L. D i n d o r f i u s, I 613) და ზოგიერთის განსხვავებით მოყვანილია თეოფანეს „ქრონოგრაფიაში“ (rec. C a r o l u s de B o o r, vol. I, 168 – 169). ეს აღწერილობანი, იხ. ჩვენი გეორგიკა IV, აღნიშნული ავტორების ნაწყვეტებში.

ἐκείνη χρυσῶν ὑφάσματι ἑκατέ-  
ρωθεν καταλάμπεται. βασιλικὸν δὲ  
καὶ τὸ ἑμπερόνημα τῆς γλαμύδος  
λίθοις τε ἐκκρεμέσι καὶ τῇ ἄλλῃ  
κατασκευῇ [διαπρέπον]. ἐπιβάντα  
βησὺν τὸν Ἰζάθην τῆς ὑπηκόου καὶ  
τῆ βασιλείῃ στολῇ κεκοσμημένον,  
αὐτίκα οἱ τε στρατηγοὶ καὶ ἅπας  
ὁ τῶν Ῥωμαίων στρατὸς δεξιού-  
μενοί τε καὶ τὰ εἰκότα γεραίρον-  
τες προσήουσιντο, ἐξωπλισμένοι ὡς  
εὐπρεπέστατα, καὶ ἐπὶ τῶν ἵππων  
οἱ πλεῖστοι ὀχούμενοι. οἱ δὲ Λα-  
ζοὶ ἕς τὸ χεῖρον μεταβαλόντες,  
καὶ μόλις ἀποπαυσάμενοι τῆς  
ἀνίας, στοιχιζόν οἱ παρωμάρτσον,  
σάλπιγγές τε πανταχόθεν ἐπήχυσαν  
καὶ τὰ σημεῖα ἕς ὕψος ἐπήρτο.  
καὶ ἦν ἡ πομπὴ φαιδρὰ τε ἐπιει-  
κῶς καὶ γαυροτάτη καὶ πλέ.ν ἦ  
κατὰ τὴν Λαζῶν βασιλείαν ἐξω-  
γκωμένῃ. Ἰζάθης μὲν οὖν ἕς τὴν  
ἀρχὴν ἀτάκτως ἔταπτεν ἑκαστα  
τὸ λοιπὸν καὶ διεκρόσμη τὸ ἐμόφυ-  
λον, ὡς αὐτῷ τε ἦν βουλαμένῳ καὶ  
ὁ πάτριος ὑπηγόρευεν τρόπος  
(HGM II, 261—264, 9).

ში ორივე მხრით ოქროს ქსოვილით არის ალაპლაპებული. მეფურია ქლამიდის აბზინდიც, თავისი აკინძული თვლებითა და სხვა მორთულობით. და როდესაც წათემ, სამეფო სამოსელში გამოწყობილმა, ფეხი შემოდგა თავის ქვეყანაში, მას მიესალმნენ სტრატეგოსები და რომაელთა მთელი ჯარი და სათანადო პატივით წინ წამოუძღვენ, საუკეთესოდ შეიარაღებულნი და მეტწილად ცხენებზე მჯდომარენი. ლაზები კი გახარებულნი იმით, რომ როგორც იქნა გადარჩენ უბედურებას, მიაცილებდენ მას ჩამწკვრივებულნი: ყოველგნით საყვირების ხმა ისმოდა და დროშები იყო მაღლა აფრიალებული. ზეიმი იყო მეტად ბრწყინვალე და აღზევებული და უფრო მეტად გაზვიადებული, ვიდრე ეს ლაზთა სამეფოს შეეფერებოდა. ამრიგად, წათე ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უვლიდა თვისტომთ, როგორც მას სურდა და როგორც მას მამა-პაპური წესი უკარნახებდა.

**მისიმიანთა აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ 555 წელს.**

Σωτήριχος δὲ ὁ στρατηγὸς ἀντί-  
κα εἶχετο τῆς πορείας, ἐφ' ἣπερ  
καὶ ἔσταλτο. χρυσίον γὰρ ἐκ βα-  
σιλείας ἐκόμιζεν, ἐφ' ᾧ τ.ἰς πρα-  
σίκοις βαρβάρους κατὰ τὸ ξυμ-  
μαχικὸν διανέμοι, εἰθισμένον γέ-  
τοῦτο ἐκ πλείστου καὶ πν' ἔτος  
γιγνόμεν.ν. εἶποντο δὲ αὐτῷ καὶ  
τῶν παίδων οἱ πρεσβύτεροι, Φι-

ხოლო სტრატეგოსი სოტერიქე მაშინვე გაუდგა თავის გზას და წავიდა იქ, სადაც ის იყო გამოგზავნილი. მას მეფისაგან ფული ჰქონდა წამოღებული, რომელიც მეზობელ მოკავშირე ბარბაროსთათვის უნდა დაერეგებინა; ასე იყო იმთავითვე დაწესებული და ყოველწლიურად ურიგდებოდათ ფული. მას თან წა-

λαγριός τε και Ῥωμύλος, ὡς ἂν  
 εὐθύς ἀφ' ἐστίας μόχθειν ἐν  
 θεόντι παιδευθεῖεν, ἐπεὶ και ἐξ  
 ἡβης μέτρον ἦδη ἄμφω ἐλγλυ-  
 θέτην και ἡστην οἷω διαπονεῖσ-  
 θαι. ὁ γὰρ δὴ τρίτος αὐτῶν Εὐσ-  
 τράτιος ἐν Βυζαντίῳ ἐλέλειπτο,  
 νέος γε ὢν ἔτι κομιδῇ και ἄλλως  
 τό σῶμα οὐ ῥωμαλέος. ὡς δὲ ἐξ  
 τῆν τῶν καλουμένων Μισιμιανῶν  
 χώραν ὁ Σωτήριχος ἀφίκετο, οἱ  
 δὴ κατήκοι μὲν τοῦ βασιλέως  
 τῶν Κόλχων τυγχάνουσιν ὄντες  
 καθάπου και οἱ Ἀψίλιοι, γλῶτ-  
 τη δὲ θῆμας χρῶνται ἀποκεκριμέ-  
 νη και νόμοις ἑτέροις. εἰσι δὲ  
 τοῦτου δὴ τοῦ Ἀψιλίων γένους  
 βορειότεροι και τετραμμένοι ἡρέ-  
 μα ἐξ ἡλίον ἀνιόντα. ἐπειδὴ οὖν  
 ἐξ τούσδε παραγέγενεν, ἔγνωιὰ τις  
 αὐτούς ἐσῆλθεν ὡς ἄρα ἐν τι τῶν  
 σφετέρων φρουρίων ἄμφ' αὐτὰ δὴ  
 τὰ Λαζῶν θρία ἰδρυμένον, ὃ δὴ  
 Βούχλοον<sup>1</sup> ὀνομάζουσιν, τοῦτα δὲ

მოყვანა ორი უფროსი ვაჟი, ფი-  
 ლაგრი და რომულე, რათა ისინი  
 აქედანვე შეჩვეოდენ შრომას: ორი-  
 ვენი უკვე დაჭაბუკებულიყვნენ და  
 შეეძლოთ შრომის ატანა. მესამე  
 ვაჟი კი, ევსტრადი, ბიზანტიონში  
 დარჩენილიყო: ის ჯერ კიდევ საკ-  
 მად ახალგაზრდაც იყო და სხეუ-  
 ლიც მომაგრებული არ ჰქონდა.  
 სოტერიქე ჩავიდა ეგრეთწოდებულ  
 მისიმიანთა ქვეყანაში, რომლებიც  
 კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არი-  
 ან მსგავსად აფსილებისა, ხოლო  
 განსხვავებულ ენაზე ლაპარაკო-  
 ბენ და სხვა კანონებსაც მისდევენ;  
 ისინი ამ აფსილთა ტომზე უფრო  
 ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ  
 აღმოსავლეთისაკენ. და, აი, როდე-  
 საც სოტერიქე მათ ქვეყანაში მი-  
 ვიდა, იმათ რატომღაც იფიქრეს,  
 თითქოს ერთი მათი ციხე, ზედ ლა-  
 ზეთის საზღვრებზე აღმართული,  
 რომელსაც ბუქლოოსი<sup>2</sup> ერქვა, ალა-  
 ნებისათვის სურდა გადაეცა სოტე-

<sup>1</sup>) Βουχλοος R. ამით, ალბათ, იმის აღნიშვნა სურდა აექსონს, რომ დასაწყისი ფორმა Βουχλοος არისო. ტექსტში, რა თქმა უნდა, დარჩება აკუზატივის ფორმა Βουχλοον.

<sup>2</sup>) აგათიას მოწმობით „ბ უ ქ ლ ო ო ს ი“ მდებარეობდა ლაზეთისა და ალა-  
 ნეთის საზღვარზე, მისიმიანთა მიწაწყალში. ასეთ განსაზღვრას ეთანხმება ყველა  
 ის ცნობა, რომელიც მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებასთან დაკავშირებით იხსე-  
 ნიებს ამ გეოგრაფიულ პუნქტს. ქართული „ცხორების“ მიხედვით მაქსიმეს მო-  
 წაფე ანასტასი, რომელიც მასთან ერთად 662 წ. იქმნა გადასახლებული ლაზეთში,  
 «შეაყენეს ციხესა სახელით ბ უ კ ე ლ ე ს» (v. I. ბოკელეს, იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე,  
 კიმენი I, 94). ბერძნულ „ცხორებაში“ იმავე პუნქტს ეწოდება Βουχλοოს, ხოლო  
 ანასტასი ბიბლიოთეკარის 665 – 666 წ. დაწერილსა და ჩვენამდე ლა-  
 თინურად მოღწეულ წერილში ვკითხულობთ: castrum regionis Misiminae,  
 cuius nomen Buculus est, iam in confinibus Alanorum situm, quod Alani  
 nunc captum retinere noscuntur (ed. Sirmond, III 376, M I g n e, PG 90,174).  
 – სხვაგან ამ სახელწოდების მატარებელი პუნქტი არსად იხსენიება; თვით ქარ-  
 თული სახელწოდება „ბუკელე“, როგორც ჩანს, ბერძნულიდან მომდინარეობს. სა-

ὄγε βούλοιο τοῖς Ἀλανοῖς κατα-  
 προέσθαι, ὡς ἂν οἱ τῶν ἔθνῶν  
 πρέσβεις τῶν ἀπωτέρω οἰκούντων  
 αὐτοῦ ἀχειρόμενοι τὸν μισθὸν απο-  
 φέροιτο, καὶ μηκέτι ἀνάγκη τις  
 εἶη τῷ τὰ χρήματα παρεχομένῳ  
 τὰς τοῦ Καυκάσου περιουστειν  
 ὑπωρείας καὶ αὐτὸν ἐπ' ἐκείνους  
 ἰέναι.

Ταῦτα δὴ οἱ Μισιμιανοὶ εἰτε  
 γνόντες εἶτε καὶ ὑποτοπ,σαντες,  
 στέλλουσιν ἄνδρας δύο τῶν παρὰ  
 σφίσι λογίμων, Χάδον ὄνομα καὶ  
 Θυάνην. οἱ δὲ εὐρόντες αὐτὸν  
 ἀγγεῖον τοῦ ἐκείνου δὴ τοῦ ἐρύ-  
 ματος ἀνλιζόμενον, καὶ πλέον ἐς  
 τὴν δόκησιν ἐπιρρωσθέντες, „ἀλλ'  
 οὐ δίκαια δράσειν ἡμᾶς“ ἔφα-  
 σαν „ὦ στρατηγέ, διενσήθης· /χρή-  
 γάρ σε μηδὲ ἄλλῳ τῷ ἐπιέναι τὰ  
 ἡμέτερα παραιρουμένῳ, μήτι γε  
 καὶ αὐτὸν οὕτως ἐθέλεις. εἰ δὲ  
 σε ὡς ἀληθῶς μὴ ταῦτα ἀρέσκει,  
 ἄγε θπῶς ἐνθίνδε ὡς τάχιστα  
 μεταβάς ἐν ἑτέρῳ ἀποδιατρίψεις  
 χωρίῳ, καὶ σε τὰ ἐπιτήδεια ἤκισ-  
 τα ἐπιλείψουσιν, ἀλλ' ἡμεῖς ἅπαν-  
 τα οἴσμεν. ἐνταῦθα γάρ σοι οὐ  
 μενετέα παντάπασιν, εὐδὲ ἀνεξό-  
 μεθα σου μέλλοντος ἐς τόδε καὶ

რიქეს, რათა გადაღმა მცხოვრებ  
 ტომთა ელჩები იქ შეკრებილიყვნენ  
 ხოლმე და საფასური მიეღოთ; ფუ-  
 ლის მომტანისათვის უკვე აღარ  
 იქნებოდა აუცილებელი კავკასიის  
 კალთების შემოვლა და ამ ტომებ-  
 თან მისვლა.

III 16. მისიმიანებმა რომ ეს  
 გაიგეს თუ გაიფიქრეს, მიუგზავნეს  
 ორი, მათ შორის წარჩინებული,  
 კაცი, სახელად ხადე და თიანე.  
 იმათ ნახეს ის სიმაგრის მახლობ-  
 ლად დაბანაკებული, რამაც უფრო  
 გაუძლიერა მათ ეჭვები, და უთხრეს  
 მას: „უსამართლობის მოყენება გან-  
 გიზრახავს ჩვენთვის, სტრატეგოსო.  
 არც სხვას უნდა მისცე ნება ჩვენი  
 ქონება წაგვართვას, არც თვითონ  
 უნდა მოინდომო ამის ჩადენა. თუ ეს  
 შენ მართლა არ გიდევს გულში, საჩ-  
 ქაროდ გადაბარგდი აქიდან, სხვა  
 ადგილას მოთავსდი და შენ იქ  
 სურსათი არ მოგაკლდება; ჩვენ მო-  
 გიტანთ ყველაფერს. აქ კი შენ  
 არავითარ შემთხვევაში არ უნდა  
 დარჩე; ჩვენ ვერ შევიწყნარებთ,  
 რომ შენ აქ დააყოვნო და დაიცა-  
 დო“. იმათ რომ ასეთი უკმეხი სიტ-

საკუთარი სახელების გადმოცემის წესთა მიხედვით მისი ბერძნული შესატყვისი იქ-  
 ნებოდა Βουκελος, resp. \* Βουκολος (შდ. ლათ. Buculus) ჩვენ ვფიქრობთ, რომ  
 აგათიას მიერ მოყვანილი ფორმა Βουχλοος უფრო სწორია, ხოლო VII საუკუნე-  
 ში ბერძნებმა ეს სახელწოდება საკუთარ სიტყვას Βουκολος („მწყემსი“) მიამსგავსეს,  
 (შდ. К. К е к е л и д з е, Сведения грузинских источников о пр. Максиме  
 Исповедника, Киев 1912, გვ. 28; T o m a s c h e k: RE III, 985, უკანას-  
 კნელის აზრით „ბუქლოოსი“ უნდა მდებარეობდეს წებელდაში, მდ. კოდორის სა-  
 თავებთან).

σκηπτομένου“. οὕτω δὲ αὐτῶν  
 ἀνθαδιζομένων, οὐκ ἀνεκτὰ ἡγή-  
 σάμενος ὁ Σωτήριχος, εἰ τοῖς τῶν  
 Κόλχων κατηκόοις ἐξείη, κατὰ  
 Ῥωμαίων θρασύνεσθαι τῶν ὑφ'  
 οὗς οἱ Κόλχοι τετάχαται, παρα-  
 κεύεται τοῖς ὀπαδοῖς παῖειν αὐ-  
 τοὺς αἰς ἐπεφέροντο βακτηρίαις.  
 οἱ δὲ καθίζοντο αὐτῶν ἀφειδῶς,  
 καὶ ἐξ τοῦπίσω ἡμιθνήτας ἀπέ-  
 πεμφαν. τούτου δὲ γεγενημένου,  
 Σωτήριχος μὲν ᾤετο μηδὲν ἀν-  
 τίπαλον ἔσεσθαι, ἀλλ' ὥσπερ  
 ἀμέλει οἰκέτας οἰκείους ἡμαρτη-  
 κότητας διαχειρισάμενος, καὶ οὐδὲν  
 ὅτιοῦν ἐνλαβητέον αὐτῷ, ἔμενέ τε  
 κατὰ χώραν, καὶ εἶτα νυκτὸς  
 ἐπιγενομένης ἐκάθηδε σφόδρα  
 ἀδεῶς καὶ ἀφυλάκτως· οὕτω δὲ  
 οἱ τε παῖδες καὶ οἱ δευτέρου  
 καὶ ἑπὶ ἄλλο αὐτῷ φητικὸν  
 εἶπετο ἢ καὶ δεῦλον ἐκμελέστερον  
 καὶ οὗτοι ἅπαντες ἢ ὡς ἐν πελε-  
 μίων<sup>1</sup> κατεσκηνημένοι ἀνεπάσον-  
 το. ἐν τούτῳ δὲ οἱ Μιτιμιανοί,  
 τὴν ὑβρίν οὐκ ἐνεγκόντες, ἐπιφοι-  
 τῶσιν αὐτοῖς καρτερώτατα ἐξωπι-  
 λισμένοι, καὶ αὐτίκα ἐπὶ τὸ δωμά-  
 τιον χωρήσαντες, οὐδὲ ὁ στρατη-  
 γὸς ἀνεκέκλιτο, κατακτείνουσι  
 προτέρους τοὺς παρέυναστῆρας τῶν  
 φεράπόντων. φουρβύου δέ, ὥσπερ  
 εἰκόδες, καὶ πατάγου πολλοὺς κινή-  
 θέντος, ξυναίσθησις μὲν τοῦ κα-  
 κοῦ αὐτῷ τε Σωτηρίχῳ καὶ τοῖς  
 ἀμφ' αὐτὸν ἅπασιν ἐγίγνετο· καὶ

ყვები წარმოთქვეს, სოტერიქემ  
 შეუწყნარებლად მიიჩნია, რომ კოლ-  
 ხების ქვეშევრდომთ უფლება ჰქო-  
 ნოდათ ასე თავხედურად მოჰყო-  
 ბოდენ რომაელებს, რომელთაც  
 კოლხები ემორჩილებიან, და თავის  
 მხლებლებს უბრძანა ეცემათ ისინი  
 ჯოხებით, რომლებსაც ეს მხლებლები  
 თან ატარებდენ. იმათაც უწყალოდ  
 სცემეს მისიმიანებს და ცოცხალ-  
 მკვდარნი გაისტუმრეს შინისაკენ.  
 ეს რომ მოხდა, სოტერიქე არ ფიქ-  
 რობდა, რომ ამის გამო შეიძლე-  
 ბოდა რამე სამტრო დატრიალებუ-  
 ლიყო; ის ფიქრობდა, რომ თუ თავის  
 მონებს მათ მიერ ჩადენილი  
 ცოდვების გამო დასჯიდა, ამას  
 მისთვის საშიში არაფერი მოჰყვე-  
 ბოდა, და ამიტომ დარჩა ამ ქვეყა-  
 ნაში და, რომ დაღამდა, სრულიად  
 უდარდელად, ისე რომ მცველებიც  
 არ დაუყენებია, დაიძინა. ასევე  
 დაიძინეს მისმა შვილებმა, მეშუ-  
 ბეებმა და, რაც კი თან მოსამსახუ-  
 რეები და მონები ახლდენ, ამათაც  
 ყველამ მოისვენეს უფრო უდარდე-  
 ლად, ვიდრე ეს მტრის ქვეყანაში  
 დაბანაკებულთ შეეფერებოდა. ამ  
 დროს მისიმიანები, რომლებიც მი-  
 ყენებულ შეურაცხყოფას ვერ ითმენ-  
 დენ, ძალზე მეტად შეიარაღდენ და  
 თავს დაესხნენ მათ; უმაღვე შეიჭრენ  
 იმ ბინაში, სადაც სტრატეგოსი  
 იწვა, და ამოჟლიტეს ის მსახურნი,  
 რომელნიც ყველაზე უფრო ახლოს  
 იწვნენ სტრატეგოსთან. დიდი ხმაუ-

<sup>1</sup>) εν πολεμιων R, εν πολεμιαι uulg.



τοίνυν ὑπὸ δέουσ; ἐκ τῶν εὐνῶν ἀνεπάλλοντο, ἔτι δὲ τῇ ὑπὸν καρρηβαροῦντες; καὶ παρεϊμέναι ἀμύνεσθαι αὐτοῖς οὐτι μάλα παρῆν. οἱ μὲν γὰρ ταῖς σισύραις<sup>1</sup> τῷ πόδε περιελιττόμενοι εἴργοντο τῆς πειρείας, οἱ δὲ καὶ ἡδη ἐπὶ τὰ ξίφη ἑρμήσαντες καὶ σχεδιάζειν πειρώμενοι τὰ πολέμια ἀλύκντες ἦσαν οἰκτρότατα οἶα ἐν σκῆπτῳ καὶ ἀπορίᾳ, ἕξ τε τοῖς τοίχοις περιρρηγνύμενοι καὶ ὅπη ἐτόγγανον κείμενα τὰ ὄπλα ἐπιλεησμένοι· ἔνιοι δὲ αὐτῶν καὶ τῷ ἡδη ξυνηληφθαι ἀπειρηκότες, οὐδὲν ὅτι ἐμηχανῶντο, ἐβδῶν τε μόνον ἄλλος ἄλλοθι καὶ ὠλοφύροντο, οὐκ ἔχοντες ὅ τι καὶ δρᾶσαιεν. οὕτω δὲ αὐτῶν καταπεπληγμένων, ἐπεισπεσόντες οἱ βάρβαροι αὐτῶν τε Σωτήριχον κατακτείνουσι καὶ τοὺς παῖδας; καὶ πρός γε ξύμπαντας τοὺς ἄλλους, πλὴν εἰ μὴ τις ἔκ τινος τυχὸν ἀλύμενος ὀρσοθύρας<sup>2</sup> ἢ καὶ ἑτέρῳ ὑπὸν ὄν τρόπῳ λαθῶν διεσώθη. ταῦτα δὲ δρᾶσαντες οἱ ἀλιτῆρισι ἐσκύλευσαν τοὺς κειμένους, τὰ τε ἄλλα ὅποσα ἐπήγοντο κτήματα, καὶ πρός γε τὸ βασιλέως ἀφελόμενοι χρυσόν, καθάπερ τινὰς πολέμιους, ὡς ἀληθῶς, ἀλλ' οὐχι

რობა და, როგორც მოსალოდნელი იყო, აურზაური რომ ატყდა, სოტერიქემაც და ყველა მასთან მყოფმა იგრძნეს მოსალოდნელი უბედურება: შეშინებულნი წამოდგენ საწოლებიდან და, რადგან ძილისაგან გაბრუებულნი და მოთენთილნი იყვნენ, ვერ შესძლეს, რასაკვირველია, თავის დაცვა. ერთნი, რომელთაც ფეხებზე ქურქები<sup>1</sup> ჰქონდათ შემოხვეული, გზაში ბრკოლდებოდნენ; სხვები კიდეც, მართალია, თავიანთ მახვილებს ეცნენ და ცდილობდნენ შეენელებინათ მტრის მოქმედება, მაგრამ საცოდავად დაეცეცებოდნენ, თითქოს უკუნეთივით ბნელში ყოფილიყვნენ და გამოსავალი ვერ ეპოვათ, კედლებს ეხეთქებოდნენ და არ ახსოვდათ, სად ჰქონდათ იარაღი დაწყობილი. ზოგიერთები კიდეც, სასომიხდილნი იმის შეგნების გამო, რომ უკვე შეპყრობილნი იყვნენ, აღარაფერს სცდილობდნენ, მხოლოდ ერთი-მეორეს, უყვიროდნენ და მოსთქვამდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ. ისინი რომ ასე თავზარდაცემულნი იყვნენ, ბარბაროსები შეიჭრნენ მათთან, მოკლეს თვითონ სოტერიქე, მისი შვილები და ყველა დანარჩენებიც, იმათ გარდა, რომელნიც შემთხვევით უკანა კარებიდან გადახტენ ან რომელთაც

<sup>1</sup>) სისურაის *R*, სოკორაის *vulg*. Σισურაαν (სისურა) ბერძენთა ცნობებით, ეწოდებოდა სქელ ბეწვიან ტანისამოსს, ქურქს, რომელსაც სკვითური ტომები ატარებდნენ. გვიან ხანებში მას ხმარობდნენ აგრეთვე ბერძენი მწყემსები და სხვებიც. „სისირას“ ხმარობდნენ საბერძნეთში აგრეთვე საზნადაც (იხ. *RE* III A. 376).

<sup>2</sup>) ორსოთურის *R*, ორსოთურას *vulg*.

φίλους τε καὶ ἡγεμόνας ἀπεκ-  
τονώτες (HGM II, 264, 9—266).

ბოროტმომქმედებმა, მოკლულებს საჭურველი ჩამოხსნეს, გაიტაცეს, თუ რამ ქონება ჰქონდათ მათ, და აგრეთვე მეფისაგან გამოტანებულ ფულიც, და ისე გამოდიოდა, თითქოს იმათ დახოცეს ჭეშმარიტი მტრები და არა მეგობრები და წინამძღოლები.

### ნახორაგანის ლაშქრობა ლაზეთში 555 წელს არქეოპოლისის მახლობლად. საბირები და დილიმნიტები.

Ἐπει δὲ αὐτοῖς τὰ τῆς μαι-  
φονίας ἀπειργαστο, καὶ τὸ ἀνοι-  
δαῖνον τῶς τῆς γνώμης καὶ ὀρ-  
γιζόμενον τῷ ἀποπλησθῆναι τὴν  
ἐπιθυμίαν, ὑποχαλᾶν ἐδόκει καὶ  
περιστέλλεσθαι, τότε δὴ μόνον  
τὸ πραχθῆν ἐφ' αὐτῷ διασκοπεύ-  
τες ἀνελαγίζοντο καὶ ξυνέσαν  
ὁποῖος αὐτοῖς ἀνέριπτο<sup>1</sup> κύβος,  
ὅτι τε οὐκ ἐς μακρὰν ἤξουσιν οἱ  
Ῥωμαῖοι τιμωρησέμενοι, καὶ ὅτι  
αὐτοὺς ἐκαίνοι οὐχ ὑποστήσονται.  
τοιγάρτοι ἀναφανδὸν ἀποστάντες,  
πρᾶσεχώρουν τοῖς Πέρσαις, καὶ  
ἐπρεσβεύοντο, ὑποδέχεσθαι τε  
σφᾶς αἰτούμενοι καὶ ὡς δὴ κατη-  
κόεις τὸ λοιπὸν ἐπαρήγγειν. τού-  
των δὲ ἀπάντων τοῖς τῶν Ῥω-  
μαίων στρατηγῶσι ἀπηγγελέμενων,  
ἐχάλεπαινον μὲν οἷγε καὶ ἐδυσ-  
φόρου, τίσασθαι δὲ παραυτίκα  
τοὺς Μισιμιανούς οὐ μάλα ἡδύ-  
ναντό, πιεζόμενοι τῇ περὶ τῶν  
μείζονος ἀσχολίᾳ. ἤδη γὰρ ὁ  
Ναχυραγὰν ἐξήκοντά που χιλιά-  
δας μαχίμων ἀνδρῶν ἐπαγόμενος  
ἐπὶ τὴν Νῆσον ἐφύετα, Ἰνκ Μαρ-

III 17. როდესაც ამ ბოროტმოქმედების ამბავი მილაგდა, და მისიმიანებს შეუნელდათ შეურაცხყოფის გრძობა და გულმოსულობა და გულს მოეშვათ, მაშინ მხოლოდ ჩაუკვირდენ თავინთ ნამოქმედარს, კარგად დაუფიქრდენ და მიხვდენ, ჩვენი ზედი უკვე გადაწყვეტილია, სულ მოკლე ხანში რომაელები მოვლენ სამაგიეროს გადასახდელად და ჩვენ მათ ვერ გავუმკლავდებითო. ამიტომ ისინი აშკარად გადაუდგენ რომაელებს, სპარსელების მხარეზე გადავიდენ და ელჩები გაუგზავნეს თხოვნით, მიგვიღეთ და დაგვეხმარეთ ამიერიდან, როგორც თქვენს ქვეშევრდომებსო. როდესაც ყველაფერი ეს რომაელთა სტრატეგოსებმა შეიტყვეს, ისინი გაჯავრდენ და ძალიანაც დამწუხრდენ, მაგრამ მაშინვე მისიმიანებისთვის სამაგიეროს გადახდა არ შეეძლოთ, ვინაიდან უფრო რთულსა და მძიმე საქმიანობაში იყვნენ გართულნი. ნახორაგანს სამოცი ათასი მეომარი წამოესხა და მოდიოდა ნესოსის წინააღმდეგ, სადაც თავმოყრილი

<sup>1</sup>) ανεριπται R, ενεριππο *vulg.* ανεριππο Dind.

τινός τε και Ἰουστίνος<sup>1</sup> ὁ Γερμανοῦ και τὰ ἀμφ' αὐτοὺς στρατεύματα ἐτίγγανεν ξυνειλεγμένα· οἱ δὲ ἐκ τῶν Οὐννων μισθοφόροι, τῶν δὴ Σαβείρων ὀνομαζομένων, παρήσαν γὰρ τοῖς Ῥωμαίοις ὀπλιτῶν ἀπόμοιρα οὐ πολλῶ ἐλάττους τῶν διαχιλίων· ἤγοοντο δὲ αὐτῶν Βαλμάχ τε και Κούτιλζις και Πιγερ, ἄνδρες τῶν παρὰ σφίσι ὀνομαστοτάτων, οὗτοι δὴ οὐν οἱ Σάβειροι ἀμφὶ τὴν Ἀρχαϊόπολιν και τὰ ἐκείνη πεδία, προστεταγμένον αὐτοῖς ὑπὸ Μαρτίνου, ἐστρατοπεδεύσαντο, ἐφ' ᾧ τοὺς πολεμίους, ἐνθὲνδε γὰρ ἤμελλον διαβήσεσθαι, ὡς ἂν οἱοί τε εἶεν πηγαίνοντες χαλεπωτέραν αὐτοῖς και σφαλερωτέραν ποιήσονται τὴν πορείαν. ὁ δὲ Ναχοργάν, ἐπειδὴ ἐς τοῦτο τετάχθαι τοὺς Σαβείρους ἐπέπυστο, ἀπολεξάμενος ἐκ τῶν ξυστρατευομένων Διλιμνιτῶν ἄνδρας ἐς τρισχιλίους, αὐτίκα ἐπ' αὐτοὺς ἐστειλε, παρακελευσάμενος, ἦν γὰρ ἀλαξῶν και ὑψηγόρος ἄρδην ἄπαντας διατρεῖραι, ὡς ἂν μὴ οἱ ἰόντι ἐπὶ τὸν πόλεμον ὀπιθεῖν ἐκείνοι ἐφεδρεύοντες ὑπολειφθεῖεν·

Οἱ δὲ Διλιμνῖται, μέγιστον ἔθνος τῶν ἐντὸς Τίγρητος<sup>2</sup> ποταμοῦ τῆ Περσίδι χώρα προσοικούντων, μαχιμώτατοί τε εἰσιν ἐν τοῖς μάλιστα και ὁὐ λίαν τοξόται και ἐκχυβόλοι, ὥσπερ ἀμέλει οἱ πλει-

იყვნენ მარტინე და იუსტინე, გერმანეს ძე, და მათი ჯარები – საბირებად წოდებულ ჰუნებში დაქირავებული ჯარისკაცები (რომელებს ჰყავდათ ჰოპლიტთა რაზმები არა ნაკლებ ორი ათასი კაცისაგან შემდგარი; მათ წინამძღოლობდნენ ბალმახი, კუტილზისი და ილიგერი, კაცი მათ შორის სახელოვანნი). ეს საბირები დაბანაკებული იყვნენ არქეოპოლისისა და იქაური დაბლობების მახლობლად, როგორც ეს მათ მარტინესაგან ჰქონდათ ნაბრძანები, იმ მიზნით, რომ რამდენადაც შესძლებდნენ, ვნება მიეყენებინათ მტრისათვის, რომელიც აქ აპირებდა გავლას, და სამძიმო და არასაიმედო გაეხადათ მტრისათვის მისი აქ გავლა. როდესაც ნახორაგანმა გაიგო, რომ საბირები ამ ადგილას იყვნენ დარაზმულნი გამოარჩია თავის თანამოლაშქრე დილიმნიტთაგან სამ ათას კაცამდე, მაშინვე გაზავნა ისინი საბირების წინააღმდეგ და მოუწოდა მათ (ის ხომ ტრაბახა და მკვებარა იყო) სრულიად გაენადგურებინათ ისინი, რათა ისინი ზურგში ჩასაფრებულნი არ დარჩენილიყვნენ, როდესაც ის საომრად წავიდოდა.

დილიმნიტები წარმოადგენენ იმათ შორის, ვინც მდინარე ტიგროსის იქით მოსახლეობენ სპარსეთის საზღვრებთან, უდიდეს ტომს და ძალიან მამაცი მეზობლნი არიან და არა მხოლოდ მემშვილ-

1) Ἰουστίνος R, Ἰουστινιανός *vulg.*

2) Πιγρητός R.

στοι τῶν Μήδων. ξυστούς τε γὰρ ἐπιφέρονται καὶ σαρίσας καὶ ξίφος ἐκκρεμές ἀπὸ τοῦ ὤμου, μαχαιρίδα τέ τινα ἐλαχίστην τῷ λαίῳ βραχί, νι ἀναδούμενοι ἀσπίδας καὶ πέλτας προβέβληνται φαίης τε ἂν αὐτούς, οὔτε παντάπασι ψιλούς οὔτε μὲν σὺν ὀπλίτας καὶ ἀγχεμάχους. πόρρωθὲν τε γὰρ οὐτῶ τυχὸν ἀκονίζουσι καὶ ἐκ χειρὸς αὐτῶν διαμάχονται, ἀγαθοὶ δὲ καὶ ξυρράξαι φάλαγγι πολεμῆαι καὶ ὠμοισμῷ χρώμενοι τὰς πικνῶσεις διαρρηγνύει, ἕξ τε τὸ μετατάξασθαι εὐπετεῖς καὶ ἀρμοσθῆναι τῷ προσπεσόντι. αὐτοὶ δὲ καὶ ἕξ τὰ προσάντη γέλωφα βᾶθῶς ἀναθρόντες προκαταλαμβάνουσι τὰ ὑπερβῆξια τῶν χωρίων, τρεπόμενοι τε ὠκίστατα διαφεύγουσι καὶ ἐπιόντες ἑτέροις ἐμμελέστατα ἕξ τὴν θῆξιν ἔγκεινται, καὶ σχεδὸν τι ἀπασαν ἰδέαν πολέμου μετιόντες καὶ ἐξήσκημένοι μέγιστα σίνονται τοῖς ἀντιπάλουσι· ὡς δὲ ἐπὶ πλείστον ξυμπολεμεῖν τοῖς Πέρσiais εἰώθησιν, οὐ μὴν ἡναγκασμένοι, ὥσπερ κατήκοοι. αὐτόνομοί τε γὰρ εἰσι καὶ ἐλεύθεροι καὶ ἄγεσθαι ὑπὸ τοῦ πρὸς βίας οὐ πεφυκότες.

დეგეს. მეტწილად ისინი სპარსელებთან ერთად ლაშქრობენ ხოლმე, მაგრამ იძულებით კი არა, როგორც ქვეშევრდომნი; ისინი თვითთავადნი არიან და თავისუფალნი და ძალადობას არავისგან არ მოითმენენ.

დეები და მტყორცნელები, როგორც თითქმის ყველა მიდიელები ისინი ხომ შუბებსა და სარისებს<sup>1</sup> ატარებენ და მხარზე მახვილი აქვთ ჩამოკიდებული; მარცხენა ხელზე პატარა ხანჯალს იბამენ და წინ ფარებსა და პელტებს იფარებენ, ისე რომ ვერც იმას იტყვი, რომ ისინი სრულიად მსუბუქად არიან შეიარაღებულნი, და ვერც იმას, რომ ისინი ჰოპლიტები არიან და ახლო საბრძოლველად გამზადებულნი. შორიდანაც – თუ შემთხვევა მოიტანს – ისვრიან ისრებს და ხელჩართულ ბრძოლაშიაც მიდიან, მტრის ფალანგსაც მარჯვედ ებგერებიან ხოლმე და ამ მგერებით მტკიცედ შეკრულ ფალანგს არღვევენ, მოხერხებულადაც შეცვლიან ხოლმე რაზმთა განწყობას და შექმნილ მდგომარეობას ეგუებიან. ისინი უცბად აირბენენ ხოლმე დაქანებულ ბორცვებზე, წინასწარ იკავებენ შემადლებულ ადგილებს და მარდად გამოძვრებიან უკან. კვლავ მიბრუნდებიან და მოხერხებულად აწვებიან სხვებს დადევნების დროს; ერთი სიტყვით, ყოველგვარ საომარ საქმეში გაჩვეულნი და გაწვრთნილნი არიან და დიდ ზიანს აყენებენ ხოლმე მოწინააღმ-

<sup>1</sup>) ს ა რ ი ს ა (σαρισι) ეწოდებოდა გრძელ შუბს რომელსაც ელინისტურ ეპოქაში ხმარობდენ ქვეითა ჯარში. მისი ხმარება შემოულდა ფილიპე II-ს მკვედონელთა ჯარში (იხ. RE I A, 2515 – 2530).

Τούτων δὴ οὖν τῶν Διλιμνι-  
των ὁ ἀποδασμὸς νυκτὸς ἐπελ-  
θούσης κατὰ τῶν Σαβείρων ἐχώ-  
ρουν, ἄμεινον εἶναι δοκίον ἔτι  
καθιένθουσιν αὐτοῖς ἐπιστηγαί,  
οὕτω τε ἅπαντας εὐκολώτερον<sup>1</sup>  
κατακτεῖναι· καί, οἶμαι, οὐκ ἂν  
δήμαρτον τῆς ἐλπίδος, εἰ μὴ τις  
αὐτοὺς ἔσφριγε τύχη. ἴόντες γὰρ  
δήπου ἐς τοῦτο, ἀνήρ τις αὐτοῖς  
Κόλχος ἐν σκότῳ καὶ ἐρημίᾳ ᾧδὲ  
πῶς ξυνερχθὲν ἵπαντιάζει· καὶ  
τὸν ἀσμενέστατα ξυλλαβόντες  
ἀναγκάζουσι τῆς ἐπὶ τοὺς Σαβεί-  
ρους ἡγεῖσθαι πορείας. ὁ δὲ  
προθυμότητα ἵποστὰς τὸ ἐπί-  
ταγμα, καὶ ἤδη προπορευόμενος,  
ἐπειδὴ νόπης τινὰς λασίας ἐκύ-  
ρησεν, ἠφιζάνει τε ἡρέμα καὶ  
ἵποδύεται· οὕτω τε διαδράς τοὺς  
ἐπομένους καὶ προτερήσας, ἦκε  
δρομαίως<sup>2</sup> παρὰ τοὺς Οὐνοὺς· ἐν-  
ρῶν δὲ ἅπαντας ἀνειμένως οὕτως  
ἀναπαυομένους καὶ ὑπορρέγοντας  
“ὦ θεῖλαι·“ ἔφη „αὐτίκα μάλα  
ἄπολεισθε“, τορβὸν τι ἐμβόησας  
καὶ διαπύσιον. οὕτω τε αὐτοὺς  
μόλις ἀνακαλεσάμενος ἐς ἑγρή-  
γορσιν ἀγγέλλει τῖς πλεμίους  
ἕσον ὀπίω παρεσμένους. οἱ δὲ ἔν-  
θουρῶν διαναστάντες καὶ τὰ ὄπλα  
περιβαλόμενοι, ἐκτὸς τ. ὁ χαρακώ-  
ματος ἀπεχώρουν καὶ ὑπεκρίπτον-  
το διχῆ μεμερισμένοι· κατέλιπον δὲ  
τῆν τε ἔσοδον ἀφύλακτον καὶ  
οὕτω κατὰ χώραν ἐστῶτας τοὺς

III 18. აი, ამ დილიმნიტების ერთი ნაწილი დადამებისას გაემართა საბირების წინააღმდეგ; იმათ ამჯობინეს მძინარეებს წასდგომოდენ ზედ და ამნაირად უფრო ადვილად ამოეჟლიტათ ისინი; ვფიქრობ, არც გაუცრუვდებოდათ ეს იმედი, რომ ერთ შემთხვევას არ შეეყვანა ისინი შეცდომაში. ისინი რომ განზრახული საქმის შესასრულებლად მიდიოდენ, მათ რაღაც შემთხვევით ერთი კოლხი შეხვდათ ბნელსა და უდაბურ ადგილას, მაშინვე სიხარულით ეცნენ მას და აიძულეს გზის მაჩვენებლად გაჰყოლოდა მათ საბირების წინააღმდეგ. იმნაც სიამოვნებით იკისრა ეს დავალება და წაუძღვა მათ, მაგრამ როგორც კი მიაღწია ხშირტყიან ადგილს, ნელნელა ჩამოშორდა და მიიმალა. ასე გაუსხლტა ის თავის თანამგზავრებს, დაწინაურდა და სირბილით მივიდა ჰუნებთან. რომ დაინახა, რომ ისინი ყველანი უდარდელად განისვენებდენ და ხვრინავდენ, შესძახა გულის მომწყლველი და შემზარავი ხმით: „საცოდავებო, საცაა ამოწყდებით.“ ძლივს რომ გამოაღვიძა ისინი ამ ხმით, აცნობა მათ, მტერი საცაა მოვაო. ისინიც აურზაურით წამოდგნენ, იარაღი აისხეს, გავიდენ სასიმაგრო თხრილს იქით და ჩასაფრდენ ორ ნაწილად გაყოფილნი. უმცველებოდ დასტოვეს ბანაში შესასვლელი გზა და აგრეთვე სოფლად არსებული ქო-

1) εὐκολώτερον *R*, εὐκολωτατα *vulg.*

2) δρομαίως *R*.

ἐκ τῶν ξύλων τε καὶ ἐφεστρίδων ἐσκευασμένους οἰκίσκους. οἱ δὲ Διλιμνῖται πλείστως μὲν ὄσας ἀτραπούς τῇ ἀπειρίᾳ τῶν τόπων ἀναμετρήσαντες, πλὴν ἀλλ' ἔτι ὑπὸ τὸ κλέφας ἔς τὸ τῶν Οὐν-νων στρατόπεδον ἀφιγμένοι ἐσβάλλουσι θαρραλέοι ἐπὶ κακῷ τῷ σφετέρῳ, καὶ εἰσω ἀπαντες γίγνονται· πάταγος δὲ οὐκ ἦν οὐδὲ βοή, ὡς ἂν μὴ ἐκείνοι ξυναίσθωιντο δῆθεν καὶ ἀφυπνισθεῖεν, ἀλλ' ἠρρημαῖοι τὰ δόρατα ἔς τε τὰς εὐνάς καὶ τὰς καλύβας ἠκόντιζον, ὡς τοὺς καιθευδοντας ἀναιροῦντες. ἦδη τε ὄνοντο ἅπαν αὐτοῖς ἡγύσθαι τὸ ἔργον, ἀλλὰ τότε οἱ Σάβειροι ἐκ τῆς ἐνέδρας ἐκατέρωθεν ὀρμηθέντες ἐπίπτουσιν αὐτοῖς ἐξ ἀπιναίως καὶ ἐπιφέρονται. οἱ δὲ ἀθρόον τῷ ἀπροσδοκῆτῳ καταπλαγέντες καὶ ἔς τᾶναντία τῶν ἐλπισθέντων περιηγμένοι διεπόρουν καὶ ἐταράττοντο· οὕτε γὰρ φεύγειν αὐτοὺς ῥᾶστα ἐν ἔλαχίστῳ χωρίῳ ξυνελημμένους οὕτε μὴν ἔς τὸ ἀκριβὲς τοὺς δυσμενεῖς διαγιγνώσκειν, οἷα ἐν νυκτομαχίᾳ καὶ φόβῳ. τοιγάρτοι χυδῆν ὑπὸ τῶν Σάβειρων ἐκτείνοντε, οὐδ' ὄσον ἔς πείραν ἐλθεῖν ἀμυρόμενοι. καὶ ὀκτακόσιοι μὲν ἄνδρες ἔνδον ἐν τῷ στρατοπέδῳ διεφθάρησαν, οἱ δὲ ἄλλοι μόλις ὑπεκβάντες ἠλῶντο σποράδην, οὐκ ἐπιστάμενοι ὅπως χωρήσαιεν· ἦδη τε πόρρω πῶς πεφευγῆναι ᾗσοῦντες αὐθις ἔς ταῦτόν ἀνεκυκλοῦν-

ხები, შეშებისა და ქურქებისაგან გაკეთებული. დილიმნიტებმა ბევრი იხეტიალეს, რადგან ამ ადგილებს არ იცნობდენ, მაგრამ გათენებისას მანც მიაღწიეს ჰუნუნების ბანაკს და გაბედულად შეიჭრენ შიგთავისდა საუბედუროდ; ყველანი შიგნით შევიდენ; არავითარი ხმაური, კრინტი ხმა, რათა საბირებს არ შეეტყვოთ და არ გაღვიძებოდათ და რათა მათი საწოლებისა და კარავებისათვის ჩუმიად დაეშინათ შუბები და მიძინარენი ამოეყლიტათ. იმათ კიდევაც ეგონათ, რომ საქმე დააბოლოვეს, მაგრამ საბირები ორივე მხრით გამოემართნენ ჩასაფრებული ადგილებიდან, მოულოდნელად შეეჭრენ მათ და თავს დაესხნენ. ისინი ამ მოულოდნელმა ამბავმა ერთბაშად დააფრთხო, და, იმედები რომ გაუცრუვდათ, აღარ იცოდენ რა ექნათ, შეშფოთდენ, არც გაქცევა შეეძლოთ სწრაფად, რადგან პატარა სოფელში იყვნენ მომწყვდეულნი, და ვერც ზედმიწევნით გაერკვიათ მტრის ძალა, რადგან ღამით სწარმოებდა ეს ბრძოლა და ისიც ასეთი შიშით. ამიტომ მოხდა, რომ საბირებმა ისინი მრავლად დახოცეს ისე, რომ მათ არც კი უცდიათ თავდაცვა: შიგ ბანაკშივე რვაასი კაცი იქნა გაჟლეტილი, სხვებმა ძლივს მოახერხეს გასხლტომა და დაქსაქსულად დაეხეტებოდენ, არ იცოდენ სად წასულიყვნენ. იმათ რომ ეგონათ შორს გავიქეცითო, ბოლოს-ლა-ბოლოს კვლავ ერთსა და იმავე ადგილს უტრია-

το, καὶ περιέπταιον τοῖς πολε-  
μίαις. καὶ ταῦτα μὲν τῆς νυκτὸς  
ἀπάσης ἐγίγνετο· ἤδη δὲ τοῦ  
ῥοῦρου χαραττομένου καὶ ἡμέρας  
ἐπιφανείσης, αὐτίκα τῶν Διλιμνι-  
τῶν οἱ σωζόμενοι ἐπεγίγνωσκον  
τὰς πορείας, καὶ ἰθὺς τῶν Περ-  
σικῶν ἔθεον στρατευμάτων, ἐγ-  
κειμένων σφίσι καὶ ὡς τῶν Σα-  
βείρων. Βάβας δὲ ὁ στρατηγός,  
ὅς δὴ τῶν ἐν τῇ Κολχίδι χώρα  
ἰδρυμένων ἐκ πλείστου Ῥωμαίων  
ἦγετο, ἀλλ' οὐτός γε ὁ Βάβας,  
ἐτύγχανε γὰρ ἐν τῷ τότε κατὰ  
τὴν Ἀρχαιοπόλιν διανυκτερεύσας,  
τῷ μὲν ἰσορῶν καὶ τῇ βοῇ πάν-  
τοθεν περιεβομβεῖτο. ἕως δὲ σκό-  
τος ἦν καὶ ἀδηλία τῶν ποιουμέ-  
νων, ὁ δὲ ἀφασία εἶχετο πολλῇ  
καὶ ἔνδον ἠρέμει· ὡς δὲ τοῦ  
ἡλίου ἐπαυγάσαντος τὰς ἀκρω-  
ρείας κατείδε τὸ ἀπρεκὲς τῶν  
τελουμένων, καὶ τοὺς Διλιμνίτας ὑπὸ  
τῶν Σαβείρων ἐλαυνομένους, τότε  
δὲ καὶ αὐτὸς ἐκδραμῶν τοῦ ἀσ-  
τεος ἄμα τῷ ξυμπαρόντι ὁμίλῳ  
οὐκ ἐλάχιστόν τι αὐτῶν διεκρή-  
σατο μέρος, ὡς μέλις ἐκ τοσοῦ-  
των οὐπω χιλίους τοὺς ξύμπαντας  
παρὰ τὴν Ναχοραγὰν ἀφικέσθαι.

ლებდენ გარშემო და მოწინააღმდე-  
გეს წააწყდებოდენ ხოლმე. ასე  
გრძელდებოდა მთელი ღამე. რომ  
ირიქრაჟა და დღემ შემონათა, დი-  
ლიმნიტებმა – ვინც კი ცოცხალი  
გადარჩა – გააგნეს გზა და პირდა-  
პირ სპარსელი რაზმებისაკენ გაიქ-  
ცნენ, საბირებიც მათ დაედევნენ.  
სტრატეგოსი ბაბა, რომელიც კარგა  
ხანია მეთაურობდა კოლხების ქვე-  
ყანაში ჩამდგარ რომაელებს, იმ  
ღამით არქეოპოლისში ყოფილა და  
მას ყოველი მხრიდან ესმოდა ყვი-  
რილი და ხმაურობა. სანამ ბნე-  
ლოდა და ძნელიც იყო იმის გარ-  
კვევა, თუ რა ხდებოდა, ისიც ხმა-  
ამოუღებელიც იჯდა შიგნით მშვი-  
დად, ხოლო მზემ რომ მიანათა  
მთის მწვერვალებს, მან უტყუარად  
დაინახა, რაც ხდებოდა, სახელ-  
დობრ, რომ დილიმნიტები საბირე-  
ბისაგან გარბოდენ და მაშინვე  
თვითონაც გაექანა ქალაქიდან მთე-  
ლი იმ ჯარით, რომელიც თან  
ჰყავდა, და კარგა ბლომადაც ამოჟ-  
ლიტა დილიმნიტები, ისე რომ მათ-  
გან ათასმა კაცმაც კი ძლივს მიაღ-  
წია ნახორაგანამდე.

(HGM II, 266 – 270).

### ნახორაგანის ლაშქრობა ნესოსისაკენ

Ὁ δὲ, ἐπειδὴ τῆσδε διήμαρτεν  
τῆς πείρας, αὐτίκα ᾤχετο ἐπὶ τὴν  
Νῆσον, καὶ ἀγγαῶ που τῶν Ῥω-  
μαίων στρατοπεδευσάμενος προ-  
καλεῖτο ἐς λόγους ἀφικέσθαι οἱ  
τὸν Μαρτίνον. καὶ πηραγενομέ-

III 19. ამ ცდამ რომ ასე ფუჭად  
ჩაუარა ნახორაგანს, ის მაშინვე გაე-  
მართა ნესოსის წინააღმდეგ, დაბა-  
ნაკდა რომაელების მახლობლად და  
მარტინე გამოიძახა მოსალაპარა-  
კებლად. მარტინე რომ მოვიდა,

νω „σὺ δὲ“ ἔφη „ὦ στρατηγέ,  
 ἐς τοσοῦτον ἀγχινοῦστατός γε ὢν  
 καὶ φρενήρης καὶ τῶν παρὰ Ῥω-  
 μαίοις δυνατωτάτων εἶτα οὐκ ἐθε-  
 λήσεις ἀποπαῦσαι πόνου τε καὶ  
 δῶς ἐνείας ἄμφω τῷ βασιλεῖ,  
 ἀλλὰ μεθήκας αὐτοῦς οὕτω δὴ  
 ἐπὶ πλεῖστον τῶν ἀλλήλων ἐπιλυ-  
 μαινο ἐνόους. εἰ δὴ οὖν νῦν γεῦν  
 ἐστὶ σοι βουλομένῳ διαλλαγὰς ποι-  
 ῶσθαι καὶ ξυμῆκας, ἄγε ὅπως  
 αὐτοῦ μὲν ἐς Τραπεζοῦντα τὴν  
 πόλιν τὴν Ποντικὴν ἄμα τῇ στρατῷ  
 μεταβήσῃ, ἐνθάδε δὲ ἡμεῖς με-  
 νοῦμεν οἱ Πέρσαι· οὕτω τε τὰ  
 τῆς ἐκχειρίας σχολαιτέρων δια-  
 λῆξιμεία, πιστοῖς χρώμενοι ἀγγε-  
 λιαφόροις. εἰ γὰρ μὴ ἔκων εἶναι  
 ἀπάξις ἐνθὲνδε τὸ στρατεύμα,  
 ἴσθι, ὦ γενναῖε, ὡς πρὸς ἀνάγκης  
 ἀπελαθῆσθαι. βεβαιότατα γὰρ  
 ἐγὼ τὴν νίκην ἔχω, καὶ περιβέβ-  
 λημαι ἐν χαλεπώτερον ἢ τόδε τὸ  
 κτήμα“. καὶ ἄμα λέγων τὸν δακ-  
 τύλιον ἐπεδείκνυσεν ὃν ἐπεφέρειτο.  
 πρὸς ταῦτα δὲ ὑπολαβὼν „ἀλλ’  
 ἔμοιγε“ ὁ Μαρτίνος „εὐκτὸν μὲν  
 ἢ εἰρήνην δεῖσθαι καὶ τιμωτάτον,  
 καὶ ξυλλήψομαι σοι πρῶτα σοι  
 τε αὐτὴν καὶ καθιστῶντι· ἀμει-  
 νον δέ, οἶμαι, ταῦτα δρᾶσιν  
 ἄν, εἰ γε σὺ μὲν ὡς τάχιστα ἐς  
 Ἰβηρίαν μεταχωρήσεις, ἐγὼ δὲ  
 ἐλεύσομαι ἐς Μουχεῖρισιν, οὕτω  
 τε τὰ ἐν ποσὶ διασχεψόμεθα. τῆς  
 δὲ νίκης περὶ σοὶ μὲν ἐξέστω με-  
 γαλαυχεῖν τῷ λόγῳ καὶ ἀνθραδί-  
 ζεσθαι καὶ τῶν ἀγοραίων καὶ αὐ-

ნახორაგანმა უთხრა მას: „სარდა-  
 ლო, ასე ჭკვიანი და გონიერი კაცი  
 რომ ხარ და რომელთა შორის  
 ერთი უძლიერესთაგანი, ნუ თუ არ  
 ისურვებ, რომ ჩვენმა მეფეებმა შე-  
 წყვიტონ დავა და მტრობა, და  
 შეიწყნარებ იმას, რომ მათ ამდენი  
 ხნის განმავლობაში ერთმანეთს ვნე-  
 ბა აყენონ? და თუ შენ მოწადინე-  
 ბული ხარ ზავი ჩამოვარდეს და  
 ხელშეკრულება დაიდვას, დასტოვე  
 ეს ადგილები და გადადი შენი ჯარი-  
 თურთ ტრაპეზუნტში, პონტოს ქა-  
 ლაქში; ჩვენ კი, სპარსელები, აქ  
 დავრჩებით: ასე, ერთმანეთთან სან-  
 დო შიკრიკების მიგზავნით, უფრო  
 დინჯად მოვილაპარაკებთ ზავის შე-  
 სახებ. თუ კი შენ შენი ნებით არ  
 გაიყვან აქედან ჯარს, იცოდე, ჩემო  
 კარგო, რომ ძალით გაგადებთ. მე  
 უეჭველად გავიმარჯვებ; გამარჯვე-  
 ბის პოვნება არ იქნება ჩემთვის  
 იმაზე უფრო ძნელი, ვიდრე ამ ნივ-  
 თისა“. ეს რომ უთხრა, თან ბე-  
 ჭედზეც მიუთითა, რომელსაც ატა-  
 რებდა. ამაზე მარტინემ უპასუხა:  
 მეც ჩემის მხრით, სასურველად  
 მიმაჩნია ზავი, ძალიანაც ვაფასებ  
 ამას და დაგეხმარები ამის მიღწე-  
 ვაში. მაგრამ, ჩემის აზრით, ამას  
 ჩვენ უკეთ შევასრულებთ იმ შემ-  
 თხვევაში, თუ რაც შეიძლება მალე  
 გადახვალ იბერიასში, მე კი მუხი-  
 რისში წავალ; ამნაირად მოვავა-  
 როთ ჩვენი საქმეები“. რაც შეეხება  
 გამარჯვებას, შეგიძლია იტრაბახო  
 და ჩათვალო გამარჯვება ნაყიდ და  
 საკუთარი ნებით მითვისებულ ნივ-



φαιρέτων αὐτὴν ἡγεῖσθαι κτημά-  
των. ἐγὼ δὲ καὶ τοῦτό φημι τῇ τοῦ  
κρείττους ταλαντεύεσθαι γνώμῃ,  
καὶ οὐ παρὰ τοὺς μέγα βρενθυσμέ-  
νους ἰέναι, ἀλλ' ἐφ' ὅς ἐστιν ὁ πάν-  
των προαγωγὸς ἐπινεύσῃ<sup>1</sup>. οὕτω δὲ  
τοῦ Μαρτίνου ἀνδρειότατά τε καὶ  
μάλᾳ ὁσίως ἀποκριναμένον καὶ τῇ  
τοῦ βαρβάρου νεμεσήσαντος ἀλαζο-  
νείᾳ, οὐδὲν δὲ ὅτιοῦν προσελθὼν  
εἰρηναῖον, διεκρίθησαν ἀπ' ἀλ-  
λήλων. καὶ ὁ μὲν ἐς τὸ στρατό-  
πεδον ἐπανήκε, Μαρτίνος δὲ ἐς  
τὴν Νήσον. τῷ δὲ Ναχοραγὰν  
μενετέα μὲν αὐτοῦ ἦκιστα ἐδόκει,  
ἐς δὲ τὸν Φάσιον<sup>1</sup> τὴν πόλιν ἰέναι  
διενοεῖτο, ἐκεῖσέ τε μάλᾳ ἐκ-  
καλέσασθαι τοὺς Ῥωμαίους. ἐπι-  
μαχώτατον γὰρ τὸ ἐκεῖνη ἔρυμα  
εἶναι ἐπέπυστο, ἅτε δὴ ξύλοις  
ἅπαν ἔσκευασμένον, καὶ τὰ ἐχθ-  
ρῶν πεδία εὐόμαλα τε καὶ ἀγα-  
θὰ ἐνστρατοπεδεύσασθαι. ἦδη δὲ  
ἡ πόλις ὁ Φάσις ἅπασιν, οἶμαι,  
διαδηλότατον ὡς ἐκ τοῦ ποταμοῦ  
εἴληφε τὴν ἐπωνυμίαν, πληθιαί-  
τατα ὑπορρέοντος καὶ ἀμφ' αὐ-  
τὴν ἐς τὸν Εὐξείνου πόντον ἀπε-  
ρευγομένου. πρὸς γὰρ τῷ αἰγια-  
λῷ καὶ τοῖς ἐκβολαῖς τὸ πόλισμα  
ἵδρται· ἀφέστηκε δὲ τῆς Νήσου  
ἕξ μάλιστα παρασάγγαις ἐπὶ θυό-  
μενον ἦλιον (HGM II, 270—72).

თად. მე კი ვფიქრობ, რომ ის უზე-  
ნავის ნებაზე დამოკიდებული და  
რომ ის წილად ხვდება ხოლმე არა  
იმათ, რომლებიც ზომაზე მეტად  
ყოყლოჩინობენ, არამედ იმათ, რო-  
მელთაც ყოველთა წინამძღოლი  
სწყალობს“. მარტინემ რომ ასე  
ვაჟკაცურად და ღირსეულად უპა-  
სუხა და ბარბაროსის სივერაგეს  
მაგრად დაუხვდა, ისინი გაშორდენ  
ერთმანეთს ისე, რომ საზავოს ვე-  
რაფერს მიაღწიეს. ნახორაგანი დაბ-  
რუნდა თავის ბანაკში, ხოლო მარ-  
ტინე ნესოსში. ნახორაგანმა მიზან-  
შეწონილად არ მიიჩნია იქ დარჩენა;  
მან გადაწყვიტა ქალაქ ფაზისისაკენ  
წასულიყო და იქ გამოეწვია რო-  
მაელები. მისი აზრით იქაური სი-  
მაგრის აღება ძალიან ადვილი იყო,  
რადგან მთლიანად ხისაგან იყო  
აგებული; თანაც იქაური დაბლო-  
ბები კარგად გაშლილი და დასა-  
ბანაკებლად მოხერხებული იყო. ქა-  
ლაქმა ფაზისმა, როგორც ეს ყვე-  
ლასათვის ცნობილია, ეს სახელწო-  
დება მდინარისაგან მიიღო, რომე-  
ლიც იქვე ახლოს ჩამოდის და თვით-  
ქალაქის მახლობლად ერთვის ევქსი-  
ნის პონტოს. ქალაქი ზედ ნაპირ-  
თან და შესართავთან არის გაშე-  
ნებული. ნესოსს, სულ დიდი, ექ-  
ვის ფარსანგით არის დაშორებული  
დასავლეთით<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) τον Φάσιον R, την Φάσιον *vulg.*

<sup>2</sup>) Christophorus Persona თავის, 1518 წელს გამოცემულ ლათინურ თარგანში ამ ადგილს განმარტავს: stadiis centum, (πεντε παρασ.) ე. ი. მის განკარგულებაში მყოფ რომელიღაც ხელნაწერში ნაცვლად „ექვის ფარსანგისა“ წერებულა „ხ უ თ ი ფ.“, ხოლო თვით Persona გულისხმობს აქ ლაზურ ფარსანგს.

### ნახორაგანის ლაშქრობა ფოთის წინააღმდეგ 555 წელს.

Εὐθύς δὲ οὖν ὁ Ναχοραγὰν πόρρω τῶν νηπτῶν τὰς ἀκάντους ἐπόσας ἐφ' ἀμαξῶν ἐπήγετο, ἐς τὸν ποταμὸν ἐμβαλὼν καὶ ξυζεύξας, λαμβάνει τοὺς Ῥωμαίους γέφυρὰν τὴν εἰς αὐτομάτου πηγᾶμενος καὶ ἅπαν τὸ πλῆθος ἐς τὸ ἀντιπέραν διαβιβάσας· ἐβούλετο γὰρ ἐς τὰ πρὸς νότον ἀνεμὸν ἰκέσθαι τοῦ ἄστεος, ὅθεν δὴ αὐτῷ ἐνδραμῶς ἤμελλε τὰ ρεῖθρα τοῦ ποταμοῦ κώλυμα εἶσεσθαι τῷ περιβόλῳ πελάζοντι· ὑπὸ γὰρ τὸ ἀρκτήριον καταρρεῖ καὶ παρατείνεται μέγας, καὶ ὁ μὲν ἀμφὶ τὸ περίορθρον ἄρας ἐκ τῆς ὄχθης εἶχετο τῆς πορείας, καὶ τὴν Νῆσον ὡς ἀπωτάτω παραμειψόμενος ἀνὰ τὰ

III 20. ნახორაგანმა მაშინვე გვიან ღამით ჩაუშვა მდინარეში ნავები, რომლებიც თან მოჰქონდა ურმებით, ერთმანეთს გადააბა და უცბად, ისე რომ რომაელებმა ვერაფერი გაიგეს, რაღაც ხიდის მაგვარი გასდო და გადაღმა გადაიყვანა მთელი ჯარი: მას უნდოდა ქალაქს (ფაზისს) სამხრეთის მხრით მისდგომოდა, სადაც წყალი მას ვერავითარ დაბრკოლებას ვერ შეუქმნიდა, და ამგვარად დაუბრკოლებლივ მიუახლოვდებოდა ზღუდეს, ვინაიდან მდინარე ჩრდილოეთის მხრით ჩამოუდის ქალაქს. განთიადისას ნახორაგანი დაიძრა ნაპირიდან და გაუდგა გზას; ნესოსი კარგა შორს დასტოვა და წინ გას-

ოცი სტადიონის შემცველს (მაშასადამე, ნესოსიდან ფოთამდე სულ 100 სტადიონს), მაგრამ, როგორც ეს ნიბურის გამოცემიდან ჩანს, ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ხელნაწერები აქ „ექვს“ ფარსანგს თვლიან. – ნესოსის მდებარეობის საკითხი არავითარ დავას არ იწვევს. ეს არის დღევანდელი ისულა, სენაკის რაიონის თეკლათის სასოფლო საბჭოში, ტეხურის შესართავთან, ვახუშტის ისულეთი («ამას რიონსა მიერთვის ჩდილოდამ აბაშ-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთის ზეით, ისულეთს», გეოგრ. 346 ბრ.; «მდინარე ტეხური... მიერთვის ისულეთს ჩდილოდამ რიონს», იქვე 394 – 396). ბერძნულად „კუნძულს“ ნიშნავს და აგათია (21, იხ. ზემოთ გვ. 38) ჩვენ მიგვითითებს იმ მიზეზებზე, თუ რატომ შეიძლებოდა ამ ადგილს „კუნძული“ დარქმეოდა. ხოლო, რაც შეეხება მის ქართულ სახელწოდებას „ისულა“ („ისულეთი“), ის მომდინარეობს ლათინური insula-საგან, რაც აგრეთვე „კუნძულს“ ნიშნავს. ცნობილია, რომ ბერძნულ ენაში მრავალი ლათინური სიტყვა იყო შესული; გარდა ამისა ზოგიერთ დარგში ბერძენ-ბიზანტიელთა ცხოვრებისა კარგა ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო ლათინური ენა: ასეთ დარგთა რიცხვს ეკუთვნოდა სამხედრო ტექნიკა და სრულიად ბუნებრივია, რომ ბიზანტიური ჯარის ნაწილებმა ლათინური სახელით (insula) მონათლეს თავიანთი სადგომი, რომელიც კუნძულის მსგავს სტრატეგიულ პუნქტში იყო ტეხურის შესართავთან (ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტები რიონის ნაპირებზე ჰქონდათ ბიზანტიელებს მოწყობილი მდინარეთა შესართავებთან: როდოპოლისი – ყვირილის შესართავთან, ტელეფისი – ცხე-

πρόσω ἐχῶρει· μόλις δὲ περὶ  
 πλήθουσιν ἀγορὰν οἱ Ῥωμαῖοι  
 τὴν διαβάσιν ἐγνωκότες διαταράχ-  
 θησάν τε καὶ περὶ πλείστου  
 ἐπιόντων προτερῆσαι ἀνὰ τὸ  
 ἄστυ τοὺς πολεμίους. τοιγάρτοι  
 τὰς τε τριήρεις καὶ ὅσοι τρια-  
 κόντορ ἰ παρῶρμουσιν πληρώσαν-  
 τες ὄξυτάτα τοῦ ποταμοῦ τῷ ῤῥῷ  
 κατεφέροντο. ἀλλὰ φησάσας ὁ Να-  
 χοραγὰν ἀμφ' τὸ μεσαίτατον τῆς  
 τε Νήσου καὶ τοῦ ἄστεος ἐτύγ-  
 χανέν ἤδη ξυλίας τε καὶ λέμβοις  
 τὸ εὖρος ἅπαν τῆς ὀνήης διαφ-  
 ραξάμενος τὸ τε τῶν ἐλεφάντων  
 στίφος ἔπισθεν ἐπιστήσας, ἐς  
 ἄστυ οἶόν τε ἦν αὐτοῖς τῆς βιά-  
 σεως ἐπικνεῖσθαι. ὁ δὲ τῶν Ῥω-  
 μαίων στόλος ταῦτα πρόρρωθεν  
 ἰδόντες αὐτίκα πρόμναν ἐκρούον-

წია. როდის-როდის, ბაზრობის ჟამს, რომაელებმა შეიტყვეს, რომ სპარსელები მდინარეზე გადასულიყვნენ, ძალიან შემფოთდნენ და აუცილებელ საჭიროებად მიიჩნიეს მტრისთვის დაესწროთ ქალაქში შესვლა. ამიტომ ჯარით აავსეს ტრიერები და რაც კი ოცდაათნიჩბიანი ნავეები იდგა მზად, და სასწრაფოდ გაჰყვნენ წყლის მდინარეებს. მაგრამ, როდესაც ნახორაგანმა მიაღწია შუა გზას, ნესოსსა და ქალაქს შუა შემებითა და ნავეებით გადაღობა მდინარე მთელ სიგანეზე და უკან დააყენა სპილოების მთელი ხროვა, რომლებიც შეუშვა წყალში იმ მანძილზე, რამდენზეც მათ შეეძლოთ შესვლა. ეს რომ დაინახა შორიდან რომაელთა ჯარმა, მაშინვე მოაბრუნა საჭე, რაც

ნისწყლის შესართავთან, ნ ე ს ო ს ი – ტეხურის შესართავთან). აქიდან ესადაია, რომ დღევანდელი სახელწოდება „ისულა“ გადმოგვცემს ამ პუნქტის უძველეს სახელს ხოლო ბერძნული Νησος მისი თარგმანია („ისულეთი“ კი ქართული სუფიქსით ლათინურისაგან ნაწარმოებ ფორმას წარმოადგენს).

აკად. ბროსე (Add. 100) ნესოსის ლოკალიზაციის დროს სრულიად სამართლიანად შეჩერდა ამ პუნქტზე, მაგრამ ის დააფიქრა აგათიას ცნობამ, ნესოსი ხუთი ფარსანგით არის ტელეფისს დაშორებულიო, ვინაიდან ბროსეს გამონაგარიშებით ამ ადგილებს შორის მანძილი 18 ფარსანგს უდრის (ტელეფისის ის გულისხმობდა ეხლანდელ ტელეფაში, ჩხარის რაიონში), და საკითხი გადაწყვიტა ისულა-ნესოსის სასარგებლოდ, ხოლო ბიზანტიელებს მიაწერა მანძილის არა ზედმიწევნით გამონაგარიშება. ჩვენ კი უნდა ვთქვათ, რომ, როგორც ჩანს, ა გ ა თ ი ა ს ცნობები ემყარება ბიზანტიის მოხელეთა მიერ წარმოებულ აგეგმვას და მის მიერ მოცემული მანძილები იმდენად დასაეჭვებელი არაა, რომ 18-ის ნაცვლად 5 ფარსანგი ვივარაუდოთ. ზემოთ (გვ. 38 – 41) ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ ნესოსსა და ტელეფისს შორის 5 ფარსანგის მანძილია, ხოლო ეს ტელეფისი ჩვენ ცხენისწყლის შესართავთან მოვათავსეთ. ა გ ა თ ი ა ს ცნობების სისწორე ნესოსსა და ფოთს შორის გამონაგარიშებული მანძილითაც მტკიცდება. აგათიას ცნობით, ნესოსი ფოთს ექვსი ფარსანგით არის დაშორებული, დაახლ. 31,5 კილომეტრით; დღევანდელი ისულა ფოთს დაშორებულია პირდაპირი ხაზით 32 კილომეტრზე, ხოლო რიონის გაყოლებით 36 – 38 კმ.

το, πολλῆ τε χρώμενοι ἐς τοῦ-  
 παλιν τῆ εἰρεσίᾳ χαλεπώτατα  
 πρὸς τὸ ἀντίπορον<sup>1</sup> τε καὶ ῥοῶδες  
 τῆς φορᾶς ἀνταναγόμενοι ἀπε-  
 χώρησαν. δύο δὲ ἄλλως ναῦς κε-  
 νὰς τῶν ἐμπλεόντων εἶλον οἱ  
 Πέρσαι. οἱ γὰρ δὴ ἄνδρες ξυλ-  
 λαμβάνεσθαι μέλλοντες τοῖς ἕδα-  
 σι παραδοῦναι σφᾶς αὐτοὺς εὐ-  
 τολμότατα κατεθάρρησαν, ἀντὶ  
 τοῦ μείζονος, οἷμαι, καὶ προύπ-  
 τευ κινδύου τὸ ἔλαττον δεινὸν  
 δῆπου ἐλόμενοι, καὶ μετέσχον μάλ-  
 λον τῶν ἐκ τῆς τύχης ἀνῆλων.  
 τοιγάρτοι ἀφήλαντό τε κουφώτατα  
 καὶ ὑποβρυχίαι ἐπὶ πλείστον δια-  
 νηξάμενοι μόλις ὥς τοὺς οἰκείους  
 ἀπεκομίσθησαν. τότε δὴ εὖν οἱ  
 Ῥωμαῖοι Βούζην μὲν τὸν στρα-  
 τηγὸν ἀνά τὴν Νῆσον κατέλιπον,  
 ἅμα τῷ οἰκείῳ στρατεύματι ἐπι-  
 μελησόμενόν τε τῶν τῆδε ἀπάν-  
 των καὶ ἀλεξήροντι ἐς ὃ τι δεή-  
 σοι· οἱ δὲ ἄλλοι ἅπαντες κατὰ τὸ  
 ἐγκάρσιον τὸν ποταμὸν περαιωθέν-  
 τες, καὶ διὰ τῆς χέρσου ἑτέραν  
 τινὰ ὄδον πορευόμενοι, ὥς μὴ κατ'  
 αὐτὰ τοῖς πολεμίοις χωρήσαι,  
 παραγίγονται ἐς ἐκεῖνο δὴ τὸ  
 τοῦ Φάσιδος ἐπώνυμον ἄστυ καὶ  
 εἶσω τῶν πυλῶν παρελθόντες  
 διεδάσαντο στοιχηδὸν οἱ στρατη-  
 γοὶ τὴν φρευσὴν τοῦ περιβόλου.  
 οὐ γὰρ ὦντο ἀξιόμαχοι ἔσεσθαι,  
 εἰ γε ξυστάδην παρατάξασθαι  
 πειραθείεν. πρῶτος μὲν εὖν Ἴλου-

ძალა და ღონე ჰქონდა მოუსვა  
 ნიჩბებს. და გაბრუნდა უკან, თუმ-  
 ცა ძალიან გაუძნელდა ფაზისზე  
 უკან გაცურვა და პირისპირ შებრ-  
 ძოლება მაგარ ტალღებთან. სპარ-  
 სელებმა მაინც ორი ნავი ჩაიგდეს  
 ხელში, მაგრამ უმეზღვაურებოდ; მე-  
 ზღვაურებმა რომ დაინახეს მტერს  
 ჩავუვარდებით ხელშიო, გაბედუ-  
 ლად გადაეშენენ ტალღებში, რად-  
 გან, ვფიქრობ, უდიდესსა და აშკა-  
 რა საფრთხეს არჩიეს უმცირესი და  
 ამჯობინეს ევადათ ის ბედი, რო-  
 ძელიც უფრო უცნობი იყო. ამი-  
 ტომ ისინი სრულიად უყოყმანოდ  
 ჩახტენ წყალში, მეტი წილი წყალ-  
 ქვეშ გაცურეს და ძლივს მიაღ-  
 წიეს თავისიანებს. მაშინ რომაე-  
 ლებმა სტრატეგოსი ბუზე დასტო-  
 ვეს ნესოსთან, რათა მას თავის  
 ჯართან ერთად ყური ეგდო იქაუ-  
 რობისათვის და დახმარება აღმოე-  
 ჩინა, სადაც ეს საჭირო იქნებოდა.  
 ყველა დანარჩენებმა კი გადასჭრეს  
 მდინარე ირიბად და ხმელეთით  
 გასწიეს მეორე გზით, რათა მტერს  
 არ შეხეჩებოდენ, და ჩავიდენ იმ  
 ქალაქში, მდინარე ფაზისის სახელს  
 რომ ატარებს; ქალაქის კარებში  
 რომ შევიდენ სტრატეგოსები, რიგ-  
 რიგად ჩამწკვრივს ზღუდის მცვე-  
 ლები, ვინაიდან ისინი ფიქრობდენ,  
 რომ ბრძოლას ვერ აიტანდენ, თუ  
 შემჭიდროებულნი განეწყობოდენ  
 საბრძოლველად. პირველი ჩადგა  
 იუსტინე, გერმანეს ძე, თავისი რაზ-

<sup>1</sup>) αντιπωρον R, αντιπορον vulg.

τίνος ὁ Γερμανοῦ καὶ ὁ ἀμφ' αὐτὸν ἑμίλος ἐν τῷ ἀκροτάτῳ μέρει τῷ πρὸς θάλατταν νεύοντι ἐτετάχατο· βραχὺ δὲ τι ἀπωτέρω Μαρτίνος εἰστήκει ὁ στρατηγὸς καὶ αἱ Μαρτίνου δυνάμεις· ἀμφὶ δὲ τὸ μεσαίτατον Ἄγγιλας μὲν ἔχων Μαυρουσίους πελταστὰς καὶ λογχοφόρους, Θεόδωρος δὲ Τζάνους ὑπλίτας καὶ Φιλμάθιος Ἰσαύρους σφενδοθήτας καὶ ἀκοντοβόλους. ὀλίγη δὲ τούτων ἀποκεκριμένοι ἐφρούρουσαν Λογγιβάρθων ἀπόμοιρα καὶ Ἐροῦλαν, Γίβρος δὲ ἦγειτο ἀμφοτέρων. τὸ δὲ λοιπὸν ἅπαν τοῦ τείχους καὶ πρὸς ἀπηλιώτην ἀνεμὸν ἀποληγὸν τοῖς ἐφόις τάγμασιν ἐπεφρόντιστο, ὑπὸ Βαλεριανῷ στρατηγῷ πεταγμένοις. οὕτω μὲν ὑπὲρ τῶν ἐρύματος ἢ τῶν Ῥωμαίων στρατιὰ ἐν κόσμῳ παρίστατο.

Ἦν δὲ αὐτοῖς καὶ χαράκωμιν ἔμπροσθεν καρτερώτατα ἐξείργασμένον, ὡς ἀντέχειν εὐθύς πρὸς τὰς ἐπιδρομὰς καὶ ὄν<sup>1</sup> ἐν προβόλου μοίρα ἐγκείμεναι τῷ τείχει. ἐδεδίεσαν γὰρ εἰκότως ἐπ' αὐτῷ, ἅτε δὴ ξύλοις τε πεποιημένῳ καὶ ἄλλως ὑπὸ χρόνου πολλαχῶς διερρηγῶσι. τῷ τοι ἄρα αὐτοῖς καὶ τάφρος μάλα εὐρεῖα πέριξ ὠρύσσεται, ὕδατος τε ἤδη μέσση καὶ ὑπερχειλῆς ἐγεγόνει, ὡς καὶ

მით, ყველაზე უფრო მაღალ ადგილას, რომელიც ზღვას დაჰყურებდა; ცოტა მოშორებით სარდალი მარტინე დადგა და მისი ჯარი, ხოლო შუაში – ანგილა, რომელსაც მავრუსიები ჰყავდა ფარებითა და შუბებით შეიარაღებული, თეოდორე თავისი მძიმედ შეიარაღებული ჭანებით და ფილომათი თავისი ისავრიელებით, რომლებიც შურდულებითა და ხელშუბებით იყვნენ შეიარაღებულნი. ამათგან ცოტა მოშორებით სადარაჯოზე იდგნენ ლანგობარდთა და ერულთა რაზმები – ორივეს გიბრე მეთაურობდა. კედლის მთელი დანარჩენი ნაწილი, აღმოსავლეთით, ჩაბარებული ჰქონდათ აღმოსავლეთის რაზმებს, რომელთაც სარდალი ვალერიანე განაგებდა. ამნაირად ჩამწკვრივდა რომაელთა ჯარი სიმაგრის დასაცავად.

III 21. გარდა ამისა ციხის წინ რომაელებს ტაგრუცი აღემართათ, საკმაოდ მტკიცე, რომლის შემწეობით მათ მტრის პირველი იერიშები აქვე უნდა შეეჩერებინათ და რომელიც საფარსავით უნდა ყოფილიყო კედლისათვის: მათ ამ კედლისა ძალიან ეშინოდათ, და სრულიად მართებულადაც, ვინაიდან ის ხისაგან იყო გაკეთებული და გარდა ამისა დროთა ვითარებაში ბევრგან ჩამონგრეულიყო კი-

 კაცობით. მოწინააღმდეგეთა გვა-  
 მებს კი საჭურველი აწყარეს და  
 ხელთ იგდეს ურიცხვი იარაღი და  
 სხვა ქონებაც. დაღუპულთაგან ზო-  
 გიერთი მარტო ფარსა და აბჯარს  
 კი არ ატარებდა და კაპარჭს, არამედ,  
 ოქროს ძეწკვებს, ყელსაბამსა და  
 საყურეებსაც, და სხვა ისეთ დია-  
 ცურსა და რჩეულ სამკაულებს,  
 რომლებითაც მოირთვებიან ხოლმე  
 წარჩინებული მიდიელები, როდე-  
 საც მათ სურთ უფრო ბრწყინვა-

<sup>1</sup>) αιτιος R. – <sup>2</sup>) παρασκευασαμενος Porphyr. (De sententiis).

έντιμότεροι τῶν Μήδων ἐναγλαί-  
ζονται τοῦ μάλλον εἶναι ἀρίθη-  
λοι καὶ τοῦ ἄλλου ἑμίλου ἀπο-  
κεκρίσθαι.

Ὁ δὲ Ναχοραγάν, ἐπειδὴ αὐτὸν  
τά τε ἐπιτήδεια ἐλελοίπει καὶ  
ἤδη χειμῶνος ὥρα ἐπεγίγνετο,  
ἔφκει μὲν ἀνθὶς πολεμησίοντι καὶ  
ἔς τόδε ξυσκευαζομένῳ. οὐ μὴν  
ἔργῳ τὸ βούλευμα ἐπετέλει, ἀλλὰ  
τὸ τῶν Διλιμνιτῶν σίτες τῆ ὑσ-  
τεραλῆ ἐκπέμψας ἀνὰ τὸ στάδιον  
καὶ ἔς ἐκείνους ἑρᾶν τοὺς Ῥω-  
μαίους ἀναπέισας, ταύτῃ τε δόκη-  
σιν παρασχόμενος τοῦ ἐπελεύσεσ-  
θαι, αὐτίκα ὄγε σχολαίτερον ἅμα  
τοῖς ἄλλοις στρατεύμασιν ἐπὶ Κοτά-  
σιον<sup>1</sup> καὶ Μουχείρισιν ἐπορεύετο. ὡς  
δὲ πλείστον ἤδη τῆς ὁδοῦ προελ-  
λύθει, τότε δὴ καὶ οἱ Διλιμνῖται  
λύσαντες τὴν τάξιν εὐκαλῶτατα  
ἀπεχώρουν, ἅτε δὴ κόψως αἰε  
ἔσταλμένοι καὶ ἄλλως ἄλκιμοι καὶ  
πεδῶκεις. παρήσαν δὲ αὐτοῦ  
καὶ ἡ ἄλλη Περσικὴ ἀπόμοιρα,  
οἱ δὲ ἐτύγχανον παρὰ τὸν Νέο-  
κνον ποταμὸν πρότερον ἀπεσταλ-  
μένοι διὰ τὴν Μαρτίου ἀπάτην  
ἠπέρ μοι ἤδη ἔρρηθη. γνόντες  
γὰρ ὡς ἐνενίκηγντο μὲν οἱ Περσαι,  
οἱ δὲ Ῥωμαῖοι ἀπάσης ἤδη τῆς  
χώρας ἐκράτουσιν, αὐτίκα οἴγε πο-  
ρεῖαν τινὰ διαλανθάνουσιν καὶ  
τῶν λεωφόρων ἀποκεκριμένην  
διαγύσαντες ἔς Μουχείρισιν ἔκον-  
το, τῶν μὲν ἀγώνων ἦκιστα με-

ლენი გამოჩნდენ და ხალხში გა-  
მოიჩეოდენ.

ნახორაგანი, რადგანაც მას სურ-  
სათი შემოაკლდა და ზამთარიც  
ახლოვდებოდა, ისე იქცეოდა, თით-  
ქოს ის კვლავ ომს აპირებდა და  
ამისთვის ემზადებოდა. ნამდვილად  
კი თავისი განზრახვა სისრულეში  
არ მოყავდა და მეორე დღესვე დი-  
ლიმნიტთა რაზმი გააგზავნა სტა-  
დიონის მანძილზე და უბრძანა მათ  
თვალი არ მოემორებინათ რომაე-  
ლებსათვის. ამით უნდოდა მას ეჩვე-  
ნებინა, რომ გალამჭრებას აპირებ-  
და; მაგრამ თვითონ დანარჩენი ჯა-  
რითურთ მაშინვე გასწია ნელ-ნელა  
კოტაისისა და მუხირისისაკენ. ის  
რომ უკვე კარგა შორს იყო წასუ-  
ლი, დილიმნიტებმაც დაშალეს თა-  
ვისი მწყობრი და მათაც ადვილად  
დაიხიეს, ვინაიდან ისინი ყოველ-  
თვის მსუბუქად არიან შეიარაღე-  
ბულნი და, გარდა ამისა, მამაცნი  
და ფეხმარდნი. დაბრუნდა აგრეთვე  
სპარსელთა მეორე ნაწილიც, რო-  
მელიც როგორც ეს მე ზემოთ მო-  
ვიხსენიე, მდინარე ნეოკნეზე იქმნა  
ამას წინათ გაგზავნილი მარტინეს  
ემმაკობის წყალობით. იმათ რომ  
გაიგეს სპარსელები დამარცხდენ  
და რომაელები დაეპატრონენ მთელ  
მხარესო, მაშინვე გასწიეს ფა-  
რული გზით, მთავარ გზას გვერდი  
აუარეს, და მუხირისში მივიდენ;

<sup>1</sup>) ძველი გამოცემლები სწერენ Κοταισιον.

τασχόντες, τὸν δὲ τῆς φυγῆς  
 ἀίσχους πολλῶ ἔτι ἀκλεέστερον  
 μετειληφότες. ἐπειδὴ οὖν ἄπας ὁ  
 στρατὸς ἐνταῦθα ἐτύγχανε ξυνα-  
 γηγερμένος, τότε δὴ τὸ πλείστον  
 τῆς ἰππικῆς δυνάμεως καταλι-  
 πὼν ἰλάρχην τε αὐτοῖς ἐπιστή-  
 σας Οὐαφρῆζην, ἄνδρα τῶν παρὰ  
 Πέρσαις γνωριμωτάτων, αὐτὸς  
 ξὺν ὀλίγοις ἐς Ἰβηρίαν ἀπενόσ-  
 τησεν, ἄς ἐκεῖσε διαχειμῶσων  
 (HGM II, 272—289).

ბრძოლებში მონაწილეობა სრუ-  
 ლიად არ მიუღიათ, გაქცევის სირ-  
 ცხვილი კი ბევრად უფრო ნამრ-  
 ხად გაიზიარეს. როდესაც, ამრიგად,  
 მთელი ჯარი იქ შეიკრიბა, მაშინ  
 ნახორაგანმა მეტი წილი ცხენოსან-  
 თა ჯარისა იქ დასტოვა და მის  
 უფროსად ვაფრიზი დააყენა, კაცი  
 სპარსელთა შორის წარჩინებული,  
 თვითონ კი ზოგიერთების თანხლე-  
 ბით იბერიაში დაბრუნდა იქ და-  
 საზამთრებლად.<sup>1</sup>

<sup>1</sup>) ამრიგად, სპარსელთა ლაშქრობა ფოთის წინააღმდეგ 555 წელს დამ-  
 თავრდა მათი დამარცხებით. როგორც აგათიას აღწერილობიდან ჩანს, სპარსე-  
 ლები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ფოთის ხელში ჩაგდებას. რადგან პე-  
 ტრას წინააღმდეგ მრავალჯერ იერიშის მიტანის შემდეგ ისინი დარწმუნდნენ,  
 რომ იქ ფეხს ვერ მოიკიდებდნენ (იხ. გეორგიკა II, 148 შდდ.), იმათ, ჩვენის აზ-  
 რით, სცადეს სხვაგან გაეჩინათ დასაყრდენი პუნქტი ზღვის ნაპირას. ზღვის ნაპი-  
 რას დასაყრდენი პუნქტის გაჩენას სპარსელები შემდეგი მოსაზრებით ლამობდნენ:  
 პირველ რიგში აქ იდგა საკითხი სპარსეთის გასვლისა შავ ზღვაზე, რისთვისაც,  
 ვფიქრობთ, V – VI საუკუნების განმავლობაში ისინი აწარმოებდნენ გააფთრებულ  
 ბრძოლას ლაზიკის ხელში ჩასაგდებად. გარდა ამისა, საერთოდ ბრძოლა ბიზან-  
 ტიელებთან ძნელი იყო სპარსელებისათვის, სანამ ეს უკანასკნელნი ზღვის ნაპი-  
 რას რომელსამე პუნქტში არ გამაგრდებოდნენ, რადგან, როგორც აგათიას ამბობს  
 ქვევით (IV, 30), სანამ ბიზანტიელებს თავისუფლად ეპყრათ ზღვა, მათთან ბრძო-  
 ლა კოლხიდაში ძნელი იყო, ვინაიდან მათ შეეძლოთ დაუბრკოლებლივ მიეწოდე-  
 ბინათ ჯარისათვის ყოველგვარი საჭირო საომარი მასალა და სურსათი. ასე რომ  
 რომელიმე ხელსაყრელი საზღვაო პუნქტის ჩაგდება აუცილებელ პირობას წარ-  
 მოადგენდა სპარსელებისათვის ლაზიკეში საომარი ოპერაციების საწარმოებლად.  
 და, აი, მას შემდეგ, რაც პეტრაში გამაგრება ვერ მოახერხეს მათ, ისინი ეცნენ  
 მეორე პუნქტს. ასეთ პუნქტს, პეტრას შემდეგ, წარმოადგენდა ბერძნულ-რომაულ  
 მსოფლიოში ცნობილი ნავსადგური ფ ა ზ ი ს ი (ფოთი), და ამ საზღვაო პუნქტის  
 აღებას შეაკლა ნახორაგანმა უდიდესი ნაწილი თავისი ჯარისა, რის გამოც შემ-  
 დეგ სპარსეთის მეფემ ხოსრომ სამინელი სასჯელით დასაჯა ის: ცოცხლად გაატ-  
 ყავებინა ის კვეიდან ფეხებამდე (A g a t h i a s IV, 22).

**გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლება.**

Ἐς τοῦτο δὲ νίκης τοῖς Ῥωμαίοις τῶν πολέμων κεχωρηκότος, καὶ ὡσπερ ἀνακωχῆς τῶν θειῶν γεγενημένης, τῶν τε ἄλλων τὸ παρατυχὴ ἡρεμηκότων. τότε δὴ ἐς ζήτησιν ἦγετο τὰ ἐπὶ Γευσιάζῃ πρότερον τετολημένα. καὶ τοίνυν ὁ Ἀθανάσιος ἐπὶ θάκου τινος ἡγήτοιο εὐπρεπῶς, γλαμύδα ἐνεκίμενος, ὡσπερ ἀμέλει οἱ ἀστικώτατοι τῶν ἡγεμόνων. παρήσαν δὲ αὐτῷ ἄνδρες γράφειν τε ἐς τάχος πεπαιδευμένοι καὶ ἐπιτροχάδην ἀναλέγεσθαι τὰ γεγραμμένα· ἄλλοι τε ὑπηρεταὶ σβαρώτεροι καὶ ἐμβριθεῖς καὶ δημοθέστατοι τῆς τῶν δικαστηρίων κομφείας, κήρυκες τε μεγαλεβόαι καὶ οἱ τῶν μαστίγων ἐπιστάται. ἅπαντες δὲ οὗτοι ἐκ τῶν ἐν Βυζαντίῳ ἀργείων ἐτύχχανον ἀπολελεγμένοι. ἐπεφέροντο δὲ, οἷς τοῦτο ἀνείτο, δεσμούς τε σιδηροῦς περιαιχηνίους κλινοστροφία τε καὶ ποδοστράβας, καὶ ἄλλα ἅττα ὄργανα κολαστήρια. καὶ μοι δεκεῖ βασιλεὺς Ἰουστινιανὸς οὐκ ἀπεικὸς οὐδὲ αὐτομάτως, ἀλλ' ἐμφρονέστατα τοῦ δέοντος ἐστοχασμένος ἕν τῶνδ' ἐτινὶ τάξει καὶ εὐκοσμίᾳ τῆν κρίσιν προελθεῖν παρακελεύσασθαι, οὐ μόνον ὅπως οἱ ἐκείνη βάρβαροι, τῶν Ῥωμαϊκῶν σφίσι νομίμων κομπადέστερον ἀναδεικνυμένων, θαυμάζοιεν τε αὐτὰ καὶ ἐπὶ πλέον ἄρχεσθαι ὑπὸ

IV 1. რომაელებმა რომ ამ ომში გამარჯვება მოიპოვეს და საომარი მოქმედებები შეწყდა და უმაღვე მიწყნარდა იარაღის ჟღარუნი, მაშინვე დადგა საკითხი წინათ გუბაზის მიმართ ჩადენილი საზიზღარი საქციელის შესახებ. ათანასი თავისი ღირსების შეგნებით დაჯდა ერთ მაღალ სავარძელზე, ქლამიდში გამოწყობილი, როგორც ეს სწვევიათ ბრწყინვალე მთავრებს. მასთანვე იყვნენ კაცნი, რომელთაც იცოდენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით; იყვნენ აგრეთვე სხვა მოსამსახურეებიც, მკაცრნი და ამაყნი და სასამართლოს ხლართების საუკეთესო მცოდნენი, ბოხბიანი მაუწყებელნი და გამმართველებნი. ესენი ყველანი ბიზანტიონიდან იყვნენ მთავრობის მიერ გამოგზავნილნი. იმათ, ვისაც ეს დავალებული ჰქონდათ მოიტანეს რკინის ჯაჭვები. კისერზე დასადები, აგრეთვე ბადესაკრავები და ბორკილები და სხვა იარაღები საწამებლად, მე ვფიქრობ, იუსტინიანე შეუფერებლად და მოუფიქრებლად კი არ მოქცეულა, რომ ასეთი წესითა და გარეგნული მორთულობით ბრძანა სასამართლოს სხდომის მოწყობა, არამედ სრულიად გონიერად და მიზანშეწონილად მოიქცა; და ეს ბრძანა მან არა მარტო იმიტომ, რომ იქ მყოფ ბარბაროსებისათვის კვებნით ეჩვენებინა რომაული წესები და გაეკ-

τούτων ξυνεθισθεῖεν, ἀλλὰ καὶ  
 ὅπως, εἰ μὲν ὡς μηδίσας πρότε-  
 ρον ὁ Γουβᾶζης δικαιοτάτα φανείη  
 ἀνγρημένως, μηκέτι ἀνιῶντο οἱ  
 Κόλχοι, μηδὲ ὡς τι δεινὸν πε-  
 πονήτες ἀγανακτοῖεν. εἰ δὲ γε  
 ἅπαντα καταφυσάμενοι καὶ ἄδι-  
 κον μίσημα δράσαντες ἀλοῖεν οἱ  
 ἀπεκτονότες, οὕτω τε καταδαι-  
 τηθέντες καὶ ὑπὸ κήρυκι πομπῆ  
 ἀνά τὰ πλήθη περιηγμένοι, εἶτα  
 τῷ παλαμναίῳ ξίφει ἅπλων  
 θεωμένων κατατομηθεῖεν, τότε  
 δὴ μείζον τι δόξειεν εἶναι, τὸ πέ-  
 ρας καὶ διπλασίαν ἢ τιμωρία.  
 ἡπίστατο γὰρ ὡς, εἰ μὲν οὕτω  
 πως ἐν ἀπορρήτῳ βαρβαρικώτε-  
 ρον Ἰουδαϊκὸν τε καὶ Ἰωάννην  
 διαφθαρῆναι παρακλεῦσαιτο, οὐκ  
 ἀποχρώντως ἡγήσασθαι ἂν τοὺς  
 Κόλχους τὴν ὑβρίν αὐτοῖς ἀπε-  
 σκεῦασθαι οὐδὲ προσήκουσαν  
 ποινήν κομίσασθαι τῶν ἡμαρτη-  
 μένων. δικαστηρίου δὲ κατασιάν-  
 τας, καὶ ἀντιλογίας ἑκατέρωθεν  
 προελθούσης, καὶ τῶν ὑπηρετῶν  
 ἄνω τε καὶ κάτω διαττόντων, καὶ  
 ὅπως τῶν κρινομένων ἕκαστος ἐν  
 κόσμῳ ἐστήξει καὶ ἀπεκρινεῖται  
 διατακτομένων, ὄγκου τε δικασ-  
 τῶν φαινομένου καὶ μεγαληγο-  
 ρίας ἀκουσμένης, καὶ ἐπὶ τούτοις  
 τοῦ ἐλέθρου φρικωδέστερον ἐπι-

ვირვებინა ისინი ამით, რათა ისინი უფრო მეტად შეჩვეოდენ რომაელთა მმართველობას, არამედ იმიტომაც, რომ, თუ დამტკიცდებოდა, რომ გუბაზი სამართლიანად იქმნა მოკლული, როგორც სპარსელების მომხრე, კოლხებს თავი დაენებებინათ თავისი მწუხარებისათვის და აღარ ყოფილიყვნენ აღელვებულნი, თითქოს რაღაც საშინელი უბედურება განიცადეს. ხოლო თუ აღმოჩნდებოდა, რომ მკვლელებმა ყველაფერი ეს მოიგონეს და უსამართლოდ ჩაიდინეს მკვლელობა, და, ამრიგად, ისინი გამტყუნებული იქნებოდენ, მათ შუა-ჯარში ჩაატარებდენ მაუწყებლის თანხლებით, შემდეგ ყველას თანადასწრებით თავებს მოჰკვეთდენ სასიკვდილო მახვილით და მაშინ ბარბაროსებს საქმის დასასრულიც უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენებოდათ და სასჯელიც გაორკვეებულად. მან იცოდა, რომ, თუ საიდუმლოდ ბარბაროსთა წესით, ბრძანებდა რუსტიკეს და იოანეს მოკვლას, კოლხები საკმარისად არ ჩათვლიდენ ამას და, მათი აზრით, მათი შეურაცხყოფა არ იქნებოდა, გამოსყიდული და მკვლელებსაც საკადრისი სასჯელი არ ექნებოდათ მიზღვეული. ხოლო, თუ სასამართლო შესდგებოდა და ორივე მხრით კამათი გაიმართებოდა, რომლის დროსაც სასამართლოს მოსამსახურენი აქეთ-იქით ივლიდენ და მოაწესრიგდენ, რათა თითოეულ მომჩივანთაგანს წესრიგი დაეცვა და ისე ელაპარაკა, თუ სასამართლოს სიდიადეს დაანახვებდენ კოლხებს და მჭერმეტყველ სიტყვებს მოსამენინებდენ, და ამით უფრო შემზარავად მოაჩვენებდენ ჩადენილ მკვლელობას, – აი, თუ ყველაფერი

γιγνομένων, τούτων δὴ οὖν αὐτῶν  
πραττομένων ἕτερόν τι αὐτοῖς  
μείζον καὶ μάλα εἰκότως φανεῖσ-  
θαι τὸ χρεῖμα ἐγίγνωσκε καὶ  
τάχα τὴν ἀξίαν τοῦ ἐπικλήμα-  
τος ὑπερβάλλον. ταῦτα γὰρ καὶ  
τοὺς ἐν Βυζαντίῳ ἀστούς, καίτοι  
θαμὰ ἐκεῖσε γιγνόμενα, κατα-  
πλήττει καὶ ἐξίστησι τῶν φρονη-  
μάτων, μήτι γε βαρβάρους καὶ  
οὐκ εἰθισμένους. τούτων μὲν οὖν  
ἕνεκα, οἶμαι, Ῥωμαϊκὸν δικασ-  
τήριον, μάλλον μὲν οὖν Ἀττικώ-  
τατον, ὑπὸ τῇ Καυκάσῳ ξυνεκ-  
ροτήθη.

Τότε δὲ Ῥούστικὸς τε καὶ  
Ἰωάννης, ἐκ τοῦ δεσποτηρίου  
ἡγμένω, ἀνὰ τὸ λαϊκὸν μέρος ἐσ-  
τήκατον, οἶα δὴ φεύγοντε. ἐπὶ  
θάτερα δὲ παρήσαν κατηγορη-  
σεῖοντες τῶν Κόλχων οἱ ἐμφρο-  
νέστατοι καὶ ἤδη ἐκ πλείστου  
τὴν Ἑλλάδα φαγίην ἐκμεμαθη-  
κότες. ἐδέοντο δὲ πρότερον τὴν  
παρὰ βασιλείῳς ἐπιστολὴν ἐν  
κοινῇ ἀνακηρύττεσθαι, ἥνπερ ἐτύγ-  
χανε πρότερον ὁ Ἰωάννης τού-  
των δὴ περὶ τοῖς στρατηγοῖς δι-  
κομίας· ἀλλὰ γὰρ καὶ τῇ διαι-  
τητῇ ξυνοδοῦν, γεγωνότερόν τις  
αὐτῇ τῶν ἐς τοῦτο τεταγμένων  
διεξήσει, ὡδὲ πως ἔχουσιν·

ასე იქნებოდა მოწყობილი, მდგო-  
მარეობა უფრო მნიშვნელოვნად და  
უფრო საგრძნობლად მოეჩვენებო-  
დათ კოლხებს და ბრალდების წო-  
ნაც უფრო გაზვიადებულად. ასეთ  
რამეს ბიზანტიონის მოქალაქეებიც  
მოჰყავს განცვიფრებაში და თავ-  
ზარს სცემს მათ, თუმცა იქ ხშირად  
ხდება ეს; მით უმეტეს განაცვიფ-  
რებდა ბარბაროსებს, რომლებიც  
ამას ჩვეული არ იყვნენ. აი, ამ მო-  
საზრებებით იქმნა მოწყველი, ჩემის  
აზრით, რომაული – უკეთ რომ ვთქვა  
ატკური – სასამართლო კავკასიო-  
ნის ძირში.

IV 2. რუსტიკე და იოანე მოი-  
ყვანეს სატუსალოდან და დააყენეს  
მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი.  
მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდე-  
ბელნი, დარბაისელი კოლხები, რო-  
მელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავ-  
ლათ ელლინთა ენა. პირველ ყოვ-  
ლისა მათ მოითხოვეს საჯაროდ  
ყოფილიყო წაკითხული მეფის წე-  
რილი, რომელიც ამ საქმეს ეხებო-  
და და რომელიც იოანეს მოეტანა  
სტრატეგოსებისათვის<sup>1</sup>. მსაჯულმა  
შეიწყნარა ეს მოთხოვნა და ერთ-  
მა საგანგებო მოხელემ ხმამაღლა  
წაკითხა ის წერილი, რომელშიაც  
შემდეგი ეწერა:

### იუსტინიანეს წერილი

Ἀπιστον μὲν καὶ παράλογον τὸ  
πρὸς ἡμῶν ἀνηγγελημένον ὡς ἄρα

„დაუჯერებელი და უცნაურია  
ის, რაც თქვენ მაცნობეთ, სახელ-

<sup>1</sup>) იუსტინიანეს ამ წერილის გამოგზავნის ისტორია მოთხრობილი აქვს აგათიას ზემოთ (გვ. 36 – 48).

βουλομένῳ ἐστὶ τῷ Γουβάζῃ τὰ πά-  
 τρια ἔθνη καταπροεμένῳ καὶ τοὺς  
 ἐν ἅπασιν ἐμόφρονας καὶ ἀνέκα-  
 φθεν ἡγεμόνας, τοὺς Ῥωμαίους  
 φαμέν, ἐπὶ τοὺς ἐχθίστους τε καὶ  
 ἀλλοτριωτάτους καὶ πρὸς γε τὰ  
 ἐς θεὸν ἐτερογνώμονας μεταχω-  
 ρῆσαι, καὶ ταῦτα οὐδὲν ἐτίσῃν ἐξ  
 ἡμῶν ἄχαρι προπεπονθῶσι. πλὴν  
 ἀλλ' ἐπειδὴ γινώσκωμεν τὰ ἀν-  
 θρώπεια παλίμβολά τε καὶ ὀλισ-  
 θηρὰ καὶ τῇ ποικιλίᾳ τῶν παρεμ-  
 πιπτόντων ξυμπεριάγεσθαι πεφυ-  
 κότα, οὐ παντάπασιν ἀπιστεῖν  
 φήθημεν χρήναι, οὐδὲ μεθεῖναι  
 μὲν τὸ φυλάξασθαι τὰ παρ' ἐκεί-  
 νου εἴτε ἰσως εἴτε πάντως βεβου-  
 λευμένα, καταλιπεῖν δὲ ἐν ἡμῖν  
 αὐτοῖς φροντίδα περιττὴν καὶ  
 ἀμφιρρόπους ἐννείας, ἐπ' ἀνήλιφ  
 εἶτι κειμένου τοῦ τέλους. καίτοι  
 ἀλλόκοτόν τι καὶ ταραχώδες τὸ  
 μηδ' αὖτως ἐφ' ὄψωσιν βεβαιότατα  
 πεποιθέναι, ἀλλ' ὀφείλας αἰεὶ καὶ  
 δείματα εἶναι μεστόν, καὶ ἐπ'  
 αὐτοῖς θήπου τοῖς ξυνηθεστάτοις.  
 ὅμως, ἐν ἅπασιν γὰρ τοῦτο νικᾷ,  
 ἐπόμεθα καὶ ἡμεῖς τῇ φύσει,  
 καὶ ἀπιστοῦμεν. ὥς ἂν δὲ μήτε  
 πρ. πετῶς ὁμῶν τι καὶ ἀπηνὲς  
 θάσσομεν ἐπὶ Γουβάζῃ, μήτε τῷ  
 οὐκ εἰκότι θῆθεν ἀναπεπεισμένοι  
 μαλθακισθεῖν, ἀλλ' ἐκφύγοι-  
 μεν τὰς ἐκατέρωθεν μεταμελείας,  
 εὐβουλόν τι ἡμῖν κατεφάνη καὶ  
 μέσως πως ἔχον ἐνταῦθα τὸν  
 ἄνδρα παραγενέσθαι. στέλλειν  
 τοῖσιν αὐτὸν τῇ ταχίστην, εἴτε

დობრ, თითქოს გუბაზს სურდეს  
 გადაუდგეს მამა-პაპის ადათს და  
 თავის ძველ, ყველაფერში ერთ-  
 აზროვნე წინამძღოლებს, ესე იგი  
 რომაელებს, და გადავიდეს მის-  
 დამი მტრულად განწყობილ, სრუ-  
 ლიად უცხო და სხვა სარწმუნოე-  
 ბის მიმდევარ სპარსელთა მხარეზე,  
 და ეს ჩაიძინოს იმ დროს, როდე-  
 საც მას ჩვენგან უსიამოვნო არა-  
 ფერი შეხვედრია. მიუხედავად  
 ამისა რადგან ვიცით, რომ ადა-  
 მინს სჩვევია ცვალებადობა და  
 მერყეობა და გარემოებათა ნაირ-  
 ნაირობასთან ერთად თვითონაც  
 სხვადასხვანაირად იქცევა ხოლმე,  
 ამიტომ ჩვენ საჭიროდ არ ვცა-  
 ნით სრული უნდობლობით მოვ-  
 პრობოდით იმ ამბავს (გუბაზის გან-  
 დგომის შესახებ) და არ გვეზრუნა  
 თავის დაცვაზე მის მიერ განზრა-  
 ხულ თუ უკვე მიღებულ გადაწყვე-  
 ტილების წინააღმდეგ; ხოლო ჩვენ  
 თვითონ მეტად გვაწუხებს და ყო-  
 ველმხრივ გვაფიქრებს ეს საქმე,  
 ვინაიდან არ არის ნათელი, თუ  
 რით გათავდება ის. თუმცა შემა-  
 ძრწუნებელი და ამაღელვებელია ის,  
 რომ მტკიცედ ვერავის დაეყრდნო-  
 ბი და მუდამ ეჭვითა და შიშით უნდა  
 იყო აღვსილი თვით ძალიან კარგი  
 მახლობლების მიმართაც კი, მიუხე-  
 დავად ამისა ჩვენ მაინც მივყვებით  
 ბუნების კანონს (და ეს არის რომ  
 ყველაფერში იმარჯვებს) და უნ-  
 დობლობას ვიჩენთ. მაგრამ, რათა  
 გუბაზის მიმართ აჩქარებულად არ  
 გადავდგათ მკაცრი და სასტიკი



βουλόμενον εἴτε ἡγαγκασμένον. εἰ δὲ γε ἡμᾶς ταῦτα ἐθέλειν ἐγνωκῶς ἀντισταίη καὶ ἀπαναίνωτο τὴν πειρείαν, ἐπιλαμβανομένων τε ἡμῶν καὶ ἐλκόντων, καὶ γὰρ τοῦτο ποιεῖν ἡμῖν τοῦντεσθῆεν ἐξέσται, εἰ δὲ διωθοῖτο καὶ ἀντεπιφέροιτο, καὶ ὅτω σὺν τρόπῳ τὰς χεῖρας ἀντάραι, τότε δὴ ἕξομεν περιφανεῖς τοὺς ἐλέγχους τῶν μελετωμένων καὶ τὸ λοιπὸν ἐν τοῖς πολεμικαῖς τετατάχεται, ὥστ', εἰ ποῦ τις αὐτὸν τοιαῦτα καὶ ἀποκτείνῃ, οὐδὲ τοῦτο ἡμῖν ἐσόμενον ἀπὸ τρόπου, οὐκ οὖν οὐδὲ ποιῶν ὁ δρᾶσας ἰφέξει τὸν ἐγχειρήματος. οὐ γὰρ ὡς μαιφόνον αὐτὸν κολαστέον, ἀλλ' ὡς τυραννοκτόνον ἐπαινετέον“. ἡ μὲν οὖν παρὰ βασιλέως ἐπιστολὴ τοιαύδε ἄττα ἐγκλεισθεμένη διέγνωστο.

ამიერიდან შეგვიძლია ჩავთვალოთ მტრად, ისე რომ, თუ მას, ასე გათავხედებულს, ვინმე კიდევაც მოჰკლავს, ამას უკანონო საქციელად არ ჩავუთვლით; ამ საქმისათვის არა თუ დასჯილი არ იქნება ის, როგორც მკვლელობის ჩამდენი, არამედ ქების ღირსიც იქნება, როგორც ტირანის მომსპობი“. აი, ამას ბრძანებდა მეფე თავის წერილში, და ეს შეიტყეს დამსწრეებმა.

### კოლხთა წარმომადგენლების საბრალმდებლო სიტყვა

Αὐτίκα δὲ οἱ ἄνδρες τῶν Κόλχων, οἱ δὴ πρὸς τὸ κατηγορεῖν ἐτετάχαστο, ἐπειδὴ αὐτοὺς ὁ δικάστη; ἐψηφίζετο τὰ σφέτερα αὐτῶν δικαιώματα ἢ βουλοῖντο πρῶτον, οἱ δὲ πρῶτον εἶχοντο τὸν ἐπικλήματος, καὶ ἔλεξαν τοιαύδε· „Ἀπόχρη μὲν, ὦ δικάστα, τὸ τετολμημένον, εἰ

ნაბიჯი და არც სირბილე გამოვიჩინოთ რაიმე შეუფერებელ გარემოებათა გავლენით. ამიტომ, ორივე ამ შემთხვევაში სინანულის თავიდან ასაცდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შუა გზა აგვერჩია და ის კაცი (გუბაზი) აქ დაგვებარებინა. ამიტომ გავალბთ გამოგზავნოთ ის რაც შეიძლება მალე, ნებით ან ძალით. მაგრამ თუკი ის განზრახვას მიგიხვდებათ, წინააღმდეგობას გაგიწევთ და წამოსვლაზე უარს განაცხადებს, შეიპყროთ და წამოათრიეთ (ამის ნებასაც გაძლევთ მე თქვენ ამ შემთხვევაში), ხოლო თუ ის გაგისხლტებათ და თქვენზე იერიშს მოიტანს, და, მაშასადამე, ამათუიმ სახით ხელებს აღმართავს თქვენ წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ ამკარა საბუთები გვექნება მის განზრახვათა შესახებ და

IV 3. კოლხთა კაცები, რომელნიც ბრალმდებლებად იყვნენ დანიშნულნი, წამოდგნენ მაშინვე, როდესაც მსაჯულმა გამოუცხადა – თქვენი ბრალდებები წამოაყენეთ თუ გსურთო – და, რადგან საბრალდებო ბევრი ჰქონდათ სათქმელი, თქვეს შემდეგი: „ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო,

καὶ μηδὲν ἑτοιμὸν φήσασιν, ποι-  
 ναῖς ταῖς μεγίσταις ὑπάγειν τοὺς  
 δεδρακότας· πλὴν ἀλλὰ τοῖς ἡμε-  
 τέροις<sup>1</sup> νόμοις δοκοῦν τὸ χρῆναι  
 καὶ τῶν ἐμφανῶν πέρι καὶ μεγίσ-  
 των ἀδικημάτων μὴ πρότερον  
 τὰς κρίσεις ἐκφέρειν, πρὶν ἂν  
 καὶ λόγῳ τὰ παραχθέντα διαγο-  
 ρεύειν, ἥκομεν νῦν ἐροῦντες μόν-  
 ον ἀμισγέπως τὰ γεγενημένα.  
 οὕτω γὰρ ἂν καὶ ἡμῖν διανυσθί-  
 σεται τὸ νομισμένον, εἰ καὶ τὰ  
 τῶν λόγων εἶεν ἅπλα καὶ ἥμισθα  
 κεκρυμμένα, καὶ οἷα τοῖς μεγέ-  
 θους τῶν ἐργασμένων μὴ ἐξικ-  
 νεῖσθαι. ποῖα γὰρ αὐτοῖς λε-  
 λείφεται σκήψις, ἄνδρα τοσοῦ-  
 τον, φίλον ἡμῖν καὶ ξυνήθη  
 καὶ ξύμμαχον καὶ ἰσοδυναμῶν καὶ  
 ἰσοσπονδῶν καὶ ταῦτά περὶ τὸ  
 κρεῖττον φρονούντα, καὶ τί δὲ  
 οὐχὶ τῶν οἰκαιοτάτων κεκτημένον,  
 ἀνέδην<sup>2</sup> οὕτω διαχειρισσάμενος  
 καὶ πολλῇ τῇ δυσμενείᾳ χρῆσθαι  
 καθ' ἡμῶν<sup>3</sup> φαραθεῖσι, τῶν τῶν  
 ἐχθρῶν τεθεραπευκέναι; βασι-  
 λεὺς γὰρ ὁ ἀνηρημένος, ὃ δίκασ-  
 τὰ, καὶ ἔθλους οὐκ ἀγεννοῦς καὶ  
 πρὸς ἀρετὴν ἐνεργότατος καὶ τὰ  
 Ῥωμαίων στέργων ἀεὶ πολλῶν  
 μᾶλλον τῶν ἀπεκτονότων.

თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება  
 საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამ-  
 დენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოს.  
 მაგრამ თქვენი კანონების მიხედ-  
 ვით თვით აშკარა და უდიდეს  
 უკანონო მოქმედებათა შესახებაც  
 კი მიღებულია, რომ განაჩენი  
 არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე  
 არ იქნება გარჩეული სიტყვიერი  
 პაექრობის საშუალებით, და ამი-  
 ტომ ჩვენ შევუდგებით საქმის ვი-  
 თარების განმარტებას. ამრიგად,  
 ჩვენ მიერ შესრულებული იქნება  
 კანონით დაწესებული, თუმცა ჩვე-  
 ნი სიტყვა მარტივი და გაუმარ-  
 თავი იქნება და, შესაძლებელია,  
 ჩადენილი ბოროტმოქმედების მნი-  
 შვნელოვნობა მან ვერც კი გად-  
 მოგვცეთ. რა გამართლება შეიძლება  
 ვუპოვოთ იმათ, რომელთაც ისე  
 შეუპოვრად მოკლეს ასეთი დიდე-  
 ბული კაცი, თქვენი მეგობარი და  
 მოკეთე, მოკავშირე ომიანობის  
 დროს და მშვიდობიანი ცხოვრე-  
 ბისა და ზავის დროს, უზენაესის  
 შესახებაც თქვენნიარად მოაზროვ-  
 ნე და თქვენი წესების მიმდევარი,  
 და რომელთაც უდიდესი მტრობა  
 გამოიჩინეს თქვენ მიმართ, თქვენს  
 მტრებს კი სამსახური გაუწიეს?

მოკლული ხომ მეფე იყო, მსაჯულო,

არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული, და რომაელთა  
 საქმეებისათვის მუდამ იყო მკვლევლებზე უფრო ერთგული.

1) ἡμετεροις – ხელნაწერები, ἡμετεροις – ნიბური

2) ἀνέδην R და vulg; სხვები: ἀναίδην („ურცხვად“, „თავხედურად“).

3) καθ' ἡμῶν R, καθ' ἡμῶν vulg.

4) ე. ი. ერთმორწმუნე, თქვენსავით ქრისტიანი იყო.

„'Ανατετράφεται δὲ τὰ Κόλχων πράγματα καὶ διερρή, ἀληθέστερον δὲ τὰ κοινά, εἰ γέ μέρος τι καὶ ἡμεῖς ἐν τῷ ἐλάχιστον τῆς ὑπηκόου τυγχάνομεν ὄντες. καὶ διόλωλεν ἡμῖν τὸ ἀκραιφνὲς τῶν καθεστώτων καὶ ἄπταιστον καὶ κατὰ πολὺ τῆς οἰκείας δυνάμεως μειογενετέσθαι· πολιτεία δὲ μὴ διὰ πάντων ἐρρωμένη, ἀλλὰ βραχείᾳ γούνην τινὲ μίρα σφαλεῖσα οὐκέτι ξυγεσθάναι δόξειεν ἂν προσηκόντως, τοῦναντίον μὲν οὖν καὶ αὐτὴν ψεύδεσθαι τὴν ἐπανουμίαν τὸ ἐντελῶς ἔχειν ἀφῆρημένη.

„Τὰυτα δὲ οὖν ἅπαντα δράσαντες οὐ φασι δεῖν ἡμᾶς τὸ πραχθῆναι εἰ καὶ δεῖνόν εἴη σκοπεῖν, μόνην δὲ τὴν γνώμην καὶ ἴν' ἐργασθαι διερευνᾶν καὶ προσείσθαι, καὶ διὰ τινῶν ἀφανῶν τεκμηρίων καὶ οἷον εἰκότων χωροῦντας, ἀναπλάττειν ταῖς ἐγνοῖαις εὐεργεσίαν ἡμῖν οὐτοῖς ἐντεῖθεν παραγεγενημένην ἢ τῷ σχφεῖ μάλλον τῆς βλάβης τοების საშუალებით დაგისახონ თავისი მოქმედება, როგორც თქვენ საკეთილდღეოდ ჩადენილი, ვიდრე აღიარონ აშკარა ზარალი, საქმისთვის მიყენებული. ასეთ ტყუილებს ყბედობდენ ისინი ხშირად სასამართლოს დანიშვნამდე და ფიქრობდენ, რომ ბევრს შეაცდენდენ. თუ კი ისინი საქმის გარჩევის დროსაც ასეთსავე მოსაზრებებს წამოაყენე-

„უკულმა დატრიალდა კოლხთა საქმეები და დაინგრა, განსაკუთრებით სახელმწიფო საქმეები, თუმცა ჩვენ ქვემევრდომი სახელმწიფოს ერთ, არა უმნიშვნელო, ნაწილს შევადგენთ. თქვენც აღარა გაქვთ თავისუფალი და ურყევი მდგომარეობა და საგრძნობლად დაგისუსტდათ საკუთარი ძალღონე. თუ სახელმწიფო ყოველმხრით არ არის გამაგრებული და ერთს რომელსამე ნაწილში მოდუნებულია, ვედარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას.

„რადგან ყველაფერ ამის ჩამდენნი ისინი არიან, ამიტომ გეუბნებიან ამ – თუმცა საშინელს – საქმეს კი ნუ უყურებთ, არამედ მხოლოდ ის განზრახვა უნდა გამოიკვლიოთ და მხედველობაში მიიღოთ, რომლითაც ვხელმძღვანელობდითო; და უფრო ამჯობინებენ ზოგიერთი ბუნდოვანი – თითქოს სინამდვილის შესაფერისი – საბუ-

1) ჩვენის აზრით, კოლხებს ამით შემდეგის თქმა უნდოდათ: კოლხეთის საქმეები აირივ-დაირია და უკან-უკან მიდის, ხოლო კოლხეთი ბაზანტიის იმპერიის ერთს მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და, ცნობილი დებულებაა, თუ სახელმწიფოს რომელსამე თავის ნაწილში არ აქვს დამშვიდებული და მტკიცე მდგომარეობა, ის, საზოგადოდ, არ ჩაითვლება მტკიცე და უზრუნველ სახელმწიფოდ.

καὶ τοῖς ἔργοις ἀποδεικνύμενοι πιστεῦναι αἰρεῖσθαι. ταῦτα γὰρ δὴ τὰ σοφίσματα καὶ πρὸ τῆς δικῆς πολλάκις διαφρυσούντες παράγειν τοὺς πλείστους ἤγοοντο. εἰ τοίνυν καὶ παρὰ τοὺς ἀγῶνας τοιαῦτα προσήθειεν, γιγνασκόντων, ὡς δικαστὰ, ὡς οὐ Ῥωμαῖκὸν εὐδὲ δίκαιον τὸ μὲν ἐμφανὲς οὕτω καὶ προὔπτον ἀδίκημα παραλιπεῖν, ἀδήλοισι δὲ μάλλον αἰτίαις ἄλλως αὐτῆς μεμηχανημέναις ἐξαπατηθῆναι. οὐ γὰρ ἀνεκτόν αὐτῶν ὡς μὲν ἀπεκτόνασι τὸν ἄνδρα διαρρήδην φασκόντων, ὡφέλειαν δὲ μεγίστην ἐνθῆνδε τοῖς κοινοῖς πεπορισθῆαι πράγμασι τερατευσόμενων. πῶς γὰρ ἂν τὰναντία ἔυσταίεν σφίσιν αὐτοῖς, ἢ πῶς τὴν πράξιν δεινὴν ἀπικαλοῦντες ἐπαινεσόμεθα τὴν δράσασαν γνῶμην ὡς τοῦ ξυνοίσαντος ἐστοχασμένην; πάσαι γὰρ ἀλλήλαις ἀποκεκριμέναι τυγχάνετον ὡφέλεια καὶ παρανομία, ὡμότης τε καὶ δικαιοσύνη διεστηκότα καὶ ἄμικτα καὶ ὁμόσε χωρεῖν οὐπώποτε πεφυκότα.

„Εἰ δέ γε καὶ γυμνὴν τὴν διαγωνίαν ἐξεταστέον, φανήσονται καὶ ταύτη δύναι καὶ κάκιστοι, ὡς δὴ τὰ τοὺς Πέρσας ἀρέσκοντα βεβουλευμένοι· ὥστε οὐδὲ Ῥωμαῖνους ὀνομάζειν τοῖσδε τοὺς μαιφόνους προσήκει οὐδὲ ὡς ὁμοφύλοις μετ' εὐνοίας διαιτητέον αὐτοῖς, ὅτι μὴ καθάπερ λίαν ἐχθίστοις, ἐπεὶ καὶ ἤδη τῇ κοινῇ τῆς φύσεως νόμῳ

ბენ, დე იცოდენ მათ, მსაჯულო, რომ არც რომაელს და არც სამართლიანობას სჩვევია ასეთი ცხადი და აშკარად ჩადენილი უსამართლობა უყურადღებოდ დასტოვოს და თავი მოატყუებინოს ბუნდოვან მიზეზებს, რომლებიც უსაფუძვლოდაა მკვლელების მიერ შეთხზული. შეუწყნარებელია ამის ატანა: თვითონვე აშკარად ამბობენ, რომ მოკლეს ის კაცი, და თანაც სტყუიან, რომ ამით უდიდესი სარგებლობა მოუტანეს სახელმწიფო საქმეებს. როგორ თავსდება მათ თავში ეს წინააღმდეგობა, ან როგორ. შეგვიძლია ჩვენ, რომლებიც ამ საქციელს საზიზღარს ვუწოდებთ, შევაქოთ მისი ჩამდენი და ვთქვათ, რომ მისი მიზანი იყო სახელმწიფოსთვის სარგებლობა მოეტანა? იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურევნელი, მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი.

IV 4. „თუ კი მათ ზრახვებს გავაშიშვლებთ და გამოვიკვლევთ, აქაც ისინი გამოჩნდებიან უბოროტეს მტრებად, სპარსელთა სასარგებლო განზრახვების მქონეებად; ასე რომ საკადრისიც არ არის ამ სისხლისმსმელებს რომაელების სახელით ვიხსენიებდეთ ან კეთილგანწყობილი ურთიერთობა ვიქონიოთ მათთან, როგორც თვისტომებთან;

μεμερισμένοι τυγχάνουσι, κἄν μή-  
πω τῷ παρ' ὑμῖν γεγραμμένῳ. τὸ  
γὰρ ἀντίπαλον καὶ ἀλλότριον τοῖς  
ἔργοις γνωρίζεσθαι χρὴ οὐ τῷ  
πορρωτέρῳ<sup>1</sup> τετάχθαι. ὁ δὲ, εἰς  
ἂν ἴσθητεῖν οἱ δυσμενεῖς, ταῦτα  
προὔργου ποιοῦμενος, πολέμιος  
ἂν κριθῆιη δικαίως, κἄν ξυμπρῆ  
κἄν ξυστρατεύοιτο κἄν ὡς ἐγγύ-  
τατα τῷ γένει ξυνηῖται. ἀλλὰ  
γὰρ οὐ φίλον οὐδὲ βασιλέα φα-  
σὶν ἀπεκτονέναι, πολέμιον δὲ μᾶλ-  
λον καὶ τύραννον καὶ τὰ Περσῶν  
ἐσπουδακότα. πρὸς τοῦτο γὰρ ἐλη-  
λάκασι πρᾶνομίας, ὡς μηδισμοῦ  
διώκειν τὸν κείμενον· καὶ περιέστη-  
κε τῷ δειλαίῳ μηδὲ τεθνηκότι  
τῶν δεινῶν ἀπηλλάχθαι ἀλλὰ νῦν  
προδοσίᾳ φεύγειν γραφίῃ ὅτε  
μηδὲν πλέον ἔξει νικῶν. ποῖος δὲ  
νόμος ἢ παρ' ὑμῖν<sup>2</sup> ἢ παρὰ βαρ-  
βάρους ἐπαινέσειεν ἂν κατηγορίαν  
ἐν ἑστέρω τῆς κρίσεως γυγνομέ-  
νην; κριταὶ γὰρ αὐτοὶ καὶ δυσ-  
μενεῖς καὶ κατήγοροι καὶ ἅμα  
πάντα καταστάντες, τιμωρίαν μὲν  
ἀνεξέταστος τῷ μηδὲν ἡμαρτη-

ისინი უნდა ჩავთვალოთ უკიდურეს  
მტრებად, რომლებიც ჩვენგან გა-  
მოთიშა ბუნების კანონმა, თუმცა  
ეს კანონი თქვენგან ხელმოწერი-  
ლი არაა: მოწინააღმდეგესა და  
მტერს ხომ საქმის მიხედვით გა-  
მოიცნობ ადამიანი და არა სიმო-  
რის მიხედვით. ცხადია, მტრად  
უნდა ჩათვალო ის, ვინც იმას  
აკეთებს ხალისით, რაც მოწინააღმ-  
დეგებს ესიამოვნებათ, თუნდაც  
ის შენთან იყოს და შენთან ერთად  
ლაშქრობდეს და ახლო ნათესაურ  
კავშირში იყოს შენთან. ეხლა: ისი-  
ნი ამბობენ, რომ მოკლეს არა მე-  
გობარი, არა მეფე, არამედ მტერი,  
ტირანი და სპარსელების მომხრე.  
კიდევ მეტი: ისინი ისეთ უსამარ-  
თლობამდე მივიდნენ, რომ განსვენ-  
ებულს აბრალებენ მედიზმსაც<sup>2</sup>:  
საბრალო! სიკვდილის შემდეგაც  
ვერ განთავისუფლდა უბედურები-  
საგან, და ეხლაც, როდესაც მას აღარ  
შეუძლია თავი იმართლოს, მოღალა-  
ტეობაში ედება ბრალი. რომელი  
კანონი – თქვენი ან ბარბაროსე-  
ბისა – მოიწონებს ასეთ მდგომა-

რობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს და მერე წაუყენო  
ბრალდება? ისინი თვითონ არიან მსაჯულებიც, მტრებიც და ბრალ-  
მდებლებიც, ყველაფერი ერთად შეასრულეს და საქმის გაურჩევლად  
სრულიად უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნეს, როგორიც  
შეეფერებოდა მართლაც ტირანობაში გამტყუნებულს. ეხლა კი, რო-  
დესაც თავის გამართლება სჭირდებათ, მოდიან და ბრალსა სდე-  
ბენ უსამართლოდ დასჯილ კაცს; სანამ მას მოჰკლავდნენ, საჭირო

<sup>1</sup>) πορρω *R* და *Porphyr.* (De sententiis, ed . Boissevain. Berolini 1906, p. 16)

<sup>2</sup>) მედიზმი (μηδισμος) ეწოდება სამშობლოს (ბიზანტიის) დალატს და მიდიელთა მხარეზე გადასვლას.

<sup>3</sup>) παρ' ἡμῖν *Lugd.*, παρ' ἡμῖν *R*, *Par.*

κότι προσήγαγον, ὅποιαν εἰκόδῃ  
 ἦν ὑποσχεῖν τὸν ὡς ἀληθῶς τυ-  
 ραννίδος ἀλόντα. ἦκουσι δὲ νῦν,  
 δέον ἀπολογεῖσθαι, κατὰ αἰτιώμε-  
 νοι τὸν ἡδικοημένον· καίτοι ἐχρῆν  
 αὐτοὺς πρὶν ἀνελεῖν, εἴ γε ταῖς  
 αἰτίαις ἐπεποιθήσαν, ἐμφανῶς τὴν  
 πρὸς αὐτὸν ἐνστήσασθαι δίκην,  
 καὶ πρῶτους ἐγκαλεῖν, ἀλλὰ μὴ  
 νῦν κατηγορημένους ἀντεγκαλεῖν.  
 εἴ γὰρ τοῦτο πᾶσιν ἐφείτῃ, τί  
 δήποτε ἄρα μὴ καὶ ἡμεῖς τοῦσδε  
 τοὺς μαιφόνους αὐτοχειρῶς διεχ-  
 ρησάμεθα; παρὸν ἡμῖν, πρὸς δι-  
 κὴν τυχὸν ἀγομένους, ἀντεπιφέ-  
 ρειν αὐτοῖς καὶ τεθνηκόσι τὰ  
 παρ' αὐτῶν πρότερον ἡμαρτη-  
 μένα, καὶ ταύτῃ πειρᾶσθαι δεικ-  
 νύειν τὸ εὐλόγως ἀντιμαρτηρέ-  
 ναι; μάλλον γὰρ ἡμεῖς ἐπὶ σα-  
 φέσι τοῖς προσηργμένοις χαλε-  
 πήναντες, ἐνδίκως ἂν ἡμυνόμεθα  
 τοῦτους, καὶ τὰ τῆς ἀντιλογίας  
 προσηκόντως ἐχώρει. ἀλλ' οὐδὲ  
 πρὸς ἡμῶν οὐδὲ πρὸς ἐτέρων τὰ  
 τοιάδε τολμᾶσθαι χρεῶν, εἴ γε  
 κατὰ τοὺς πατέρας ἡμῶν<sup>1</sup> νόμους  
 πολιτευτέον. φέρε γὰρ εἰ τοῖς βου-  
 λομένοις ἐξῆν τοὺς οἰκείους δυσ-  
 μενεῖς εἶπω πῶς ἀμύροον ἀποκτιν-  
 νύειν, καὶ τοῦτο πολλάκις γιγνό-  
 μενον μέχρι τοῦ ἐπ' ἀπειρον ἤδη  
 τολμᾶσθαι προσενεχθεῖν, πῶς ἂν  
 ἡμῶν τὸ γοῦν κρίνειν ἀδεῶς ἐν  
 βεβαίῳ διαμένον; ἀπάντων γὰρ  
 ἀναιρέωντων τε καὶ ἀναιρουμένων

იყო, თუ კი ისინი დარწმუნებული  
 იყვნენ ბრალდებათა სისწორეში,  
 საქვეყნოდ მიეცათ ის სამართალში  
 და თვით პირველნი გამოსულიყვ-  
 ნენ ბრალმდებლებად და არა ისე,  
 როგორც ეხლა მოხდა: როდესაც  
 ისინი თვით არიან ბრალდებულნი,  
 საპასუხო ბრალდებას აყენებენ. თუ  
 ეს ყველასათვის ნებადართულია, რა  
 გვიშლიდა ხელს ჩვენც საკუთარი  
 ხელით მოგვეკლა ეს სისხლისმსმე-  
 ლები? ჩვენც, სამართალში მიცე-  
 მულნი, მათ, უკვე მიცვალებულთ,  
 ბრალდებად წაუყენებდით მათ  
 მიერ წინათ ჩადენილ შეცოდებებს,  
 და ამით შევეცდებოდით, სრულიად  
 სამართლიანად, სამაგიერო შეგ-  
 ვეცოდა: ჩვენ ხომ ძალიან აღელვე-  
 ბული ვართ წინათ მათ მიერ აშკა-  
 რად ჩადენილი საქციელით და სა-  
 მართლიანად ვიძიებდით შურს!  
 დავაც წესიერად წარიმართებოდა.  
 მაგრამ არც ჩვენ, არც სხვებმა ამ-  
 გვარი რამ არ უნდა გავბედოთ,  
 თუ სახელმწიფო კანონების საფუძ-  
 ველზე ვაპირებთ ცხოვრებას. წარ-  
 მოიდგინეთ, თუ ყოველ მსურველს  
 ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი  
 მტრების მოკვლა, ამგვარი საქციე-  
 ლის ხშირად ჩადენა მიგვიყვანდა  
 უსაზღვრო თავხედობამდე, და რო-  
 გორღა შეგრჩებოდათ თქვენ შესა-  
 ძლებლობა თავისუფალი და დაუბრ-  
 კოლებელი განსჯისა? ყველა რომ  
 ჟლეტას დაიწყებს და გაჟლეტილი  
 იქნება და თამამად მიმართავს ერთ-

<sup>1</sup>) ἡμῶν R.

καὶ ταῖς ἀντεπιβουλαῖς χρῆσθαι κατ' ἀλλήλων φαρρύντων, οὐκ ἂν φιδάσοιτε τὰς τιμωρίας ἐπάγοντες, ἀλλὰ διαφθαρεῖται μὲν εἰκῆ τὸ ὑμόφυλον, προσ αφαιρήσει δὲ τὸν τῆς ἐξετάσεως καιρὸν ἡ τῶν ἀντιδρώντων ἑκάστοτε παρανομία.

„Καίτοι τί δειγὸν εἶναι φασιν, εἴπερ ἑνὸς ἀνδρὸς καὶ τούτου προδοτοῦ διαφθαρέντος ἅπαν ἡμῖν<sup>1</sup> τὸ ξυμμαχικὸν σωφρονέστερον καθεστήξει; προδοτῶν μὲν οὖν ὡς ἀληθῶς καὶ πλείστων ὄσων ἀπαιλλυμένων, εἰ καὶ μηδὲν ἕτερον τῶν ὠφελίμων ταῖς ἀνηρηκόσι προσγένετο, ἀλλ' αὐτὸ γε τὸ τοὺς τοιοῦτους φνήσκειν ἀρκούντως ἔχει πρὸς ὄνησιν. εἰ δὲ προδοσίας μηδαμῶς ἀποδεδειγμένης ἠφάνισται τις ἀθρόον τῶν σφόδρα λογίμων καὶ τιμηώρηται, καθάπερ διαφανῶς ἐγνωσμένων, πῶς ἂν ἡμῖν ἐνθύνδε τὸ ξυμμαχικὸν σωφρονήσῃ; πῶς δὲ οὐκ ἂν μάλλον καὶ διαλύσειεν τὰ ξυγκείμενα, εἰ γε κοινωνοὺς ἡμᾶς ὑπάρχειν τοῦ μιάσματος οἴηθειεν; λογιζόμενοι ὡς εἰ γε πρὸς τοὺς οἰκαιοτάτους ἡμῖν καὶ ξυνήθεις φειδοὺς ἦχιστα μέτεστι καὶ δικαιοσύνης, σχολῆ γε ἂν βέβαιοι διαμενεῖτε πρὸς τοὺς ἀλλογενεῖς καὶ ὀφθαλμοὺς καὶ τῆς προσπεσοῦσης χρείας οὐ περαιτέρω γνωρίζομενους, ἀλλ' οὔτε μετελήφατε τοῦ

მანეთის წინააღმდეგ მახის დაგებას, თქვენ ვეღარ შესძლებთ სასჯელის დადებას: უაზროდ დაიხოცება მთელი მოდგმა და გამოძიების საშუალებას წინასწარ მოსპობს იმათი უკანონო საქციელი, რომლებიც ყოველთვის სამაგიეროს გადახდას მიმართავენ.

IV 5. „თუმცა – ამბობენ ისინი – განა უბედურებაა ის, რომ ერთი კაცის, ისიც მოღალატის, მოკვლით ყველა მოკავშირე უფრო გონიერად მოიქცევა? მოღალატეთა მართლაც რომ დიდი რაოდენობა იქნეს მოსპობილი, თუმცა ამით არავითარი სხვა სარგებლობა არა აქვთ მკვლელებს, მაგრამ თვით მოვლენა ამგვარი ხალხის მოკვლისა საკმაოდ სასარგებლოა. მაგრამ, თუ კი, მიუხედავად იმისა რომ მოღალატეობა დამტკიცებული არაა, ერთბაშად აქრობენ და ჰკლავენ ერთ-ერთ უაღრესად წარჩინებულ კაცს, თითქოს ის აშკარა ბოროტმოქმედებაში დაეჭიროთ, რანაირად შეუწყობს ეს ხელს იმას, რომ მოკავშირეები თქვენ უფრო გონიერად მოგექცნენ? იქნებ მათ უფრო ხელშეკრულებათა დარღვევა დაიწყონ, რახან იფიქრებენ, რომ თქვენ ამ ბოროტმოქმედების მონაწილენი ხართ? ისინი დაასკვნიან, რომ, თუ თქვენინანებისა და მახლობლებისადმი არ იჩენთ ღმობიერებასა და სამართლიანობას, ძნელი საფიქრებელია, რომ ერთგულნი დარჩებით უცხოელთა და გარეშე-

<sup>1</sup>) ἡμῖν R, vulg. ἡμῖν Niebuhr .

βουλευματος οὔτε τὸ τούτοις ἰδίχ  
 προσκείμενον ἄγος ἐπὶ τὸ ξυμπαν  
 τῶν Ῥωμαίων ἔθνος ἀναδραμεί-  
 ται· οὔτε τὴν πάλαι περὶ ἡμῶν  
 κρατήσασαν δόξαν, ὡς ἄρα πι-  
 τοί τὰ ἡῆθη καὶ βέβαιαι καθεσ-  
 τήκατε καὶ δικαίως χρῆσθε νό-  
 μοις, ἢ τούτων νικήσει κακοδαι-  
 μονία. τὸναντίον γὰρ καὶ ἡγού-  
 μεθα τὸ παρὸν δικαστήριον ὑπὲρ  
 τῆς κοινῆς τοῦ γένους εὐκλείας  
 ξυνεστηκέναι, ὅπως ἂν ἅπαντες  
 ἄνθρωποι γνοῖεν ὡς οὐδὲ μὲν ἦν  
 ὑμῖν βουλομένοις τοιαῦτα τῆς  
 Κόλχους δεινὰ καὶ βίαια πεπον-  
 θέναι. νῦν μὲν γὰρ ἴσως ἐφ' ἐκά-  
 τερα τῶν πολλῶν φειτῶσιν αἱ  
 γνώμαι, καὶ τὰ τῆς δοκίσεως ἐπ'  
 ἀδῆλφ φέρεται τρόπῳ. ἐκ δὲ τῆς  
 σῆς, ὡ δικαστὰ, κρίσεως τούτων  
 ὅσον οὐπω διαφθειρομένων, γενή-  
 σεται καὶ γνωριμώτερον ὡς οὐ  
 προδοῖται τῶν οἰκείων, ἀλλὰ σω-  
 φρονιστὰι τῶν ἀδικούντων εἶναι  
 πεφύκατε. εἰ γὰρ καὶ τοῖς λό-  
 γοις ἀπολογεῖσθαι δοκοῦσιν, ἀλλ'  
 ἔργῳ κατηγοροῦντες σφῶν ἀν-  
 τῶν ἀποδείκνυνται καὶ τὸ παράλο-  
 γον τῆς μαιφονίας ἁμολογοῦντες.  
 τὸ μὲν γὰρ βασιλεῖον γράμμα  
 παρακελεύεται τοῖς στρατηγοῖς  
 στέλλειν κατὰ τὸ Βυζάντιον τὸν  
 Γουβιάζην, πειθοῖ μὲν τὸ πρῶτον,  
 ἀνηκουστοῦντα δὲ καὶ πρὸς ἀνάγ-  
 κης, ἐναντιούμενον δὲ καὶ βιάζο-

თა მიმართ, რომლებთანაც მხო-  
 ლოდ აუცილებლობის გამო გაქვთ  
 ურთიერთობა. მაგრამ თქვენ არ  
 მიგილიათ მონაწილეობა მკვლელთა  
 გეგმაში, არც მთელ რომაელ ერს  
 მიეწერება ეს ბოროტმოქმედება,  
 კერძოდ ჩადენილი ამათ მიერ; ამა-  
 თი ვერაგული საქციელი ვერც  
 თქვენ შესახებ წინათ არსებულ  
 აზრს მოსპობს, სახელდობრ, რომ  
 თქვენ ერთგულნი ხართ თქვენი  
 ქცევით და ურყევნი, და სამართ-  
 ლიანი კანონებითაც ხელმძღვანე-  
 ლობთ. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ,  
 რომ ეხლანდელი სამსჯავროც ხალ-  
 ხის საერთო დიდებისათვის მოაწ-  
 ყეთ, რათა ყველას გაეგო, რომ  
 თქვენ არასდროს არ გნდომიათ.  
 კოლხებს ისეთი საშინელი ძალა-  
 დობა განეცადათ. შესაძლებელია  
 ეხლა ბევრის აზრი ხან აქით იხრე-  
 ბოდეს, ხან იქით, გაურკვეველი  
 და მერყევი იყოს, მაგრამ, მსაჯუ-  
 ლო, როდესაც შენი მსჯავრის მი-  
 ხედვით ისინი მალე მოკლული იქ-  
 ნებიან, უფრო გასაგები შეიქნება,  
 რომ თქვენ (რომაელები) თავისიანე-  
 ბის მოღალატენი კი არა ხართ,  
 არამედ, უსამართლოდ მომქმედთა  
 მომთვინიერებელნი. თუმცა ისინი,  
 როგორც ჩანს, სიტყვით თავს იცა-  
 ვენ, მაგრამ საქმით საკუთარი თავის  
 გამმტყუნებლებად გამოდიან და  
 აღიარებენ ამ მკვლელობის სისა-  
 ძაგლეს. მეფის წერილი ხომ უბრ-  
 ძანებს სტრატეგოსებს ბიზანტიონში მიჰგვარონ გუბაზი, ჯერ დაი-  
 ყოლიონ ის ბიზანტიონში წასვლაზე, ხოლო, თუ არ დაემორჩილება მათ  
 განგებ და წინააღმდეგობას გაუწევს ძალით გააგზავნონ; მისი



μένους· ἀποκτείναι δὲ μηδ' αὐτῶς  
 πρὶν ἂν ἐκεῖνος ἐς τελευτάτην  
 ἀπόστασιν ἀφικμένους τὰ πολε-  
 μίων δρᾶν παραχθῆιη. οἱ δὲ, καὶ  
 ταῦτα μῆτε στρατηγοὶ καθ' ἑαυτῶ-  
 ντες μῆτε ἄλλως ἐφειμένον αὐτοῖς  
 ἀδελῶς ἃ βούλιντο πράττειν, παρα-  
 χρήμα τὸν δειλαῖον ἀπεκτόνασιν,  
 οὔτε κατὰ τὸ Βυζάντιον αὐτὸν  
 γενέσθαι προτρέψαντες οὔτε μὴν  
 ὡσπερ ἀπειθοῦντι μετρίαν γοῦν  
 ἀνάγκην ἐπαγαγόντες οὔτε τὴν  
 ἀρχὴν ἐς πείραν τινα καταστάν-  
 τες, εἴπερ ἔτι δὴ οὖν τρόπῳ τῆς  
 προσταγματος<sup>1</sup> ὀλιγωρήσει. καίτοι  
 μεγαλαυχοῦσι καὶ βρενθύνονται,  
 ὡς τὰ βασιλεῖ δοκοῦντα διανο-  
 σαντες, οἴγε καὶ τὴν ἐκείνου πε-  
 ριορῶντες πεφίγησιν γνώμην, ψευ-  
 δέσι τε χρῆσθαι πρότερον κατὰ  
 Γουβάζου διαβολαῖς τετολιμηκό-  
 τες, καὶ τάναντία τῶν ἐν διατε-  
 ταγμένων αὐτεπαγγέλτως ἐξείρ-  
 γασμένοι, καὶ τὸ δὴ πάντων πα-  
 ρανομώτερον οὐδὲ τὴν ἐπιστολὴν  
 ἐπιδείξαντες, ὥστε τῶν ἐγγεγραμ-  
 μένων γνωσθέντων τὸ πρακτέον  
 ἐλέσθαι.

„Πῶς οὖν οὐ παντὸς ὀλέθρου  
 καὶ τιμωρίας σπέρτερα πάσης  
 τὰ τετολιμημένα δόξοιεν ἂν; ἀδι-  
 κία γὰρ καὶ κατ' ἄλλου του γιγ-  
 νομένη φευκτόν τι καὶ ἀπειρημέ-  
 νον, μάλιστα δὲ εἰ φίλον καὶ εὖνουν  
 καὶ πολλὰκις προκακινδυνεύοντα

მოკვლა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, სანამ ის საბოლოოდ არ გადაუდგებოდა რომელღაც და მტრულ მოქმედებას არ დაიწყებდა. ესენი კი არც სტრატეგოსები ყოფილან, არც ნება მიუცია მათთვის ვინმეს ჩაედინათ ის, რაც მოესურვებოდათ, უცხად მოეკლათ საცოდავი გუბაზი ისე, რომ არც წინასწარ ეთხოვნათ მისთვის ბიზანტიონში წასულიყო და არც ეცადათ იმის გასინჯვა, უდიერად შეხვდებოდა ის მითის განკარგულებას თუ არა. თუმცა ისინი ამაცობენ და ტრახახობენ იმით, თითქოს შეასრულეს მეფის დავალება, მაგრამ, პირიქით, როგორც ჩანს, მათ გვერდი აუარეს მის სურვილს, წინასწარ თავხედურად შეხანხლეს გუბაზის წინააღმდეგ ყალბი ბრალდებები და, წინააღმდეგ მათთვის მეფისაგან მიცემული განკარგულებისა, საკუთარი სურვილის მიხედვით დალუპეს კაცი; და, რაც ყველაზე უფრო უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, არც კი აჩვენეს მეფის წერილი, რომ ის გასცნობოდა მის შინაარსს და მოქცეულიყო საჭიროებისამებრ.

IV 6. „ნუ თუ, ამის შემდეგ, ის, რაც მათ გაბედეს, არ უნდა ჩაგვეთვალა ნამდვილ უბედურებად და უსაზიზღრეს მკვლელობად? ვინმეს მიმართ უსამართლობის ჩადენა ხომ აკრძალულია და ჩვენც უნდა ვერიდებოდეთ მის ჩადენას, განსა-

<sup>1</sup>) πραγματος *vulg.*

τῶν πέλας εἶναι ξυμβαίη τὸν ἡδικημένον. τίς γάρ ὁ τοῦ Περσῶν πλούτου καὶ τῶν πρῆτεινομένων ἀπάντων τὴν πρὸς ἡμᾶς εὐνοίαν ἀλλαξάμενος; τίς ὁ τὴν Χερσρόου φιλίαν ὑπεριδῶν, καὶ παρὸν ἐκείσε πρὸς μεγίστην εὐδαιμονίαν χωρῆσαι τό παρ' ἡμῶν ἕλαττον ἀγάπησας; τίς ὁ πρότερον τῆς χώρας ὑπὸ Μήδων ἐπὶ πλείστον χρόνον πιεζομένης καὶ τῆς παρ' ἡμῶν ἐπικουρίας ἔτι μελῶσσης, μεταστὰς ἀθρόον καὶ μετοικισάμενος ἐπ' αὐτὰς δῆπου τὰς ὑπερβολὰς τοῦ Καυκάσου ἐνταυθαῖα τε θηριώδη τινα δίκαιταν μᾶλλον ὑποστὰς μετέναι ἢ προσηγάμενος τὴν τῶν πολεμίων φιλοφροσύνην καὶ καταβάς οἴκοι μένειν ἐν εὐπαθείᾳ; τίς δὲ ὁ σὺν οὗτος; ἐκεῖνος ὁ μηδὲν τῶν δεινῶν, ἦν τι παθεῖν ὑπὲρ ἡμῶν ἔδει, κατορρωδῆσας, Γουβάζης, ὃ νόμοι καὶ δίκη, ὁ μηδίσας, ὁ τύραννος, ὁ τὰ Ῥωμαίων καταπρέμενος· καὶ τέθνηκεν ὑπὸ Ῥουστίκου τε καὶ Ἰωάννου, βδελυρῶν ἐν τῷ κατὰπτύστων ἀνθρώπων, ἀνήρ βασιλεύς· ὃπερ εἰ καὶ τοιοῦτου μετῆν ὡς ἀληθῶς ἐπικλήματος, ἀλλ' οὐχ ὑπὸ τούτων αὐτὸν ἐχρησῆν εὐθὺς ἀνηρπάσθαι, κριθέντα δὲ μᾶλλον σχολαίτερον ὑπὸ τοῦ κοινοῦ Ῥωμαίων τε καὶ Κόλχων βασιλέως, ἅτε δὲ μεγίστου καὶ τῷ παντὶ κρείττονος, πρόσηκόντως τιμαρῆθῆναι. ἀλλ' ἐπειδὴ ταύτης δὲ τῆς μαιφονίας αἰτία

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უსამართლობა ეხება მეგობარსა და კეთილისმსურველს, იმ ადამიანს, რომელიც ხშირად გაბმულა საფრთხეში მახლობელთა გულისათვის, ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგდო და, იმ დროს როდესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ ჩასულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუ კი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი. სად ხართ კანონებო, სად არის სამართალი! მას აბრალებენ მედიზმს, ტირანობას, რომაელთა მოღალატეობას! ის მოკლეს რუსტიკემ და იოანემ, ამ სამაგელმა და საზიზღარმა კაცებმა მოკლეს მეფე! ის რომ მართლაც დამნაშავე ყოფილიყო, ამათ მიერ კი არ უნდა ყოფილიყო ის მაშინ-

μὲν αὐτοῖς ἐνδίκως οὐχ ὑπήν, δυσ-  
 μένεια δὲ μᾶλλον παράλογος ὑπὸ  
 βασκανίας ἐς τοῦτο κακοῦ προηγ-  
 μένη, εἰκότως εὐβουλίῃ μὲν καὶ  
 λογισμῷ σῶφρονι καὶ τῆ τοῦ ξυ-  
 νείσοντος ἐπιγνώσει οὐδένα παρη-  
 καν καιρόν, μόνῳ δὲ τῷ αὐθιγαδί-  
 μῆνῳ τῆς ψυχῆς καὶ χαλεπαίνοντι  
 πολλήν παρέσχον αὐτονομίαν, καὶ  
 τὸ μελετηθὲν ἐκ πλείστου καὶ  
 ὠδινόμενον οὕτω πως ἐκ τοῦ πα-  
 ρείκοντος ἔδρασαν, ὡς μήτε τὴν  
 ἀκμὴν τοῦ παρόντος χρόνου φυλά-  
 ξασθαι μήτε μὴν διανοηθῆναι. πολ-  
 λέμους γὰρ τ. οὐσούτου περιεστηκότας,  
 ἐμφορώνων μὲν ἀνδρῶν ἔργον ἄν-  
 ῆν καὶ τὰ ξένα καὶ οὐπω γνώ-  
 ριμα τῶν ἐθνῶν εὐνοία προσά-  
 γεσθαι. οὗτοι δὲ καὶ τ. οὐς πρῶην  
 αἰκισιότατους ἐκπλεμῶσαι Ῥω-  
 μαίοις περὶ πλείστου πεποιήνται  
 καὶ τὸ γε ἦγον ἐς αὐτοὺς προσ-  
 κεχωρήκαμεν τοῖς ἐναντίοις, ἐπι-  
 βουλεύομεν τοῖς πάλαι φιλότατοις,  
 ἢ χώρα Περσῶν, τὰ πατρῷα νόμι-  
 μα φροσῶδα, πάντα ξυμβέβηκεν ἀτε-  
 χνῶς, ὅποσα στάσεως τε καὶ τα-  
 ραχῆς ἐμφυλίας γνωρίσματα μα-  
 νιώδη. οὐκοῦν ὡς τούτων ἀπάντων  
 ἔργῳ προσελθόντων καὶ πανταχόθεν  
 ἡμῖν τῶν πραγμάτων διακρινέν-

ვე მოსპობილი, არამედ მისი საქმე  
 დინჯად უნდა გაერჩია რომაელთა  
 და კოლხთა საერთო მეფეს, რო-  
 გორც უდიდესსა და ყოველთა უძ-  
 ლიერესს, და სათანადო სასჯელი  
 დაენიშნა, მაგრამ, ვინაიდან ამათ  
 არ ჰქონდათ არავითარი კანონიერი  
 საბუთი მისი მოკვლისათვის, უფრო  
 კი შურიანობით გამოწვეული უზო-  
 მო მტრობა აღიზიანებდა მათ ბო-  
 როტება ჩაედინათ, სათანადოდ არ  
 მოიფიქრეს, გონიერი მოსაზრება  
 არ მოიხმარეს და არც გაითვალის-  
 წინეს, თუ რა იქნებოდა სასარ-  
 გებლო, და ამყურ ქცევასა და  
 შურისძიებას რომ დაემორჩილნენ,  
 ჩაიდინეს დიდი თვითნებობა. ის,  
 რაც დიდი ხანია განზრახული და  
 ზედმიწევნით დაგეგმილი ჰქონდათ,  
 სისრულეში მოიყვანეს პირველ  
 შესაძლებლობისთანავე ისე, რომ  
 არც დროის ვითარებას მიაქციეს  
 ყურადღება და არც კარგად მოი-  
 ფიქრეს. რადგან ისეთ მძიმე ომში  
 ვიყავით გახვეული, გონიერ კაცს  
 მოეთხოვებოდა ეზრუნა იმაში, რომ  
 კარგი მოპყრობის საშუალებით  
 თავისკენ მიეზიდა უცხო და ჯერ  
 კიდევ უცნობი ერები. ამათ კი  
 ისინიც კი რომაელების მტრებად  
 გადააქციეს, რომლებიც წინათ

მათი მახლობელი მეგობრები იყვნენ. და მათი ბრალთა, რომ ჩვენ  
 მტრის მხარეზე გადავედით, ძველ მეგობრებს მზაკვრულად ვეპყრობით,  
 რომ ეს ქვეყანა სპარსელების ხელშია და მშობლიური წესები მივი-  
 წყებულა, – ერთი სიტყვით, ყველაფერი უწესრიგოდ მიმდინარეობს.  
 აი, რამდენი ზარდამცემი ნიშანია აჯანყებისა და შინაური არეულო-  
 ბისა. ამიტომ, რადგან ყველაფერი ეს ნამდვილად ასეა და ჩვენი საქ-  
 მეები ყოველმხრივ ანგრეულია, უნდა მივუყენოთ ამათ ისეთი ღირ-

των, οὕτω ποιναῖς ἀξίως αὐτοῖς, εἴπερ ἄρα καὶ εὐρεῖν ἔνεστιν, ἐπακτέον. εἰ γὰρ καὶ ἡμεῖς πιστοὶ πρὸς Ῥωμαίους καὶ βέβαιαι τυγχάνομεν ὄντες, ἀλλ' οὐ δίκαιον, ἢ δικαστὰ<sup>1</sup>, τῆς ἡμετέρας ἐπεικειῶς τοῦτους ἀπόνασθαι, καὶ ἡττόν τι παθεῖν ἢ καθ' ἕσπον ἢ τοῦ ἐγχειρήματος βούλεται φύσις“.

Οὕτω δὲ τῶν κατηγορῶν τῆς ἐπικλήμασι χρησαμένων τὰ πλήθη τῶν Κόλχων, αὐτοῦ γὰρ ξυνήθιστο, ἐπαίειν μὲν οὐ μάλα ἤδυναντο τῆς τῶν λόγων ἀπαγγελίας ἢ τῆς τῶν νοημάτων δεινότητος· ὅμως δὲ τὸ χρεῖμα γινώσκοντες ἐφ' ᾧπερ ἕκαστα ἐτύγχανε προηγμέναι, ἀγωνίζομένους τε αὐτοῖς ἔτι ξυνεμόχθισον τῇ προθυμίᾳ καὶ ξυμπεριήγοντο ταῖς μεταβολαῖς τῶν σχημάτων· οὕτω τε τὰς ψυχὰς διέκειντο ὥς ἂν αὐτοῖς ἐκείνοι φρονήματος ἔχειν ἢ οἴκτου ἐδόκουν. καὶ εἶτα ἐπειδὴ τοῦ ῥητορεύειν ἐπέπαυσαν, αὐτίκα οἷγε ἐπισχόντο<sup>2</sup> βραχὺ τὸν δικαστὸν καὶ βουλευομένους κατεμέμφοντο ἴσυχῇ καὶ ἡγανάκτουσιν· οὐδὲ μὴ εὐθὺς οἱ ἐναντίοι ἀνήσθησαν· τοῦ δὲ παρακλειυσάμενος καὶ λέγειν αὐτοῖς ἅττα ἂν ἐθελήσαιεν, τότε δὲ καταβοῶν ἐς τὸ ἐμφανὲς ἔειπεν, καὶ ἦδη ὑπετονθήραξον, καὶ ἦδη ἢ φωνῇ ἐς τὸ σαφέστερον διεκρίνετο. ἀλλ' οἱ πρὸς τὸ κατηγορεῖν τεταγμένοι ταῖς

სეული სასჯელი, რომლის გამოძენასაც კი შეუძლებთ. თუ ჩვენ რომაელთა ერთგულნი ვართ უწყევად, არ იქნება სამართლიანი, მსაჯულო, რომ ამათ ჩვენი ჩვილი ხასიათით ისარგებლონ და უფრო ნაკლები სასჯელი მიიღონ, ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქციელს შეეფერება.“

IV 7. ბრალმდებლები რომ ასეთ ბრალდებებს აყენებდენ, კოლხთა ლაშქარს, რომელიც იქვე იყო თავმოყრილი, არც ნათქვამი სიტყვები ესმოდა კარგად და არც აზრების მნიშვნელობის გაგებაც შეუძლო; მაგრამ იმას კი ხვდებოდენ ისინი, თუ რის შესახებ იყო თითოეული მათგანი გამოთქმული, და მათი კამათის დროს თავიანთ გულისნადებსაც ურთავდენ და მათთან ერთად მიხვრა-მოხვრასაც იცვლიდენ: ისინი იცვლიდენ გუნებას იმისდა მიხედვით, იმედს ამჩნევდენ ბრალმდებლებს თუ სასოწარკვეთას. შემდეგ, როდესაც მათ ლაპარაკი დაამთავრეს და მსაჯული ცოტა ხნით შეჩერდა დაფიქრებული, იმათ ჩუმად დაიწყეს ბუზღუნი და უკმაყოფილების გამოცხადება, რატომ ეხლავე არ მიჰყავთ მტრები დასასჯელადო, ხოლო, როდესაც მსაჯულმა მოუწოდა ბრალდებულებს ეთქვათ, რისი თქმაც სურდათ, მაშინ ხალხმა აშკარად იწყო ყვირილი და ბუზღუნი და ეს ხმები უკვე უფრო ნათლად ის-

<sup>1</sup>) δικαστὰ R, δικασται vulg.

χερσὶν κκταπακοντες ἀνέκοψα-  
τὴν περαιτέρω φορὰν τῆς θο-  
ραξου.

მოდა. მაგრამ იმათ, რომლებიც  
ბრალმდებლებად იყვნენ მოსული,  
ხელების დაქნევით გააჩუმეს და  
შეაწყვეტინეს ხმაურობა.

### გუბაზის მკვლელის სიტყვა

Καὶ τοίνυν σιγῆς γεγεννημένης,  
παρελθὼν καὶ Ῥούστικος ἐν μέσῳ  
ἅμα Ἰωάννῃ τῷ ἀδελφῷ ἔλεξε  
τοιαύδε·

„Μετῆγάγε μὲν ἡμῖν ἀθρόον  
καὶ περιέστησεν ἐς τοὺναντίον τὰς  
τῶν δοκίμῶν ἐκβάσεις ἢ τύχη,  
καὶ θέον μεγίστων γερῶν ἀπόνασ-  
θαι πάρεσμεν θανάτου, φεαξομε-  
νοι δίκην· πλὴν ἀλλ’ ἡδιστος ἡμῖν  
ὁ ἀγὼν καταφαίνεται καὶ πλεί-  
στις βσης μεγαλαυχίας ἀνάπλευς.  
γενήσεται γὰρ ἅπανσι γνωριμώτε-  
ρον ὡς μόνοι· ἡμῖν δὲ δίκης τὸ  
προδότην ἄνδρα καὶ τυραννον  
ἀπολωλέναι καὶ τὰ βασιλέως  
πράγματα τὸ μέρος διασεσῶσθαι·  
ὥστε εἰ καὶ τεθνάναι· ξυμβαίη,  
στέρξοιμεν ἂν καὶ ὡς ἄσμεν·  
καὶ ἅπερ τι προσφιλές· καὶ ἀν-  
θαίρετον τὸ ἀνιερὸν καὶ ἡναγκασ-  
μένον· καὶ οὐχ ἡσόμεθα κάλλι-  
στον τοῦτο πρὸς ἐμψυμίαν ἐφό-  
διον ἔχοντες, τὸ γιγνώσκειν ἐν  
ἡμῖν αὐτοῖς ὡς τοὺς Ῥωμαίους  
κρατοῦντας ἐπὶ τῶν Κόλχων  
καταλελοιπίπαμεν καὶ οὐπω παρ’  
ἐτέρων ἀφῆρημένους. εἰ μὲν γὰρ  
Περσικὸν ἦν τὸ παρὸν δίκαστή-  
ριον, καὶ παρ’ ἐκείνοις ἐκρινό-  
μεθα, πάντως ἂν ἡμῖν ἀρνήσειώ-  
τε προσέδει τῶν ἐργασμένων,

სიჩუმე რომ ჩამოვარდა, შუაში  
წარსდგა რუსტიკე თავის ძმასთან,  
იოანესთან ერთად და თქვა შემდეგი:

„ბედმა ერთბაშად შეცვალა და  
უკულმა შეატრიალა ჩვენი გან-  
ზრახვები; უნდა დავმტკვარიყავით  
უდიდესი საჩუქრებით და ამის  
ნაცვლად სიკვდილით დასჯა მოგვე-  
ლის. თუმცა ჩვენთვის ძალიან სა-  
სიამოვნოა ეს სამსჯავრო და უდი-  
დესი სიამაყის მომგვრელი: ამით  
ყველა კარგად გაიგებს, რომ მხო-  
ლოდ ჩვენი წყალობით მოხერხდა  
მოღალატისა და ტირანის მოსპო-  
ვა და მეფის საქმეების ნაწილობ-  
რივ უზრუნველყოფა, ასე რომ, კი-  
დევაც რომ სიკვდილი შეგვხვდეს,  
სიამოვნებით მივეგებებით მას, რო-  
გორც რაღაც საყვარელსა და სა-  
ნუკვარ მძიმე ხვედრს: ჩვენ წავალთ  
ამიერ ქვეყნით, საუკეთესო ნუგე-  
შის მქონენი, ვინაიდან გზაზე  
წაგვყვება იმის შეგნება, რომ კოლ-  
ხების ბატონებად რომაელები დავ-  
ტოვეთ და სხვებს არ ჩავადებო-  
ნეთ ის ხელში. ეს სამსჯავრო რომ  
სპარსელებისა იყოს და ისინი არ-  
ჩევდენ ჩვენს საქმეს, ჩვენ მთლიან-  
ნად გვიხდებოდეს იმის უარყოფა,  
რაც ჩავვიდენია, გვემინოდეს აქ  
მოტანილი საბუთებისა, მაშინ ჩვენ  
საამკარაოზე გამოყვანილთ – გა-

καὶ δεδιέναι παρῆν τοὺς ἐλέγχους, καὶ δεδειγμένοις τυχὸν διαπορεῖν ἑποίοις ἂν καὶ χρησαίμεθα λόγοις ὑπὸ δικασταῖς πολεμιστάτοις, καὶ τῷ πραχθέντι λίαν ἀχθομένοις τῷ τῆς ἐλπίδος ἡμαρτηκέναι. Ῥωμαίου δὲ ἀνδρὸς δαιτυῶντος, τίνας ἂν χάριν ἡμῖν τὸ γεγενημένον ἀπαρνηθεῖ; τί δὲ καὶ ἀπολογεῖσθαι χρεῶν παρ' ἡμῖν αὐτοῖς, ἀντ' ὧν ἡμᾶς εἰς πεποιήκαμεν τὸν τύραννον ἀνελόντες; οὐδὲ γὰρ μεταδοτέον αὐτῷ τὸν σεμνοῦ τῆς βασιλείας ὄνοματος, ἀλλοτριωτάτῳ διὰ τῶν ἔργων φανέντι· καίτοι μέγα κεκράγασι οἱ κατήγοροι καὶ δεῖνὰ τετολμησθαί φασιν, ὡς δὴ βασιλέως ἀνῆρημένου. χρῆ δὲ οὐ τῇ πόρπῃ καὶ τῷ χλαμυδίῳ καὶ τοῖς ἐκτός φαινομένοις ἐγκαλλωπίσασαι ταύτην προσνέμειν τὴν ἐπωνυμίαν, ἀλλ' ἔνθα τὸ δίκαιον ἐνεργὸν καὶ τοῦ προσήκοντος μὴ ὑπερφρονεῖν τὸ ἐπιέμενον καὶ μόνοις τοῖς καθεστῶσι τὸ φρόνημα τῆς ψυχῆς ἀναμετροῖτο. εἰ μὲν οὖν τοιοῦτον ἀπεκτόναμεν ἄνδρα, παράνομα τετολήκαμεν, ἐνδικὸς ἢ κατηγορία, εἰκότως βίαιαι καὶ ἀλαζόνες καὶ μαιφρόνοι παρὰ τῶν Κόλχων ὀνομαζόμεθα. εἰ δὲ τούτων μὲν ὡς πορρωτάτω τοῖς τρόποις ἀπύχιστο, μέτριοι δὲ οὐδὲν ἦν αὐτῷ βεβουλευμένον, ἀλλ' ἢ τοὺς Πέρσας κατ' ἡμῶν λαθμιერი ἀραφერი οἶκο, პირიქით, ფარულად გვისისინებდა სპარსელებს და მათთვის უნდოდა ეს ქვეყანა გადაეცა, განა უმჯობესი არ იქნებო-

გვიჭირდებოდა სიტყვების მოძებნა იმ მოსამართლეთა საპასუხოდ, რომლებიც მტრულად და მკაცრად იქნებოდნენ განწყობილი მომხდარი ამბის მიმართ, და ყოველგვარ იმედს მოკლებულნი ვიქნებოდით, მაგრამ ვინაიდან მოსამართლე რომელი კაცია, რის გულისთვის უნდა უარყოფდეთ ჩვენ მიერ ჩადენილ საქციელს? რაში გვიჭირდება თავის მართლება თქვენ წინაშე იმისათვის, რომ ვალი დაგდეთ და ტირანი მოგაშორეთ? მას ხომ ჩვენ ვერ მივაკუთვნებთ მეფის საპატიო სახელს, ვინაიდან მან საქმით გვაჩვენა თავისი მტრობა, თუმცა ბრალმდებლები ბევრს ყვირიან და გაიძახიან, საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეთ, რომ მეფე მოჰკალითო. ცხადია, რომ მეფის სახელწოდება აზინდსა და ქლამიდს და, საერთოდ, გარეგან სამკაულებს კი არ განეკუთვნება, არამედ მიეკუთვნება იმას, ვინც სამართლიანობას მისდევს, ზომას არ აჭარბებს თავის ქცევაში და მხოლოდ დადგენილ წესებს უფარდებს თავის გულის ნაღებს. თუ ჩვენ, ეს კაცი რომ მოვკალით, უკანონოდ მოვიქცეით, მაშინ ბრალდება სამართლიანი იქნება და კოლხებიც მართალნი იქნებიან, რომ ჩვენ გვიწოდებენ მოძალადეებს, ნაძირალებს და სისხლისმელებს. მაგრამ, თუ ის ასეთ ღირსებებს შორს ჩამორჩა თავისი ქცევით და მის განზრახვებში ზომიერი არაფერი იყო, პირიქით, ფარულად გვისისინებდა სპარსელებს და მათთვის უნდოდა ეს ქვეყანა გადაეცა, განა უმჯობესი არ იქნებო-

ραίως ἐπάγειν καὶ καταπροέσθαι τὴν χώραν ἐκείνοισ· πῶς οὐ μᾶλλον ἐχρῆν φθάσαι τὸν τοῦ θεינוῦ καιρὸν τῷ προτερήματι ἢ τὴν βασιλείον στολὴν αἰδοσθέντας ὑπὸ τοῖς πολεμίοις γενέσθαι; τοῖς γὰρ κίνδυνόν τινα μελετώμενον ὑπὸ του προεγνωκόσιν, ἐνδὸν μὲν ἐκκλίναι τὸ παραυτίκα τὴν ἐπιβουλήν καὶ τὸ παρὸν ἀμωσγέπως παρακρουσαιμένοις σχολαιότερον ἐν ἑστέρω τοῖς προσπεσοῦσιν ἀρμόσασθαι, πολλὴ ᾤμότης προσπιφέρειν τὴν τιμωρίαν καὶ μὴ μᾶλλον ἀρκεῖσθαι τῇ τοῦ ἀντεπιβουλεύειν τυχὸν ἐξουσίᾳ. ἔνθα δὲ, τῶν βεβουλευμέων ἐξ ἔργων ἀχθέντων, οὐδὲν ἔτι λείπεται πρὸς ἐπικουρίαν, ἀλλ' ἀρδὴν εὐθὺς ἅπαντα σίχεται, ξυναφαιρουμένων, τῇ κοινῇ σωτηρίᾳ καὶ αὐτῶν δῆπου τῶν ὑπὲρ ταύτης ἐλπιδῶν, ἐνταῦθα τὸ τάχος αἰρετέον τοῖς ἔμφοροι, καὶ ὅπως μὴδὲν ὀτιοῦν τῶν ἀνηκέστων πέισονται παρασκευαστέον.

„Εἰ τοίνυν καὶ διαρραγεῖεν οἱ κατήγοροι, μίασμα βρωντες καὶ ἄγχοι καὶ μισοφονίαν καὶ τοῖς τοιούτοις ὀνόμασιν ἐκτραγωδοῦντες τὸ γεγενημένον, καὶ πρὸς μόνον τὸ πραχθὲν ἀφορᾶν ἐκβιαζόμενοι· ἀλλὰ σὺν ἔργον, ὡς δικαστά, μνήμην ποιεῖσθαι τῶν προὑπαρξάντων, τὰς αἰτίας ἀναθεω-

და დაგვესწრო უბედურების მოახლოვებისათვის და გაგვემარჯვნა, ვიდრე ის, რომ მის მეფურ გარეგნობას შევლალადებოდიოთ და მტერს ჩავვარდნოდიოთ ხელში? როდესაც წინასწარ შეიტყობ ვინმეს მიერ განზრახულ სახიფათო გეგმას და შესაძლებელია მაშინვე აიცდინოს ეს ვერაგობა, რამენაირად უშველო შექმნილ მდგომარეობას და შემდეგ ნელნელა გამოასწორო მომხდარი ამბავი, დიდი სისასტიკე იქნებოდა შური გემია წინდაწინ და არ დაკმაყოფილებულიყავი შესაძლებლობით, რომ შემთხვევა მოგეცემოდა სამაგიერო ხიფათში ჩაგედო მოწინააღმდეგე. მაგრამ, როდესაც გეგმა უკვე სისრულეში მოჰყავთ და აღარაფერი გრჩება დასაცავად, ყველაფერი სწრაფად ილუპება, ისპობა სახელმწიფოს კეთილდღეობა და მასთან ერთად ისპობა ყოველგვარი იმედი გადარჩენისა, მაშინ გონიერმა კაცმა სწრაფად უნდა იმოქმედოს და ზომები მიიღოს, რათა არაფერი დაგემართოს ისეთი, რასაც ველარ უწამლებ.

IV 8. „თუმცა ბრალმდებლები ძალიან იჭაჭებიან, გაჰკვივიან უნამუსობაზე, უწმინდურობაზე, სისხლისმსმელობაზე და სხვა ამგვარი ტრაგიკული სახელებით ამკობენ ჩვენს საქციელს და გაიძულებენ თქვენ მხოლოდ ამ მომხდარ ამბავს მიაქციოთ ყურადღება, მაგრამ, მსაჯულო, უყურადღებოდ არ დას-

ტოვებ, ალბათ, იმ ამბებს, რომლებიც ჩვენ საქციელს წინ უძღოდა, ასწონ-დასწონი იმ მიზეზებს, რომლებმაც გაგვაბედინეს ის საქმე, და

ρειν δι' ὧν ἐπὶ τὴν πράξιν ὤρ-  
μηθήμεν, καὶ τῷ εὐλόγῳ τοῦ  
ἐγχειρήματος τὸ εὖνον διαγιγ-  
νώσκειν τῆς γνώμης. ἐπεὶ καὶ  
πολλαχοῦ κατὰ τὰς πόλεις ἀγύρ-  
τας τινὰς τυχόν ἢ καὶ λωποδύ-  
τας ἢ καὶ ἄλλο τι, τῶν ἀνοσίων  
ἔργων πεπλημμεληκότας, ὁρῶν-  
τες νῦν μὲν τῆς κεφαλῆς ἀφαι-  
ρουμένους, νῦν δὲ τῷ πόδε δια-  
აგათიას ეს ადგილი ჰხადებს ერთგვარ გაუგებრობას. ავტორი აქ მოგვითხრობს ჭანების დამორჩილების შესახებ და ბოლოს დასძენს – ამ საქმეს იუსტინიანე დიდ მნიშვნელობას აძლევდა და საგანგებოდაც აქვს ამის შესახებ მოხსენებული თავის „ნოველებში“. გაუგებრობას ის ჰხადებს, რომ ჭანების დამორჩილებას აგათია მიაკუთვნებს 556 წელს, ხოლო იუსტინიანეს ის ნოველა, რომელსაც ჰგულისხმობს აგათია, დათარიღებულია 535 წლით.

556 წელს – აგათიას მოთხრობით – ხოსრო მეფე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბიზანტიასთან ომის გაგრძელება უნაყოფო იქნებოდა, რადგან ეს ომი მისთვის არახელსაყრელ პირობებში სწარმოებდა, და მოისურვა ზავის ჩამოგდება. ამ მიზნით მან კონსტანტინოპოლში გააგზავნა ზიქი, რომელმაც ბიზანტიელებთან დროებითი ზავი შეკრა (ამას, ექვსი წლის შემდეგ, 562 წელს, მოჰყვა ორმოცდაათწლიანი ზავი, რის შესახებაც მოთხრობილი აქვს მენანდრეს: იხ. ქვევით გვ. 210 შმდდ). ამ დროს (εν τούτοις) – განაგრძობს აგათია – ჭანთა ტომი გახდა საზრუნავი; ერთი ნაწილი ჭანებისა არ იცავდა სიწყნარეს, განაგრძობდა მარცვა-

ρωσιν. ὁμοίμενοί τε ἑκάτερ : ἀλλήλους καὶ ἀντερείδοντες, καὶ ταῖς χερσὶ ξυμπλεκόμενοι, οὐδὲν ὅτι ἀνέσχον ἐμπυλίαι· ἀλλ' ἦν οὕτως ἐπὶ πλείστον τὰ τοῦ ἀγῶνις ἀγχώμαλα, πατάγου τε πολλοῦ καὶ βοῆς ξυμμίκτου ἀνάπλεα καὶ οὐπω διακεκριμένα.

Θεόδωρος δὲ ὁ τῶν Ῥωμαίων ταξίαρχος ἕρων τὸς διασμενεῖς ἀστρατηγῆτους τε ὄντας καὶ οὐ μάλᾳ ἐν τῇ ἀσφαλεῖ παραταταμένους, οὐδὲ πολλαχοῦ τοῦ περιφράγματος ἐφρασητότας καὶ ἐγκειμένους, ἀλλὰ πάντα ἅμα ἐς ἐν τι μέρος ξυγγενευκότας, ἐνίους μὲν τῶν ἀμφ' αὐτὸν οὕτω κατὰ χώραν ἐστάναι καὶ ἀντιπροσώπους διαμάχεσθαι παρακαλεῖται· ἀπομοῖραν δὲ ὡς πλείστην ἐκ τοῦ ἀφανοῦς ἐστειλεν ἕπισθεν τοῖς βαρβάρους ἐπιπεσομένους. οἱ δὲ λαθραϊότητα πορευόμενοι, καὶ κατὰ νότου ἐπιφανέντες, γλάλαξαν ἀθρόον τόρον τι λίαν καὶ ἐνυάλιον, ὥστε ἀμέλει τοὺς Τζάνους διακνηθέντας μηδὲν τι ἕτερον ἐν β.σλῆ θέσθαι ἢ τὸ ἀγεννώς δραπετεύειν. οὕτω δὲ φεύγοντας αὐτοὺς οἱ Ῥωμαῖοι καὶ ὥσπερ παράφρονας ὑπὸ τοῦ θεοῦ γεγενημένους ῥᾶστα διεχειρίζοντο, καὶ δισχίλις μὲν αὐτῶν ἀπεκτόνασι, τὸ δὲ λειπόμενον ἄλλος ἄλλοι ἐσκεδάνυστο. οὕτω δὲ ἀνά κράτος ἅπαν το γένος ἵρηκῶς ὁ Θεόδωρος, ὁ δὲ βρασιλεῖ διίγγειλε τῇ ξυνεγεχθέν-

მიანდათ არა მარტო ის, რომ მტერს სწრაფლ ვერ გააგდებდენ, არამედ ის – თუ საბოლოოდ ვერ მოსპობდენ მას. ორივენი ეცნენ ერთმანეთს, შეეპირისპირნენ, ხელდახელაც შეეზნენ და ოდნავაც არ შეუსუსტებიათ გულადობა. ასე მიმდინარეობდა ბრძოლა მეტწილად თანაბარი წარმატებით ორივე მხარისათვის: იქაურობა შესძრა აურზაურმა და შერეულმა ყვირილმა; ბრძოლა გადაუწყვეტელი დარჩა.

V 2. რომაელთა სარდალმა თეოდორემ რომ დაინახა, რომ მოწინააღმდეგენი უსარდლოდ იყვნენ და მაინც და-მაინც არც უშიშარ პირობებში უხდებოდათ ბრძოლა, დაინახა ისიც, რომ თხრილის ყველა ადგილას კი არ იყვნენ ჩამდგარნი, არამედ ყველანი ერთ ადგილს ჩაჰკირკიტებდენ, უბრძანა ზოგიერთ ჯარისკაცებს თავიანთ ადგილას მდგარიყვნენ და ასე გაეწიათ წინააღმდეგობა მტრისათვის; მეტი წილი ჯარისა კი ფარულად გააგზავნა და დაავალა ზურგიდან დასცემოდა ბარბაროსებს. ისინიც ჩუმად წავიდენ და, ზურგიით რომ მოექცნენ მტერს, მორთეს საზარელი და სმენის წამლები ყვირილი, ისე რომ დაფორიანებულმა ჭანებმა, ცხადია, სხვა ვერაფერი მოისაზრეს და ლაჩრულად გაიქცნენ. ასე ოტებული და შიშისაგან თავგზადაზნეული ჭანები რომაელებმა ადვილად მოსპეს: ორი ათასი კაცი მოკლეს, დანარჩენები კი სხვადასხვა მიმართულებით გაგზანტეს. ასე, მთელი

τα, καὶ ἀνεπιπλάνατο ὁ τι καὶ  
 βολοῖτο ἐπὶ τοῖσι. ὁ δὲ βασι-  
 μος ῥίαν αὐτοῖς ἐπιθεῖναι τακ-  
 τήν διακείμεται ἀν' ἕκαστον  
 ἔτος ἐς τὸν ἐπιεῖτα χρόνον τελεσ-  
 θησομένην, ὡς ἐν ταύτῃ γ' ὄν  
 διαγοῖεν κατηκόους σφᾶς εἶναι  
 καὶ ὑποτελεῖς καὶ πνεύματα δε-  
 δουλωμένους. καὶ τοῖσιν ἀνάγρα-  
 πτοί γε αὐτίκα ἐγίγοντο ἅπαν-  
 τες καὶ φόρου ἀπαγωγῆ ἐπέζον-  
 το· ἐξ ἐκείνου τε μέχρι καὶ νῦν  
 οὕτω τὰς ἐσφορὰς ἄγοντες δια-  
 τελεῖσσι. βασιλέα δὲ Ἰουστινιανόν  
 ὥσπερ τι, οἷμαι, τῶν μεγίστων  
 ἔργων μάλα ἦρесе τὸ γεγενημέ-  
 νον. τοιγάρτοι ἐν τινι τῶν οἰκεί-  
 ων νόμων, οὓς δὲ νεαροὺς ἐπονο-  
 μάζομεν, τὰς ἄλλας ἀπαριθμούν-  
 μεν·ς νίκας καὶ τοσῶδε τοῦ ἔθ-  
 νοῦς ἐν τοῖς μάλιστα ἐπεμνήσθη.  
 τὰ μὲν οὖν τῆς Ἰζανικῆς ἀλαχο-

ტომი რომ დაიმორჩილა თეოდო-  
 რემ, მეფეს შეატყობინა ყველაფერი  
 და თანვე შეეკითხა, როგორ მო-  
 ვიქცე მათ მიმართო. მეფემ უბრ-  
 ძანა განსაზღვრული ხარკი დაედვა  
 მათთვის, ყოველწლიურად გადა-  
 სახდელი, რათა იმათ შეეგნოთ,  
 რომ ისინი ქვეშევრდომნი, მოხარ-  
 კენი და საბოლოოდ დამორჩილე-  
 ბულნი არიან. მაშინვე ყველანი  
 აღწერეს და დაავალეს ხარკის გა-  
 დახდა; მას აქეთ ვიდრე დღევანდ-  
 ლამდე ისინი მუდამ ზეგარას იხ-  
 დიან. იუსტინიანე მეფეს, ვფიქრობ,  
 ძალიან მოეწონა ეს ამბავი და  
 უდიდეს საქმედ მიიჩნია. ამას ამტ-  
 კიცებს ის, რომ ერთ-ერთ თავის  
 კანონთაგანში, რომლებსაც ჩვენ  
 „ახლებს“ ვეძახით, სხვა გამარჯვე-  
 ბათა ჩამოთვლის დროს ამ ტომის  
 დამორჩილებასაც იხსენიებს პირ-  
 ველ რიგში. ასე დამთავრდა ჭანე-

<sup>3)</sup> „ახალი კანონები“ (νεαροὶ νομοὶ) ანუ „ნოველები“ (leges novellae, novellae constitutiones) ე. ი. ის კანონები და განკარგულებები, რომლებიც გამოცემულ იქმნა იუსტინიანეს მიერ კოდექსის გამოქვეყნების შემდეგ (Codex Iustinianus გამოქვეყნდა 529 წელს; მისი მეორე გამოცემა გამოქვეყნდა 534 წელს).

აგათიას ეს ადგილი ჰზადებს ერთგვარ გაუგებრობას. ავტორი აქ მოგვითხრობს ჭანების დამორჩილების შესახებ და ბოლოს დასძენს - ამ საქმეს იუსტინიანე დიდ მნიშვნელობას აძლევდა და საგანგებოდაც აქვს ამის შესახებ მოხსენებული თავის „ნოველებში“. გაუგებრობას ის ჰზადებს, რომ ჭანების დამორჩილებას აგათია მიაკუთვნებს 556 წელს, ხოლო იუსტინიანეს ის ნოველა, რომელსაც ჰგულისხმობს აგათია, დათარიღებულია 535 წლით.

556 წელს – აგათიას მოთხრობით – ხოსრო მეფე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბიზანტიასთან ომის გაგრძელება უნაყოფო იქნებოდა, რადგან ეს ომი მისთვის არახელსაყრელ პირობებში სწარმოებდა, და მოისურვა ზავის ჩამოგდება. ამ მიზნით მან კონსტანტინოპოლში გააგზავნა ზიქი, რომელმაც ბიზანტიელებთან დროებითი ზავი შეკრა (ამას, ექვსი წლის შემდეგ, 562 წელს, მოჰყვა ორმოცდაათწლიანი ზავი, რის შესახებაც მოთხრობილი აქვს მენანდრეს: იხ. ქვევით გვ. 210 შმდდ). ამ დროს (εν τούτοις) – განაგრძობს აგათია – ჭანთა ტომი გახდა საზრუნავი; ერთი ნაწილი ჭანებისა არ იცავდა სიწყნარეს, განაგრძობდა მარცვა-

νεῖαζ ἰβῆ παζ ἑτελεῖται, καὶ ἀν-  
 θις ὁ Θεὸς ἄνθ' ἅντ' ἅντ' ἅντ'

თის თავგასულობის საქმე და თეო-  
 დორეც მაშინვე გაბრუნდა ლაზეთ-

გლეჯას და მათ დასამორჩილებლად გაიგზავნა სარდალი თეოდორე. აქედან ცხა-  
 დია, რომ აგათია ჰგულისხმობს 556 წლის მახლობლად მოწყობილ ლაშქრობას  
 ჭანების დასამორჩილებლად.

მაგრამ ამ ცნობას ეწინააღმდეგება ავტორის დასკვნა: ამის შესახებ იუსტი-  
 ნიანეს აქვს მოხსენებული „ნოველებში“. იუსტინიანეს ნოველებში მართლაც არის  
 მოხსენებული – და დიდის თავმომწონეობითაც – ჭანთა დამორჩილების ფაქტი:  
 «ჭანები... მხოლოდ ეხლა მოექცნენ რომაელთა ძალაუფლების ქვეშ... ასეთი რამ  
 დღემდე არასოდეს არ მოუნიჭებია რომაელებისათვის ღმერთს, – მხოლოდ ჩვენს  
 მეფობაში მოგვენიჭა ეს მადლი»: «ჭანთა ქვეყანა, მხოლოდ ეხლა ჩვენი მეფობის  
 დროს რომაელთა მიერ დაპყრობილი» (ნ ო ვ ე ლ ე ბ ი IX და XXXI; გეორგიკა II,  
 196, 198). მაგრამ ამ ნოველებს უზის თარიღად 535 წელი, ასე რომ 556 წელს  
 მომხდარ ფაქტს იუსტინიანე 535 წლის ნოველაში ვერ მოიხსენებდა. შეიძლება  
 ადამიანს ეფიქრა, რომ ა გ ა თ ი ა ს ზემოაღნიშნული მოთხრობა ჭანთა დამორჩი-  
 ლების შესახებ ანაქრონიზმს წარმოადგენს და რომ მან 535 წლის წინათ მომხდა-  
 რი ფაქტი შეცდომით ახალ, 556 წელს მომხდარ, ფაქტად მიიჩნია, მაგრამ ეს არ  
 მართლდება ჭანთა დამორჩილების შესახებ არსებული სხვა ცნობებით. ჭანთა და-  
 მორჩილების შესახებ ბიზანტიელების მიერ 528 – 535 წლებში დაწვრილებით  
 მოგვითხრობს პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი (BP I, 15; De aed III 6; გეორგიკა II,  
 26 – 27, 182 – 188), რომელიც აღნიშნავს, რომ ჭანეთი დამორჩილებულ იქმნა  
 სარდალ ს ი ტ ტ ა ს მიერ; მანამდე ისინი თ ვ ი თ თ ა ვ ა დ ნ ი ყოფილან. აგათიას  
 მოთხრობით ჭანები უკვე დამორჩილებულნი არიან, ისინი ბიზანტიელების ქ ვ ე-  
 შ ე ვ რ დ ო მ ნ ი არიან; მაგრამ მარტო ერთი ნაწილი იცავს მშვიდობიან წესებს,  
 უმეტესობა კი სარგებლობს მაშინდელი არეულ-დარეული სამხედრო მდგომარეო-  
 ბით და პონტოს სანაპიროებზე დათარეშობს მარცვა-გლეჯის მიზნით; მათ კიდევაც  
 ხელში ჩაუგდიათ პონტოს სანაპიროზე რიზე, თეოდორიანა. ამიტომ მათ წინააღმ-  
 დეგ, იგზავნება სარდალი თ ე ო დ ო რ ე. აშკარაა, პროკოპის და აგათიას ორს სხვა-  
 დასხვა ფაქტზე აქვთ ლაპარაკი. პირველია 535 წლის ნოველაში მოხსენებული  
 ფაქტი, მეორე – 556 წელს მომხდარი ამბავი. 556 წელს ბიზანტია ებრძვის ჭანებს,  
 როგორც თავის აჯანყებულ ქვეშევრდომებს, რომლებიც თავიანთი თარეშით «სრუ-  
 ლიად არაფრით განირჩეოდნენ აშკარა მტრისაგან».

მაშასადამე, აგათია აშკარად სცდება, როდესაც შესაძლებლად თვლის, რომ  
 იუსტინიანეს ნოველაში მოხსენებული ჭანების დამორჩილების ფაქტით ჰგულის-  
 ხმობს თეოდორეს ექსპედიციას ჭანეთში. ეს შეცდომა, ჩვენის აზრით, შემდეგით  
 აიხსნება. იუსტინიანეს ნოველები გამოცემულია სხვადასხვა დროს, 534 – 565 წლებ-  
 ში, მაგრამ კრებულის სახით პირველად ისინი გამოქვეყნდა მხოლოდ 555 წლის  
 შემდეგ: ჯერ 154 ნოველა შეკრიბა კონსტანტინოპოლელმა იურისტმა იულიანემ,  
 მერე, უფრო გვიან, გამოვიდა 168 ნოველის შემცველი კრებული (იხ. Z a c h a r i a e  
 v o n L i n g e n t h a l, Geschichte des griechisch-römischen Rechts, 6 – 7). აგა-  
 თიამ, როგორც ჩანს, პირველად გაიცნო ჭანების დამორჩილების ფაქტის შემცველი  
 ნოველები ამ კრებულებით და თავის „ისტორიაში“ 556 წლის ქვეშ მომხდარი  
 ფაქტი მიიჩნია ნოველებში ნაგულისხმევად ისე, რომ თარიღები არ გაუთვალის-  
 წინებია.

Λαζῶν χώραν παρά τοὺς στρα- ში სტრატეგოსებთან.  
τηγούς ἐπᾶνήκε (HGM II 347,4—350,15).

### ბიზანტიის ჯარის რაოდენობა.

Τὰ γὰρ τῶν Ῥωμαίων στρα-  
τεύματα οὐ τοσαῦτα διαμεμενη-  
κότα ἕποσα τὴν ἀρχὴν ὑπὸ τῶν  
πάλαι βασιλέων ἐξέεργηται, ἐς  
ἐλαχίστην δὲ τινα μοῖραν περιελ-  
θόντα, οὐκέτι τῷ μεγέθει τῆς  
πολιτείας ἐξήρκουν. θεὸν γὰρ ἐς  
πέντε καὶ τετταράκοντα καὶ ἑξα-  
κοσίας χιλιάδας μαχίμων ἀνδρῶν  
τὴν ὅλην ἀγείρεσθαι δύναμιν,  
μόλις ἐν τῷ τότε ἐς πενήκοντα  
καὶ ἑκατὸν περιεστῆκει. καὶ τού-  
των αἱ μὲν ἐν Ἰταλίᾳ ἐτετάχατο,  
αἱ δὲ κατὰ τὴν Λιβύην, ἕτεραι  
δὲ ἐν Ἰσπανίᾳ, καὶ ἄλλαι περὶ  
τοὺς Κόλχους καὶ ἄλλαι κατὰ  
τὴν Ἀλεξάνδρου καὶ Θήβην τὴν  
Αἰγυπτίαν. ἐκάθηγτό δὲ ὅλγοι  
καὶ πρὸς τὰ ἑῷα τῶν Περσῶν  
ἕρπαι· οὐ γὰρ δὴπου ἔδει ἐκείσε  
πλειόνων διὰ τὰς σπονδὰς καὶ τὸ  
βέβαιον τῆς ἐκχειρίας (HGM II 369,18-32).

V 13. რომაელთა ჯარი აღარ  
იყო იმდენი, რამდენიც წინათ,  
ძველი მეფეების დროს, იყო: მცირე-  
ოდენი ნაწილია იყო დარჩე-  
ნილი, რაც სრულიად არ ეყოფო-  
და დიდ სახელმწიფოს. მთელ ჯარ-  
ში უნდა ყოფილიყო ექვსას ორ-  
მოცდახუთი ათასი მეომარი, იმ  
დროს <sup>1</sup> კი ძლივსა იქნებოდა ას  
ორმოცდაათი ათასი. ამათგანაც  
ერთი ნაწილი იტალიაში იყო ჩა-  
ყენებული, მეორე – ლიბიაში, სხვე-  
ბი კიდევ ისპანიაში და დანარჩენე-  
ბი კოლხეთის ქვეყანაში, აგრეთ-  
ვე ალექსანდრიაში და ეგვიპტის  
თებებში. მცირეოდენი ნაწილი კი  
ეყენათ აღმოსავლეთის საზღვრებ-  
ზე, სპარსელთა ქვეყანასთან: იქ  
აღარ იყო საჭირო მეტის ყოლა,  
რადგან ხელშეკრულება დადებული  
იყო და დროებითი ზავი შეკრული.

<sup>1</sup>) აგათიას ეს ცნობა მოცემული აქვს 558 წლის ქვეშ მოთხრობილ  
ამბებთან დაკავშირებით.

## საბას ანდერძი

VI საუკუნის მოღვაწეს კირილე სკვითოპოლელს (გარდ. 560 წ. მახნლობელ ხანებში) მოთხრობილი აქვს, რომ პალესტინის ცნობილი ლავრის დამაარსებელმა საბამ (გარდ. 524 წ.) გარდაცვალების წინ გადასცა თავის მოადგილეს მელეტეს სამონასტრო წესების (παραδοσις) შესახებ დაწერილი „ანდერძი“ და დაავალა დაეცვათ ეს წესები. ამ ანდერძის ორი ხელნაწერი (ერთი XII – XIII საუკ., მეორე – XV საუკ.) იპოვა ა. დიმიტრიევსკიმ, რომელმაც გამოსცა იგი ჯერ ცალკე კიევის აკადემიის შრომებში (Труды К. Акад. 1890, იანვარი, გვ. 170 – 190), მერე თავის შრომაში Описание лит. рукописей I, Киев 1895, გვ. 222 – 224. ტექსტი ამ ანდერძისა ხელახლა გამოსცა სათანადო შესწორებებით Ed. Kurtz-მა *Byzantinische Zeitschrift*, 3 [1894], 167 – 370. ამ ანდერძში შემდეგი სწერია იბერიელთა შესახებ:

### იბერიელები პალესტინაში.

«Μή ἔχειν δὲ ἐξοισίαν μήτε τοὺς Ἰβηρας, μήτε τοὺς Σύρους [μήτε τοὺς Φιράγγους] λειτουργίαν τελείαν ποιεῖν ἐν ταῖς ἐκκλησίαις αὐτῶν, ἀλλὰ συναθροισμένους ἐν αὐταῖς ψάλλειν τὰς ᾠδας καὶ τὰ τυπικά, ἀγχινοῦσκειν δὲ τὸν Ἀπόστολον καὶ τὸ Εὐαγγέλιον τῇ ἰδίᾳ διαλέκτῳ, καὶ μετὰ ταῦτα εἰσερχε-

არ ჰქონდეთ უფლება არც იბერიელებს,<sup>1</sup> არც სირიელებს [და არც ფრანგებს]<sup>2</sup> შეასრულონ სრული ლიტურგია თავიანთ ეკლესიებში, მაგრამ ამ უკანასკნელებში შეკრებილთ ნება ჰქონდეთ იგალობონ ჟამნი და ტიპიკები, იკითხოონ სამოციქულო და სახარება თავიანთ სა-

<sup>1</sup>) ა. დიმიტრიევსკი (Труды К. Ак. 1890, იანვარი) ფიქრობს, რომ თავდაპირველად დედანში „იბერიელთა“ ნაცვლად ეწერა Ἀρμενίους ვინაიდან კირილე სკვითოპოლელი საბას ლავრაში იბერიელებს არ იხსენიებს, სომხებზე კი მოგვითხრობს; ტექსტში „სომხების“ ნაცვლად იბერიელები შეიტანეს IX – X საუკ., როდესაც ბერძნები სომხებს მტრობდნენ. კერძოდ საბას ლავრაზე ვერას ვიტყვით, მაგრამ, საზოგადოდ პალესტინაში რომ იბერიელები მრავალრიცხოვნად მოიპოვებოდნენ, ეს იმით მტკიცდება, რომ მათ იქ საკუთარი მონასტერიც ჰქონდათ (შდ. პროკოპი კესარიელის De aed 9; გეორგიკა, II 192).

<sup>2</sup>) η του Φραγγους აკლია XV საუკ. ხელნაწერს და ის დედანში არც უნდა ყოფილიყო, რადგან „ფრანგები“ პალესტინაში მხოლოდ XI საუკუნიდან ჩნდებიან (E d. K u r t z, 168).

σφαι εἰς τὴν μεγάλην ἐκκλησίαν  
καὶ μεταλαμβάνειν μετὰ πάσης τῆς  
ἀδελφότητος τῶν φιλῶν καὶ ἀχράν-  
των καὶ ζῶστων μαθητῶν»<sup>1</sup>.

კუთარ ენაზე, და ამის შემდეგ  
შევიდენ დიდ ეკლესიაში და  
ეზიარონ დანარჩენ ძმობასთან  
ერთად ღვთაებრივ, წმინდა და  
ცხოველყოფელ საიდუმლოებათ.

<sup>1</sup>) ეს ტექსტი რუსული თარგმანითურთ მოყვანილი აქვს აგრეთვე პროფ.  
პ. კეკელიძის, Иерусалимский канонарь, გვ. 37.

## პეტრე პატრიკოსი

პეტრე პატრიკოსი (Πετρος Πατρικιος) დაიბადა თესალონიკეში 500 წლის მახლობელ ხანებში; მიიღო უმაღლესი იურიდიკული განათლება, იყო განთქმული ვეკილი. სამეფო კართან დაახლოვებული პირი იყო და იუსტინიანე მეფე მას საპასუხისმგებლო დავალებებს აძლევდა ხოლმე (სამეფო დავალებათა პირნათლად შესრულების გამო მას 550 წლის ებოძა პ ა ტ რ ი კ ი ო ს ი ს პ ა ტ ი ვ ი). ასე, 534 წელს მან გაგზავნა პეტრე ელჩად ოსტგუთების დედოფალთან, ამალასუნტესთან; 550 წელს გაგზავნა სპარსეთში ხოსროსთან საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად. 562 წელს პეტრე კვლავ იქმნა გაგზავნილი სპარსეთში, სადაც მან დასდო ე. წ. „ორმოცდაათწლიანი ზავი“. სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ის მალე გარდაიცვალა.

პეტრე პატრიკოსი ცნობილია როგორც მჭევრმეტყველი ორატორი, დახელოვებული დიპლომატი და ისტორიკოსი. მისი ისტორიული ნაშრომებიდან ცნობილია ორი:

1. Ἱστοριαί, რომლებიც ეხებოდენ I – IV საუკ. ამბებს და რომელთაგან ჩვენამდე მოღწეულია 18 ფრაზმენტი (აქედან 17 შემონახულია კონსტანტინე პორფიროგენეტის ექსცერპტებში De legationibus).

2. Περὶ πολιτικῆς καταστάσεως („სახელმწიფო წყობილების შესახებ“), რომლის ზოგიერთი ნაწილები შესულია კონსტანტინე პორფიროგენეტის კრებულში De caerimioniiis .

პეტრე პატრიკოსს ჰქონდა კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც ჩვენამდე სრულებით არ მოღწეულა და რომელსაც იხსენიებს მ ე ნ ა ნ დ რ ე. ეს იყო პეტრეს მოხსენება 562 წლის საზავო მოლაპარაკების შესახებ (იხ. თვით მენანდრეს სიტყვები ამის შესახებ, ქვემოთ გვ. 227).

ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები პეტრე პატრიკოსის „ისტორიებიდან“ ამოღებულია შემდეგი გამოცემებიდან:

D i n d o r f i u s L u d o v i c u s , H i s t o r i c i G r a e c i M i r o n e s , v o l I , 4 2 5 – 4 3 7 .

C a r o l u s d e B o o r , E x c e r p t a d e l e g a t i o n i b u s ( i u s s u i m p . C o n s t a n t i n i P o r p h y r o g e n i t i c o n f e c t a ) , 3 – 4 და 390 – 396.

### იბერთა მეფე მითრიდატე.

“Ὅτι οἱ Πάρθοι πρὸς Τιβέριον ἐπρεσβεύοντο βασιλέα σφίσιν ἐκ τῶν ἐμνηρευόντων δοῦναι. καὶ δέδωκεν αὐτοῖς Φραάτην τὸν τοῦ Φραάτου υἱόν. ἐκεῖνος δὲ κατὰ τὴν ἔξοχον τελευτήσαστος, Τιριδάτην ἐκ

ფრგ. 2. პართებმა მოციქულები გაუგზავნეს ტიბერიოსს და სთხოვედნ მას მეფედ დაენიშნა მათთვის ერთ-ერთი მასთან მყოფი მძევალთაგანი. ტიბერიოსმა მისცა მათ ფრაატე, ფრაატეს ძე. რადგან



τοῦ βασιλικοῦ γένους· ἐπεμψεν·  
καὶ ὅπως ῥῆον<sup>1</sup> τὴν βασιλείαν, πα-  
ραλάβοι, ἔγραψε Μιθριδάτῃ τῷ  
Ἰβήρων<sup>2</sup> βασιλεῖ εἰς τὴν Ἀρμενίαν  
εἰσβαλεῖν, ἵνα ὁ Ἀρτάβανος τῷ  
σὺν βοηθῶν ἀπὸ τῆς οἰκείας  
ἀπάρῃ, καὶ εἰσελθὼν ὁ Τιριδά-  
της τὴν βασιλείαν κατέσχευεν· οὐ  
μέντοι καὶ ἐπὶ πολὺ ἐβασίλευσεν·  
ὁ γὰρ Ἀρτάβανος Σκύθας πρὸς-  
λαβὼν οὐ χαλεπῶς αὐτὸν ἐξή-  
λασε, καὶ ταῦτα μὲν τὰ κατὰ  
Πάρθου· (HGM I, 425—426).

Ὅτι Μιθριδάτης ὁ τῶν Ἰβή-  
ρων βασιλεὺς ἐνεωτέρισε, καὶ πα-  
ρῆσχευάζετο εἰς τὸν κατὰ τῶν  
Ἰωμαίων πόλεμον. τῆς δὲ μη-  
ρὸς ἀντιλεγοῦσης καὶ φυγεῖν,  
ἐπειδὴ μὴ πείθειν αὐτὸν ἤθελον-  
το, βουληθείσης, βουλόμενος ἐπι-  
καλεῖσθαι τὸ σπουδαζόμενον αὐ-  
τὸς μὲν παρῆσχευάζετο, πέμπει  
δὲ Κότυν τὸν ἀδελφὸν εἰς πρεσ-  
βείαν, φίλους λόγους τῷ Κλαυ-  
δίῳ κομίζοντα. ὁ δὲ παραπρεσ-  
βείας πάντα αὐτῷ κατεμήγυσσε,  
καὶ βασιλεὺς Ἰβηρίας ἀντὶ Μιθ-  
ριδάτου γίνεται (HGM I, 426).

გიერ ყველაფერი გაუმჟღავნა კლავდის, და თვითონ გახდა იბერიის მეფე ნაცვლად მითრიდატეს<sup>4</sup>.

ფრაატე გზაშივე გარდაიცვალა, მან გაუგზავნა მათ ტირიდატე, სამეფო გვარისაგანი, და, რათა მას, რაც შეიძლებოდა, ადვილად მიეღო მეფობა, მისწერა იბერთა მეფეს მითრიდატეს შეჭრილიყო არმენიაში, რომ ამით აემულეებინა არტაბანე ძმას მიშველებოდა და ამრიგად საკუთარი ქვეყნიდან დაძრულიყო. ტირიდატეც შევიდა პართიაში და დაიკავა სამეფო. მაგრამ დიდ ხანს არ უმეფია, ვინაიდან არტაბანემ მოიხმო სკვითები და ადვილად შეს-  
ძლო მისი გაძევება. აი, ეს მოხდა პართების ქვეყანაში<sup>3</sup>.

ფრგ. 3. იბერთა მეფემ მითრიდატემ აჯანყება მოაწყო და შეუდგა სამზადისს რომაელთა წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. დედა მისი ამის წინააღმდეგი იყო და, მითრიდატეს რომ ვერ გადაათქმევინა მისი განზრახვა, გაქცევა დააპირა, მაგრამ მითრიდატემ იმ მიზნით, რომ დაემალა თავისი განზრახვა, თავისი ძმა კოტესი გააგზავნა ელჩად კლავდისთან და დაავალა მეგობრული სიტყვები ეთქვა მისთვის, თუმცა თვითონ მითრიდატე ომისთვის ემზადებოდა. კოტესმა კი დავალების შესრულების მა-

<sup>1</sup>) ἡσας ραιστα დ ი ო ნ ი. — <sup>2</sup>) ἰβηρων ΒΜ ἰβερων Μ (პირველი რედაქცია) და სხვები.

<sup>3</sup>) ეს ნაწყვეტი მთლიანად და სიტყვა-სიტყვით ამოღებულია დ ი ო ნ კ ა-ს ი ო უ ს ი ს „ისტორიიდან“ (თავი LVIII, 26, ხოლო აქ მითრიდატე მეფედ არ იხსენიება) — ეხება 35 წლის (ახ. წ.) ამბებს. უფრო დაწვრილებით იგივე ამბები მოთხრობილი აქვს კ ო რ ნ ე ლ ი ტ ა ც ი ტ ე ს, (Annales VI, 31 — 36).

<sup>4</sup>) ამოღებულია დ ი ო ნ კ ა ს ი ო უ ს ი ს „ისტორიის“ LX, 8-იდან, ეხება 47 წლის (ახ. წ.) ამბებს. იგივე ამბები მოთხრობილი აქვს ტ ა ც ი ტ ე ს (ნაწილობ-

საზავო მოლაპარაკება რომაელებსა და სპარსელებს შორის  
298 წელს. იბერიის დამოკიდებულება რომისაგან.

“ Ὅτι Γαλέριος καὶ Διοκλητιανὸς εἰς Νίσιβιν συνήλθον, ἐνθα κοινῇ βουλευσάμενοι στέλλουσιν εἰς Περσίαν πρεσβυτήν Σικόριον Πρόβον ἀντιγραφέα τῆς μνήμης τοῦτον ὁ Ναρσαίος τῆ τῶν ἐπαγγεληθέντων ἐλπίδι φιλοφρόνας ἐδέξατο. χρήται δὲ καὶ τινι ἀναβολῇ ὁ Ναρσαίος. ὡς γὰρ βουλό-

ფრგ. 14. გალერი და დიოკლეტიანე ნისიბინში შეიყარნენ, ერთად მოითათბირეს და ელჩად გაგზავნეს სპარსეთში სიკორი პრობე, მომხსენებელი მდივანი. ნარსემ იმ იმედით, რომ დანაპირებს შეუსრულებდენ, მეგობრულად მიიღო ის, მაგრამ საქმეს აჭიანურებდა, რადგან მას სურდა თავისკენ მიემხრო სიკორის

რივ დაცულია Ann. XI, 8-ში, ხოლო უმეტესი ნაწილი დაკარგულია). იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I<sup>3</sup>, 156 – 157.

თ. მ. მ. ზენს (Römische Geschichte, V 379 – 380) მცდარად მიაჩნია პეტრე პატრიკოსის ამ მესამე ფრაგმენტში მოცემული ცნობა. ის სწერს: ეს ცნობა არ ეთანხმება იმ უეჭველ ფაქტს, რომ იბერიაში ყოველ შემთხვევაში 35 წლიდან (Tacitus 6,32) 60 წლამდე (Tacitus 14, 26) მეფობდა ფარასმანე, ხოლო 75 წელს მისი ძე მითრიდატე (CIL III, 6052) მეფობდა. ეჭვ გარეშეა, რომ პეტრემ ერთიმეორეში აურია მითრიდატე იბურიელი და იმავე სახელის მატარებელი მეფე ზოსფორისა და რომ აქ მოთხრობილ ამზავს საფუძველად უდევს ტატიტეს Ann. 12, 18-ში მოხსენებული ფაქტიო» (ამავე აზრს იცავენ А. О р е ш н и к о в, К н у м и з м а т и к е п р е е м н и к о в А с п у р г а: *Изв. Ак. Истории М. К.*, 1921, გვ. 5 და ავტორი სტატიისა Kotys: *RE XI [1922], 1554, № 10*] მართლაც, ტაციტეს (Ann. 12, 18) ნათქვამი აქვს, მითრიდატეს «ემინოდა თავისი ძმის კოტკსისა, რომელმაც წინათ ის გასცა და, მის მტრად იქცაო». ეს სიტყვები თითქოს ამტკიცებენ იმას, რაც დაწვრილებით აქვს მოთხრობილი პეტრე პატრიკოსს, მაგრამ აქ იზადება შემდეგი კითხვები. თუ პეტრეს 3 ფრაგმენტის ცნობის სისწორე დასაეჭვებელია იმიტომ, რომ – როგორც მ. მ. ზენსი ამბობს – 35-60 წლებში იბერიის მეფედ ფარასმანე იყო, მაშინ დასაეჭვებელი უნდა იყოს 2. ფრაგმენტიც (და ამასთან ერთად კასიუს დიონის სათანადო ადგილიც) სადაც 35 წლის ქვეშ მეფედ იგივე მითრიდატეა მოხსენებული. გარდა ამისა, იგივე ტაციტე, რომელსაც ეყრდნობიან მკვლევარნი, როდესაც ისინი პეტრეს 3. ფრაგმენტს ზოსფორის ამბებს მიაკუთვნებენ და არა იბერიისას, სხვა ადგილას (Ann XI, 8 – 9) მოგვითხრობს იბერიის მეფის ფარასმანეს ძმის, მითრიდატეს, შესახებ, რომელმაც გაილაშქრა სომხეთის წინააღმდეგ და რომლის საბოლოო გამარჯვებას ხელს უშლიდა მცირე არმენიის მეფე კოტკსი (ეს ყველაფერი მოთხრობილი აქვს ტაციტეს სწორედ კლავდიუს მეფობაში).

ამით ჩვენ გვსურს მკვლევართა ყურადღება იმას მივაქციოთ, რომ პეტრეს ფრაგმენტებში მოხსენებული ფაქტი არც ისე ნათელია, როგორც ეს დღემდე არსებულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი, და ის დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

μενος δῆθεν τοὺς περὶ Σικόριον πρέσβεις, οἷα δὴ κεκοπωμένους, ἀνακτῆσασθαι, μέχρι τοσοῦτου περὶ τὸν Ἀσπρουδιν<sup>2</sup> ποταμὸν τῆς Μηδικῆς τὸν Σικόριον παρείλκυσεν, οὐκ ἀγνωσῦντα<sup>3</sup> μέντοι τὸ γινόμενον, ἕως οἱ τῆδε κάκεισε διὰ τὸν πόλεμον σκορπισθέντες συνελέγησαν. καὶ τηνικαῦτα ἐν ταῖς ἐνδοτέρω τῶν βασιλείων πάντας τοὺς ἄλλους χωρίσας, καὶ ἀρκεσθεῖς τῇ παρουσίᾳ Ἀφφάρβα καὶ Ἀρχαπέτου καὶ Βαρσαβώρσου, ὃν ὁ μὲν ἕτερος ὑπαρχος ἦν πραιτωρίων, ὁ δὲ ἕτερος τὴν τοῦ Συμίου<sup>4</sup> εἶχεν ἀρχήν, ἐπέτρεψε τῷ Πρόβῳ τὴν πρεσβείαν διεξιέναι. ἦν δὲ τὰ κεφάλαια τῆς πρεσβείας ταῦτα, ὥστε κατὰ τὸ ἀνατολικὸν κλίμα τὴν Ἰντηληνὴν μετὰ Σωφηνῆς καὶ Ἀρζανηνὴν μετὰ Καρδουηνῶν καὶ Ζαβδικηνῆς Ῥωμαίους ἔχειν, καὶ τὸν Τίγριν ποταμὸν ἑκατέρως πολιτείας ὁρῶθῆσιον εἶναι, Ἀρμενίαν δὲ Ζίνθα τὸ κάστρον ἐν μεθორίῳ τῆς Μηδικῆς κείμενον ὀρίζειν, τὸν δὲ Ἰβηρίας<sup>5</sup> βασιλέα τῆς οἰκείας βασιλείας τὰ σύμβολα Ῥωμαίοις ὀφείλειν, εἶναι δὲ τόπον τῶν συναλλαγμάτων Νίσιβιν τὴν πόλιν, παρακειμένην τῷ

მეთაურობით მოსული ელჩები, რომლებიც უკვე მოქანცულნი იყვნენ, მანამდე ათრია მიდის მდინარე ასპრუდისამდე სიკორი, რომელსაც კარგად ესმოდა რაც ხდებოდა, სანამ თავი არ მოიყარეს ომის გამო აქა-იქ გაფანტულმა ჯარისკაცებმა. მაშინ სასახლის დარბაზიდან გაისტუმრა ყველანი, დაისწრო მხოლოდ აფფარბა, არხაპეტე და ბარსაბორსე, რომელთაგან ერთი იყო პრეტორიელთა ჰიპარქი, ხოლო მეორეს სვმიას თანამდებობა ეჭირა, და მოუწოდა პრობეს ელჩობის მიზანი გამაცანიო. ამ ელჩობის მთავარი საკითხები იყო შემდეგი: რომაელების ხელში უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთით ინტელენე სოფენითურთ, არზანენე კარდუენებითურთ და ზაბდიკენითურთ; ორივე სახელმწიფოს საზღვრად უნდა დადებულიყო მდინარე ტიგრისი; ზინთის<sup>1</sup> ციხე, რომელიც მიდიის საზღვარზე მდებარეობდა, არმენიის საზღვრად უნდა დადებულიყო, ხოლო იბერიის მეფეს რომაელებისაგან უნდა მიეღო თავისი მეფობის ნიშნები; ქალაქი ნისიბინი, ტიგრისზე მდებარე, აღებ-მიცემის ადგილად უნდა ყოფილიყო. ეს რომ მოისმინა ნარსემ, შეუერთდა ყველა

<sup>1</sup>) ჯივა V, – ზინთის მდებარეობა უცნობია (შდ. Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, 226 – 227).

<sup>2</sup>) ასპრუდინ BEV, ასპრუდიონ P (პირველი რედაქცია; შემდეგ შესწორებულია როგორც BEV-ში), ასპრუდი M, ასპრუდი R.

<sup>3</sup>) აგნოსუნთა Classen, εγνωσუნτα O.

<sup>4</sup>) სიმის RV.

<sup>5</sup>) იბერიას BEV, იბირიას P.

Τίγριδι. τούτων ὁ Ναρσαῖος ἀκούσας, ἐπειδὴ πρὸς μηδὲν τούτων ἢ παρῆσα τύχη ἀρνεῖσθαι αὐτὸν συνεχώρει, συνέθετο τοῖς ἀπάσι, πλὴν ἵνα μὴν δόξῃ ἀνάγκη πάντα ποιεῖν, διηγήσατο μόνον τὸ τόπον εἶναι τῶν συναλλαγμάτων τὴν Νίσιβιν. ὁ δὲ Σικόριος, ἠένδεδωκέμαι χρι] πρὸς τοῦτο. οὔτε γὰρ αὐτοκράτωρ ἢ πρεσβεία καὶ περὶ τούτου ἐκ τῶν αὐτοκρατόρων οὐδὲν ἐπετέτραπτο.“ τούτων οὖν συντεθέντων, ἀπεδόνθησαν τῷ Ναρσαίῳ αἱ τε γαμεταὶ καὶ οἱ παῖδες, μετὰ φιλοτιμίας τῶν βασιλέων τῆς σωφροσύνης αὐταῖς καθαρᾶς<sup>1</sup> φυλαχθείσης (HGM , 433—434).

ამ მუხლს, რადგან მაშინ არსებული ვითარება ნებას არ იძლეოდა მას უარი ეთქვა მათზე. მაგრამ, რათა ვინმეს არ ეფიქრა, რომ ის გაჭირების გამო თანხმდებოდა ყველაფერზე, უარყო მხოლოდ ერთი რამ: ნისიბინი ნუ იქნება აღებ-მიცემის ადგილადო. სიკორიმ კი უპასუხა: „ესეც უნდა დასთმო; ელჩები უფლებამოსილი არ არიან დაგითანხმონ, არც თვითმპყრობელთაგან აქვთ ამის შესახებ რაიმე დავალება“. ამ საკითხებში რომ შეთანხმდენ ნარსეს დაუბრუნეს მისი ცოლები და ბავშვები: მეფეთა კეთილპატიოსანი<sup>1</sup> გონიერების წყალობით მათი სიწმინდე დაცული იყო.

<sup>1</sup>) καθαραις O.

## იოანე ეპიფანიელი

იოანე ეპიფანიელი (Ἰωάννης Ἐπιφάνης) ბიზანტიელი ისტორიკოსი, VI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მოღვაწე, წარმოშობით იყო სირიიდან, ქალაქ ეპიფანიიდან (ამავე ქალაქიდან იყო ისტორიკოსი ევაგრი, რომელიც თავის «ისტორიაში» იხსენიებს იოანეს ἐμὴ τε παλιῆν καὶ συγγενεῖν). მისი ბიოგრაფიისათვის ზოგიერთ ცნობებს ვტყობილობთ მისივე ნაწარმოების ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტებიდან. ასე, მაგალითად, ირკვევა, რომ იოანეს ურთიერთობა ჰქონდა ირანის მეფე ხოსრო II-სთან (გამეფდა 590 წ.). ამაზე უწინარეს ის ყოფილა ანტიოქიის პატრიარქის გრიგოლის (პატრიარქად იყო 569/571 წლიდან) მრჩეველი და მასთან ერთად უხდებოდა ირანში სიარული, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ (591 წ.) საზავო მოლაპარაკებაში ლებულობდა მონაწილეობას.

იოანეს დაუწერია საისტორიო შრომა, რომელიც ეხებოდა 572 – 592 წწ. მმბებს, ე. ი. უმთავრესად იმ ომის ამბები, რომელიც 571 წელს განახლდა ბიზანტიასა და ირანს შორის და რომელიც დამთავრდა 591 წლის ზავით. რამდენადაც ავტორი მის მიერ აღწერილი ამბების არა თუ მომსწრე, არამედ მონაწილეც ყოფილა, გარდა ამისა ირანში ნამყოფია და საომარი ოპერაციების ადგილებს გასცნობია, ამდენად მისი ცნობები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია; მით უფრო სამწუხაროა, რომ მისი შრომა თითქმის დაკარგულია და მცირეოდენი ნაწყვეტებიღაა მოღწეული (ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილი სამი ფრაგმენტის გარდა მოღწეულია კიდევ ორი ფრაგმენტი 4. და 5.).

ჩვენ მიერ მოყვანილი ფრაგმენტები ეხება იმავე ამბებს, რომელთა შესახებ ცნობები აქვთ მოცემული მენადრეს, თეოფანე ბიზანტიელს და ევაგრის და რომლებიც ქვემოთ თავთავის ადგილას არის ჩვენ მიერ ამოკრეფილი: სომხების გადადგომა 571 წელს, პიტიახშ სურენას მოკვლა, ბიზანტიელების მიერ უარის თქმა ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი გადასახადის გაღებაზე და სხვა. ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს მეორე ფრაგმენტი, სადაც მოხსენებულია ზემარქეს ელჩობა თურქთა ქვეყანაში. მენადრეს დაწვრილებით აქვს აღწერილი ზემარქეს

მოგზაურობა თურქთა ქვეყანაში და მისი უკან დაბრუნება (იხ. ქვე-  
მოთ გვ. 235 – 237). მენანდრეს არა აქვს აღნიშნული, თუ რა გზით  
მივიდა ზემარქე თურქების ქვეყანაში. უკან დაბრუნებისას კი ზემარ-  
ქეს, მენანდრეს ცნობით, გამოუვლია ალანთა ქვეყანა და სვან-მისი-  
მიელთა ქვეყნით შავი ზღვის სანაპიროზე მისულა. იო ა ნ ე ე პ ი ფ ა -  
ნ ი ე ლ ი ს ტ ე ქ ს ტ ი კ ი ი მ სა ხ ი თ, როგორც ის ჩვენამდე მოღწეულა,  
აღნიშნავს, რომ ზემარქეს კონსტანტინეპოლიდან თურქთა ქვეყანაში  
მგზავრობის დროსაც ალანთა ქვეყანა გაუვლია. ის სწერს: «როდესაც  
თურქთა ელჩები მოვიდენ რომაელებთან და იუსტინე მეფემ ელჩები  
მიიღო და მათ გაბრუნებისას თან გააყოლა ზემარქე, სპარსელებმა  
მოისურვეს ფულით მოესყიდათ ალანები, რომელთა ქვეყანაზე უნდა  
გავევლოთ იმათ».

ქვემოთ მოყვანილი ფრემენტების ტექსტი და თარგმანი დამზა-  
დებულია ჩვენ მიერ შემდეგი გამოცემების მიხედვით:

Dindorfius Ludovicus, Historici Graeci Minores, vol. I,  
375 – 382.

Mullerus Carolus, Fragmenta Historicorum Graecorum,  
vol. IV, 272 – 276.

### ავტორის გეგმა და მიზნები.

Τὰ μὲν ὅσα Ῥωμαῖοί τε καὶ  
Μηδοὶ πολεμοῦντες ἀλλήλοις ἔπα-  
θόν τε καὶ ἔδρασαν κατὰ τὴν Ἰουσι-  
τιανοῦ τοῦ Ῥωμαίων αυτοκράτο-  
ρος βασιλείαν γέγραπται Ἀγαθὸς  
τῷ Μυριναίῳ, ἀνδρὶ τιτῷ ἐν Βυζαν-  
τίῳ ῥήτορσι καταλεγέντι διαφανῶς  
καὶ μετὰ γε Προκόπιον τὸν Καισα-  
ρέα τὰ πρὸς τοὺς βαρβάρους πραχ-  
θέντα ἀναγράψαντι. μεγίστου δὲ  
ὄντος ὧν ἀκοῆ ἴσμεν αὐτὸν βασι-  
λέα Περσῶν φυγάδα τῆς οἰκείας  
γενομένου τῆς τε ἀρχῆς ἐκπεπτω-  
κότα τῇ Ῥωμαίων προσχωρήσαι  
πολιτείᾳ, Μαυριανοῦ βασιλέως

ფრგ. 1. რაც ერთმანეთში მებრ-  
ძოლმა რომაელებმა და მიდიელებ-  
მა ტანჯვა-წვალება გამოიარეს და  
ერთი-მეორეს მიაყენეს რომაელთა  
თვითმპყრობელ იუსტინიანეს მე-  
ფობაში, ეს აღწერილი აქვს აგა-  
თია მირინელს, რომელიც ბიზან-  
ტიონელ რიტორთა შორის სახე-  
ლოვანი კაცი იყო და რომელმაც  
აღწერა, პროკოპი კესარიელის შემ-  
დეგ, ბარბაროსთა მიმართ ჩადენი-  
ლი საქმეები. იმ ამბებიდან, რო-  
მელთა შესახებაც გაგვიგონია,  
უდიდესია ის, რომ თვით მეფე  
სპარსელებისა გამოიქცა საკუთარი

θεόμενον συμμαχίαν οἱ ἐπιδοῦναι  
 καὶ ἐς τὴν βασιλείαν καταγαγεῖν,  
 τοῦτο ἔρχομαι λέξων, οὐ λόγου  
 περισσίῃ τεθαρρηκώς οὐδέ γε  
 πρότερον... ἀλλ' ὡς ἂν μὴ πρᾶ-  
 γμα τηλικούτων τοῖς ἐπειτα γενη-  
 σομένοις ἀδιαβόητον καταλειφ-  
 θείη, ἐπεὶ καὶ τὰ μέγιστα τῶν  
 ἔργων, εἰ μὴ πως ἄρα διὰ τῶν  
 λόγων φυλαχθείη καὶ τῇ μνήμῃ  
 παραδοθείη, τῷ τῆς σιωπῆς ἀποσ-  
 βέννυται σκότει. παρέχουσι γὰρ οἱ  
 λόγοι τὸ ζῆν καὶ διαφθειρομένοις  
 τοῖς πράγμασιν. ἔπειτα δὲ καὶ τισι  
 τῶν γεγενημένων παρατυχῶν,  
 αὐτῷ τε Χοσρόῳ τῷ νέῳ ἐς λό-  
 γους ἐλθῶν καὶ τῶν ἄλλων Μή-  
 θων τοῖς μάλιστα ἀξιολογώτατοις  
 καὶ γὰρ με συμβέβηκε πρότερον  
 μὲν Γρηγορίῳ τῷ τῆς Ἀντιοχείων  
 πόλεως ἀρχιερεῖ σύμβουλον ὄντα  
 ἅμα αὐτῷ τὴν πρὸς ἐκείνους ἑμι-  
 λίαν πολλάκις ποιήσασθαι, χρό-  
 νῳ δὲ ὕστερον μετὰ τὴν τοῦ πο-  
 λέμου τελευτῆν καὶ ἐς τὴν Περ-  
 σῶν ἀφικέσθαι γῆν, Γεωργίῳ  
 συνεσβαλόντα τὴν τῶν γενόμενων  
 δημοφροσύνην ποιουμένων· οὐκ ἄτο-  
 πον ἡγησάμην καθ' ἕσπον δ' ἂν  
 οἷός τε ὦ τοῖς οὐκ εἰδῶσι τὰ περὶ  
 τούτων διηγήσασθαι. ἀναγκαῖον  
 δὲ ὅν τῆς τῶν ἐπομένων γνώσεως  
 ἔνεκα ἀκριβῶς εἰδέναι καὶ τὰ  
 κίρια τῶν προγεγενημένων, οὐχ  
 ἦμιστα δὲ τὰ ἐς τὴν ἐπανάστα-  
 σιν τὴν Ὀρμίσδα τῷ Χοσρόου  
 πατρὶ γεγενημένην, τῶν ἔμπροσ-  
 θέν μοι δοκεῖ διὰ βραχέων μνη-

ქვეყნიდან; ის ჩამოაგდეს ტახტი-  
 დან, გადმოვიდა რომაელთა სა-  
 ხელმწიფოს მხარეზე და სთხოვა მა-  
 ვრიკი მეფეს გაეწია მისთვის მო-  
 კავშირობა და დაებრუნებინა იგი  
 თავის სამეფოში. აი, მე ამის შე-  
 სახებ დავიწყებ თხრობას, მაგრამ  
 არა მოჭარბებული სიტყვით გათა-  
 მამების გამო, არამედ იმის გამო,  
 რომ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე  
 არ დარჩეს გადაუცემელი მომავალი  
 თაობებისათვის, ვინაიდან, როდე-  
 საც მნიშვნელოვანი მოვლენები და-  
 წერილი სიტყვის საშუალებით არ  
 არის მეხსიერებისათვის გადაცემუ-  
 ლი, ისინი წარიხოცებიან ხოლმე  
 დუმილის წყვილიადში; წიგნები კი  
 სიცოცხლეს ანიჭებენ თვით დალუ-  
 პულ საქმეებსაც კი. შემდეგ, ზო-  
 გიერთ ამ ამბებში მეც ვერიე, თვით  
 ხოსრო უმცროსთან ურთიერთობა  
 მქონდა და სხვა წარჩინებულ მი-  
 დიელებთან: წინათ, როდესაც ან-  
 ტიოქიის მღვდელმთავრის გრიგო-  
 ლის მრჩეველი ვიყავი, ხშირად მი-  
 ხდებოდა გრიგოლთან ერთად იმათ-  
 თან ურთიერთობა; შემდეგ კი,  
 უფრო გვიან, ომის დამთავრების  
 შემდეგ, სპარსელთა ქვეყანაშიც წა-  
 სვლა მომიხდა, როდესაც გიორგის  
 წავყევი თანხმობის ჩამოსაგდებად.  
 ამიტომ მე მიზანშეწონილად ჩავ-  
 თვალე, რამდენადაც შემეძლო, მეამ-  
 ბნა ყველაფერი ეს იმათთვის, ვის-  
 თვისაც ეს უცნობია. ხოლო ვინაი-  
 დან მომდევნო ამბების შესაცნობად  
 საჭიროა ზედმიწევნით ცოდნა წი-  
 ნათ მომხდარი ამბებისა (განსა-

μονεύσαντα πρότερον, οὕτω καὶ ἐπὶ τὸν ἄλλον ἀφικέσθαι λόγον, ὡς τοὺς μὲν εἰδοτάς ὑπομνησθη- ναι τῶν κεινημένων, τοὺς δὲ μηδ' ἔλωσ ἀκηκούτας τὰς ἀφορ- μὰς ἔχειν εἰδέναι σαφῶς ἀφ' ὧν τὰ μετὰ ταῦτα πραχθέντα γεγό- νασιν.

ში მომხდარ მოძრაობებს, ხოლო, ვისაც სრულიად არ გაუგონია, მას საშუალება მიეცემა ნათლად გაიგოს ის, რამაც მომდევნო ამბები გამოიწვია.

### ომის განახლება იუსტინეს დროს.

Ἐπεὶ γὰρ Ἰουστινιανὸς βασι- λεὺς ἐννέα καὶ τριάκοντα τοῖς πᾶ- σιν ἔτεσι Ῥωμαίων ἀρχὰς ἐτε- λεύτη τὸν βίον, τοῦ χρόνου τὸ πέρασ ἐν εἰρήνῃ βιώσας πρὸς τε τοὺς ἄλλους καὶ Μήδους αὐ- τοὺς, τὴν τε Ῥωμαίων διεδέξατο βασιλείαν Ἰουστίνος, ὁ νέος, ἀδελ- φιδὸς αὐτῶν γεγονώς, λυθισῶν τῶν πρὸς ἀλλήλους Ῥωμαίους τε καὶ Μήδους ἔμπροσθεν γεγενημέ- νων σπονδῶν, ἃς Ἰουστινιανὸς πρὸς Χοσρόην τὸν Καβάδου, Περσῶν βασιλέα, ἐπὶ χρόνους πενήκοντα πέντε πεποίητο, μέγαν πόλεμον κεινήκασι πρὸς ἀλλήλους, ἀρχ- θέντα μὲν ἰδὼ κατὰ τὸ ἕβδομον ἔτος τῆς Ἰουστίνου βασιλείας, ἕς εἴκοσι δὲ χρόνους ἐπεκταθέντα καὶ τὸ πέρασ δεξάμενον τῆ ἑνά- τῃ τῆς βασιλείας ἐνιαυτῶ τοῦ Ῥωμαίων αυτοκράτορος Μαυρι- κίου. τὰς μὲν ἅν αἰτίας τῆς τῶν γενῶν φιλονεικίας ἀλλήλοις ἐπήγον,

კუთრებით ისეთი ამბებისა, რო- გორიც იყო, მაგალითად, ჰორმი- ზდას აჯანყება თავისი მამის ხო- სროს წინააღმდეგ), ამიტომ სა- ჭიროდ მიმაჩნია მოკლედ მოვიგო- ნო წინადროინდელი ამბებიც და მერმე გადავიდე სხვაზე; ვინც ეს უკვე იცის, აღადგენს მეხსიერება-

ფრგ. 2 რომაელთა მეფე იუს- ტინიანე ოცდაცხრამეტი წლის მე- ფობის შემდეგ გარდაიცვალა; უკანასკნელ ხანებში მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა, როგორც სხვა ტომებთან ისე თვით მიდიე- ლებთან. მის შემდეგ რომაელთა სამეფო ძალაუფლება მიიღო იუს- ტინე უმცროსმა, იუსტინიანეს დის- წულმა. მის დროს დაირღვა რო- მაელთა და მიდიელთა შორის წი- ნათ დადებული ხელშეკრულება, რომელიც იუსტინიანემ ორმოცდა- თხუთმეტი წლის ვადით დადვა სპარსელთა მეფე ხოსროსთან, კა- ვადის ძესთან. ამის შემდეგ ატყდა მათ შორის დიდი ომი, რომელიც დაიწყო იუსტინეს მეფობის მეშვი- დე წელს, თითქმის ოც წელს გა- გრძელდა და დამთავრდა რო- მაელთა თვითმპყრობელ მავრიკის მეფობის მეცხრე წელს. ერთა შო- რის ამ შუღლის მიზეზს ისინი ერთ- მანეთს მიაწერდენ; რომაელები



Ῥωμαῖοι μὲν χιλεπῶς φέροντες, ὅτι τοὺς Ὀμηρίτας, Ἰνδικόν δὲ τὸ γένος καὶ σφίσιν αὐτοῖς σύμμαχόν τε καὶ ὑπὴκοον, ἀποστῆσαι Μῆδοι διανοήθησαν, μηδαμῶς τε ἐλομένων ἐκείνων, ἐφοδῶν κατ' αὐτῶν ἐποιήσαντο τοῦ χρόνου τῶν σπονδῶν ἐνισταμένου· πρὸς τοῦτοις δὲ, ὅτι καὶ Τούρκων πρὸς Ῥωμαῖους... [πρεσ]βευσαμένων, Ἰουστίνου δὲ βασιλέως τὴν πρεσβείαν προσιεμένου, καὶ Ζήμαρχον, ἄνδρα τῆς συγλήτου βουλήs, σὺν ἐκείνοις ἐκπέμφαντος, Πέρσαι τοὺς Ἄλανοὺς χρήμασι διαφθεῖραι βουλευθέντες, δι' ὧν ἐκείνοι τὴν πορείαν ἐμελλον ποιήσασθαι, τὸν τε Ζήμαρχον καὶ τοὺς σὺν αὐτῷ Ῥωμαῖους τε καὶ Τούρκους ἐκποδῶν γενέσθαι διεσπούδαζον. τὸν ἕμιοιν δὲ τρόπον ἀντεπήγον καὶ Μῆδοι, τοῦ πολέμου τὰς ἀφορμας ἐπικαλοῦντες Ῥωμαῖους, ὅτι τοὺς Ἀρμενίους, ὑποφόρους σφίσιν ὄντας, ἐς ἐπανάστασίν τε ἑωρακότας καὶ τὸν ἄρχοντα σφῶν Σουρήνην τοῦνομα διαχρησαμένους, τῇ τε Ῥωμαίων ἀρχῇ προσχωρήσαντας, ἐν σπονδαῖς ὑπεδέξαντό τε καὶ τῆς οἰκείας αὐτοῖς μεταδεδῶκασι συμμαχίας. οὐχ ἦκιστα δὲ τὸ φιλόνηικον αὐτοῖς ἐπὶ πλέον ἠδύξθη, εἰ τις ἄρα ἦν ἀφανεστάτην αἰτίαν, ἀληθῆ δὲ θύμας, μαθεῖν ἐθελήσῃ, ὅτι δὴ ὁ βασιλεὺς Ἰουστίνος σὺνδραμῇ ἡξίου χρυσοῦ ἀντράς πεντακοσίας, ἐφ' αἷς ἔμπ-

უკმაყოფილონი იყვნენ, რომ მიდიელები ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ რომაელებისაგან ჰომერიტები, – ინდთა ტომი, – რომელნიც რომაელების მოკავშირენი და ქვეშევრდომნი იყვნენ; ვერასგზით რომ ვერ დაითანხმეს ისინი, გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ ზავის დროს. გარდა ამისა, როდესაც თურქთა ელჩები მოვიდნენ რომაელებთან და იუსტინე მეფემ ელჩები მიიღო და მათ გაბრუნებისას თან გააყოლა ზემარქე, საბჭოს კრებულის წევრი, სპარსელებმა მოისურვეს ფულით მოესყიდათ ალანები, რომელთა ქვეყანაზე უნდა გაველოთ იმით. და ცდილობდნენ დაბრკოლებები შეექმნათ ზემარქესთვის და მასთან მყოფ რომაელებისა და თურქებისათვის. ამგვარადვე წინააღმდეგ გამოილაშქრეს. მიდიელებმა და რომაელებს აბრალედნენ ომის მიზეზებს, აბრალედნენ იმას, რომ რომაელებმა, ზავის დროს, შეიფარეს არმენიელები, მათი (ე. ი. სპარსელების) მოხარკენი, რომლებიც აჯანყდნენ, ამათი არქონტი სურენა მოჰკლეს და რომაელთა ძალაუფლების მხარეზე გადავიდნენ, და რომ რომაელებმა ისინი თავიანთ მოკავშირეებად მიიღეს. თუ ვინმეს სურს გაიგოს უფრო უჩინარი, მაგრამ ნამდვილი მიზეზი, მათი შუღლი უფრო იმ გარემოებათა გამწვავა, რომ იუსტინე მეფემ აღარ ისურვა ყოველწლიურად ეძლია მიდიელებისთვის ხუთასი ლიტრა ოქრო, რომელიც გათვალის-

ροσθην γεγονασιν αἱ σπονδαί, παρέχειν Μήδους ἐς ἕκαστον ἔτος, καὶ τὴν Ῥωμαίων πολιτείαν Πέρσαις ὑπόφορον ἐς αἰὲν καταστήσασθαι.

წინებული იყო დადებული ხელშეკრულებით, და რომელთა სახელმწიფო სპარსელების სამუდამო მოხარკედ გაეხადა.

### მარკიანეს ლაშქრობა აღმოსავლეთში.

Τοῦ χρόνου τοίνυν ἐς πέρας ἀχθέντος, ἡπὲρ οὗ τὰ χρήματα κατὰ τὰ πάλαι συγκείμενα Χοσρόης ὁ Περσῶν ἐκεκόμεστο βασιλεύς· καὶ γὰρ ἐδόκει κατὰ ταῦτον τὸ τῆς δεκαετίας πρῶτον ἐπιδίδοσθαι· μηδενὸς τε τὸ λοιπὸν ἐς σύμβασιν ἠμιληθέντος, Ἰουστινὸς ὁ Ῥωμαίων βασιλεύς ἐς τὴν ἔφραν κατὰ τάχος ἐκπέμπει Μαρკιανὸν στρατηγόν, ἐν τοῖς πατρικίους τῆς συγκλήτου βουλῆς τεταγμένον, αὐτῶν τε πρὸς γένος συνημμένον, τῶν τε πολεμικῶν κινδύνων οὐκ ἄπειρον, καὶ ἄλλως ἀνδρεῖον ὄντα τε καὶ δεκνόντα. διαβὰς δὲ τὸν Εὐφράτην ὁ Μαρკιανός, καὶ κατὰ τὴν Ὀσροηνὴν γεγονώς, ἤδη τοῦ θέρους παρακμάσαντος], καὶ τῶν βαρβάρων τέως οὐδὲν προδομένων πολέμιον, τρισχιλίους διπλίτας κατὰ τὴν Ἀρζανηνὴν οὕτω καλουμένην ἐκπέμπει μοῖραν, ἡγεμόνας ἐπιστήσας αὐτοῖς Θεόδωρόν τε καὶ Σέργιον, ἐκ τοῦ Ῥάβδου τοῦ γένους ἔλκοντας, Ἰουβεντινόν τε, τῶν ἐν Χαλκίδι ταγματῶν ἡγούμενον. ἐμβαλόντες οὖν ἐξ ἀπίνης τὴν Περσῶν δεξιῶσι γῆν

ფრგ. 3. როდესაც გავიდა ის დრო, რომლის კუთვნილი ფული წინათ დადებული პირობით ხოსროს, სპარსელთა მეფეს, მიღებული ჰქონდა – პირობით ხომ გავალისწინებული იყო ათი წლის კუთვნილი თასხის მიცემა – რომელთა მეფემ იუსტინემ სასწრაფოდ გააგზავნა აღმოსავლეთში სარდალი მარკიანე, საბჭოს კრებულის პატრიკიოსთაგანი და თავისი ნათესავი, ომის სახიფათო საქმეებში კარგად გამოცდილი, რომელიც საერთოდ ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცად ითვლებოდა. მარკიანე გადავიდა ევფრატზე და ოსროენეში მივიდა, როდესაც უკვე გავიდა ზაფხული; ბარბაროსები სამტროს არაფერს მოელოდენ; მარკიანემ სამი ათასი ჰოპლიტისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნა ეგრეთწოდებულ არზანენეს წინააღმდეგ. მათ წინამძღოლებად დააყენა თეოდორე და სერგი, წარმოშობით რაბდიელები, და იუვენტინე, ქალკიდის რაზმების წინამძღოლი. ისინი მოულოდნელად შეიჭრნენ სპარსელთა ქვეყანაში, მოაოხრეს იგი, დიდძალი ნადავლი წამოიღეს და სწრაფად გამობრუნდენ უკან. ზამ-

καὶ λείαν ἱκανὴν κομισάμενοι ὡς  
τάχιστα ἐπανίασι. μετὰ δὲ τὴν  
τοῦ χειμῶνος ὥραν Μαρκιανοῦ  
τὰς δυνάμεις αὐτῆς συναγείραν-  
τος, ἔκ τε τοῦ Δάρας ὀρμηθέν-  
τος, καὶ τῶν βαρβάρων τῆς Νι-  
σίβειας πόλεως ἔμπροσθεν ὑπαν-  
τιασάντων, στρατηγούστος αὐτοῖς  
Βαραμάνου, ὃς τῶν ἔχεισε ταγ-  
μάτων ἄρχειν ἐτέτακτο, μάχην  
ἰσχυρὰν γενέσθαι συμβέβηκε, Σαρ-  
γαθῶν οὕτω προσαγορευμένου  
Περσικοῦ χωρίου πλησίον, ἐν  
ἧπερ ἀνὰ κράτος Ἑρωμαῖσι τοὺς  
βαρβάρους τρεψάμενοι, πολλοὺς  
δὲ καταβαλόντες ἀπόπειραν μὲν  
τοῦ θηρηθῶν ἐποιήσαντο φρουρίου  
δέκναι τὰς πάσας ἡμέρας αὐτόσε  
διατρέψαντες. τοῦτο δὲ μηδαμῶς  
εἶναι δυναθῆναι, αὐτῆς κατὰ τὸ  
Δάρας ἐπανίασι πόλισμα, ἔτι τοῦ  
ἦρος ἀκμάζοντος, καὶ ἐς τὴν πο-  
λεμίαν αὐτῆς ἐμβάλλουσι γῆν, γνῶμη τε βασιλέως Ἰουστίνου Νι-  
σίβιν πολιτοχεῖν διεγνώκασιν.

თარი რომ გავიდა, მარკიანემ კვლავ შეკრიბა ჯარები, გაემართა დარადან; ქალაქ ნიზიბინის წინ დაუხვდენ მას ბარბაროსები; მათ სარდლობდა ბარამანე, რომელიც იქაური რაზმების მეთაურად იყო დაყენებული. მოხდა ძლიერი ბრძოლა, ერთი სპარსული სოფლის მახლობად, რომელსაც სარგათონი ეწოდება. ამ ბრძოლაში რომაელებმა სძლიეს და აოტეს ბარბაროსები, ბევრიც მოსრეს; ციხე თებეთონს ალყა შემოარტყეს და იქ დააყოვნეს მთელი ათი დღე. მათ ვერასგზით ვერ მოახერხეს მისი აღება და კვლავ ქალაქ დარაში გამობრუნდენ; ჯერ კიდევ გაზაფხული იყო და ისინი კვლავ შეიჭრნენ მტრის ქვეყანაში; თანახმად იუსტინე მეფის განკარგულებისა გადასწყვიტეს ალყა შემოერთყათ ნიზიბინისათვის.

## მენანდრე პროტიქტორი

მენანდრე (Μένανδρος), სახელწოდებით პროტიქტორი, ბიზანტიელი ისტორიკოსი VI საუკუნის მეორე ნახევრისა, თვითონ გადმოგვცემს ზოგიერთ ბიოგრაფიულ ცნობებს თავისი თხზულების შესავალში, რომლის ნაწყვეტი მოღწეულია ჩვენამდე სვიდას ლექსიკონში. მამა მისი, ევფრატასი (Εὐφρατάς), იყო კონსტანტინეპოლის მცხოვრები. თვითონ უსწავლელი კაცი იყო, შვილებს კი იურიდიკული განათლება მიაღებინა. მენანდრეს დაუმთავრებია უმაღლესი სკოლა, მაგრამ არ მოუსურვებია ცხოვრებაში, პრაქტიკაში, გამოეყენებინა თავისი სპეციალობა და სამოსამართლო სამსახურში დარჩენილიყო. ამის ნაცვლად ის გართობას მიეცა და მუდმივი სტუმარი იყო ჰიპოდრომისა და პანტომიმებისა. გარდატეხა მენანდრეს ცხოვრებაში მომხდარა მაშინ, როდესაც ის უკვე მთლად დაღარიბებულა: ამ დროს სამეფო ტახტზე ავიდა მავრიკი (582 – 602 წ.), რომელიც განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობოდა პოეზიას და ისტორიას. მენანდრესაც ხელი მიუყვია მწერლობისათვის და განუგრძვია აგათიას „ისტორია“ (Suidas s.v. Μένανδρος).

მენანდრეს საისტორიო შრომა შეიცავს 558 – 582 წწ. ამბებს, ე. ი. მენანდრე განაგრძობს აგათიას „ისტორიას“ იქიდან, სადაც უკანასკნელი შეჩერდა (558 წლიდან); ის იწყებს იმ დროებითი ზავის აღწერით, რომელიც დაიდვა ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის 558 წელს, და გადადის „ორმოცდაათწლიანი ზავის“ შეკვრის ისტორიაზე. მთავარი ადგილი მენანდრეს „ისტორიის“ ჩვენამდე მოღწეულ ნაწყვეტებში უჭირავს ამ „ზავის“ ამბებს, იმ ხანგრძლივ მოლაპარაკებას, რომელსაც აწარმოებდენ ბიზანტიისა და ირანის წარმომადგენლები 562 წლის ზავის წინ. შემდეგ, ჩვენი ფრაგმენტები აგრეთვე დაწვრილებით ეხებიან 571 წელს პერსარმენიაში [და იბერიაში] მომხდარ აჯანყებას და მის მომდევნო ამბებს (577 წლის საზავო მოლაპარაკების და საომარი. ოპერაციის განახლებას 580 წელს). პარალელურად მენანდრე ეხება, რასაკვირველია, დასავლეთის ამბებს (ურთიერთობას ავარებთან, ლონგიბარდებთან და სხვ.).

ჩვენამდე მოღწეულია სულ მენანდრეს „ისტორიის“ 77 (დიდი და პატარა) ნაწყვეტი: ამათგან 15 ფრაგმენტი სვიდას ლექსიკონ-

შია ციტატების სახით მოყვანილი, დანარჩენები – კონსტანტინე პორფიროგენიტის თაოსნობით შედგენილ კრებულებში (De Legationibus და De sententiis). თუ რა წყაროებით სარგებლობდა მენანდრე თავისი ისტორიისათვის, ჩვენ არ ვიცით. „ძნელია იმის თქმა სწერს კ. კრუმბახერი – თუ რა წყაროების მიხედვით აღწერა მენანდრემ ასე დაწვრილებით ეგოდენ [მნიშვნელოვანი], ამბებით მდიდარი პერიოდი. მართალია, ამბავთა ერთი ნაწილის მონაწილე თვით იყო, მაგრამ მისი მოთხრობა იწყება ისეთი ხანით, როდესაც – როგორც ეს მისივე სიტყვებიდან ჩანს – ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. ირანული ამბებისათვის შეიძლება თეოფანე ბიზანტიელი იყო მისი წყარო (K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Litteratur<sup>2</sup>, 244). დამატებით შეგვიძლია ჩვენ აღვნიშნოთ, რომ ერთ თავის ძირითად წყაროს თვითონ უჩვენებს მენანდრე. ეს წყარო გახლავთ პეტრე პატრიკოსი, რომელიც 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ბიზანტიის წარმომადგენლად იყო (იხ. ზემოთ გვ. 190). მენანდრეს „ისტორიის“ მე-12 ფრაგმენტში ვკითხულობთ: «ისტორიკოსი მენანდრე პეტრე ელჩისა და ხოსროს შესახებ ამბობს: აი, ასეთი სიტყვები იყო წარმოთქმული ორივე მხრით და სხვა აზრები არ გამოთქმულა სვანეთის შესახებ და მეც ერთის მაგიერ სხვა სიტყვები არ მიხმარია, ან თუ რამ სიტყვებში უფრო. მდაბიური იყო, ატტიკურით არ გამოითქვამს, რამდენადაც შესაძლებელი იყო... თუ კი ვისმე სურს ზედმიწევნით იცოდეს, თუ რა ილაპარაკეს მაშინ სპარსელთა მეფემ და პეტრემ, წაიკითხოს ეს თვით პეტრეს მოხსენებაში. ყველაფერი, რაც ხოსრომ და რომაელთა და სპარსელთა ელჩებმა თქვეს და მოისმინეს, მას ზედმიწევნით აქვს აღწერილი თვით მოქმედთა სიტყვებითვე... საერთოდ, იქ შეიძლება წაიკითხოს ადამიანმა ყველაფერი, რაც და როგორც ილაპარაკეს ორივე სახელმწიფოს კაცებმა ამ დიდი საქმის შესახებ... ხოლო მე იქიდან ამოვიღე ის, რაც საჭირო იყო, და მოკლედ ვთქვი» (იხ. ქვემოთ გვ. 226 – 227).

მოდწეული ფრაგმენტებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობენ ის ფრაგმენტები, რომლებშიაც მოთხრობილია ბიზანტიასა და ირანს შორის სვანეთის შესახებ არსებულ დავაზე (ფრაგმენტები 11, 12, 13, 15, 16, 17; იხ. ქვემოთ გვ. 210 – 233).

562 წ., როდესაც ქალაქ დარაში შეიყარნენ ბიზანტიისა და ირანის ელჩები და შეუდგნენ საზავო მოლაპარაკებას, ყველა საკითხში მიაღწიეს მათ შეთანხმებას, გარდა სვანეთის საკითხისა («ყველა საჭირო საკითხი იქმნა მოწესრიგებული, ხოლო საკითხი სვანეთის

შესახებ ჯერ კიდევ ჰაერში ეკიდა და მხოლოდ ის დარჩენოდათ გაურკვეველი», იხ. ქვემოთ გვ. 213). საქმე ის არის, რომ ბიზანტია-ირანის ომის დროს, 552 – 556 წლებში, ირანელებს ხელში ჩაუგდიათ სვანეთი (თვით სვანები გადამდგარან ლაზებისა და ბიზანტიელებისაგან და მიმხრობიან ირანელებს); ამიტომ 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ირანელებმა თუმცა შეიტანეს ხელშეკრულებაში, რომ ლაზეთს უცლიდნენ ბიზანტიელებს, მაგრამ სვანეთის შესახებ განაცხადეს, სვანები «თავისი არჩევით და თავისი ნებით» მოგვეკედლნენ და, მაშასადამე, ჩვენ მიერ ლაზეთის დათმობა თქვენთვის არ ჰგულისხმობს სვანეთის დათმობასაცო. ბევრი იდავეს ელჩებმა ამ საკითხზე, მრავალნაირი დიპლომატიური ხრიკი იხმარეს, მაგრამ შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწიეს. გადაწყვიტეს ეს საკითხი თვით მეფეს, ხოსროს, განეხილა.

ბითარმანისში იმართება ხელახალი მოლაპარაკება სვანეთის შესახებ. ბიზანტიელთა ელჩი პეტრე და ირანის მეფე ხოსრო არ ზოგავენ არც ძალას, არც დიპლომატიურ ხერხებს, რომ ერთი-მეორე დაარწმუნონ თავ-თავის სიმართლეში: დაიხარჯა არა ერთი მაღალფარდოვანი სიტყვა ორივე მხრივ. პეტრემ მლიქვნელ თავმდაბლობასაც კი მიმართა, უქებდა ხოსროს მის სამართლიანობას და მიუთითებდა იმაზე, რომ თუმცა სვანეთი სამართლიანად ეკუთვნოდა ბიზანტიელებს, მაგრამ კეისარი ხოსროსაგან მიღებულ საჩუქრად ჩათვლიდა მასო. დიდ ხანს გაგრძელდა დავა, მაგრამ «პეტრემ ვერაფერს მიაღწია სვანეთის შესახებ და უშედეგოდ გამოზრუნდა მიდიელთა საზღვრებიდან» და ზავი შეიკრა ისე, რომ სვანეთის საკითხი სადავოდ დარჩა. მაგრამ, როგორც ჩანს, ბიზანტია ისე დიდს მნიშვნელობას აძლევდა სვანეთის საკითხს, იმდენად იყო დაინტერესებული, რომ სვანეთიც ლაზეთის ნაწილი ყოფილიყო და, მაშასადამე, მისი ხელქვეითი, რომ შემდეგ ხანებშიაც ბიზანტიას არ შეუწყვეტია შუამდგომლობა და დიპლომატიური მოლაპარაკება სვანეთის შესახებ. იუსტინე II-მ ტახტზე ასვლის უმაღლვე (565 წელს) აფრინა თავისი წარმომადგენელი ირანში, რომ ეუწყებინა ხოსროსათვის კეისარის ტახტზე ასვლა და «თუ შემთხვევა მოეცემოდა, სვანეთის შესახებაც ჩამოეგდო სიტყვა»; იუსტინე მეფე თანახმა იყო სასყიდელიც მიეცა ირანელებისათვის. ეს დიპლომატიური ნაბიჯიც უშედეგოდ დამთავრდა.

ბუნებრივად ისმის საკითხი, რა გარემოებით იყო გამოწვეული, რომ ბიზანტია და ირანი ასე თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ უფლებებს სვანეთზე, რომ იმათ ასე ტოლად მიაღწიეს შეთანხმებას და

562 წელს მორიგდენ ისეთ დიდ საკითხებში, როგორც იყო ლაზე-თის მთლიანად დაცლა ირანელების მხრით, ბიზანტიის აღმოსავლეთის მთავარ სარდლის გასვლა დარადან და სხვ., და ვერ შეთანხმდენ სვანეთის საკითხში. მართალია, ორივე მხარე გაკვრით ამბობს, თითქოს სვანეთი უმნიშვნელო ქვეყანა ყოფილიყო. ასე, მაგალითად, ხოსრო ამბობს: «მერმეროე გვითითებდა ჩვენ, რომ ეს უმნიშვნელო ქვეყანაა და არ არის დავის ღირსიო» (ქვემოთ გვ. 221); იუსტინეს (= მენანდრეს) სიტყვითაც «სვანეთი, მართალია, ღირსშესანიშნავი არ იყო» (გვ. 228). მიუხედავად ამისა ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებს იმის დამალვას, რომ სვანეთი მათთვის, მნიშვნელოვანია. ბიზანტიის ინტერესების გამომხატველი ისტორიკოსი აღნიშნავს სვანეთი «თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათო (გვ. 228 – 229). ალბათ, იგივე აქვს გათვალისწინებული ხოსროს, როდესაც ის სვანებზე ამბობს: «ეს ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადაიანო» (გვ. 221). ბიზანტიის ელჩს პეტრეს სვანეთის საკითხი მეტად მწვავედ მიაჩნია, ის ფიქრობს, რომ სვანეთის საკითხში შეუთანხმებლობას შეუძლია ძალიან გამწვავოს ამ ორი სახელმწიფოს, ბიზანტიისა და ირანის, ურთიერთობა. ის ამბობს: «მის შემდეგ რაც ჩვენ ჩავაქრეთ ომის ალი და თითქოს თავისუფლად ამოვისუნთქეთ, მხოლოდ ერთი ნაპერწკალი ლა დაგვრჩა: ბოროტებათა ნაპერწკლად მე ვგულისხმობ სვანეთს, რომელიც გვემუქრება ჩვენ, რომ უდიდესი უთანხმოების ცეცხლად გადაიქცევა» (გვ. 218).

ამ სიტყვებიდან, ისევე როგორც მთელი საზავო მოლაპარაკების მსვლელობიდან, ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ინტერესები ბიზანტიისა სვანეთში და როგორ ცდილობდა ირანი ხელი შეეშალა ბიზანტიის ამ ინტერესებისათვის. თუ რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად ეს ინტერესები, თითქოს არა ჩანს უშუალოდ ამ საზავო მოლაპარაკების დროს წარმოთქმულ სიტყვებში. ერთი რამ კი აქვე გამოსჭვივის: სვანეთს «მოხერხებული მდებარეობა» ჰქონია.

აქ ჩვენ გვსურს მკითხველს მივუთითოთ იმ კონკრეტულ ინტერესებზე, რომლებიც ბიზანტიას უნდა ჰქონოდა სვანეთში სწორედ მისი «მოხერხებული მდებარეობის» გამო. ამ კონკრეტულ ინტერესებზე უნდა მოგვითხრობდეს მენანდრეს ფრაგმენტები 18 – 22, სადაც ლაპარაკია ბიზანტიელთა და თურქთა სავაჭრო ურთიერთობაზე (ქვემოთ გვ. 234 – 237).

VI საუკუნეში ბიზანტიის ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა აბრეშუმის ნედლეული. ნედლეული აბრეშუმის ბიზანტია იქნებოდა აღმოსავლეთში (ჩინეთ-ინდოეთში) და აქედან ამზადებდა საკუთარ საწარმოებში აბრეშუმის ქსოვილებს, რომლებიც სადღებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. მაგრამ ნედლეული აბრეშუმის ბიზანტიას უშუალოდ კი არ მოსდიოდა ჩინეთ-ინდოეთიდან, არამედ ირანის მეშვეობით. ეს გარემოება კი მას მეტის-მეტად ურთულებდა ირანთან ურთიერთობას, რის გამოც მან სცადა რამდენჯერმე თავი დაედევნა ირანის მეშვეობისათვის ნედლეული აბრეშუმის შეყიდვის საქმეში (იხ. თეოფანე ბიზანტიელის ცნობები ამის შესახებ, ქვემოთ გვ. 253 – 256 და იქვე ჩვენი შენიშვნები). ერთ-ერთ ასეთ ცდას წარმოადგენს თურქებთან სავაჭრო ურთიერთობის გაბმის სურვილი, სახელდობრ, მენანდრეს 18 – 22 ფრაგმენტებში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ 568 წელს თურქთა ელჩები ჩავიდნენ კონსტანტინეპოლში და მისცეს წინადადება ბიზანტიის კეისარს იუსტინეს სავაჭრო ურთიერთობის გაბმის შესახებ. საქმე ის არის, რომ ამ დროს თურქებმა ხელში ჩაიგდეს სოგდაიტების ქვეყანა, იმ სოგდაიტებისა, რომელთა ქვეყანა, სოგდიანა ითვლებოდა აბრეშუმის სამშობლოდ (იხ. ქვემოთ გვ. 255, შენიშვნა 1), და ცხადია ისინი ეძებდნენ ბაზარს ამ აბრეშუმისათვის. ირანის მეფემ ხოსრომ არ მისცა მათ ნება ირანის ბაზარზე გაეტანათ ეს აბრეშუმის ნედლეული, რადგან არ სურდა გაეჩინა მეტოქეები საკუთარ ბაზარზე აბრეშუმით ვაჭრობის დარგში. ამიტომაც სოგდაიტების რჩევით თურქებმა კონსტანტინეპოლში გააგზავნეს ელჩები სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. იუსტინესაც სწორედ ეს უნდოდა და მან სიხარულით მიიღო თურქთა ელჩები; ესენი რომ უკან მიდიოდნენ, თან გააყოლა თავისი ელჩი ზემარქე; ხოლო ეს უკანასკნელი რომ თურქთა ქვეყნიდან კონსტანტინეპოლში ბრუნდებოდა, თურქებმა მას გააყოლეს თავიანთი წარმომადგენლები. ყველა ამ სამივე მგზავრობის მარშრუტი ჩვენთვის ცნობილია: სამივეჯერ გზადის კავკასიის ზეკარებით, სწორედ იმ ტერიტორიის გავლით, სადაც მაშინდელი სვანეთია საგულისხმებელი. სახელდობრ, ეს მგზავრობები აღწერილია შემდეგნაირად: 1) თურქთა პირველი მგზავრობის დროს მათმა ელჩმა მანიაქმა «მეტად დიდი გზა განვლო: გაიარა ბევრი ქვეყანა, მთები, მალა აწვდილი ღრუბლებამდე, დაბლობები და ჭაობები და მდინარეები, შემდეგ გადმოლახა თვით კავკასიის მთა და, ბოლოს, მოვიდა ბიზანტიონში» (ქვემოთ გვ. 234). 2) ზემარქეს მოგზაურობის მარშრუტი კონსტანტინეპოლიდან თურქთა ქვეყანაში არ არის შემონახული მენანდრეს ფრაგმენტებში; სამაგიეროდ



მითითება ამ მარშრუტზე მოეპოვება იოანე ეპიფანიელს, რომელიც სწერს: «იუსტინე მეფემ ელჩები მიიღო და მათ გაბრუნებისას თან გააყოლა ზემარქე, სპარსელებმა მოისურვეს ფულით მოესყიდათ ალანები, რომელთა ქვეყანაზე უნდა გაევიდნენ იმათ» (იხ. ზემოთ გვ. 199), 3) მესამე მგზავრობა, ზემარქესი და თურქებისა თურქთა ქვეყნიდან კონსტანტინეპოლისაკენ დაწვრილებით აქვს აღწერილი მენანდრეს: სირ-დარიას, ვოლგის, უგურთა ქვეყნის, მდინარე კოფენის გავლით (გზაზე, სხვათა შორის ირანელები ჩაუსაფრდენ) მგზავრები «დიდის შიშით მოვიდენ ალანიაში..... საროდიმ (ალანთა წინამძღოლმა) ურჩია ზემარქესა და მის კაცებს არ წასულიყვნენ მისიმიანთა ქვეყანაზე მიმავალი გზით, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებულები; შინ დაბრუნება უმჯობესია ეგრეთწოდებული დარინის გზითო. ეს რომ გაიგო ზემარქემ, მისიმიანთა ქვეყანაზე გაგზავნა. ათი მეზარგე, აბრეშუმით დატვირთული, რომელთაც შეცდომაში უნდა შეეყვანათ სპარსელები, თითქოს აბრეშუმი წინასწარ იყო გამოგზავნილი, და ისინი დაწინაურდნენ... მეზარგენი წავიდენ, ხოლო ზემარქე დარინის გზით მივიდა აფსილიაში: მისიმიანთა გზა მან უარჰყო, დასტოვა ის მარცხნივ; ამ გზით საფიქრებელი იყო, რომ თავს დაესხმოდენ სპარსელები. მოვიდა როგატორიონში, შემდეგ ევქსინის პონტამდე და მერე ნავებით მდინარე ფაზისამდე, შემდეგ ტრაპეზუნტში» (გვ. 236 – 237). ამგვარად ცხადია, რომ აბრეშუმით დატვირთული თურქების გზა გადიოდა ისეთ ტერიტორიაზე, რომლის უშიშროება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვის ხელში იყო სვანეთი. რადგან ამ დროს სვანეთი ირანელებს უჭირავთ, ისინი «სვანეთის მახლობლად» უსაფრდებიან ვაჭრებს, რომელთა გზა სვანეთის შეზობლად მდებარე მისიმიანთა მიწაწყალზე გადიოდა.

ამ მიმოხილვის შემდეგ ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ერთ-ერთი მიზეზი სვანეთის საკითხის გამწვავებისა საზავო მოლაპარაკების დროს ის უნდა ყოფილიყო, რომ სვანეთზე (ან მის მეზობლად, მახლობლად) გადიოდა ის გზა, რომლითაც ბიზანტია ფიქრობდა აბრეშუმის შემოტანას თურქთა ქვეყნიდან, რათა ამნაირად თავი დაეღწია ირანის მეშვეობისათვის აბრეშუმით ვაჭრობის დარგში. ირანი, თავისი მხრით, რასაკვირველია, ყოველ ღონეს იხმარდა, რომ დაეხმო ბიზანტიისათვის ეს გზა.

ამგვარ ასპექტში წარმოგვიდგება ჩვენ, მასალების ზოგადი განხილვით, სვანეთის საკითხი VI საუკუნეში. ჩოდილოეთიდან ლაზეთში გადმოსავალი ერთ-ერთი გზა, ჩანს, გადიოდა სვანეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე, სახელდობრ, იმ ნაწილში, რომელიც მისიმიანთა მი-

წაწყალს აკრავდა. ეს ის ნაწილი უნდა იყოს სვანეთისა, რომელსაც ამჟამად „ჭ ვ ი ბ ე რ ი“ ეწოდება. ამ თვალსაზრისით მივუდევით ჩვენ მენანდრეს ფრაგმენტებში მოცემულ ცნობებს, როდესაც 1931 წლის ზაფხულში საქ. მუზეუმის მიერ სვანეთში მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობას ვღებულობდით და განსაკუთრებული ყურადღება შევაჩერეთ ჭვიბერის თემზე, სადაც ჩვენ მიერ მოხილულ იქნა ადგილობრივი გზები, ისევე როგორც ლითონის საწარმოთა ძველი ნაშთები (მდ. „საქ. მუზეუმის მოამბე“ ტ. VII. ტფ. 1933, გვ. 357 შმდდ.). წინასწარმა მოხილვამ დაგვარწმუნა, რომ ჭვიბერის რაიონს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა წარმოებისა და ვაჭრობის თვალსაზრისით ამ რაიონში და ეს გასაგებიც არის, თუ ის იმ გზაზე მდებარეობდა, რომელიც ლაზეთს აერთებდა კავკასიის ჩრდილოეთ მხარესთან.

ეს წინასწარი შენიშვნები მენანდრეს ფრაგმენტებში სვანეთის შესახებ მოცემულ ცნობებზე, ვფიქრობთ, ადასტურებს იმას, თუ რა ძვირფას მასალას შეიცავენ ისინი იმ ძრვათა შესახებ, რომელთაც ვამჩნევთ როგორც ლაზეთის ისე ბიზანტიის ცხოვრებაში VI საუკუნეში.

ჩვენს განკარგულებაში იყო შემდეგი გამოცემები:

N I e b u h r I u s B. G. Dexippi, Eunapii, Petri Patricii, Prisci, Malchi, Menandri.... Historiarum reliquiae. Bonnae 1829.

M ü l l e r u s Carolus, Fragmenta Historicorum Graecorum IV, 200 – 269. Parisiis 1885.

D I n d o r f i u s L. Historici Gr. Min. v. II, 1 – 131. Lp. 1871.

D e B o o r Carolus, Excerpta de legationibus (iussu imp. Constantini Porphyrogeniti confecta), 170 – 221, 442 – 477. B. 1903.

S t r i t t e r J. G. Memoriae Populorum... T. IV. Petropoli 1779.

C o u s i n, Histoire de Constantinople, depuis la règne de l' Ancien Justin jusqu' à la fin de l' Empire. T. III, 17 – 102. P. 1685.

Д е с т у н и с Сп. Византийские Историки Дексипп, Эв-назий, Олимпиодор, Малх, Петр Патрикий, М е н а н д р, Кандид, Ноннос м Феофан Византиец, 311 – 470. СПб, 1860.

Г а н Карл, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, II (СМОМПК вып. IX, 1 – 215). Тф. 1890.

### დროებითი ზავი ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის.

“Ὅτι ἐπειδὴ Μῆδοι τῇ περιμα-  
χίῃ τῶν Κόλχων χώρα προσ-  
καθεζόμενοι, ὡς ἂν περιήσανται  
γε αὐτὴν κατήκοον, μετὰ πολλοὺς  
ἔσους ἀγῶνας χρόνου τε συχνοῦ  
τριβέντος αὐτοῖς οὐδὲν τι πέραι-  
τέρω ἔδρασαν, ἀλλὰ γὰρ τὰ τε  
πλείονα τῆς Λαζიკῆς καὶ ὁ Φᾶ-  
σις ἢ πόλις, ἐνθα λέγεται εἶναι  
τὰ τοῦ Αἰήτεος βασιλεια, οὐδὲν  
ἦντον ὑπὸ Ῥωμαίους ἐτόγχανον  
ἔνθα· τέλος δὲ ἔδοξε Ῥωμαίοις  
τε καὶ Πέρσαις, ὧν μὲν ἐν κα-  
τοχῇ ὑπῆρχον, εἴτε φρούρια εἴτε  
ἔτερα ἄττα οὔτι μεταθεῖναι, εἶ-  
ναι δὲ ἐν τῇ αὐτῇ μέχρις οὐ  
ἀσφαλέστερον διευκρινισθεῖη τὰ  
τῆς διαφορᾶς. καὶ τοίνυν ἐδόκει  
οὐκ ἄλλως, ἐκχειρία τέ τις ἐγε-  
γόνει ἕσον οὐπω τελεωτάτης εἰ-  
ρήνης· ἔχουσα ἐλπίδα. τὰ τε μέ-  
γιστα τῶν πολιτευμάτων ἰσυχίαν  
ἔχον (HGM II, 2—3; de Boor 170).

ფრგ. 3. როდესაც მიდიელებმა კოლხთა სადავო მიწაწყალი დაიჭი-  
რეს, რომ იგი თავის ქვეშევრდომად  
გაეხადათ, დიდი ხნის განმავლობაში  
ამდენი ბრძოლის შემდეგაც ვერა-  
ფერს მიაღწიეს და მეტი წილი ლაზი-  
კისა და ქალაქი ფასისი, სადაც ამბო-  
ზენ, აიეტის სამეფო იყო, მაინც რო-  
მაელების ხელში იყო. ბოლოს, რო-  
მაელებმა და სპარსელებმა გადა-  
სწყვიტეს არაფერი იმიდან, რაც მათ  
ეპყრათ, არც სიმაგრეები, არც სხვა  
რამ არ გადაეცვალათ, არამედ  
დარჩენილიყო მათ ხელში, ვიდრე  
საბოლოოდ არ გაარჩევდენ სადავო  
საკითხებს. ასეც გადაწყვიტეს, და  
დადებულ იქმნა დროებითი ზავი,  
რომელიც იმ იმედის შემცველი იყო,  
რომ მალე სრულყოფილი ზავი იქნე-  
ბოდა შეკრული, და ეს უდიდესი სა-  
ხელმწიფოებრივ მშვიდ ცხოვრებას  
მიეცნენ <sup>1</sup>.

### ავარების შესახებ.

Περὶ Ἀβάρων, ὡς πολλὰ περινο-  
στήσαντες ἦγον ἐς Ἀλανούς, καὶ  
ἐκέται ἐγένοντο Σαρωσίου τοῦ  
Ἀλανῶν ἡγουμένου, ὡς ἂν δι’

ფრგ. 4. ავარების შესახებ: ბევრი  
ხეტიალის შემდეგ მოვიდენ ისინი  
ალანთა ქვეყანაში და ეძუდარებოდენ  
ალანთა წინამძღოლს საროსის, რომ

<sup>1</sup>) როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, მ ე ნ ა ნ დ რ ე განაგრძობს აგათიას „ისტორიას“ იქიდან, სადაც უკანასკნელი შეჩერდა, ე. ი. 558 წლიდან. ამ ნაწყვეტში მენანდრე ჰგულისხმობს იმ ბრძოლებს, რომლებიც VI საუკ. ორმოცდაათიან წლებში მოხდა დასავლეთ ლაზეთის ტერიტორიაზე (ტელეფისში, ნესოსთან, არქეოპოლისთან, ფოთში და სხვ.), რის შესახებაც მოგვითხრობს ა გ ა თ ი ა (იხ. ზემოთ სათანადო ადგილები), და იმ დროებით ზავს, რომლის შესახებაც აგათიას აქვს მოთხრობილი IV, 30 (იხ. ზემოთ).

αὐτοῦ γινώριμοι ἔσονται Ῥωμαίοις. ὁ δὲ Ἰουστίνῳ τῷ Γερμανοῦ, κατ' ἐκεῖνο καιροῦ τῶν ἐν Λαζίκῃ καταλόγων ἐξηγουμένῳ, τῶν Ἀβάρων περί ἐδίλωσεν, ὁ δὲ Ἰουστίνος Ἰουστινιανῷ βασιλεῖ, καὶ δὴ ἐνεκελεύσατο ὁ βασιλεὺς τῷ στρατηγῷ στέλλειν ἐς Βυζάντιον τὴν πρεσβείαν τοῦ ἔθνους (HGM II, 4; de Boor 442).

Τοῦ δὲ Βαλεντίνου ἐκείσε ἀφικόμενου καὶ τὰ δῶρα παρασχομένου καὶ ἕσα ἐσίμηνεν ὁ βασιλεὺς ἐξεπιπόντος, πρῶτον μὲν ἐξεπολεμώθησαν Οὐνιγούρις, εἶτα Ζάλοις, Οὐννικῷ φύλῳ· καὶ Σαβείρους δὲ καθείλον (HGM II, 5; de Boor 443, 6—9).

მისი საშუალებით გასცნობოდენ რომაელებს, იმანაც (ე. ი. საროსიმ) აცნობა ავარების შესახებ იუსტინეს, გერმანეს შვილს <sup>1</sup>, რომელიც იმ დროს ლაზიკეში მყოფ ჯარს წინამძღოლობდა, ხოლო იუსტინემ – იუსტინიანე შეეფეს. მეფემაც სტრატეგოსს დაავალა გამოეგზავნა ბიზანტიონში ამ ტომის ელჩები.

ფრგ. 5. როდესაც იქ (ე. ი. ავარებთან) ვალენტინე მივიდა და გადასცა საჩუქრები და უთხრა, რაც მეფემ დააბარა, ისინი ჯერ უიგურებს შეებრძოლნენ, შემდეგ ზალებს, ჰუნთა ტომს: ხოლო საბირები კი გაანადგურეს.

### ორმოცდაათწლიანი ზავი (562 წ.)

“Ὅτι ἀνὰ τὴν ἕω τε καὶ Ἀρμενίαν τελεωτάτη τις εἶναι εἰρήνην ἐδόκει, κατὰ δὲ τὴν Λαζίκην ἐκεχειρίαν ἦν Ῥωμαίοις τε καὶ Πέρσαις. ἐπεὶ οὖν ὡσπερ ἡμιτελῆ τὰ τῆς εἰρήνης ἀπῆρχεν, ἐδέδοκτο δὲ Ῥωμαίων τε καὶ Περσῶν τοῖς βασιλεῦσι πληροσθέντην ἡσυχίαν ἄγειν, τούτου ἕνεκα Ἰουστινιανὸς στέλλει Πέτρον, ὃς τῶν κατὰ τὴν ἀσλὴν ταγματῶν ἡγεῖτο, διαλεχθῆσόμενον

ფრგ. 11. აღმოსავლეთითა და არმენიაში, მგონი, საბოლოო ზავი იყო შეკრული რომაელებსა და სპარსელებს შორის, ხოლო ლაზიკეში დროებითი ზავი. რადგან თითქოს ნახევრად იყო დასრულებული ზავის საქმე, ხოლო როგორც რომაელთა ისე სპარსელთა მეფეებს საჭიროდ მიაჩნდათ სრული სიმშვიდის დამყარება, ამიტომ იუსტინიანე გზავნის პეტრეს <sup>2</sup>, რომელიც სამეფო კარის რაზმებს უფროსობ-

<sup>1</sup>) იუსტინე გერმანეს ძე, რომელიც მარტინეს გადაყენების შემდეგ დაინიშნა magister militum per Armeniam (იხ. ზემოთ გვ. 30).

<sup>2</sup>) საზავო ხელშეკრულების დასადებად გაგზავნილი პეტრე – ეს ისტორიკოსი პეტრე პატრიკოსია, რომლის საისტორიო ნაშრომის ნაწყვეტები მოყვანილია ამ წიგნში.

Χοσρόη περι τῶν καθόλου σπυ-  
δῶν. καὶ τοίνυν ἀφικομένου ἐν  
τοῖς ὄρεισι τοῦ Δάρας, κατὰδηλόν  
τε ποιήσαντος τῷ τῶν ἐφῶν βαρβά-  
ρων βασιλεῖ ὡς πάρεστιν ἐπι-  
κηρυκευόμενος<sup>1</sup> ἀμφὶ τοῦ κατα-  
θέσθαι τὰ ὄπλα ἐκασταχόσε, ἐκ-  
πέμπεται ἀπὸ τοῦ καὶ Περσῶν  
πρεσβευτῆς, ᾧ δῆτα ὑπῆρχε μὲν  
ἀξιωματὸν Ζίχ<sup>2</sup>, μέγιστόν τι τοῦτο  
παρὰ τοῖς Πέρσαις γέρας, προση-  
γορία δὲ ἀπὸ τοῦ Ἰεσδεγουσνάφ.  
οὗτος δὲ παρευναστήρ τοῦ κατ'  
αὐτὸν βασιλέως ὑπῆρχε. καὶ  
τοίνυν ἐν ταῦτῳ γενόμενοι οἱ  
πρέσβεις, καὶ τῶν κατ' αὐτῶν  
ἐπίχωριων ἀρχόντων εἰς ἐν ξυν-  
αθροισθέντων, κατέστησαν εἰς  
ἐκκλησίαν (HGM II, 10; de  
Boor 171).

Οἱ ἀμφοτέρων ἐρμηνεῖς διασα-  
φηνίσαντες ἐφ' ἑκάτερα μέρη τὰ  
ρήματα διδάσκαλοι τῶν νοημά-  
των ἐρίνοντο, πλείστων καὶ ἐτέ-  
ρων ἀπερριμμένων λόγων, νῦν  
μὲν αὐτοῦ τοῦ χρεώδους χάριν,  
νῦν δὲ καὶ κόμπου ἕνεκα καὶ τοῦ  
μὴ δοκεῖν ὑπὸν ἔχοντα τῆς εἰ-  
ρήνης ἐφίεσθαι. Πέρσαι μὲν διη-  
νεκεῖς ἠξίουσαν ἔσεσθαι τὰς σπυ-  
δᾶς, πρὸς δὲ γε καὶ χροσίον  
ρήτόν ἐφ' ἑκάστῳ ἐνιαυτῷ ὑπὲρ  
τοῦ μὴ κεχρησθῆαι τοῖς ὄπλοις  
κομίζεσθαι ἀπὸ Ῥωμαίων. καὶ  
τέσσαράκοντα μὲν ἐτῶν, τὸ γοῦν

და, რომ მოელაპარაკოს ხოსროს  
საზოგადო ზავის შესახებ და, აი,  
როდესაც იმან მიადწია დარას  
საზღვრებს და აცნობა აღმოსავლე-  
თის ბარბაროსთა მეფეს, მოვედი  
იმის გამოსაცხადებლად, რომ ყველ-  
გან იარალი დავყაროთო, იქ გაიგ-  
ზავნა სპარსელთა ელჩიც, რომელ-  
საც ჰქონდა ზიქის პატივი – ეს უდი-  
დესი პატივია სპარსელებში – ხოლო  
სახელი მისი იყო იესდეგუსნაფ. ის  
იყო თავისი მეფის საწოლთუხუცესი.  
ამრიგად, აქ რომ მივიდნენ ელჩები  
და ადგილობრივი მმართველებიც  
შეკრიბეს, დაიწყეს მოლაპარაკება...  
(სიტყვები წარმოსთქვეს პეტრემ და  
ზიქმა)..

..... ორივე ელჩის მთარგმნელებ-  
მა განმარტეს ორივე მხრის მიერ  
წარმოთქმული და მათი აზრები  
გადმოსცეს; ბევრი სხვა სიტყვებიც  
ითქვა, ზოგი საჭიროების გულის-  
თვის, ზოგი დასაკვივნად, რათა  
არ ჰგონებოდა ვისმე, რომ ზავს  
უძღურების გამო ესწრაფოდენ.  
სპარსელები ფიქრობდენ, რომ  
ზავი სამუდამო უნდა ყოფი-  
ლიყო, გარდა ამისა ყოველწლიურად  
უნდა მიეღოთ რომაელებისაგან გან-  
საზღვრული ოქრო, იმისთვის, რომ  
იარაღისათვის ხელი აღარ მოე-  
კიდათ: ისიც წინდაწინ უნდა

1) επικηρυκευσαμενος *BE*, κηρυκευσαμενος *MP*, επικηρυκευσομενος *Bekk*.

2) αξιωματι Ζιχ Ο, αξιωμα το Ζιχ *Hoeesch*.

ἐλάχιστον τριάκοντα, προειληφθό-  
 τας ἐκτὸς συντελεσθησομένων<sup>1</sup>  
 ἐνὶ ξυναθροισμῷ, οὕτω βούλεσθαι  
 κατατιθέναι τὰ ὄπλα. Ῥωμαῖοι  
 δὲ τοῦναντίον ὀλιγοχρονίους τὰς  
 ξυνοθήκας εἶναι ἐβούλοντο, πρὸς  
 τοῖς μήτε μὴν κατατιθέναι τι  
 ὑπὲρ τῆς εἰρήνης. ἀμίλλης δὲ  
 περὶ τούτου ἐπὶ μέγα κινήθεισης  
 καὶ λόγων προελθόντων ἦριστα  
 ὀλίγων, τέλος ἔδοξεν ὥστε ἐπὶ  
 πενήκοντα μὲν ἔτη ξυνεστάναι  
 τὴν εἰρήνην, Ῥωμαίοις δὲ ἀποδο-  
 θῆναι τὴν Λαζικήν· στερρὰς τε  
 εἶναι καὶ ἐρρωμένας τὰς ξυνοθή-  
 κας καὶ κρατεῖν ἕκασταχόσε, τοῦ-  
 το μὲν κατὰ τὴν ἕω, τοῦτο δὲ  
 καὶ ἐν Ἀρμενίᾳ<sup>2</sup>, ἀλλὰ γὰρ καὶ  
 ἐν αὐτῇ δῆπου τῇ Λαζικῇ, οὕτω  
 μέντοι ὡς τριάκοντα χιλιάδας  
 ἐτησίας χρυσοῦ νομίσματος ἀπο-  
 φέρεσθαι Πέρσας<sup>3</sup> τῆς εἰρήνης ἔνε-  
 κα ἀπὸ Ῥωμαίων, ἐβεβαιώθη δὲ  
 τοῦτο ὥστε Ῥωμαίους ἐν ἑμάδι  
 δεκαετίας πρὸς ὅλην προπαρα-  
 σχεῖν οὕτω παραχρηῖμα μὲν ἐνιαυ-  
 τῶν ἑπτὰ, καὶ μετὰ τὴν τῶν ἑπτὰ  
 ἐτῶν παραδρομήν, οὐκ ἐς ἀνα-  
 βολήν, κατατιθέναι τῶν λοιπῶν  
 τριῶν ἐτῶν τὴν συντέλειαν· εἰθ'<sup>4</sup>  
 οὕτω καθ' ἕκαστον ἔτος πορίζε-  
 σθαι Πέρσας τὸ ἄρισμένον ἐνιαυ-  
 σιαῖον. ἔδοξε δὲ καὶ περὶ τῆς  
 κατασκαφῆς τὸν μοναστήριον  
 οἶκον τὸν λεγόμενον Σεβανδόν<sup>4</sup>

მიელოთ ერთად ორმოცი, ან უკი-  
 დურეს შემთხვევაში ოცდა ათი  
 წლის თანხა და მაშინ დაჰყრიდენ  
 ისინი იარაღს. რომაელებს კი, პი-  
 რიქით, უნდოდათ, რომ ხელშეკ-  
 რულება მოკლევადიანი ყოფილიყო  
 და გარდა ამისა არც რისამე გა-  
 ლება სურდათ ზავისათვის. მის შემ-  
 დეგ, რაც ამის შესახებ დიდი და-  
 ვა ატყდა და ცოტა სიტყვები არ  
 დაიხარჯა, ბოლოს გადასწყვიტეს  
 შეეკრათ ზავი ორმოცდაათი წლით  
 და რომაელებს მისცემოდა ლაზიკე:  
 ხელშეკრულება უნდა ყოფილიყო  
 მტკიცე და ურყევი და მას ძალა  
 უნდა ჰქონოდა ყველგან, როგორც  
 აღმოსაელეთით, ისე არმენიაში  
 და რასაკვირველია თვით ლაზიკე-  
 შიც, იმ შემთხვევაში თუ სპარსე-  
 ლები ამ ზავისთვის რომაელებისა-  
 გან მიიღებდენ ყოველწლიურად  
 ოცდაათ ათასს ოქროს. დადგენილ  
 იქმნა ისიც, რომ ათი წლის თანხა  
 წინდაწინ ერთად მიეცათ რომაე-  
 ლებს შემდეგნაირად: შვიდი წლისა  
 მაშინვე, და შვიდი წლის გასვლის  
 შემდეგ, ვადის გაუგრძელებლად,  
 დანარჩენი სამი წლის გადასახადი  
 უნდა გაეღოთ; შემდეგ სპარსელებს  
 ასევე ყოველ წელიწადს უნდა მის-  
 ცემოდა განსაზღვრული წლიური  
 გადასახადი დაადგინეს აგრეთვე  
 დაენგრიათ სამონასტრო სახლი  
 ეგრეთწოდებული სევანისა, რომელიც აგებული იყო საზღვარზე,

<sup>1</sup>) προειληφθότας παν το συντελεσθησομενον *Nieb.*

<sup>2</sup>) κατα την εν Αρμενίαι Ο, κατα την ამომალა ბ ე კ ე რ მ ა.

<sup>3</sup>) Περσας Ο, Περσας *Hoesch.* – <sup>4</sup>) Σεβαστιανον *MP* და *Dind.*

καὶ ἰδρυμένον ἐν τοῖς μεθορίοις, καὶ ἀπολήψεσθαι Ῥωμαίους τὸν τόπον, Ῥωμαίων μὲν καθεστῶτα ἀπ' ἀρχῆς, Περσῶν δὲ παρασπονδησάντων καὶ ἐν κατοχῇ τοῦτου ἴδῃ γενομένων, τείχει τε κατησφαλισμένων τὸ ἰλαστήριον 174,35 — 175,27).

და ის ადგილი რომაელების ხელში დარჩენილიყო, რადგან თავიდანვე ის რომაელებს სჭერიათ, ხოლო სპარსელებს ზავის დარღვევის შემდეგ მფლობელობაში ჰქონოდათ ის და ტაძარი კედლით გაემაგრებინათ <sup>2</sup>. (HGM II , 14,18 – 15,22; de Boor

### დავა სვანეთის შესახებ.

Εἶτα διελέγοντο αὐτοῖς περὶ τῶν πρακτέων. ἅπαντα μὲν γάρ, ὡς ἐνήν, τὰ ἀμφίβολα ἐν τάξει καὶ κόσμῳ καθειστήκει. τὰ δ' ὄντα περὶ Σουανίαν ἔτι ἐν μετεώρῳ ὑπῆρχε καὶ ὑπελέλειπτό σφισι μόνῃ<sup>1</sup> ἐπ' ἀμφίβολῳ. τῷ τοι ἐλέξεν ὦδε Πέτρος: “Πλείστων ἐπαίνων ἄξιός ἐστιν ἀνὴρ δὲ τέλεια βουλευόμενος τέλειον ἐπιθήσει ταῖς πράξεσσι το πέρας. εἰ γὰρ ἐλλείπει τι τῶν δεόντων, ἐλλιπὲς οἶμαι καὶ τῷ βουλευομένῳ τὸ φρόνημα. οὐκ εἰκὴ δὲ καὶ μάτην εἶρηται νῦν ἡμῖν ὁ λόγος: πρὸς σὲ δὲ φερόμενος, ὦ Ζίχ, Ῥωμαίοις τε καὶ Πέρσαις φανήσεται λυσιτελέστερος. εἴπωμι δὲ πως φανερώτερον. Σουανία Ῥωμαίοις ὑπῆρχε καὶ Ῥωμαῖοι Σουάνοις ἐκέλευον. ἀμέλει Τζαθίου Σουάνων ἐξηγουμένου Δελτατός τις Ῥωμαῖος ἀνὴρ

..... შემდეგ კვლავ ისაუბრეს საქმეების შესახებ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ყველა საქვო საკითხი იქმნა მოწესრიგებული. ხოლო საკითხი სვანეთის შესახებ ჯერ კიდევ ჰაერში ეკიდა და მხოლოდ ის დარჩენოდათ მათ გაურკვეველი. აი, პეტრემ ასეთი სიტყვით მიმართა მას (ე. ი ზიქს) „უაღრესი ქების ღირსია ის ადამიანი, რომელიც სასარგებლო საქმეებზე ზრუნავს და კიდევაც მიიტანს საქმეს სასარგებლო დასკვნამდე: თუ მას კიდევ რამე დარჩება გასაკეთებელი, მე ვფიქრობ, ნაკლებლევანი ყოფილა თვით მზრუნველის ჭკუა. მოუფიქრელად და ტყუილ-უბრალოდ არ ვამბობ მე ეხლა ამ სიტყვას: შენადამი არის ის მიმართული, ზიქ, და რომაელებისთვისაც და სპარსელებისთვისაც ის ფრიად სასარგებლო აღმოჩნდება. უფრო გარკვევით გეტყვი მე შენ. სვანეთი რომაელებისა

<sup>1</sup>) μούνα Hoesch.

<sup>2</sup>) ამ 562 წლის საზავო ხელშეკრულების ცალკე მუხლების შესახებ იხ. ქვემოთ გვ. 217.

τῶν ἐκεῖσε Ῥωμαϊκῶν καταλόγων ἐτύγγανε προεστώς· ἀλλὰ καὶ ἕτεροί τινες Ῥωμαίων ἐν Σουάνοις ἐποίουντο τὰς διατριβὰς. δυσμενείας δὲ τινος γενόμενης<sup>1</sup> μεταξὺ τοῦ Λαζῶν βασιλέως καὶ Μαρτίνου τοῦ Ῥωμαίου τηνικαῦτα ἐκεῖσε στρατηγούντος, τούτου ἕνεκα ὁ Κόλχος εὐκ ἀπέστειλε Σουάνοις τὸ σύνγηθες σιτηρέσιον. ἔθος γὰρ πέμπεσθαι σίτον ἐκ τοῦ Κόλχων βασιλέως, διὸ δυσανασχετοῦντες οἱ Σουάνοι<sup>2</sup> τῶ τῶν νενομισμένων ὑστερηθῆναι, κατὰβηλον ἐποίησαντο Πέρσαις ἄς, εἰ γενήσονται αὐτοῦ, Σουανίαν<sup>3</sup> ἐγχειρήσουσιν αὐτοῖς. ἐν τοσοῦτῳ<sup>4</sup> Δεισατῶ<sup>4</sup> καὶ τοῖς ἑτέροις ἡγεμόσι τῶν Ῥωμαϊκῶν ταγματῶν ἔφασαν ὅτι “πολυπληθία Περσῶν ἀγγέλλεται χωροῦσα κατὰ Σουάνων, πρὸς ἣν ἀξιόμαχον εὐκ ἔχομεν δύναμιν. ἀλλὰ τὸ συνῆσον βουλευσάσθε, ξὺν τοῖς ἐνταῦθα Ῥωμαίων καταλόγοις ὑποχωροῦντες τῇ Μηδικῇ στρατιᾷ.” τοσοῦτῳ χρησάμενοι Σουάνοι<sup>5</sup> δόλη καὶ δῶρις ἀναπέισαντες τοὺς τῶν καταλόγων ἐπιστάτας, ἀπεβάλοντο παρὰ σφῶν τὴν Ῥωμαίων φυλακὴν. οἱ δὲ Πέρσαι ξὺν τάχει παραγενόμενοι

იყო და რომაელები სვანებს ბრძანებლობდნენ. და აი, როდესაც სვანებს წათი წინამძღოლობდა, ერთი რომელი, დეიტატე, იქ მყოფ რომაულ ჯარებს მეთაურობდა; სვანების ქვეყანაში სხვა რომაელებიც ცხოვრობდნენ. მის შემდეგ, რაც ლაზთა მეფესა და იმ დროს იქ მოსარდლე რომაელ მარტინეს შორის რაღაც მტრობა ჩამოვარდა, ამის გამო კოლხმა აღარ გაუგზავნა სვანებს ჩვეულებრივი სურსათი: ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ. ამიტომ სვანებმა იმაზე გაჯავრებულებმა, რომ მათ მოუსპეს დაწესებული დახმარება, შეუთვალეს სპარსელებს, რომ, თუ ისინი იქ მოვიდოდნენ, სვანეთს მათ ჩააბარებდნენ. ამავე დროს დეისატეს და რომაელთა რაზმების სხვა წინამძღოლებს უთხრეს: ამზობენ რომ აუარებელი სპარსელი მოდის სვანების წინააღმდეგ, მათთან შესაბრძოლებლად ჩვენ ძალა არ შეგვწევს. იფიქრეთ იმაზე, თუ რა უფრო სასარგებლო იქნება და აქ მყოფ რომელი რაზმებითურთ მიდიელთა ჯარს დანებდით. ასეთი სივერაგე რომ იხმარეს სვანებმა და საჩუქრების საშუალებით რომ მიიმხრეს რაზმების მეთაურები, განდევნეს კიდევაც თავისი ქვეყ-

1) ტინოს ოსთის *Hoesch.*, ტ. *Γενομενης Nieb.*

2) Σαυνοι *E*, Σαυνοι || Σαννοι *X*, Σουανοι *Hoesch.*

3) Σουανιαν *Hoesch.*, Σουανιων *O.*

4) Δεισατω *E*, Εξισατω *X* ზემოთ, წინა გვერდის 31 სტრიქონში, იგივე პირი მოხსენებულია *Δειτατος*.

5) Σουανιοι *O*. Σουανοι *Hoesch.*



Σουανίαν ἔλαβον. ληπτέον. ὁὖν ἐντεῖθεν ὡς καὶ Ῥωμαίων ἀνέκαθεν ὑπήρχεν καὶ Ῥωμαίοις ἀρμόζει τίμερον. “εἰ γὰρ δικαιοσύνη Δαζικῆς κύριον καθεστήκαμεν, κατὰ δὴ προυθεν ἡμεῖς ἐψηφίσασθε, Σουανίας τῆς ὑπὸ Δαζικὴν οὐκ ἀπὸ τρόπου δεσπόσομεν.” ὁ δὲ Σουρήνας ἔφη “ἄχθεσθε μάλλον Ῥωμαίοι, ὅτι ἔθνος ἀμύαιρετα καὶ ἐκουσίως προσεπέλασεν ἡμῖν.” ὁ Ζίχ ὑπολαβὼν ἔφη “αὐτόνομοι γεγόνασι Σουάνοι καὶ οὐ πῶποτε τῇ Κόλχων ὑπεκλίθησαν ἀρχῇ.” ἀπὸς ὡς τὸν Ζίχ ἔλεξεν ὁ Πέτρος “εἰ γε μὴ βούλει, ὦ Ζίχ, ἐν τοῖς τῆς εἰρήνης συμβολαίοις ὀνομασθῆ<sup>1</sup> Σουανίαν ἐγχαράξαι, σήμερον ὡς ἀποδίδωμι μοι Δαζικὴν ἔξιν τοῖς ὑποτεταγμένοις ἔθνεσιν αὐτῇ.” ὁ Ζίχ “εἰ τόσῳ” ἔφη “ποιήσω, ἄδειά σοι δοθήσεται καὶ περὶ Ἰβηρίας ἀμφισβητεῖν, κατ’ ἐξουσίαν τε εἴποις ἂν ὡς καὶ αὐτῇ κατήκοος ἐγεγόνει Λαζῶν.” “ἐν-δηλως” ἦ δὲ ὁ Πέτρος, “γεγένη-

ნიდან რომაელთა ჯარი. სპარსელები კი მალე მოვიდნენ და აიღეს სვანეთი <sup>2</sup>. აქედან გასაგებია, რომ როგორც წინათ ის რომაელებისა იყო, ისე ეხლაც ის რომაელებს ეკუთვნის. თუ ჩვენ სრულიად სამართლიანად ლაზიკის უფალნი გავხდით, როგორც ეს თქვენ ცხადად დაადასტურეთ, უსამართლოდ არც ლაზიკისაგან დამოკიდებული სვანეთის მფლობელნი ვიქნებით“. ხოლო სურენამ უთხრა: „თქვენ ძალიან ჯავრობთ, რომ ხალხი თავისი არჩევით და თავისი ნებით ჩვენ მოგვეკედლა“. ზიქმა დასძინა: „სვანები თვითთავადნი იყვნენ და არასდროს კოლხების ძალაუფლებას არ ექვემდებარებოდნენ“. პეტრემ კვლავ უთხრა ზიქს: „თუ არ გსურს, ზიქ, რომ საზავო ხელშეკრულებაში სვანეთის სახელი აღბეჭდო, აღნიშნე, რომ მიბრუნებ ლაზიკეს მისდამი დაქვემდებარებულ ტომებითურთ“. ზიქმა უთხრა: „მე რომ ეს ვქნა, შენ საშუალება მოგეცემა იბერიის შესახებაც იდავო <sup>3</sup>. უფლების ძალით ილაპარაკებ, რომ ისიც ლაზთა

<sup>1</sup>) ὀνοματι Σουανίαν *θ*, ὀνοματι Σουανίας *Hoesch.*, ὀνομα το Σουανίος ὀνομασι Σ. *De Boor.*

<sup>2</sup>) როგორც პეტრეს სიტყვებიდან ჩანს, სვანეთი გადამდგარა რომაელებისაგან მაშინ, როდესაც მარტინე იყო ბიზანტიელთა სარდლად ლაზეთში (ზემოთ გვ. 45). მაშასადამე, ეს უნდა მომხდარიყო 552 – 556 წლებში. როდესაც შემდეგ პეტრე ხოსროს ელაპარაკება სვანეთის შესახებ, ესეც მიუთითებს მას: „დღეს ათმა წელმა განვლო მის შემდეგ, რაც მე სვანეთი დავიპყარიო“ (იხ. ქვევით, გვ. 223), ე. ი. სვანეთი სპარსეთს ხელში ჩაუგდია 552 წლის მახლობელ ხანებში.

<sup>3</sup>) მენანდრეს მოთხრობის ამ ადგილს სამართლიანად მიაქციეს ყურადღება საქართველოს ისტორიის სპეციალისტებმა, რომელთაც აღნიშნეს მენანდრეს ამ სიტყვებში მითითება იმ ძველ-პოლიტიკურ სიტუაციაზე, როდესაც იბერია ლაზეთის მეფეებს ექვემდებარებოდა (მდ. ს. კ ა კ ა ბ ა მ ე: საისტორიო კრებული II, 25).

σαι, ὃ Ζίχ, ὡς οὐ βούλει πᾶσαν ἡμῖν ἀποδοῦναι Λαζικήν, ἀλλὰ τινὰ μοῖραν αὐτῆς.” πολλὰ μὲν οὖν καὶ ἕτερα Ῥωμαῖοι τε καὶ Πέρσαι εἰπόντες τε καὶ ἀκηκόετες Σουανίας πέρι ὅμως οὐ ξυνέβησαν. δοκεῖ τοιγαροῦν αὐτοῖς περὶ τοῦ τοιοῦδε τὸν βασιλέα ἐπισκοπῆσαι Περσῶν. καὶ ὄρκω ἐπιστώσατο ὁ Ζίχ, ἣ<sup>1</sup> γενόμεσται Πέρσαις ὀμνύειν, ξυνεπιλαβέσθαι Πέτρον ὡς Χοσρόην ἀφικνουμένον ἕνεκα Σουανίας (HGM II, 18, 18—20, 13; de Boor 177, 35—179, 15).

— Τούτων διαμφισβητηθέντων καὶ ἐτέρων ἐγράφησαν αἱ πεντηκοντούτιδες σπονδαὶ περὶσσι καὶ ἑλληνιστί, μετεβλήθη τε τὸ Ἑλληνικὸν εἰς Περσίδα φωνὴν καὶ τὸ Περσικὸν εἰς Ἑλληνίδα. οἱ δὲ τὰς ξυνθήκας βεβαιούντες Ῥωμαίων μὲν Πέτρος ὁ τῶν περὶ βασιλέα καταλόγων ἡγεμῶν καὶ Εὐσέβιος καὶ ἕτεροι, Περσῶν δὲ ὁ Ζίχ ὁ Ἰεσδεγουσνάφ καὶ Σουρήνας καὶ ἕτεροι. τῶν οὖν ἐξ ἑκατέρου μέρους ὁμολογιῶν ἐν συλλαβαῖς ἀναληφθεῖσων, ἀντιπαρεβλήθησαν ἀλλήλαις τῷ ἰσοδυναμῶ τῶν ἐνθυμημάτων τε καὶ ῥημάτων. ὅσα δὲ ἐσήμηγε τὰ τῆς εἰρήνης γραμματεῖα, λελέξεται. καὶ διὰ τῆς στενοπορίας τῆς εἰσόδου τοῦ λεγομένου χώρου

ქვეშევრდომი იყო“. „ცხადია – უთხრა პეტრემ – რომ შენ მთელი ლაზიკე კი არ გინდა დაგვიბრუნო, არამედ მისი ერთი ნაწილი.“ ბევრი სხვაც უთხრეს ერთმანეთს რომაელებმა და სპარსელებმა სვანეთის შესახებ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. ამიტომ იმათ გადაწყვიტეს სპარსელთა მეფეს განეხილა ეს საკითხი და ზიქმა ფიცი დადვა – როგორც სპარსელებშია მიღებული დაფიცება – რომ ის დაეხმარებოდა პეტრეს, როდესაც ის ხოსროსთან მივიდოდა სვანეთის შესახებ.....

... მის შემდეგ რაც ამაზე და სხვაზეც იდავეს, დასწერეს ორმოცდაათწლიანი ზავის შესახებ სპარსულად და ბერძნულად: ბერძნული სპარსულ ენაზე იქმნა გადათარგმნილი და სპარსული ბერძნულად. ხელშეკრულება დაამტკიცეს რომაელების მხრივ პეტრემ, სამეფო რაზმების სარდალმა, და ევსევიმ და სხვებმა, ხოლო სპარსელების მხრივ ზიქმა ე. ი. იეზდეგუსნაფმა, სურენამ და სხვებმა. როცა თითოეული მხარის დებულებები დაწერილ იქმნა, ისინი ერთმანეთს შეადარეს აზრებისა და სიტყვების ერთიდაიგივეობის მიზნით. ხოლო, თუ რას აღნიშნავდა ეს საბუთი, ვიტყვი ეხლავე. პირველ დებულებად დაწერილი იყო, რომ სპარსელები ნებას არ აძლევენ არც ჰუნებს, არც ალანებს, არც სხვა ბარბაროსებს

<sup>1</sup>) η Ο, ηη *Hoesch*.

Τζόν<sup>1</sup> καὶ τῶν Κασπίων πηλῶν μὴ  
 ἐφείναι Πέρσας ἢ Οὐγγους ἢ  
 Ἀλανοὺς ἢ ἑτέροισι βαρβάρους  
 πάροδον ποιεῖσθαι κατὰ τῆς Ῥω-  
 μαίων ἐπικρατείας, μήτε δὲ Ῥω-  
 μαίους ἐν αὐτῇ δῆπου τῇ χώρῃ  
 μήτε μὴν ἐν ἄλλοις Μηδικοῖς ὄροις  
 στρατεύεσθαι στέλλειν κατὰ Περσῶν  
 (HGM II, 20,32—21,18; de  
 Boor 179, 30—180,10).

ეგრეთწოდებული ჩორისა და კასპიის კარების შესავალი ვიწრობებით გადავიდენ რომაელთა საფლობელოს წინააღმდეგ, და რასაკვირველია არც რომაელები გზავნიან ჯარს სპარსელების წინააღმდეგ არც ამ ადგილს და არც მიდიელთა სხვა საზღვრებზე (შემდეგ ჩამოთვლილია ყველა 13 მუხლი ხელშეკრულებისა) <sup>2</sup>.

<sup>1</sup>) Χορουτζον *O.* დე ბოორმა სრულიად მართებულად შეასწორა ეს ადგილი χῶρον Τζον-ად. ეს ადგილი უდრის დარუბანდის კარს (შდ. პროკოპი კესარიელის Τζουρ; იხ. ჩვენი გეორგია II, 99). მაშასადამე, 562 წლის საზავო ხელშეკრულების პირველი მუხლის ძალით სპარსელებს ევალებოდათ დაეცვათ დარიალის კარი („კასპიის კარები“) და დარუბანდის კარი („ჩორი“), რომ ამ გადმოსავლებით ბიზანტიელთა ტერიტორიას არ შესეოდენ ჰუნნები, ალანები ან სხვა ბარბაროსები.

<sup>2</sup>) შემდეგ მუხლებში განსაზღვრულია ბიზანტიელთა და სპარსელთა ურთიერთობის სხვა საკითხები. ასე, III, IV და V მუხლები ეხება ურთიერთ ვაჭრობის წესებს: ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს განსაზღვრული საბაჟო პუნქტების გზით – ნისიბინზე და დარაზე. VIII მუხლი ეხება საზღვარზე მდებარე ციხე-სიმაგრეს დარას: საზოგადოდ, არც ერთ სახელმწიფოს (არც სპარსეთს, არც ბიზანტიას) არა აქვს უფლება საზღვარზე მდებარე პუნქტში ციხე ააგოს, ან ზღუდე შემოავლოს, რომ ამით არ შეაშფოთოს მეზობელი სახელმწიფო და არ გახდეს მიზეზი ზავის დარღვევისა. კერძოდ, დარაში ბიზანტიელებს არა აქვთ უფლება იმაზე მეტი შეიარაღებული ძალა იყოლიონ, ვიდრე ეს ამ ციხის დაცვისათვის არის საჭირო; აღმოსავლეთის სარდალს აღარ უნდა ჰქონდეს აქ თავისი რეზიდენცია, რომ სპარსელებზე არ მოხდეს თავდასხმა (მუხლი X). საგანგებო დადგენილება იქმნა გამოტანილი სპარსეთში მცხოვრებ ქრისტიანთა შესახებ: ამ ხელშეკრულებით მათ უფლება მიეცათ დაუბრკოლებლივ შეესრულებინათ მღვდელმსახურება; არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო სარწმუნოებრივი იძულება არც ერთი მხრით: არც სპარსელები უნდა ცდილიყვნენ ქრისტიანთა მოქცევას თავიანთ სარწმუნოებაზე და არც პირიქით. ქრისტიანებს დაუბრკოლებლად უნდა შეეძლოთ მიწას მიაბარონ მიცვალებულები, თანახმად თავიანთი წესებისა (შდ. პროკოპის მიერ გურგენ მეფეზე მოთხრობილი ამბავი: გეორგია II, 22).

ამ ნაწყვეტში მოყვანილია 562 წლის ხელშეკრულების 13 მუხლი, რომლებიც მენანდრემ, როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს (იხ. ქვემოთ გვ. 227), პეტრე პატრიკიოსის მიერ ჩამოტანილი მასალებიდან ამოსწერა. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მენანდრეს მიერ მოყვანილ მუხლებში მთავარი სადავო საკითხი არ არის განსაზღვრული: სახელდობრ, ლაზიკის ტერიტორიის საკითხი; ამ მუხლებში არ არის ნათქვამი, რომ სპარსეთი სტოვებს ლაზეთს მთლიანად. ელჩთა საუბრიდან ჩვენ ვტყობილობთ, რასაკვირველია, რომ სპარსეთი მთლიანად უთმობს ბიზანტიას ლაზეთს; არ უთმობს მხოლოდ სვანეთს, რომელიც ლაზეთის

Ὡς δὲ Πέτρος ἀφίκετο πρὸς βασιλέα Περσῶν ἐν τῇ προσαγορευομένῃ Βιθαρμαίς, διαλεχθῆσθαι οἱ περὶ Σουανίας<sup>1</sup>, ἐς τὰ βασίλεια προελθὼν ἔλεξεν ἡδε·  
 „Ἦκούμεν, ὦ βασιλεῦ, παρὰ σέ, τὸ μὲν ἐν βεβαίῳ τὴν εἰρήνην ἔχειν εὐτυχήσαντες ἤδη, τὸ δὲ καὶ ὄψι γούν τευξόμενοι τῶν δικαιοτέρων παρὰ σοῦ μὴ ἀχθεσόμενοι. ὁ γὰρ τὸ παρὸν εὖ διαφείξαι καὶ σχεδιάσας, ὡς εἶπεν, τὸ συνοίσον πῶς εὐχί τῶν μελλόντων προμηθεύεται πολλῶ τῇ διαφόρῳ, καθ' ἕσπερ καὶ χρόνῳ τῇ πλείονι; μεγίστου τοίνυν πέφυκε βασιλέως τὸ δύνασθαι μὲν πλείον ἔχειν, μὴ βούλεσθαι δὲ τὸ γὰρ ὑπερβάλλον τῆς ἰσχύος ἐν σώφρονι κολάζεται λογισμῶ. ἐπεὶ εὖν τὸ ζέον τοῦ πολέμου κατέσβεσται νῦν ἡμῖν καὶ ὥσπερ ἀνεπνεύσαμεν, εἰς δὲ μόνος ὑπολείπεται σπινθήρ, φημί δὲ σπινθήρα κακῶν τὴν Σουανίαν, ἀπειλοῦσαν ἡμῖν μεγίστην ἔσσεσθαι δυσμενείας ἐμπύρωσιν, γενεῶν κώλυμα τῶν δεινῶν καὶ προκατάπαυσον ἡμῖν ἐλπῖδα τῶν κακῶν. ἐν σοὶ γὰρ τῶν ἀμηχάνων τὸν πόρον<sup>2</sup> ἀνεθέμεθα, μηχανησαμένῳ

.....როდესაც პეტრე მივიდა სპარსელთა მეფესთან ეგრეთწოდებულ ბითარმასში, რომ მოლაპარაკებოდა მას სვანეთის შესახებ, ის წარდგა სასახლეში და თქვა შემდეგი: „ჩვენ მოვედით შენთან, მეფე, ბედნიერნი იმით, რომ გვაქვს მტკიცე ზავი, და დაიმედებულნი იმით, რომ გვიან მაინც მივალწევთ შენგან სამართლიან მოთხოვნას. ვინც ეხლანდელი საქმე კარგად მოაწესრიგა და მდგომარეობა, ასე ვთქვათ, მიზანშეწონილად განსაჯა, ნუ თუ მეტის გულმოდგინეობით არ იზრუნავს ის მომავალზე, რამდენადაც ეს უფრო მეტ ხანს ეხება. დიდი მეფის დამახასიათებელია, შეეძლოს მეტი ჰქონდეს, მაგრამ არ უნდოდეს ეს: ძალის სიჭარბეს აკავებს გონიერი ზომიერება. მის შემდეგ რაც ჩვენ ჩავაქრეთ ომის ალი და თითქოს თავისუფლად ამოვისუნთქეთ, მხოლოდ ერთი ნაპერწკალი-და დარჩა: ბოროტებათა ნაპერწკლად მე ვგულისხმობ სვანეთს, რომელიც გვემუქრება ჩვენ, რომ უდიდესი უთანხმოების ცეცხლად გადაიქცევა; შეაჩერე უბედურება და წინდაწინვე გაგვათავისუფლე მოსალოდნელ ბოროტებათაგან, გამოსავალს მძიმე მდგომარეობიდან

ნაწილად არ მიაჩნია მას. ყველაფერ ამას ვტყობილობთ ჩვენ საზავო მოლაპარაკებიდან, თვით ხელშეკრულების მუხლებში კი ამაზე არაფერია ნათქვამი. ეს უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ მენანდრეს ნაწარმოები უშუალოდ კი არ არის ჩვენამდე მოღწეული, არამედ სხვათა მიერ მენანდრეს ნაშრომიდან მოყვანილი ციტატების სახით.

1) Σουανίας O, Σουανίας Hoesch.

2) τον πορον Hoesch., το απορον O, το ευπορον Bekk.

τὰ δέοντα. μία γὰρ τίς ἐστι τε-  
 λεωτάτη τοῦ πολέμου κατάλυσις  
 τὸ προστεθῆναι καὶ Σουανίαν  
 ἡμῖν, εἴπερ Λαζικῆς κύριοι κα-  
 θεστήκαμεν. ὁ γὰρ θεσπόςτας τῶν  
 ἡγεμονικοῦ πῶς οὐχ ἔξει τὸ ὑπο-  
 βεβηκός; οὔτε γὰρ Λαζοὶ οὔτε  
 μὴν αὐτοὶ Σουάνοι πρὸς ἀμφισ-  
 βήτησιν ἴδιοιεν ὡς οὐχ ὑπήκοος ἡ  
 Σουανία Λαζῶν ἀνέκαθεν ἦν  
 καὶ ὅτι φήσῃ τοῦ Λαζῶν βασι-  
 λέως ὁ Σουανίας ἀρχῶν τὸ κύρος  
 ἐδέχετο.” ταῦτ' εἰπὼν Πέτρος ἐν  
 γράμμασιν ἐπέδεικνυ Χριστόν πα-  
 λαιτέρους Λαζῶν βασιλεῖς καὶ ἄλ-  
 λους ὑπὸ ἄλλων χειροτονηθέντας  
 Σουάνων ἡγεμόνας. εἶτα καὶ αὐ-  
 θις ἐλεξε “τοῦ δικαίου τείνον  
 ἡμῖν, ὦ βασιλεῦ, καὶ Σουανίαν<sup>1</sup>  
 παρέχοντος, οὐχὶ σὺ προτερήσας  
 ἐν κέρδει σχήσεις ἀμφοτέρα, καὶ  
 τὸ δόξαι μὴ ἀδικεῖν καὶ τὸ δο-  
 κεῖν δωρεῖσθαι τὸ προσήκον πα-  
 σιν; οὕτω<sup>2</sup> γὰρ ἂν καὶ ὁ καθ' ἡ-  
 ἡμᾶς βασιλεὺς οὐκ οἴεται<sup>3</sup> ἀδικεῖσ-  
 θαι, εἰ γὰρ τὸ οἰκεῖον ὥσπερ δῶ-  
 ρον λήψεται παρ' ὑμῶν, ἐπεὶ καὶ  
 Λαζικὴν οἴεται οὐκ ἄλλως ἔχειν.  
 διαβεβαιουμένων γὰρ ἡμῶν καὶ  
 ἐναργέστατα δεικνόντων ὡς Ῥω-  
 μαίων ἐκ πλείστου χρόνου κτήμα  
 καθέστηκεν, ἀντίπαρ αὐτὸς τῷ  
 τ. ὁ πολέμου νόμῳ Λαζικὴν οἴ-  
 κειώσασθαι, καὶ ὅμως τῷ βούλε-  
 σθαι τὴν δίκην ἄτρωτον εἶναι

ჩვენ ვამყარებთ შენზე, რომელმაც მოიხელოვნე საჭირო საქმეები, ერთი-და დარჩა უკანასკნელი დასკვნა ომისა, სახელდობრ, რომ თუ ჩვენ უკვე ლაზიკის უფალნი გავხდით, სვანეთიც მოგვემატოს. ვინაიდან, ვინც განმგებელს ჰვლობს, ნუ თუ მისი არ უნდა იყოს იმის ხელქვეითიც. არც ლაზები და არც თვით სვანები არ მიიჩნევენ სადავოდ, თითქოს სვანეთი წინათ ლაზთა ქვეშევრდომი არ ყოფილიყოს, არც იმას, რომ სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება. ეს თქვა პეტრემ და საბუთებით დაუმტკიცა ხოსროს, რომ ლაზთა მეფეები უფრო ძველი იყვნენ და რომ სვანთა განმგებლები ერთი-მეორეზე ინიშნებოდნენ მათგან. შემდეგ იმან კვლავ უთხრა: „თვით სამართლიანობა გვანიჭებს ჩვენ, მეფე: სვანეთსაც და ნუ თუ შენ მიღწევად არ ჩათვლი, რომ ორი რამ გექნება: რომ შენ არავის უსამართლოდ არ ეპყრობი და რომ ყველას ანიჭებ რაც ეკუთვნის. არც ჩვენი მეფე იფიქრებდა, რომ მას უსამართლოდ ეპყრობიან, თუ ის თავის კუთვნილს, ვითარცა საჩუქარს, მიიღებდა თქვენგან, რადგან ის ფიქრობს, რომ ლაზიკეც სხვანაირად არ მიუღია. ვინაიდან, როდესაც ჩვენ გიმტკიცებდით და ცხადად გიჩვენებდით, რომ ის (ე. ო. ლაზიკე), დიდი

1) Σουανίων Ο, Σουανίαν Hoesch.

2) οὔτε Nieb., ου τι de Boor ἡουτω Ο.

3) οὐκ οιοίτο Vales.

προυργιαίτερον ἔθους σώφρονα  
 κεκτημένοι λογισμὸν ἢ χεῖρα δύ-  
 νατήν. τοιγαροῦν ἐποίησα τὴν οὐκ  
 ἀνάγκην ἀνάγκην, καὶ τῇ γενναίῃ  
 τῆς μεγαλοφροσύνης ἐψηφίσα  
 κατὰ σαυτοῦ, καὶ νικᾶν ἤξιωσας  
 ἡττημένους τοῦ πρέποντος, καὶ  
 ἀπλῶς ἀπεκατέστησας ἡμῖν Λα-  
 ζικήν ὡσπερ οἰκείον τι κτήμα με-  
 ταφθεῖς καὶ τὴν ἐξουσίαν μετα-  
 γαγῶν ἐφ' ἡμᾶς. οὐκ ἄλλως δὲ  
 καὶ περὶ Σουανίας ἀντιβόλοῦμεν  
 τὸ οἰκείον προΐκα λαβεῖν, καὶ  
 χάριν δὲ<sup>1</sup> ὁμολογήσειν ἡμᾶς ἡμῖν  
 τῷ<sup>2</sup> μὴ ἐζήμιώσθαι τὸ οἰκείον,  
 ἡμᾶς δὲ τῷ κρείττονι τῷ δυνασ-  
 θῆαι τοσοῦτον ὥστε θωρεῖσθαι δο-  
 κεῖν καὶ τὸ μὴ ἡμετέρον.<sup>3</sup> καὶ ὁ  
 βασιλεὺς ἐλεξεν ὧδε. «Ὅντω δῆτα  
 ψυχὴν λόγων χηρεῖουσιν καὶ τοῦ  
 πείθειν ἔρημον εὐροῦσα ἢ τῆς  
 σοφίας δυναμὶς περιφρονοῦσα τὸ  
 ἀσφειδὲς καταγωνίζεται, ὡσπερ  
 φάρμακόν ἐν ἔλκει προσπλαττόμε-  
 νον καταβιβρώσκει μὲν τὸ νοσοῦν,  
 συναναζωπυρεῖ δὲ τὴν ὑγίειαν τῷ  
 κείμενῳ. εἰ γὰρ τὸ δίκαιον οὐκ  
 εἶπέ τιςιν, εἶποι δὲ τὸ ἀρμόδιον,  
 οὐδὲν ἔττειν καὶ οὕτω νικήσει.  
 τοιγαροῦν ἢ σοφία τοῦτου ἐνεκα  
 τῆς ἰσχύος τῶν ἄπλων κρατεῖ,  
 ὅτι πολέμου μὲν δυναμὶς οὐκ οἶα  
 τε πέφυκε τοῦ πρακτέου γενέ-  
 σθαι, εἰ μὴ πῶ καὶ ἐαυτὴν αὐτῇ  
 διαχρήσεται, τὸ δὲ τῆς σοφίας ἀσώ-  
 ματον καὶ φροῦριον καθέστηκεν

ხანია, რომაელთა კუთვნილებას  
 წარმოადგენს, შენ თვითონ გვიპა-  
 სუხე, რომ ომის ძალით მიითვისე  
 ლაზიკე, მაგრამ მაინც მოისურვე,  
 რომ სამართლიანობა შეუბღალვე-  
 ლი ყოფილიყო, და უფრო სასარ-  
 გებლოდ დასახე საღი გონიერება,  
 ვიდრე მძლავრი ხელი. ამრიგად,  
 შენ აუცილებლად მიიჩნე არა აუ-  
 ცილებელი და კეთილშობილების  
 გამო დაადგინე შენი თავისავე სა-  
 წინააღმდეგო და გამარჯვებულმა  
 აღიარე თავი პატიოსნების მიერ  
 დამარცხებულად და პირდაპირ და-  
 გვიბრუნე ჩვენ ლაზიკე, გადმოგვე-  
 ცი ის, როგორც საკუთარი სამ-  
 ფლობელი და ძალაუფლებაც მასზე  
 მოგვანიჭე ჩვენ. ასევე გთხოვთ სვა-  
 ნეთის შესახებაც, რომ უსასყიდ-  
 ლოდ მივიღოთ ჩვენი საკუთრება;  
 და ჩვენ მადლობას გადაგიხდით  
 თქვენ, რომ ჩვენთვის დაკარგული  
 არ იქნება ჩვენი საკუთრება, და  
 თქვენც მადლობელი იქნებით უზე-  
 ნესი ძალის, რომ იმდენად ძლი-  
 ერნი ხართ, რომ თითქოს გაასაჩუქ-  
 რეთ ის, რაც თქვენი არ არის.  
 მეფემ ასე უპასუხა: „მართლაც რომ,  
 როდესაც ბრძენი ძალა ჰპოულობს  
 სულს, რომელიც გონიერებას მოკ-  
 ლებულის და არც დამარწმუნებე-  
 ლი ძალა აქვს, მას ეზიზღება მისი  
 სისუსტე და სძლევს მას, ისევე რო-  
 გორც ჭრილობაზე მიდებული წა-  
 მალი სჭამს მტკივან ნაწილს, ხოლო  
 ამავე დროს ავადმყოფს სისაღეს

<sup>3</sup>) δε Hoesch., σε O.

<sup>4</sup>) τωι Hoesch., το O.

ἑαυτῆς· πρὸς γε καὶ φρουρεῖ τὸν  
 κεκτημένον αὐτήν. ἐντεῦθεν οὐκ  
 οὐδὲ αὐτός, ὃ Ῥωμαίων πρεσ-  
 βευτά, ὅς ὡσπερ εἰκόσ<sup>1</sup> ἐν  
 τοσαύτῃ σοφίᾳ τεθραμμένως  
 περιεῖναι τοῖς ῥήμασι μεμάθηκας,  
 μεμφθεῖν πρὸς τινος ἔγωγε μὴ  
 πείθειαι μαθῶν· πλὴν ὡς ἂν οἶός  
 τε ὦ, καὶν εἰ μὴ τοῖς ῥήμασι τη-  
 λαυγῶς, ἀλλ' ὅμως τῷ βουλομέ-  
 νῳ τῆς γνώμης, ὡς ἔνεστιν, ἐν  
 φανερωῖ προθεῖναι τὸ δίκαιον·  
 δοίημεν, ὡς ἐδικαιολογήσω περὶ  
 Σουανίας, τὴν ἀλήθειαν οὕτως  
 ἔχειν. Δαζικὴν μὲν ἐχειρωσάμην,  
 Σουάνοις δὲ οὐδὲ προσέβηλον, ἣ  
 μόνῃ ἀκοῇ τῷ τὸν Μερμερότην  
 ἡμῖν σημήναι ὡς οὐκ ἔστιν ἀξιό-  
 λογος οὐδὲ μὴν περιμάχητος ἢ  
 χώρα οὐδὲ βασιλικῆς ἔργον ἐκ-  
 στρατείας, ἀλλ' ἐν ὑπάρχει τῶν  
 ἐθνῶν τῶν περὶ τὸν Καύκασον, καὶ  
 ὡς ἔχουσι βασιλίσκον καὶ ὡς δὲ χῶ-  
 ρός ἐστι Σκυθῶν πάροδος. ἀπε-  
 βίω Μερμερότης, εἶτα ὁ Ναχόεργαν  
 ὑπέληθε τῆ στρατηγία. γέγραφε τοί-  
 νυν ἡμῖν καὶ αὐτός οὐκ ἄλλως  
 περὶ αὐτῶν, ὅτι τοῦ Καυκάσου  
 τὰς ἀκρωρείας οἰκοῦσι καὶ ὅτι  
 δῆτα κλωπὲς τε καὶ λαφυραγω-  
 γοὶ καὶ χαλεπῶν ἔργων καὶ ἀνο-  
 σίων καθεστήκασιν ἐργάται. ἡβου-  
 λόμην οὐκ κατὰ σφῶν ἐλάσαι στρα-  
 τεῖαν, οἳ δὲ κατορρωδῆσαντες ἀντὶ  
 Σουάνων ἐγένοντο Πέρσαι, ὡς  
 εἶναι δεῖλον ἐντεῦθεν ἀνήκειν

უცხოველებს. კიდევაც რომ ის  
 მართალს არ ეუბნებოდეს ვისმე,  
 თუ იტყვის შესაფერისად, ის  
 მაინც გაიმარჯვებს. ამის გამო სიბრ-  
 ძნე იარაღის ძალაზედაც იმარ-  
 ჯვებს, რადგან მეომარ ძალას არ  
 ძალუძს რისამე გაკეთება, თუ ის  
 თავის თავს არ დახარჯავს, ხოლო  
 სიბრძნე უსხეულოა და თავის თა-  
 ვის სიმადრე, და გარდა ამისა მის  
 მფლობელს იცავს. ამიტომ, რომა-  
 ელთა ელჩო, რომელიც ასეთ  
 სიბრძნეში განიწვრთნე და ისწავ-  
 ლე სიტყვების საშუალებით გამარ-  
 ჯვება, მე არ უნდა ვიქნე განქიქე-  
 ბული იმისათვის, რომ არავისაგან  
 მისწავლია, რომ დაგარწმუნო შენ.  
 მაინც, რამდენადაც შესაძლებელია,  
 თუმცა არა ბრწყინვალე სიტყვების  
 საშუალებით, არამედ გონების კარ-  
 ნახით სააშკარაოზე გამოვიტან სი-  
 მართლეს. დავუშვათ, რომ შენ სვა-  
 ნეთის შესახებ სწორად ილაპარაკე,  
 რომ ეს სრულ სიმართლეს შეიცავს.  
 ლაზიკე მე დავიპყარი, ხოლო სვა-  
 ნებს არც კი დავცემივარ; მხოლოდ  
 გაგვეგონა, მერმეროე რომ გვითი-  
 თებდა ჩვენ, რომ ეს უმნიშვნელო  
 ქვეყანაა და არ არის დავის ღირსი,  
 არც სამეფო ლაშქრობის საქმეაო;  
 ეს ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც  
 კავკასიის გარშემო ცხოვრობსო,  
 ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე  
 სკვითები გადიანო. გარდაიცვალა  
 მერმეროე, შემდეგ ნახოერგანმა  
 მიიღო სარდლობა და ისიც გვწერ-

<sup>1</sup>) ἡὸς დაუმატა დ ე ბ ო ო რ მ ა; ἡὸσπερ εἰκοτῶς *Dind.*

μοι τὴν χώραν, καὶ ἔχειν οὐκ ἀρνέσθαι. καὶ τοῖσιν δηλοῦσιν ὑπακούοντες ἡμῖν ἀσμενέστατα τῷ καὶ τοῖς δούλοις ἀρχεσθαι τοῖς ἡμῶν. ἀμέλει καὶ τοῦ Ζιχ ἐν γράμμασι δηλώσαντος ὡς Ἰω-μαῖοι Σουανίαν ἐπιζήτοῦσι λαβεῖν, τσοῦτον πόρρωθεν φήσιν ἡμᾶς τοῦ δικαίου φῆσαι, καὶ ὅσον οὐ πλῆσιον ἐγενόμην τοῦ πείθεσθαι τῷ παραλόγῳ τῆς ἀκοῆς. πλὴν ἠττηθήσομαι τοῦ θνατοῦ, καὶ ὅσον οὐκ ἰθὺς περιέσεσθαι, μὴ οὐκ ἰθὺς φρονεῖν τῷ καὶ ἡμᾶς βασιλεῖ. τὰς δὲ δῆπουσιν αὐτὰς ἀπεκίησε τῷ νῦν τὰς ἐνοίας ὁ Περσῶν βασιλεὺς, καὶ ἐν τούτοις ὁ λόγος ἐπέπαυτο πρὸς βραχὺ περὶ Σουανίας αὐτῷ. καὶ αὐτίς, ὡσπερ ἐν μεταξολογίᾳ τινὶ περὶ Ἄμβρου τοῦ Ἀλαμουνδάρου τοῦ Σαρακηνοῦ διελεγέσθην ἄμφω (HGM II, 25,27—28,31, de Boor 183,19—185,30).

ვმსჯელობდი სხვანაირად, ვიდრე თქვენი მეფე“. აი, ასეთი აზრები გადმოალაგა სპარსთა მეფემ, და ამით მოკლე ხნით შეწყდა ლაპარაკი სვანეთის შესახებ. და ამასობაში კვლავ ილაპარაკეს სარკინოზ ალამუნდარის ძის, ამბროს შესახებ...

Καὶ αὐτίς ἀντελογίζοντο περὶ Σουανίας, ὁ δὲ βασιλεὺς εἶπεν ἠπηνίκα ἔγωγε παρεστησάμην Σκάνδεις<sup>1</sup> τε καὶ Σάραπα καὶ Λα-

და ჩვენ იმათ შესახებ ისეთნაირადვე, რომ ისინი კავკასიის მწვერვალზე ცხოვრობენ და რომ ისინი მართლა ქურდები და მძარცველები და საშინელი არაწმიდა საქმეების ჩამდენნი არიან. მე მოვიხდომე მათ წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა, ხოლო ისინი შეშინებულნი სვანებისაგან სპარსელებად იქცნენ. აქიდან ცხადად ჩანს, რომ ეს ქვეყანა მე მეკუთვნის, და მე არ უარყოფ, რომ ის მიჭირავს. ჩვენ რომ სიამოვნებით გვემორჩილებიან, ისინი ამას იმითაც ნათელჰყოფენ, რომ ჩვენი მონებით ხელიწიფებიან. და აი, როდესაც ზიქმა წერილობით გვაცნობა, რომაელები სვანეთის მიღებას ითხოვენო, თქვენი მოთხოვნა იმდენად დაშორებულად მეჩვენა სამართლიანობას, რომ მე არ ვუჯერებდი ამ უგუნურ ამბავს. მაგრამ მე დავემორჩილები აუცილებლობას, თუმცა მე ვფიქრობდი, რომ გავიმარჯვებდი იმაში, რომ არ

.... და კვლავ იდავეს, სვანეთის შესახებ. მეფემ თქვა: „როდესაც მე დავიჭიროე სვანდები, სარაპა და ლაზიკე, თქვენ არ გითქვამთ, რომ

<sup>1</sup>) Σκανδεις E, Σκενδεις X.

<sup>2</sup>) სკანდა VI საუკუნის ისტორიკოსთა მიერ ყოველთვის იხსენიება ს ა რ ა კ ა ნ ი ს თ ა ნ ერთად: სკანდა და სარაპანისი მდებარეობდენ ზედ იბერიის საზღვრებთან, მკაცრსა და მეტად ძნელსავალ ადგილებში. იბერიის მხრით საზღვრების გამაგრება ნიშნავდა სარაპანისა და სკანდის გამაგრებას და როგორც ლაზეთში გაბატონებული ბიზანტიელები, ისე იბერიაში გაბატონებული სპარსელები უდიდეს ყურადღებას აქცევდენ ამ სიმაგრეებს. ეს პუნქტები დღესაც არსებობენ: სა-



ζικίην, ἡμεῖς οὖν φατε<sup>1</sup> ὅτι τήνικαυτα Σουανίαν ἐν ὑπηκόων εἴχετε μοίρα. ἐνδηλον οὖν ἐντεῦθεν ὡς οὐκ ἐτύγχανον ὄντες ὑπὸ Λαζούς. ἢ γὰρ ἂν καὶ αὐτοὶ ξὺν τοῖς κρατοῦσιν ἡμῖν προσεχώρησαν". ὁ Πέτρος ἔφη ἀμοιβασθόν "τοῦτο οὖν γέγονεν, ἐπεὶ ὁ Σουάνος οὐκ ἀπέστη, καθὰ δῆπουθεν οὐκ ὁσῆλος ἦν ὁ Λαζός<sup>2</sup>. φημί δὲ ὡς τοῦ καθ' ἡμᾶς ὁσῆλου ὁ ὁσῆλος ἀφηγίασεν οὐδαμῶς". — "τήμερον"<sup>3</sup> εἶπεν ὁ βασιλεὺς "δέκα ἡδὴ παρρηχῆκασιν ἑναυτεὶ ἐξ τῶν Σουανίαν ἐν κατοχῇ ἐποιησάμην πρέσβεις πολλάκις ἐδεξάμεθα<sup>4</sup> τε καὶ ἐξεπέμψαμεν ὡς Ῥωμαίους· καὶ τί δῆτα ἐξ ἐκείνου τὸν ὄντινα οὖν οὐ κενινήκατε λόγον ἔνεκα Σουανίας;" — "ἐπειδὴ τήνικαυτα" ἔλεξεν ὁ Πέτρος "καὶ Λαζικῆς κύριος ἐγεγόνεις, καὶ εἴπερ ἔφηγ ὡς σὲ δεῖ<sup>4</sup> παραχωρησαί μοι Σουανίας, ἀντέλεξας ἂν "τίνος χάριν;" καὶ εἴπερ αὐμὶς ἔφηγ "ἐπεὶ Λαζικῆς ἐστὶ κατήκοος", ἀπεκρίνω "τίνα γὰρ σε γνωρίζομεν Λαζικῆς;"

მაშინ სვანეთი თქვენ ქვეშევრდომთა რიცხვში გყავდათ. აქიდან ცხადია, რომ ისინი ლაზების ქვეშევრდომნი არ ყოფილან; ვინაიდან ისინიც მათი მფლობელებითურთ ჩვენ შემოგვიერთდებოდენ“. პეტრემ საპასუხოდ უთხრა: ეს არ მოხდა, რადგან სვანი არ გადამდგარა მსგავსად ლაზისა, რომლის მონა-მორჩილი ის იყო. მე ვამბობ, რომ ჩვენი მონის მონა არას დროს არ გადამდგარა ჩვენგან. „დღეს, თქვა მეფემ – ათმა წელმა განვლო მის შემდეგ, რაც მე სვანეთი დავიპყარი; ელჩები ხშირად მიგვიღია და კიდევაც გაგვიგზავნია რომაელებთან; და რატომ მას აქეთ არც ერთი სიტყვა არ დასმართ სვანეთისათვის“. – „რადგან მაშინ – თქვა პეტრემ – შენ ლაზიკის ბატონი იყავი. და რომ მეთქვა, რომ საჭირო იყო ჩემთვის სვანეთი გამოგეცა, შენ შემეკითხებოდი „რის გულისთვის“-ო. და რომ მე კვლავ მეთქვა „რადგან ის ლაზიკის ქვეშევრდომი არის“-ო, შენ მიპასუხებდი: „შენ ლაზიკეზე რა ხელი

რაპანისი – ეს შორაპანია, ცნობილი სოფელი და რკინისგზის სადგური ჯუღელის (ზესტაფონის) რაიონში; ხოლო სვანდა მდებარეობს ჩხარის რაიონში, ათი კილომეტრის დაშორებით სოფ. ჩხარიდან ჩრდ. აღმოსავლეთით; ადგილობრივ ამ სოფელს ჰქვია ს ვ ა ნ დ ე. როგორც შორაპანი, ისე სვანდე შემდგომ საუკუნეებშიც, თვით XVIII საუკუნემდე, სასიმაგრო პუნქტებს წარმოადგენდენ. დღესაც დაცულია ორსავე ადგილას ციხეთა ნანგრევები, რომლებშიაც აშკარად გამოირჩევა სხვადასხვა ხანის ნაგებობანი; მათ შორის დაცულია აგრეთვე ბიზანტიური ხანის შენობათა ნაშთებიც.

1) ἡς φατε E, ου φατε (ნ ი ბ უ რ ი უმატებს აქ ἡοτι)

2) ἡο Λαζος] ἀλαζος E.

3) ἢ δε de Boor, εἶδε E, εἶδεν X, εἶπεν – გამომცემლები.

4) σὲ δεῖ de Boor, σὲ E, δε X, δεῖ Nieb.

καὶ λοιπὸν ἀντρεῖν εἰκομεν τὸ παράπαν οὐδέν.” — “τοῦτο φής” εἶπεν ὁ βασιλεὺς “ὅτι Σουανία Λαζῶν ὑποχείριος ἦν. εἶπερ ἐν γραμμασίῃσιν οἶός τε εἶ τεκμηριῶσαι τὸ τοιόνδε, ἥμιστά ἀποτεύξῃ τῷ δέοντος.” καὶ ὁ Πέτρος “οὐτι μελλήσω, ἀναδιδάξω δέ σε τᾶληθές. ἀρχαίον ἔθνος, ὃ δέσποτα, τότε ἐκράτησε παρὰ Λαζοῖς, ὁ Σουανίας ἡγεμῶν ὑπήκουε τῷ Λαζῷ καὶ ἀνάγραπτός οἱ ἐπεφύκει ἐς δαμοφρίαν, καὶ τοῖσιν ἐκομίζετο παρ’ αὐτοῦ ὁ Λαζὸς καρπούς τε μελιτῶν καὶ δέρρεις καὶ ἕτερα ἄττα. ὀπηγία δ’ οὖν ὁ Σουάνος ἀρχῶν ἀπεβίω, ἐχειροτόνει ὁ τοῖς Λαζοῖς ἐφραστῶς τὸν διαφυλάξοντα τοῦ ἀποικομένου τὴν ἀρχήν. ἐν τούτῳ γραμμασίῃσιν ἐχρήτο ὡς τῶν Ῥωμαίων αὐτοκράτορα τῶν ξυμβεβηκότων πέρι, καὶ αὐτὸς ἀντιγράφῳ ἐπιστολῇ ἐνεκελεύετό οἱ ἐκπέμψαι τὰ σύμβολα τῆς τῶν Σουάνων ἡγεμονίας ὅτῳ μὲν βούλειτο, Σουάνῳ δ’ ἕμῳς ἀνδρῖ. τοῦτο τὴν ἰσχὺν ἔλαβεν ἐκ τῶν Θεοδοσίου τοῦ κατ’ ἡμᾶς βασιλέως χρόνων μέχρι Περσίου τοῦ ἡμετέρου πάππου καὶ Λέοντος τοῦ κατ’ ἡμᾶς.” εἶτα ἐκ τῆς χλαμύδος ὁ Πέτρος ἐν φανερῷ προκομίζει βιβλιδιόν τι, ἐν ᾧ στοιχηθὸν τε καὶ διηρημένως ἐδηλοῦντο Λαζῶν βασιλεῖς, οἱ Σουάνων ἐχειροτόνησαν ἡγεμόνας. εἶχε δὲ οὕτω τοῦ γραμματέως ἡ δύναμις, εἰ καὶ μὴ οὕτω τὰ

გაქვსო“, და ჩვენ უკვე აღარაფერი გვექნებოდა, რომ კიდევ გვეთქვა საპასუხოდ“. „შენ სთქვი, უთხრა მეფემ, რომ სვანეთი ლაზების ხელქვეითი იყო. თუ შენ შეგიძლია საბუთებით დაამტკიცო ეს, შენ არ დაჰკარგავ მას, რაც სამართლიანია“. პეტრემ-კი უპასუხა: „მე სრულიადაც არ დავაყოვნებ და ავიხსნი ნამდვილ ვითარებას. ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე“. შემდეგ პეტრემ ქლამიდიდან გამოიღო წინ ერთი წიგნაკი, სადაც ერთი-მეორეზე ცალ-ცალკე ნაჩვენები იყვნენ ლაზთა მეფეები, რომლებსაც გაუხელისუფლებიათ სვანთა სარდლები. ამ საბუთის ძალა

ρήματα· „οἶδε Λαζῶν βασιλεῖς, οἱ γε βασιλίσκους ἐπέστησαν Σουάνους, ἐξ οὗ χρόνου Θεοδῶσιος τὸ Ῥωμαίων διήγυσέ κράτος καὶ Οὐαράνης τὸ Περσῶν ἄχρι Λέοντος αὐτοκράτορος καὶ Περόζου.“ καὶ διεξιθῶν ὁ Πέτρος ἔφη “ἄχρι τούτων ἴσμεν ἐν γράμμασι Λαζῶν τε βασιλεῖς καὶ τοὺς ὅσοι ὑπὸ Λαζῶν ἄρχοντες ἐγένοντο Σουάνων.” καὶ ὁ βασιλεὺς \*εἰ ξυγχαρήσομέν σοι τὸ παρὰ σοῦ προκομισθὲν γράμμα ξυγαίρομενον τῇ κατὰ σὲ πόλιτι· ἔχειν τὸ πιστόν, ἄρα καὶ τὰ ἡμέτερα συμβόλαια πιστευθήσονται δικαιότατα;” —οἶμαι. —“πλήν” ἦ δὲ ὁ βασιλεὺς “ὑπερ ἔφης, ἔχεται πειθομένη ὅτι δῆτα οὗτοι οἱ βασι-

სეთი იყო, თუმცა გამოთქმები იქ ასეთი არ იყო: „ესენი არიან ლაზთა მეფეები, რომლებმაც სვანებს დაუყენეს ბატონიშვილები იმ დროიდან, როდესაც რომაელთა ძალაუფლება ეპყრა თეოდოსის და სპარსელთა – უარანს ვიდრე თვითმპყრობელ ლეონამდე და პეროზამდე“<sup>1</sup>. წაკითხვის შემდეგ პეტრემ თქვა: „აქამდე ვიცნობთ ჩვენ წერილობით ლაზთა მეფეებს და მათ, ვინც ლაზთა მიერ სვანთა მთავრებად იქმნენ დადგენილი“. ხოლო მეფემ უთხრა: „თუ შენ დაგეთანხმებით, რომ შენ მიერ წარმოდგენილი საბუთი, რომელიც შენ სახელმწიფოს სასარგებლოდ არის შედგენილი, ნდობის ღირსია, ნუ თუ სამართლიანი არ იქნება, რომ ჩვენს სა-

<sup>1</sup>) როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, სვანეთის მთავარი ემორჩილებოდა ლაზთა მეფეს იმ დროიდან, როდესაც ბიზანტიელთა მეფედ თეოდოსი იყო, ხოლო სპარსელებისა – უარანი. ცნობილია ორი თეოდოსი: პირველი მეფობდა 379 – 395 წლებში, ხოლო მეორე 408 – 450 წწ. სპარსეთშიც ამ ხანებში ორი უარანი (ზაჰრამი) არის ცნობილი: უარან IV (389 – 399 წლებში) და უარან V (420 – 439 წლებში). ასე რომ სვანეთის დამორჩილება ლაზთა მიერ შეიძლებოდა მომხდარიყო, მენანდრეს ცნობის მიხედვით, 389 – 396 ან 420 – 439 წლებში. ასეთი დაქვემდებარებული მდგომარეობა სვანეთისა გაგრძელებულა ლეონ I-ამდე (457 – 474 წწ.) და პეროზამდე (468 – 484 წწ). საგულისხმოა, რომ ბიზანტიელთა ელჩი პეტრე ლეონ I-ის შემდეგ აღარ ჰგულისხმობს სვანებს ლაზთა (და ბიზანტიელთა) ქვეშევრდომებად. ჩანს, მეხუთე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან სვანები ლაზთა ქვეშევრდომები აღარ ყოფილან და ეს აძლევს საბუთს. სპარსეთის მეფეს ამტკიცოს, რომ როდესაც მან ათი წლის წინათ, 552 წლის მახლობელ ხანებში, სვანეთი დაიჭირა, უკანასკნელი დამოუკიდებელი იყო. მართლაც, ჩვენ უკვე 530 წელს ვხედავთ, რომ სვანები სპარსელთა ჯარში მსახურებენ (პროკოპი BP I, 15; გეორგიკა II, 28 – 29, შენიშვნა), ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, რომ სვანები ლაზთა ქვეშევრდომები ყოფილიყვნენ, ვინაიდან ლაზეთში ამ დროს უკვე ბიზანტიის პოლიტიკა ვრცელდებოდა. მამასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საფუძვლიანია სპარსელთა ელჩისა და ხოსროს მტკიცება, რომ იმ დროს, როდესაც სპარსელებმა ლაზეთის მიწა-წყალი დაიპყრეს (ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში), «სვანები თვითთავადნი იყვნენ».

λεῖς εἰ μὲν οὕτως, οἱ δὲ ἄλλως ἐγένοντο. ἐπειδὴ δὲ νῦν περὶ ἀμφηρίστου διαλεγόμεθα δούλου, εἰ μὲν ἐναργέστατα πῶς δυνήθειος ἀποφῆναι ὡς πέφυκε σός, λήψῃ γε αὐτόν· εἰ δὲ τὸ τῶνδε οὐχ οἷός τε εἰ πιστώσασθαι, καὶ ἄλλως βούλεται ὁ Σουάνος ὑπὸ τετάχθαι τῇ Ῥωμαίων ἀρχῇ, ἥκιστα ἔσομαι ἐμποδών. τούτου περαιτέρω οὐδὲν ὁτιοῦν δυνήσομαι ποιεῖν.” ὁ δὲ Πέτρος “οὐχὶ πῦσῃ, ὡ δέσποτα, πρὸς τοῦ Σουάνου, ὅποι βούλεται εἶναι; ἐξουσιάζει γὰρ αὐτός, ὅσον ἐπὶ ταύτῃ γε δήπου τῇ μοίρᾳ.” — “ἄθρει δέ” ὁ βασιλεύς “ὡς οὐ βούλεμαι περὶ Σουανίας τῆς χώρας τι πυθῆσθαι πρὸς τῶν Σουάνων, ἐπεὶ οὐδὲ ὅσιον οὐτε μὴν ἄλλως δίκαιόν ἐστιν<sup>1</sup> περὶ τῆς γῆς αὐτῆς ἐν δούλου κινδουένεσθαι κρίσει.”. οἷδε μὲν οὖν οἱ λόγοι προηλθὼν ἐξ ἀμφοῖν. (HGM II, 28—32, de Boor 186,21—188,10).

“Ὅτι φησὶ Μένανδρος ὁ ἱστορικὸς περὶ Πέτρου τοῦ πρέσβευος καὶ Χοσρόου· “οἷδε μὲν οὖν οἱ λόγοι προηλθὼν ἐξ ἀμφοῖν, καὶ οὐχ ἕτερα νοήματα ἐλέχθη Σουανίας πέρι, οὐδὲ μὴν ἀνθ’ ἐτέρων ἐτέραις λέξεσιν ἐχρησάμεν, ἢ τὸ χθιμαλῶτερόν πῶς ἔστιν ἢ

ბუთებსაც ნდობა ჰქონდეს“. — „მე ვფიქრობ, რომ იქნება“. — „ამიტომ, თქვა მეფემ როგორც შენ სთქვი, სარწმუნაროა, რომ ეს მეფეები ზოგი ასე, ზოგი კიდევ სხვანაირად იყვნენ დადგენილნი. ხოლო, რადგან ეხლა ლაპარაკი გვაქვს ორი მხრისთვის სადავო მონის შესახებ, თუ შენ ნათლად შესძლებ დაამტკიცო, რომ ის შენი იყო, შენ მას მიიღებ; თუ კი შენ ამაში დარწმუნება არ შეგიძლია და სვანს მანინც სურს რომაელთა ძალაუფლებას დაემორჩილოს, მე არავითარ შემთხვევაში წინააღმდეგი არ ვიქნები. ამის მეტი მე არაფერი შემიძლია“. ხოლო პეტრემ უპასუხა: „ხომ არ შეეკითხები, ბატონო, სვანს, ვისი სურს იყოს. ხომ მის ხელთ არის, რაც მის ზედს შეეხება“. „იცილდე — უთხრა მეფემ — რომ მე არ მიხდა სვანეთის ქვეყნის შესახებ შევეკითხო სვანებს, რადგან შეუფერებელია და უსამართლოც ამ ქვეყნის შესახებ, რომ იგი მონის აზრის გამო საფრთხეში იმყოფებოდეს. აი, ასეთი სიტყვები იყო წარმოთქმული ორივე მხრით.

ფრგ: 12. ისტორიკოსი მენანდრე, პეტრე ელჩისა და ხოსროს შესახებ ამბობს: აი, ასეთი სიტყვები იყო წარმოთქმული ორივე მხრით და სხვა აზრები არ გამოთქმულა სვანეთის შესახებ და მეცერთის მაგიერ სხვა სიტყვები არ მიხმარია, ან თუ რამ სიტყვებში

<sup>1</sup>) ἔστιν დაუმატა დე ბოორმა.

τῶν λόγων, καθ' ὅσον οἶόν τέ μοι, μετέφρασα ἐς τὸ Ἀττικώτερον.

Εἰ δὲ γε ἄρα βούλεται τις τὰ ὅσα Περσῶν βασιλεὺς καὶ Πέτρος τηλικαῦτα ἀκριβολογησάμενος ἦσθι ἐιδέναι, ἀναλεξάσθω ταῦτα ἐκ τῆς αὐτοῦ Πέτρου συναγωγῆς· ἅπαντα γὰρ αὐτῷ ἀναγράφονται ἐς τὸ ἀκριβὲς ὅποσα Χοσρόης καὶ πρέσβεις Ῥωμαίων καὶ Περσῶν ἐλεξάν τε καὶ ἤκουσαν αὐτοῖς τῆς λόγους τῶν φητεγξάμενων εἰρημένον, εἴτε κατὰ θωπέαν τινὰ ἐξ ἀμφοῖν τοῖν μεροῖν τυγχάνουσι λεγόμενα εἴτ' οὖν κατασσοβαρευόμενοι σφῶν ἐλεξάν ἅττα ἢ εἰρωνεύόμενοι ἢ καὶ ἐπιτιμᾶζοντες ἢ καὶ ἀποφλαυρίζοντες καὶ ἀπλῶς ὅσα ἐνήν καὶ ὅπως περὶ τόσους πράγματός διαλεγόμενους τοὺς ἀμφοτέρους πολιτείας ἄνδρας εἰπεῖν, ἐνθὲνδε ἀναλεκτέον... ἐγὼ δὲ ἐκαίθην ἀρυσάμενος ὁ, τι χρεῖσδες ἐν ὀλίγῳ ἐλεξά“ (HGM II, 32—33; Excerpta de sententiis, ed. Boissevain. p. 19—20).

“Ὅτι οὐδὲν προσέβη περὶ τῆς Σουανίας, ἀλλ' ὁ Πέτρος ἀπρακτοῦ ἀνεχώρησε τῶν Μηδικῶν ὀρίων. ὅμως δ' οὖν ἐσπέισατο Πέρσαις, καὶ κατέθεντο τὸν πόλεμον ἀμφοτέραι πολιτεῖαι. καὶ οἱ μὲν Μηδοὶ ἐκ τῆς τῶν Κόλχων ἐπ' οἴκου ἀνεχώρησαν· ἀτὰρ ἐς τὸ Βυζάντιον ἀφικόμενος ὁ Πέτρος οὐ πολλῶ ὕστερον, κατέλυσε τὸν βίον (HGM II, 33; de Boor 188).

უფრო მდაბიური იყო, ატტიკურით არ გამომითქვამს, რამდენადაც შესაძლებელი იყო....

თუ კი ვისმე სურს ზედმიწევნით იცოდეს, თუ რა ილაპარაკეს მაშინ სპარსელთა მეფემ და პეტრემ, წაკითხოს ეს თვით პეტრეს მოხსენებაში. ყველაფერი, რაც ხოსრომ და რომაელთა და სპარსელთა ელჩებმა თქვეს და მოისმინეს, მას ზედმიწევნით აქვს აღწერილი თვით მოქმედთა სიტყვებითვე; ან თუ რამ პირმოთნეობით იყო ნათქვამი ორივე მხრით, ან თუ ამაყურად უთხრეს რამე ერთმანეთს, ან ქვეშევშვად ან დაცინვით ან ზიზღით; და, საერთოდ, იქ შეიძლება წაკითხოს ადამიანმა ყველაფერი, რაც და როგორც ილაპარაკეს ორივე სახელმწიფოს კაცებმა ამ დიდი საქმის შესახებ... ხოლო მე იქიდან ამოვიღე ის, რაც საჭირო იყო, და მოკლედ ვთქვი.

ფრგ. 13 პეტრემ ვერაფერს მიაღწიას სვანეთის შესახებ და უშედეგოდ გამობრუნდა მიდიელთა საზღვრებიდან. მაგრამ მან მაინც შეკრა ზავი სპარსელებთან და ორივე სახელმწიფომ შესწყვიტა ომი და მიდიელნი შინ გაბრუნდნენ კოლხთა ქვეყნიდან; ბიზანტიონში რომ მოვიდა პეტრე, დიდი ხანი არ გასულა და გარდაიცვალა.

სვანეთის საკითხზე დავის გაგრძელება იუსტინე მეორის მეფობაში.

ვინაიდან ის ამტკიცებდა, რომ მან, თანახმად ომის საზოგადო წესებისა, ძალით აიღო და შეიძინა დარა, ხოლო რომაელებმა დაარღვიეს ზავი და ააჯანყეს პერსარმენია და იბერია; გარდა ამისა იმათ შეიფარეს სპარსელებისაგან გადამდგარი იქაური მცხოვრებლები და, ამრიგად, ბარბაროსი (ე. ი. ხოსრო) თავხედურად და ქედმაღლურად იქცეოდა და ძალიან მოჰქონდა თავი იმით, რომ საქმეები კარგად წაუვადა. ის იმუქრებოდა, რომ, ვიდრე გავიდოდა მიმდინარე დროებითი ზავის სამი წელი, რომლის განმავლობაში მტკიცედ უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთში ზავი, ის იარაღს ააქლარუნებდა და ამასთანავე ომს გააჩაღებდა აღმოსავლეთში მდებარე კუთხეში, თუმცა რომაელებმა წინასწარ გადაიხადეს ოქრო ამ დროებითი ზავისათვის, როდესაც ექიმი ზაქარია ამას ჰკრავდა. ის (ე. ი. ხოსრო) ამბობდა, რომ დაუბრუნებდა ფულს იმდენს, რამდენიც ამ სამ წელს დააკლდა: შემდეგ კვლავ ომს განვახლებო.

Πρόδηλος ὄν τῆν ἐντεσθῆν μὴ  
ἐρραμένα φρονῶν τῆν Ῥωμαίων  
ἀρχῆν, ἀλλὰ πόρρω τῆς ἀληθείας  
φθειγγόμενος βουλόμεγός τε Ῥω-  
μαίους μὲν ἀμαχητὶ σπαναχωρη-  
σαι τῆς Περσαρμενίας καὶ Ἰβηρίας,  
τελευταίων δὲ ἀμφὶ τοῦ Δάρας  
αἰτεῖν καὶ τῶν ἐπηγγελεμένων  
ἥμισθα ταχθάνειν... ὡσπερ καὶ  
Σουανίας πέρι ἐν τῷ πρὸ τοῦ ἡπα-  
τῆθι Πέτρος ὑπὸ τοῦ Ζίχ. ὁμοίως  
ὄν καὶ ὁ Μεβῶδης ἡβούλετο  
δράσειν.

ცხადი იყო, რომის რომაელთა  
სახელმწიფოს სასარგებლოდ არ  
ზრუნავდა და სიმართლეს არ ამ-  
ბობდა: მას უნდოდა, რომ რომაე-  
ლებს უბრძოლველად დაეცალათ  
პერსარმენია და იბერია და ამის  
შემდეგ მიემართათ თხოვნით და-  
რას შესახებ, და დაპირებულს კი  
ვერ მიაღწევდენ... ისევე, როგორც  
წინათ სვანეთის შესახებ მოატყუა  
პეტრე ზიქმა. მეზოდსაც ასევე უნ-  
დოდა მოქცეულიყო (HGM II,  
97 – 98: de Boor 468,22 – 28).

[ფრგ. 51. საზავო მოლაპარაკება გაგრძელდა. ბიზანტიელი ელ-  
ჩები მტკიცედ იცავდენ თავიანთ მოთხოვნებს. მეზოდი საქმეს აჭი-  
ნურებდა და ემუქრებოდა ბიზანტიელ ელჩებს – სარდალი ტ ა ნ ხ ო ს -  
დ რ ო <sup>1</sup>, რომელიც საზღვარზე დგას დიდძალი ჯარით, ააწიოკებს  
თქვენს ქვეყანასო. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ხოსრომ გადაწყვიტა  
დაერღვია ხელშეკრულება და დასცემოდა რომაელებს, რადგან იმედი  
ჰქონდა, რომ ამით «ან დიდს რასმე მიაღწევდა, ან შეაშინებდა კვი-  
სარს და კვისარი ამჯობინებდა უარი ეთქვასპარსელთა არმენიაზე  
და იბერიაზე და იქაურ ადგილებზე, რადგან აღმოსავლეთის აოხრე-  
ბას ერჩია პერსარმენიელთა და იბერთა დაკარგვა» (de Boor 210,  
21 – 24), და ორმოცი დღე აკლდა სამწლიანი დროებითი ზავის ვადის  
გასვლას, რომ ოცი ათასი ცხენოსანი მიუსია ბიზანტიელებს დარას  
საზღვრებიდან შუამდინარეში.

579 წელს ტიბერიმ კვლავ გააგზავნა ელჩები ხოსროსთან და თან  
საჩუქრად გაუგზავნა ხოსროს ტყვედ ჩავარდნილი დიდგვარიანი სპარ-  
სელები: ტიბერიმ თავისი ელჩების ხელით გაუგზავნა ხოსროს წერი-  
ლი, სადაც სწერდა:]

Ἐγὼ καὶ βούλομαι τὴν εἰρήνην  
καὶ διὰ τὸ φερόσθιστον οὖσαν ἀσ-  
πάζομαι, καὶ ὡσπερ φάσει τινὶ  
προσπαθάνει μοὶ τὰ τῆς φιλίας  
ἡμῶν. τοιγαροῦν ἔτοιμάς ἔχαι τῆς

„მე მსურს ზავი და ვესწრაფი მას,  
როგორც ღმრთის ნიჭს თითქოს  
თვით ბუნება თქვენს მეგობრობას  
მოითხოვს ჩემგან, ამიტომ მზადა  
ვარ უარი ვთქვა მთელს პერსარმე-

<sup>1</sup>) გამოჩენილი სპარსელი სარდალი, რომლის ნამდვილი სახელი გადმოცე-  
მული არაა: ვიცნობთ მხოლოდ მის საპატიო მეტსახელს „ტ ა მ ხ ო ს რ ო“ („ხოს-  
როს ძალა“).

Περσαρμενίας τε πάσης ἀφίστασ-  
θαι καὶ Ἰβηρίας, σὺ μὲν τῶν  
βουλομένων ἡμῖν ὑπακοῦειν Περ-  
σῶν Ἀρμενίας τε καὶ Ἰβήρων.  
ἀναδίδωμι δὲ καὶ τὸ Ἀφουμῶν  
φρούριον καὶ τῆς Ἀρξανηγῆς  
ὑμῖν ἀράχωρήσω τὸ Δάρας μύ-  
νον ἀντὶ τοσοῦτων ἀνακοιμῶμε-  
νος πρὸς ὑμῶν.

ნიაზე და იბერიაზე იმათ გარდა,  
ვინც სპარსელთა არმენიიდან და  
იბერთაგან ჩვენს ქვეშევრდომობას  
მოისურვებს. დაგიბრუნებ აგრეთვე  
აფუმონის ციხეს, არზანენესაც  
თქვენ დაგიტომობთ, თუ ამათ ნაც-  
ვლად დარას მივიღებ თქვენგან“  
(HGM II, 104 – 105; de Boor 211,  
25 – 32).

[ამასობაში ხოსროსაც გაეგზავნა ელჩები ტიბერისთან და სწერდა მას: გამომიგზავნე აჯანყებულ პერსარმენიელთა მეთაურები, რომ ისინი ჩამოვახრჩო ჩვენი ქვეყნების საზღვარზეო; თან სთხოვდა ტიბერის ელჩები გამოგზავნე საზავო მოლაპარაკებისათვისო. ტიბერის ელჩები ხომ გაგზავნილები იყვნენ, მაგრამ საზავო მოლაპარაკება ვერ შესდგა, რადგან 579 წლის თებერვალში ხოსრო გარდაიცვალა. ხოსროს შემდეგ მისი შვილი, ჰორომიზდა, გამეფდა. თუმცა ბიზანტიელ ელჩებს ტიბერის ბრძანება მიუვიდათ ახალ მეფესთან გაემართათ მოლაპარაკება, მაგრამ ჰორმიზდამ ისინი მეტად უპატიოდ მიიღო. ელჩებმა თითქმის სამი თვე დაჰყვეს აქ და უკან გაბრუნდნენ ბიზანტიაში ისე, რომ ზავს ვერ მიაღწიეს. ამის შემდეგ ტიბერი შეუდგა სამზადისს ომის განსახლებლად].

### საომარი ოპერაციების განახლება 580 წელს.

[ტიბერიმ აღმოსავლეთის მთავარსარდლად დანიშნა მავრიკი. ის იბრძოდა არზანენეში, სადაც მან ალყა შემოარტყა ქლომარონის ციხეს, და არმენიის სხვა ადგილებში. თუმცა მავრიკი თვითონ დიდს უნარს და გამჭრიახობას იჩენდა, მაგრამ სხვა სარდალთა უწესრიგო ქცევის წყალობით ბიზანტიელთა ჯარი ხშირად ვარდებოდა განსაცდელში.]

Καὶ οὐχ ἡ στρατεία μὲν πρὸς  
τῆν ἡγεμόνος κατὰ τε τὸ Δούβιν  
καὶ Ἰβηρίαν ταῦτα ἐδυστύχησε  
στρατιὰ μόνον, αὐτὸς δὲ ὁ Μα-  
ρίκιος ἀπαθῆς κακῶν ἔμεινε,  
ἀλλὰ ἀκαχεῖνος εἰς τελευταίας διω-  
λισθησεν ἐλπίζας, ἡμῶς διεσώθη  
μόγυς; (De sententiis, ed. Boissevain 24; HGM II, 114).

არა თუ დვინში და იბერიაში სარ-  
დლის მიერ გაგზავნილ ჯარს უბე-  
დურად წაუვიდა საქმე, არამედ  
თვით მავრიკიც – თუმცა უბედურე-  
ბებს უვნებლად დააღწია თავი, –  
მაგრამ უკიდურეს გასაჭირში ჩა-  
ვარდა და ძლივს გადარჩა.

[ამ ლაშქრობით ბიზანტიამ ვერაფერს მიაღწია და 580 წ. ტი-  
ბერიმ კვლავ ელჩები გაგზავნა სპარსეთში, ამ მოლაპარაკების დროს

სპარსელებმა მოსთხოვეს ბიზანტიელებს იმ თანხების ძლევა, რომელთაც ისინი ღებულობდნენ მათგან თანხმად იუსტინიანეს დროს დადებული პირობისა; გარდა ამისა მათ სურდათ დარაც მათ ხელში დარჩენილიყო.]

Τῶν δὲ διὰ Ῥωμαίων ἐξ ἐναντίας ἀπισχυρίζομένων ὥστε μηδὲν κατατιθέναι μήτε μὴν ὥσπερ τιμῆματός τινος πρίσθαι τὴν εἰρήνην, ἀλλὰ γὰρ καὶ ἀνασώσασθαι ἀπὸ Περσῶν τὸ Δάρα, ἀντάλλαγμα μέντοι παρέχοντας τὴν ἐξ ἀρχῆς Περσαρμενίαν τε καὶ Ἀρζανηγὴν ἀνευ τῶν ἀμφοτέρων χωρᾶς σικητόρων τῶν ἕσσι τῆ Ῥωμαίων προσεχώρησαν πολιτεία.

რომაელები კი, პირიქით მოითხოვდნენ, რათა არაფერი არ გაეღოთ და, მაშასადამე, ზავის ყიდვა არ დასჭირებოდათ, არამედ უკან მიეღოთ სპარსელებისაგან დარაც; სამაგიეროდ გადმოგცემთ პერსარმენიას და არზანენეს<sup>1</sup>, გარდა ამ ორივე ქვეყნის იმ მოსახლეთა, რომლებიც რომაელთა სახელმწიფოებრივობას მიემხრნენო (HGM II, 115; de Boor 217,8 – 12).

<sup>1</sup>) ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ბიზანტიელები ამ თავის უკანასკნელ პირობებში აღარას ამბობენ იბერიის გადაცემაზე, მხოლოდ პერსარმენიასა და არზანენეზეა ლაპარაკი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ, თუ მენანდრეს ეს ტექსტი შერყენილი არაა, იბერია კვლავ სპარსეთის ხელში გადასულა.

## თეოფანე ბიზანტიელი

Θεοφανής Βυζαντιός – VI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი. დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ დაცული არ არის. როგორც ფოტი გადმოგვცემს თავის «ბიბლიოთეკაში» (წიგნი 64), თეოფანეს დაუწერია «საისტორიო თხზულება», რომელიც ათი წიგნისაგან შესდგებოდა და ეხებოდა 566 – 581 წ.წ. ამბებს (იხ. ქვემოთ ფრგ. 1). ეს თხზულება ჩვენამდე მოღწეული არაა; დაცულია მხოლოდ ოთხი ნაწყვეტი, რომლებიც შემოუნახავს ფოტის თავის «ბიბლიოთეკაში». ჩვენ მოგვყავს ქვემოთ ყველა ოთხი ნაწყვეტი. ტექსტის დამზადებისას ხელთ გვექონდა:

N i e b u h r i u s, Corpus scriptorum historiae byzantinae (Bonnae) tom. Dexippi, Eunapii etc. p. 483 – 486. D I n d o r f i u s, Historici Graeci Minores I, 446 – 449. I. B e k k e r, Photii Bibliotheca, cod. 64.

### მენანდრეს თხზულების შინაარსი.

Ἄνεγνώσθη Θεοφάνους Βυζαντίου ἱστορικῶν λόγοι δέκα. ἀρχεται δὲ ὁ πρῶτος λόγος ἀπὸ τοῦ Περσικοῦ πολέμου τοῦ συσταντος μετὰ τὴν διάλυσιν τῶν σπονδῶν, ἃς Ἰουστινιανὸς ὁ βασιλεὺς καὶ Χοσρόης ὁ Περσῶν ἀλλήλοισι ἐθήεντο, ἔλυσε δὲ Χοσρόης τε αὐτὸς καὶ Ἰουστίνος, διάδοχος Ἰουστινιανῶν καταστάς, δευτέρου ἔτους τῆς ἀρχῆς αὐτῶν περαιουμένου. ἀρχόμενος δὲ ἐντεῦθεν τῆς ἱστορίας κάτεισι μέγχι δεκάτου ἔτους αὐτοῦ τοῦ πολέμου. μέμνηται δὲ ἐν τῷδε τῷ πρώτῳ τοῦ βιβλίου λόγῳ καὶ τὰ κατὰ Ἰουστινιανὸν ἱστορησά. οὐ μὴν ἀλλὰ θελὸς ἔστιν ἄς καὶ ἐφεξῆς τῶν δέκα λόγων ἑτέρους συντάξῃ. διέξεισι δὲ ἐν μὲν τῷδε τῷ λόγῳ ὅπως αἱ σπονδαὶ συνε-

ფრგ. 1 წაკითხულ იქმნა თეოფანე ბიზანტიელის საისტორიო თხზულების ათი წიგნი. პირველი წიგნი იწყება სპარსული ომით; ეს ომი ატყდა იმ საზავო ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ, რომელიც ერთმანეთს შორის დადვეს იუსტინიანე მეფემ და სპარსელთა მეფემ ხოსრომ. ის დაარღვიეს თვით ხოსრომ და იუსტინემ, – რომელიც იყო იუსტინიანეს მემკვიდრე, – მეორე წელს იუსტინეს მეფობისა. ამით იწყებს ის თავის ისტორიას და მოგვითხრობს ამ ომის მეათე წლამდე. თავისი თხზულების ამ პირველ წიგნში ის აღნიშნავს, რომ მან იუსტინიანეს დროინდელი ამბებიც აღწერა: ისედაც ცხადია, რომ გარდა ამ ათი წიგნისა მას სხვებიც შეუთხზავს. ამავე წიგნში ის მოგვითხრობს, თუ როგორ იქმნა დარღვეული ზავი (რო-

χρήτησαν Ἰουστίνου μὲν διὰ Κο-  
μεντίου Σουανίαν παρὰ Χρισ-  
τόου ἀπαιτοῦντος, αὐτὸν δὲ ὑπο-  
τιθεμένου, οὗ μὲντοι διδόντος,  
ὅπως τε ἡ Μεσοποταμία πᾶσα  
ἔσεισθη, προσιμίον τῶν ἐπελευ-  
σομένων κακῶν γενομένη.

რომაელებსა და სპარსელებს შორის) მა-  
შინ, როდესაც იუსტინე მოითხოვ-  
და ხოსროსაგან სვანეთს კომენ-  
ტიოლეს პირით <sup>1</sup>, და რომ ხოსრო  
ჰპირდებოდა, მაგრამ არ აძლევდა  
სვანეთს; მოგვეითხრობს მესოპოტა-  
მიაში მომხდარი მიწისძვრის შესა-  
ხებაც, რომელიც მომავალ უბედურებათა წინამორბედი შეიქმნა.

### ურთიერთობა თურქებთან.

Ἄρα τὰ πρὸς εὐρον ἄνεμον τοῦ  
Τανάιδος Τοῦρκοι νέμονται, οἱ  
πάσαι Μασσαγέται καλοῦμενοι, οὗς  
Πέρσαι οἰκεία γλώσση Κερμιχίω-  
νάς φασι. καὶ αὐτοὶ δὲ ἐν τῇ τότε  
δῶρα καὶ πρέσβεις πρὸς βασιλέα  
Ἰουστίνου ἔστειλαν, δεόμενοι μὴ  
ὑποδέξασθαι αὐτὸν τοὺς Ἀβάρους·  
ὃ δὲ τὰ δῶρα λαβὼν καὶ ἀντι-  
φιλόφρονησάμενος ἀπέλυσεν εἰς  
τὰ οἰκεία. τοῖς δὲ Ἀβάροις ὑσ-  
τερον ἐλθοῦσιν, καὶ Παννονίαν  
οἰκῆσαι καὶ εἰρήνης τυχεῖν δεο-  
μένοις, διὰ τὸν πρὸς τοὺς Τοῦρ-  
κούς λόγον καὶ τὰς συνθήκας  
οὐχ ἔσπεισάτο.

ლო სიტყვა და მათთან ხელშეკრულება დადებული.

ფრგ. 2. ტანაიდის აღმოსავლე-  
თით მდებარე მხარეში ბინადრო-  
ბენ თურქები, რომელთაც ძველად  
მასაგეტები ეწოდებოდათ და რო-  
მელთაც სპარსელები თავიანთ ენაზე  
კერმიხიონებს ეძახიან. მაშინ იმათ  
იუსტინე მეფეს საჩუქრები და ელ-  
ჩები გამოუგზავნეს და სთხოვედნ  
მას არ მიეღო ავარები: იმანაც  
საჩუქრები მიიღო, სამაგიერო უზ-  
ლო და შინ გაისტუმრა. შემდეგ  
ხანებში რომ ავარები მოვიდნ და  
სთხოვეს პანონიაში დაესახლებინა  
ისინი და ზავი შეეკრა მათთან, მან  
არ შეკრა მათთან ზავი, რადგან  
თურქებისათვის ჰქონდა მოცემუ-

### აბრეშუმის ჭიის კულტურა ბიზანტიაში.

Ἄρα τῆν τῶν σκαλήκων γέ-  
νεσιν ἀνήρ Πέρσης βασιλεύοντος  
Ἰουστινιανῶν ἐν Βυζαντίῳ ὑπέ-  
δειξεν, ὅτι πᾶ πρότερον ἐγνωσμέ-

ფრგ. 3. იუსტინიანეს მეფობის  
დროს ერთმა სპარსელმა ასწავლა  
ბიზანტიონში აბრეშუმის ჭიის გამ-  
რავლება, რაც წინათ რომაელები-

<sup>1</sup>) ამ იოანე კომენტიოლეს (დ ო მ ნ ე ნ ტ ი ო ლ ე ს) მის მოღვაწეობის შესა-  
ხებ დაწვრილებით მოგვითხრობს მ ე ნ ა ნ დ რ ე (ფრგ. 15 და 16, იხ. ზემოთ გვ.  
ზვ. 228 – 231).

νην Ῥωμαίους. οὗτος δὲ ἐκ Ση-  
 ρῶν ὁ μνηθεὶς ὁ Πέρσης τὸ σπέρ-  
 μα τῶν σκωλήκων ἐν νάρθηκι  
 λαβῶν μέχρι Βυζαντίου διεσώ-  
 σατο, καὶ τοῦ ἕαρος ἀρξαμένου  
 ἐπὶ τὴν τροφὴν τῶν συκαμίνων  
 φύλλων ἐπαφῆκε τὰ σπέρματα·  
 τὰ δὲ τραφέντα τοῖς φύλλοις ἐπ-  
 τεροφῆσέ τε καὶ τἄλλα εἰργάσατο,  
 ὧν τὴν τε γένεσιν καὶ τὴν εἰργα-  
 σίαν ὁ βλασιεὺς Ἰουστίνος ἕστε-  
 ρον τοῖς Τούρκοις ὑποδείξας ἐθαύ-  
 βησεν· οἱ γὰρ Τούρκοι τότε τὰ

სათვის უცნობი იყო. ეს სპარსელი  
 სერთა ქვეყნიდან რომ გამოემართა,  
 მან ჭიების თესლი წამოიღო თან  
 ჯობში დამალული და ასე მოიტანა  
 ბიზანტიონამდე; გაზაფხული რომ  
 დადგა, მან ეს თესლი თუთის ხის  
 ფოთლებზე დაალაგა საკვებად:  
 ფოთლებით ნაკვებებმა ფრთები  
 შეისხეს და სხვა საქმეებიც შეას-  
 რულეს<sup>1</sup>. როდესაც შემდეგ იუსტინე  
 მეფემ თურქებს უჩვენა ჭიების გამ-  
 რავლება და მათი ნამუშევარი, ისი-  
 ნი გაკვირვებაში მოიყვანა: თურ-

<sup>1</sup>) აბრეშუმის ჭიის კულტურის შემოტანის შესახებ ბიზანტიაში ცნობები მოეპოვება პროკოპისაც. ის ჯერ მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობდნენ ბი-  
 ზანტიელები თავი დაეღწიათ სპარსეთის მეშვეობისათვის აბრეშუმით ვაჭრობის  
 საქმეში (ისინი ინდოეთიდან ღებულობდნენ აბრეშუმს, მაგრამ არა უშუალოდ,  
 არამედ სპარსეთის მეშვეობით, რაც ბიზანტიას ხელ-ფეხს უბორავდა სპარსეთ-  
 თან ურთიერთობის საქმეში); მ მიზნით ბიზანტიელებმა სავაჭრო წინადადებით  
 მიმართეს ეთიოპელებსა და ჰომერიტებს. პროკოპი ამბობს:

«მაშინ იუსტინიანე მეფემ, როდესაც ეთიოპელების მეფედ ჰილლესთე იყო,  
 ხოლო ჰომერიტებისა ესიმიფე, იულიანე გაუგზავნა მათ ელჩად და სთხოვდა  
 ორივე დახმარებოდა რომაელებს სპარსელებთან ბრძოლაში, – ვინაიდან ერთი  
 რწმენისანი იყვნენ, – სახელობრ იმით, რომ ეთიოპელებს ეყიდათ ხოლმე ინდებისაგან  
 აბრეშუმი და გადაეცათ ის რომაელებისათვის: «ამით ისინი დიდი ფულის პატრონი  
 გახდებოდნენ, ხოლო რომაელებს საშუალებას მისცემდნენ ამით მხოლოდ ის გამორ-  
 ჩენა ჰქონოდათ, რომ აღარ იქნებოდნენ იძულებული თავისი საკუთარი ფული  
 მტრის ხელში გადაეცათ (ეს ის აბრეშუმი, რომლისაგანაც ჩვეულებრივ იმ ტან-  
 საცმელს ამზადებენ, ძველად რომ ელინები მედურს ეძახდნენ; ხოლო ეხლა სე-  
 რულს უწოდებენ); ჰომერიტებს კი სთხოვდა, რათა იმათ გამეცებული კაისი მად-  
 დენების ფილარქად დაეყენებინათ და სპარსელთა მიწაწყალში შეჭრილიყვნენ დიდ-  
 ძალი ჯარით როგორც თვით ჰომერიტებისა, ისე სარკინოზ მადდენებისა (ეს  
 კაისი ფილარქული გვარის იყო და განსაკუთრებით კარგი იყო საომარ საქმეებში.  
 რადგან მას ესიმიფეს ერთი ნათესავი მოეკლა, ის გაქცეულა ერთ კუთხეში, რო-  
 მელიც სრულიად უკაცურია). ორივე შეპირდა, რომ თხოვნას შეუსრულებდნენ და  
 გამოაბრუნეს ელჩი, ხოლო ვერც ერთმა მათგანმა დანაპირები ვერ შეასრულა.  
 ეთიოპელებისათვის შეუძლებელი იყო ეყიდათ ინდებისაგან აბრეშუმი, რადგან  
 სპარსელი ვაჭრები მუდამ მოდიოდნენ თვით იმ ნავთსადგურებში, სადაც პირველად  
 შედიოდა ინდთა ხომალდები, ვინაიდან ისინი მოსაზღვრე ქვეყანაში ცხოვრობდნენ,  
 და ჩვეულებრივ მთელ საქონელს ჰყიდულობდნენ; ჰომერიტებისათვისაც ძნელი აღ-  
 მოჩნდა გადასულიყვნენ უდაბურ ქვეყანაში და გაევლოთ დიდი ხნის სავალი გზა,  
 რომ წარმართულიყვნენ იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მათზე გაცილებით



τε Σηρῶν ἐμπόρια καὶ τοὺς λι-  
μένας κατείχον. ταῦτα δὲ πρὶν  
μὲν Πέρσαι κατείχον, Ἐφθαλά-  
νου δὲ τοῦ. Ἐφθαλιτῶν βασι-  
λέως, ἐξ οὗ καὶ τὸ γένος ἔσχε  
τὴν κλησιν, Περσίην καὶ Πέρ-  
σας νικήσαντος, ἀφηρέθησαν μὲν  
τούτων οἱ Πέρσαι, δεσπόται δὲ  
κατέστησαν Ἐφθαλιται· οὗς μι-  
κρῶ ἕστερον μάχη νικήσαντες  
Τούρκοι ἀφείλον ἐξ αὐτῶν καὶ  
ταῦτα. Ἰουστινὸς δὲ Ζήμαρχον  
ἐξ τοῦς Τούρκους πρέσβυν ἀπέσ-

ქებს ხომ იმ დროს სერების <sup>1</sup> სავაჭ-  
რო ადგილები და ნავთსადგურები  
ეჭირათ. წინათ ეს ადგილები სპარ-  
სელებს ეჭირათ, ხოლო როდესაც  
ეფთალიტა მეფემ ეფთალანემ,  
რომლისგან ამ ტომმა თავისი სა-  
ხელწოდება მიიღო, დაამარცხა პე-  
როზი და სპარსელები, სპარსელებ-  
მა ეს ადგილები დაჰკარგეს და  
ეფთალიტები გახდნენ მათი ბატონ-  
პატრონნი: ცოტა ხნის შემდეგ თურ-  
ქებმა ბრძოლაში გაიმარჯვეს და  
წაართვეს მათ ეს ადგილები. იუს-

უფრო მამაცი მეზობლი იყო» (პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, De bello persico 1, 20).

როგორც ჩანს, ამ გზით ბიზანტიელებმა ვერაფერს მიაღწიეს და ამის შემ-  
დეგ ისინი ცდილობდნენ გაეჩინათ საკუთარი ზაზა აბრეშუმის კულტურისათვის.  
552 წლის ამბების მოთხრობის დროს პროკოპი ამბობს:

«ამ დროს მუვიდა ინდოეთიდან რამდენიმე მონაზონი. როდესაც იმათ გაი-  
გეს, რომ იუსტინიანე მეფე ძალიან ზრუნავდა, რათა რომაელებს ამიერიდან აღარ  
ეყიდათ აბრეშუმი სპარსელებისაგან, მოვიდნენ მეფესთან და დაჰპირდნენ მას აბრე-  
შუმის საქმეების ისე მოგვარებას, რომ რომაელებს აღარ დასჭირებოდათ ამ სა-  
ქონლის შეძენა მათდამი მტრულად განწყობილი სპარსელებისაგან ან სხვა ერი-  
საგან: ჩვენ დიდ ხანს დავყავით ინდების მრავალი ტომით დასახლებულ ქვეყანაში,  
რომელსაც სერინდა ეწოდებო – თქვეს მონაზონებმა – და იქ ზედმიწევნით შევისწავ-  
ლეთ, თუ რანაირად შეიძლება მოხერხდეს რომ ელთა ქვეყანაში აბრეშუმის წარ-  
მოებაო. ხოლო როდესაც მეფე დაჟინებით ჰკითხავდა და იკვლევდა, მართალია  
ეს თუ არაო, მონაზონებმა უპასუხეს: „აბრეშუმის შემქმნელი რაღაც ჭიები არის  
და მათი აღმზრდელი არის ბუნება, რომელიც მათ გამუდმებით ამუშავებს. მაგ-  
რამ ჭიების ცოცხლად აქ გადმოტანა შეუძლებელია, ხოლო მათი გამოჩეკა კი  
მოსახერხებელი და სრულიად ადვილია. ამ ჭიების ნაყოფია კვერცხები, თითოეუ-  
ლისა უამრავი, ამ კვერცხებს დიდი ხნის განმავლობაში, მათი დადების შემდეგ,  
ნაკელით ჰფარავენ მცხოვრებლები და, ასე რომ საკმაო ხანს თბილად ინახავენ,  
ცხოველებს გამოაჩეკინებენ“. ეს რომ თქვეს, მეფე დაჰპირდა ამ კაცებს დიდ სა-  
ჩუქრებს და სთხოვა მათ სიტყვა საქმით დაემტკიცებინათ. ესენი რომ სერინდაში  
გაბრუნდნენ, კვერცხები წამოიღეს ბიზანტიონში, და, როდესაც ისინი ხსენებულ  
წესით ჭიებად აქციეს, კვებავდნენ მათ თუთის ხის ფოთლებით, და სწორედ აქიდან  
დაიწყო რომაელთა ქვეყანაში აბრეშუმის წარმოება» (პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე-  
ლ ი, De bello gothico IV [VII]. 17).

<sup>1</sup>) ე რ ე ბ ი ს (Σηραων) ქვეყნად (პ რ ო კ ო პ ი ს Σηριονα: BG IV [IVIII]. 17)  
მეცნიერნი ჰგულისხმობენ სხვადასხვა მხარეებს (ციელონს, ჩოდილოეთ ინდოეთს,  
აღმოსავლეთ თურქისტანს, კოხინხინას, ჩინეთს); უკანასკნელ წლებში გერმანელმა

τειλεν' ἕς καὶ λαμπρῶς ἐστίασας  
 τε τοὺς Τούρκους καὶ ἕς τὰ μάλισ-  
 τα φιλοφρονήσεις ἕς τὸ Βυ-  
 ζάντιον ἐπανήξει. διὸ καὶ ὁ Χο-  
 σρόης ἐπ' Αἰθίοπας, φίλους ὄντας  
 Ῥωμαίοις, τοὺς πάλαι μὲν Μα-  
 κρῆβιους, νῦν δὲ Ὀμηρίτας κα-  
 λουμένους, ἐστράτευσε, καὶ τὸν  
 τε βασιλέα τῶν Ὀμηριτῶν Σανα-  
 τούρχην διὰ Μιράνους τὸν Περ-  
 σῶν στρατηγοῦ ἐξώγρησε, τὴν τε  
 πόλιν αὐτῶν ἐξεπόρθησε καὶ τὸ  
 ἔθνος παρεστήσατο.

ლაქიც დაიპყრო და ხალხიც დაიმორჩილა.

ტინემ თურქებთან ზემარქე გაგზავ-  
 ნა ელჩად<sup>1</sup>; ის ბრწინვალედ გაუმას-  
 პინძლდა თურქებს, მათ მიერაც მე-  
 გობრულად იქმნა მიღებული და  
 გამობრუნდა ბიზანტიონში. ამიტო-  
 მაც ხოსრომ გაილაშქრა ეთიოპთა  
 წინააღმდეგ, რომლებიც რომაელთა  
 მეგობრები იყვნენ; წინათ მათ მაკ-  
 რობიები ერქვათ, ეხლა კი ჰომე-  
 რიტები ეწოდებათ. ჰომერიტების  
 მეფე სანათურქი ხოსრომ ცოცხლად  
 ჩაიგდო ხელში სპარსელთა სარდ-  
 ლის მირანის წყალობით, მათი ქა-

### სომეხთა და ქართველთა აჯანყება სპარსეთის წინააღმდეგ.

Διέξεισι δὲ καὶ ὅπως Ἀρμένιοι  
 ὑπὸ Σουρήνου κακούμενοι, καὶ μάλισ-  
 τα περὶ τὴν εὐσέβειαν, τὸν τε  
 Σουρήναν ἠμοφρονήσαντες διὰ  
 Οὐάρδανου, οὗ τὸν ἀδελφὸν Μανουήλ  
 ἐτύγχανεν ἀνελῶν, καὶ δι' ἑτέρου  
 τινὸς Οὐάρδου ἠνεῖλον, καὶ Περ-  
 σῶν ἀποστάντες Ῥωμαίοις προσε-  
 χώρησαν, τὸ Δουβίσις τὸ πόλισμα,  
 ἐν ᾧ κατήκουν, ἀπολιπόντες καὶ  
 πρὸς τὰ Ῥωμαίων ἦθη γενόμενοι,  
 καὶ τούτο μάλιστα γέγονε τῆς  
 τῶν Περσῶν πρὸς Ῥωμαίους  
 σπονδῶν καταλύσεως αἴτιον.  
 ἀπέστησαν δὲ παραυτίκα καὶ  
 Ἴβηρες καὶ προσεχώρησαν Ῥω-

მოგვითხრობს ის (ესე იგი თეო-  
 ფანე) იმასაც, თუ როგორ აწ-  
 ვალებდა სურენა არმენიელებს,  
 მეტადრე მათი კეთილმორწმუნეო-  
 ბისათვის, და რომ ისინი შეთანხმ-  
 დენ ერთმანეთში და მოკლეს სუ-  
 რენა მანუელის ძმის ვარდანის და  
 სხვა რომელიღაც ვარდის შემწეო-  
 ბით, და რომ არმენიელები ჩამო-  
 შორდენ სპარსელებს და რომაე-  
 ლებს მიემხრნენ, დასტოვეს ქალაქი  
 დვინი, სადაც ცხოვრობდენ, და  
 რომაელთა მიწაწყალზე გადავი-  
 დენ; ეს იყო მთავარი მიზეზი სპარ-  
 სელთა და რომაელთა შორის არსე-  
 ბული ზავის დარღვევისა. სპარსე-

მეცნიერმა რ. ჰენიგმა საკმაო საფუძვლიანობით დაამტკიცა, რომ სერინდა  
 უდრის სოგდიანას (R. H e n n i g, Die Einführung der Seidenraupen-  
 zucht ins Byzantinerreich: *Byz. Zeitschrift* 33[1933], 295 – 312).

<sup>1</sup>) ამ ელჩობის შესახებ დაწვრილებით აქვს მოთხრობილი მეცნიერის  
 (ფრგ. 18 – 22; იხ. ზემოთ გვ. გვ. 234 – 237).

μαίσις, Γοργόνιας ἀπὸν ἡγεμό-  
νεύοντος· ἴσθι δὲ τῶν Ἰβήρων

ლებს მაშინვე გადაუდგენ იბერე-  
ბიც და მიემხრნენ რომაელებს<sup>1</sup>: მათ

<sup>1</sup>) სომეხთა და ბერთა განდგომა სპარსეთისაგან მოხდა 572 წელს. სომეხთა განდგომის მიზეზად, ჩვეულებრივ, ასახელებენ სარწმუნოებრივ დევნას, რომელსაც თითქოს განიცდიდენ სომეხები სპარსელებისაგან, მარზპან სურენასაგან. მაგრამ წყაროები არ ადასტურებენ ამას. პირველ ყოვლისა უნდა მოვიგონოთ ის, რომ 562 წლის ხელშეკრულების საგანგებო დადგენილების ძალით სპარსეთში მცხოვრებ ქრისტიანებს უფლება მიეცათ დაუბრკოლებლივ შესრულებინათ მღვდელმსახურება (იხ. ზემოთ გვ. 217, შენიშვნა 2). იგივე სარწმუნოებრივი თავისუფლება მოპოვებული ჰქონდათ სომეხებს 484 წლის ხელშეკრულებით, რომელიც დადვა ვაჰან მამიკონიანმა მეფე ბალაშთან (იხ. ლაზარე ფარპელის გადმოცემა). გარდა ამისა, მის შემდეგ რაც 554 წლის დვინის კრებაზე სომეხებმა დაგმეს ქალკედონის დადგენილება და მონოფიზიტობა აღიარეს, მით ისინი ოპოზიციაში ჩაუდგნენ ბიზანტიელებს, და, მამასადამე, ხოსრო, რომელიც ისედაც ცნობილი იყო თავისი რელიგიური შემწყნარებლობით, ეცდებოდა სომხეთის სასულიერო წრეები გამოეყენებინა სომხეთის დიდგვარიანთა წინააღმდეგ. ეს ასეც მოხდა: ხოსრომ დაინათესავა კათალიკოზი ნერსესი და ეპისკოპოსებს გადასცა გადასახადთა აკრეფის საქმე, რომელიც მანამდე დიდგვარიან მემამულეთა ხელში იყო. სწორედ ამ გარემოებამ ააღელვა დიდგვარიანნი, მოაწყობინა შეთქმულება მარზპან სურენას მოსაკლავად და ააჯანყა ისინი სპარსეთის ძალაუფლების წინააღმდეგ. ანალოგიური ვითარება იყო იბერიაშიც და უკანასკნელიც მიეკედლა სომხეთს (b. E. S t e i n, Studien 21 – 25, 36 – 37).

რომ სარწმუნოებრივი დევნა არ იყო მთავარი მიზეზი სომეხთა განდგომისა, ამას ადასტურებენ ძველი ისტორიკოსების მიერ მოცემული ცნობები. ს ტ. ა ს ო ღ ი კ ი ასე აგვიწერს ამ ამბავს: «შემდეგ სპარსელთა მეფემ ხოსრომ სომხეთის მარზპანად დანიშნა ვინმე ნათესავი თვისი სურენი, რომელსაც ჭიპოვრ-ვშნასპი ეწოდებოდა. იგი მოვიდა და და ი ა ი კ ყ რ ო ჩ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა და ს ო მ ე ხ ნ ა ხ ა რ ა რ ე ბ ს ყ ვ ლ ე ფ დ ა. იგივე მრუშობდა აზატთა ცოლებთან... რის გამოც განრისხდა ბედში ვარდანი, ვასაკის ძე, რომელიც იყო მამიკონელთა გვარიდან, და ხელსაყრელ დროს მოკლა მარზპანი სურენი და ქვეყანა განაოხრა, ხოსროს მეფობის ორმოცდაერთ წელს, რომელიც იყო იუსტინეს მეფობის მეშვიდე წელი (572)...სომხეთის იშხანნი ყველანი აჯანყდენ სპარსელთა წინააღმდეგ და იონთა (ბერძენთა) მხარეზე გადავიდენ» (ს ტ ე ფ ა ნ ო ს ტ ა რ ო ნ ე ლ ი ა ს ო ღ ი კ ი, მსოფლიო ისტორია, მეორე გამ. ს.პ.ბ. 1885, გვ. 84 – 85; თარგმანი გადმოგვცა პროფ. ლ. მელიქსეთბეგმა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ). არც თეოფანე ბიზანტიელის ნაწყვეტი ამტკიცებს, ჩვენის აზრით, იმას, რომ სომეხთა აჯანყება მ ხ ო ლ ო დ სარწმუნოებრივი დევნით იყო გამოწვეული. იქ ნათქვამია: თეოფანე «მოგვითხრობს იმასაც, თუ როგორ აწვალე ბ და ს უ რ ე ნ ა არ მ ე ნ ი ე ლ ე ბ ს, მ ე ტ ა დ რ ე მ ა თ ი კ ე თ ი ლ მ ო რ წ მ უ ნ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს».

იგივეა მოთხრობილი არსენის წერილში «განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა». აქ ვკითხულობთ: «სპარსთა დაიპყრეს სომხითი და შეურაცხ იქმნა წესი საქრისტიანო და ეკლესიათა განგება აიჭოცა (!) და აზნაურთა ჳელმწიფება დაეცა სპარსთა მარზპანთაგან; და კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი განდრკეს სიმართლისაგან და კადნიერებად მოიდეს სპარსთაგან წინააღმდეგოდ

τότε ἡ Τίφλις μητρόπολις.

თა დედაქალაქი მაშინ ტიფილისი იყო <sup>1</sup>.

“Ὅτι Μαρκιανὸς ὁ τῆς Ἰουστι-  
νου τῶν βασιλέως ἐξάδελφος, τῆς  
ἐν χειροτονηθεῖς στρατηγός, εἰς  
τὸν πρὸς Χοσρόην πόλεμον ἐγδρόμ  
ἔτει τῆς Ἰουστίνου βασιλείας, ἐξα-  
πιστέλλεται. Ἰωάννης δὲ ὁ τῆς  
Ἀρμενίας στρατηγός καὶ Μιράνης ὁ  
τῶν Περσῶν, ὁ καὶ Βαραμαάνης,  
τὴν στρατείαν συνήθροισον. καὶ τοῖς  
μὲν Ἀρμενίοις συνεμάχουσι Κόλ-  
χοι, Ἀβασγοὶ καὶ Σαρῶης ὁ  
Ἀλανῶν βασιλεύς, τῇ δὲ Μιράνῃ  
Σάβιροι καὶ Δαγάνες καὶ τὸ Διλ-  
μαῖνον ἔμν.ς. πόλεμήσας δὲ ὁ  
Μαρκιανὸς τὸν Μιράνην περὶ  
τὴν Νισιβηνῶν πόλιν αὐτὸν μὲν  
ἐς φυγὴν ἔτρεψεν, ἀνείλε δὲ ἐν  
τῇ μάχῃ χιλίους, καὶ διακοσίους,  
καὶ ζῶντας ἐλήφθησαν ἑβδόμη-

მთავრობდა გორგენი, ხოლო იბერ-

ფრგ 4. იუსტინე მეფის ძმისწუ-  
ლი მარკიანე დაინიშნა აღმოსავ-  
ლეთის სტრატეგოსად და იუსტი-  
ნეს მეფობის მერვე წელს გაიგზავნა  
ხოსროს წინააღმდეგ საომრად. არ-  
მენიის სტრატეგოსმა იოანემ და  
სპარსელთა სარდალმა მირანმა, რო-  
მელსაც ბარამაანიც ეწოდებოდა,  
შეკრიბეს ჯარი. არმენიელების მხა-  
რეზე იბრძოდენ კოლხები, აბაზგე-  
ბი და ალანთა მეფე საროე <sup>2</sup>; ხოლო  
მირანის მხარეზე – საბირები, და-  
განები <sup>3</sup> და დილმანის ტომი <sup>4</sup>. მარ-  
კიანემ ბრძოლა გაუმართა მირანს  
ნიზიბინთა ქალაქთან და ის აოტა;  
ამ ბრძოლაში მან ათას ორასი კაცი  
მოკლა, სამოცდაათი ცოცხლად  
დაატყვევა; რომაელთაგან შვიდი  
კაცი დაიღუპა. მან ნიზიბინთა ზღუ-

აზნაურთა და ხარკსა სოფელთასა თვთ გარდაიკდიდეს, და  
ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მიანდვეს ქუეყანა, ვი-  
თარცა მორჩილთა მეფობისა სპარსთასა, და რომელთამე კათალიკოსთა და ეპის-  
კოპოსთა მეფენი სპარსთანი დაიშვილნეს და ძეობილად უწოდდეს კავადს, რომ-  
ლისათვისცა მსჯელობა მთავრობისა თვთ მიიტაცეს..... რომლისათვს ვერღარა დაი-  
თმინეს შეურაცხება იგი ფრიად ვარდან მამკუენმან, რომელსა ჩოქი  
ეწოდა, რომელ არს ურჩ, და ნათესავთა მისთა აზნაურთა სხუათა  
შერაცხილთა მოკლეს სურენ ვინმე მარზაპანი სპარსი»  
(თ. ქორდანია, ქრ. I, 326).

<sup>1</sup>) ეს პირველი შემთხვევა ტიფილისის მოხსენიებისა ბერძნულ მწერ-  
ლობაში (ამის შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, პირველი ბერძნული ცნობა  
ტიფილისის შესახებ: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV [1927], გვ. 283 – 284).

<sup>2</sup>) შდ. ზემოთ გვ. 236 და იქვე შენიშვნა.

<sup>3</sup>) ტომაშეკის აზრით (REIV, 1984) „დაგანები“ კავკასიის მთიელთა  
ერთ-ერთი ტომია. მათი სახელწოდება შეცვლილი სახით უნდა იყოს მოღწეულია:  
აქ საგულისხმებელია Λαγανες (შეცდომა წარმოსდგება პირველი ასოს აღრევისა-  
გან Δ – Λ), რაც უდრის სპარსულს Lagan (სტრაბონის Ληγα γ. ი. „ლაკები“).

<sup>4</sup>) „დილმანის [ტომი ანუ დოლომიტები||დილიმნიტები (იხ. გეორგიკა  
II, 159, შენიშვნა).

κοντα· Ῥωμαίων δὲ ἄνδρες ἀνηρε-  
 θήσαν ἑπτὰ. ἐπολιοῦρκει τε ἤδη  
 καὶ τὸ τῶν Νισιβηνῶν τεῖχος.  
 Χαιρῶς δὲ ταῦτα μαθὼν, τρι-  
 σαράκοντα μὲν χιλιάδας ἰππέων,  
 πεζῶν δὲ ὑπὲρ τὰς ἑκατὸν συ-  
 ναγείρας, ἠπέμπετο βοηθεῖν καὶ  
 πολεμεῖν Ῥωμαίους. ἐν τούτῳ δὲ  
 διαβάλλεται ὁ Μαρκιανὸς τῷ βα-  
 σιλεὶ ὡς ἑρῶν τυραννίδος, καὶ ὁ  
 βασιλεὺς πεισθεὶς αὐτὸν μὲν πα-  
 ρέλυσε τῆς ἀρχῆς, Θεόδωρον ἀν-  
 τικαταστήσας τὸν τοῦ Ἰουστινι-  
 ανοῦ παῖδα, Τζίζρον ἐπέκλην.  
 ἀταξίως δὲ διὰ ταῦτα συμβάσης,  
 τῆς τε πολιορκίας Ῥωμαῖοι ἀπέσ-  
 χοντο καὶ Χαιρῶς τὸ Δάρας πολιορκήσας παρεστήσατο.

დესაც ალყა შემოარტყა. ეს რომ  
 ხოსრომ გაიგო, შეკრიბა ორმოცი  
 ათასი ცხენოსანი, ასზე მეტი ქვეითა  
 ჯარი და გაემურა საშველად და  
 რომაელებთან შესაბრძოლებლად.  
 ამასობაში მარკიანე დააბეზღეს  
 მეფესთან, თითქოს მას ტირანობა  
 სწადდა; მეფემაც დაიჯერა ეს და  
 გადააყენა ის თანამდებობიდან, მის  
 ადგილას კი დააყენა თეოდორე,  
 იუსტინიანეს შვილი, რომელსაც  
 მეტსახელად ცირე ეწოდებოდა.  
 ამის გამო უწყსოება ჩამოვარდა,  
 რომაელებმაც ალყა მოხსნეს, და  
 ხოსრომ დარას ალყა შემოარტყა  
 და დაიპყრო.

## იოანე მალალა

იოანე მალალა (Ἰωάννης Μαλάλας ან Μαλέλας), ავტორი პირველი ჩვენამდე მოღწეული ბიზანტიური ქრონოგრაფისა, იყო სირიელი, ანტიოქიიდან. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება; მისი ნაშრომის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ცხოვრობდა ანასტასი I, იუსტინე I, იუსტინიანე I და იუსტინე II-ის დროს, ე. ი. 491 – 578 წლებში; ხოლო მისი მეტსახელი „მალალა“ (სირიული malal = μήλα) მიგვითითებს იმაზე, რომ იგი ვე-ქილი უნდა ყოფილიყო.

იოანეს საისტორიო თხზულება Χρονογραφία (როგორც მას იოანე დამასკელი უწოდებს) ან Χροική (როგორც მას კონსტანტინე პროფიროგენეტის ექსცერპტებში ეწოდება) წარმოადგენდა მსოფლიო ისტორიას „დასაბამითგან ქვეყნისა“ („ადამითგან“) ავტორის დრომდე. ამ სახეობის საისტორიო თხზულებები შემოვიდა ბიზანტიაში IV საუკუნიდან; ისინი იწერებოდა უმთავრესად საღმრთო წერილებისა და ადგილობრივი საქალაქო ქრონიკების საფუძველზე, და ძველი ტიპის საისტორიო თხზულებათაგან განირჩეოდნენ თავისი უაღრესად კლერიკალური ხასიათით. რამდენადაც ამ ქრონოგრაფების დანიშნულება იყო ფეოდალურ-კლერიკალური საზოგადოებისათვის მიეწოდებინათ მსოფლიო ისტორიის პროცესთა განვითარება იმ სახით, როგორც ეს ქრისტიანულ მსოფლმხედველობას შეეფერებოდა, და ქრისტიანული იდეები გაეფრცელებინათ ამ ახალი საზოგადოების ფართო მასებში, ამდენად ეს ჟანრი საისტორიო მწერლობისა ცდილობდა მარტივი ენით ელაპარაკა მკითხველთან, და ძველს ლიტერატურაში დამკვიდრებული ატიციისტური ფორმების მაგიერ შემოჰქონდა სალაპარაკო ენის ფორმები.

იოანე მალალას „ქრონოგრაფი“ შესდგება 18 წიგნისაგან. პირველ 17 წიგნში მოთხრობილი ამბების ცენტრშია ანტიოქია, ხოლო მე-18-ე წიგნის შუიდან – კონსტანტინოპოლი; ეს აძლევს ზოგიერთ მეცნიერს საბუთს დაასკვნას, რომ ბოლო ნაწილი სხვა ავტორს ეკუთვნის, ჰ. გ. ე. ც. ე. რ. ი (თავის გამოცემაში Sextus Lulius Africanus) იმითაც ასაბუთებს აქორი სხვადასხვა ავტორი არისო, რომ პირველ 17 წიგნში ავტორი მონოფიზიტია, ხოლო მე-18-ეში ორ-

თოდოქსი. ი. ჰაუერი (*Byz. Zeitschr.* 9, 337 – 356) ამ განსხვავებას ხსნის იმით, რომ „ქრონოგრაფის“ ავტორი იოანე მალალა – მისი აზრით – არის კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე II ანტიოქელი (565 – 577 წლებში), რომელიც ჯერ ანტიოქიაში ცხოვრობდა, მერე გადასახლდა კონსტანტინოპოლში, მეგობრულ ურთიერთობაში იყო იუსტინე II-სთან და შუამავლის როლს ასრულებდა მონოფიზიტურსა და ორთოდოქსულ პარტიებს შუა.

„ქრონოგრაფი“ სრულად არ არის მოღწეული. მას აკლია პირველი წიგნი და ბოლო ნაწილი, მოთხრობა მოტანილია 563 წლამდე; მაგრამ ფიქრობენ, რომ ის 574 წლამდე უნდა ყოფილიყო მოტანილი.

„ქრონოგრაფი“ მოღწეულია ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერით XI საუკუნის Codex Oxoniensis Baroccianus Graecus 182. პირველი გამოცემაა ოქსფორდისა, 1691 წლისა, დამზადებული Edmund Chilmead-ის მიერ. შემდგომი გამოცემები (ვენეციისა 1733 წ. და ბონისა 1831 წ.) პირველის განმეორებას წარმოადგენენ და იმეორებენ მის ყველა შეცდომებს, რომელთა შორის ყველაზე საბედისწერო ის იყო, რომ გამომცემლებმა უგულებელყვეს იოანე მალალას მიერ ნახმარი ფორმები სალაპარაკო ენისა და შესცვალეს ისინი ლიტერატურული ატიციტური ფორმებით. ხელნაწერის ახალი კოლაცია ჩაატარა J. B. Bury, Iohannes Malalas: the text of the codex Baroccianus (*Byz. Zeitschr.* 6 [1897], 219 – 230).

მალალას „ქრონოგრაფი“ ფართოდ იყო საზოგადოებაში გავრცელებული და მერმინდელი მწერლები უხვად სარგებლობდნენ იმით. ჯერ კიდევ VI საუკუნის ბოლო წლებში ის გამოიყენეს იოანე ეფესელმა და ევავრი სქოლასტიკოსმა. VIII საუკ. დასაწყისში ეს „ქრონოგრაფი“ უფრო სრული სახით, ვიდრე ჩვენ გვაქვს, ჰქონია Chonicon Paschale-ს ავტორს, რომელიც ბევრგან სიტყვა-სიტყვით იმეორებს იოანე მალალას (შდ., მაგალითად, ქვემოთ თავი XVII. ჩვენი გამოცემის გვ. 263); უხვად სარგებლობენ მალალას ქრონოგრაფით აგრეთვე იოანე დამასკელი, თეოფანე, გიორგი ამარტოლი, კედრენე და სხვები. დიდი იყო „ქრონოგრაფის“ მნიშვნელობა სლავური ქვეყნებისათვის: „ქრონოგრაფი“ იქმნა გადათარგმნილი სლავურად IX – X საუკ. (В. Ист-р и н, Хроника М. в слав. Перевод: Сб. Отд. яз. и л. АН СПб 1912, 1913: С. Шестakov, О значении слав. перев. хроники М.: *Виз. Вр.* I, 503 შდდ.); ჩვენამდე მოღწეულია XIII ს. ნაწყვეტები («უფრო დაწვრილებით მალალას შესახებ იხ. Wolf: *RE* IX, 1795 შდდ.)»

ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტების დამზადების დროს ხელთ გვქონდა შემდეგი გამოცემები:

D i n d o r f i u s Ludovicus, Ioannis Malalae Chronographia. Bonnae 1831 (C B – ბონის კორპუსი).

D e B o o r Carolus, Excerpta de insidiis (Excerpta Historica iussu imp. Constantini Porphyrogeniti confecta). Berolint 1905.

A l e x a n d e r S c h e n k , Die romische Kaisergeschichte bei Malaias. Griechischer Text der Bücher IX – X I I und Untersuchungen. Stuttgart 1931.

### პონტოს პროვინცია ჭანიკე.

Ἐπὶ δὲ τῆς βασιλείας τοῦ αὐτοῦ Τακίτου ἐγένετο πόλεμος ἐν τῇ Ποντικῇ καὶ κατήλθεν ὁ αὐτὸς βασιλεὺς πλεῖσιν, καὶ ἐσφάγη ἐν Ζιαννικῇ<sup>2</sup> τῆς Πόντου, ὡν ἐνιαυτῶν οὗ<sup>1</sup> (CB 301, 14—17).

XII. იმავე ტაკიტეს მეფობის დროს მოხდა ომი პონტოში და თვით მეფე გაემართა იქ საომრად, და ის მოკლულ იქმნა პონტოს ერთ ქვეყანაში ჭანიკეში; ის იყო 75 წლისა<sup>1</sup>.

### ჭანები.

Ἐπὶ δὲ τῆς αὐτοῦ βασιλείας οἱ Τζάννοι περάσαντες ἤλθον εἰς τὴν Καππαδοκίαν καὶ Συρίαν, καὶ ἐπραΐδευσαν καὶ ἀπήλθον<sup>3</sup>.

XIII. თეოდოსის მეფობის დროს<sup>4</sup> ჭანები შეიჭრნენ კაპადოკიაში, კილიკიაში და სირიაში; მოარბიეს იქაურობა და უკან გაბრუნდნენ (CB 347).

<sup>1</sup>) კეისარი Marcus Claudius Tscitus მეფობდა სულ რამდენიმე თვეს, 275 – 276 წ. ის ღრმა მოხუცებული იყო, დაახლ. 75 წლისა, რომ ავრელიანეს მოკვლის შემდეგ სენატმა და ჯარმა კეისრად გამოაცხადეს. მის დროს, 276 წლის დასაწყისში, გუთები, რომლებიც ავრელიანეს მიერ მოხმობილ იქნენ სპარსელთა წინააღმდეგ საომრად, აზოვის ზღვის სანაპიროებიდან გამოემართნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებით და შეიჭრნენ მცირე აზიაში; იმათ მიაღწიეს კილიკიამდე და აქ დამარცხებულ იქმნენ ტაკიტეს მიერ. ამ ბრძოლის შემდეგ ტიკიტე რომში გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მოკლულ იქმნა ერთი რომაელი ჯარისკაცის მიერ. იმის შესახებ, თუ სად იქმნა ის მოკლული, არსებობს სხვადასხვა ვერსია. მეტი წილი ძველი წყაროებისა ამ ადგილად ივლის თარშეთს (Tarsus), მა ლ ა ლ ა ს მოწმობით კი ის მოკლულ იქმნა ჭ ა ნ ე თ შ ი (მალალასგან დამოკიდებული ქრონოგრაფოსები – Chronicon Paschale-ს ავტორი, კედრენე – სრულიად არაფერს ამბობენ ამის შესახებ); მაგრამ მალალას ცნობას იმეორებს მ ო ს ე ხ ო რ ე ნ ე ლ ი, რომელიც II, 76 სწერს: ტაკიტე მოკლულ იქმნა თავისიანების ხელით პონტოს პროვინციაში ჭ ა ნ ი უ კ შ ი, ესე იტი ხალტიქ-შიო (...*αυτῶν* *καὶ* *ἀπῆλθον*).<sup>2</sup>) Al. Schenk 69: Τζαννικῶν. – <sup>3</sup>) გამოცემებში ἀπῆλθον.

<sup>4</sup>) დედანში სწერია «მ ი ს მეფობაში»; ამის წინ მოთხრობილია სწორედ თეოდოსი I-ის (379 – 395) მეფობის ამბებზე. პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ც მ ო -



კასპიის კარები <sup>1</sup>.

Ἐν δὲ τοῖς χρόνοις τοῦ αὐτοῦ Ἀναστασίου βασιλέως οἱ Ὀννοὶ Σάβειροι περᾶσαντες τὰς Κασπίας πύλας, ἕθνος πολεμικώτατον, ἤλθον ἕως Καππαδοκίας, καὶ πραιδεύσαντες αὐτὴν καὶ ὄσα παρῆλθον χώρας Ῥωμαίων, καὶ ἐφόνευσαν πολλοὺς καὶ ἔκαυσαν τὰ κτήματα καὶ λαβόντες αἰχμαλωσίαν πολλὴν ἀνεχώρησαν. ἤλθον δὲ οἱ ἀπὸ τῆς αἰχμαλωσίας, πραιδευθέντες, καὶ πολλὰ παρέσχεν ὁ βασιλεὺς τοῖς πραιδευθεῖσιν ἐκάστης πόλεως. ἔκτισε δὲ καὶ τείχη ταῖς μεγάλας κώμαις Καππαδοκίας καὶ ἰσφαλισατο τὰς δύο Καππαδοκίας· καὶ συνεχώρησε πάσαις ταῖς πραιδευθεῖσαις

XVI. ამავე ანასტასი მეფის დროს საბირის ჰუნებმა – საუკეთესოდ მებრძოლი ტომია – გადმოლახეს კასპიის კარები მოვიდენ კაპადოკიამდე, მთარბიეს იგი და რომაელთა ყველა ის ქვეყნები, რომლებიც გამოიარეს, ბევრი გაჟლიტეს, გადასწვეს მამულები, დიდძალი ნატყვენავი წაასხეს და გაბრუნდენ, ამ დარბევისაგან დაზარალებულნი მოვიდენ მეფესთან და ამან დიდი დახმარება აღმოუჩინა ყველა დარბეულ ქალაქს. აგრეთვე კაპადოკიის დიდ სოფლებს კედლები აუგო და ამგვარად ორივე კაპადოკია გაამაგრა, გარდა ამისა დარბეული ეპარქიები სამი წლით განათავისუფლა გადასახადებისაგან

ლაზთა მეფე წათი.

Ἐπὶ δὲ τῆς αὐτοῦ βασιλείας Ζηθάμιος ὁ τῶν Λαζῶν βασιλεὺς μνησιάζας καὶ ἀναχωρήσας ἀπὸ τῶν Περσικῶν μερῶν βασιλεύοντος Περσῶν Κωάδου καὶ φίλου ὄντος τοῦ Ζηθάμιου, βασιλέως Λαζῶν, ὃς ἀπαξ ὑποκειμένον τῇ βασιλείᾳ τοῦ αὐτοῦ Κωάδου· διὸ καὶ εἰ συνέβη τινὰ τελευτῆσαι τῶν βασιλέων Λαζῶν, ὑπὸ τοῦ Περσῶν βασιλέως προεχειρίζετο καὶ ἐστέφετο, ἐκ τοῦ γένους μέντοι τῶν αὐτῶν Λαζῶν· ὁ δὲ αὐτὸς βασιλεὺς Λαζῶν φυγὼν τὸ τῶν Ἑλλή-

XVII. იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც თვით წათის, ლაზთა მეფის, მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო; ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე (წათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე,

გვითხრობს იმის შესახებ, რომ ჭანები იჭრებოდენ ბიზანტიის საზღვრებში და არბევდენ იქაურობას. ( BP I, 15; გეორგიკა II, 26). – <sup>1</sup>) შდ. ქვემოთ გვ. 270.

νων δόγμα διὰ τὸ μὴ προχειρισθέντα αὐτὸν ἀπὸ Κωνσταντίνου, βασιλέως Περσῶν, ποιῆσαι καὶ θυσίας καὶ πάντα τὰ ἥθη τὰ Περσικά, ἢ μόνον ἐτελεύτησεν ὁ αὐτοῦ πατήρ Δαμιάνος<sup>1</sup>, εὐθέως ἀνήλθε πρὸς τὸν βασιλέα Ἰουστινόν ἐν τῇ Βυζαντίῳ, καὶ αὐτὸν ἐκδοῦς παρεκάλεσεν αὐτὸν ἀναγορευθῆναι βασιλέα Λαῶν<sup>2</sup>. καὶ δεχθεὶς παρὰ τοῦ βασιλέως ἐφώτισθη, καὶ χριστιανὸς γενόμενος ἡγάγετο γυναῖκα Ῥωμαίαν, τὴν ἐκγόνην Νόμου τοῦ πατριῆος, ὀνόματι Οὐαλεριανῆν. καὶ ἔλαβεν αὐτὴν μετ' ἑαυτοῦ εἰς τὴν ἰδίαν αὐτοῦ χώραν, στεφθεῖς<sup>3</sup> παρὰ Ἰουστίνου, βασιλέως Ῥωμαίων, καὶ φορέσας στεφάνιν<sup>4</sup> Ῥωμαϊκὸν βασιλικὸν καὶ χλαμύδα ἄσπρον ὀλοσῆρικον, ἔχον ἀντὶ πορφυροῦ ταβλίου χρυσοῦν βασιλικὸν ταβλίον, ἐν ᾧ ὑπῆρχεν ἐν μέσῳ στήθῳ ἀργυρῖον ἀληθινόν, ἔχοντα τὸν χαρακτῆρα τοῦ αὐτοῦ βασιλέως Ἰουστίνου, καὶ στιχάριν<sup>5</sup> δὲ ἄσπρον παραγαυδίν<sup>5</sup>, καὶ αὐτὸ ἔχον χρυσᾶ πλυσία βασιλικά, ὡσαύτως ἔχοντα τὸν χαρακτῆρα τοῦ

რადგან ეშინოდა ვაი თუ სპარსელთა მეფემ კონსტანტინე მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლებსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა. ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა; გაქრისტიანებულმა წათიმ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი, სახელად ვალერიანე. მან თან წაიყვანა ის და წავიდა საკუთარ ქვეყანაში, დაგვირგვინებული რომაელთა მეფის იუსტინეს მიერ; მას ემოსა რომაული სამეფო გვირგვინი და თეთრი წმინდა აბრეშუმის ქლამიდი, რომელსაც მოწეული ზოლის ნაცვლად ჰქონდა ოქროს სამეფო ზოლი, სადაც შუაში სურათი იყო თვით იუსტინე მეფის გამოხატულებით; აგრეთვე თეთრი სტიქარი – პარაგავდი, ამასაც ჰქონდა სამეფო ოქრომკვედები, იმნაირადვე თვით მეფის გამოხატულებით; წაღები, რომელთაც ატარებდა, თავისი საკუთარი ქვეყნიდან ჩამოეტანა და

<sup>1</sup>) წათეს მამის სახელი Chr. Pasch.-ს მიხედვით არის Ζαμναჯი (v. I. Εαμναჯης).

<sup>2</sup>) აქ Chr. Pasch. (613, 7 – 8) უმატებს γινομενον χριστιανον, ხოლო თეოფანე (168, 18) γενεσθαι αυτον χριστιανον. ამ დამატებას ადასტურებს მალალას სლავური თარგმანი (III е с т а к о в о. с. 551).

<sup>3</sup>) Chr. Pasch. (613, 18): προ, ειριθεις και στεφθεις: თეოფანე (168,22): προχειρισθεις; სლავური თარგმანი: поставлен и венчан (III е с т а к о в 551).

<sup>4</sup>) ასე სწერია ოქსფორდის ხელნაწერში (B u r y: Byz. Zeitschr. 6, 229), ხოლო გამომცემლებს შეუცვლიათ ლიტერატურული ფორმით სტეფანიონ.

<sup>5</sup>) გამომცემლები: στιχარიონ და παραγαუდიონ.

αὐτοῖς βασιλεύω· τὰ γὰρ ζταγγία<sup>1</sup>,  
 ἃ ἐφόρει, ἦν ἀγαγὼν ἀπὸ τῆς  
 Ἰδίας αὐτοῖς χώρας, ἔχοντα μαρ-  
 γασίτας Περσικῶν σχήματι· ὁμοίως  
 δὲ καὶ ἡ ζώνη αὐτοῖς σπῆρχε διὰ  
 μαργαριτῶν. καὶ ἄλλα δὲ ἐλάβε  
 δῶρα πολλὰ παρὰ τοῖς αὐτοῖς βα-

მარგალიტებით იყო შემკული სპარ-  
 სულ ყაიდაზე. ამგვარადვე მისი  
 სარტყელიც მარგალიტებით იყო  
 შემკული. ბევრი სხვა საჩუქარიც  
 მიიღო იუსტინე მეფისაგან თვით  
 წათიმაც და ვალერიანემაც, მისმა  
 მეუღლემ.

1) ხელნაწერში ζταγγία ( B u r y 229) Chr. Pasch (614,5 – 6) ζταγγία ρου-  
 σια („წითელი“), თეოფანე (168,26 – 27) ζταγγία ρουσια სლავერი თარგმანი: са-  
 нози же его беша ω своя ему страны ч е р в е н и (Ш е с т а к о в 551).

საგულისხმოა თვით სიტყვა ζταγγία. ეს სიტყვა პირველად იოანე მალალას  
 აქვს ნახმარი და, როგორც ჩანს, ის ხალხურ სალაპარაკო ენიდან არის მოტანი-  
 ლი. მის შესატყვის ლიტერატურულ სიტყვად გვევლინება πεδία, რომელიც  
 აგ ა თ ი ა ს აქვს ნახმარი ლაზთა მეფის ტანისამოსსა და სამკაულის ანალოგიურ  
 აღწერილობაში (იხ. ზემოთ გვ. 84). ჩვენის აზრით, ζταγγία (მხ. რ. ζταγγιον) იგი-  
 ვეა, რაც ქართული „წადები“ („წადა“) ე. ი. ბერძნულ სალაპარაკო ენას ის ნა-  
 სესხი აქვს: მის ნასესხობას ამტკიცებს, სხვათა შორის, ამ სიტყვის პირალელოური ასო  
 Τζ, რომელიც საშუალო ბერძნულში უცხო ენათა ზოგიერთი აფრიკატების გა-  
 მოსახატავად იხმარებოდა (შდ. ჩვენი გეორგიკა II 99, შენიშვნა). ხოლო მის  
 ხალხურობას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ატიცისტური ენის საფუძველზე  
 მდგომი სალიტერატურო ენა მას არ ხმარობდა (ამ ცნების გამოსახატავად სალი-  
 ტერატურო ბერძნული ხმარობდა წმინდა ბერძნულ სიტყვებს *χιποδημα* ან *πε-  
 διον*); იგი შემოიტანეს სალიტერატურო ენაში ქრონოგრაფოსებმა, რომლებიც,  
 საზოგადოდ, ხალხური ენის ფორმებს ემყარებოდენ; იოანე მალალას შემდეგ ამ სი-  
 ტყვას ხმარობენ სხვა ქრონოგრაფოსებიც: მაგ, Chr. Paschale-ს ავტორი (გვ.  
 614,5) და თეოფანე (გვ. 168,26). შემდეგ: γ-ს წინ ნაზალის გაჩენა (ζτα-γ-για || ζτα-  
 γ-για) გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მარტივი γ გუტურალად ვერ დარჩე-  
 ბოდა ι-ს წინ, ის გაპალატალდებოდა (შეადარე ამ ნიადაგზე ‘Αγια Σοφια-დან მი-  
 ლებულია „აია სოფია“).

ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები ζταγγαρειον („წადების სახელოსნო“, „სა-  
 წადე“), რომელიც აგრეთვე ქრონოგრაფებში იხმარება პირველად (მაგ. თეოფანე  
 182,4).

ორივე სიტყვა ζταγγιον (ζταγγα) და ζταγγαρειον შემდეგ უკან დაბრუნების  
 ქართველურ ენებს. პირველი მათგანი იხმარება ჭანურ ენაში ფორმით „წ ა ნ გ ი“  
 (H. M a r p, Gr. Чанского яз. 218; წ ა ნ გ ი – женская обувь из желтой кожи,  
 с наголенником), ხოლო მეორე „ს ა წ ა ნ გ რ ო“-ს ფორმით შემონახულია იოანე  
 და ექვთიმე მთაწმინდელების ბიოგრაფიაში, სახელდობრ, იკონომოსის კომპეტენციის  
 შესახებ იქ ნათქვამია: «ხოლო საპარიკონომოსო და ს ა წ ა ნ გ რ ო და საჯორჭ  
 და სამჭედლოა.... ესე იკონომოსისა გასაგებელნი იყვნეს» (იხ. ათონის კრებულის  
 გამოცემა, ტფ. 1901, გვ. 50).

ζταγγιον-ის ეტიმოლოგია განუხილავს G. Meyer-ს *Zeitschr. Für roman. Phil.*  
 15 (1892) 527, რომელსაც ეს სიტყვა საერთო-რომანული Zanca-საგან გამოუყვა-

Kaί γινούσ τούτο Κωάδης ὁ βασιλεύς Περσῶν ἐδήλωσε τῷ βασιλεὶ Ἰουστίνῳ διὰ πρεσβευτοῦ ταῦτα, ὅτι φιλίας καὶ εἰρήνης ἀναμεταξὺ ἡμῶν λαλοῦμένης καὶ γενόμενης τὰ ἐχθρῶν πράττεις. Ἰδοὺ γὰρ τὸν ὑποκείμενόν μοι βασιλέα Λαζῶν αὐτὸς προεχειρίσω, μὴ ὄντα ὑπὸ τὴν Ῥωμαίων διοίκησιν, ἀλλ' ὑπὸ τὴν Περσῶν πολιτείαν ἐξ αἰῶνος. καὶ πρὸς ταῦτα ἀντεδήλωσεν ὁ βασιλεύς Ῥωμαίων Ἰουστίνος διὰ πρεσβευτοῦ, Ἠμεῖς τινα τῶν ὑποκειμένων τῇ ἡμετέρᾳ βασιλείᾳ οὔτε πρὸς ἐλαβόμεθα οὔτε προετραπέψαμεθα, ἀλλ' ἐλθόντων πρὸς ἡμᾶς τις ὀνόματι Ζτάθιος εἰς τὰ ἡμέτερα βασιλεία ἐδεήθη προσπίπτων ἡμῖν ἔρυσθαι τοῦ Ἑλληνικοῦ δόγματος καὶ χριστιανῶν ἀσεβῶν καὶ δαιμόνων πλάνης καὶ γενέσθαι χριστιανός, ἀξιούμενος τῆς θανάσεως τοῦ αἰώνιου φέου καὶ θεμιουργοῦ

ეს რომ გაიგო სპარსელთა მეფემ კოადმა, ელჩის პირით შეუთვალა იუსტინე მეფეს შემდეგი: „მიუხედავად იმისა რომ ჩვენ შორის მეგობრობაა დადებული და ზავია შეკრული, შენ მაინც მტრულად იქცევი. აი, მაგალითად, ჩემი ქვეშევრდომი მეფე ლაზებისა შენ აკურთხე, თუმცა ის რომაელთა ხელქვეითი კი არ ყოფილა, არამედ იმთავითვე სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ იყო“. ამაზე რომაელთა მეფემ იუსტინემ შემდეგი შეუთვალა ელჩის პირით: „ჩვენ შენი სახელმწიფოს ქვეშევრდომი არც არავინ მიგვიღია და არც გადმოგვიბირებია; ჩვენთან, ჩვენს სამეფოში, მოვიდა ერთი კაცი, სახელად წათი, და მუდართით მოგვმართა ჩვენ გვეხსნა იგი წარმართული<sup>1</sup> სარწმუნოებისაგან, უწმინდური მსხვერპლებისაგან და ეშმაკთა ცდუნებისაგან და გაგვექრისტიანებინა, რათა ის ზიარებულყო საუკუნო ღმერთისა და ყო-

ნია. ჩვენ ამ სტატიას ვერ გავეცანით (აღნიშნული ჟურნალი ტვილისის ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება), მხოლოდ P s a l t e s-ის (Grammatik der byzantinischen Chronisten, 272) მითითება გვაქვს, რომ მ ა ი ე რ ი das Wort (ζταγγιον) auf das gemeinromanische z a n c a Bein, Fuss zurückführt.

Zanca იტალიურად, ნიშნავს საზოგადოდ „ფეხს“, ესპანურად „ფრინველის ფეხს“, ხოლო ჩვენის აზრით ძნელი საფიქრებელია, რომ VI საუკუნის ბიზანტიურ ძეგლში, ისიც აღმოსავლეთის პროვინციაში, სირიაში, წარმოშობილში, შეგვხედეს საერთო-რომანულიდან (და არა ლათინურიდან) მომდინარე რომელიმე სიტყვა. გ. მაიერის აღნიშნულ სტატიაზე დაწერილ რეცენზიაში კ. კ რ უ მ ბ ა ხ ე რ ი ხაზს იმ გარემოებას უსვამს, რომ თვით რომანულ ენებში ის მიმდინარეობს ლათინურიდან (Scriptores Hist. Aug.-ში გვხვდება zancae parthicae), ხოლო აქ კი შემოსულია სპარსულიდან, სირიულის გზითო (*Byz. Zeitschr.* 2 [1893], 170 – 171).

<sup>1</sup>) აქაც და ზემოთაც „დედანში სწერია «ე ლ ი ნ თ ა სარწმუნოება», რაც ქრონოგრაფოსთა ენაზე ნიშნავს «წ ა რ მ ა რ თ უ ლ სარწმუნოებას». საერთოდ, ბიზანტიურ პერიოდში ბერძნები თავიანთ თავს უკვე აღარ ეძახიან „ელინებს“; მათი სახელია Ῥωμαιοι, ხოლო „ელინი“ იხმარება „წარმართის“ აღსანიშნავად.

τῶν ἀπάντων. καὶ κωλύσαι τὸν  
βουλόμενον εἰς βελτίονα τάξιν  
ἐλθεῖν καὶ γινῶναι θεὸν ἀληθινὸν  
οὐκ ἐνεδέχετο<sup>1</sup> ὥστε χριστιανὸν  
αὐτὸν γενόμενον καὶ ἀξιοθέητα  
τῶν ἐπουρανίων μυστηρίων  
εἰς τὴν ἰδίαν ἀπελίσσαμεν χώραν.  
καὶ ἐγένετο ἐκ τούτου ἔχθρα  
μεταξὺ Ῥωμαίων καὶ Περσῶν  
(CB 412—414).

Ἐν δὲ τῇ αὐτῇ χρόνῳ ὁ Πέρ-  
σης ἐπολέμησε τῷ Λαζῶν βασι-  
λεῖ Ζταθῖν, ὡς προσρρέντι Ῥω-  
μαίοις. ὁ δὲ Λαζῶν βασιλεὺς  
πέμψας ἐδέχθη τὸν βασιλέως  
Ῥωμαίων, αἰτῶν βεῖθειαν παρ'  
αὐτοῦ λαβεῖν· καὶ πέμψας αὐτῷ  
ὁ βασιλεὺς Ἰουστινιανὸς στρατη-  
λάτας τρεῖς, Γιλδέριχ<sup>3</sup> καὶ Κήρυ-  
κον καὶ Εἰρηναῖον, μετὰ πολλῆς  
βοηθείας Ῥωμαϊκῆς, καὶ συγκρού-  
σαντες πόλεμον, ἐπέσον ἐξ ἀμφο-  
τέρων πολλοί. καὶ ἀκούσας ὁ βα-  
σιλεὺς Ῥωμαίων ἠγανάκτησε  
κατὰ τῶν στρατηλατῶν, ὅτι φθό-  
νῳ φερόμενοι πρὸς ἑαυτοὺς οἱ  
στρατηλάται Ῥωμαίων προδεδώ-  
κασιν ἀλλήλους, καὶ ἀγανακτήσας

ველთა დამზადებლის წყალობას. და  
ჩვენ არ შეგვეფერებოდა ხელი შე-  
გვეშალა ადამიანისათვის, რომელ-  
საც სურდა ცხოვრების უკეთეს წე-  
სებს დასდგომოდა და ჭეშმარიტი  
ღმერთი შეეცნო, ასე რომ იგი გა-  
ვაქრისტიანეთ და, ზეცის საიდუმ-  
ლოებებს ზიარებული, მის საკუთარ  
ქვეყანაში გავისტუმრეთ“. აი, აქი-  
დან დაიწყო მტრობა რომაელებსა  
და სპარსელებს შორის.

XVII. ამ დროს<sup>2</sup> სპარსელთა  
მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს  
წათის იმის გამო, რომ თუკანასკნე-  
ლი რომაელთა მხარეზე გადავიდა.  
ლაზთა მეფემ ელჩები გაუგზავნა რო-  
მაელთა მეფეს და სთხოვდა მას  
დახმარება აღმოეჩინა; იუსტინიანე  
მეფემაც გაუგზავნა მას სამი სტრა-  
ტილატი, გილდერიხი, კერიკე და  
ირინეოსი, დიდძალი რომაული ჯა-  
რით; ამათაც გაუმართეს სპარსელებს  
ბრძოლა: ორივე მხრით ბევრი დაი-  
ღუპა. ეს რომ რომაელთა მეფემ  
გაიგო, გაჯავრდა სტრატულატებზე  
იმის გამო, რომ ერთმანეთისადმი  
შურის გამო რომაელმა სტრაცი-  
ლატებმა ერთი-მეორე გასცეს, და,  
ამათზე რომ გაწყრა მეფე, გადაა-

<sup>1</sup>) აქ მალალას ტექსტში სწერია ημεις προτρεπομεθα („ჩვენ გადმოვიბი-  
რეთ“), რაც სრულს უაზრობას წარმოადგენს; აშკარაა, მალალას ტექსტი აქ შერ-  
ყვნილი უნდა იყოს, უმჯობესია ის ვარიანტი οὐκ ἐνεδέχετο („შეუფერებელი იყო“,  
რომელსაც იძლევა Chr. Paschale, p. 615, I.

<sup>2</sup>) ეს ეხება იუსტინიანეს მეფობის ხანას. საერთოდ, XVIII წიგნი იუსტი-  
ნიანეს მეფობას ეხება.

<sup>3</sup>) ამ ადგილას სლავურ თარგმანში (Ш е с т а к о в 552) სწერია: и стра-  
тилаты г в е л и з а р и я и кирики и иринея. ასევე გილდერიხის მაგიერ ველი-  
ზარია მოხსენებული Chr. Pasch. 616,5 Theophanes 174,21 და Cedrenus (Bo-  
nae) I 643,5 (ამასვე ირინეოსის მაგიერ აქვს Πητρον).

ὁ βασιλεὺς κατ' αὐτῶν διεδέξατο αὐτὸν· καὶ κατελθόντος Πέτρου στρατηλάτου καὶ ἀποκινήσαντος αὐτοῦς τῆς ἐξουχίας καὶ λαβόντος τὰ ἐξέδαιτα παρ' αὐτῶν ἀνεχώρησεν ἐκεῖθεν. (CB 427).

ყენა ისინი; იქ ჩავიდა პეტრე სტრატოლატი, ჩამოართვა მათ ძალა-უფლება, ჩაიბარა მათგან ჯარები და გამობრუნდა იქიდან.

### იბერთა მეფე ძამანაძი.

Ἐν δὲ τοῖς χρόνοις τούτοις, ὡς προεῖπον, ἐβασίλευσεν ὁ θειότατος Ἰουστινιανός, τῶν δὲ Περσῶν βασιλεὺς Κωάδης ὁ Δαράσθηνος, ὁ υἱὸς Περὸζου, ἐν δὲ Ῥώμῃ Ἀλλάρχοις, ἐκγονὸς τοῦ Οὐαλεμεριακῶ, τῆς δὲ Ἀφρικῆς ῥήξ Γιλδέრიχ ὁ ἐκγονὸς Γινჯირίχου, τῶν δὲ Ἰνδῶν Ἀδξουმიτῶν ἐβασίλευσεν Ἄνδασ ὁ γεγονὸς χριστιανός, τῶν δὲ Ἰβήρων Ζαμανაζός<sup>1</sup>. (CB 429,10—15).

ამ ხანებში, როგორც ზემოთ ვთქვი, მეფობდა ღმრთეებრი იუსტინიანე, ხოლო სპარსელთა მეფე იყო კოადი დარასთენი, ძე პეროზისა, რომში კი ალარიხი, ვალემერიაკეს შთამომავალი; აფრიკის მეფე იყო გილდერიხი, გინჯირიხის შთამომავალი, ავქსუმიტ-ინდების მეფე კი იყო ანდასი, რომელიც ქრისტიანი იყო, ხოლო იბერებისა – ზამანაზი<sup>1</sup>.

### სპარსელთა ლაშქრობა ლაზიკესა და პერსარმენიაში.

Ἐν αὐτῶν δὲ τῶν χρόνων ἀπηγγέλθη Ἰουστινιανῶ τῶν βασιλεῖν ἓτι συμβολῆς γενομένης μεταξὺ Περσῶν καὶ Ῥωμαίων, ἐπὶ τὴν Μεσοποταμίαν ἐπιβρισάντων τῶν Περσῶν μετὰ χιλιάδων λ', καὶ Ξέρξου τοῦ υἱοῦ τοῦ βασιλέως Κωάδου· ἔ γάρ Περὸζης ὁ μείζων υἱὸς αὐτοῦ ἐπὶ τὴν Ἀσσυρίαν καὶ τὴν Περσαρμενίαν ἐπολέμει

ამ დროს იუსტინიანე მეფეს შეატყობინეს იმ შეტაკების შესახებ, რომელიც მოხდა სპარსელებსა და რომაელებს შორის, სახელდობრ, რომ სპარსელები შეესივნენ მესოპოტამიას ოცდაათი ათასი ჯარით კოად მეფის ძის ქსერქსეს მეთაურობით; ხოლო კოადის უფროსი ძე პეროზი იბრძოდა დიდძალი ჯარით ლაზიკისა და პერსარმენიის წი-

<sup>1</sup>) ასეა ხელნაწერებში (Bury 229) გამომცემლები სწერენ Ζαμανაζოს. თეოფანე (216,7) Ζαμανარჯოს კედრენე (I 650,17). Ζაβანარჯოს: აქ ყველგან ეს პიროვნება მოხსენიებულია იბერიის მეფე მერვე წელს იუსტინეს მეფობისას (535 წ.), იმ დროს როდესაც სხვა წყაროებით 523 წლიდან იბერიაში მეფობა მოსპობილია (მდ. J. Marquart, Streifzüge 432).

μετὰ βοήθειας πολλῆς· ὁ γὰρ πατήρ αὐτῶν Κωάδης ἐν αὐτῇ τῇ καιρῷ οὐκ ἤλθεν ἐπὶ τὰ Ῥωμαϊκά (CB 441,13—19).

წინააღმდეგ. მათი მამა კოადი იმ დროს რომაელთა ქვეყანაში არ შეჭრილა.

**ფარანგიონის ოქროს მადნები.**

Καὶ ἐκπεμφθεὶς ὑπὸ Ῥωμαίων πάλιν Ῥουφίνος, δευτέρας ἀπακρίσεως καταπεμφθείσης ἐν τοῖς Περσικοῖς μέρεσιν, εὗρε τὸν βασιλέα Περσῶν ἀναδυέντα πρὸς τὰ δόξαντα μεταξὺ αὐτῶν ἐνεκεν τῆς εἰρήνης· φημισθέντος γὰρ τοῦτου, ὡς τῶν Σαμαρειτῶν Ῥωμαίων ἀγανακτηθέντων ὑπὸ τοῦ βασιλέως Ἰουστινιανοῦ, ὡς προγγέγραπται, φυγόντων καὶ ἀπελθόντων πρὸς Κωάδην, βασιλέα Περσῶν, ἀπὸ τῆς ἑαυτῶν χώρας Παλαιστίνης, καὶ ἐπαγγελαμένων αὐτῇ συμμαχεῖν· τὸ δὲ πλῆθος αὐτῶν ἦν χιλιάδες πεντήκοντα, ἐπηγγείλαντο δὲ τῶν Περσῶν βασιλεῖ προδιδόναι τὴν ἑαυτῶν χώραν, τὴν Παλαιστίνην πᾶσαν καὶ τοὺς ἀγίους τόπους, πόλιν ἔχουσιν διαφόρων βασιλέων χαρίσματα· χρυσὸν τε γὰρ πλῆθος πολὺ καὶ λίθων τιμίων ἀναρίθμητος ποσότης, καὶ ἀκούσας ταῦτα ὁ βασιλεὺς Περσῶν, καὶ πεισθεὶς τῆς παρ' αὐτῶν λεγομένης, ἀνεδύη περὶ τὸ ποιῆσαι τὰ πάντα. ἀφορμὴν δὲ λαβὼν περὶ τῶν χρυσοφόρων<sup>1</sup> τῶν εὐρεθέντων πρῶτην ἐπὶ

რომაელთა მიერ კვლავ გაიგზავნა რუფინე, მეორე პასუხი გაატანეს სპარსეთის მხარეში; რუფინემ ნახა სპარსელთა მეფე, რომელიც მათ შორის ზავის შესახებ დადებულ პირობებზე უარს ამბობდა. გავრცელდა ხმები, რომ სამარიტელნი, რომლებზედაც რომაელები იუსტინიანე მეფის დროს გაჯავრებულნი იყვნენ, გაიქცნენ თავიანთი ქვეყნიდან, პალესტინიდან, მივიდნენ კოადთან, სპარსელთა მეფესთან, და აღუთქვეს მას მოკავშირეობა: მათი რიცხვი ორმოცდათ ათასს უდრიდა. მათ აღუთქვეს სპარსელთა მეფეს, რომ გადასცემდნენ მას თავიანთ ქვეყანას, მთელ პალესტინასა და წმინდა ადგილებს, მეფეების მრავალგვარ ნიჭთა მქონებელ ქალაქს: იქ იყო დიდძალი ოქრო და პატიოსან ქვათა აღურაცხელი რაოდენობა. ეს რომ გაიგონა სპარსელთა მეფემ, ირწმუნა მათი ნათქვამი და ამიტომ უარყო საზავო ხელშეკრულების დადება. მიზეზად მოიყვანა ოდესღაც ანასტასი მეფის დროს აღმოჩენილი ოქროს მადნები, რომლებიც რომაელების ხელში იყო; წინათ ხომ ეს მთები სპარ-

<sup>1</sup>) ხელნაწერში χρυσορυκτων (B u r y 230), გამოცემებში χρυσορυτων.

Ἀναστασίου τοῦ βασιλέως. ὄντων ὑπὸ Ῥωμαίων. ἦν γὰρ πρῶτη τὰ αὐτὰ ὄρη ὑπὸ τὴν Περσῶν πολιτείαν· τὰ δὲ χρυσοῦρκα<sup>1</sup> ὄρη ὑπάρχει μεταξὺ τῶν ὄρων Ἀρμενίων Ῥωμαίων τε<sup>2</sup> καὶ Περσαρμενίων ὡς οἱ<sup>3</sup> εἰδότες λέγουσιν· ἅτινα ὄρη φέρουσι χρυσοῦν πολὺν· ὅτε γὰρ βροχαὶ καὶ ἕμβροι γίνονται, κατασύρεται ἡ γῆ τῶν αὐτῶν ὄρων, λεπιδᾶς<sup>4</sup> ἀναβλύσουσα χρυσοῦ· τὰ δὲ αὐτὰ ὄρη ἔμισθοῦντο τὸ πρότερον· τινες ἀπὸ Ῥωμαίων καὶ Περσῶν χρυσοῦν λιτρῶν διακοσίων· ἐξ οὗ δὲ παρελήφθησαν τὰ αὐτὰ ὄρη ὑπὸ τοῦ φειοτάτου Ἀναστασίου, Ῥωμαῖοι μόνον κομιζόνται τὴν φεσπισθεῖαν συντέλειαν. καὶ ἐκ τούτου ἐγένετο διαστροφὴ περὶ τὰ πάκτα (CB 455—456).

სელთა ძალაუფლების ქვეშ იყო; ეს ოქროსმადნიანი მთები მდებარეობენ რომაული არმენიისა და პერსარმენიის საზღვრებს შუა, როგორც ამბობენ ამ საქმის მცოდნენი. ეს მთები დიდძალ ოქროს იძლევიან. დიდი წვიმების დროს ამ მთებიდან ჩამოსცურდება ხოლმე მიწა, საიდანაც სცვივა ოქროს ნატეხები. ამ მთებს წინათ ვიღაცეები იჯარით ღებულობდენ, რომაელებისაგან და სპარსელებისაგან, ორას ლიტრა ოქროდ. ხოლო მას აქეთ, რაც ეს მთები ღვთაებრივი ანასტასის ხელში გადმოვიდა, მხოლოდ რომაელები ღებულობენ დაწესებულ გადასახადს<sup>5</sup>. აი, ამიტომ შეფერხდა ზავის საქმე.

### საბირების გადმოსვლა კასპიის კარებით.

Καὶ αὐτῶ τῶ χρόνῳ Ὀὐννοι Σάβιρες περάσαντες διὰ τῶν Κασπίων πυλῶν ἀνεφάνησαν ἐν τοῖς Ῥωμαϊκοῖς μέρεσι, πραιδεόντες ἐπὶ τὴν Ἀρμενίων χώραν. καὶ ἀπλώσαντες ἑαυτοὺς κατέσχον ἕως τῆς Εὐφρατησίας καὶ τῆς δευτέρας Κιλικίας καὶ τῶν Κυρηστικῶν. καὶ γνοὺς τοῦτο ὁ βασιλεὺς Ῥωμαίων, μεταστείλα-

ამ დროს ჰუნნი-საბირები გადმოვიდნენ კასპიის კარებით, გამოჩნდნენ რომაელთა საზღვრებში და მოარბიეს არმენიელთა ქვეყანა; ისინი მოედვნენ იქაურობას ვიდრე ევფრატესიამდე, მეორე კილიკიამდე და კირესტიკამდე. ეს რომ შეიტყო რომაელთა მეფემ, დაიბარა პატრიკიოსი რუფინე და უბრძანა მას გამგზავრებულიყო აღმოსავლეთის

1) ხელნაწერებში χρυσορκα, გამოცემებში χρυσορκα.

2) გამოცემებში აკლია τε.

3) გამოცემებში აკლმა hoi.

4) გამოცემებში λεπιδας („ქერი“).

5) ამ ნაწყვეტში აღწერილი მთები ფარანგიონი („პერანგა“) უნდა იყოს (შდ. ჩვენი შენიშვნა ფარანგიონის მთის შესახებ: გეორგიკა II 35 – 36).



μενος τὸν πατρίκιον Ῥουφίνον  
 ἐκέλευσεν αὐτῷ ἐξελθεῖν ἐπὶ τὰ  
 ἀνατολικά μέρη καὶ μαθεῖν εἰ  
 ἀπὸ τοῦ βασιλέως Περσῶν ἦλθον  
 κατὰ Ῥωμαίων. καὶ ἐξελθὼν  
 Ῥουφίνος καὶ μηνύσας τῷ βασι-  
 λεῖ Περσῶν, εὗρεν ὅτι οὐ κατὰ  
 γνώμην τοῦ βασιλέως Περσῶν οἱ  
 αὐτοὶ Οὐννοὶ παρήλθον· καὶ γρά-  
 φας Δωροθέῳ τῷ στρατηλάτῃ  
 Ἀρμενίας ἐπέστειλεν κατὰ τῶν  
 αὐτῶν, καὶ ἀκούσαντες οἱ Οὐν-  
 νοὶ, λαβόντες τὴν πραιδαν πᾶσαν  
 ἐπέστρεψαν δι' ὧν ἐπανήλθον τό-  
 πων. καὶ καταδιώξας αὐτοὺς ὁ  
 στρατηλάτης Δωροθέος ἀφελματο  
 παρ' αὐτῶν οὐκ ὀλίγην πραιδαν

მხარეებში და გაეგო, სპარსელთა მეფის დავალებით გამოილაშქრეს ჰუნებმა რომაელთა წინააღმდეგ თუ არაო, რუფინეც წავიდა, კავშირი გააბა სპარსელთა მეფესთან და დარწმუნდა, რომ ჰუნები სპარსელთა მეფის დაუკითხავად გამოლაშქრებულან. და მან მისწერა არმენიის სტრატილატს დოროთეს შეიარაღებულიყო ჰუნთა წინააღმდეგ. ეს რომ გაიგეს ჰუნებმა, ხელი დაავლეს მთელ ნადავლს და უკან გაბრუნდენ იმავე გზით, რომლითაც მოვიდენ. დოროთე სტრატილატი დაედევნა მათ და წაართვა ნადავლის არა მცირედი რაოდენობა. (CB 472,15 – 473,4).

### 532 წლის „საუკუნო“ ზავი

Ἐν αὐτῷ δὲ τῷ χρόνῳ ἐπέστρεψαν ἐκ τῶν Περσικῶν Ἑρμογένης καὶ Ῥουφίνος, ἐπιφερόμενοι μεθ' ἑαυτῶν καὶ πάντα εἰρήνης τῶν δύο πολιτειῶν Ῥωμαίων τε καὶ Περσῶν τῶν δύο πολιτειῶν ἄχρι τῆς τῶν ἀμφοτέρων ζώης, ἀναδοθέντων μὲν Πέρσαις τὸ μέρος τῶν Φαραγγίων μετὰ πάντων τῶν αἰχμαλώτων, Ῥωμαίοις δὲ τὰ κάστρα τὰ περιληφθέντα ὑπὸ Περσῶν σὺν τοῖς παραληφθεῖσι (CB 477,13—19).

ამ დროს დაბრუნდენ სპარსელთა ქვეყნიდან ჰერმოგენე და რუფინე და თან ჩამოიტანეს ორ სახელმწიფოს შორის რომაელთა და სპარსელთა სახელმწიფოებს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალა ორივე სახელმწიფოს სიცოცხლეში ურყევე უნდა ყოფილიყო. ამ ხელშეკრულებით სპარსელებს დაუბრუნდათ ფარანგიათა მხარე და ყველა ტყვე, ხოლო რომაელებს – სპარსელების მიერ დაპყრობილი ციხე-სიმაგრეები მთელი ნატყვევანავითურთ <sup>1</sup>.

<sup>1</sup>) იგულისხმება 532 წელს დადებული „საუკუნო“ ან „უვადო“ ზავი, რომლის შესახებ მოგვითხრობს პროკოპი კესარიელი BP I, 22 (გეორგიკა II, 33): «რომაელებმა მისცეს სპარსელებს – ლაზიკის სიმაგრეები». მალალას ტექსტში დაუსახელებლად მოხსენებული «დაპყრობილი ციხე-სიმაგრეები» სწორედ. ამ ლაზიკის სიმაგრეებს უნდა ჰგულისხმობდეს.

## სტეფანე ბიზანტიელი

სტეფანე ბიზანტიელი (ὁ γράμματικὸς Στέφανος) ავტორია გეოგრაფიული ლექსიკონისა, რომელსაც ეწოდებოდა Ἑθνικά. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ არსებობს: მხოლოდ მისი ლექსიკონის არტიკლების მიხედვით გახდა შესაძლებელი ზოგიერთი დასკვნების მიღება სტეფანეს ბიოგრაფიული თარიღების შესახებ. უკანასკნელ წლებამდე მკვლევართა აზრი მისი ცხოვრების შესახებ მერყეობდა IV – VIII საუკუნეებს შუა (მაგალითად, კ. კრუმბახერი; Geschichte der byzantinischen Literatur გვ. 254, მას V საუკუნეში ათავსებდა). Honigmann-ის გამოკვლევით (REA III 2369 – 2369, Stuttgart 1929) სტეფანეს ნაწარმოები უნდა იყოს დაწერილი 528 – 535 წლებში; შესაძლებელია აგრეთვე ზოგიერთი ჩანართი თვით სტეფანეს მიერ იყოს დამატებული შემდეგ წლებში (ასე, მაგალითად, პეტრე პატრიკიოსის მოხსენიება 539 – 563 წლებზე მიგვითითებს).

სტეფანეს Ἑθνικά 50 – 55 წიგნისაგან შედგებოდა. ჩვენამდე ლექსიკონი მოღწეულია შემოკლებული სახით: მრავალ ხელნაწერში მას ეწოდება ἐκ τῶν ἐθνικῶν Στεφάνου κατ' ἐπιτομήν.

სტეფანე ლექსიკონში ხშირად ასახელებს თავის წყაროებს. ზოგიერთი მათგანით მას უშუალოდ უსარგებლია, ზოგს კი იცნობს მხოლოდ სხვების მიერ მოყვანილი ციტატებით. ასე, მაგალითად, მას უშუალოდ ჰყავს გამოყენებული: ჰეროდოანი (II საუკ.) რომლისაგანაც სტეფანემ ისესხა როგორც გრამატიკული სისტემა, ისე შინაარსობლივი მასალა; ოროსმილეტელი (IV – V საუკ.) რომელსაც ეყრდნობოდა სტეფანე გრამატიკულ საკითხებში. ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთაგან სტეფანე უშუალოდ იცნობს ჰეკატე მილეტელს, ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, პოლიბის, სტრაბონს, დიონისე პერიეგეტს და სხვ., ხოლო ჯერ კიდევ გამოსარკვევია, უშუალოდ იყენებდა თუ არა სტეფანე ქსენოფონტს, დიონისე ჰალიკარნასელს, იოსებ ფლავიოსს და არიანეს (უკანასკნელის შესახებ ისტორიკოს Niese-ს თავის სპეციალურ შრომაში სტეფანე ბიზანტიელის შესახებ გა-

მოუთქვამს მოსაზრება, რომ სტეფანეს წაკითხული ჰქონდა არიანეს წიგნებში<sup>1</sup>. გეოგრაფიულ მდებარეობათა საკითხებისათვის სტეფანე სარგებლობს მ ა რ კ ი ა ნ ე თ ი (IV საუკ.), რომელსაც უმთავრესად პტოლემეს რუკების მიხედვით აქვს ცნობები მოყვანილი, ხოლო თვით პტოლემეს არც კი მიმართავს.

როგორც მკითხველი ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტებითაც დარწმუნდება, სტეფანე ბიზანტიელს უმთავრესად გრამატიკული საკითხები აინტერესებს და არა გეოგრაფიული. ამიტომაც არის, რომ ხშირად ის შეუპოვებულ გეოგრაფიულ ცნობებს იძლევა და შეცდომებს უშვებს (Cannae, მაგალითად, მას კართაგენის მახლობლად აქვს მოთავსებული). გარდა ამისა ის სრულებით არ ღებულობს მხედველობაში გეოგრაფიულ ადგილთა თავის-დროინდელ ვითარებას და ბრმად მისდევს თავის წყაროებს; ასე რომ მისი ცნობის გამოყენების დროს მუდამ უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ ეს ცნობები მის დროს, VI საუკუნეს, კი არ შეეფერება, არამედ მისი წყაროს დროინდელია.

ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტების დამზადების დროს ხელთ გვქონდა:

A. M e i n e k i u s. Stephani Byzantii Ethnorum quae supersunt. Ex recensione Augusti Meinekii, tomus prior. Berolini 1849.

W. D i n d o r f. Stephanus Byzantius cum annotationibus L. Holstenii, A. Berkelii et Th. De Pinedo. Ed. W. Dindorf, 4 vol. Lp. 1825 (ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ მოგვყავს სქოლიოებში ამ ძველ კომენტატორთა შენიშვნები).

B. Л а т ы ш е в, Scythica et Caucasica I, 252 – 271.

Ἄγκυρα, πόλις Γαλατίας...  
τὸ ἐθνικὸν Ἀγκυρανός. τὰ εἰς νος  
(ανος) ἔθνικα, ἐὰν ἀπὸ τῆς  
γενικῆς τοῦ πρωτοτύπου γένοιτο  
καθαρῶς, τὸ ἄ παραλήγει  
μακρῶ καὶ μιᾶ συλλαβῇ τῆς γε-

ანკურა, გალატიის ქალაქი..  
ეთნიკურია „ანკურანოს“. ეთნიკურ  
სიტყვებს ბოლოში აქვთ νος (ανος),  
თუ ნაწარმოებნი არიან პრო-  
ტოტიპის წმინდა ნათესაობი-  
თისაგან; წინასკნელი α გრძელია;

<sup>1</sup>) B. N i e s e, De Stephani Byz. Auctoribus, Kiliae 1873, p. 29:  
Stephanus quoque eius (ე. ი. არიანეს) Libros Legit (მოგვყავს Honigmann-ით).

νικής περιττεύει, οὐκ ἀναστρέφον-  
τος τοῦ λόγου. οὐ γὰρ ὅσα τὰ  
ἄ κατὰ τὴν παραλήγουσαν ἔχει,  
ταῦτα ἐκ ἰηλυσκῶν προήκται.  
τοῦ μὲν προτέρου παραδείγμα-  
τος ταῦτα, Ἄσιανός Καρδια-  
νός Ὀλβιανός Φασιανός, ἀπὸ  
τῆς Φάσιος πόλεως...

Αἶα, πόλις Κόλχων, κτίσμα  
Διήτου, θαλάσσης ἀπέχουσα στά-  
δια τριακόσια, ἦν περιρρέουσι  
δύο ποταμοί, Ἴππος καὶ Κιά-  
νεος, ποιοῦντες αὐτὴν χερρόνη-  
σον. εἶοικε δὲ τοῦναντίον ἐξ αὐ-  
τῆς ὁ Διήτης εἶναι, ὡς Ἄσια  
Ἄσιότης, οὕτως Αἶα Διάτης καὶ  
Διήτης. ἔστι δὲ καὶ Θεσσαλίας  
ἄλλη, ἧς μέμνηται Σοφοκλῆς,  
τῆς μὲν προτέρας λέγων «εἰς  
Αἶαν πλέων» τῆς δὲ δευτέρας  
οὕτως «ἔστιν τις Αἶα Θεσσαλῶν  
παγκληρία». ἔστιν Αἶα καὶ Μα-  
κεδονίας πηγῆ, ὡς Ἀντίμαχος ἐν  
Θηβαϊδῷ. τὸ ἐθνικὸν Αἶαίος ὡς  
Γαζαίος, τὸ ἰηλυσκὸν Αἶαία.

Ἄλβανία, χώρα πρὸς τοῖς  
ἀνατολικαῖς Ἰβηρίαις.

ნათესაობითს ერთი მარცვლით  
ზრდის; მახვილს უკან არ სწევს,  
სიტყვებს რომ ა აქვთ წინასკნელ  
მარცვალში, ეს არ არის წარმომ-  
დგარი მდედრობითი სქესის სიტ-  
ყვებისაგან. პირველის მაგალითე-  
ბია: ასიანოს, კარდიანოს, ოლბია-  
ნოს, ფ ა ს ი ა ნ ო ს, ქალაქ ფასისი-  
საგან...

ა ი ა, კოლხთა ქალაქი, აშენებუ-  
ლია აიეტის მიერ, ზღვას დაშო-  
რებულია სამასი სტადიონით; მას  
ჩამოუდის ორი მდინარე: ჰიპოსი  
და კიანოსი <sup>1</sup>, რომლებიც მისგან  
ნახევარკუნძულს ჰქმნიან. მგონი,  
პირიქით, მისგან უნდა იყოს ნაწარ-  
მოები „აიეტეს“, როგორც ასია  
ასიატეს, ისე აია აიატეს. არის კი-  
დეც თესალიის აია, რომელსაც  
იხსენიებს სოფოკლე; პირველის  
შესახებ ის ამბობს «აიაში მის-  
ცურავდა», ხოლო მეორის შესახებ  
ასე ამბობს: «არის რომელიღაც  
აია, თესალიელთა სამფლობელო». აია არის აგრეთვე წყარო მაკედო-  
ნიაში, როგორც ამბობს ანტიმაქე <sup>2</sup>  
„თეზაიდში“. ეთნიკურია „აიაიოს“,  
როგორც „გაზაიოს“; მდედრობითი  
სქესისა – „აიაია“.

ა ლ ბ ა ნ ი ა, ქვეყანა აღმოსავლე-  
თის იბერთა მეზობლად.

<sup>1</sup>) Holsenius-ი შენიშნავს: «თუ აია იგივეა რაც დიოსკურია, როგორც ქვე-  
მოთ ამტკიცებს [სტეფანე], არ ვეჭვობ, რომ კიანოსი იგივე მდინარეა, რომელ-  
საც სვილაქსი უწოდებს Γηγος, ჩვენი ავტორი კი ქვემოთ ეძახის Τηγος და Πυ-  
Ηγος. საღმასიუსი კი ფიქრობს, რომ Κυαεον არის სხვების მიერ მოხსენებული  
Γλαυκος.

<sup>2</sup>) ანტიმაქე კოლოფონელი, V – IV საუკ. მწერალი (პლატონის  
თანამედროვე), ეპიკოსი და ელეგიკოსი.

Ἄλκυβη, «τηλόθεν ἐξ Ἄλκυβης, ἔθεν ἀργύρου ἐστὶ γενέθλη». παρὰ ταύτην ἐλθεῖν Ῥέα λέγεται Δία φέρουσα νεογνόν. οἱ ταύτην εἰκοῦντές Ἄλυβες, ἀντὶ τῶν ἀργυρέων μετάλλων σιδηρᾶ ἔχοντες. οἱ νῦν Χαλδαῖαι<sup>2</sup>, ὡς Στράβων. ἔστι καὶ Ἄλυβις καὶ Ἄλυβης. Εὐφορίων ἐν Ἀραῖς ἢ Ποτηριοκλέπτῃ «ὄστις μεῖς κελέβην Ἄλυβηίδα μῦθος ἀπηύρα» τοῦτέστι τὴν ἀργυρᾶν, διὰ τὰ μέταλλα. Ἑλλάνικος δὲ φησι λίμνην εἶναι Ποντικὴν. τὸ ἔθνηκόν Ἄλυβαῖος.

Ἀμαράντιοι, δξυτόνας, Κολχικὸν ἔθνος, ἀφ' ὧν ὁ Φᾶσις ῥεῖ, ἔθεν καὶ Ἀμαράντιον τὸν Φᾶσιν φασιν.

Ἀραξοί, πόλις πρὸς τῇ Πόντῳ, ἀπὸ Ἀράξου τοῦ ἡγήσαμένου. τὸ ἔθνηκόν Ἀράξιος ὡς Σαβᾶξιος.

ალიბე, «შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის ბუდობებია»<sup>1</sup>. ამბობენ, რომ იქ გამოიარა რეამ ახალდაბადებული ზევსით. იქაური მცხოვრებლები არიან ალიბები, რომელთაც ვერცხლის საბადოების ნაცვლად რკინისა აქვთ. ეხლა მათ ეძახიან ქალდეველებს<sup>2</sup>; ასე ეძახის მაგალითად სტრაბონი. მათ ჰქვია აგრეთვე „ალიბევსი“ და „ალიბეისი“<sup>3</sup>, ევფორიონი<sup>4</sup> „არებში“ ან „ჭიქის ქურდში“ ამბობს: «რომელმაც მომტაცა ყანწი ალიბეური», ესე იგი ვერცხლისა, ლითონის შემადგენლობის მიხედვით. ჰელანიკე<sup>5</sup> ამბობს, რომ პონტოს ტბაა. ეთნიკურია „ალვბაიოს“.

ამარანტები, ბოლო მარცვალზეა მჭევრი მახვილი. კოლხური ტომია; მათი ქვეყნიდან მოდის ფაზისი. ამიტომაც არის რომ ფაზისს „ამარანტიოს“ ეძახიან<sup>6</sup>.

არაზოსი, ქალაქი პონტოს ნაპირას, წინამძღოლ არაზესაგან ეწოდა ის სახელი. ეთნიკურია არაზიოსი, როგორც საბაზიოსი.

<sup>1</sup>) ილიადა II, 857.

<sup>2</sup>) ვარიანტი: Χαλβαι.

<sup>3</sup>) ეს მცხოვრებთა სახელებია: პირველი მამაკაცისა, მეორე ქალისა.

<sup>4</sup>) ევფორიონ ქალკიდელი, III საუკუნის ძვ. წ. მწერალი, ეპიკოსი და ელეგიკოსი; ჰქონდა აგრეთვე პროზული ნაწერებიც.

<sup>5</sup>) ჰელანიკე მიტილენელი, ცნობილი ლოგოგრაფოსი („ისტორიკოსი“) V საუკუნისა.

<sup>6</sup>) სქოლიასტი Apoll. Rh. II, 401 სწერს: «ამარანტოსი ქალაქია პონტოში: როგორც თვითონ [ჰეროდოთანე] ამბობს, მთებია კოლხიდისა, რომელთაგან მდინარე ფაზისი ჩამოდის». მეორე ადგილას სქოლიასტი Apoll. Rh. III, [1217] სწერს: «ამარანტიოი – ეს ბარბაროსული ტომია კოლხებს ზემოთ, ხმელეთზე – აქიდან გამომდინარეობენ ფაზისის წყაროები –, ან ეს მთაა კოლხეთში, ამარანტიონად წოდებული, საიდანაც ჩამოდის ფაზისი».

Ἄραχω τοῖς πόλις Ἰνδικῆς,  
ἀπὸ Ἄραχω τῷ ποταμοῦ, ῥέοντες  
ἀπὸ τοῦ Καυκάσου, ὡς Φαβαρίνος  
καὶ Στράβων ἐνδεκάτη, εἰσι καὶ ἄλ-  
λοι πλησιοὶ Μασσαγετῶν, ὡς Στρά-  
βων ἐνδεκάτη. διχῶς δὲ λεκτέον,  
καὶ Ἄραχῶτης καὶ Ἄραχωτός.

Ἄριος νῆσος, πρὸς τοὺς  
Κόλχοις ἐν τῷ Πόντῳ. Σκύμωνος  
ἐν Ἀσίᾳ. τὸ ἐθνικὸν Ἄρειος ἐξ  
ἐνὸς τοῖν δυοῖν παρηγημένον.

Ἄστερουσία, ἄρος Κρήτης  
πρὸς τὸ νότιον μέρος, ἀποβλέπων  
εἰς θάλασσαν, ἀφ' οὗ καὶ πόλις  
περὶ τὸν Καύκασον Ἰνδικῆ<sup>5</sup> Ἄσ-  
τερουσία κέκληται, Κρητῶν ἀποι-  
κίως ἐκεῖ σιχλείσης, οἱ οἰκῆται  
Ἄστερουσιανοὶ καὶ Ἄστερουσιεῖς  
καὶ Ἄστερούσιοι.

Ἄψιλα, ἔθνος Σκυθικὸν γει-  
νιᾶν ἐν Λαζίᾳ, ὡς Ἀρριανὸς ἐν  
περίπλῳ τοῦ Εὐξείνου πόντου.

არაქოტები, ქალაქი ინდოე-  
თისა, მდინარე არაქოტისაგან, რო-  
მელიც კავკასიიდან გამომდინა-  
რეობს, როგორც ამბობენ ფავო-  
რინე<sup>1</sup> და სტრაბონი XI წიგნში.  
არიან აგრეთვე სხვა არაქოტებიც,  
მასაგეტების მახლობლად, როგორც  
ამბობს სტრაბონი XI წიგნში<sup>2</sup>.  
ორგვარად ითქმის (მხ. რიცხვში):  
არაქოტეს და არაქოტოს.

არესისკუნძული, კოლხე-  
ბის მახლობლად პონტოში<sup>3</sup>. ასე  
ამბობს სკიმნე<sup>4</sup> „აზიაში“, ეთნიკუ-  
რია არიოსი, ერთ-ერთი იმ ორი  
სიტყვისაგანაა წარმომდგარი.

ასტერუსია, მთა კრეტის სამ-  
ხრეთ ნაწილში, ზღვისკენ მიმარ-  
თული. აქიდან მომდინარეობს კავ-  
კასიონთან მდებარე სინდური ქა-  
ლაქის<sup>5</sup>, ასტერუსიას, სახელწოდება:  
იქ იყო გაგზავნილი კრეტელთა  
ახალშენი. მცხოვრებლებს ჰქვია  
ასტერუსიანები, ასტერუსიელები  
და ასტერუსები.

აფსილეები, სკვითური ტომი,  
ლაზების მეზობლად, როგორც ამ-  
ბობს არიანე „ევქსინის პონტოზე  
მოგზაურობაში“.

<sup>1</sup>) ფავორინე არელატელი, (I საუკ. ახ. წ. ფილოსოფოსი და სო-  
ფისტი.

<sup>2</sup>) სტრაბონის პირველი ადგილია XI, p. 513, ხოლო მერა ადგილას მას  
ეს ტომი არსად ხყავს მოხსენებული.

<sup>3</sup>) Berkilius-ის მითითებით ლათინურად მას Insula Martis («მარსის კუნ-  
ძული») ეწოდებოდა, ხოლო Mela (პომპონიუს მელი, ახ. წ. I საუკუნის მწერა-  
ლი) მას Aria-ს უწოდებს და მას კოლების მეზობლად ხეულისხმობს (eamque  
Colis vicinam fecit).

<sup>4</sup>) სკიმნე ქიოსელი (Σκυμοσ), II საუკ. ძვ. წ. მწერალი, ავტორი. ევ-  
როპის, აზიისა და ლიბიის (აფრიკის) აღწერილობისა.

<sup>5</sup>) ევსტათის Hom, p. 332,20 უწერია: πολὺς περὶ τὸν Ἰνδικὸν Καυκάσον.

Ἄψυρτιδες, νῆσοι πρὸς τῇ Ἀδρίᾳ ἀπὸ Ἀψύρτου παιδὸς Αἰήτου ἐν μιᾷ<sup>1</sup> δελοφονηθέντός ὑπὸ τῆς ἀδελφῆς Μηδείας. οἱ νησιῶται Ἄψυρταις καὶ Ἄψυρτοι. ἔστι καὶ τόπος ἐν τῇ Εὐξείνῳ πόντῳ Ἄφαρος, Ἄψυρτος πρότερον λεγόμενος. Ἀρτεμίδωρος ἐν ἐπιτομῇ καὶ πόλιν νῆσον Ἄψυρτον ἰσχυρεῖ.

Γωργαρηνῆ, χωρίον μεταξὺ Κόλχων καὶ Ἰβήρων τῶν ἀνατολικῶν. τὸ ἐθνικὸν Γωργαρηνός.

Δαδὸκέρτα, φρούριον μέγα τῆς Ἀρμενίας μεταξὺ Μηδίας. τὸ ἐθνικὸν Δαδοκερτηνός τῇ ἐπιχωρίῳ τῶπι.

Δανδάριοι, ἔθνος περὶ τὸν Καύκασον, ὡς Ἐκαταῖος Εὐρώπη.

Διοσκουριάς, μία τῶν ἐν Αἰβύῃ Δεσῶν νήσων. ὁ νησιώτης Διοσκουρίτης. ἔστι καὶ ἑτέρα περὶ τὸν Πόντον, ἣ τις Σεβαστόπολις καλεῖται. καὶ πρότερον δὲ Αἶα ἐκικλήσκειτο, ὡς Νικάνωρ. ὁ πόλιτης Διοσκουριεύς. ἔστι καὶ ἐν τῇ Ἐρμιθῇ θαλάσσει νῆσος Διοσκουρίδου.

აფსირტიდები, კუნძულები ადრიატიკის ზღვაში; ასე დაერქვა აიეტის შვილის აფსირტესაგან, რომელიც მოკლულ იქმნა მისი დის მედეას მიერ ერთ-ერთ ამ კუნძულზე<sup>1</sup>. ამ კუნძულების მცხოვრებთ ეწოდებათ აფსირტები. არის ევქსინის პონტოზეც ერთი ადგილი აფსარი, რომელსაც წინათ აფსირტი ერქვა. არტემიდორე<sup>2</sup> იხსენიებს თავის „მოკლე მიმოხილვაში“ ქალაქსა და კუნძულ აფსირტს.

გოგარენე, ადგილი კოლხებსა და აღმოსავლეთის იბერებს შუა. ეთნიკურია გოგარენი.

დადოკერტა, დიდი ციხე არმენიისა მიდეთის შუაში. ეთნიკურია დადოკერტენი, ადგილობრივ ყაიდაზე.

დანდარიები, ტომი კავკასიის მახლობლად, როგორც ამბობს ჰეკატე „ევროპაში“<sup>3</sup>.

დიოსკურია, ერთი თეთრ კუნძულთაგანი ლიბიაში. კუნძულის მცხოვრები იქნება დიოსკურიტი. არის მეორე დიოსკურიაც პონტოსთან, ჰქვია აგრეთვე სებასტოპოლი, ხოლო წინათ მას აია ერქვა, როგორც ამბობს ნიკანორი<sup>4</sup>. მოქალაქეს ჰქვია დიოსკურიელი. არის მეწამულ ზღვაშიაც დიოსკურიდის კუნძული.

<sup>1</sup>) ერთ-ერთი ძველი კომენტატორი Franciscus Guietus ფიქრობს, რომ ნაცვლად εν μιᾷ-სა შეიძლება ყოფილიყო εν Αἰαί, ე. ი. კოლხიდაში.

<sup>2</sup>) არტემიდორე ეფესელი, II – I საუკ. გეოგრაფოსი, ავტორი 11 წიგნის შემცველი Γεωγραφουμένα-სი.

<sup>3</sup>) ჰეკატე მილეტელი, VI საუკ. ძვ.წ, ლოგოგრაფოსი, საისტორიო და საგეოგრაფიო შრომების ავტორი.

<sup>4</sup>) ნიკანორ ალექსანდრიელი, ბერძენი გრამატიკოსი II ს. ახ. წ.

Δριλαι<sup>1</sup>, συνικία τῆς Ποντικῆς, Τραπεζοῦντος οὐ πόρρω, ἄς Ξενοφῶν ἐν ἀναβάσειος πέμπτῃ.

Ζήλα, τόπος Ἀρμενίας, ἐν τῇ Ἀναίτιδι<sup>2</sup> Σάκαια [τελοῦσιν]. οὐδετέρως, Στράβων ια'. ἔστι καὶ Ποντικὴ Ζήλα λεγομένη καὶ αὐτὴ οὐδετέρως. ἔστι καὶ Ζήλα τρισυλλάβως, πόλις Καππαδοκίας, ἣν ἔκτισεν ὁ Νικομήδους υἱὸς Ζηίλας, ὁ πολίτης Ζηλίτης.

Ζυγοί, πρὸς τῇ τῆς Ἀσίας Βοσπόρῳ. Στράβων ἐνδεκάτῃ. τούτων ἔοικε καὶ ἡ Ζυγόπολις παρὰ Τραπεζοῦντα, Στράβων δωδεκάτῃ. τοῦ Ζυγοί τὸ ἐθνικὸν Ζυγιανός.

Ἡνιοχεῖα, χώρα παρὰ τῇ Καυκάσῳ. οἱ οἰκίτορες Ἡνίοχοι. Στράβων ἐνδεκάτῃ.

Θεμισκύρα, πόλις, ἣ ἔστιν ἀντίον Θερμώδοντος, καὶ ἡ χώρα. οἱ οἰκοῦντες Θεμισκύριοι. λέγεται καὶ Θεμισκύρεια.

Ἰβηρίαι δύο, ἡ μὲν πρὸς ταῖς Ἡρακλείαις στήλαις, ἀπὸ Ἰβήρας

დ რ ი ლ ე ბ ი, <sup>1</sup> დასახლებული ადგილი პონტოში, ტრაპეზუნტის მახლობლად, როგორც ამბობს ქსენოფონტი „ანაბაზისის“ V წიგნში.

ზ ე ლ ა, ადგილი არმენიაში, სადაც ანაიტის <sup>2</sup> უმართავენ დღესასწაულს „საკაიას“; საშუალო სქესისა, სტრაბონი XI წიგნში. არის აგრეთვე ეგრეთწოდებული პონტოს ზელა, ისიც საშუალო სქესისა. არის აგრეთვე ზეილა, სამმარცვლიანი, ქალაქი კაპადოკიაში, რომელიც დააარსა ნიკომედეის შვილმა ზეილამ. მოქალაქეს ჰქვია ზელიტი.

ზ ი გ ე ბ ი, აზიის ბოსპორთან, როგორც ამბობს სტრაბონი XI წიგნში. მგონი ამათგან უნდა მოდიოდეს ზ ი გ ო პ ო ლ ი ს ი ტორაპეზუნტის მახლობლად; სტრაბონი XII წიგნში. ზიგების ეთნიკური იქნება ზიგიანოს.

ჰ ე ნ ი ო ქ ი ა, ქვეყანა კავკასიონთან; მცხოვრებლებს ჰქვიათ პენიოქები; სტრაბონი XI წიგნში.

თ ე მ ი ს კ ი რ ა, ქალაქი, რომელიც თერმოდონტის პირისპირ არის, და ქვეყანაც. მცხოვრებლებს ეწოდებათ თემისკირები; ემახიან აგრეთვე თემისკირელებს.

ი ბ ე რ ი ა – ორია, ერთი ჰერაკლეს სვეტებთან, მდინარე იბერისა-

<sup>1</sup>) ვარიანტი: Δρυλαι. ესენი ჰყავს მოხსენებული Xenoph. Anab. 5,2,1.

ა რ ი ა ნ ე თავის „პერიპლუსში“ იხსენიებს ქსენოფონტის ამ ადგილს და თავის მხრით დასძენს, რომ ის ხალხი, რომელსაც აქ აღწერს ქსენოფონტი, მისი აზრით უნდა იყოს Σαννοί (Periplus, 15).

<sup>2</sup>) ხელნაწერებში ასეა, ხოლო გამომცემლებს აქვთ Αρτεμιδι. სტრაბონის XI წიგნში არის Ανατιδος (XI, 8, 2, p. 512; ed. Meineke II, 719).



ποταμοῖν, οὗ μέμνηται Ἀπολλό-  
δωρος ἐν τῇ περὶ γῆς β'..... ἢ δ'  
ἐτέρᾳ Ἰβηρία πρὸς Πέρσας ἔστι,  
τὸ ἐθνικὸν Ἰβηρες ὡς Πιερὲς  
Βυζήρες...

Ἰξίβαται, ἔθνος πρὸς τῷ  
Πόντῳ προσεχὲς τῇ Σινδικῇ<sup>2</sup>.  
Ἑκαταῖος Ἀσίχ.

Καδοῦσιοι, ἔθνος μεταξὺ τῆς  
Κασπίας θαλάσσης καὶ τοῦ Πόν-  
του. Στράβων ἑνδεκάτῃ.

Καρδοῦχοι, ἔθνος Μηδίας,  
ὡς Ξενοφῶν ἐν ἀναβάσει τριτῇ  
«ἐς Καρδοῦχους<sup>3</sup> ἄγει». τούτους δὲ  
φησὶν οἰκεῖν ἀνὰ τὰ ἔρη καὶ πο-  
λεμικοὺς εἶναι καὶ βασιλέως οὐκ  
ἀκούειν. καὶ Σοφαίνετος ἐν Κύ-  
ρου ἀναβάσει φησὶ περὶ αὐτῶν.

Καρθαια, μία τῆς ἐν Κέφ  
τετραπόλειος, ἀπὸ Καρθίου τελευ-  
τήσαντος ἔκει. οἱ οἰκοῦντες Καρ-  
θαεῖς. Πολύβιος ἰδ'. ἔστι καὶ Ἰβη-  
ρίας Καρταία, περὶ ἧς Ἀρτε-  
μίδωρος ἐν δευτέρῳ γεωγραφικῷ  
μέναν.

პარაკობს თავის საგეოგრაფიო თხზულების II წიგნში<sup>5</sup>.

გან ატარებს სახელს; მას იხსენიებს აპოლოდორე<sup>1</sup> თავისი „ქვეყნის აღწერილობის“ II წიგნში... მეორე იბერია სპარსელების გვერდითაა. ეთნიკურია იბერები, როგორც პიერები, ბიზერები...

იქსიბატები, ტომი პონტოსთან, სინდიკეს<sup>2</sup> მეზობლად; ჰეკატე „აზიაში“.

კადუსიები, ტომი კასპიის ზღვასა და პონტოს შუა; სტრაბონი XI წიგნში.

კარდუხები, ტომი მიდიაში, როგორც ამბობს ქსენოფონტი „ანაბაზისის“ III წიგნში: «მიჰყავს კარდუხების<sup>3</sup> ქვეყანაში». ამბობენ, რომ ესენი მთებში ცხოვრობენ, კარგი მეზრძოლნი არიან და მეფეს არ ემორჩილებიან. მათ შესახებ ლაპარაკობს აგრეთვე სოფანიეტე<sup>4</sup> „ვიროსის ანაბაზისში“.

კართაია, კეოსის ერთი ოთხქალაქთაგანი; წარმოსდგა კართისაგან, რომელიც იქ გარდაიცვალა. მცხოვრებლებს იწოდებთ კართაელები. პოლიბიოსი XVI წიგნში. არის აგრეთვე იბერიის კარტაიაც, რომლის შესახებ არტემიდორე ლა-

<sup>1</sup>) აპოლოდორე ათენელი, II საუკ. ახ. წ. გრამატიკოსი და ფილოსოფოსი, რომლის სახელით მოღწეულია სამტომიანი „ბიბლიოთეკა“ (მაგრამ მას არ ეკუთვნის, შედგენილი კი არის II საუკუნეში).

<sup>2</sup>) ხელნაწერებში Ινδικუ არის, Σινδ. ეკუთვნის Vossius-ს.

<sup>3</sup>) წინანდელ გამომცემელთ ჰქონიათ ἐς Καρδοῦλους. პლინიუსიც (VI, 15) ამ სიტყვის განსხვავებულ ვარიანტს იძლევა:... Carduchi quondam, nunc Cardueni.

<sup>4</sup>) სოფანიეტე სტიმფალელი, ისტორიკოსი, ქსენოფონტის თანამედროვე, რომელსაც ათიათასის ლაშქრობა აღუწერია „ანაბაზისში“.

<sup>5</sup>) აქ მოხსენებული „კართაია“ ესპანეთის ქალაქია. პლინიუსი (III, 1) მას ოწოდებს Carteia, პტოლემე (II, 4) – Καρτηα.

Καταννοί, ἔθνος πρὸς τῇ Κα-  
σπίᾳ θαλάσση. Ἑκαταῖος Ἀσίᾳ.

Καύκασος, τὸ ὄρος, ὃ καὶ  
Παροπάνισον καλοῦσι, τῶν κατὰ  
τὴν Ἀσίαν ὄρων μέγιστον. τὸ  
ἔθνηκὸν Καυκάσιος καὶ Καυκάσια  
θηλυκῶς ἐπὶ τῆς χώρας, ἀφ' οὗ  
τὸ Καυκασιανός ὡς Κασπιανός.  
καὶ οὐδετέρως Καυκάσιον. λέ-  
γεται καὶ διὰ τοῦ Καύκασις,  
ἐξ οὗ τὸ Καυκασίτης, ὡς τὸ  
Ἰασίτης τῆς Ἰασίαις.

Κοραξοί, ἔθνος Κόλχων πλη-  
σίον Κώλων. Ἑκαταῖος Ἀσίᾳ.  
Κοραξικὸν τεῖχος καὶ Κοραξική  
χώρα.

Κύτα<sup>1</sup>, πόλις Κολχική, πατ-  
ρίς Μηδείας. ἔστι καὶ ἄλλη Σκυ-  
θική. ὁ πολίτης Κυταῖος, ἐξ οὗ  
καὶ Κυταῖος «πύργους εἰσόψε-  
σθε<sup>2</sup> Κυταῖος Αἰήτας». τὸ θη-  
λυκὸν Κυταῖάς καὶ Κυταῖα,  
Λυκόφρων «ὅς εἰς Κυταῖαν τὴν  
Λιβυστίην μολών»<sup>3</sup>. [οἱ Λιβυσ-  
τινοὶ γὰρ ἔθνος παρακειμένον  
Κόλχοις.] λέγεται καὶ Κυταῖς  
ἀπὸ τοῦ Κυταῖος. οἱ δὲ ὅτι δύο  
εἰσὶ Κύτα, αὕτη<sup>4</sup> καὶ τῆς Ἐυ-  
ρώπης, ἔστι καὶ Κύταιον πόλις

კატანეო, ტომი კასპიის  
ზღვის გასწვრივ. ჰეკატე „აზიაში“.

კავკასიონი, მთა, რომელსაც  
პაროპანისსაც ეძახიან, აზიის მთათა  
შორის უდიდესი. ეთნიკურია „კავ-  
კასიოს“, მდედრობითი სქესისა  
„კავკასია“ ითქმის ქვეყნის შესახებ,  
საიდანაც წარმოსდგება „კავკასია-  
ნოს“. საშუალო სქესისა „კავკა-  
სიონ“. ითქმის აგრეთვე „კავკასის“  
გრძელი t-თი, საიდანაც წარმოს-  
დება „კავკასიტეს“, როგორც „ო-  
სიტეს“ „ოასის“-ისაგან.

კორაქსეო, კოლხთა ტომი  
კოლების მახლობლად, როგორც ამ-  
ბობს ჰეკატე „აზიაში“. კორაქსეობის  
კედელი და კორაქსეობის ქვეყანა.

კვტა, კოლხეთის ქალაქი, მედეას  
სამშობლო. არის სხვაც, სკვითიაში.  
მოქალაქეს ჰქვია „კვტაიოს“<sup>1</sup>, საი-  
დანაც წარმოსდგება „კვტაიევს“:  
«იხილეთ კომპეები კვტაიეველ აე-  
ტის»<sup>2</sup>. მდედრობითი სქესისა  
„კვტაიას“ და „კვტაიას“-იც; ლი-  
კოფრონი ამბობს: «რომელიც წა-  
ვიდა ლიბისტინის კვტაიაში»<sup>3</sup> (ლი-  
ბისტინები – კოლხების მეზობელი  
ტომია). ითქმის აგრეთვე „კვტაიის“  
სიტყვისაგან „კვტაიოს“. ზოგიერ-  
თები ამბობენ, რომ ორი კვტა არის:

<sup>1</sup>) ვარიანტი: Κυταῖα. – <sup>2</sup>) Apoll. Rh. II, 405.

<sup>3</sup>) Lycophr. 1312 (ლიკოფრონი IV – III საუკ. პოეტია, ავტორი „ალე-  
ქსანდრასი“). ევსტათი გაძმოგვემს (as Dionys. 16): «ლიკოფრონი მოგვით-  
ხრობს, კოლხების ქვეყანაში არის ლიგისტკური ქალაქი კვტაიოს», და  
ის ლიკოფრონის დამოწმებით Λιγυας (Λιγυες) კოლხებს უწოდებს. მაგრამ თვით  
სტევანე განასხვავებს ლიბისტინეს და ლიგისტინეს. ქვემოთ ის ამობს: «ლიკვს-  
ტიიე, ლიგვების ქალაქი, დასავლეთის იბერიის მახლობლად, და ტარსის მეზო-  
ბლად».

<sup>4</sup>) ამ ფორმას ამჯობინებს Holst. ხელნაწერებშიα ταυτα.

Κρήτης.

Κῶλοι, ἔθνος πρὸς τῷ Καυκάσῳ. Ἐκαταίος Ἀσίχ. αἱ δὲ ὑπάρχειαι τοῦ Καυκάσου καλεῖνται Κωλικὰ ὄρη. ἡ χώρα Κωλική.

Λαζοί, Σκυθῶν ἔθνος. ἔσι καὶ χωρίον [ἐν Πόντῳ] παλαιὰ Λαζική, ὡς Ἀρριανός.

Λιβυστίνοι, ἔθνος παρακείμενον Κόλχαις, ὡς Διόφαντος ἐν ποντικαῖς. οὗ θηλυκὸν Λιβυστήνη.

Μακροκέφαλοι, πρὸς τὰς Κόλχαις, «οἱ γὰρ Ἠμίλυνες καὶ Μακροκέφαλοι καὶ Πυγμαῖοι...»

Μάκρωνες, οἱ νῦν Σάννοι. Στραβῶν δωδεκάτῃ<sup>2</sup>, καὶ Ἐκαταίος Ἀσίχ. καὶ Ἀπολλώνιος δευτέρῳ.

Μαρες, ἔθνος προσεχὲς τοῖς Μοσσυνοῖς. Ἐκαταίος Ἀσίχ.

Μασσαγῆται, ἔθνος Σκυθῶν, ἐνθα Κύρος ἐτελεύτησε, τὸ θηλυκὸν λέγεται Μασσαγηταὶ καὶ ἴσως διὰ τὸ μέτρον.

Ματυκέται, ἔθνος Σκυθικόν. Ἐκαταίος Εὐρώπη.

Μελάγχλαινοι, ἔθνος Σκυθικόν. Ἐκαταίος Εὐρώπη. κέκλην-

ეს და ევროპისა. არის აგრეთვე კრეტაზე ქალაქი „კკტაიონ“.

კოლეზი, ტომი კავკასიონთან, როგორც ამბობს ჰეკატე „აზიაში“. კავკასიონის ქვედა ფერდებს ეწოდება კოლების მთები. ქვეყანას ჰქვია „კოლიკე“.

ლაზეზი, სკვითური ტომი არის [პონტოში] სოფელიც „ძველი ლაზიკე“. როგორც ამბობს არიანე.

ლიზისტინეზი, კოლხთა მეზობელი ტომი, როგორც ამბობს დიოფანტე<sup>1</sup> „პოლიტიკა“-ში. მისგან მდედრობითი სქესი – ლიზისტინე.

მაკროკეფალები, კოლხების მეზობლად «ნახევრად-ძალეზი, გრძელთავიანები და პიგმეები...»

მაკრონეზი, რომელთაც ეზლა სანნები ეწოდებათ. სტრაბონი XII წიგნში<sup>2</sup>, ჰეკატე „აზიაში“ და აპოლონი მეორე წიგნში.

მარეზი, ტომი მოსინიკების გვერდით<sup>3</sup>. ჰეკატე „აზიაში“.

მასსაგეტეზი, სკვითთა ტომი; მათ ქვეყანაში გარდაიცვალა კიროსი. მდედრობითი სქესი მასსაგეტე, შესაძლებელია (ი არის) მეტრის გულისთვის.

მატიკეტეზი, სკვითური ტომი. ჰეკატე „ევროპაში“.

მელანქლაინეზი, სკვითური ტომი ჰეკატე „ევროპაში“. ასე

<sup>1</sup>) დიოფანტე, III საუკ. ძვ. წ. ისტორიკოსი. რომელსაც ეკუთვნის ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეული Ποντικαὶ ἱστορίας, სტეფანე ბიზანტიელი ასახელებს მის შრომას Πολιτικά: ასე აქვთ გამომცემლებს, ἐν πολιτικοῖς, რაც ალბათ, შეცდომაა და უნდა იყოს ἐν πολιτικοῖς.

<sup>2</sup>) ხელნაწერები ია (ე. ი. XI). ნამდვილად კი მაკრონეზზე სტრაბონს XII წიგნში აქვს (ed Meineke II 770, p. 548).

<sup>3</sup>) შდ. Herodotos 7,79.

ται ἀπ' ὧν φοροῦσιν, ὡς Ἴππη-  
μόλγοι παρὰ τὸ τοὺς ἵππους  
ἀμέλγειν, καὶ Μοσσόνικοι παρὰ  
τὰς οἰκίσεις.

Μητροπόλις, [πόλις] Φρυ-  
γίας, ὑπὸ τῆς μητρὸς τῶν θεῶν  
οἰκισθεῖσα, ὡς Ἀλέξανδρος ἐν τῇ  
περὶ Φρυγίας. ἔστι καὶ ἄλλη  
Φρυγίας ὁμώνυμος. τρίτη Λυδίας.  
τετάρτη Θεσσαλίας, πέμπτη  
Ακαρνανίας. τὸ ἕθνη τὸν Μητρο-  
πολίτης. ἕκτη Δωριέων. ἕβδομη  
τῶν ἐν τῇ Πόντῳ Μοσσονί-  
κων<sup>1</sup>. ἔγδοη Σκαθίας. ἐνάτη  
Εὐβοίας. δεκάτη τῆς ἀνω Θεσσα-  
λίας.

Μίσγητες, ἔθνος Ἰβήρων.  
Ἑκαταίος Εὐρώπη.

Μοσσόνικοι, ἔθνος, περὶ  
τὸν Εὐδῆξος ἐν πρώτῳ γῆς περιό-  
δου. τὸ κτητικὸν Μοσσονοικιά.

Μόσχοι, Κόλχων ἔθνος προ-  
σεχὲς τοῖς Μαθηνοῖς. Ἑκα-  
ταίος Ἀσίᾳ.

Νῆσος, ἣ ἐν θαλάσσει πό-  
λις, ὁ ταύτην οἰκῶν γησίτης, ὡς  
Κάνωβος Κανωβίτης. τὴν δὲ γη-  
σίον γησιώτης καὶ γησιῶτις θη-  
λυκῶς. καὶ γησιῶτις ὡς χερσαῖος.

იმიტომ ეწოდებათ, რომ შავ კაბებს ატარებენ, ისევე როგორც „ჰიპ-პემოლეებს“ ეძახიან, რადგან (ცხენებს წველიან, და „მოსინიკებს“ ეძახიან მათი ბინების გამო.

მეტროპოლისი, ფრიგიის [ქალაქი], დაფუძნებული ღმერთთა დედის მიერ, როგორც ამბობს ალექსანდრე წიგნში „ფრიგიის შესახებ“. არის ფრიგიაში მეორე ქალაქიც, იმავე სახელწოდებით. მესამე ლიდიაშია, მეოთხე თესალიაში, მეხუთე აკარნანიაში; ეთნიკურია „მეტროპოლიტეს“. მეექვსეა დორიებისა. მეშვიდე პონტოში მცხოვრებ მოსინიკებისა. მერვე სკვითიაშია. მეცხრე ევბეაზე. მეათე ზემო თესალიაში.

მისგეტები, იბერთა ტომი. ჰეკატე ევროპაში.

მოსინიკები, ტომი, რომლის შესახებაც ევდოქსე<sup>2</sup> ლაპარაკობს „ქვეყნის აღწერის“ I წიგნში. ზედსართავი სახელია „მოსზნოიკოს“.

მოსხები, კოლხთა ცომი, მატინების<sup>3</sup> გვერდით. ჰეკატე „აზიაში“.

ნესოსი (კუნძული), ქალაქი ზღვაში. მცხოვრებს ჰეკია „ნესიტეს“, როგორც „კანობოს“ და „კანობიტეს“; ხოლო „ნესიონ“-იდან იქნება „ნესიოტეს“ და მდებდრო-

<sup>1</sup>) ხელნაწერებშია Μοσσονικων.

<sup>2</sup>) ევდოქსე კნიდოსელი, IV საუკ. ძვ. წ. მათემატიკოსი და გეოგრაფოსი, ავტორი 9 წიგნი შემცველი გეოგრაფიული შრომისა Γης περιόδος, რომელსაც წინათ III – II საუკ. ისტორიკოსის ევდოქსე როდოსელის ნაშრომად თვლიდენ.

<sup>3</sup>) მატინებზე სტევანე სწერს: «მატიანე, მიდიის ნაწილი, სტრაბონი XI წიგნში» (Strabo XI, 509; ed. Meineke II, 714).

τὸ κτητικὸν νησιωτικὸς. ἔστι καὶ  
Νῆσος πόλις Ἰβηρικῆ.

Παισαρκαι<sup>1</sup> ἔθνος ὑπὸ  
τὸν Καύκασον.

Πολεμώνιον, ἐν Πόντῳ λι-  
μὴν καὶ πόλις. τὸ ἐθνικὸν Πολε-  
μώνιος καὶ Πολεμωνιεύς.

Πόντος, ἰδικῶς ὁ Εὐξείνιος, τὸ  
ἐθνικὸν Πόντιος καὶ Ποντία καὶ  
Ποντίας, καὶ τὸ κτητικὸν Ποντι-  
κός. ἔστι καὶ Πόντος Πολεμωνια-  
κός ἐπαρχία.

Πυθνίς, πόλις Κόλχων, τὸ ἐθ-  
νικὸν Πυθνίτης τῷ λόγῳ τῶν εἰς  
αὐτὴν ληγόντων.

Ῥαία, πόλις μεταξὺ Σχυθίας  
καὶ Ἰρκακίας, τὸ ἐθνικὸν  
Ῥαίατος.

Ῥίξις, ἀκρα μεγάλη, ἣν οἰ-  
κοῦσι Τρωγλοδίται. οἱ κατοικοῦν-  
τες Ῥίξιται. δύνανται καὶ Ῥίξις  
Ῥίξις Ῥίξιανός ὡς Φασιανός.

Σάζοι<sup>2</sup>, ἔθνος παρὰ τῷ Πόν-  
τῳ.

ბითი სქესისა „ნესიოტის“; არის  
აგრეთვე „ნესაიოს“ მსგავსად „ქერ-  
საიოს“-ისა. ზედსართავი სახელი  
„ნესიოტიკოს“. ნესოსი არის აგ-  
რეთვე ქალაქი იბერიაში<sup>1</sup>.

პავსარკეები, ტომი კავკა-  
სიონთან.

პოლემონიონი, ნავთსადგუ-  
რი და ქალაქი პონტოში. ეთნიკუ-  
რია პოლემონიელი და პოლემონიე-  
ველი.

პონტო, კერძოდ ევქსინისა.  
ეთნიკურია „პონტიოს“, „პონტია“  
და „პონტიას“, ზედსართავი სახე-  
ლია „პონტიკოს“. არის აგრეთვე  
ეპარქია პონტო პოლემონიონისა.

პვენისი<sup>3</sup>, კოლხთა ქალაქი;  
ეთნიკურია „პვენიტეს“, როგორც  
მოითხოვს წესი ი-ით დაბოლოე-  
ბული სიტყვებისა.

რაია, ქალაქი სკვითიასა და  
ჰირკანიას შუა; ეთნიკურია „რაია-  
იოს“.

რიზისი<sup>4</sup>, დიდი კონცხი, სა-  
დაც ცხოვრობენ ტროგლოდიტები.  
მცხოვრებლებს ეწოდებათ რიზიტე-  
ბი. შეიძლება იყოს აგრეთვე „რი-  
ზის“ „რიზიოს“ „რიზიანოს“ მსგავ-  
სად „ფასიანოს“-ისა.

საზებე<sup>5</sup>, ტომი პონტოს გა-  
სწვრივ.

1) სტევანე არ სწერს, თუ რომელ იბერიას ჰგულისხმობს (ხანდახან აღნი-  
შნავს ხოლმე „დასავლეთის იბერიაში“ ან „აღმოსავლეთის იბერიაში“-ო).

2) ხელნაწერებში სწერია Παισαρκαι, მაგრამ ანბანთ რიგი მოითხოვს ს-ს.

3) კომენტატორების აზრით იგივე უნდა იყოს, რაც Τηϋις.

4) Holsenius-ის აზრით ეს უნდა იყოს არიანეს Ρίσιος (ე. ი. „რიზე“).

5) Holsenius -ით აქ ტექსტი უნდა იყოს შერყვნილი. ამის ნაცვლად უნდა  
ყოფილიყო Λαζοι (თუმცა ანბანთ რიგის მიხედვით მაშინ ამ ადგილას ვერ მო-  
ხვდებოდა).

Σαννίγαι, ἔθνος Σκυθίας τοῖς Ἄβασοῖς παρακείμενον.  
 Σάπειρες, ἔθνος ἐν τῇ μεσογείᾳ τῆς Ποντικῆς οἱ νῦν διὰ τοῦ β λεγόμενοι Σάβειρες.  
 Σίνδοι, ἀπὸ μεσημβρίας τῆς Μαιώτιδος λίμνης. ἔνιοι δὲ καὶ τὸ Σινδικὸν γένος φασὶν εἶναι τῶν Μαιωτῶν ἀπόσπασμα. λέγεται καὶ τὸ γυναικεῖον αἰδοῖον.  
 Σόανες, ἔθνος ἀνδρεῖον, ὡς Στράβων ἐνδεκάτῃ «πλησίον δὲ καὶ οἱ Σόανες».  
 Σταμένη, πόλις Χαλθίων. Ἑκαταῖος Ἀσία. τὸ ἔθνικόν Σταμεναῖος, καὶ Σταμένιος.  
 Σύνδικος, πόλις προσεχῆς τῇ Σκυθίᾳ. ἔχουσα λιμένα. ἔνιοι δὲ Γοργίπην καλεῖσι.  
 Τάοχοι, ἔθνος ἐνδοτέρω τοῦ Πόντου. καὶ ἡ χώρα οὕτω. τούτους τινὲς Τάους καλοῦσιν, ὡς Σοφαίνετος ἐν τῇ ἀναβάσει φησί.  
 Τάπουρροι, οὗ πόρρω Ἰρκανίας ἔθνος. Κουάδρατος Τάπουρρα φησί. τὸ ἔθνικόν Ταπουρραῖος.

ს ა ნ ნ ი გ ე ბ ი, სკვითიის ტომი აზაზგების მეზობლად.

ს ა პ ი რ ე ბ ი, ტომი შუაგულ პონტოში; ამჟამად მათ ეწოდებათ საბირები, ბანით გამოითქმის (და არა პარით).

ს ი ნ დ ე ბ ი, მეოტის ტბის სამხრეთით. ზოგიერთები ამბობენ, რომ სინდიკური ტომი მეოტელების განშტოებაა<sup>1</sup>. ასე ეწოდება აგრეთვე ქალის სარცხვინელ ასოს.

ს ო ა ნ ე ბ ი, ვაჟკაცური ტომი. სტრაბონი XI წიგნში ამბობს<sup>2</sup>: «მახლობლად არიან სოანეზიც».

ს ტ ა მ ე ნ ე <sup>3</sup>, ხალიბების ქალაქი. ჰეკატე „აზიაში“, ეთნიკურია „სტამენაიოს“ და სტამენიოს“.

ს უ ნ დ ი კ ო ს ი, ქალაქი სკვითიის გვერდით. აქვს ნავთსადგურიც. ზოგიერთები უწოდებენ გორგისპესს,

ტ ა ო ხ ე ბ ი, ტომი შიდა პონტოში. ქვეყანასაც ასე ჰქვია. ზოგიერთები მათ ტაოელებს ეძახიან, როგორც ამბობს სოფანეტე თავის „ანაბაზისში“.

ტ ა პ ი რ ე ბ ი, ტომი ჰირკანიის მახლობლად. კვადრატე<sup>4</sup> ეძახის „ტაპირა“-ს. ეთნიკურია ტაპირაიოს.

<sup>1</sup>) Berkelius-ის ჩვენებით ევსტათი (ad Dionys. Pereig. P. 42) სინდებს სხვა სახელს Ζიკχοი უწოდებს.

<sup>2</sup>) Strabo XI, p. 499 (ed. Meineke II, 701).

<sup>3</sup>) იგივე უნდა იყოს, რაც ს კ ი ლ ა ქ ს ი ს Σტამენია (იხ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი I, 86).

<sup>4</sup>) Asinius Quadratus, III საუკ. ახ. წ. რომელიც ისტორიკოსი, რომელმაც ბერძნულ ენაზე დასწერა რომის ისტორია რომის დაარსებიდან ალექსანდრე სევერეს ხანამდე. გარდა ამისა მას ჰქონია დაწერილი 9 წიგნის შემცველი Παρθικα, რომელიც თითქმის მხოლოდ სტევანე ბიზანტიელის დაპარმთებში დაცული ფრაგმენტებით არის ცნობილი.

- Τιβαρηνία, χώρα πρὸς τὴν Πόντον, πρὸς αἰεὶ Χάλυψι καὶ Μοσσυνοίοις. τὸ ἐθνικὸν Τιβαρῆται καὶ Τιβαρηνίαι, καὶ τὸ θηλυκὸν Τιβαρηνίς. Ἐφορος ἐν πέμπτῳ φησὶν ὅτι «Τιβαρηνίαι καὶ τὸ παίζειν καὶ τὸ γελᾶν εἰσὶν ἐξηλωκότες καὶ μεγίστην εὐχαιμονίαν τοῦτο νομίζουσιν, ὅμοιοι δὲ τοῖσι Χάλυβες καὶ τὸ τῶν Λευκοστίρων ἔθνος».

Τιπαρηνία, ἔθνος παρὰ τὸν Καύκασον. Ἑκαταίης Ἐδρώπη.

Τιμεύς, πόλις πρὸς τῇ Ὀδησσῷ. Στραβῶν ἕβδομη. ἀνομάσθη δὲ οὕτως διὰ τὸ Ἄψυρτον τὸν Αἰήτου υἱὸν ὑπὸ Μηδείας καὶ Ιάσονος ἐν τῇ φυγῇ ἐκεῖ καταμεγίσθαι.

Τορέται, ἔθνος Πεντικόν. Ἀπολλόνδωρος δευτέρῳ περὶ γῆς.

Τορτόμιον, πόλις μεταξὺ Συρίας καὶ Ἀρμενίας. τὸ ἐθνικὸν Τορτόμιος ὡς Βυζάντιος.

ტიბარენია, ქვეყანა პონტოში, ხალიბებისა და მოსინიკების მეზობლად. ეთნიკურია „ტიბარანოი“ და „ტიბარენოი“; მდედრობითი სქესისა „ტიბარენის“. ეფორე V წიგნში ამბობს <sup>1</sup>: «ტიბარენები გატაცებული არიან თამაშით და სიცილით და ამას თვლიან უდიდეს ბედნიერებად. მათ მეზობლად არიან ხალიბები და ლევკოსირთა ტომი».

ტიპანიები, ტომი კავკასიონთან. ჰეკატე „ევროპაში“.

ტომევისი, ქალაქი ოდესსონთან. სტრაბონი VII წიგნში <sup>2</sup>. ასე ეწოდება მას აიეტის შვილის აფსირტესაგან, რომელიც იქ იქმნა მოკლული მედეას და იასონის მიერ მათი ლტოლვის დროს.

ტორეტები, პონტოელი ტომი, როგორც ამბობს აპოლოდორე თავისი „ქვეყნის აღწერილობის“ მეორე წიგნში.

ტორტომი, ქალაქი სირიასა და არმენიას შუა <sup>3</sup>. ეთნიკურია „ტორტომიოს“, მსგავსად „ბიზანტიოს“-ისა.

<sup>1</sup>) ეფორე, ბერძენი ისტორიკოსი IV საუკ. ძვ. წ., ავტორი 30 წიგნის შემცველი და ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეული ნაშრომისა ἱστορία κοινῶν Πραξεῶν.

<sup>2</sup>) Strabo VII ობ. 318 (ed Meineke II, 437). ლაპარაკია თრაკიის ცნობილ ქალაქ ტომიზე (Τομι), სადაც 8 წელს ახ. წ. გადასახლებულ იქმნა რომაელი პოეტი ოვიდი ნაზონი (ამჟამად აქ არის ქალ. კონსტანცა). სტეფანე ბიზანტიელი ამ ქალაქის სახელს Τομευς აწარმოებს ზმნისაგან τεμνα „ვკვეთ, ვჭრი“. (მითით მედეამ მოკლა თავისი ძმა აფსირტე და ნაკუწ-ნაკუწ აქცია, „დაჭრა“, მისი გვამი).

<sup>3</sup>) ეს ქალაქი სხვაგან არსად იხსენიება ბერძნულ მწერლობაში. მისი მდებარეობის განსაზღვრა («სირიასა და არმენიას შუა», სირიისა და სომხეთის საზღვარზე) იქნებ მიგვითითებდეს იმაზე, რომ აქ „ტორტომი“ იგულისხმება.

Τραυχένιοι, ἔθνος περὶ τὸν  
πόντον Ἐϋξείνου, ἄμφορον Σινδωσις.

Τυήνεις, πόλις Κόλχων, ἀπὸ  
Τυηνίδος ποταμοῦ. τὸ ἔθνικὸν  
Τυηνίτης.

Ἰρκανοὶ, ἔθνος προσεχὲς  
τῇ Κασπίᾳ θαλάσσει, λέγεται καὶ  
Ἰρκανία Ἰρκανίς, ἐξ οὗ τὸ εἰς  
Ἰρκανίδα λίμνην, ὡς Ἀλέξαν-  
δρος ἐν Ἀσίᾳ.

Φάσις, πόλις τῆς Αἴας πρὸς  
τῇ Φάσιδι ποταμῷ ἐν Κόλχοις,  
ἐκτίσθη δὲ ὑπὸ Μιλησίων. τὸ ἔθ-  
νικὸν ἔδει Φασίτης ὡς Ὀασίτης  
Μεμφίτης, ἢ Φασιάτης, πλεονασμῷ  
τοῦ α, ὡς καὶ λέγεται. τὸ ἔθνι-  
κὸν Φασιάτης καὶ Φασιατικός<sup>2</sup>  
καὶ Φασιανός, ὡς Ἀριστοφάνης  
ἐν Ὀλκασί καὶ Φασιανῇ θυγλυκὸν  
καὶ «Φασιανὸν νάπος» εὐδατέρως.  
ἔστι καὶ ἄλλος ποταμὸς Φάσις  
ἐν τῇ Ταπρὸβάνῃ.

Φλάνων, πόλις καὶ λιμὴν περὶ  
τὴν Ἀψυρτον νῆσον. Ἀρτεμιδω-  
ρός ἐν ἐπιτομῇ τῶν ἰα' «μετὰ δὲ  
τὴν Ἀλων λιμὴν ἔστι Φλάνων  
καὶ πόλις Φλάνων, καὶ πᾶς ὁ κόλ-

ტრავქენიები, ტომი ევქსი-  
ნის პონტოს მახლობლად, სინდების  
მეზობელი.

ტუენისი, კოლხთა ქალაქი;  
სახელწოდება წარმოსდგება მდინარე  
ტუენისგან. ეთნიკურია „ტუენიტეს“.

ჰვრკანები, ტომი კასპიის  
ზღვის მახლობლად. ითქმის რო-  
გორც „ჰვრკანიოს“. ისე „ჰვრკანია“  
და „ჰვრკანის“, რის გამოც ალექ-  
სანდრეს<sup>1</sup> „აზიაში“ ნათქვამი აქვს  
«ჰვრკანიდის ტბისკენ».

ფასისი, აიას ქალაქი კოლხე-  
ბის ქვეყანაში, მდინარე ფასისზე.  
დაარსებულია მილეტელების მიერ.  
ეთნიკური უნდა იყოს „ფასიტეს“,  
როგორც „ოასიტეს“ და „მემფი-  
ტეს“, ან „ფასიატეს“ ორმაგი α-თი  
(ასე ამზობენ მართლაც). ზედსარ-  
თავი სახელია „ფასიატიკოს“ და  
„ფასიანოსი“, როგორც ამზობს  
არისტოფანე „ხომალდებში“; მდე-  
დრობითი სქესისა „ფასიანე“, სა-  
შუალო სქესისა „ფასიანონ“, მაგ.,  
ფასისის ჭალა. არის აგრეთვე მეო-  
რე მდინარე ფასისი<sup>3</sup> ტაპრობა-  
ნეში.

ფლანონი, ქალაქი და ნავთ-  
სადგური აფსირტის კუნძულზე.  
არღტემიდორე 11 წიგნისაგან შემდ-  
გარი თხზულების შემოკლებულ თხრო-  
ბაში ამზობს: «ალონის<sup>4</sup> შემდეგ

<sup>1</sup>) ალექსანდრე პოლიპისტორი, ისტორიკოსი I საუკ. ძვ. წ.

<sup>2</sup>) το εθνικον სწერია ორჯერ. Meineke-ს აზრით აქ უნდა ყოფილიყო κτη-  
τικον („ზედსართავი სახელი“).

<sup>3</sup>) ამ გამოთქმით «მეორე მდინარე ფასისი» ჩანს, რომ სტეფანეს  
დედაწიში მდინარე ფაზისზე იყო ლაპარაკი.

<sup>4</sup>) Αλων-ის ნაცვლად უნდა იყოს Αψαρον ან Αψυρτον.



πος οὗτος Φλανωνικός καλεῖται.  
ἀπὸ οὖν τῆς γενικῆς Φιλάνων Φλα-  
ωνίτης ὡς Νάρβων Ναρβωνίτης.

Χαβαρηνοί, ἔθνος. Εὐδ᾽ ἕως  
πρώτῃ γῆ; περιόδου «ὀνομάζον-  
ται γὰρ καὶ Χαβαρηνοί εἰ περὶ  
Χαλσῶν οἰκοῦντες, εἰ τῶν ξενι-  
κῶν γυναικῶν, ὧν ἴσως γένωνται  
κύριοι, [τ. ὕς] τίτθους ὠμοὺς ἐσ-  
θίουσι, τὰ δὲ παιδίᾳ κατευχοῦ-  
σι».

Χαλδαῖοι, οἱ πρότερον Κη-  
φηγες, ἀπὸ Κηφέως τοῦ πατρὸς  
Ἀνδρομέδης, ἀφ' ἧς καὶ τῆς  
Περσέως τῆς Δανάης καὶ Διὸς  
Πέρσης, ἀφ' οὗ καὶ Κηφηγες καὶ  
Χαλδαῖοι πρότερον [Πέρσαι] ἐκ-  
λίθησαν, ὡς εἴρηται ἐν τῇ περὶ  
Κηφηνίᾳ. Ἑλλάνικος δὲ φησὶν  
ἐν πρώτῃ Περσικῶν οὕτω «Κη-  
φέως οὐκέτι ζῶντις στρατευσάμε-  
νοι ἐκ Βαβυλῶνος ἀνέστησαν ἐκ  
τῆς χώρας...» λέγεται καὶ Χαλ-  
δαία χώρα. εἰσὶ δὲ καὶ Χαλδαῖοι  
ἔθνος πλησίον τῆς Κολχίδος.  
Σοφοκλῆς Τυμπανισταῖς «Κόλχος  
τε Χαλδαῖός τε καὶ Σύρων ἔθ-  
νος. εἰ μὲντοι χαριέστεροι περὶ  
Βαβυλῶνα λέγουσιν οἰκεῖν αὐτοὺς,  
ὡς δέδεικται, μαντεῖον δ' ἔχειν  
αὐτοὺς παρὰ βαρβάρους, ὡς Δελ-  
φοὶ παρ' Ἑλλήσιν».

რობენ. როგორც ჩანს, მათ სამისნო აქვთ ბარბაროსებში, ისევე რო-  
გორც ელინებში არის დელფო.

არის ნავთსადგური ფლანონი და  
ქალაქი ფლანონი და მთელს ამ  
ყურეს ჰქვია ფლანიკური». ნათე-  
საობითი „ფლანონ“-ისაგან წარ-  
მოსდგება „ფლონონიტეს“, რო-  
გორც „ნარბონ“-ისაგან „ნარბო-  
ნიტეს“.

ქაზარენები, ტომი. ევდოქსე  
თავისი „ქვეყნის აღწერილობის“  
I წიგნში ამბობს: «ქაზარენები ეწო-  
დებათ აგრეთვე ხალიბების მეზობ-  
ლად მცხოვრებთ; ისინი უმად ჭა-  
მენ იმ უცხო ქალთა ძუძუებს, რო-  
მელთაც დაეპატრონებიან ხოლმე;  
ზავშევებს კი უმასპინძლებიან...».

ქალდეველები; მათ წინათ  
ეწოდებოდათ კეფენები, ანდრომე-  
დეს მამის კეფევისაგან; ანდრომე-  
დესა და პერსევისაგან, დანაესა და  
ზევისაგან წარმოსდგა პერსე, რომ-  
ლისაგანაც კეფენებს ეწოდათ აგ-  
რეთვე ქალდეველები, წინათ [პერ-  
სეები], როგორც ნათქვამია თხზუ-  
ლებაში „კაფენიის შესახებ“. ჰელა-  
ნიკე კი ასე ამბობს: „პერსიკა“-ს  
პირველ წიგნში: «უკვე გარდაცვლი-  
ლი კეფევის მოლაშქრენი გამოე-  
მართნენ ბაბილონის ქვეყნიდან...»  
ითქმის აგრეთვე ქალდეის ქვეყანა.  
არის აგრეთვე ქალდეველების ტო-  
მი კოლხიდის მახლობლად. სო-  
ფოკლე „ტიმზანისტებში“ ამბობს:  
«კოლხიც, ქალდეველიც და სირი-  
ელთა ტომიც». მაგრამ უფრო მა-  
ხვილგონიერნი ამბობენ, რომ ისი-  
ნი ბაბილონის მახლობლად ცხოვ-

Χαλδία, χώρα της Ἀρμενίας. Μένιπς ἐν περιπέλω τῶν δυο Πόντων «... μέχρι τούτων τῶν βαρβάρων ἐστὶν ἡ Ποντικὴ βασιλεία». καὶ κατὰ Τιβαρτηνὴν καὶ Χαλδίην καὶ Σαννικήν<sup>2</sup>». οἱ ἐν ταύτῃ κατοικοῦντες Χάλδοι.

Χάλυβες, περὶ τὸν Πόντον ἔθνος ἐπὶ τῷ ποταμῷ Θερμῶδοντι, περὶ ὧν Εὐδοξος ἐν πρώτῳ «ἐκ δὲ τῆς Χαλβίων χώρας ὁ σίδηρος ὁ περὶ τὰ στομῶματα ἐπαινούμενος ἐξάγεται». τούτους Ὁμηρος Ἀλιζῶνάς φησιν ἐν τῷ μετὰ τοῖς Παφλαγόναις καταλόγῳ «αὐτὰρ Ἀλιζῶων Ὀδῖος καὶ Ἐπίστροφος ἤρχον τήλασθιν ἐξ Ἀλύβων, θῖθεν ἀργύρου ἐστὶ γενέθλη». ἦτοι τῆς γραφῆς μεταθεσίσης ἀπὸ τοῦ «τλήσθιν ἐκ Χαλβίης», ἡ τῶν ἀνθρώπων πρῶτον Ἀλύβων λεγομένων ἀντὶ τοῦ Χαλβίων. λέγεται καὶ μετὰ τοῦ δ Χαλβιδικῆς τὸ κτητικόν. Λυκόφρων «Χαλβεικῆ κινῶ ντι», καὶ ἡ χώρα Χαλβικὴ λέγεται καὶ Χάλυβοι παρ' Ἐκαταίῳ «Χαλβίσι πρὸς νότον Ἀρμένιοι ἐμουρέουσ».

Χαριμάται, ἔθνος πρὸς τῷ Πόντῳ, Παλαίφατος ἐν ἔβδόμῳ Τρωϊκῶν «Κερχειέων ἔχονται

ქალდია, არმენიის ქვეყანა. მენიპე<sup>1</sup> ორივე პონტოს „გარშემოვლამი“ ამბობს: «...ამ ბარბაროსებამდე აღწევს პონტოს სამეფო, და ტიზარენიამდე, ქალდიამდე და სანნიკემდე». აქაურ მცხოვრებლებს ეწოდებათ ქალდეები.

ხალიბები, ტომი პონტოზე, მდინარე თერმოდონტზე; მათ შესახებ ამბობს ევდოქსე I წიგნში: «ხალიბთა ქვეყნიდან გააქვთ რკინა, რომელსაც სიმაგრეს უქებენ». ამათ ჰომეროსი ჰალიძონებს ეძახის კატალოგში და ასახელებს პაფლაგონიელთა შემდეგ «ჰოდი და ეპისტროფე მეთაურობდენ ჰალიძონებს, მოსულთ ალიბთა შორეული ქვეყნიდან, სადაც წარმოიშობა ვერცხელი». ან დაწერილობაა აქ შეცვლილი და უნდა ყოფილიყო «ხალიბთა შორეულ ქვეყნიდან» ან დაწინათ მცოვრებლებს ალიბები რქმევია ნაცვლად ხალიბებისა. ითქმის აგრეთვე დ-ით, „ხალზდიკოს“, ზედსართავი სახელი. ლიკოფრონი ამბობს: «ხალიბდიკური მახვილით». ქვეყანას ჰქვია „ხალიბიკე“. ჰეკატე უწოდებს „ხალზბოი“: «არმენიელები ესაზვრებიან ხალიბებს სამხრეთისაკენ».

ქარიმატები, ტომი პონტოს გასწვრივ. პალაიფატე<sup>3</sup> „ტროიკა“-თა VII წიგნში ამბობს; «კერ-

<sup>1</sup>) მენიპე პერგამელი, I საუკ. გეოგრაფოსი (სტრაბონის თანამედროვე), ავტორი «ხმელთაშუა ზღვის გარშემოვლისა (ჰერიპლოსისა)».

<sup>2</sup>) ხელნაწერებში Σανδικην.

<sup>3</sup>) პალაიფატე, IV – III საუკ. მწერალი, ავტორი მითოგრაფიული ნაშრომისა περι αποιωτων და ისტ.-გეოგრაფიული თხზულებისა Τρωικα.

Μόσχοι καὶ Χαριμάται τοῦ Παρθενίου κρατέουσιν εἰς τὸν Εὐξείνου πόντον». καὶ Ἑλλάνικος ἐν κτίσεσιν ἐθνῶν καὶ πόλεων «Κερκετέων δ' ἄνω οἰκέουσι Μόσχοι καὶ Χαριμάται, κάτω δ' Ἡνίοχοι, ἄνω δὲ Κοραξοί».

Χοιράδες, πόλις Μοσσογονικῶν. Ἐκαταίος Εὐρώπη «Τιβερηνοῖσι δὲ πρὸς ἧλιον ἀνίσχοντα Μοσσογονικοὶ ὀμουρέουσι· ἐν δὲ αὐτοῖσι Χοιράδες πόλις». τὸ ἐθνικὸν Χοιραδῆς, ὡς τῆς Ἀρχάδος Ἀρχαδῆς καὶ τῆς Χαλκίδος Χαλκιδῆς καὶ τῆς Τρωάδος Τρωαδῆς.

Ὠβερηνοί, μέρος Ἀρμενίας παρακαίμενον Κύρη πριταμῶ, ὅστις Εὐφράτη παραλλήλως ἔχει. μέμνηται δ' αὐτῶν καὶ Κουάδρατος ἐν ἑκτῷ Παρθικῶν «παρὰ δὲ Κύρη πριταμῶ Ὠβερηνοί τε καὶ Ὠτηνοί νέμονται, μέγα μέρος Ἀρμενίας ὄντες».

Ὠτηνή, μοῖρα Ἀρμενίας, Κουάδρατος ἐν Παρθικῶν τρίτῳ «δὲ δὲ τῆς Ἀρμενίας βασιλεὺς Πάκορος ἐν τούτῳ περὶ Ἀρτάξατα καὶ τῆς Ὠτηνῆς τῆς Ἀρμενίας διάγω». τὸ ἐθνικὸν ὁ αὐτὸς ἐν τῷ δευτέρῳ «περὶ δὲ Κύρεν πριταμῶν Ὠβερηνοί τε καὶ Ὠτηνοί νέμονται, μέγα μέρος Ἀρμενίας ὄντες».

კეტებს ესაზღვრებიან მოსხები, და ქარიმატებმა ხელთ იგდეს პართენიონი ევქსინის პონტოსთან». ჰელანიკეც თავის თხზულებაში „ხალხთა და ქალაქთა დაფუძნება“ ამბობს: «კერკეტების ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ქარიმატები, ხოლო ქვემოთ ჰენიოხები, ზემოთ კი კორაქსები».

ქოირადესი, მოსინიკთა ქალაქი. ჰეკატე ამბობს: «ტიბარენებს აღმოსავლეთით ესაზღვრებიან მოსინიკები; ამათ ქვეყანაში არის ქალაქი „ქოირადესი“. ეთნიკურია ქოირადეველი, როგორც არკადიარკადევს, ქალკიდიდან ქალკიდევეს და ტროადიდან ტროადევს.

ობარენოი, არმენიის ნაწილი, მდინარე მტკვარზე მდებარე (მტკვარი ევფრატის პარალელურად მიმდინარეობს). ამ ნაწილს იხსენიებს კვადრატე თავის „პართიკა“-ს VIII წიგნში: «მდინარე მტკვარზე ცხოვრობენ ობარენები და ოტენები, რომელთაც უჭირავთ არმენიის დიდი ნაწილი».

ოტენე, არმენიის ქვეყანა. კვადრატე „პართიკა“-ს III წიგნში ამბობს: «არმენიის მეფე პაკორი ამ დროს იმყოფებოდა არტაქსატაში და ოტენეში, არმენიის ქვეყანაში», იმასვე მოჰყავს II წიგნში ეთნიკური სახელი: «მდინარე მტკვარზე ცხოვრობენ ობარენები და ოტენები, რომელთაც უჭირავთ არმენიის დიდი ნაწილი».

## ევგერი სქოლასტიკოსი

ევგერი (Ευαγριος) დაიბადა 536 წლის მახლობელ ხანებში სირიის ქალაქ ეპიფანიაში (კოილესირიაში). მიიღო იურიდიკული განათლება ანტიოქიაში და იქვე ვეჭილობდა (აქედან, მისი სახელწოდება Σχολαστικος). როდესაც ანტიოქიის პატრიარქი გრიგოლი (570 – 593) მის წინააღმდეგ აღმრული საქმის გამო კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, ევგერიც თან გაჰყვა. აქ ევგერი დაუახლოვდა მეფის კარს, ტიბერი კეისრისაგან მიიღო მან კვესტორის საპატიო წოდება (580 წ.), ხოლო შემდეგ (590 წ.) მავრიკი კეისრისაგან ექსპრეფექტისა. გარდაიცვალა 600 წლის მახლობელ ხანებში.

ევგერიმ დასწერა 6 წიგნის შემცველი „საეკლესიო ისტორია“, რომელიც 431 წლით იწყება და 594 წლით თავდება. როგორც ის თვითონ სწერს პირველი წიგნის შესავალში, მის მიზანს შეადგენს განაგრძოს საეკლესიო ისტორია იქიდან, სადაც შეჩერდნენ ევსევი, სოზომენე, თეოდორიტი და სოკრატე, ე. ი. თეოდოსიდან: "Ἀρχομαι δε, τῆς θείας ἡγουμένης ροπῆς, ἡσθὲν ἡοὶ λελεγμένοι μοι τὴν ἱστορίαν ἀπελειπὸν („მამ დავიწყებ, თვთის შეწევნით, იქიდან, სადაც ჩემ მიერ მოხსენებულმა პირებმა შეწყვიტეს თხრობა“). საეკლესიო მწერლების გარდა ევგერი სარგებლობს აგრეთვე საერო ისტორიკოსებით (პროკოპი კესარიელით – IV წიგნში, მენანდრე პროტიექტორით – V წიგნში, იოანე ეპიფანიელით – VI წიგნში).

გ ა მ ო ც ე მ ა: The ecclesiastical history of Euagrius with the scholia, edited with introduction, critical notes and indices by J. B i d e z, chargé de cours at the university of Ghent, and L. P a r m e n t i e r, professor of the university of Liège. London, Methuen, 1898, XIV+285+II. ხელთ გვექონდა აგრეთვე რუსული თარგმანი: Церковная История Евагрия, ПБ. 1853.

### პეტრე იბერიელი.

Ἄλλ' οὐδὲ τὰ κατὰ τὴν ἔρημον τὴν πρὸς τὰ Ἱεροσόλυμα τὴν ἡρεμίαν εἶχεν. Ἐνιοὶ γὰρ τῶν μοναχῶν τῶν ἀνατὴν τὴν συνοδὸν ἐν-ρεμῆντων καὶ τὰναντία τῆς τῆς βουληθέντων φρονεῖν, πρὸς τὴν Παλαιστίνην ἀφικνοῦνται καὶ προσδοσίαν τῆς πίστεως ἀναρόμενοι τὸ μοναχικὸν ἔσπευδον ἀναρριπῆσαι καὶ ἀνασοφῆσαι. Καὶ ἐπειδὴ περ Ἰουβενάλιος τὸν οἰκείον κατελήφει

II 5. არც იერუსალემის მახლობლად მდებარე უდაბნოში სუფევდა სიმშვიდე. ზოგიერთი იმ მონაზონთაგანი, რომლებიც სინოდს დაესწრნენ და მის საწინააღმდეგო აზრებს ატარებდნენ, პალესტინაში დაბრუნდა; და ისინი, ჩივოდნენ სარწმუნოებრივი დაღატაკის შესახებ და გამმაგებით ცდილობდნენ აღენთოთ და აელეღვებინათ მონაზონები. როგორც კი ჩაიბარა იუვენალიმ

ἰθρόνον, καὶ βιαζόμενος παρὰ τῶν ἀνασυρέντων τὰ οἰκεία ἀνασκευάσαι τε καὶ ἀναθεματίσαι κατὰ τὴν βασιλείας πόλιν ἀνέδραμεν, ἀλισθέντες οἱ τάναντια πῆς ἐν Καλχηδόνι συνόδου, ὡς ἀνωτέρω εἰρήκαμεν, φρονούντες χειροτονοῦσιν ἀνά τὴν ἀγίαν Ἀνάστασιν Θεοδόσιον, τὸν μάλιστα κυήσαντα τὴν ἐν Καλχηδόνι σύνοδον, τὸν καὶ πρῶτον περὶ ταύτης αὐτῆς ἀγγείλαντα.....

Πρὸς δὲ πολλὰ τῶν ἐν Παλαιστίνῃ πόλεων ἀφικνούμεναι χειροτονεῖσθαι σφίσι ἐπισκόπους παρεσκευάζον. Ἐν οἷς καθεστήκει καὶ Πέτρος ὁ ἐξ Ἰβηρίας, τοῦ καλουμένου Μαΐουμα τοῦ πρὸς τῇ Γαζαίων πόλει τοῦς οἰκάας τῆς ἐπισκοπῆς πιστευθείς. Ἄπερ ἐπειδὴ Μαρκιανὸς ἔγνω, πρῶτα μὲν ἀχθῆναι παρ' αὐτῷ κατὰ τὸ στρατόπεδον τὸν Θεοδόσιον κελεύει, ἐκπέμπει δὲ τὸν Ἰουβενάλιον πρὸς διόρθωσιν τῶν γεγενημένων, ἀπελαθῆναι πάντας τοῦς ὑπὸ Θεοδοσίου χειροτονηθέντας ἐγκελευσάμενος (ed. Bidez-Parmentier 51,27—52,14).

Ἔτι δὲ βασιλεύοντος Ῥωμαίων Σευήρου, Μαρκιανὸς τὴν βασιλείαν ἐναλλάττει πρὸς τὴν κρείττονα μεταχωρήσας λήξιν, ἐπὶ μὲν μόνοις ἔτεσι τὴν βασιλείαν

თავისი საყდარი და გაშმაგებულთა წაქეზებით თავისი მდგომარეობა რომ აღადგინა და შეჩვენებანი წარმოთქვა და სამეფო ქალაქისკენ გასწია, ისინი, ვინც, როგორც ზემოთ ვთქვით, ქალკედონის სინოდის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი, შეიკრიბნენ და აღდგომის ტამარში ხელდაასხეს თეოდოსის, რომელმაც ყველაზე უფრო არია საქმეები ქალკედონის სინოდზე და რომელმაც პირველმა აცნობა მათ ამ სინოდის შესახებ. – ...

პალესტინის ქალაქთაგან მრავალი მოვიდა მასთან (ე.ი. თეოდოსისთან) და ხელდაასხმევინეს თავისთვის ეპისკოპოზები. ამათ შორის იყო აგრეთვე პეტრი იბერიელიც, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა საეპისკოპოზო საქე ეგრეთწოდებული მაიუმისა და ზელთა ქალაქის მახლობლად რომ არის. როდესაც ეს მარკიანემ გაიგო, პირველ ყოვლისა ბრძანა მასთან სასახლეში მოეყვანათ თეოდოსი, ხოლო იუვენალი გაგზავნა მომხდარი ამბების გამოსასწორებლად და დაავალა მას ყველა, თეოდოსის მიერ ხელდასხმული, ეპისკოპოზები გაემევებინა<sup>1</sup>.

II, 8. როდესაც რომაელების მეფედ ჯერ კიდევ სევერე იყო, მარკიანემ გამოიცვალა სამყარო და გადავიდა უკეთეს ბედზე, მის შემდეგ რაც შვიდი წლის განმავლო-

<sup>1</sup>) შდ. ზ ა ქ ა რ ი ა რ ე ტ ო რ ი ს მონათხრობი ამავე საკითხებზე, ზემოთ გვ. 3 და შემდ.. ამავე ამბებს ეხება Theophanes, Chronographia ed. de Boor p. 107 (მარამ თეოფანეს არსად არა ჰყავს მოხსენებული პეტრე იბერიელი).

διακυβερνήσας, μνημείον δὲ ὄν-  
τως βασιλικὸν καταλειπὼς πα-  
ρὰ πᾶσιν ἀνθρώποις, βασιλεύει  
δὲ Λέων. Ὅπερ οἱ τῆς Ἀλε-  
ξανδρέων πυθόμενοι τὴν κατὰ  
Προτερίου μετὰ μείζονος θυμοῦ  
καὶ πλείστης θερμότητος ἀνενοῦν-  
τα μῆνιν (BP 55,9—16).

Ἐπιτηρήσαντες δ' οὖν καιρὸν  
οἱ τῆς Ἀλεξάνδρου καὶ ὁ Διο-  
νύσιος τῶν στρατιωτικῶν ταγμα-  
τῶν ἡγούμενος ἀμφὶ τὴν ἀνω  
διέτριβεν Αἴγυπτον, φηφίζονται  
Τιμόθεον τὸν ἐπίκλην Αἴλουρον  
εἰς τὸν τῆς ἀρχιερωσύνης ἀνα-  
βῆναι βαθμὸν, πρῶτον μὲν τὸν  
μοναδικὸν ἐπιτηδεύσαντα βίον,  
ὕστερον δὲ ταῖς πρεσβυτέροις ἐνα-  
ριθμηθέντα τῆς Ἀλεξάνδρων  
καὶ πρὸς τὴν μεγάλην ἀγαθόν-  
τες ἐκκλησίαν, ἣ Καίσαρος προ-  
σαγορεύεται, ἐπίσκοπον σφίσι πρό-  
χειρίζονται, ἔτι Προτερίου περιόν-  
τος τε καὶ τὰ τῆς ἰερατείας ἀν-  
τουργουήσας. Παρήσαν δὲ τῇ  
χειροτονίᾳ Εὐσέβιος ὁ τῶν Πελου-  
σίου πρόεδρος, Πέτρος τε ὁ ἐξ  
Ἰβηρίας Μαίουμα τοῦ πολιχνίου,  
ὡς τὰ περὶ τούτων ἱστορήται τῷ  
τὸν βίον συγγράφαντι Πέτρου. ὃς  
φησι τὸν Προτέριον μὴ τὸν δῆμιον,  
ἀλλὰ τινὰ τῶν στρατιωτῶν διαχει-  
ρίσασθαι (BP 55,27—56,12).

ბაში მართა სამეფო და ყველა ადა-  
მიანში დასტოვა მართლაც რომ  
მეფური ძეგლი. გამეფდა ლეონი.  
ეს რომ გაიგეს ალექსანდრიის  
მცხოვრებლებმა, წინანდელზე უფრო  
მეტის აღზნებით და სიცხოველით  
განაახლეს თავიანთი რისხვა.

ალექსანდრიის ქალაქის მცხოვ-  
რებლებმა შეარჩიეს დრო, როდესაც  
სამხედრო რაზმების წინამძღო-  
ლი დიონისე ზემო ეგვიპტეში იმ-  
ყოფებოდა, და დაადგინეს არქიე-  
ლის საყდარზე დაეყენებინათ ტი-  
მოთე, მეტსახელად ელური, რო-  
მელიც წინათ მონაზონურ ცხოვ-  
რებას ეწეოდა, ხოლო შემდეგ  
ალექსანდრიის მთავრებში იქმნა  
ჩარიცხული: და ის მიიყვანეს ალექ-  
სანდრიელებმა დიდ ეკლესიაში,  
რომელსაც კეისრისა ეწოდება, და  
აირჩიეს თავიანთ ეპისკოპოზად,  
თუმცა პროტერი ჯერ კიდევ ცოც-  
ხალი იყო და მღვდლობას ასრუ-  
ლებდა. ხელდასხმაზე იყვნენ ევსევი,  
პელუზიის წინამძღვარი, და პეტ-  
რე იბერიელი, დაბა მაიუმის  
წინამძღვარი, როგორც ეს მოთხრო-  
ბილი აქვს პეტრეს ცხოვრების  
აღმწერელს. უკანასკნელი ამბობს,  
რომ პროტერი ხალხმა კი არ მოკ-  
ლა, არამედ ერთმა ჯარისკაცმა.

შემდეგ ამის შესახებ ეგვიპტის ეპისკოპოზები ლა ალექსანდრიის მცხოვ-  
რებლები ასე სწერენ ლეონ მეფეს:

„Καὶ μόλις <sup>1</sup> διαγενομένης ἡμέ-

„და ძლივს ერთმა დღემ გაიარა

<sup>1</sup>) მოსი] მონის.

ρας, ἐν τῇ ἐπισκοπείᾳ κατὰ τὸ ἔθνος διάγοντος τοῦ θεοφιλεστάτου Προτερίου, λαβὼν μετ' ἑαυτοῦ ὁ Τιμόθεος τοὺς καθαιρεθέντας ἐνδίκως δύο ἐπισκόπους, καὶ κληρικούς ὁμοίως τὴν ἐξορίαν, ὡς ἔφημεν, οἰκεῖν κατακριθέντας, ὡς δὴ χειροτονίαν παρὰ τῶν δύο δεξάμενος, μηδενὸς τὸ σύνολον τῶν κατὰ τὴν Αἴγυπτιακὴν διοικήσιν ὀρθοδόξων ἐπισκόπων παρόντος κατὰ τὸ εἶδη ἐπὶ ταῖς τοιαύταις τῆς Ἀλεξανδρέων τοῦ ἐπισκόπου χειροτονίας, ἐπιλαμβάνεται ὡς ἐνόμισε τῆς μὲν ἱερατικῆς καθέδρας, μισείαν προδήλως τολμήσας κατὰ τῆς ἐχούσης ἐκκλησίας τὸν ἑαυτῆς νύμφιον, καὶ ἐνεργοῦντος ἐν αὐτῇ τὰ θεῖα καὶ καγονικῶς τὸν οἰκεῖον διέποντος φρόνον“ (B<sup>P</sup> 58,4—16).

‘Ὁς (scil. Σευήρος) πατρίδα τὴν Σαζοπολιτῶν κληρωσάμενος, ἣ μία τοῦ Πισιδῶν ἐστὶν ἔθνος, δικανικοῖς πρώην ἐσχολάκει λόγους ἀνὰ τὴν Βηρυτιῶν. ἐκ δὲ τῆς τῶν νόμων ἀσκήσεως εὐμὺς τοῦ ἀγίου μεταλαβὼν βαπτίσματος ἀνὰ τὸν ἱερὸν τέμενος Λεοντίου τοῦ θεσπεσίου μάρτυρος, τοῦ ἐπὶ τῆς Τριπολιτῶν Φοινίκης παράλου τιμωμένου, ἐπὶ τὸν μονήρη βίον μετέλθει ἐν τινι φροντιστηρίῳ, ἀνὰ τὸν μέσον

ამის შემდეგ, რომ ტიმოთემ, როდესაც ღვთივ-საყვარელი პროტერი ჩვეულებისამებრ საეპისკოპოზო სახლში იყო, თან წაიყვანა ორი ეპისკოპოზი, რომელნიც კანონიერად იყვნენ გადაყენებული, და კლერიკოსები, რომლებსაც აგრეთვე, როგორც ვთქვით, ექსორია ჰქონდათ მისჯილი, და მიიღო ხელდასხმა ამ ორი ეპისკოპოზისაგან, თუმცა სრულიად არც ერთი მართლმადიდებელი ეპისკოპოზი ეგვიპტის დიოიკეზიდან იქ არ დასწრებია, – ეს კი წესით აუცილებელია ალექსანდრიის ეპისკოპოზის ასეთი ხელდასხმის დროს, – და, თავისი ფიქრით, მიიღო სამღვდელმთავრო კათედრა, რითაც აშკარად უწესოდ მოიქცა იმ ეკლესიის წინააღმდეგ, რომელსაც ჰყავდა თავისი მომვლელი, იქ რომ ღვთისმსახურებას ასრულებდა და სჯულიერად მართავდა თავის საყდარს.

III, 33 . ის (ე. ი. სევერე) <sup>1</sup>, რომლის სამშობლოდ სოზოპოლისი იყო წილხდომილი, პიზიდიელთა ტომის ერთი ქალაქი, ჯერ ბეირუტში სწავლობდა სამართლის მეცნიერებას; კანონთა სწავლის შემდეგ მან პირდაპირ წმინდა ნათლობა მიიღო წმინდა ტამარში ღვთაებრივი ლეონტისა, რომელსაც თავყვანს სცემენ ზღვისპირა ფინიკიის ტრიპოლიტთა ქალაქში, და ის მიეცა განმარტოებულ ცხოვრებას ერთ მონასტერში, რომელიც მდებარეობს

<sup>1</sup>) ანტოქიის პატრიარქი, 512 – 518 წლებში, ფლავიანეს გაძევების შემდეგ.

χώρον καιμένω Γάζης τοῦ πολισ-  
ματος καὶ τοῦ λεγομένου Μαιου-  
μαῖ τοῦ πολιχνίου. Ἐνθα καὶ  
Πέτρος ὁ Ἰβηρ ὁ τῆς αὐτῆς Γά-  
ζης πρεδρεύσας καὶ σὺν Τιμοθέω  
τῷ Ἀλλοῦρω πεφευγῶς διὰ τῶν  
αὐτῶν ἤλθε σκαμμάτων, πολὺν  
λόγον ἑαυτῷ καταλειπῶς (Bider-  
der-Permentier 131,25—  
132,4).

ქალაქ ღაზასა და ეგრეთწოდებულ დაბა მაიუმას შუა<sup>1</sup>. ასეთივე ცხოვრებისათვის მივიდა იქ აგრეთვე პეტრე იბერიელიც, ამ ღაზის წინამძღვარი რომ იყო და ტიმოთე ელურთან ერთან გამოქცეული: მან თავისი თავის შესახებ ზევრი რამ სათქმელი დასტოვა.

### პონტო, კავკასიონი და კოლხეთი.

Μέγιστον δὲ τι τῷ αὐτῷ βασιλεῖ κατείργασται καὶ μνήμης ἄξιον, [καὶ] τὸ μικρὸν καλούμενον τεῖχος, καλῶς τῆς Θράκης κείμενον· ὅπερ δίσταται μὲν τῆς Κωνσταντινουπόλεως σταδίους ὀγδοήκοντα μάλιστα καὶ διακοσίους, ἑκατέραν δὲ θάλατταν περιλαμβάνει ἐπὶ σταδίους εἴκοσι καὶ τετρακοσίους, δίκην πορθμοῦ τινος· τὴν τε πόλιν μικρὸν νῆσον ἀντὶ χειρρονήσου ποιήσαν, τὴν τε βουλομένους διαπορθμεῖον ἀσφαλέστατα ἀπὸ τοῦ καλουμένου Πόντου ἐς τὴν Προποντίδα καὶ τὴν Θράκιον θάλατταν, εἶργον τοὺς τε ἐκθρόνους βαρβάρους ἔκτε τοῦ καλουμένου Εὐξείνου Πόντου Κόλχων τε καὶ τῆς Μαιώτιδος λίμνης καὶ τῶν ὑπὲρ τὸν Καύκασον καὶ τοὺς κατὰ τὴν Εὐρώπην ἐκκεχυμένους (Bidez-Parmentier 136,19—31).

III. 34. დიდებული და ღირსსახსოვარი რამ გაკეთდა იმავე მეფის ანასტასის მიერ, სახელდობრ, ეგრეთწოდებული გრძელი კედელი, მდებარე თრაკიისათვის ხელსაყრელ ადგილას; ეს კედელი დაშორებულია კონსტანტინოპოლის ორასოთხმოც სტადიონზე მეტით, ორივე ზღვას შემოუვლის ოთხას ოცი სტადიონის მანძილზე, რაღაც სრუტის მსგავსად; ქალაქსაც ნახევარკუნძულის მაგიერ თითქმის კუნძულად აქცევს, მსურველთათვის უზრუნველყოფს ეგრეთწოდებულ პონტოდან პროპონტისში და თრაკიის ზღვაში გადასვლას, ხოლო ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტოდან, კოლხთა ქვეყნიდან, მეოტის თბიდან და კავკასიონის იქითა ქვეყნიბიდან შემოსულ ბარბაროსებს, ისევე როგორც ევროპის მხრიდან მოზღვავებულებს, ჰკეტავს.

<sup>1</sup>) შდ. თეოფანეს 156.



**კონსტანტინეს გაქრისტიანება და იბერია – ალბანია – კოლხეთი.**

Φησὶ γὰρ (scil. Ζώσιμος) καὶ ἕτερα ἅπτα λὶαν ἀνύποιστα κατὰ πάσης ἐξεῦρεῖν τύχης, καὶ Κρίσπον τὸν παῖδα δευλαίως ἀφανίσαι, καὶ Φαῦσταν τὴν αὐτοῦ γαμετὴν ἐν βαλανείῳ ὑπὲρ τὸ μέτρον ἐκπυρωθέντι καθιέρξαντα ἐξ ἀνθρώπων μεταγαγεῖν, καθάρσαι τε παρὰ τοῖς σφῶν ἱερεῖσι ζήτοῦντα τῶν τοιοῦτων ἐναγῶν φόβων καὶ μὴ τυχόντα—μηδὲ γὰρ εἶναι τοῖτους ἀναφανδὸν εἰπεῖν — περιυχεῖν Αἰγυπτίῳ ἐξ Ἰβηρίας ἀφιγμένῳ· καὶ πρὸς αὐτοῦ πιστωθέντα πάσης ἀμαρτάρως ἀναιρετικὴν εἶναι τὴν χριστιανῶν πίστιν, μεταλαβεῖν ὧν ὁ Αἰγύπτιος αὐτῷ μεταδέδωκε· κἀντεῦθεν τὴν πατρίαν καταλειποῦντα νόμοισιν, τῆς ἀσεβείας, ὡς αὐτὸς ἔφη τὴν ἀρχὴν ποιήσασθαι (Bidez-Parmentier 139,13—25).

Φῆς δὲ, ὃ ἐξάγιστε καὶ παμμίκαρε σά, ὡς καὶ τὰ Ῥωμαίων πράγματα, ἐξ οὗ τὰ χριστιανῶν ἐδείχθη, διερρήη τε καὶ παντά-

III 40. ბევრ სხვაა სრულიად შეუწყნარებელ ამბებსაც იგონებს ზოსიმე, როგორც კი მოხვდება; ასე, მაგალითად, ის ამბობს, რომ კონსტანტინემ უბედურად მოულო ბოლო თავის შვილ კრისპეს, რომ თავისი მეუღლე ფავსტა ზომიზე მეტად გახურებულ აბანოში ჩაამწყვდია და წუთისოფელს გამოასალმა<sup>1</sup>. და ასეთი უწმინდური მკვლევობებისაგან განწმენდას ეძებდა თავის ქურუმთაგან, და ამას რომ ვერ მიაღწია – ვინაიდან მათ აშკარად თქვეს ეს არ იქნებაო – შეხვდა მას ერთი ეგვიპტელი, ი ბ ე რ ი ი დ ა ნ ჩამოსული<sup>2</sup>; და მისგან ირწმუნა, რომ ქრისტიანთა სარწმუნოება ყოველგვარი შეცოდების აღმგველია, გაიზიარა ის, რაც მას ეგვიპტელმა გადასცა; და ამიერიდან მამაპაპური რწმენა დასტოვაო და, როგორც თვითონ ზოსიმე ამბობს, დასაბამი მიეცა უღვთობასო.

III 41. ამბობს აგრეთვე, შეწყელო და უწმინდურო, რომ რომაელთა ძალაუფლება, მის შემდეგ რაც ქრისტიანთა სარწმუნოება

<sup>1</sup>) ზოსიმეს, V საუკ. მეორე ნახევრის ისტორიკოსს, თავის „ისტორიაში“ (II, 29) მოთხრობილი აქვს, რომ კონსტანტინემ მოაკვლევინა თავისი უფროსი ვაჟი კრისპე (Flavius Iulius Crispus), რადგან ეჭვობდა, რომ ის თავის დედინაცვალთან, ფავსტასთან (კონსტანტინეს მეუღლესთან), ცხოვრობდა. ხოლო კონსტანტინეს დედამ, ელენემ, გამოაშკარავა ფავსტას დანაშაული ამ საქმეში და კონსტანტინემ ფავსტა ზომიზე მეტად გახურებულ აბანოში გამოახრჩობინა (Zosimi Historia nova, ed L. Mendelssohn, Lp. 1887, p. 85 – 86).

<sup>2</sup>) გაურკვეველია, თუ რომელ იბერიას ჰგულისხმობს ზოსიმე, დასავლეთისას თუ აღმოსავლეთისას. ზოსიმეს „ისტორიის“ გამომცემელი ლ. მენდელსონი, როგორც ეს მის მიერ დართული საძიებლიდან ჩანს, დასავლეთისას ჰგულისხმობს.

πασιν ἀπώλετο, ἣ ὀυδὲν τῶν παλαιότερων ἀνεγγνωκῶς ἦ πρὸς τὴν ἀλήθειαν ἐβελοκακῶν. Τοῦναντίον γὰρ διαφανῶς δεικνυται τῆ ἡμετέρα πίστει συναξήσαι τὰ Ῥωμαίων πράγματα. Θεὰ τοίνυν ὡς παρ' αὐτὴν τὴν ἐν ἀνθρώποις ἐπιδημίαν Χριστοῦ τοῦ θεοῦ ἡμῶν Μακεδόνων οἱ πλείους ὑπὸ Ῥωμαίων καθ' ἡρέθησαν, Ἀλβανία τε καὶ Ἰβηρία<sup>1</sup> καὶ Κόλχοι καὶ Ἄραβες Ῥωμαίως ὑπετάγησαν (Bidez-Parmetier 141,21—30).

...δσάκις τε Σελεύκεια καὶ Κτησιφῶν ἦλω, Νίσιβις τε ἐπ' ἀμφοτέρα τρεπομένη Ἀρμενία<sup>2</sup> τε καὶ τὰ πλησιάζοντα<sup>3</sup> ἔθνη Ῥωμαίως προσετέθη, μεθ' ἑτέρων ἱστορεῖς (Bidez-Parmetier 142,23—26).

იქმნა მიღებული, დაირღვა და სრულიად დაინგრა; ან ძველი ამბების არაფერი გაგვეგება, ან და ჭეშმარიტებას განზრახ ამახინჯებ. ვინაიდან, პირიქით, ცხადად მტკიცდება, რომ ჩვენს სარწმუნოებასთან ერთად რომაელთა ძალაუფლებაც გაიზარდა. მაშ, შეხედე, როგორ დაამხვეს რომაელებმა მეტი წილი მაკედონიისა ჩვენი უფლის მოსვლის დღიდან ადამიანებთან, და როგორ დაემორჩილნენ რომაელებს ალბანია, იბერია, კოლხებიც და არაბებიც.

... თუ რამდენჯერ იქმნენ ადებული სელევკია და ქტეზიფონი, თუ როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში ნიზიზინიც და როგორ მიეკედლნენ რომაელებს არმენიაც და მისი მეზობელი ტომებიც, – ამას შენ თვითონ მოგვითხრობ სხვა ამბებთან ერთად.

### კაპადოკიის (კასპიის) კარები.

Τυραννεῖ τὸν Ἀναστάσιον Βιτλιανὸς Θράξ γένος, δὲ τὴν τε Θράκην καὶ Μυσίαν μέχρις Ὀδυσσοῦ καὶ Ἀρχιάλου δῆσας ἐπὶ τὴν βασιλείαν ἠπειγέτο, πληθὺς ἀστάθμητον ἔχων Οὐγγικῶν ἐθνῶν (Bidez-Parm. 145,1—4) Ἐπέδραμεν καὶ ἕτερον γένος Οὐγγικὸν περαιωθὲν τὰς Καππαδοκῶν πύλας (BP. 145,30—31).

III, 43. ანასტასიოზე იმძლავრა ვიტალიანემ, ტომით თრაკიელმა, რომელმაც მოახრია თრაკია და მეზია ვიდრე ოდისამდე და ანქილამდე და გაემართა სამეფო ქალაქის წინააღმდეგ: მას ჰყავდა ჰუნნთა ტომების უთვალავი რაოდენობა... შემოიჭრა აგრეთვე ჰუნნთა მეორე ტომიც, რომელიც კაპადოკიის კარებით გადმოვიდა<sup>4</sup>.

<sup>1</sup>) ვარიანტები: Ἰβηρία. – <sup>2</sup>) Ἀρμενία. – <sup>3</sup>) παραπλησιαζοντα.

<sup>4</sup>) ამ ადგილისათვის ევგერის წყაროს წარმოდგენს მ ა ლ ა ლ ა (CB 406), სადაც კაპადოკიის კარების ნაცვლად ვკითხულობთ «კ ა ს პ ი ს კარებს»; იხ. ზე-

**ქრისტიანობის განმტკიცება აზნაზებში და გუთებში.**

‘Ο αὐτὸς ἱστορεῖ Ἄβασγούς ἐπὶ τὸ ἡμερῶτερον μεταστάντας ὑπὸ τῆς αὐτοῖς χρόνοις τὰ χριστιανῶν ἐλέσθαι δόγματα, βασιλέα τε Ἰουστινιανὸν τῶν τινα ἐκ τῆς ἀβλῆς εὐνούχων, Ἄβασγὸν δὲ τὸ γένος, Εὐφρατᾶν ὄνομα, πέμψαι παρ’ αὐτοῖς ἀπαγορεύοντα μηδένα τὸ λοιπὸν ἐν τούτῳ τῷ ἔθνει περὶ τὴν ἀρρενωπίαν ἀποφιλῶσθαι σιδηρῷ βιαζομένης τῆς φύσεως. Ἐξ αὐτῶν γὰρ τὰ πολλὰ οἱ τοῖς βασιλικοῖς ἐξυπηρετούμενοι κοιτῶσι καθεστήκεισαν, οὓς εὐνούχους ἢ συνήθεια καλεῖ. “Ὅτε καὶ Ἰουστινιανὸς ἱερὸν τῆς θεοτόκου ἐν Ἄβασγοῖς οἰκοδομησάμενος ἱερέας αὐτοῖς κατεστήσατο. “Ὅθεν ἐς τὸ ἀκριβέστατον τὰ χριστιανῶν ἐξέμαθον δόγματα (Bidez-Parmentier 170,17 – 170,32).

Ἰστορεῖται τῷ αὐτῷ ἀνδρὶ ὡς οἱ τὸν Τάναϊν οἰκοῦντες—Τάναϊν δὲ καλοῦσιν οἱ ἐπιχώριοι τὴν ἐκ τῆς λήμνης τῆς Μαιώτιδος ἐκβολὴν ἄχρις ἐς τὸν Εὐξείνιον Πόντον—Ἰουστινιανὸν δεσποῦσιν ἐπίσκοπον σφῆσιν ἐκπέμψαι, ἐπιτελῆ τε τὴν δέησιν Ἰουστινιανὸν ἀπεργάσθαι καὶ ἱερέα αὐτοῖς ἡδίστα πέμψαι. Ἀναγράφει δὲ μάλ

IV, 22. პროკოპი მოგვითხრობს, რომ აზნაზებში, რომელნიც იმ ხანებში უფრო თვინიერნი გამხდარიყვნენ, ქრისტიანთა სარწმუნოება მიიღეს, და მეფე იუსტინიანემ მათთან ერთი, სასახლის ევენუქთაგანი გაგზავნა, ტომით აზნაზი, სახელად ევფრატა და მის საშუალებით აუკრძალა მათ, რომ ამიერიდან აღარავინ გაესაჭურისებინათ ამ ტომში და ბუნებაზე ძალა არ ეხმარათ დანით: ხომ მათგან ინიშნებოდენ მეტწილად სამეფო საწოლთა მსახურნი, რომელთაც ჩვეულებრივ ევენუქები ეწოდებათ. როდესაც იუსტინიანემ აზნაზების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარი ააგო, დაუყენა მათ მღვდელ-მსახურნი. ამიერიდან მათ ზედმიწევნით შეითვისეს ქრისტიანთა სარწმუნოება <sup>1</sup>.

IV, 23. იმავე კაცს (ე. ი. პროკოპის) მოთხრობილი აქვს, რომ ტანაისის მცხოვრებლებმა – ტანაისის კი უწოდებენ ადგილობრივი მცხოვრებლები სრუტეს მეოტის ტბასა და ევქსინის პონტოს შუა – სთხოვეს იუსტინიანეს ეპისკოპოზი გაეგზავნა მათთვის; იუსტინიანემაც სავსებით შეუსრულა მათ თხოვნა და სიამოვნებით გაუგზავნა მღვდელმსახური <sup>2</sup>.

მთო გვ. 270, შენიშვნა). იმავე ძალაღასაგან მომდინარე კ ე დ რ ე ე (CB I, 633) გადმოგვცემს აგრეთვე «კასპიის კარებით» ჰუნების შემოჭრაზე არმენიაში, კავადოკიაში, გალატიასა და პონტოში.

1) იხ. პროკოპი კესარიელი VIII, 3 (გეორგიკა II 108 და იქვე შენიშვნა).  
 2) პროკოპი VIII, 4 (ბეორგიკა II, 107 – 108).

λογιώδης ὁ αὐτὸς ὑπὸ τὰς Ἰουστι-  
νιανῶν χρόνους Γότθων τῶν ἀπὸ  
τῆς Μαιώτιδος ἐκδρομᾶς κατὰ  
τῆς Ῥωμαίων γῆς... (Bidez-  
Parmentier 170,32—171,4).

იგივე პროკოპი საქმიანად აღწერს  
გუთების შემოჭრას რომაელთა მი-  
წაწყალზე მეოტიდის მხრიდან იუს-  
ტინიანეს მეფობის დროს.

### ავარების წასვლა კავკასიიდან.

Ἔθνος δὲ Σκυθικὸν οἱ Ἄβα-  
ρραι τῶν ἀμαξοβίων τῶν ὑπὲρ  
τὸν Καύκασον τὰ ἐπέκεινα πεδία  
νεμομένων· οἱ τοὺς γειτνιῶντας  
Τούρκους πασσοῦν πεφευγότες,  
ἐπεὶ κακῶς πρὸς αὐτῶν ἐπεπόν-  
θησαν, ἐπὶ τὸν Βόσπορον ἀφί-  
κοντο. καὶ τὴν ἡρόνα τοῦ Εὐξεί-  
νου καλουμένου Πόντου καταλι-  
πόντες—ἐνθα συχνὰ μὲν ἔμνη βαρ-  
βαρικά, ἐξῆκίσθησαν δὲ καὶ ὑπὸ  
Ῥωμαίων πόλεις τε καὶ στρατό-  
πεδα καὶ τινας προσορμήσεις, ἢ  
στρατιωτῶν ἀπομίσχων γιγνομέ-  
νων, ἢ καὶ ἀποικιῶν πρὸς τῶν  
βασιλέων στελλομένων—τὴν πό-  
ρυσιν ἐπιοῦντο πᾶσι τοῖς ἐν  
ποσὶ βαρβάρους ἀνταγωνιζόμενοι,  
μέχρις ἢ τὰς ἡρόνας τοῦ Ἰστρου  
κατελήφασιν καὶ πρὸς Ἰουστινια-  
νὸν ἐπρεσβεύσαντο (Bidez-Par-  
mentier 196,6—18).

V, 1. ავარები სკვითური ტომია,  
რომელიც ურმებზე ცხოვრობს და  
კავკასიის იქითა მხარეს მდებარე  
დაბლობებში ბინადრობს; ისინი  
მთლად გამოექცნენ თავის მეზობელ  
თურქებს, რადგან იმათგან იმძლავ-  
რებოდენ, და ბოსპორზე მოვიდენ;  
შემდეგ მათ დასტოვეს ეგრეთწო-  
დებული ევქსინის პონტოს სანაპი-  
რო (აქ ხომ აუარებელი ბარბარო-  
სული ტომი იყო, რომაელთა მიერ  
ქალაქები, სამხედრო ბანაკები და  
ზოგიერთი ნავთსადგურებიც იყო  
აშენებული; ეს ხდებოდა ისე, რომ  
ან რაზმის გარეშე დარჩენილი ჯა-  
რისკაცები სახლდებოდენ აქ ან  
მეფეები გზავნიდენ აქ ხალხს ახალ-  
შენების დასაარსებლად) – და გა-  
ნაგრძეს სვლა და გზადაგზა ყველა  
ბარბაროსებს ებრძოდენ, ვიდრე  
ისტრის სანაპიროებს არ მოადგ-  
ნენ, და მოციქულები გამოგზავნეს  
იუსტინიანესთან.

### სომეხთა [და ქართველთა] განდგომა სპარსეთისაგან.

Τούτου (scil. Γρηγόριου) τὴν  
ἐπισκοπὴν πρῶτον ἔτος διέποντος,  
οἱ τῆς πάλαι μὲν μεγάλης Ἀρ-  
μενίας, ὕστερον δὲ Περσαρμενίας

V, 7. პირველ წელს მისი (ე. ი.  
გრიგოლის) ეპისკოპოზობისა იმ ქვეყ-  
ნის მცოვრებლებმა, რომელსაც ძვე-  
ლად დიდი არმენია ეწოდებოდა,

ἐπονομασθείσης— ἡ πρώτην Ῥωμαίοις κατήκοος ἦν, Φιλίππου δὲ τοῦ μετὰ Γορδιανὸν καταπρόδόντος αὐτήν τῷ Σαπώρη, ἡ μὲν κληθεῖσα μικρὰ Ἀρμενία πρὸς Ῥωμαίων ἐκρατήθη, ἡ δὲ γελσιπὴ πᾶσα πρὸς Περσῶν—, τὰ χριστιανῶν πρεσβεύοντες, ἐπεὶ παρὰ Περσῶν κακῶς ἔπασχον καὶ μάλιστα περὶ τὴν οἰκίαν νόμισιν, ἐν παραβύσπῃ ἔπρεσβέοντο πρὸς Ἰουστίνον ἰκετεύοντες κατήκοοι Ῥωμαίοις γενέσθαι, ὡς ἂν ἐπ' ἀδείας δρῶεν τὰ εἰς θεὸν γέρα μηδενὸς αὐτοῖς ἐμποδῶν γιγνομένου. Τῷ δὲ Ἰουστίνου πρόσηκαμένου, καὶ τινῶν ἐν γράμμασι πρὸς τοῦ βασιλέως διομολογηθέντων ἕρκιοις τε δεινοῖς κατασφαλισθέντων, ἀποσφάττουσι μὲν οἱ Ἀρμένιοι τοὺς σφῶν ἄρχοντας, προστίθενται δὲ πασσοῦν τῇ Ῥωμαίων ἀρχῇ μεθ' ὧν προσειλήφυσαν πλησιοχώρων, ὁμοειθῶν τε καὶ ἀλλοφύλων Οὐαρδάνου προσχόντος παρ' αὐτοῖς γένει τε καὶ ἀξιώσει καὶ τῇ περὶ τοὺς πολέμους ἐμπειρίᾳ. Ἐπεγκαλοῦντα τοῖσιν περὶ τούτων Χοσρόην Ἰουστίνος ἀπεπεμπετο, λέγων πεπερασθῆναι τὰ τῆς εἰρήνης, καὶ μὴ οἶόν τε εἶναι χριστιανούς ἀπορρίψαι ἐν καιρῷ πολέμου χριστιανούς προσρύνοντας (Bidez - Par-

ხოლო შემდეგ პერსარმენია (ეს ხომ წინათ რომაელების ქვეშევრდომი იყო, ხოლო როდესაც გორდიანეს მომდევნო მმართველმა ფილიპემ ის საპორს გადასცა, ეგრეთწოდებული მცირე არმენიას რომაელების მიერ იქმნა დაჭერილი, მთელი დანარჩენი ნაწილი კი სპარსელების მიერ – აი, ამ პერსარმენიის მცხოვრებლებმა, რომელნიც ქრისტიანთა სარწმუნოებას აღიარებდენ, ჩუმად გაგზავნეს მოციქულები იუსტინესთან, რადგან სპარსელებისგან იმდღავრებოდენ განსაკუთრებით თავისი სარწმუნეობის გამო, და სთხოვდენ მას მიეღო ისინი რომაელთა ქვეშევრდომებად, რათა მათ თავისუფლად ეწარმოებინათ ღვთისმსახურება, ისე რომ დამაბრკოლებელი არავინ ჰყოლოდათ. როდესაც იუსტინე დაეთანხმა და ზოგიერთი, მეფისადმი მიმართულ წერილში გამოთქმული, მოთხოვნა ურყევი ფიცით უზრუნველყო, არმენიელებმა, რომელთაც მხარი დაუჭირეს მეზობლებმა, როგორც ერთტომიანებმა ისე სხვატომიანებმა, დახოცეს თავიანთი მმართველები და მთლიანად რომაელთა ხელისუფლებას მიეკედლნენ მაშინ, როდესაც მათში გამოჩენილი იყო ვარდანი, როგორც შთამომავლობით ისე თავისი ღირსებით და სამხედრო გამოცდილებით<sup>1</sup>. როდე-

<sup>1</sup>) ეს ამბავი ევგერის მოთხრობილი აქვს თეოფანე ბიზანტიელის, მენანდრე პროტიქტორისა და სხვათა მიხედვით (იხ. ამის შესახებ ზემოთ გვ. 256 – 258). ამ ნაწიყვტში ევგერის მიერ მოხსენებულ სომხების „მეზობლები“, ექვს გარეშეა, იბერიელებიც იგულისხმებიან.

mentier 203,2—24). საც ხოსრომ ამის შესახებ იჩივლა, იუსტინემ გააბრუნა მისი ელჩები და უთხრა მათ, რომ ზავის საქმე გათავებულა და რომ მას არ შეუძლია ხელი ჰკრას ქრისტიანებს, რომლებიც ომის დროს ქრისტიანებთანვე შველას ეძებენ.

Στρατηγὸν δὲ τῶν ἐφῶν ἐκπέμ-  
πει Μαρκιανὸν συγγενῆ αὐτῷ κα-  
θεστῶτα, οὔτε στρατείαν ἀξιό-  
μιχον διὸς οὔτε τὴν ἄλλην τὴν  
εἰς τὸν πόλεμον παρασκευάζει. Ὅς  
ἐπὶ προὔπτῳ κινδύνῳ καὶ ἐπ’  
ἀνατροπῇ τῶν ὄλων τὴν μέστην  
κατειλήθει τῶν ποταμῶν, ὀλίγους  
κομιδῆ στρατιώτας καὶ τοῦτους  
ἀνόπλους ἐπισυρόμενος, ἔχων καὶ  
τινας σαπανέας καὶ βιηλάτας  
ἐκ τῶν συγτελῶν ἀφῆρημένους  
(Bidez-Parmentier 203,27  
—33).

V, 8. იუსტინე გზავნის აღმო-  
სავლეთის სტრატეგოსს მარკიანეს,  
რომელიც მისი ნათესავი იყო, მაგ-  
რამ არც ბრძოლისათვის საკმარის  
ჯარს აძლევს, არც სხვა, ომისათ-  
ვის საჭირო საგზაოს. მარკიანე აშ-  
კარა საფრთხის ქვეშ და ყველა-  
ფრის თავდაყირა დაყენებით მიად-  
გა შუამდინარეს; თან მიაჩანჩა-  
ლებდა საკმაოდ ცოტა ჯარს, ისიც  
უიარაღოს, ჰყავდა აგრეთვე რამ-  
დენიმე მთხრებელი და მეხრე, რომ-  
ლებიც წამოყვანილი იყვნენ ქვე-  
შევრდომი ადგილებიდან.

## დამატება

### ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში.

როგორც წინამდებარე მესამე ტომის, ისე 1934 წელში ჩვენ მიერ გამოქვეყნებული მეორე ტომის ტექსტები შეიცავენ მდიდარ ცნობებს ლაზეთის VI საუკუნის ისტორიისათვის. ბუნებრივია, რომ VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსები დიდს ადგილს უთმობენ საზოგადოდ ამიერ-კავკასიის ქვეყნების და კერძოდ ლაზეთის აღწერას, როდესაც ისინი იმდროინდელი ბიზანტიის საგარეო და საშინაო ამბებს ეხებიან.

ცნობილია, რომ ბიზანტიის საშინაო, ეკონომიური და საგარეო პოლიტიკა IV – VI საუკუნეებისა უშუალოდ დაკავშირებულია ირანის, მაშინდელი უძლიერესი სახელმწიფოს, დასავლეთისაკენ ექსპანსიის საკითხებთან. სასანიდთა ირანის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზი მიმართული იყო იქითკენ, რომ შეესუსტებინა დასავლეთის ძლიერი მეზობელი, ბიზანტია, და ჩამოეცილებინა მისი გავლენის სფეროდან მოსაზღვრე ქვეყნების მნიშვნელოვანი კუთხეები. დიდი არმენია (შემდეგ პერსარმენიად წოდებული) «წინათ რომაელების ხელში იყო – სწერს ისტორიკოსი ევ ა გ რ ი – , ხოლო როდესაც გორდიანეს მომყოლმა მმართველმა ფილიპემ ის საპორს გადასცა, ეგრეთწოდებული მცირე არმენია რომაელების მიერ იქმნა დაჭერილი, მთელი დანარჩენი ნაწილი კი სპარსელების მიერ» (იხ. ზემოთ, გვ. 299). ასევე ეჭირა ირანს თვალი იბერიისაკენ, რომელიც კარგა ხანია ბიზანტიის ორიენტაციას მიჰყვებოდა.

ბიზანტიის დასუსტების განხორციელებისა და საკუთარი დოვლათის გაზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ირანის მიერ სამართლიანად იყო მიჩნეული შავი ზღვის სანაპიროებზე ფეხის მოკიდება, ე. ი. ლაზეთის ხელში ჩაგდება. ლაზთა ელჩები ასეთი სიტყვებით უმტკიცებდნენ ხოსროს ლაზეთის ხელში ჩაგდების მნიშვნელობას ირანისათვის: «სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენს ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო». გარდა ამისა «თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წე-

ლიწადს არბიონ რომაელთა მიწაწყალი... ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა» (იხ. გეორგიკა, II ტომი, გვ. 52 – 53). ასე ესმოდა ლაზეთის მნიშვნელობა ბიზანტია-ირანის ურთიერთობათა კვანძში ბიზანტიელ ისტორიკოსებს, ისევე როგორც ბიზანტიის სახელმწიფო მესვეურთ. ამიტომაც იყო, რომ ბიზანტიის ხელისუფლება ეგოდენ ყურადღებას აქცევდა ლაზეთში (კოლხიდაში) თავისი გავლენის გავრცელებას და მან ადრიდანვე დაიწყო აქ თავისი სამხედრო ხასიათის საქმიანობა: ჯარის ნაწილების მიშველება ლაზებისათვის საჭირო შემთხვევებში, ადგილობრივი სასიმაგრო პუნქტების გამაგრება და სხვა. მით უმეტეს გააძლიერებდა ის ამ თავის საქმიანობას მაშინ, როდესაც მას ირანთან ურთიერთობა უადრესად გაუმწვავდა. ამ ურთიერთობის გამწვავების ხანა არის VI საუკუნე, სახელდობრ ანასტასი კეისრის (492 – 518) დროიდან, როდესაც დაიწყო გენერალური ბრძოლა აღმოსავლეთის ორ უძლიერეს სახელმწიფოს – ბიზანტიასა და ირანს შორის.

აქედან ცხადია, თუ რა დიდ ყურადღებას მიაქცევდენ ბიზანტიელები ლაზეთის ეკონომიურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებს. ასეთ პუნქტებს ბიზანტიელები ამაგრებდენ: ზოგიერთ პატარა დაბებს ქალაქებად აქცევდენ და ავლებდენ მას გარშემო ზღუდეებს; ძველად არსებულ ციხეებს ახალი ნაგებობით ამაგრებდენ; ზოგიერთ ადგილას ახალ საფარებსაც აგებდენ. ლაზეთში მომხდარი საომარი ოპერაციების აღმწერი ბიზანტიელი ისტორიკოსები დაწვრილებით ეხებიან ამ პუნქტებს და ჩვენი კრებულის II და III ტომში მოთავსებული მასალები საკმაოდ მდიდარს ცნობებს იძლევიან მათ შესახებ. მართალია, საქართველოს სიძველეთა მკვლევარნი (დიუბუა, ბროსე, დ. ბაქრაძე და სხვები), როგორც ეს ჩვენ მიერ ზემოთ თავთავის ადგილას არის მოხსენებული, ეხებოდენ ზოგიერთ ამ პუნქტებს, მაგრამ რამდენადაც ამას თან არ სდევდა თვით ბიზანტიელ ისტორიკოსთა მიერ მოცემული ცნობების დაწვრილებითი შესწავლა, ამდენად მათ შენიშვნებს გაკვრითი ხასიათი ჰქონდა. გარდა ამისა ადგილობრივ დაწვრილებითს კვლევას ამ ძველ პუნქტებში გადარჩენილი ნაშთებისას აღნიშნული მკვლევარნი არ შესდგომიან და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ზოგიერთი ამ პუნქტის ლოკალიზაციაც მართებული არ გამოდიოდა. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ არქეოპოლის-ნოქალაქევის სიძველეები, რომელთა მნიშვნელობას სათანადო ყურადღება მიაქცია 1929 – 1931 წლებში სსსრ განათლების სახალხო კომისარიატმა: უკანასკნელის ინიცია-



ტივითა და სახსრებით დაწყებულ იქმნა საფუძვლიანი არქეოლოგიური გათხრა არქეოპოლისისა 1930 – 1931 წლის ზამთარში; ხოლო გათხრების წინ 1929 წელში პროფ. გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა არქეოპოლისის ზოგიერთი ნაშთები და კიდევ დაბეჭდა სათანადო გამოკვლევა („К вопросу о Нокалакеви: ტფ. უნივერსიტ. XI, 118 – 138).

როდესაც ჩვენ შევუდექით ბიზანტიელი ისტორიკოსების ტექსტების დამუშავებას გამოსაცემად, ცხადია, დამუშავების ერთ-ერთ მუხლად შევიტანეთ შეძლებისდაგვარად იმ პუნქტების გარკვევა, რომლებიც ამ ტექსტებში გვხვდებოდა. ამ მიზნით ჩვენ ვაწყობდით ექსპედიციებს იმ ადგილებში, რომლებშიაც ბიზანტიელ ისტორიკოსთა მიერ მოხსენებული პუნქტები იყო საძებარი. ასე, 1932 წლის აგვისტოში დოც. ნ. ბერძენიშვილთან და დოც. ს. ჯანაშიასთან ერთად ჩვენ მონიწილეობა მივიღეთ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ მოწყობილ ექსპედიციაში ზემო იმერეთში, რომლის დროს მოხილულ იქმნა შორაპანი, სკანდე და „ტელეფისი“; ხოლო 1935 წლის ზაფხულის თვეებში სახელმწიფო უნივერსიტეტის საშუალო საუკუნეების ისტორიის კათედრის შუამდგომლობით უნივერსიტეტის რექტორატმა გაიღო თანხები დასავლეთ საქართველოში არსებული ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეების წინასწარ შესასწავლად და ჩვენ დაგვავალა ამ სამუშაოს ჩატარება. ამ ექსპედიციის მიზანი იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაცულ ბიზანტიური ეპოქის ძველთა ნაშთები აგვენუსხა, გაგვეზომა, ფოტოგრაფიულად გადაგვეღო და გეოდეზიურად აგვეგემა. ამ გეგმით ჩვენ მიერ მოხილულ იქმნა შემდეგი პუნქტები:

- 1) შორაპანი, ჯუღელის რაიონში;
- 2) სკანდე, ჩხარის რაიონში;
- 3) ვარდციხე („როდოპოლისი“), ბაღდათის რაიონში;
- 4) ტოლები („ტელეფისი“), სამტრედიის რაიონში;
- 5) ისულა („ნესოსი“), ცხაკაიას რაიონში;
- 6) ნოქალაქევი („არქეოპოლისი“), ცხაკაიას რაიონში;
- 7) ციხისძირი, აჭარაში.

ყველა ამ პუნქტში რამდენჯერმე მოგვიხდა ჩასვლა. განსაკუთრებით პირველ ოთხში, სადაც ჩვენი დავალებით ძეგლების აგეგმვალე მუშაობდა გეოდეზისტი ევგ. კუჭუხიძე. ექსპედიციაში ჩვენ გარდა მონაწილეობას ღებულობდენ პროფ. აკაკი შანიძე (ტოლებში), დოც. გიორგი გოზალიშვილი (ნოქალაქევიში).

ფოტოგრაფიულ სურათებს ვიღებდით ჩვენ, ხოლო ტფილისში გვიბეჭდავდენ სახ. უნივ. ფოტოგრაფი ი. ფურცელაძე და მეტეხის მუზეუმის ფოტოგრაფი ვ. თულაშვილი.

ამ მოკლე წინასწარ მიმოხილვაში ჩვენ გვინდა წარმოუდგინოთ მკითხველს ამ ექსპედიციების დროს მოპოვებული შედეგები და აგრეთვე შევაჯამოთ ის ცალკეული ცნობები, რომლებიც ჩვენ მიერ შენიშვნების სახითაა ჩართული II და III ტომის სათანადო ადგილებში.

### 1. შორაპანი.

ბიზანტიელი ისტორიკოსები, როდესაც მათ ლაპარაკი აქვთ ბიზანტია-ირანის ურთიერთობაზე, პირველ რიგში იხსენიებენ ორ ციხეს, შორაპანსა და სკანდეეს, რომლებიც მდებარეობდნენ იბერიისა და ლაზეთის საზღვარზე (პროკოპი II, 29: «სკანდა და სარაპანი იბერიის საზღვრებისაკენ»; პროკოპი VIII, 13: «ლაზთა ორი ციხეა ზედ იბერიის საზღვრებთან, სკანდა და სარაპანი». იხ. გეორგიკა II 72 – 73, 155). იბერიის მხრით საზღვრების გამაგრება ნიშნავდა შორაპანისა და სკანდის გამაგრებას. ვის ხელშიც იყო შორაპანი და სკანდე, მისთვის უზრუნველყოფილი იყო ლაზეთის თითქმის მთელი აღმოსავლეთი ნახევარი. როდესაც ირანელებმა 551 წელს შორაპანი და სკანდე დაიბრუნეს და იქ სიმაგრეები აღადგინეს, ლაზეტმა იმედი დაჰკარგეს როდოპოლისის (ვარდციხის) შენარჩუნებისა და მიწასთან გაასწორეს ის, რომ მტერს ხელში არ ჩავარდნოდა კიდევ ერთი გამაგრებული პუნქტი, და თავდასაცავად ბიზანტიელებთან ერთად ცხენისწყლისა და რიონის შესართავთან, ტელეფისში, გამაგრდნენ (გეორგიკა II 156). ლაზეთის ამ ორი სიმაგრის დაბრუნება ნიშნავდა მთელი აღმოსავლეთი ლაზეთის დაბრუნებას: 532 წლის ზავით ბიზანტიამ მისცა ირანს პერსარმენიის საზღვარზე არსებული სიმაგრეები, ხოლო ირანმა აღიარა ბიზანტიის უფლებები ლაზეთზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ – როგორც პროკოპი ამბობს (I, 22) – მისცეს «სპარსელებმა რომაელებს ლაზიკის სიმაგრეები» (გეორგიკა II, 33), იგულისხმება შორაპანი და სკანდე. ხოსრო მეფე 562 წელს წარმოებული საზავო მოალარაკების დროს პეტრე პატრიკიოსს ეუბნება: «როდესაც მე დავიჭირე სკანდეები, სარაპა და ლაზიკე...»-ო. (გეორგიკა III, 222).

ყველაზე ადრინდელი ცნობა შორაპანის შესახებ ეკუთვნის გეო-

გრაფოს სტრაბონს, რომლის მიხედვითაც შორაპნის ციხის გავლით (διὰ Σαραπανάων, φρουρίου Κοιλχικῆς:ed. Meineke II, 702) შეხვალ იბერიაში. სტრაბონის შემდეგ VI საუკუნემდე მის შესახებ არავითარი ცნობა არ ჩანს ბერძნულ წყაროებში (ან იქნებ პტოლემეს „გეოგრაფიის“ V, 9,6 მოხსენებული ქალაქი Σαράκη, რომელიც 160 სტადიონითაა დაშორებული ფაზისის შესართავს [REAI, 2390] წარმოადგენდეს Σαράπα-ს შერყვნილ სახეს), VI საუკუნეში კი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ის ისტორიკოსების ყურადღების ცენტრშია. იუსტინიანე თავის „ნოველაში“ და პროკოპი მას უწოდებენ Σαραπανάς acc. Σαραπανάς, ხოლო მენანდრე – Σάραπα.

პროკოპის ცნობით შორაპანი მდებარეობდა მკაცრსა და მეტად ძნელსავალ ადგილას და ძნელად თუ მიუდგებოდა იმას კაცი. ის ლაზებს ძველად აუგიათ დიდი გაჭირებით, რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და მშენებელთ ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის მიტანა. 550 წლის მახლობელ ხანებში ის დანგრეული ყოფილა, იქ წარმოებული საომარი ოპერაციების გამო, და ირანელ სარდალს მერმეროეს განუახლებია (გეორგიკა II, 171).

შორაპნის ციხის ნანგრევები დაცულია დღესაც, სოფელ შორაპანში (ჯუღელის რაიონში). ციხე მდებარეობს 100 მეტრის სიმაღლის გორაკზე, სადგურ შორაპნის მახლობლად (სადგურს დაშორებულია სულ ორასიოდე მეტრის მანძილზე). დასავლეთით მას ჩამოედის მდ. ყვირილა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით (ასიოდე მეტრის მოშორებით) მდ. ძირულა. ის გორაკი, რომელზედაც ციხეა აგებული, გაუჭრიათ ბაქო-ბათუმის რკინისგზის გაყვანის დროს. როგორც ციხის გეგმიდან ჩანს, რკინის გზის ლიანდაგი გადის ციხის ზედ სამხრეთის კედლის ძირში.

კედლებით შემოზღუდული ფართობი ციხისა უდრის 6650 მ<sup>2</sup>. ზედაპირი მაღლდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ჩრდილოეთის შემადგენელ ადგილას დაცულია ერთი მასივური ნაგებობის ნაშთი, რომელიც მთავარ საზვერავ ციტადელს უნდა წარმოადგენდეს. საზვერავის დანიშნულება უნდა ჰქონოდა იმ ნაგებობასაც, რომლის აგურწყობიანი ნაშთი მოჩანს აღმოსავლეთის კედელთან: ეს უნდა ყოფილიყო კოშკი, რომელიც ციხეს იბერიის მხრით სდარაჯობდა.

დღეს დაცული ნანგრევები შორაპნის ციხისა შეიცავენ სხვადასხვა ხანის ნაგებობას. აქ არის ნაშთები აშკარა გვიანი ხანის კედლებისა, რომლებიც რიყის ქვისა და კირქვისაგან ყოფილა აშენებული. ასეთია დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლები, რომელთა დღევანდელი სიმაღლე ოთხ მეტრს აღწევს (სურ. 1).

კედელთა ნაშთებს შორის ჩვენს ყურადღებას იპყრობს სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის ძირა ნაწილი (ორი მეტრის სიმაღლეზე). ეს ნაწილი მთლიანად აგებულია ოთხკუთხი თლილი ქვებისაგან, რომელთაც შუაში დატანებული აქვს მთელი ზოლი აგურის ნაგებობისა; აგური კვადრატულია, სიგრძე-სიგანე 34 cm, სისქე 3,8 cm (ზოგგან 3,5 cm). აგურიანი წყებები შეერთებულია დულაბის სქელი (2 – 3 cm) ფენით. ასეთი სისტემური აგურ-კვადრული ნაგებობა შორაპნის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის მთელ სიგრძეზე ჩანს დღეს, როგორც გარედან ისე შიგნიდან (სურ. 2). ასეთი ნაგებობა იცის რომაულმა არქიტექტურამ იმპერიის პერიოდისა და შემდეგ ბიზანტიამაც IV – VI საუკუნეებში. აღნიშნულია, რომ რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში უმთავრესად იხმარებოდა აგური ოთხკუთხი, ე. წ. ლიდიური (ზომა: სიგრძე 44 cm, სიგანე 30 cm), ხოლო საბერძნეთში ხმარობდნ უმთავრესად კვადრატულს, 30 – 36 cm სიგრძე- სიგანით (C a g n a t et C h a p o t, Les monuments. Paris 1910, გვ. 12 – 14).

რომ ასეთი აგურ- კვადრული ნაგებობა შემთხვევითი არ არის და რომ ის უკავშირდება ბიზანტიური ხანის (IV – VI საუკ.) სასიმაგრო არქიტექტურის ტექნიკას, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ასეთი ნაგებობის ნაშთები გვხვდება – როგორც ეს ქვემოთ თავთავის ადგილას იქნება მითითებული – ყველა იმ ციხის კედლებში, რომლებიც VI საუკუნის საომარ ოპერაციებთან არიან დაკავშირებული ლაზეთის ტერიტორიაზე (სკანდეში, როდოპოლისში, ტელეფისში, არქეოპოლისში). კერძოდ, შორაპნის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის სიძველეს (რომ ის ბიზანტიური ხანის, V – VI საუკ. კედლის ნაშთია) მოწმობს კიდევ ერთი გარემოება: ეს კედელი ორმაგია, ე. ი. ერთი წყება მეორეზეა მიდგმული, მაგრამ დაშორებულია მას რაღაც მანძილით, 1 – 2 სანტიმეტრით, რაც მტკიცდება იმით, რომ შიგნითა ნაწილი ამ ორმაგი კედლისა არ ატარებს შემაერთებული კირის ნიშნებს. მართალია, ჯერჯერობით არ გვაქვს გარკვეული, თუ რა მოსაზრებით კეთდებოდა ასეთი ორმაგი კედელი, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ასევეა აგებული ორმაგი კედელი ამავე V – VI საუკ. ციხისა ც ი ხ ი ს ძ ი რ შ ი, როგორც ეს 1934 წლის შემოდგომაზე ტფ. უნივ. ისტორიის კაბინეტის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნული იყო პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს მიერ.

ამავე ეპოქისა უნდა იყოს იმ „კოშკის“ ნაშთი აღმოსავლეთის კედელთან, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. აქაც ემჩნევა ნაშთი კედლის აგურიანი წყობისა, რომლის აგურები იმავე მოყვანილობისა და ზომისაა (34 X 34 X 3,7). ეს აგურიანი წყობა „კოშკისა“ იმავე სიმა-

დღეზეა დაცული, როგორც აგურიანი წყობა სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლისა (სურ. 2).

შორაპნის ციხეში გვხვდება ამავე ხანის სხვა ციხეებისთვისაც დამახასიათებელი გვირაბი. ის შედარებით ცუდად არის შენახული: იწყება დასავლეთის კედელთან და მიიმართება ჩრდ.-დასავლეთით მდინარე ყვირილასაკენ, მისი სიგრძე უდრის 60 მეტრს; დასაწყისში 17 მეტრის მანძილზე გვირაბის კედლები დაცულია, ხოლო შემდეგ მხოლოდ საძირკველია მოისინჯება.

## 2. სკანდე.

სკანდის ციხე მდებარეობს ჩხარის რაიონში იმავე სახელწოდების სოფელში, 10 კილომეტრის მოშორებით ჩხარიდან, აღმოსავლეთით. თვით ციხე აგებულია სოფლის ნაპირას მაღალსა და მეტად დაქანებულ-ფერდობებიან გორაზე (დაახლ. 120 მ.), ორ ღელეს შუა, რომელთაგან ერთს ადგილობრივი მცოვრებლები გვირაბის ღელეს, მეორეს – ბერიწყაროს, ღელეს უწოდებენ. ციხის ნაგებობებს უჭირავთ ფართობი 7000<sup>2</sup> (ამ ფართობის გარეთ რჩება გვირაბი). ციხის ნაგებობათაგან დღეს დაცული ჩანს ცენტრალური ნაგებობის აღმოსავლეთი კედელი (სურ. 4) და მის შიგნით სვეტებ-თაღებიანი შენობის ნაშთები. ამ ცენტრალურ ნაგებობას სამხრეთით უკავშირდება ზღუდე, რომლის საძირკვლები ჩანს მხოლოდ ერთ ნაწილში, მაგრამ ცხადია, რომ ეს ზღუდე უნდა გრძელდებოდეს ვიდრე დასავლეთის იმ კოშკამდე, საიდანაც იწყება გვირაბი.

თავისი სიდიადით თვალში ეცემა მნახველს შიგნითა სვეტებიანი შენობის ნაშთები. ამ, თლილი ქვებისაგან აგებული, სვეტების კედლების სისქე უდრის 160 – 190 cm, ხოლო თაღების საყრდენი კაპიტელის სიგრძე 243 cm, განი 146 cm. თაღებში შეზნექილი თლილი ლოდების სიგრძე უდრის 115 cm, განი 68 cm (სურ. 5 და 6). ერთ-ერთი თაღის თლილ ქვაზეა ხუთ სტრიქონიანი ქართული წარწერა ამოჭრილი, მხედრული, რომელიც ძნელად იკითხება (ყოველ შემთხვევაში ვიძლევიტ აქვე მისი, ქალაქზე გადმოსახული, პირის სურათს [№ 7]: მეოთხე სტრიქონში თითქოს იკითხება „ვინც“, მეხუთეში – „გიბრძნებ“).

აღმოსავლეთის მხარეზე დაცული ზღუდის ნაწილის ძირა კედელში, რომელიც მთლიანად დაფარული იყო ბუჩქნარით. აღმოჩნდა, ჩვენის აზრით, ძველი ნაგებობის ნაშთი; სახელდობრ, აგურიანი წყობა, ჩატანებული თლილ კვადრებს შუა. ის ძალიან დახზიანებულ-

ლია, აგურები, ხელს რომ შეახებ მათ, იფშვნება; მაგრამ ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ეს შემთხვევით მოხვედრილი აგურები კი არ არის, არამედ სისტემურად, შორაპნის კედლის მსგავსად, გაწყობილი ზოლია (სურ. 8).

გვირავი სკანდეს ციხეს დასავლეთით ჩაუდის. ის იწყება ციხის ზღუდის დასავლეთ კედელთან აგებული კოშკის ძირში და ჩადის ხევის ღელეში, ანუ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ეძახიან, „გვირავის ღელეში“. გვირავის კედლები დაცულია, ხოლო დღეს-დღეობით მათ შუა მანძილი ამოვსებულია მიწით, ასე რომ არაფრის თქმა არ შეიძლება მათი ნაგებობის ხასიათის შესახებ. დაცულია გვირავის თალიანი პირი ხევის ღელესთან (სურ. 9), ჩვენ ყურადღებას იპყრობს მისი აგურიანი წყობა. აგურები იმავე მოყვანილობისაა, როგორც შორაპნის ციხის აგურები და ამავე სკანდეს ციხის ზემოთ მოხსენებული აღმოსავლეთის კედლის ძირა ნაწილის აგურები: სიგრძე-სიგანე 34 cm, სისქე 4 cm. აგურებს შუა დუღაბის სისქეა 4 cm. ზოგ ადგილას აგურის მაგიერ იმავე სისქის ქვაა (ე. წ. „ჩიხორის ქვა“). გვირავი გადმოხურულია თალით, ხოლო შიგნით ამოვსებულია მიწით: გადმოხურული ნაწილი გვირავისა გრძელდება 8 მეტრის მანძილზე, შემდეგ კი კამარა აღარ არის, გადმონგრეულა. გვირავის კედლებს შუა მანძილი უდრის 200 cm, გვირავის კედლის სისქე – 70 cm. მთელი გვირავი ღელედან კომკამდე – 64 მეტრია.

კოშკი, რომლიდანაც იწყება გვირავი და რომელსაც უერთდებოდა გარეზღუდის დასავლეთი კედელი, პერანგით იყო შემოსილი. საფიქრებელია, რომ პერანგი იყო თლილი ქვებისა და აგურისა. ძირა კვადრები დღესაც არის ალაგ-ალაგ. აქედან გადავარდნილი უნდა იყოს ერთი თლილი ქვა, რომელიც ჩვენ გვირავის ღელეში ვნახეთ (47 cm X 44 cm X 23 cm). აგური აღარ არის, იმიტომ რომ ის ფენი, სადაც – შორაპნის, ვარდციხის და სხვათა ანალოგიით – პერანგის აგურიანი წყობაა მოსალოდნელი, მთლიანად წარმოდგენილია, მაგრამ აგურის ნამტვრევები ამ კოშკთან მრავლად ყრია.

აღმოსავლეთის ძირა კედლის აგურიანი წყობა, აგურით მოპირული გვირავი და კოშკის კვადრ-[აგურ]ებიანი პერანგი, ჩვენის აზრით, მიგვითითებენ იმავე ხანაზე, რომელსაც შორაპნის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის ძირა ნაწილი ეკუთვნის.

### 3. როდოპოლისი.

როდოპოლისის (Ροδόπιλις) პირველად VI საუკუნის ძეგლები იხსენიებენ. 535 წლის ნოველა იუსტინიანე კეისრისა მას არქეო-

პოლისის გვერდით იხსენიებს როგორც უდიდესსა და ძველ სიმაგრეს (იხ. გეორგიკა II, 198), ხოლო კროკოპის სიტყვით როდოპოლისი და მოხირისი «ყველაზე შესანიშნავი ქალაქები» არიან (იქვე, გვ. 73). ის დაბლობში მდებარეობს, კარგად გამაგრებულია და მდიდარიც და ამიტომ, როდესაც მისი შენარჩუნების იმედი აღარ აქვთ ლაზებს, ისინი მას «მიწასთან ასწორებენ», რომ ირანელებმა არ ისარგებლენ იმით (გვ. 156). მისი დაკარგვის შემდეგ ლაზ-ბიზანტიელები ელოდებიან მოხერხებულ შემთხვევას რომ კვლავ უკან დაიბრუნონ. და, აი, როდესაც 555 წელს ბიზანტიელებმა ფოთის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს ირანელები, რომელთაც ისევ დაიხიეს თავისი ძველი საზღვრებისაკენ მუხირისსა და ქუთაისში, ბიზანტიელმა სარდალმა იუსტინემ ორიათასი ცხენოსანი გაგზავნა ნესოსიდან და უკან დაიბრუნა როდოპოლისი (იხ. ზემოთ; გვ. 158 – 160 და შენიშვნები იქვე).

გარდა ამისა, როდოპოლისი იმ თავითვე ერთი იმ ოთხი საეპისკოპოზო ცენტრთაგანია, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა. კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ ეპარქიათა შორის ეკთეზისებში იხსენიება ლაზეთის ეპარქია, რომლის მიტროპოლიტს ფოთში აქვს რეზიდენცია (ἐπαρχία Λαζική, ὁ τοῦ Φάσιδος. იხ. Georgii Cyprii Descriptio orbis Romani ed. H. Gelzer, Lp. 1890, გვ. 3), ხოლო ფოთის მიტროპოლიტის ქვემდებარე ეპისკოპოზებად იხსენიება ოთხი: ὁ Ἰσθμίου, ὁ τῆς Αἰθιοπῶν, ὁ Περῶν, ὁ τῆς Ζιγανέων (იხ. იქვე გვ. 24).

სად უნდა ვეძიოთ როდოპოლისი? სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ ქალაქის ბერძნული სახელწოდება მივიჩნიოთ ერთ-ერთი ადგილობრივი სახელწოდების თარგმანად: ბერძენ-ბიზანტიელთა პრაქტიკაში ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელწოდებათა თარგმნა იშვიათი მოვლენა არაა („პიპოს" – ცხენისწყალი, „ბოას" – ყვირილა, „ნესოს" – ისულა, insula და სხვ.). Ἰσθμίου კი ქართულად ნიშნავს „ვარდის ქალაქს" ან „ვარდის ციხეს" და, ალბათ, ამ ქართული სახელწოდების შესატყვისი ერთ-ერთი ლაზური სიტყვით იყო აღნიშნული ამ ქალაქის ადგილობრივი სახელი. აკადემიკოსი ბროსე (Additions 103) შესაძლებლად თვლის როდოპოლისს უდრიდეს იმერეთის ერთ-ერთი შემდეგი ადგილი: ვარდციხე (ვარციხე, ვარდისციხე) ხანისწყლის შესართავთან; ვარდისგორა, რომელიც მდებარეობს ჩოლაბურის შესართავზე, ძუსაზე; ვარძია, მდ. ძირულას სამხრეთის შესართავზე, და ვარდუკაძე (!). ამათგან პირველი

ორის გაიგივებას როდოპოლისთან ხელს უშლის, ბროსეს აზრით, ის, რომ იბერიის საზღვარს ისინი დაშორებული არიან (ბიზანტიელი ისტორიკოსის მოთხრობით კი როდოპოლისი «ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსეულთ»), თუმცა ეს პუნქტები მას უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, განსაკუთრებით ვარდციხე. აკადემიკოს ბროსეს საბოლოო დასკვნა არ გამოაქვს.

ჩვენ ამ საკითხის კვლევის დროს ყურადღება შევაჩერეთ ორ პუნქტზე, ვარდციხეზე და ვარდიგორაზე, რადგან ასეთი სახელწოდება შეიცავს უშუალო მითითებას „ვარდზე“ (ρῶδιον) მაგრამ ვარდიგორა (ჩხარის რაიონში) გარდა იმისა, რომ არავითარ ნაშთებს არ შეიცავს, რომ იქ ძველი მნაშვნელოვანი ციხის არსებობაზე მიგვითითებდეს, გეოგრაფიულადაც დაშორებულია იმ ადგილებს, რომლებშიაც როდოპოლისია საძებარი. ვარდიგორა მდებარეობს სკანდეს აღმოსავლეთით, ხოლო როდესაც ბიზანტიელი ისტორიკოსი ლაპარაკობს, რომ «როდოპოლისი... ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსეულთ» (გეორგიკა II 156), ის ჰგულისხმობს იმ ვითარებას, როდესაც იბერიიდან კოლხიდაში შემოსეულს უკვე აუღია სასიმაგრო ხაზი შორაპანი – სკანდე, ასე რომ როდოპოლისი ამ ხაზის დასავლეთით არის საძებარი. ამიტომ ჩვენ მთავარი ყურადღება მივაქციეთ ვ ა რ დ ც ი ხ ე ს.

ვარდციხე მდებარეობს ბაღდათის რაიონში, ქუთაისის დაშორებულია სამხრეთით 12 კილომეტრის მანძილზე, სადაც გაშენებულია დასავლეთ საქართველოს ერთი უდიდესი მეურნეობათაგანი, ვარდციხის საბჭოთა მეურნეობა. თვით დასახლებული პუნქტი, სოფელი ვარდციხე, ორი კილომეტრით არის დაშორებული საბჭოთა მეურნეობას და ამ უკანასკნელის დასავლეთით მდებარეობს ხანისწყლის შესართავთან. ხანისწყლის ნაპირიდან იწყება შეღმართი, დაახლ. ოცი მეტრის სიმაღლეზე და აქ გაშლილ ვაკეზე გაშენებულია დღევანდელი სოფელი. სოფლის განაპირას, იქ, სადაც ხანისწყალი ერთვის ყვირილას და ეს უკანასკნელი – რიონს, დაცულია ციხის ნანგრევები (იხ. გეგმა). ციხის შემოზღუდული ფართობი უდრის 30.000 მ<sup>2</sup>. ზღუდის საძირკველი მოისინჯება მთლიანად, ხოლო კედლები დაცულია მხოლოდ სამხ.-აღმოსავლეთ – სამხ.-დასავლეთ სექტორში. დღეს დაცული კედლები სხვადასხვა ეპოქის ნახელარია. ასე, სამხრეთის კედელს აშკარად ეტყობა ნაკერის ზოლი, ნიშანი მერმინდელი დაშენებისა (სურ. 10). კედლები აგებულია რიყის ქვისა და კირქვისაგან და მათი სისქე უდრის 285 – 300 cm. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელთან მიდგმულია ერთი შენობა, რომლის განია 565 cm.



(სიგრძეზე შენობა დანგრეულია, საძირკვლის მოკვლევა კი მიყრილი მიწისა და ამოსული ჯაგნარის გამო შეუძლებელი იყო). ამ მიდგომულ შენობაში, შიგნით, ჯაგნარის გაკაფვის შემდეგ, გამოჩნდა კედლების ნაშთი, რომელსაც შუაში აგურიანი წყობა აქვს. აგური ყველა სამივე კედელს გასდევს ოთხ წყებად. აგური კვადრატულია, სიგრძე-სიგანე 31,5 cm, სისქე 4,5 cm, წყებებს შუა დულაბი ამავე სისქისაა (სურ.

11). სურათი ისეთივეა, როგორც ანალოგიურ კედლებზე შორაპნისა და სხვათა.

ზღუდის შიგნით დაცულია რამდენიმე წვრილი შენობის კედელთა ნაშთები, მაგრამ მათი გამოკვლევა მხოლოდ სათანადო არქეოლოგიური გათხრების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

#### 4. ტელეფისი.

ტელეფისი (Τηλεφιδ) ცნობილია 553 წლის ომით. 552 წელს ირანელებმა დაამთავრეს საომარი ოპერაციები ლაზეთში იმით, რომ მუხირისის ადებით საბოლოოდ მომაგრდნენ ლაზეთის აღმოსავლეთ ნახევარში (იბერიიდან ცხენისწყლამდე). მაგრამ მათ აწუხებდა ის გარემოება, რომ ერთ ადგილას, ტელეფისში, ბიზანტიელი სარდალი მარტინე ჩამჯდარიყო მისი ხელქვეითი ჯარითურთ. აქედან უხაროდათ ირანელებს გაემეგებინათ ბიზანტიელები.

სახელწოდება „ტელეფისი“ იმდენად წააგავს ჩხარის რაიონში დღესაც არსებულ ტელეფას სახელწოდებას, რომ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი ამ ორი პუნქტის იგივეობის შესახებ (იხ. Brosset, Additios 104; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საისტორიო რუკა). პროკოპისა და აგათიას თხზულებებში ტელეფისის შესახებ მოცემული ცნობების ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ (იხ. ზემოთ გვ. 38 – 41, შენიშვნები) მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ტელეფისი არ შეიძლება ვიგულისხმოთ ჩხარის რაიონში, სადაც დღესაც არსებობს სოფ. ტელეფა, შემდეგი მროსაზრებების გამო:

1) ტელეფისი მდებარეობდა, აგათიას ცნობების მიხედვით, ძნელსავალ მთიანს, კლდიანს, ნაპრალებიან ადგილას (იხ. ზემოთ გვ. 31); – ტელეფა კი მდებარეობს დავაკებულ ადგილას, არც ნაპრალები, არც ციცაბო კლდეები იქ არ არის;

2) ტელეფისიდან ირანელების მიერ გაგდებული ბიზანტიელები გაიქცნენ ნესოსისაკენ, სადაც მათი ბანაკი იყო, ხოლო ნესოსი, აგათიას ცნობით, ხუთი ფარსანგით (25 – 27 კილომეტრით) იყო დაშო-

რებული ტელეფის; ისიც რომ არ ვივარაუდოთ, რომ ჩხარის ტელეფიდან ნესოსისაკენ ასე ადვილად ვერ გაიქცეოდნენ ბიზანტიელები, რადგან გზად ირანელების მიეთ დაკავებული მუხირისი უნდა გავვლოთ – ჩხარის ტელეფიდან ნესოსამდე 80 კილომეტრზე მეტია; დასასრულ,

3) საომარი ოპერაციების მსვლელობა, რომელიც აღწერილია ამ დროისათვის პროკოპისა და აგათიას მიერ აუცილებლად ჰგულისხმობს იმას, რომ ტელეფისი არ შეიძლება მდებარეობდეს ლაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ცხენისწყლის აღმოსავლეთით, ვინაიდან ამ დროს ლაზეთის ეს ნაწილი მთლიანად ირანელებს უჭირავთ უკვე. ის უნდა მდებარეობდეს ლაზეთის დასავლეთისა და აღმოსავლეთ ნაწილების საზღვარზე, ცხენისწყლის შესართავის მიდამოებში.

ასეთი დასკვნა აუცილებელი იყო თანამედროვე, VI საუკუნის, ისტორიკოსების პროკოპი კეისარიელისა და აგათია სქოლოსტიკოსის შესწავლის საფუძველზე. ამ საკითხზე საქ. ისტორიის კაბინეტში ჩვენ მიერ წაკითხული მოხსენების გარშემო გამართული საუბრის დროს პროფ. ა. კ. შანიძემ მიგვითითა იმაზე, რომ სწორედ იმ მიდამოებში, რომლებიც ჩვენ რუკაზე შემოვხაზეთ ტელეფისისათვის, არის სოფელი ტოლები, სადაც ნაციხვარი მოიპოვება. ამიტომ 1935 წლის ზაფხულში გავემგზავრეთ ტოლებში ადგილობრივ ნაციხვარის დასათვალიერებლად.

სოფ. ტოლები მდებარეობს გურიაში, დღევანდელი ადმინისტრაციული დარაიონებით ის შედის სამტრედიის რაიონის საჯავახოს სასოფლო საბჭოში; მდებარეობს მდინარე ხეისწყლის ნაპირებზე, სადგურ საჯავახოდან სამხრეთ-დასავლეთით ჩოხატაურის გზით, სოფ. ნოდას (5 – 6 კმ) მახლობლად, უკანასკნელისაგან 1 – 1<sup>1/2</sup> კილომეტრის მანძილზე მოშორებით ჩრდილო-დასავლეთით. სოფ. ტოლებიდან მიდის ვიწრო ბილიკი ნაციხვარისაკენ რომელიც მაღალ მთაზე მდებარეობს. ეს მთა დღეს მოტიტვლებულია, ფერდობი საკმაოდ ციცაბო აქვს. ასვლა ამ ნაციხვარზე შეიძლება მხოლოდ სოფ. ტოლების მხრით ე. ი. სამხრეთ – აღმოსავლეთიდან, ხოლო მეორე (ჩრდილოეთის) მხრით, რიონისაკენ, მთის ფერდობი კლდიან-ნაპრალიანია, ასე რომ იქიდან ასვლა დიდ სიძნელესთან იქნება დაკავშირებული.

იმ მთის პირდაპირ, რომელზედაც ციხეა, მეორე მთაა (მორე-შავს ემახიან); ამათ შუა აქვს კალაპოტი გაკეთებული ხეისწყალს, რომელიც ჯერ ამ ორ მთას შუა მიმდინარეობს (ციხიდან დახლ. 1/2 – 3/4 კმ მანძილზე) ხოლო შემდეგ 1 – 1<sup>1/2</sup> კმ მანძილზე უმთო

ადგილით და ისე ერთვის რიონს, ასე რომ რიონი ციხიდან მოჩანს ჩრდილოეთით, დახლ. 2 კმ. მანძილზე (სურ. 12). ჩვენ რიონის ნაპირები არ დაგვითვალისწინებია, მაგრამ ციხიდან თვალის მიმოვლენა კი აფიქრებინებს ადამიანს, რომ რიონს იმ მთების ძირში უნდა ჰქონოდა კალაპოტი, რომლებიც ხეისწყლის ხევსა ჰქმნიან. ადგილობრივად გვითხრეს, რომ რიონის ეხლანდელი კალაპოტი ამ მიდამოებში ახალია, რომ ის წინათ უფრო სამხრეთით იყო და ამის საბუთად დამისახელეს ერთი დასახლებული პუნქტი (კორეისუბანი), რომელშიაც მეგრული მოსახლეობაა და რომელიც წინათ რიონის ჩდილოეთით უნდა ყოფილიყო და არა სამხრეთით, როგორც ეხლაა.

ციხიდანვე, ჩოდილო-აღმოსავლეთით, მოჩანს ცხენისწყალი, რომლის შესართავი დღეს 3 კმ. იქნება დაშორებული ტოლების ციხეს, მაგრამ თუ რიონის კალაპოტის ისტორია ისეთია, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მაშინ ეს მანძილი, რასაკვირველია, შემცირდება.

ამრიგად, ტოლების ციხე ზედ დაჰყურებს რიონს, ცხენისწყლის შესართავს, ე. ი. იმ ადგილს, სადაც 552 წელს იყო საზღვარი ბიზანტიელთა და ირანელთა. დაჰყურებს ის იმ გზას, რომლითაც შეემლო გავლა მტრის ჯარს და შემდეგ კიდევაც გაიარა. რიონის ნაპირებზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები ბიზანტიელებს გამაგრებული ჰქონდათ: ყვირილის შესართავთან – როდოპოლისი, ცხენისწყლის შესართავთან – ტელეფის || ტოლები, აბაშა-ტეხურის შესართავთან – ნესოსი. აი, ამ პუნქტებს უმიზნებდენ ირანელები, რომ გზა ფოთისაკენ თავისუფალი ჰქონოდათ. როდოპოლისი უკვე აღებული ჰქონდათ ირანელებს და ეხლა, 553 წელს, მოადგნენ ტოლებს. მოადგნენ უნდა ვიფიქროთ იმ გზით, რომლითაც ჩვენ ავედით ციხეში ჩვენი ექსპედიციების დროს 1935 წელს, ვინაიდან სწორედ აქ, სამხრეთ-დასავლეთით, არის ის ბილიკები, რომლებითაც შეიძლება იქ ასვლა. ჩრდილოეთით – ნაპრალებია.

აგათია სქოლასტიკოსი ასე აგვიწერს ამ ადგილს: «სარდალი მარტინე მისი ხელქვეითი ჯარითურთ ტელეფისში დაბინავებულიყო – ეს ციხე მტკიცე და ძალიან მაგარია – და დიდის გულმოდგინებით იცავდა შესავლებს. ეს ადგილი, სხვათა შონის, ძნელსავალია და მიუდგომელი. ერთი მხრით ნაპრალები, ხოლო მეორე მხრით ციცაბო და ერთი-მეორეზე მიწოლილი კლდეები ქმნიან ერთს მეტად ვიწრო, ბუნებრივად დაგებულ ბილიკს: არც ერთი სხვა მხრიდან არ არსებობს სხვა მისასვლელი გზა, ვინაიდან ირგვლივ მდებარე დაბლობები მეტის მეტად ჭაობიანი და შლამიანია და მათ აკრავს იმდენად ხშირი ბუჩქნარები და ტყეები, რომ არა თუ შეიარაღებულ რაზმებს,

არამედ ერთ კაცსაც კი – ისიც მსუბუქად ჩაცმულს – გაუჭირდება იქ გავლა. გარდა ამისა რომაელებს არავითარი შრომა არ დაუზოგავთ და, თუ სადმე არასაიმედო და ადვილად მისასვლელი ადგილი უპოვიათ, მაშინვე ხეებითა და ქვებით მოუყორავთ, და დაულალავადაც უმუშავიათ ამ მხრით. ასეთს გამოუვალ მდგომარეობაში რომ იყო მერმეროე და ბევრს ფიქრობდა, ახრი დაეზადა, რომ, თუ რამენაირად რომაელების ყურადღებას შეასუსტებდა და ოდნავ შეანელებდა, არც მთლად უნიადაგო იქნებოდა იქ შესვლის იმედი. თუ მტერი ამ ადგილას განუწყვეტლივ იჯდებოდა სადარაჯოზე, შეუძლებელი იქნებოდა ორივე ლაბრკოლების ერთად დაძლევა. ხოლო თუ მტერი შეანელებდა თავის ყურმახვილობას, მერმეროეს აზრით შეუძლებელი არ იქნებოდა მარტო ადგილის სიძნელისათვის რამენაირად ეშველა და ძნელმისასვლელი გზა ადვილმისადგომად ექცია. მას იმედი ჰქონდა, რომ მუშების საშუალებით გაჭრიდა და გასწმენდდა ტყეს და კლდეებსაც მოამტვრევდა და მოაცილებდა ხელისშემშლელ ნაწილებს და ამრიგად გავლა აღარ იქნებოდა ძნელი» (იხ. ზემოთ გვ. 31 – 32): ირანელმა სარდალმა მოტყუებით შესძლო ბიზანტიელთა ყურადღების შესუსტება და ციხის მახლობლად მისვლა.

როდესაც ბიზანტიელებმა დაინახეს, რომ მტერს ვერ გაუმკლავდებოდნენ, იმათ გადაწყვიტეს დაეტოვებინათ ციხე. ბიზანტიელი სარდლების, ბესსას და იუსტინეს, ჯარები დაბანაკებული ყოფილან ტელეფისის ციხის მახლობლად, ერთ დაბლობში, სულ შვიდი სტადიონის (1 1/5 კმ.) მოშორებით. «იქ – ამბობს აგათია (II, 20) – არაფერი არ არის გარდა ქოთნების სავაჭროებისა; ამით აიხსნება ამ ადგილის სახელწოდება: მას ხომ ლათინურად ოლარია ეწოდება, ელლინთა ენაზე ეს „ქიტროპოლია“ იქნება» (იხ. ზემოთ, გვ. 34).

დღევანდელი ტოლების მიდამოებიც კერამიკული საქმიანობით ხასიათდება. ხეისწყლის მარჯვენა პაპირას, ბუღნარში, დღესაც არსებობს კრამიტის წარმოება. ძველადაც, ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ბუღნარში მდინარის პირას იყო ჭურჭლების და სახურავი კრამიტის გამოსაწვავი. გარდა ამისა, ერთ-ერთ უბანს ხეისწყლის მარჯვენა ნაპირას დღესაც ეწოდება დერგა (დერგი ხომ ნიშნავს თიხის ჭურჭელს, მოზრდილ ქილას; საბა: „დერგი – ჭურთ უმცირესი“). ასე რომ ამ მხრივაც დღევანდელი ტოლების ვითარება შეფერება აგათიას ტელეფისის აღწერილობას.

მართალია, ჩვენს ექსპედიციას ტოლებში წინასწარი ხასიათი ჰქონდა და ძნელია რისამე დაბეჯითებით თქმა ტოლების თვით ციხის დათარიღების შესახებ. ამისათვის საჭიროა იქ არქეოლოგიური

თხრების წარმოება. მაგრამ ზოგიერთი ნიშნების მიხედვით ეხლავე შეიძლება მიახლოვებით გამორკვევა იმისა, თუ რა დროს უნდა ეკუთვნოდეს ეს ციხე.

ამჟამად დაცული ნაგებობანი ციხისა ნაირნაირი ხასიათისაა. ციხეს უჭირავს დახლ. 2 ჰექტარის ფართობი. ჩრდილოეთით, რაიონის მხრიდან მას ზღუდავს ნაპრალი, საიდანაც ციხე მიუვალაია. გარშემო – რასაკვირველია, ამ ნაპრალის გარდა – უვლის ორწყება თხრილი (იხ. გეგმა), როგორც ბერძნები ეძახდენ  $\phi\acute{\alpha}\rho\alpha\gamma\acute{\iota}$  და როგორც აგათიას აღწერილი აქვს ფოთის ციხისათვის. მეორე თხრილის შემდეგ იწყება კედელი, მაღალი, რომლის ნაშთები წარმოდგენილია აქვე სურათზე (სურ. 13). ამ კედლის ძირა, დღეს დაცული, ნაწილი თლილ ოთხკუთხ ქვებს წარმოადგენს, ზემო ნაწილი კი რიყის ქვისაგანაა ნაგები. სამხრეთ დასავლეთით კედელს მიშენებული აქვს მაღალი კოშკი, ყრუ (სურ. 13); ისიც ზოგჯერ ოთხკუთხი ქვებისაგანაა, შიგ აქა-იქ დატანებულია აგური, მაგრამ არასისტემურად, უწესრიგოდ. ეს ნაწილი ნაგებობისა ზოგჯერ ახალი ჩანს: ასე ჩრდილო-დასავლეთის კუთხეს ძირში, სამი მეტრის სიმაღლეზე და მეტრნახევრის სიგრძეზე მინაშენების ნაკერი ჩამოსდევს ზემოთ.

ყურადღებას იპყრობს ციხის შიგნით ერთი კედელი, მთლიანად ოთხკუთხი თლილი ქვით ნაშენი, რომელსაც ძირის ერთ ნაწილში თლილ კვადრებზე მისდევს აგურის ნაგებობა (სურ. 14). აგური ამ კედელში 11 წყობად არის დალაგებული, წყობები დულაბითაა შეკავშირებული. აგური კვადრატულია (23,5 cm X 3,5 cm X 5,5 cm), დულაბის სისქე 2 – 4 cm. ეს აგურის წყობა, როგორც ჩანს პერანგად ყოფილა, რადგან იმავე სისქეზე არის ზედ თლილი ქვები პერანგისა. ქვის სიგრძე 53 – 55 cm, სიგანე 20 – 23 cm (იგივე სისქე), სიმაღლე 41 – 43 cm.

აგურიანი კედელი დღეს შენახულია მხოლოდ დასავლეთით. უთუოდ ასეთივე პერანგი აგურისა და თლილი კვადრებისა ექნებოდა ამ შენობას სხვა მხრითაც. მართლაც, ადგილობრივ მცხოვრებთ ახსოვთ, რომ სამხრეთის კედელზეაც აგურები იყო, რომლებიც მცხოვრებლებს სოფელში ჩაუტანიათ.

დასასრულ, ისმის საკითხი: ის, რასაც ეხლა ჩვენ ვხედავთ ტოლუმში, არის ძველი ტელეფისი, თუ მოლოდ მისი ნაწილია. ამ საკითხს იმიტომ ვსვამთ, რომ სოფ. ტოლუმში ციხის ნაშთები სხვაგანაც არის. ჩვენ პირადად იმის მეტი, რაც აქ მოვიხსენიეთ, არ მოგვიხილავს, ხოლო ჩვენ მხლებელთაგან გავიგეთ კიდევ შემდეგი: არის სოფ. ტოლუმში ერთი უბანი, რომელსაც ჰქვია ნ ა მ ო ყ ვ ა რ ი – აქ

არის ციხის ნანგრევები. მთის ძირში, მდინარის პირას სრულებით არ ჩანდა არაფერი, მღვრამ როდესაც მდინარეს მოუშლია ნაპირები, გამოჩენილა გამომწვარი აგურები, მრგვალი ფორმისა, რომლის სისქე უდრიდა 5 cm, სიფართოვე კი ე. ი. დიამეტრი, 25 სანტიმეტრამდე იყო (პროფ. ა. კ. შანიძის აზრით „ნამოყვარი“ უნდა უკავშირდებოდეს სიტყვას „მურყვან“, რაც სვანურად „ციხეს“ ნიშნავს).

## 5. ნესოსი.

552 – 556 წლების საომარი ოპერაციების აღწერის დროს ისტორიკოსი აგათია ხშირად იხსენიებს ნესოსს. იგი ხუთი ფარსანგით (25 – 27 კილომეტრით) იყო დაშორებული ტელეფისს და მდებარეობდა იქ, სადაც დოკონოსი (ტეხური) ერთვის რიონს. «ეს სოფელი (ნესოსი), აგათიას აღწერილობით, საკმაოდ მაგარია და არც ადვილი მისადგომი, გარშემორტყმულია მდინარეთა მორევებით. ფასისი და დოკონოსი ჩამომომდინარეობენ კავკასიის მთიდან და თავში ძალიან არიან ერთმანეთს დაშორებული; აქ კი ადგილის მდებარეობით იმულებულნი ცოტცოტა უახლოვდებიან ერთმანეთს და უკვე აღარ მოედინებიან დაშორებით; რომაელებსაც ერთი თხრილი გაუკეთებიათ და ფასისის ნაკადი დოკონოსში გადაუშვიათ, ასე რომ ეს ორივე მდინარე ერთდება ნესოსის იმ ნაწილში, რომელიც აღმოსავლეთისაკენ არის მიქცეული, და ისინი გარს ერტყმიან ამ ადგილს. აქედან ისინი კვლავ უხვევენ და დაბლობის მცირეოდენ ნაწილს იმწყვდევენ შუაში. შემდეგ, დასავლეთისაკენ რომ მიდიან წინ, თავისთავად ერთვიან და, დაბოლოს, ერთმანეთს შეერევიან, ასე რომ მათ შუა მართლაც რომ კუნძული იქმნება» (იხ. ზემოთ გვ. 37 – 38, 98 – 99, 150 – 161).

ეს, სტრატეგიულად მოხერხებული, პუნქტი ბიზანტიელთა სამხედრო შტაბის მიერ გამოყენებული იყო ჯარების სადგომად. ბიზანტიის სარდლობას ის ბუნებრივად შემოუზღუდავს, „გაუკუნძულებია“, და იქ ჩაუყენებია თავისი ჯარის საკმაოდ დიდი ნაწილი. ონოგურისის ბრძოლის შემდეგ (554 წ.) დამარცხებული ბიზანტიელები გარბიან არქეოპოლისის მიმართულებით, სადაც მათი ბანაკი იყო, მაგრამ არქეოპოლისში აღარ ჩერდებიან, შიდა სოფლებში მისიწრაფიან (იხ. ზემოთ. გვ. 58 – 59) და კათარის წყალზე გადასვლით მიემურებიან, ალბათ, ხესოსისაკენ. სწორედ ამის შემდეგ (555 წ.) «ნახორაგანს სამოცი ათასი მეომარი წამოესხა და მოდიოდა ნესოსის წინააღმდეგ, სადაც თავმოყრილი იყვნენ მარტინე და იუსტინე, გერმა-

ნეს ძე, და მათი ჯარები» (იხ. ზემოთ, გვ. 90 – 91), რომ ნესოსში იყო ერთ-ერთი ცენტრალური ბანაკი ბიზ. ჯარისა, იქიდანაც ჩანს რომ ამ ბანაკიდან 556 წელს გაიგზავნა ჯარი როდოპოლისის ასადე-ბად: «იუსტინემ, გერმანეს ძემ; ნესოსიდან როდოპოლისში გაგზავნა ერთი თავისი რაზმის უფროსი... და თან გააყოლა ო რ ი ა თ ა ს ი ცხენოსანი» (იხ. ზემოთ, გვ. 158).

სახელწოდება Νήσιος ბიზანტიელთა ჩვეულებისამებრ, ადგილობრივი სახელწოდების ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს. ადგილობრივი კი, როგორც ჩანს, მას ლათინური სახელი რქმევია. ბიზანტიის სარდლობას მის მიერვე შექმნილ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან, პუნქტისათვის უწოდებია „კუნძული“, Insula ისევე როგორც ტელიფისის მახლობლად მდებარე ერთ უბანს მან Ollaria (ბერძნულად Χυτροπάλια) უწოდა, რაც გასაკვირველი არაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბიზანტიის სამხედრო ტექნიკაში ლათინური ენა იყო გაბატონებული. ბიზანტიელების მიერ დარქმეული სახელი Insula შერჩა ამ ადგილს დღესაც. მას დღესაც ის უ ლ ა ეწოდება.

სოფელი ისულა მდებარეობს ცხაკაიას რაიონში და მედის თეკლათის სასოფლო საბჭოში. დღევანდელი სოფელი, როგორც ადგილობრივი გიმოვარკვიეთ, შედარებით ახალი გაშენებულია და ის უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს, ვიდრე აგათიას დროინდელი ნესოსი. ძველი სოფელი ყოფილა აბაშა-ტეხურის შესართავის სამხრეთით, რიონისაკენ. ამ ადგილს ეხლა ადგილობრივი მცხოვრებლები (ისულელები) ეძახიან „ნ ა ო ჩ უ“-ს. აქ, ნაოჩუში, ადგილობრივი მცხოვრებლები ნახულობენ ხოლმე მიწაში ჭურჭლებს. ნაოჩუს მიდამოებში მებატონის (ხეცის) სასახლე ყოფილა (ამას ეხლა ჰქვია „ნ ა დ ო ხ ო რ ი“: დოხორი – ქართ. „სასახლე“); „ნადოხორის“ სამხრეთ-დასავლეთით, რიონისაკენ, ორი კილომეტრის მოშორებით არის ადგილი, რომელსაც ჰქვია „ნ ა ო ხ ვ ა მ ი“ (ოხვამე – ქარ. „სალოცავი“). ყველაფერი ეს მიგვითითებს იმაზე, რომ ეს ადგილი – აბაშა-ტეხურის შესართავის სამხრეთით რაიონამდე – ძველად დასახლებული ყოფილა.

ამ მიდამოებში ციხე-სიმაგრის არსებობის არავითარი ნიშანი არა ჩანს. ისტორიკოს აგათიას აღწერილობითაც აქ ციხე არ ყოფილა. ნესოსის სამხედრო მნიშვნელობა და ძალა მდგომარეობდა მის კუნძულისებურ ხასიათში, იმაში, რომ ის, როგორც მდინარეთა მორეკებით გარშემორტყმული, ადგილი მისადგომი არ იყო.

## 6. არქეოპოლისი.

არქეოპოლისის სასიმაგრო მეგლების მონაცემები განსაკუთრებულ მნიშვნელობის ადმოჩნდა ჩვენი მიზნებისათვის.

როგორც ზემოთ თავთავის ადგილას იყო მოხსენებული, დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ პუნქტებში (შორაპანში, სკანდეში, ვარდციხეებში, ტოლებში), რომელთა შესახებ ადამიანს შეეძლო ეფიქრა, რომ ისინი უდრიდენ VI საუკუნეში ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის წარმოებულ საომარ ოპერაციებთან დაკავშირებით ბიზანტიელ ისტორიკოსთა მიერ მოხსენებულ ლაზეთის ციხე-ქალაქებს, აღმოჩნდა სასიმაგრო ნაგებობები, აშკარა ნიშნებით ბიზანტიური ეპოქისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული წესებისა, სახელდობრ: ა გ უ რ-კ ვ ა დ რ უ ლ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა, როდესაც ფენები მასივური ოთხკუთხი თლილი ქვებითაა აგებული, ხოლო ამ ქვებს შუა ჩატანებულია სქელი დუღაბით შეერთებული კვადრატული აგურების წყებები (ოთხი, ხუთი და მეტი წყებით). ეს დასკვნა დაადასტურა არქეოპოლისმა, ე. ი. იმ ობიექტმა, რომელიც წინათ, 1930 – 31 წელს. შესწავლილ იქმნა სსსრ განათლების სახ. კომისარიატის ინიციატივით და სახსრებით მოწყობილი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეთა, დრ. ა. შნაიდერის, დოც. გ. გოზალიშვილისა და დოც. ლ. მუსხელიშვილის მიერ.

არქეოპოლისი, როგორც ეს ეხლა უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, უდრის დღევანდელს ნოქალაქებს, ცხაკაიას რაიონში, და უკანასკნელის ცენტრს ქალაქ ცხაკაიას (ყოფ. ახალსენაკს) 17 კილომეტრითაა დაშორებული ჩრდ-აღმოსავლეთით. VI საუკუნეში არქეოპოლისის ციხეს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იმ დროს, როდესაც ირანელების საბოლოო მიზანი იყო შავი ზღვის ნაპირამდე ჩასვლა (გაიხსენე მათი სისტემური საომარი ოპერაციები განსაზღვრული ხაზით: როდოპოლისი – ტელეფისი – ნესოსი – ფოთი), რასაკვირველია განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა არქეოპოლისის სიმაგრეს, რომელიც ამ ხაზის ზურგში იყო აგებული. აკი ბიზანტიელ ისტორიკოსებს არა ერთხელ აქვთ მოხსენებული, რომ ირანელები სხვადასხვა გზით (მოხირისიდან, ონოგურისიდან და სხვ.) ცდილობდნენ მისდგომოდნენ ამ სიმაგრეს.

უკვე VI საუკუნეში მას „ძველი ქალაქი“ (Ἀρχαίopolis) ეწოდება და 1930 – 31 წლის გათხრებმა გამოამზეურეს ამ ქალაქის არამარტო ბიზანტიური და მერმინდელი, არამედ გვიან-ანტიკური, რო-



მაული, ნაგებობანიც. როგორც ეს ჩანს ექსპედიციის მონაწილეთა მიერ 1931 წლის იანვარში წაკითხული მოხსენებებიდან და აგრეთვე ჟურნალ Forschungen und Fortschritte-ში (№ 27, 1931 წ. 20 სექტ., გვ. 354 – 355) მოთავსებული მოკლე ცნობებიდან, დღევანდელ ნანგრევებში ნათლად განირჩევა ქალაქის ორი კედელი; ერთი – დიდი ორთოსტატული ფილაქნებით აგებული ანტიკური ტექნიკის საფუძველზე, მეორე – ტლანქად ნათალი ქვით ნაგები. რამდენადაც ექსპედიციას თავისი მუშაობა არ დაუმთავრებია, მას არც ამ კედლების აგების ზუსტი ქრონოლოგიური განსაზღვრა მოუცია. ექსპედიციის მონაწილეთა აზრით, პირველ კედელი შეიძლება იყოს გვიან-რომაული ან ადრე-ბიზანტიური (IV საუკუნის შუახანების), ხოლო მეორე კედელი – ბიზანტიური (VI საუკუნისა). ამ კედლების არქიტექტურულ ტექნიკას ეფარდება სხვა ნაგებობათა ტექნიკაც ასე, მაგალითად, ყურადღებას იპყრობს საბაზრო მოედნის შესავალთან აგებული კოშკის კონსტრუქცია, რომელიც გვიან-რომაულ ხანაზე მიუთითებს.

ყურადღებას იპყრობს აკროპოლისში ზემო ციტადელთან მიდგმული შენობა (ე. წ. „ჯიხა“). ეს არის უზარმაზარი შენობა ორ თუ სამსართულიანი (იხ. სურ. № 15 და 16). ქვემო სართული თაღებიანია; ის, თავისი დიდი ფილაქნებით, ატარებს აშკარა ნიშნებს რომაული ხანის ტექნიკისას (სურ. № 17 და 18). ზედდადგმული შენობა (ასე ვთქვათ, მეორე სართული) ექსპედიციის მონაწილეების აზრით მეორე კედლის ტექნიკითაა აგებული. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ, ჩვენი იქ მუშაობის დროს 1935 წლის აგვისტოში, იმას, რომ ეს შენობა მოპერანგებულაია თლილი ქვებით და შიგ ჩატანებული სქელი დუღაბიანი შრეებით შეერთებული კვატრატულ აგურთა წყებებით. აგური დასავლეთის კედელზე გასდევს თითქმის მთლიანად ექვს წყებად, როგორც შიგნითა ისე გარეთა მხრიდან. სიგრძე-სიგანე აგურისა არის 36,5 cm (ზოგან 32,5 cm), სისქე 3,5 cm, დუღაბის სისქე 3,5 – 4 cm. კვადრებიც ორი ზომისაა: 1) სიგრძე 36 – 37 cm, სისქე 17 cm; 2) სიგრძე 46 – 47 cm, სისქე 22 cm. (სურ. № 19). თვით ციტადელიც მდ. ტეხურის მხრით აგებულია რომაული ტექნიკით; სამხრეთით მას აქვს ერთი ძირა ნაწილი რომაული კვადრებით აგებული, ხოლო ზემო ნაწილი კვლავ აგურწყობიანი და წვრილკვადრებიანი.

ამრიგად, „ჯიხას“ ის ნაწილი, რომელიც თავისი ნაგებობის ხასიათით 1930 – 31 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეთა მიერ ქალაქის „მეორე“ კედლის დროით იქნა დათარიღებული (VI საუკუნიდან), შეიცავს კედლის იმავე კვადრულ-აგურიან წყობას, როგორც ჩვენ ვნახეთ შორაპანში, სკანდემი, ვარდციხეში და ტოლებში.

ასეთია, მოკლედ, ის შედეგები, რომლებიც მოგვცა ჩვენ VI საუკუნის ბიზანტია-ირანის სამომარი ოპერაციების ტერიტორიაზე წარმოებულმა წინასწარმა მოხილვამ. ეს შედეგები მიგვითითებენ იმაზე, რომ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში დღესაც დაცულია ისეთი ნაგებობანი, რომლებიც ბიზანტიური ეპოქის არქიტექტურის დამახასიათებელ თვისებებს ატარებენ. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ „ბიზანტიური ეპოქის არქიტექტურის“ თვისებათა მქონე ნაგებობაზე ყოფილი ლაზეთის ტერიტორიაზე, რასაკვირველია, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ლაზეთში – ციხე-სიმაგრეებს ეწოდოს ბიზანტიელები აშენებდენ და რომ ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვიპოვით ბიზანტიური ეპოქის ლაზეთში, უთუოდ უცხოელების აგებული იყოს. ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს ამ საკითხში და ხელაღებით არ უნდა მივაწეროთ უცხოელებს ის, რაც შეიძლება ადგილობრივი წარმოშობისა იყოს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოგვეპოვება თვით ბიზანტიელ ისტორიკოსთა ასეთი მითითებები: «ეს ციხეები (სკანდა და სარაპანისი) ლაზეთს ძველად აუგიათ დიდი გაჭირებით, რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და მშენებელთ ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის მიტანა» (პროკოპი VIII. 13: გეორგიკა II, 155).

## საკუთარ სახელთა საძიებელი

(ვარსკვლავიანი \* ციფრი შენიშვნის გვერდს მიუთითებს)

**აბაზგები:** მათ მახლობლად ბინადრობენ სანნიგები 284. ლაზეთის ქვეშევრდომნი არიან 18\*. მათში ქრისტიანობა განმტკიცდა იუსტინიანეს დროს 297. ეხმარებიან 571 წ. აჯანყებულ სომხებს 236\*, 258.

**აბაზგია:** 18\*, 19\* („აბაზგუნს“ არ უდრის), 39\*. მისი ციხეების წინააღმდეგ გაილაშქრა მერმეროემ 40\*. იქ გადაასახლა იუსტინიანემ სარდალი ბესსა 44.

**აბაშა,** მდინარე: ერთვის რიონს 98\*.

**აბდილები** (ეფთალიტები): 18, 19\*.

**აგათია სქოლასტიკოსი,** ისტორიკოსი: 18\*, 958 – 187, 196, 265\* და სხვ. ადლერი ა. 38.

**ადონცი ნ.** 18\*, 19\*, 193\*, 240\*.

**ადრიანოპოლი:** აქ ბრძოლა სლავების წინააღმდეგ 29\*.

**ადრიატიკის ზღვა:** 277.

**აეტი** იხ. აიეტი.

**ავარები:** 18, 19\*, 202, 209, 210, 253, მათთან საქმეებს აგვარებს სარდალი იუსტინე 30\*. სკვითური ტომია, კავკასიიდან წავიდენ და მიადგნენ ისტრის სანაპიროებს 298.

**ავრელიანე,** რომის კეისარი (270 – 275 წწ.): 262\*.

**ავქსუმიტი-ინდები:** მათი მეფეა ანდასი 268.

**აზია:** 276\*, 278. ეგვიპტის მეფის სესოსტრის შემოსევა 28.

**აზოვის ზღვა:** 262\*.

**ათანასი,** სენატორი: კონსტანტინოპოლიდან გამოიგზავნა ლაზეთში გუბაზის მკვლელთა საქმის გამოსაძიებლად 82, 125, 152.

**ათრაელი:** სოფელი დარას მახლობლად, 576 – 7 წ. საზავო მოლაპარაკების ადგილი 243.

**აია 1:** ქვეყანა კოლხეთში, მისი ქალაქია ფაზისი (ფოთი) 286. კოლხთა ქალაქი 274 შემდეგ დაერქვა დიოსკურია 277.

**აია 2:** ქალაქი თესალიაში 274, მაკედონიაში 274.

**აიეტი 1.** წარჩინებული კოლხი: ბიზანტიის მოძულეა და ირანის მოტრფიალე 63–64, 74. მისი სიტყვა ბიზანტიელების წინააღმდეგ 64 – 70. მისი სიტყვა მაცდურია (მოწინააღმდეგეების თქმით) 72. ის მოუფიქრებლად ადგენს გეგმებს 75.

**აიეტი 2.** მითოლ. გმირი: კოლხეთის მეფე 51, 209, 274, 277. აფ-სირტეს მამა 285.

**აკაკი,** კონსტანტინოპოლის პატრიარქი: 8\*, 9.

**აკარნანია:** 282.

**აკაძირები (ხაზარები):** 19\*.

**ალამანები:** 24.

**ალამუნდარი,** სარკინოზი: 222.

**ალანები (ალანია):** მათ ხუთი ქალაქი აქვთ 18. მათთვის უნდოდა გადაეცა ბიზ. სარდალს სოტერიქეს მისიმიელთა ციხე ბუქლოოსი 86. მათი წინამძღოლი საროსი 209, 236\*, 258. მათ ქვეყანაზე გაიარეს ბიზანტიელთა და თურქთა ელჩებმა 196, 236. მათ ნება არ უნდა მიეცეს გადმოვიდენ კავკასიის ვიწრობებით 216, 217\*. ეხმარებიან 571 წ. ირანის წინააღმდეგ აჯანყებულ სომხებს 236\*, 258.

**ალარიხი (ამალარიხი):** მეფე რომში იუსტინიანეს დროს 268.

**ალბანელები (ალბანია, ალბანეთი):** იბერთა მეზობლად ბინადრობენ 274. მათ ქვეყანას ჰქვია „არრანი“ 18. დაემორჩილნენ ბიზანტიას 295, 296. მათ ქვეყანაში შეიჭრნენ 576 წ. ახლო ხანებში ბიზ. სტრატეგოსები კურსე და თეოდორე 238, 241, 241\*. ისინი გადაასახლეს ბიზანტიელებმა მტკვრის „აქეთა“ მხარეს 238. გადავიდენ ბიზანტიის მხარეზე 241.

**ალექსანდრე IV,** ალექსანდრე დიდის შვილიშვილი: 3\*.

**ალექსანდრე დიდი (მაკედონელი):** 3\*..

**ალექსანდრე პოლიპისტორი,** ისტორიკოსი: 282, 286, 286\*.

**ალექსანდრია:** 1, 6, 7, 7\*, 8, 11, 23, 187, 292, 293. იქ გადაასახლეს 565 წ. ბიზ. სარდალი იუსტინე, გერმანეს ძე 30\*.

**ალიბე,** ქვეყანა (ქალდეა): 275.

**ალიბები:** 288. იხ. ხალიბები.

**ალონი,** ქალაქი: 286, 286\*.

**ამაზონები,** ტომი: 19, 20”.

**ამალასუნთე,** ოსტგუთების დედოფალი: 190.

**ამარანტები:** კოლხური ტომი 275.

**ამარანტოსი:** ქალაქი პონტოში 275\*.

**ამბრე:** სარკინოზ ალამუნდარის ძე 222. სარკინოზთა ფილარქი 233.

**ამიდა:** ქალაქი მესოპოტამიაში 12. მის მახლობლად არის „ბეთ ისჰა-კუნეს“ მონასტერი 20. იგი დასტოვეს ირანელებმა 14. აიღო კავადმა 26.

**ამმაზარტე,** ტომი: 19, 20\*.

**ანაიტიდი** (არტემიდი): 278.

**ანასტასი მეფე** (491 – 518 წწ.) მის დროს ფარანგიონში აღმოაჩინეს ოქროს მადნები 269, 270\*. ააგო „გრძელი კედელი“ (მარ-მარილოს ზღვიდან შავ ზღვამდე) 294. მის დროს განახლდა მტრული ურთიერთობა ბიზანტიასა და ირანს შორის 20\* და ირანელებმა აიღეს ამიდა 26. მის დროს ჰუნებმა გადმოლახეს კასპიის კარები 12, 296. მის დროს ცხოვრობდა იოანე მალალა 260.

**ანასტასი ბიბლიოთეკარი**: 86\*.

**ანგლა**: მავრუსიების რაზმის წინამძღოლი ფოთის ბრძოლაში 555 წელს 101, 104, 116.

**ანგლონი**: ბრძოლა ანგლონთან 45\*.

**ანდასი**: ავესუმიტ-ინდების მეფე 268.

**ანდრია უფროსი**, არქიმანდრიტი: 8.

**ანდრომედე**: 287.

**ანკირა** (ანკურა), ქალაქი: 273.

**ანტიგონე**, დემეტრე პოლიორკეტეს მამა: 3\*.

**ანტიმაქე კოლოფონელი**, მწერალი: 274, 274\*.

**ანტინოე**, ქალაქი: (8.

**ანტიოქია**, ქალაქი: 8, 195, 197, 260, 261, 290.

**ანქიალი**, ქალაქი: 296.

**აპატური**, ადგილი: 242.

**აპოლოდორე ათენელი**, გრამატიკოსი და ფილოსოფოსი: 279, 279\*, 285.

**აპოლონი როდოსელი**: 281.

**არაბები**: 12\*.

**არაბესონი** (არტალესი, ენდერისი): სოფელი რომაულ არმენიაში 240, 240\*.

**არაზოსი**: ქალაქი პონტოს ნაპირას 275.

**არალის ზღვა**: 235.

**არაქოტი**, მდინარე: 276.

**არაქოტები**: ინდოეთის ქალაქი 276, მასსაგეტების მახლობლად 276.

**არგოს ნავი**: 51.

**არენსი კ.** (Ahrens K.): 2.

**არეობინდე**, ბიზ. სარდალი: 14.

**არესის კუნძული**: მდებარეობს კოლხების მახლობლად 276.

**არზანი**, **არზანენე**: ბიზანტიელები მოითხოვენ მას 298 წლის საზავო მოლაპარაკების დროს 193. ირანს ეკუთვნოდა 14, აიღეს ბი-

ზანტიელებმა 15. მის წინააღმდეგ ლაშქრობს იუსტინე II-ის დროს. სარდალი მარკიანე 200. უკან აძლევენ ბიზანტიელები ირანელებს 250, 251.

**არზრუმი:** 13\*. იხ. თეოდოსიუპოლი.

**არიანე,** ისტორიკოსი: 272, 273, 276, 283\*.

**არისტოფანე,** კომედიების მწერალი: 286.

**არკადი,** ბიზ. კეისარი (395 – 408 წწ.): 25.

**არმენია:** 212, 239, 278, 296. მისი ნაწილებია ოზარენოდ და ოტენე 289. მასა და სირიას შუა არის ქალაქი ტორტომი (თორთუმი) 285. მისი ციხეები 250. იქ შეიჭრა იბერთა მეფე მითრიდატე 191. იქ შეიჭრნენ ჰუნნები ანასტასი მეფის დროს 297\*. თავს ესხმიან ჭანები და ძარცვავენ 182. მის მიდამოებში ბრძოლები იუსტინიანეს დროს 26. იქ მშვიდობიანობა დამყარდა 556 წელს 210. მის სარდლად დაინიშნა იოსტინე, გერმანეს ძე 30\*. არმენია დიდი, შემდეგ პერსარმენიად წოდებული, აუჯანყდა ირანელებს 571 წელს 298 – 299, 250 – 258. შეტაკება ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის 577 წელს არმენიაში 16, 247. არმენია მცირე ანუ რომაული: რომაელების ხელშია 299. მისი ქალაქი თეოდოსიუპოლი 19, 13. მის საზღვარზე მდებარეობს ფარანგიონი 270. იგი მოაოხრეს საბირებმა 270. იქ შეიჭრა ხოსრო 576 წლის შემდეგ 240 (იხ. აგრეთვე არმენიელები, პერსარმენია, პერსარმენიელები).

**არმენიელები:** ესაზღვრებიან ხალიბებს 288. ირანის მოხარკენი არიან 199. ისინი აუჯანყდნენ ირანელებს 571 წ. და ბიზანტიელების მხარეზე გადავიდნენ 256 – 258. მათ ეხმარებიან 571 წ. აჯანყების დროს კოლხები, აბაზგები და ალანები 258. არმენიელები პალესტინაში 188\*.

**არრანი** (რანი, ალბანეთი): არმენიის ქვეყანაა 17, 18. მისი ეპისკოპოზი ქარდუსტი 20, 21.

**არსენი,** კათალიკოზი: მისი წერილი „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ 257\*.

**არტაბანე:** პართელთა მეფე 191; მან მოიხმო სკვითები და გაამევა ტირიდატე 191.

**არტალესი** (არაბესონი), ძველი ციხე-სიმაგრე სომხეთში: 240\*.

**არტაქსატა:** 289.

**არტემიდი** (ანატიდი): 278.

**არტემიდორე ეფესელი,** გეოგრაფოსი: 277, 277\*, 279, 286.

**არქეოპოლისი:** მოთავსებულია უნაგირას მთის კალთაზე 61\*. მის

გარშემო ბრძოლა 540-იან წლებში 61\*, 209. მერმეროეს იერიშები 30, 39\*. მას სდარაჯობენ ბიზანტიელები 40\*, იქ დამარცხდენ ირანელები 551 წელს 61\*. მის მახლობლად არის ონოგურისი, როგორც ბიზანტიელთა წინააღმდეგ სასიმაგრო პუნქტი 56, 60\*, 61\*, 148. მის მახლობლად, დაბლობში, დაბანაკებულნი იყვნენ 554 წ. ბიზანტიელი სარდლები და მთელი ჯარი 53, 59. იქ დაბანაკებული არიან ბიზანტიელთა მიერ დაქირავებული საბირები 91. მის ასაღებად მიდიან ირანელები 554 წლის ონოგურისის ბრძოლის შემდეგ 90, 160\*.

**არქიელის გორა**, ქუთაისში: არ არის იგივე, რაც უქიმერიონი 62\*.

**არხაპეტე**, ირანელი მმართველი: 193.

**ასკალონი**, ქალაქი: 7\*.

**ასოლიკი სტეფანე**: 257\*.

**ასპრუდი**, მდინარე მიდიაში: 193.

**ასტაბედი**, ირანის წარმომადგენელი საზავო მოლაპარაკების დროს 15.

**ასტერუსია**: მთა კრეტაზე 276. სინდური ქალაქი 276.

**ატილა** (ვოლგა), მდინარე: 235.

**აფრიკა** (ლიბია): 276\*. მისი მეფე გილდერიხი 268.

**აფსარი** (აფსირტი): ერთი ადგილი ევქსინის პონტზე 277, 286\*.

**აფსარუნტი**: აქაურ სატუსალოში დაამწყვდიეს გუბაზ მეფის მკვლელები რუსტიკე 82 და იოანე 83.

**აფსილები** (აფსილია): სკვითური ტომია ლაზების მეზობლად 276. ლაზების ქვეშევრდომნი არიან 18\*, 86. მათი ქვეყნის საზღვარზეა ტიბელეოსის ციხე 160. მათ ჩრდილოეთით მისიმიელნი ცხოვრობენ 86. მათ ქვეყანაში მოვიდა მისიმიელთა წინააღმდეგ ამხედრებული ბიზ. ლაშქარი 157. მათი ტომის კაცები იგზავნებიან ბიზანტიელთა ელჩებად მისიმიელებთან 161. ეს ელჩები მოკლეს მისიმიელებმა 162. მათ ქვეყანაში ჩამოვიდა თურქთა ქვეყნიდან კონსტანტინოპოლში მიმავალი ზემარქე 207, 237.

**აფსირტე**, შვილი აიეტისა: 277, 285, 285\*.

**აფსირტები**, მცხოვრებლები: 277.

**აფსირტი**: ქალაქი და კუნძული 277.

**აფსირტი** (აფსარი), ქალაქი: 286\*.

**აფსირტიდები**: კუნძულები 277.

**აფუმონის ციხე**: 250.

**აფფარბა**, ირანელი მმართველი: 193.

**აფხაზები**: მათი ჰეგემონობის საკითხი დასავლეთ საქართველოში 18\*.

- ბაბა, ბიზანტიელი წინამძღოლი: 95.
- ბაბილონი: 287.
- ბაგარსიკი (ბარსელქი, ბარსელტი), ტომი: 18, 19\*.
- ბაგრევანდი, სომხეთის პროვინცია (მაკრავანდთა მხარე): 239\*.
- ბაზგუნი: ქვეყანა კასპიის კარებთან 17 – 19. იგივე ბარასაკანი (ბალასაკანი) 18\*.
- ბალაში, ირანის მეფე (484 – 488 წწ.): 257\*.
- ბალმახი: საბირთა რაზმის წინამძღოლი 91.
- ბარამანი (ბარამანე, მირანი), ირანელი სარდალი: 201, 258.
- ბარასაკანი (ბალასაკანი), იგივე ბაზგუნი: 18\*.
- „ბარჰებრეუსი“: 16\*. იხ. გრიგოლ მელიტენელი.
- ბარსაზორსე, ირანელი მმართველი: 193.
- ბასიანი: ხოსრო მიიწევდა ბასიანზე 240.
- ბატნე, ქალაქი მესოპოტამიაში: 16.
- ბაქტრია: მის მიდამოებში არიან დაბინავებული ჰუნნები 12\*.
- ბეთ ისჰაკუნე, მონასტერი ამიდის სახრრიდად, 20.
- ბეირუთი: 1, 293.
- ბეკერი ი. 244\*.
- ბერკელიუსი ა. 276\*, 284\* და სხვ.
- ბერძნიშვილი ნ. 39\*.
- ბერძნები: პალესტინაში ისინი მტრობენ სომხებს 188\*.
- ბესსა: ბიზანტიელი სარდალი 29, 30\*. 552 წელს მასთან ერთად იბრძოდა მარტინე 45\*. მისი რაზმები ქიტროპოლიაში არიან. დაბანაკებული 34. გუბაზ მეფის ბრალდებები მის წინააღმდეგ ტელეფისის ბრძოლის შემდეგ 43. მისი საქციელით უკმაყოფილოა იუსტინიანე 44. მისი გადაყენება და აბაზგიაში გადასახლება 44.
- ბიდე ჟ. (Bidez J.): 290.
- ბიზანტია: 131\*, 205, 206, 207, 208, 247\*, et passim. მის საზღვრებში იჭრებიან ჭანები 263\*. ომი ირანთან 552 – 556 წლებში 204. საზავო მოლაპარაკება ირანთან 562 წელს 203. მისი ჯარის რაოდენობა იუსტინიანეს დროს 187. განაახლა ომი ირანთან 571 წელს 195. იხ. აგრეთვე ბიზანტიელები.
- ბიზანტიელები (რომაელები): მათი მტრობა ირანელებთან წათეს გაქრისტიანებით დაიწყო 267. დაანგრიეს როდოპოლისი 550 წელს 159\*. ნესოსში არიან დაბანაკებული 554 წ. გაზაფხულზე 83. ბრძოლა ირანელებთან ფოთში 122. ირანელებთან ბრძოლის დროს გადასწვეს მახლობელი სოფლები 106 – 102. მათ



ხშირად მიუყენებიათ შეურაცხყოფა ლაზებისათვის 68. მათ გადაუდგნენ მისიმიელნი 555 წელს 90. მათი ბრძოლა მისიმიელთა წინააღმდეგ 154 – 157, 159 – 174. მათ გადაუდგნენ სვანები 204. დროებითი ზავი დადვის ირანელებთან 556 წელს 202, 209. ორმოცდაათწლიანი ზავი შეკრეს ირანელებთან 562 წელს 210 – 217. საზავო მოლაპარაკება ირანელებთან 576 – 577 წწ. 243 – 250. მათი სავაჭრო ურთიერთობა თურქებთან 205 – 207, 233\*, 234 – 237. იხ. აგრეთვე ბიზანტია.

**ბიზანტიონი** (კონსტანტინოპოლი): 86, 107, 127, 210, 227, 237, 241, 241\*, 242. ჩავიდა ლაზთა მეფე წათე იუსტინე I-ის დროს 264. წათე წამოვიდა იქიდან 264. იქ ჩავიდა გუბაზ მეფის დასაბეზღებლად იოანე, რუსტიკეს ძმა 46. იქ იბარებს იუსტინიანე გუბაზს 136, 137, 150. იქიდან გაგზავნა იუსტინიანემ გუბაზის მკვლელთა გასასამართლებლად მსაჯულნი 125. იქ გაიწვია იუსტინიანემ მარტინე 176. წარმოებს მოლაპარაკება ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის 556 წელს დროებითი ზავის შესახებ 180. იუსტინიანეს მეფობის დროს იქ შემოიტანეს აბრეშუმის ჭია 253, 254, 254\*, 255\*. ჩავიდნენ თურქთა ელჩები 206, 234. დაბრუნდა ზემარქე თურქთა ქვეყნიდან 256. დაბრუნდა 565 წ. ირანში ელჩად გაგზავნილი იოანე კომენტიოლე 230. ჩამოვიდა ირანის ელჩი ზიქი 231. ზიქის შემდეგ ჩამოვიდა ელჩად მებოდი 232.

**ბითარმასი**: აქ წარმოებს მოლაპარაკება სვანეთის შესახებ პეტრე პატრიკიოსსა და ხოსროს შორის 204, 218.

**ბოორი, დე** (de Boor): 25, 84\*, 190, 208, 217\*, 228\*, 244\*, 262, 291\*.

**ბოსფორი** (ბოსპორი): 192“, 298.

**Brooks. E. W.** 2.

**ბროსე მ.** 38\*, 39\*, 59\*, 60\*.

**Boissevain Urs.** 208.

**ბუზე**, ბიზანტიელი სარდალი: მესამე სტრატეგოსის თანამდებობაზეა ლაზეთში 45. მარტინემ და რუსტიკემ დაუმალეს თავიანთი გეგმა გუბაზის მოკვლის შესახებ 47. არ ამხილა გუბაზის მკვლელები 50. დასცინის რუსტიკე 55. მისი გეგმა ონოგურისის ალყის დროს 55. ხელმეორედ შეება ირანელებს ონოგურისთან ბიზანტიელების დამარცხების შემდეგ 59. დარჩა ნესოსში 555 წელს 100, 156.

**ბულგარელები** (ბურგარე): 19\*.

**Bury J.** 261, 264\*, 265\*, 268\*, 269\*.

**ბურგარე:** ტომით წარმართი და ბარბაროსი 18.

**ბუქლოსი (ბუკელე):** ციხე მისიმიელთა ქვეყანაში 36, 86\* – 87\*.

**გალატია:** 273. აქ შეიჭრნენ ჰუნნები ანასტასი I ის დროს 297\*,

**გალერი,** რომის კეისარი: 192.

**განგრა,** თრაკიის ქალაქი: 3, 7.

**გელცერი** 3. 4\*, 18\*, 19\*, 22\*, 260.

**გეპიდები:** 239\*.

**გერმანე,** სარდალ იუსტინეს მამა: 29, 91, 100, 115, 158, 239\*.

**გიბრე,** ბიზ. მეომარი: ლანგობარდთა და ერულთა რაზმების წინამძღოლი 101.

**გილდერიხი,** სტრატეგიატი: გაგზავნა იუსტინიანემ წათეს დასახმარებლად 267, 267\*.

**გილდერიხი:** აფრიკის მეფე 268.

**გიორგი ამარტოლი,** ქრონოგრაფოსი: ისარგებლა მაღალას ქრონოგრაფით 261.

**გიორგი (გრიგოლ?) ანტიოქელი:** 197.

**გლონი,** ირანელი სარდალი: 14.

**გოგარენე:** ადგილი კოლხებსა და იბერებს შუა 277.

**გორგენი,** იხ. გურგენი.

**გორგიპპე:** ქალაქი სკვითიაში 284.

**გორდი:** 62\*.

**გორდიანე III,** რომის კეისარი: მის დროს დიდი არმენია (პერსარმენია) რომაელების ხელში იყო 299.

**გრიგოლ განმანათლებელი:** 17.

**გრიგოლი,** ანტიოქიის პატრიარქი (570 – 593 წწ.) 195, 197, 290.

მისი პატრიარქობის პირველ წელს სომხები აუჯანყდნენ ირანელებს 298.

**გრიგოლ მელიტენელი:** „ბარჰებრეუსის“ ავტორი 16.

**გუბაზი,** ლაზთა მეფე: ბიზანტიელთა ქვეშევრდომია 29. მას ტომის მთავარი (ἡγεμᾶν τῶν γένους) ეწოდება 149. აღშფოთებულია ტელეფისის ბრძოლის შემდეგ და ბიზ. სარდლებს უჩივის იუსტინიანესთან 43, 46. ის არ იყო საცოდავი და სუსტი არსება 79. ბიზანტიელების ერთგული იყო 138. არას დროს არ ყოფილა ირანელების მომხრე 81. ბიზ. სარდლებმა დააბრალეს ირანის მომხრეობა 46, და მის წინააღმდეგ შეხანხლეს ყალბი ბრალდებები 137, 151. მას თითქოს სურს გადაუდგეს ბიზანტიელებს. 128, 145, 148, 150, 152. მისი მტრული ურთიერ-

თობა ბიზ. სარდლებთან მარტინესთან და რუსტიკესთან 45. მისი წარმატება შურდათ მარტინეს და რუსტიკეს 76. მის თავიდან მოცილება განიზრახეს მარტინემ და რუსტიკემ 46. შეთქმულება ბიზ. სარდლებისა მის წინააღმდეგ 42 – 50. მასთან მოვიდენ ბიზ. სარდლები და ონოგურისში მყოფ ირანელების წინააღმდეგ ლაშქრობა მოუწოდეს 48. მან უარი თქვა ლაშქრობაში მონაწილეობაზე 153. მისი მოკვლა ბიზ. სარდლების მიერ 49 – 50, 125, 126, 137, 144, 153. მის წინააღმდეგ მოწყობილ ვერაგობაში მცირეოდენი წილი არ მიუძღოდა მარტინეს 175. მისი მოკვლა მოხდა იუსტინიანეს თანხმობით 65. მისი ერთ-ერთი მკვლეელია რუსტიკე 166\*. მკვლელების დანაშაული 73. მას გლოვობენ კოლხები 69. მისი მოკვლის გამო გაიმართა წარჩინებულ კოლხთა კრება კავკასიის ერთ ხეობაში 63 – 81. მისი მკვლელების გასამართლება 125 – 154.

**გუთები:** შეიჭრნენ მცირე აზიაში III საუკუნეში 262\*. შეიჭრნენ ბიზ. მიწაწყალში იუსტინიანეს დროს 298.

**Guletus Fr. 277\*.**

**გურგენი:** იბერთა მთავარი 571 წელს 258.

**გურგენ მეფე:** 217\*.

**გურზანი:** ქვეყანა არმენიაში 17, 18. უდრის ქართლს 18\*.

**დაბრაგუზა,** ბიზ. სარდალი: ტომით ანტია 103. იბრძვის ონოგურისთან 55, 57. იბრძვის ფოთში 103, დაბრაგუზას ძე ლეონტი 168.

**დაგანები,** კავკასიის მთიელთა ტომი: ეხმარებიან ირანელებს სომხების წინააღმდეგ 258, 258\*.

**დადოკერტა;** არმენიის ციხე 277.

**დადუ:** სამეფო კავკასიის მთებში 18.

**დაიხი,** მდინარე: 235.

**დაკნასი,** იხ. იოანე დაკნასი.

**დამნაზე:** ლაზთა მეფე, წათეს მამა: 264.

**დანაე:** 287.

**დანაპრი (დნეპრი),** მდინარე: 242.

**დანდარიები:** ტომი კავკასიის მახლობლად 277.

**დარა,** ქალაქი: 201, 205, 243. საბაჟო პუნქტია ბიზანტიისა და ირანის საზღვარზე 217\*. მის დაცვაში მონაწილეობს მარტინე 45\*. იქ შეიყარნენ საზავო მოლაპარაკებისათვის ბიზანტიისა და ირანის ელჩები 203, 210. ამ ქალაქს მოითხოვს ირანისაგან ბიზანტია ნაცვლად უკან დაბრუნებული პერსარმენიისა და იბე-

რიისა 246, 247, 248, 249, 250, 251. მას ხოსრომ ალყა შე-  
მოარტყა 259. ირანელებს სურთ ის ხელში პქონდეთ (580 წ.)  
251.

**დარიალის კარი:** 18\*. იხ. აგრეთვე კასპიის კარები.

**დარინი:** დარინის გზა (ლაზეთში) 207, 236, 237.

**დარუბანდის კარი (ჩორი):** 19\*, 217\*.

**დეიტატე (დეისატე):** ბიზან. ჯარის წინამძღოლი 84.

**დელფო:** 287.

**დესტუნისი სპ.** 208.

**დვინი, სომხეთის ქალაქი (პერსარმენიაში):** 17, 250, 256. საეკლესიო  
კრება 506 წლისა 19\*. საეკლესიო კრება 554 – 555 წლისა 257\*.

**დიზაბული, იხ. სიზიბული.**

**დილიმნიტები (დოლომიტები, დილმანის ტომი):** მათი დახასიათება  
91 – 92, ირანელების ჯარში მსახურებენ 90, 91. იმათ გაგზავნის  
ნახორაგანი საბირთა რაზმის (ბიზ. ჯარის) წინააღმდეგ 93 – 95.  
იბრძვიან ფოთში 555 წელს 105, 116, 117, 123.

**დილმანის ტომი (დილიმნიტები):** ეხმარება ირანელებს 571 წელს  
სომხების წინააღმდეგ 258, 258\*.

**დიმიტრიევსკი ა.** 188, 188\*.

**დიმიტრი პოლიორკეტე:** 3\*.

**დინდორფი ლ.** 25, 25\*, 84\*, 190, 196, 208, 237\*, 262.

**დინდორფი ვ.** 273.

**დიოდორე სიკელიელი (ხირალსერიე, ბერძ. ისტორიკოსი):** 28.

**დიოკლეტიანე:** 192.

**დიონისე:** სამხედრო რაზმების წინამძღოლი ზემო ეგვიპტეში 292.

**დიონისე პერიეგეტი:** 272.

**დიონისე ჰალიკარნასელი:** 272.

**დიოსკორე, ალექსანდრიის პატრიარქი:** 3, 8\*.

**დიოსკურია 1:** ქალაქი პონტოსთან (სებასტოპოლი) 277. ძველად მას  
აია ეწოდებოდა 277.

**დიასკურია 2:** ლიბიაში 277.

**დიოფანტე, ისტორიკოსი:** 281, 281\*.

**დირმარები (დიფარმარები, იტიმარები):** 18\*, 19\*.

**დიტერიხი კ.** 25.

**დოკონოსი, მდინარე ლაზეთში:** ჩამოდის კავკასიის მთიდან 37. უდ-  
რის თანამედროვე ტეხურს 37\*, 160\*.

**დოლომიტები (დილიმნიტები):** 258\*. იხ. დილიმნიტები.

**დომენტიოლე, (დომენტიოლე, კომენტიოლე), იოანე კომენტიოლეს**

- მამა 228\*. იხ. იოანე კომენტოლოე.  
**დორიები**, ტომი: 282.  
**დოროთე**, კომსი: 5.  
**დოროთე**; არმენიის სტრატეგიატი: განდევნა საბირის ჰუნნები 271.  
**დრილები**, ადგილი პონტოში: 278.
- ევგიპტე**: 8\*, 292, 293. მისი ქალაქი თებე 187. კოლხები აქედან არიან გადმოსახლებული 27 – 28.  
**ეგრი** (იგივე კოლხეთი, ლაზეთი): 18\*.  
**ედესა**: 45\*. ირანელების იერიშები მის წინააღმდეგ 16.  
**ევაგრი**, ისტორიკოსი: 30\*, 195, 290 – 300. ისარგებლა მალაღას ქრონოგრაფით 261.  
**ევბეა**, კუნძული: 282.  
**ევდოკია**, თევდოსი II-ის მეუღლე: მან აღზარდა პეტრე იბერიელი 4.  
**ევდოქსე კნიდოსელი**, ძველი ბერძ. მეცნიერი: 282, 287, 288.  
**ევდოქსე როდოსელი**, ისტორიკოსი: 282\*.  
**ევპრაქსი**: ბიზ. ჯარისკაცი 3.  
**ევროპა**: 23\*; 276\*, 281, 294.  
**ევსევი**, პელუზიის ეპისკოპოზი: 6\*, 292.  
**ევსევი კესარიელი**: 290.  
**ევსტათი**: აპამეელი ვაჭარი 13.  
**ევსტათი**, კომენტატორი: 276\*, 280.  
**ევსტრეტი**: ბიზ. სტრატეგოსის სოტერიქეს ვაჟი 86.  
**ევტიქი**, მონოფიზიტთა მეთაური: 8\*.  
**ევფორიონ ქალკიდელი**, ძველი ბერძ. მწერალი: 275, 275\*.  
**ევფრატა**: აბაზგი 297.  
**ევფრატასი**, ისტორიკოს მენანდრეს მამა: 202.  
**ევფრატესია** (კომაგენე), პროვინცია კილიკიის მეზობლად: 270.  
**ევფრეტი**, მდინარე: 200. მის პარალელურად მიდის მტკვარი 289.  
**ევქსინის პონტო**: 207, 237, 276, 277, 286, 289, 294. ირანელების ინტერესები მის სანაპიროებზე 29. მისი სანაპიროები დასტოვეს ავარებმა და მივიდნენ ბოსპორზე 298.  
**ეთიოპელები**: 254\*. მათ მაკრობიები ეწოდებოდათ წინათ 256. მათ წინააღმდეგ ლაშქრობს ხოსრო 256.  
**ელეატის ყურე**: 13\*.  
**ელენე**, კონსტანტინე დიდის დედა: 295\*.  
**ელინები** (ელლინები): 254\*, 287. „ელინი“ წარმართს ნიშნავს 266\*.  
**ელმინგირე**, ჰუნნი: ბიზ. მწყობრის უფროსია ფოთში 555 წელს 103.

**ელმინზურე**, ჰუნნი: ბიზ. რაზმის უფროსია, აილო როდოპოლისი 555 – 556 წელს 158.

**ელპიდი**: ავარებთან ელჩად გაიგზავნა 583 წელს 83\*.

**ეპისტროფე**: ხალიბების მეთაური 288.

**ეპიფანია**, სირიის ქალაქი: იოანე და ევავრი ისტორიკოსების სამშობლო, 195, 290.

**ერულები**: მათი რაზმი ფოთში 555 წელს 101.

**ესაია**, მონაზონი: 8, 9, 10\*, 10 – 12.

**ესიმიფე**: პომერიტების მეფე 254\*.

**ესპანეთი**: 187, 279\*.

**ეფესო**: 8.

**ეფთალიტები**: 18, 19\*, 234.

**ეფორე**, ისტორიკოსი: 285, 285\*.

**ექვთიმე მთაწმიდელი**: 265\*.

**ვალემერიაკე**: ა[მა]ლარხის მამა 268.

**ვალენტინე**, ბიზ. სახელმწიფო მოღვაწე: გაიგზავნა ავარებთან 210.

ელჩად გაიგზავნა თურქებთან ტიბერის კეისრობის დროს 242.

**ვალერიანე**, ბიზ. სარდალი: აღმოსავლეთის რაზმების ხელმძღვანელია ფოთში 555 წელს 101, 102.

**ვალერიანე**: პატრიკიოს ნომეს ასული, წათეს მეუღლე 264, 265.

**ვარაზ არმენიელი**, ლოხაგოსი (რაზმის უფროსი): ხელმძღვანელობს ბიზანტიელებს მისიმიელთა წინააღმდეგ 156.

**ვარანი** (ბაპრამ V), ირანის მეფე: 26.

**ვარდა**: აჯანყებულ სომეხთა მეთაური 571 წელს 256.

**ვარდანი** (მამიკონიანი), აჯანყებულ სომეხთა მეთაური 571 წელს 256 – 258, 299.

**ვარდციხე** (ვარდისციხე): 159\*. იხ. როდოპოლისი.

**ვარზონიტები**: 242.

**ვაფრიზი**: წარჩინებული ირანელი, ცხენოსანი ჯარის უფროსი 124.

**ვახუშტი**: 41\*, 59\*, 60\*, 61\*, 62\*, 98\*.

**ვაჰან მამიკონიანი**: 257\*.

**ველიზარი**: 267\*.

**ვიტალიანე**: ტომით თრაკიელი, აუჯანყდა ანასტასი I-ს 296.

**ვოლგა**, მდინარე: 207, 235.

Wolf: 261.

Wright: 12.

- ზაბდიკენი**, ქვეყანა: 193.
- ზალეზი**, ჰუნთა ტომი: 210.
- ზამანაზი** (მამანაძი, სამანაზი), იბერიის მეფე 535 წელს: 268, 268\*.
- ზაქარია რეტორი**: 1 – 29, 291\*.
- [ფსევდო] **ზაქარია**: 12 – 22.
- ზაქარია**, ექიმი: 248.
- ზაქარია**: ბიზ. ელჩი 576 – 577 წ. სახავო მოლაპარაკებაზე 243%\* 248.
- ზეესი**: 287.
- ზეილა**: ქალაქი კაბადოკიაში 278.
- ზეილა**, ნიკომედეს შვილი: 278.
- ზელა**: ადგილი არმენიაში 278, პონტოში 278.
- ზემარქე**, კილიკიელი, აღმოსავლეთის ქალაქთა სტრატეგოსი: მისი ელჩობა თურქთა ქვეყანაში 195 – 196, 199, 206 – 207, 235, 256. გამოიარა ალანია 236. დაბრუნდა კონსტანტინოპოლში 237.
- ზენონი**, ბიზ. კეისარი (474 – 491): 1, 10, 10\*, 11. მისი ჰენოტიკონი 8, 8\*.
- ზესტაფონი**: 223\*.
- ზიგები**: ხალხი აზიის ბოსპორთან 278.
- ზიგოპოლისი**, ქალაქი ტრაპეზუნტის მახლობლად: 278.
- ზინთა**: მდებარეობს მიდიის საზღვარზე, ზინთის ციხე 193.
- ზიპერი**, ბიზ. მეომარი: მარკელინეს მემუზე 168.
- ზიქი** (იესდეგუსნაფი), წარჩინებული ირანელი: მოვიდა 556 წელს ბიზანტიონში დროებითი ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად 180, 181, 185\*. ირანის ელჩი 562 წ. მოლაპარაკებაზე 210, 213, 215, 216. მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს 565 წ. იოანე კომენტიოლე 229. ელჩად მიდის კონსტანტინოპოლში იუსტინე II-სთან 231. მისი გარდაცვალება 232.
- ზოსიმე**, ისტორიკოსი: 295, 295\*.
- თაკვერი** (ლეჩხუმი): 62\*.
- თარშეთი** (Tarsus): 262\*.
- თებე**, ეგვიპტისა; 187.
- თებეთონი**, ციხე ირანში: 201.
- თევდოსი**, იხ. თეოდოსი.
- თემისკირა**: ქალაქი და ქვეყანა თერმოდონტის პირისპირ 278.
- თეოდორე**, ბიზ. სტრატეგოსი: იბრძვის ალბანიაში 238, 241\*.
- თეოდორე**: ანტინოეს ეპისკოპ. 8. პეტრე იბერიელის თანამოაზრე 10, 11.

- თეოდორე ბაკქეს ძე:** მცირე ელჩი, გაგზავნილი ტიბერის მიერ ირანში 240, 240\*, 241.
- თეოდორე პეტრეს ძე,** ბიზ. ელჩი 576 – 577 წ. საზავო მოლაპარაკებაზე 243\*.
- თეოდორე რაბდიელი,** ბიზ. წინამძღოლი იუსტინე II-ის დროს აღმოსავლეთში, არზანენეში 200.
- თეოდორე ცირე,** იუსტინიანეს შვილი: დაინიშნა ს აღმოსავლეთის სტრატეგოსად მარკიანეს გადაყენების შემდეგ 259.
- თეოდორე ჭანი:** ბიზ. რაზმების უფროსი 34. ტომით ჭანია 35. ტელეფისის მახლობლად დგას 33. ვერ მოახერხა დროზე შეეცო-ბინებია სტრატეგოსებისათვის ირანელების მოახლოვება 36. იბრძვის 555 წ. ფოთში 101, 104, 116. გაიგზავნა მისიმიელთა წინააღმდეგ 156. იბრძვის ძახარის ციხესთან მისიმიელთა ქვეყანაში 168. გაიგზავნა 556 წ. ჭანების დასამორჩილებლად 182–187. დაიმორჩილა ქანები 185, 186\*, და დაბრუნდა ლაზეთში 186.
- თეოდორიადა,** ქალაქი პონტოში: იქ დაიბანაკა თეოდორე ჭანმა 556 წელს 182, 186\*.
- თეოდორიტე კვირელი:** 290.
- თეოდოსი I.** ბიზ. კეისარი (376 – 395 წწ.) 225, 225\*, 262\*, 290.  
მის დროს ჭანები შეიჭრნენ კაპადოკიაში და სირიაში 262.
- თეოდოსი II,** კეისარი (408 – 450 წწ.): 3, 224, 225. 225\*, მისი მზრუნველია ირანის მეფე ისდიგერდი 25. მას მძევლად მიეცა პეტრე იბერიელი 4.
- თეოდოსი,** იერუსალიმელი ეპისკოპოზი: 3, 4, 5, 6, 22, 291.
- თეოდოსიუპოლი:** ქალაქი არმენიაში 12, 13. იქ შეიჭრა ხოსრო 576 წლის შემდეგ 240, 241.
- თეოდოტე,** იოპპეს ეპისკოპოზი: 7.
- თეოფანე ბიზანტიელი:** 195, 203, 206, 252 – 259, 299.
- თეოფანე ჟამთააღმწერელი:** ისარგებლა მალალას ქრონოგრაფით 261.
- თერმოდონტი,** მდინარე: 288. მის პირისპირ არის თემისკირა 278.
- თესალია:** 274. 282.
- თესალონიკე,** ქალაქი: იქ დაიბადა ისტორიკოსი პეტრე პატრიკოსი 190.
- თიანე:** წარჩინებული მისიმიელი 87.
- თომა მეტყავე:** 20.
- თორთუმი (ტორტომი):** ქალაქი სირიასა და არმენიას შუა 285\*.
- თრაკია:** 3, 23\*, 294, 296.
- თუკიდიდე,** ისტორიკოსი: 272.
- თურქები:** ბინადრობენ ტანაიდის აღმოსავლეთით 253. ეფთალიტები



დაამარცხეს 255. მათი ურთიერთობა ბიზანტიელებთან 195 – 196, 205 – 207, 233\*, 234 – 237. მათი ელჩები იუსტინე II-ის მეფობაში მოვიდნენ კონსტანტინოპოლში 199, 254. მათთან ელჩად იგზავნება ზემარქე 199, 256. მათ გამოექცნენ ავარები 298.

**თურქისტანი:** 255\*.

**იაზონი:** 28, 51\*, 285.

**იაკობი,** ედესელი ეპისკოპოზი: 16.

**იბერები** (იბერია): 37, 39\*, 96, 147, 159\*, 237. იბერია მდებარეობს ირანის გვერდით 279. მის საზღვარზე მდებარეობენ სკანდე და შორაპანი 222\*. მის მახლობლად არის გოგარენე 277. მისი მეფე მითრიდატე 190, 191. მისი დამოკიდებულება რომისაგან III საუკუნის ბოლოს 192, 193. ქრისტიანობის მიღების შემდეგ იბერია დაემორჩილა რომაელებს 295, 296. იბერიიდან (დასავლეთის?) ჩამოსული ეგვიპტელისაგან ირწმუნა კონსტანტინე პირველმა ქრისტიანთა სარწმუნოება 295, 295\*. ოდესღაც ექვემდებარებოდა ლაზეთის მეფეებს 215, 215\*. მის დასახმარებლად იუსტინე I ჯარს ქირაობს ჰუნთა ქვეყანაში 21\*. ხელშეკრულების ძალით იქიდან უნდა გავიდნენ ბიზანტიელები 243. იქ ირანელები არიან დაბანაკებული 78. იბერთა მეფე ზამანაზი 535 წელს 268. დაბრუნდა მერმეროე 41. ფოთში დამარცხების შემდეგ იქ გაბრუნდა ნახორაგანი 124, 180. იქ მივიდნენ ნახორაგანთან მისიმიელთა ელჩები 154. იქიდან დაიდრა ირანელთა ჯარი მისიმიელთა საშველად 157. იქ დაბრუნდა ირანელთა ჯარი მისიმიელთა ქვეყნიდან 189. იქიდან ხოსრომ გაიწვია ნახორაგანი 179. იბერია 571 წელს გადაუდგა ირანს 202, 239\*, 244\*, 248, 256 – 257, 299, გურგენის მეთაურობით 258. ამ გადადგომის შემდეგ გადახვეწილი იბერები ბიზანტიაში 245, 246. იბერიის დაპყრობა განუზრახავს ირანს 241. ბიზანტია უთმობს ირანს 576 – 577 წ. მოლაპარაკების დროს 245, 246, 247, 249. იქ გაგზავნა მთავარსარდალმა მავრიკიმ თავისი ჯარი 250. ის კვლავ ირანის ხელშია 580 წელს 251. იბერთა მონასტერი პალესტინაში 188, 188\*.

**იბერები,** (დასავლეთისა): მათი ტომი მისგეტები 282.

**იბერი,** მდინარე: 278.

**იბერია** (ესპანეთი): 278. იქ ქალაქი კართაია 279, 279\*.

**იეზდეგუსნაფი** (ზიქი), ირანის ელჩი 216. იხ. ზიქი.

**იერუსალიმი:** 8, 290.

**ილიგერი:** საბირთა რაზმის წინამძღოლი 91.

**ილირია:** 30\*, 239\*.

**ილლოსი:** ილლოსისა და პამპრეპიოსის აჯანყება ზენონის წინააღმდეგ 10, 11.

**ილლუსი,** ისავრიელი: ბიზ. ჯარისკაცი მისიმიელთა ქვეყანაში 167.

**იმერეთი:** 60\*, 62\*.

**ინდები (ინდოეთი):** 206. მათთან ვაჭრობა ბიზანტიელებისა. 254\*, 255\*.

**ინტელენე,** აღმ. ქვეყანა: 193.

**იოანე,** ალექსანდრიის მღვდელმთავარი: 8

**იოანე III** ანტიოქელი, კონსტ. პატრიარქი: 261.

**იოანე,** არმენიის სტრატეგოსი: 258.

**იოანე,** ბიზ. ელჩი 576 – 577 წ. საზავო მოთაბანაბაზე 243\*.

**იოანე,** პეტრე იბერიელის ნათლია: 4.

**იოანე:** იოანეს მონასტერი 12.

**იოანე გუბაზის მკვლელი:** რუსტიკეს ძმა, ფარულად გაიგზავნა კონსტანტინოპოლში გუბაზის დასაბეზღებლად 46 – 47. მან ხანჯალი ჩასცა მკერდში გუბაზს ხობის წყალთან და მოკლა 49, 138. გაექცა სასამართლოხ და მეტრიანემ შეიპყრო 83. მისი გასამართლება 126, 127, 141. ის სიკვდილით დასაჯეს. 152 – 153, 175.

**იოანე დაკნასი,** ბიზ. სტრატეგოსი: გაიგზავნა კოლხეთში რუსტიკეს ნაცვლად 166. იბრძვის მისიმიელთა ქვეყანაში 166. მასთან მოციქულებს აგზავნიან მისიმიელები 173. მშვიდობიანობა ჩამოაგდო მისიმიელებთან 174.

**იოანე დამასკელი:** 260, 261.

**იოანე ეპიფანიელი,** ისტორიკოსი: 195 – 201, 207.

**იოანე ეფესელი,** ისტორიკოსი: ისარგებლა მალაღას ქრონოგრაფით 261.

**იოანე კომენტოლე (დომენტოლე):** ელჩად გაგზავნა იუსტინე II-მ ირანში სვანეთის შესახებ მოსალაპარაკებლად 228, 229, 253, 253\*. მისი უშედეგო ელჩობა და უკან დაბრუნება 230, 231. იუსტინეს დავალებით უგზავნის წერისა ელჩად მომავალ ზიქს 231, 232.

**იოანე ლიბიელი:** სარდალ იუსტინეს ამაღლაში მსახურებს; მისი თარეში ლაზიკის სოფლებში 176--178.

**იოანე მალაღა:** 260 – 271.

**იოანე მთაწმიდელი:** 265\*.

იოანე რეტორი: 5 – 6.

იოანე რეზინელი: 20.

იონიელები: 26\*.

იოპე, ქალაქი: 7.

იოსებ ფლავიუსი: 272.

ირანელები (ირანი): 77, 78, 206, 254\* et passim. პეროზის დროს

ჰუნები შეიჭრნენ მათ ქვეყანაში 12, 13. მათი მტრობა ბიზანტიელებთან წათეს გაქრისტიანებით დაიწყო 267. წათე გადაუდგა მათ 263 – 268. მათი ლაშქრობა ლაზეთსა და სომხეთში კავადის დროს 268 – 269. ომი ბიზანტიელებთან 552 – 556 წლებში 204, მათ მიემხრნენ სვანები 204. ფოთის ბრძოლაში დაჰკარგეს. 10.000 მეომარზე მეტი 121. მათ მხარეზე გადავიდნენ მისიმიელნი 90. მათი ლაშქარი მიეშველა მისიმიელებს 157. დროებითი ზავი შეკრეს 556 წ. ბიზანტიელებთან 202, 209. საზავო მოლაპარაკება ბიზანტიასთან 562 წელს 203, 205. ჩაუსაფრდნენ მდ. კოფენის მახლობლად თურქთა და ბიზანტიელთა ელჩებს 235, აგრეთვე სვანეთის მიდამოებში 207, 236. მათ აუჯანყდნენ 571 წ. სომხები და ქართველები 256 – 258. ამ აჯანყების ჩაქრობაში მათ ეხმარებიან საბირები, დაგანები და დილმანიები 258. განაახლეს ომი ბიზანტიელებთან 195. 576 – 77 წლის საზავო მოლაპარაკება ბიზანტიელებთან 243.

ირინეოსი, სტრატელატი: გაგზავნა იუსტინიანემ წათეს დასახმარებლად 267, 267\*.

ისაგრიელები: 163, 167. მათი რაზმი იბრძვის ფოთში 555 წ. ფილომათის მეთაურობით 101.

ისდიგერდ I, ირანის მეფე (399 – 420); თეოდოსის მზრუნველია 26.

ისპანია (ესპანეთი): 187, 279\*.

ისტრი, მდინარე: 242, 298.

ისტრინი ვ. 261.

ისულა (ისულეთი), სოფელი: 41\*, 62\*, 160\*, 161\*. უდრის ძველს „ნესოსს“ 98\*, 99\*. იხ. ნესოსი.

იტალია: 24, 29\*, 187, 239\*.

იუვენალი (იუბენალი), იერუსალიმ. ეპისკოპოზი 5, 290, 291.

იუვენტინე, ქალკიდის რაზმების წინამძღოლი: იბრძვის არზანენეში იუსტინე II-ის დროს 200.

იულიანე, ალექსანდრიელი მღვდელმთავარი: 8,

იულიანე: იუსტინიანეს დროინდელი იურისტი 186\*. იუსტინიანეს მიერ ელჩად გაგზავნილი ეთიოპელებთან და ჰომერიტებთან 254\*.

**იუსტე**, ბიზ. სარდალი: 15.

**იუსტინე გერმანეს ძე**: ბიზ. სარდალი 29\* – 30\*. ის არის მეორე სტრატეგოსი ლაზეთში 45. მისი რაზმები 554 წ. ქიტროპოლიაში არიან დაბანაკებული 34. მარტინემ და რუსტიკემ მას დაუმალეს თავიანთი გეგმა გუბაზის მოკვლის შესახებ 47. მან არ ამხილა გუბაზის მკვლელები 50. მისმა მეშუბეებმა დაიჭირეს ონოფურისთან ირანელი მზვერავი 53 – 54. დაბანაკებულია ნესოსში 91. ფოთში იბრძვის 100, 109\*, 112 – 113, 115. დარჩა ნესოსში 156. ნესოსიდან ჯარი გაგზავნას როდოპოლის ასაღებად 158, 161\*. მარტინეს გადაყენების შემდეგ 556 წელს დაინიშნა კოლხიდის სტრატეგოსად 45\*, 175, 176, 179, 210, 210\*. მის ამაღლებაში მსახურებს ჩარჩი იოანე ლიბიელი 176, 177. მისი ძმა იუსტინე აღმოსავლეთის სარდალია 575 – 577 წლებში 239\*.

**იუსტინე I**, ბიზ. კეისარი (518 – 527): 15, 26. ჰუნებში ჯარს ქირაობს იბერიის დასახმარებლად 21\*. მის მეფობაში ლაზთა მეფე წათე გადაუდგა ირანს და მიემხრო ბიზანტიას 84\*, 263 – 267. მის დროს ცხოვრობდა მალალა 260.

**იუსტინე II**, ბიზ. კეისარი (565 – 578): 205, 206, 207, 240. ის კურაპალატია 30\*. მისი ასვლა ტახტზე 30\*, 204. გზავნის 565 წ. ირანში იოანე კომენტიოლეს სვანეთის შესახებ მოსალაპარაკებლად 228, 229. ბრალი დასდო იოანე კომენტიოლეს ცუდი ელჩობისათვის 230. მისი მეფობის მეორე წელს ბიზანტიამ დაარღვია ხელშეკრულება ირანთან 252. მოითხოვს ხოსროსგან სვანეთს 228\*, 253. არ სურს ირანის ელჩის ზიქის მიღება 231, არც მებოდისა 233. მის დროს აბრეშუმის ჭიის კულტურა ბიზანტიაში 254. მისი მეფობის მეოთხე წელს თურქთა ელჩები მოვიდნენ კოსტანტინოპოლში 196, 199, 234, 235. მისი მეფობის მეშვიდე წელს სომხები და იბერები გადაუდგნენ ირანელებს 257\*. ამავე წელს განახლდა ომი ირანთან 198. იუსტინე ექომაგება აჯანყებულ პერსარმენიას და იბერიას 245, 299, 300. მისი მეფობის მერვე წელს აღმოსავლეთის სტრატეგოსი მარკიანე იგზავნება ხოსროს წინააღმდეგ 200, 258. იუსტინეს განკარგულებით ალყა შემოარტყეს ნიზიბინს 201. მის დროს ცხოვრობდა მალალა 260, 261.

**იუსტინიანე**, აღმოსავლეთის სტრატეგოსი 575 წლიდან: სომხეთში ხელმძღვანელობს საომარ ოპერაციებს 238 – 239, 239\*.

**იუსტინიანე**, თეოდორე ცირეს (აღმ. სტრატეგოსის) მამა: 259.

**იუსტინიანე I**, ბიზ. კეისარი (527 – 565): 2, 15, 17, 24, 43\*, 50, 210, 243, 251. განთქმული მეფეა, უძლიერესი და გამარჯვებათა შარავანდედით მოსილი 147. იმეფა 39 წელი 198. მის დროს განმტკიცდა ქრისტიანობა აბაზგიაში 297. მის დროს 535 წ. იბერიის მეფეა ზამანაზი 268, 268\*. მისი ბრძოლები სირიასა და მესოპოტამიაში 26. მის დროს ომები ირანთან 196, 269. მისი ინტერესები ლაზეთში 29. წათეს დასახმარებლად გაგზავნა სამი სტრატელატი 267. ძალიან აფასებს გუბაზს 28. საჩივარი მიიღო გუბაზისაგან ბიზ. სარდლების საქციელზე 43. უკმაყოფილოა სარდალ ბესსათი 44. მხურვალედ მოუწოდებდა თავის სარდლებს მოეკლათ გუბაზი 65. მისი წერილი მარტინეს და რუსტიკეს მიმართ გუბაზის შესახებ 47, 107 – 108, 127 – 129. იბარებს გუბაზს თავისთან 129. მასთან მოვიდენ ლაზთა ელჩები გუბაზის მოკვლის შემდეგ 81 – 82. აწყობს ლაზეთში გუბაზის მკვლელთა გასამართლებას 125. გადააყენა სტრატეგოსის თანამდებობიდან მარტინე და იუსტინე დანიშნა 45\*, 175. მას მოეწონა ჭანების დამორჩილება თეოდორე ჭანის მიერ 185. მასთან გამოცხადდა ირანის ელჩი ზიქი დროებითი ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად 180. სდებს ირანთან ხელშეკრულებას 562 წელს 210, 252. ელჩებს უგზავნის ეთიოპელებს და ჰომერიტებს 254\*, რათა თავი დააღწიოს ირანის მეშვეობას აბრეშუმით ვაჭრობის დარგში 255\*. მის დროს ისწავლეს კონსტანტინოპოლში აბრეშუმის ჭიის გამრავლება 253. სარკინოზებს ფულებს უხდოდა 233. მის დროს ბიზანტიის მიწაწყალს მოადგნენ ავარები 298. მის დროს ცხოვრობდა მაღალა 260. იუსტინე II მისი ბიძაშვილია 228. იუსტინიანეს ნოველები 185\* – 186\*.

**აქსიბატები**, ტომი პონტოსთან: 279.

**იხი**, მდინარე: 235.

**კადარი**, სოფელი აბაშის რაიონში: 60\*.

**კადუსიები**, ტომი კავკასიაში: 279.

**კავადი** (კოადი), ირანის მეფე (488 – 531): 13, 14, 15, 20, 198, 268, 269. დაჰკარგა ტახტი და შემდეგ აღიდგინა 26. მას გადაუდგა წათე 263, 264, 266.

**კავკასია**: 62\*, 147, 298 et passim. მთა ლაზიკეში 27. მის კალთებზე მდებარეობს სინდური ქალაქი ასტერუსია 276. იქ არის ქვეყანა ჰენიოქია 278. იქ ცხოვრობს ტომი „კოლები“ 281 და

ტომი ტიპანისებისა 285. იქიდან ჩამოდის ფაზისი და დოკონოსი 37. კავკასიის იქითა ქვიკნებიდან შემოდინ ბარბაროსები 294. მის გადაღმა არიან ბიზანტიელთა მოკავშირე ტომები 87. მის გარშემო და მწერვალეზზე ცხოვრობენ სვანები 205, 221, 222. მის მწვერვალეზზე გადასახლდა გუბაზი 138. მის ძირში მოეწყო რომაული სასამართლო გუბაზის მკვლელთა. გასასამართლებლად 127. მისი ზეკარებით გადად-გადმოდინ ბიზანტიელები და თურქები 206 – 207, 234, 242.

**კავკასია** (ინდოეთისა): მთა, რომელსაც პარაპანისსაც ეძახიან 280.

იქიდან გამომდინარეობს მდინარე არაქოტი 276.

**კათარი**, მდინარე (აბაშა): 58 – 59, 60\*.

**კაისი**; ფილარქი მადდენებისა 254\*.

**კაკაბაძე** ს. 37\*, 215\*.

**კანდაკე**, დედოფალი: 6.

**კანე** (Cannae): 273.

**კაპადოკია**: იქ ქალაქი ზეილა 278. შეიჭრნენ ჭანები III საუკუნეში 262. შეიჭრნენ ჰუნნები ანასტასის დროს 263, 297\*.

**კაპადოკიის კარები** (კასპიის კარები): ამ კარებით გადმოვიდენ ჰუნნები ანასტასის დროს 296.

**კარები** (კასპიის კარები): 20, 21.

**კართაგენი**: 273.

**კართაია**: ქალაქი კეოსზე 279. ქალაქი იბერიაში (ესპანეთში) 279.

**კარდუენები**, ქვეყანა: 193.

**კარდულები** (**კარდუხები**): ტომი მიდიაში 279, 279\*.

**კასანდრე**: 3\*.

**კასპიის ზღვა**: 279, 280, 286.

**კასპიის კარები**: 20, 21. დარიალია თუ დარუბანდი? 17 – 19. მათი დაცვის საკითხი 12, 13\*, 15. კარები გადმოლახეს საბირის ჰუნნებმა ანასტასის დროს 263, 270, 296, 296\*. მათ შესახებ ცალკე მუხლი 562 წლის ხელშეკრულებაში 217.

**კატანები**: ტომი კასპიის ზღვასთან 280.

**კედრენე**, ისტორიკოსი: ისარგებლა მალაღას ქრონოგრაფით 261.

**კეკელიძე** კ. 86\*, 87\*, 189\*.

**კეოსი**, კუნძული: 279.

**კერიკე**, სტრატელატი: გაგზავნა იუსტინიანემ წათეს დასახმარებლად 267.

**კერკეტები**: მათ ესაზღვრებიან მოსხები 289.

**კერმიხიონები**: თურქების სახელწოდება ირანულად 253.

კეფევი: 287.

კეფენები: 287.

კვადრატე (Asinius Quadratus), ის ისტორიკოსი: 284, 285\*, 289.

კიანოსი (კვანოსი, გვენოსი, ტვენისი, პვენისი), მდინარე: 274, 274\*.

კილიკია: შეიჭრნენ ჭანები III საუკუნეში 262. შეიჭრნენ გუთები 262\*. კილიკიამდე მივიდნენ საბირები 270.

კირესტიკა: 270.

კირილე სკვითოპოლელი: 188, 188\*.

კიროსი: გარდაიცვალა მასაგეტების ქვეყანაში 280.

კიტა (კუტა): კოლხეთის ქალაქი 280.

კლავდი, რომის კეისარი: 191, 192\*.

კოადი, იხ. კავადი.

კოდორი, მდინარე: მის სათავეებთან მდებარეობს მისიმიანთა ციხე ბუქლოსი 87\*.

კოდორი, სოფელი: 60\*.

კოზმა: სპათარი 9. სამეფო საჭურისი 11.

კოილესირია: 290.

კოლები: ტომი კავკასიონთან 276\*, 281. მათ მახლობლად ცხოვრობენ კორაქსები 280.

კოლიკე, კოლების ქვეყანა: 281.

კოლხები: 93, 126, 127, 131, 131\*, 136, 140, 142, 149, 152, 153.

ისინი ეგვიპტიდან არიან გადმოსახლებულნი 27 – 28. წინადაცვეთის წესები მათში 28\*. მათი ქალაქი აია 274, კუტა (ქუთაისი) 280, პვენისი ანუ ტვენისი 283, 286, ფაზისი 286.

